დიოგენე

უმბერტო ეკო

# პრაღის სასაფლაო

უმბერტო ეკო

# პრაღის სასაფლაო

Umberto Eco

Il cimitero di praga

მთარგმნელი ხათუნა ცხადაძე
რედაქტორი ლალი ქადაგიძე
მხატვარი კოტე სულაბერიძე

Si ringrazia il Ministero degli Affari Esteri italiano che ha contribuito a finanziare la pubblicazione di questo libro.

მადლობას ვუხდით იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წიგნის თარგმანის თანადაფინანსებისთვის.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2014
ყველა უფლება დაცულია.

© 2010 RCS Libi S.p.A.
Via Mecenate 91-20138 Milano

ISBN 978-9941-11-463-3

www.diogene.ge

სარჩევი


**1.** გამვლელი იმ მოქუფრულ დილას 11

**2.** ვინ ვარ? 16

**3.** „მანი“ 46

**4.** ბაბუას დრო 69

**5.** კარბონარი სიმონინო 115

**6.** „სამსახურის“ სამსახურში 131

**7.** „ათასთა“ რიგებში 152

**8.** „ჰერაკლე“ 185

**9.** პარიზი 207

**10.** დალა პიკოლა დაბნეულია 218

**11.** ჟოლი 220

**12.** ღამე პრაღაში 245

**13.** დალა პიკოლა ამბობს, რომ ის არ არის დალა პიკოლა 271

**14.** ბიარიცი 272

**15.** მკვდრეთით აღმდგარი დალა პიკოლა 294

**16.** ბულანი 298

**17.** კომუნის დღეები 302

**18.** ოქმები 332

**19.** ოსმან-ბეი 346

**20.** რუსები? 353

**21.** ტაქსილი 360

**22.** „ეშმაკი XIX საუკუნეში“ 382

**23.** სწორად გატარებული თორმეტი წელიწადი 417

**24.** ღამის მსახურება 475

**25.** ყველაფერი თავის ადგილას დგება 499

**26.** საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა 511

**27.** შეწყვეტილი დღიური 535

*არასაჭირო დაზუსტებები* 549

*გამოყენებული ილუსტრაციები* 557

# პრაღის
# სასაფლაო

რადგან კონკრეტულ ეპიზოდებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, უფრო მეტიც, სწორედ ისინი შეადგენს ისტორიული ნარატივის ძირითად ნაწილს, სიუჟეტში ჩავრთეთ ასი მოქალაქის მოედანზე საჯაროდ ჩამოხრჩობის სცენა, ორი ბერის კოცონზე დაწვის ამბავი, კომეტის გაელვება და სხვა წვრილმანების აღწერა, რაც საუკეთესო საშუალებაა ძირითადი ამბისაგან მკითხველის ყურადღების ჩამოსაშორებლად.

კარლო ტენკა, *„ძაღლების ქუჩა“*

I

# გამვლელი იმ მოქუფრულ დილას

გამვლელი, რომელიც 1897 წლის მარტის იმ მოქუფრულ დილას გაბედავდა და მობერის მოედანზე გავიდოდა (ეს ადგილი, უბნის ავაზაკები მობს რომ ეძახდნენ, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ქცეულიყო საუნივერსიტეტო ცხოვრების ხალხმრავალ ცენტრად; იქვე, ვიკუს სტრამინეუსზე, ანუ ფუარის ქუჩაზე, იყო დღედაღამ სტუდენტებით მოჟივჟივე ხელოვნების ფაკულტეტიც; მოგვიანებით კი ეს მოედანი თავისუფალი აზრის მამათა – ეტიენ დოლეს მსგავსთა – ეშაფოტად იქცა), აქოთებული ჩიხების ხლართში ამოყოფდა თავს – პარიზის ისეთ ნაწილში, რომელიც ბარონ ოსმანის მსახვრალ ხელს გადარჩენოდა: ასეთები ცოტაღა შემორჩენილიყო ქალაქში. უბანს მდინარე ბიევრის კალაპოტი კვეთდა. ბიევრის წყალი აქ თითქოს სასოწარკვეთილი უსხლტებოდა დედაქალაქის მიწისქვეშეთს, რომელშიც მრავალი წლის წინ გამოემწყვდიათ, მცირე მანძილზე მიედინებოდა ღია ცის ქვეშ და მალევე, აგონიისგან აცახცახებული, სამუდამოდ იკარგებოდა მდორე, წვირითა და მატლებით სავსე სენაში. მობერის მოედნიდან, რომელსაც ახლა სან-ჟერმენის ბულვარი სერავს, პატარა ქუჩები იტოტებოდა:

მეტრ-ალბერი, სენ-სევერინი, გალანდი, ბიუშრი, სენ-ჟულიენ-ლე-პოვრი, უშეტი, მიჯრით მიწყობილი ბინძური ფუნდუკებით, რომელთა მეპატრონეებიც, სიხარბით განთქმულები (როგორც წესი, ოვერნელები), კლიენტს ერთ ფრანკს აგლეჯდნენ ღამის გათევაში. ყოველი შემდეგი ღამე ორმოცი სანტიმი ღირდა, ზეწარი კი – დამატებით ოცი სანტიმი.

თუ გამვლელი გათამამდებოდა და ამბუაზის ქუჩასაც შეუყვებოდა, მოგვიანებით სოტონის ქუჩა რომ დაერქვა, დაახლოებით შუა გზაზე, ლუდხანასა (სინამდვილეში ბორდელს) და ტავერნას შორის, სადაც ორგროშიან საძაგელ ღვინოს ყიდდნენ და ასეთსავე გულისამრევ კერძებს ამზადებდნენ (თუმცა იქაური ფასები სორბონის ჯიბეგაფხეკილი სტუდენტებისთვისაც ხელმისაწვდომი იყო), ვიწრო ჩიხს მიადგებოდა, რომელსაც მაშინ მობერის გასასვლელი ერქვა, ადრე კი ამბუაზის ჩიხს ეძახდნენ. კიდევ უფრო ადრე აქ ერთ „ტაპი-ფრანს“ ედო ბინა (ასე უწოდებდნენ ათასი ჯურის მაწანწალები იმ ტურტლიან სამიკიტნოებს, რომელთა მეპატრონეები, როგორც წესი, ნაციხარი ავაზაკები იყვნენ და კლიენტებადაც მათნაირი, ვირის აბანოდან ახალგამოსული გარეწრები დაუდიოდათ). ამ ადგილს სხვა რამის გამოც გაეთქვა სახელი: მეთვრამეტე საუკუნეში აქ სამ ცნობილ მკითხავს უცხოვრია, რომლებიც ერთ დღეს იმ მომწამლავი ნივთიერებების კვამლში გამომხრჩვალები უპოვიათ, რომლებსაც თავადვე თითხნიდნენ და ახრჩოლებდნენ იმ შავბნელ ბუნაგში.

ჩიხის ბოლოს ხის ჩარჩოში ჩასმული, პატარა შუშის ნაჭრებისგან შემდგარი ვიტრინა მოჩანდა გახუნებული აბრით: „ხარისხიანი ძველმანები“. მტვრიან, გაპოხილ შუშებში ძლივს გაარჩევდით გამოფენილ საქონელს. გვერდით მაღაზიის კარსაც შეამჩნევდით, რომელიც შეღებული თითქმის არავის უნახავს. კარზე ზანზალაკი ეკიდა, პატარა წარწერა კი იტყობინებოდა, მფლობელი მალე დაბრუნდებაო.

თუ ადამიანს მაღაზიაში შესვლის სურვილი გაუჩნდებოდა, რაც ძალიან იშვიათად ხდებოდა, და კარიც შემთხვევით ღია დახვდებოდა, მბჟუტავ სინათლეში გაჭირვებით გაარჩევდა მონჯღრეულ თაროებსა და მოყანყალებულ მაგიდებზე დახვავებულ, ერთი შეხედვით მიმზიდველ ნივთებს. თუმცა ვინც კარგად დააკვირდებოდა, მაშინვე მიხვდებოდა, რომ ეს ნივთები სრულიად გამოუსადეგარი იყო გასაყიდადაც, გასაცვლელადაც და ნებისმიერი სხვა, თუნდაც ყველაზე იაფფასიანი, საქმიანი გარიგებისთვის: ბუხრის თავის მოსართავები, ყველაზე ლამაზ ბუხარსაც რომ იერს წაუხდენდა, კედლის საათის ოდესღაც მომინანქრებული ქანქარა, რომელსაც აქა-იქღა შერჩენოდა ლურჯი მინანქარი, ერთიანად ჩაშავებული, ოდესღაც, ალბათ, ღია ფერებით ნაქარგი ბალიშები, ყვავილების სადგამი ამომტვრეული, დაკაწრული თაბაშირის ანგელოზებით, გაუგებარი სტილისა და დანიშნულების მოყანყალებული, პატარა მაგიდები, გასაღებების ჩასაყრელი დაჟანგული კალათა, წარწერებიანი, უცნაური კოლოფები, მდარე გემოვნების, ჩინური ორნამენტით მორთული სადაფის მარაოები, ყალბი ქარვის მძივი, შალის ჩუსტები – ირლანდიური ცირკონებით მოოჭვილი თასმებით, ნაპოლეონის გაქუცული ბიუსტი, დაბზარულ შუშებში ჩამხმარი პეპლები, ოდესღაც გამჭვირვალე ლარნაკში ჩალაგებული მარმარილოს ხილი, ქოქოსი, აკვარელით მოხატული, ყვავილებიანი ძველი ალბომები, ჩარჩოში ჩასმული ლითოგრაფიები (რომლებიც იმ წლებში არანაირ სიძველეს არ წარმოადგენდა). მოკლედ, მაღაზიაში შეხეტიალებული ადამიანი ხელმოკლე ოჯახებიდან გამოტანილ ამ ხარახურას თუ გადაქექავდა, რამეს შეარჩევდა და ფასს ჰკითხავდა მეძველმანეს, რომელიც სრულიად შემთხვევით დახვდებოდა ადგილზე, ისეთ პასუხს მიიღებდა, ნაგვის ყველაზე ხარბ კოლექციონერსაც რომ დაუკარგავდა შეძენის ხალისს.

ხოლო თუ მეძველმანის მაღაზიაში მოხვედრილი ადამიანი რაღაც მანქანებით მეორე კარსაც შეაღებდა, რომელიც იქაუ-

რობას შენობის ზედა სართულისგან ყოფდა და მორყეული, ხვეული კიბის რამდენიმე საფეხურს აივლიდა (ასეთი კიბე აქვს ყველა ვიწრო პარიზულ სახლს, რომლებიც სიგანით თითქმის არ აღემატება შესასვლელ კარს. უამრავ ქუჩაზეა ერთმანეთზე მიწყობილი ასეთი სახლები), დიდ ოთახში აღმოჩნდებოდა, რომლის ავეჯი და მოწყობილობა სრულიად განსხვავდებოდა ქვედა სართულზე დახვავებული ნაგვისაგან: არწივის მოვარაყებული თავებით დამშვენებული, მედიდური სამფეხა მაგიდა, XVII საუკუნის კარადა, წითელი ხის წიგნის თაროები ძვირფას ყდებში ჩასმული, საგულდაგულოდ ჩარიგებული ასამდე წიგნით, ამერიკული ყაიდის საწერი მაგიდა ჩასაკეტი უჯრებით. გვერდით ოთახში მდიდრული, ბალდახინიანი საწოლი და სევრის ფაიფურის ნაკეთობებით სავსე სოფლური კარადა იდგა. ოთახს თურქული ყალიონი, ალებასტრის თასი, ბროლის ლარნაკი ამშვენებდა, კედლებს კი – მითოლოგიური სცენებით მოხატული პანოები, ვეებერთელა ტილოები ისტორიისა და კომედიის მუზების გამოსახულებებით და აქლემის ტყავის არაბული მოსასხამები. საკიდზე აღმოსავლური, ქიშმირის ტანსაცმელი ეკიდა, იქვე კონწიალობდა ძველებური, მომლოცველის მათარაც. პირსაბანის ქვედა თაროზე ძვირფასი საპნები და სხვა ჰიგიენური საშუალებები ეწყო. მოკლედ, იქაურობა სავსე იყო იშვიათი, უცხო ნივთებით, რომლებიდანაც ფუფუნების სიყვარული უფრო გამოსჭვიოდა, ვიდრე მათი მფლობელის დახვეწილი გემოვნება.

თუ სტუმარი დიდ ოთახში დაბრუნდებოდა და მიმოიხედავდა, ერთადერთი ფანჯრის წინ, საიდანაც მკრთალი სინათლე შემოდიოდა ბინაში, ხალათმოსხმულ მოხუცს შენიშნავდა, ხოლო თუ კისერსაც წაიგრძელებდა, დაინახავდა, რომ მაგიდასთან მჯდარი მოხუცი წერდა. მისი ნაწერის კითხვას ახლა შევუდგებით და მთხრობელი ალაგ-ალაგ შეამოკლებს ამბავს, რათა მეტისმეტად არ მოქანცოს მკითხველი.

ნუ ელის მკითხველი, რომ მთხრობელი ეტყვის, ჩემდა გასაოცრად, მოხუცში ვიღაც ამოვიცანიო. ეს ამბავი ახლა იწყება და ჯერ ნახსენებიც არავინაა. იდუმალი მოხუცის ვინაობა მთხრობელისთვისაც უცნობია და თავადაც სწადია, მკითხველთან ერთად, მისი გარკვევა; ორივენი, უცხო ბინაში შეპარული კაცის ცნობისმოყვარეობით ატანილები, ეცდებიან, მისდიონ ნიშნებს, რომელთაც მოხუცის კალამი ტოვებს ქაღალდზე.

2

# ვინ ვარ?

24 მარტი, 1897

მიჭირს წერა, თითქოს სულს ვიშიშვლებდე გერმანელი (თუ ავსტრიელი, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს) ებრაელის ბრძანებით. არა, ღმერთმა დამიფაროს! მოდი, ვიტყვი, რჩევით-მეთქი. ვინ ვარ? ალბათ, უფრო უპრიანი იქნება, საკუთარ გრძნობებზე ვილაპარაკო, ვიდრე ჩემს ცხოვრებაზე. ვინ მიყვარს? საყვარელი სახეები არ მაგონდება. ვიცი, რომ გემრიელად ჭამა მიყვარს: რესტორან „ვერცხლის კოშკის" ხსენებაზეც კი ჟრუანტელი მივლის მთელ სხეულში. ნეტა ეს სიყვარულია?

ვინ მძულს? ებრაელები-მეთქი, ვიტყოდი, მაგრამ რადგან ასე მორჩილად ავყევი იმ ავსტრიელი (თუ გერმანელი) ექიმის წაქეზებას, ესე იგი წყეული ურიების საწინააღმდეგოც არაფერი მაქვს.

ებრაელებზე მხოლოდ ის ვიცი, რაც ბაბუაჩემმა მასწავლა: – ყველაზე ულვთო ხალხიაო, მეუბნებოდა. სწამთ, რომ სიკეთე ამქვეყნად უნდა აღსრულდეს და არა საიქიოში, ამიტომ მხოლოდ წუთისოფლის მოსაპოვებლად, სააქაოს დასამკვიდრებლად ილვწიანო.

ურიის აჩრდილმა წაართვა ნათელი ჩემი ყრმობის წლებს. ბაბუა აღმიწერდა იმ მოთვალთვალე, ტყუილით სავსე მზერას, კანს რომ გიშანთავს, მლიქვნელურ ღიმილს, აღრენილი აფთრის ლაშებს, მძიმე, ცოდვიან, გარყვნილ გამოხედვას, ცხვირსა და ბაგეებს შორის სიძულვილით ამოღარულ მშფოთვარე ნაოჭებს, პრეისტორიული ფრინველის კაუჭიან ცხვირს... და იმ თვალებს... ოჰ, იმ თვალებს... გახუხული პურისფერ, მოუსვენარ თვალებს, რომლებსაც სააშკარაოზე გამოაქვს თვრამეტი საუკუნის ბოღმით გაცხოველებული სეკრეციისაგან განადგურებული ღვიძლის სნეულება; ნაოჭებს წლებთან ერთად სიღრმე ემატება და ოცი წლის ებრაელს ბებერივით აჭკნობს და აჩაჩანაკებს. ებრაელს გაღიმებისას ისე ეჭუტება შეშუპებული უპეები, რომ თვალი აღარც უჩანს. ეშმაკი ბუდობს ამ თვალებშიო, – იტყვიან ხოლმე, ავხორციო, – ამბობდა ბაბუა... როცა წამოვიზარდე, იმასაც მეუბნებოდა, ურია არა მხოლოდ ესპანელივით პატივმოყვარე, ხორვატივით რეგვენი, აზიელი ვაჭარივით ხარბი, მალტელივით უმადური, ბოშასავით თავხედი, ინგლისელივით ბინძური, ყალმუხივით გაპოხილი, პრუსიელივით ამპარტავანი და ასტელივით ბილწსიტყვაა, არამედ მუდამ მოუთოკავად ამძუვნებულიცაა, რადგან, წინადაცვეთილს, გაძლიერებული ერექცია აქვსო. თანაც შემზარავია დისპროპორცია მათ ჯუჯისებრ სხეულსა და იმ ვეებერთელა, დასახიჩრებულ ასოს შორისო.

მრავალი წლის მანძილზე ყოველღამე მესიზმრებოდნენ ებრაელები.

საბედნიეროდ, არასოდეს შევხვედრივარ მათ, თუ ტურინის გეტოს მეძავს (თუმცა არასოდეს გამოვლაპარაკებივარ) და ავსტრიელ (თუ გერმანელ) ექიმს არ ჩავთვლით.

გერმანელებს შევხვედრივარ, მიმუშავია კიდეც მათთან. გერმანელი ყველაზე ნაკლებად ადამიანური ცოცხალი არსებაა,



*...მრავალი წლის მანძილზე ყოველღამე მესიზმრე-
ბოდნენ ებრაელები...*

რაც კი შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა. გერმანელი საშუალოდ ფრანგზე ორჯერ მეტ განავალს გამოყოფს: გონებრივი სიჩლუნგე და საჭმლის მომნელებელი სისტემის გაძლიერებული მუშაობა მათ ფიზიოლოგიურ ჩამორჩენილობას ადასტურებს. ბარბაროსთა შემოსევების დროს გერმანელთა ურდოები ფეკალური მასების ენით აღუწერელ რაოდენობას ტოვებდა გზაზე. მომდევნო საუკუნეებშიც ფრანგი მოგზაური ადვილად ხვდებოდა, გადალახა თუ არა ელზასის საზღვარი, ადამიანის განავლის ზომის მიხედვით, რომელსაც გზადაგზა ხედავდა ხოლმე. ნეტავ მარტო ეს იყოს... გერმანელს ბრომიდროზიც ახასიათებს – მყრალი ოფლი, და ისიც დადასტურებულია, რომ გერმანელის შარდში აზოტის შემცველობა ოცი პროცენტია, მაშინ, როცა სხვა რასების შარდში ის თხუთმეტს არ აღემატება.

გერმანელს მუდმივად აბობოქრებული აქვს ლუდითა და ღორის ძეხვეულით ამოყორილი კუჭ-ნაწლავი. ერთხელ თავად შევესწარი მათ თავყრილობას მიუნხენში: ყოფილი ეკლესიის შენობაში შეკრებილიყვნენ და ინგლისური ნავსადგურივით გაებუღათ იქაურობა, ღორის ქონით ყარდა ქალიცა და კაციც, იმხელა კათხები ჩაებღუჯათ, სპილოების ჯოგს მოუკლავდა წყურვილს, დრუნჩებს უსლაგუნებდნენ ერთმანეთს, ამძუვნებულ ძაღლებს ჰგავდნენ, სარცხვინელს რომ უყნოსავენ ერთურთს. მახსოვს მათი მჭახე ხორხოცი, ისე ულაპლაპებდათ ახურებული, გაზეპილი სახეები და ხელები, როგორც ძველი დროის ცირკის ათლეტებს – დაკუნთული სხეულები.

გაუთავებლად ითქრიალებენ ხახაში იმ თავიანთ „გაისტს“: ეს სიტყვა „სულს“ ნიშნავს, მაგრამ გაისტი შვრიისა და ქერის სპირტია, რომელიც ბავშვობიდანვე ათაყვანებს გერმანელებს. ამით აიხსნება ისიც, რომ რაინის გადაღმა მშვენიერი არასოდეს არაფერი შექმნილა: მათი ხელოვნება გულისამრევად მახინჯარსებებიანი ნახატები და მომაკვდინებლად მოსაწყენი პოემებია. მუსიკაზე რომ აღარაფერი ვთქვათ: ვაგნერის

სამგლოვიარო კაკაფონიას რომ თავი დავანებოთ, რომელმაც დღეს ფრანგებიც გამოაშტერა, მაგათი ბახის ქმნილებებიც, რაც კი მომისმენია, ჰარმონიას მოკლებული, ზამთრის ღამესავით ცივია, იმ ბეთჰოვენის სიმფონიები კი ერთი უხამსი, მდაბიური ორგიაა.

დილა-საღამოს ლუდისგან დაბიჟვინებულები ვეღარც კი ხვდებიან, რა გულისამრევები და ბინძურები არიან, თუმცა მათ მდაბიოობას ყველაზე ნათლად ის ადასტურებს, რომ საკუთარი გერმანელობის არც კი რცხვენიათ. ლუთერისნაირ ავხორც და მუცელღორა ბერს აჰყვნენ (არა, მაინც რანაირად უნდა შეირთო კაცმა ცოლად მონაზონი?) მხოლოდ იმიტომ, რომ ბიბლია დაამახინჯა მათ ენაზე თარგმნით. მოიცა, ვინ თქვა, მეტისმეტი მოუვიდათ ევროპის ორი უდიდესი ნარკოტიკი: ალკოჰოლი და ქრისტიანობაო?

„ღრმას“ უწოდებენ თავიანთ ენას, რადგან ბუნდოვანია, გაუგებარი, ფრანგულივით მკაფიო არაა და არასოდეს გამოხატავს სათქმელს პირდაპირ. გერმანელმა არასოდეს იცის, რის თქმა უნდა და ამ ბუნდოვანებას სიღრმედ ასაღებს. მაგათთან ისეა, როგორც ქალებთან: ბოლომდე ვერასოდეს შეაღწევ. ჩემდა საუბედუროდ, ამ უსახური და უმეტყველო ენის სწავლა – ზმნა თვალისცეცებით რომ უნდა ეძებო წინადადებაში, რადგან არასოდესაა იქ, სადაც უნდა იყოს – ბაბუაჩემმა მაიძულა ბავშვობაში. გასაკვირი არცაა, ავსტრიელების მომხრე იყო. ასე შევიძულე ეს ენაც და მისი მასწავლებელი იეზუიტიც, წკეპლას რომ გადამიჭერდა ხოლმე თითებზე, როგორც კი შეცდომას დავუშვებდი.

მას შემდეგ, რაც გობინომ რასათა უთანასწორობზე დაწერა, სხვა ერზე აუგის თქმა ნიშნავს, რომ საკუთარი უკეთესად მიგაჩნია. მე ეს სულ ფეხებზე მკიდია. რაც ფრანგი გავხდი (ისედაც ნახევრად – დედით – ფრანგი ვიყავი), მივხვდი, რა



*...ლუთერისნაირ ავხორც და მუცელღორა ბერს აჰ-ყვნენ (არა, მაინც რანაირად უნდა შეირთო კაცმა ცოლად მონაზონი?) მხოლოდ იმიტომ, რომ ბიბლია დაამახინჯა მათ ენაზე თარგმნით...*

უქნარები არიან ჩემი ახალი თანამემამულეები, ცრუპენტელეები, ბოლმიანები, ეჭვიანები, იმდენად ამპარტავნები, რომ ფრანგის გარდა ყველა ველური ჰგონიათ, საყვედურის მოსმენაც არ შეუძლიათ. თუ გინდა, ფრანგს საკუთარ თავზე ცუდი ათქმევინო, სხვა ერი უნდა მოიხსენიო ცუდად, მაგალითად, თქვა, ჩვენ, პოლონელებს, ესა და ეს ნაკლი გვაქვსო; და რადგან არ შეუძლიათ, ვინმეს რამეში ჩამორჩნენ, თუნდაც ცუდში, მაშინვე გეცემიან, უჰ, ჩვენ, ფრანგები, უარესები ვართო! მაშინ კი იცოცხლე, მოაღებენ პირს, გალანძღავენ ფრანგებს და ვერც კი ხვდებიან, რომ ხაფანგი დაუგე.

არ უყვართ თავისი მსგავსი, თუნდაც მისგან სარგებელი ჰქონდეთ. არავინაა ფრანგ მეფუნდუკესავით უზრდელი, მუდამ ისეთი იერი აქვს, თითქოს სძულს საკუთარი კლიენტი (ალბათ, ასეცაა) და ერთი სული აქვს, აღარასოდეს დაინახოს ის (ეს კი ტყუილია, რადგან ფრანგი საშინლად გაუმაძღარია). Ils grognent toujours[1]. სცადეთ, რამე ჰკითხოთ: sais pas, moi[2] – მოგიგდებენ და ისე დალმეჭენ პირს, თითქოს აკუებენო.

ბოროტები არიან. უსაქმურობისგან მკვლელობისთვისაც კი მზად არიან. ერთადერთი ერია, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს ათწლეულობით ალპობდა დილეგებში და თანამოძმეებს თავებს აყრევინებდა. გაუმართლათ, როცა ნაპოლეონმა მათ სიძულვილს გეზი უცვალა და სხვა ერებისკენ მიმართა ის, ევროპის გასანადგურებლად.

ამაყობენ სახელმწიფოთი, რომელსაც ძლიერს უწოდებენ, თუმცა მუდამდღე მისი დამხობის მცდელობით ერთობიან: არავინაა მათსავით მარდი ბარიკადების აღმართვაში, მიზეზიც არ სჭირდებათ საამისოდ და უმეტესწილად არც იციან, რატომ და რისთვის აკეთებენ ამას, უკანასკნელი ნაძირალას მოწოდებაზე გამოიყრებიან ქუჩაში. ფრანგმა არ იცის, რა უნდა, მაგრამ

[1] მთელი დღე იღრინებიან (ფრ.).
[2] მე რა ვიცი (ფრ.).

ზუსტად იცის, რომ ის არ უნდა, რაც აქვს. სათქმელის გამოსახატავად კი მარტო სიმღერა შეუძლია.

ჰგონიათ, რომ მთელმა მსოფლიომ იცის ფრანგული. რამდენიმე ათეული წლის წინ ლუკამ – გენიოსმა კაცმა – ოცდაათი ათასი ხელნაწერი გააყალბა, ძველ ქაღალდს იყენებდა საწერად, ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნებიდან ხევდა თავფურცელსა და ბოლო, ცარიელ გვერდებს, სხვადასხვა ხელწერას ბაძავდა, თუმცა ისე ოსტატურად ვერა, როგორც მე შემიძლია... ვინ იცის, რამდენი ასეთი დოკუმენტი მიჰყიდა იმ იდიოტ შალს (დიდი მათემატიკოსიაო, ამბობენ, მეცნიერებათა აკადემიის წევრია, თუმცა ერთი გამოთაყვანებული ვინმეა). არა მხოლოდ შალს, ბევრ მის კოლეგასაც, მართლა სჯეროდა, რომ კლეოპატრა, კალიგულა და იულიუს კეისარი ფრანგულად წერდნენ, რომ ფრანგულად სწერდნენ ერთმანეთს პასკალი, ნიუტონი და გალილეი, მაშინ, როცა ბავშვმაც კი იცის, რომ იმ დროის სწავლულები წერისას მხოლოდ ლათინურს იყენებდნენ. ფრანგ სწავლულთ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ სხვა ერები ფრანგულად კი არ ლაპარაკობენ, არამედ თავიანთ ენებზე. ლუკას შეთითხნილ დოკუმენტებში ეწერა, რომ პასკალმა ნიუტონზე ოცი წლით ადრე აღმოაჩინა მიზიდულობის კანონი და ეს საკმარისი აღმოჩნდა კუდაბზიკა სორბონელების დასაბრმავებლად.

ალბათ, უმეცრება მათი სიძუნწის – ეროვნული თვისების – ნაყოფია. თუმცა სიძუნწეს თავად ღირსებად თვლიან და მომჭირნეობას უწოდებენ. მხოლოდ ამ ქვეყანაში იყო შესაძლებელი, ერთი ძუნწი კაცისთვის მთელი კომედია მიეძღვნათ, ეჟენი გრანდეს მამაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

სიძუნწე გამოსჭვივის მათი მონჯღრეული, ტურტლიანი სახლებიდან, უხსოვარ დროში დაყენებული ბინძური პირსაბანებიდან, მოყანყალებული, ხვეული კიბეებიდან, რომლებსაც რაც შეიძლება ვიწროს აკეთებენ, ადგილის დასაზოგად. დაამყნეთ, როგორც მცენარეებს ვამყნობთ, ფრანგი ებრაელზე (სა-

სურველია, გერმანული წარმოშობის ებრაელზე) და მიიღებთ იმას, რაც გვაქვს: მესამე რესპუბლიკას...

ფრანგი მხოლოდ იმიტომ გავხდი, რომ იტალიელობას ვერ ვიტანდი. რადგან პიემონტში ვიყავი დაბადებული, გალელის კარიკატურად ვგრძნობდი თავს, თანაც კიდევ უფრო გონება-შეზღუდულად. პიემონტელებს ყოველგვარი სიახლე აშინებთ, მოულოდნელობა გულს უხეთქავთ. სიცილიისკენ რომ დაძრულიყვნენ (თუმცა გარიბალდის თანამებრძოლებში ძალიან ცოტა იყო პიემონტელი), ორი ლიგურიელი, ერთი გარიბალდისნაირი შეშლილი და ერთიც თარსი მაძინი დასჭირდათ. იმაზე აღარაფერს გეტყვით, რა აღმოვაჩინე, პალერმოში რომ გამგზავნეს (როდის იყო? უნდა გავიხსენო). მხოლოდ იმ ამპარტავან დიუმას უყვარდა იტალიელები, ალბათ, იმიტომ, რომ ფრანგებზე მეტად ეთაყვანებოდნენ მას: ფრანგები ხომ დიუმას მხოლოდ სანახევროდ თვლიდნენ ფრანგად. ნეაპოლელებსა და სიცილიელებს კი, თავადაც შერეულსისხლიანებს, უყვარდათ დიუმა. ნეაპოლელთა და სიცილიელთა აღრეული სისხლი მათი დედების ბრალი როდი იყო: მასში თაობათა განმავლობაში შერწყმული რასების კვალი გამოსჭვიოდა. ამ მხარეში იბადებოდნენ ფლიდი აღმოსავლელი ვაჭრების, ბინძური არაბების, გადაგვარებული ოსტგუთების შთამომავლები და ათასი ჯურის წინაპრებისაგან ყველაზე უარესს ილებდნენ: სარაცინებისგან – უნდილობას, შვაბებისგან – სისასტიკეს, ბერძნებისგან – უთავბოლობასა და უსაქმურობას. იმის ნახვაც კმარა, ნეაპოლში ქუჩის ბიჭები როგორ აბითურებენ უცხოელებს, თითებით იტენიან ხახაში სპაგეტის და გაფუჭებული პომიდვრის წვენი გულზე ეწუწნებათ. შეიძლება, პირადად არ მინახავს ეს, მაგრამ ვიცი, რომ ასეა.

იტალიელი ვერაგია, მატყუარა, ლაჩარი, მოღალატე, ხმალს ხანჯალი ურჩევნია, წამალს – სამსალა, საქმეში ფლიდია, ქარის მიმართულების ოდნავ ცვლილებაზეც კი დროშის შეცვლას

ვერავინ დაასწრებს. საკუთარი თვალით ვნახე, რაც დაემართათ ბურბონების გენერლებს გარიბალდის თავზეხელაღებული მებრძოლებისა და პიემონტელი ოფიცრების დანახვაზე.

საქმე ისაა, რომ იტალიელებს მღვდლები ჰყავდათ ნიმუშად – ერთადერთი ნამდვილი მთავრობა, რაც კი ოდესმე ჰყოლიათ მას შემდეგ, რაც რომის უკანასკნელი, გარყვნილი იმპერატორი ბარბაროსებთან ჩაერთო უწმინდურებისა და ცოდვის ფერხულში, რადგან ქრისტიანობამ უძველესი რასის სიამაყე შეასუსტა.

მღვდლები... სად გავიცანი ისინი? თუ არ ვცდები, ბაბუაჩემის სახლში. ბუნდოვნად მახსოვს მეჩხერი კბილები, აყროლებული პირები, ოფლიანი ხელები, კეფაზე რომ მეთათუნებოდნენ. მოგონებაც კი გულს მირევს. მცონარები, ქურდებსა და ყაჩაღებზე საშიშები არიან. კაცი მღვდლად ან ბერად მარტო იმიტომ მიდის, რომ უსაქმურად იცხოვროს. უქნარობა კი გარანტირებული აქვთ, რადგან უამრავი არიან. ერთი მღვდელი რომ მოდიოდეს, მაგალითად, ათას კაცზე, იმდენი საქმე ექნებოდა თითოეულს, ვერც გულხელდაკრეფილი იჯდებოდა და ვერც მთლიან ყვერულს ჩანთქავდა ერთ ჭამაზე. ყველაზე რეგვენი მღვდლებიდან კი ხელისუფლება გამორჩეულად რეგვენებს შეარჩევს და ეპისკოპოსებად დანიშნავს ხოლმე.

დაბადებიდან გარს გეხვევიან: ჯერაა და, გინდა თუ არა, უნდა მოგნათლონ, სკოლაში წახვალ – იქაც დაგხვდებიან, თუ შენმა ტუტუცმა მშობლებმა საეკლესიო სასწავლებელში მიგაბარეს, მერე – პირველი ზიარებაო, კატეხიზმოო, ზეთის ცხებაო; საკუთარ ქორწილშიც მღვდელი გადგას თავზე და გარიგებს კიდეც, საწოლში როგორ მოიქცე, მეორე დღეს კი აღსარებას ჩამოგართმევს და წვრილად გამოგკითხავს, აბა, რამდენჯერ მოახერხეო, რომ თავის ბინძურ ფანტაზიას საალმსარებლოშიც ლუკმა წაუგდოს. შეძრწუნებულები გელაპარაკებიან სექსზე, თავად კი ყოველ დილით ინცესტით წაბილწული ლოგინიდან გამოძვრებიან და ხელებსაც არ იბანენ, ისე ეზიარებიან უფლის

სისხლსა და ხორცს, რომელსაც მერე მოფსამენ და მოჯვამენ კიდეც.

გიკიჟინებენ არაამქვეყნიურ საუფლოზე, თუმცა თავად, თუ რამეს დასწვდნენ, ხელიდან ველარ გააგდებინებ. ცივილიზაცია სრულყოფას ვერ ეღირსება, ვიდრე უკანასკნელი ეკლესიის უკანასკნელი ლოდი ქვეშ არ მოიყოლებს უკანასკნელ მღვდელს და დედამიწა ამ მანკიერი ხროვისაგან არ გათავისუფლდება.

კომუნისტებმა გაავრცელეს აზრი, რელიგია ხალხის ოპიუმიაო. მართალია: ის მორწმუნეთა ვნებების მოსათოკადაა საჭირო და რომ არა რელიგია, ბარიკადებზე ორჯერ მეტი ხალხი გავიდოდა. კომუნის დღეებში აჯანყებულები ცოტანი იყვნენ, ამიტომაც გაუსწორდა მათ ადვილად ხელისუფლება.

თუმცა მას შემდეგ, რაც იმ ავსტრიელ ექიმს მოვუსმინე, კოლუმბიური ნარკოტიკის თვისებებზე რომ ჰყვებოდა, ვიტყოდი, რომ რელიგია ხალხის კოკაინიცაა, რადგან რელიგია მოუწოდებს მორწმუნეებს ურჯულოთა ჟლეტისაკენ. მნიშვნელობა არ აქვს, ქრისტიანობაა, ისლამი თუ კერპთაყვანისმცემლობა. აფრიკელი ზანგები ადრე ერთმანეთს ჟუჟავდნენ, მისიონერებმა გააქრისტიანეს ისინი და კოლონიურ ჯარებად აქციეს, რომლებიც მზად არიან, ფრონტის წინა ხაზზე შეეგებონ სიკვდილს და თეთრკანიანი ქალები აუპატიურონ ყოველი ახალი ქალაქის აღებისას. ადამიანები არასოდეს სჩადიან ბოროტებას ისე სრულყოფილად, ისეთი ენთუზიაზმით, როგორც მაშინ, როცა რელიგიის სახელით მოქმედებენ.

ყველაზე უარესი, ცხადია, იეზუიტები არიან. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვუმუხთლე მათ, ან, შესაძლოა, თავად დამიშავეს რაღაც, ვერ ვიხსენებ. შეიძლება, სულაც იეზუიტები კი არა, მათი ღვიძლი ძმები – მასონები იყვნენ. ისინიც იეზუიტებივით არიან, ოღონდ უფრო არეულები. იეზუიტებს საკუთარი მოძღვრება მაინც აქვთ და იციან, როგორ გამოიყენონ

ის, მასონებს კი იმდენი მოძღვრება აქვთ, თავადაც ვერ გარკვეულან მათში. ბაბუა მიყვებოდა მასონებზე, თავი მოჰკვეთეს მეფეს, ებრაელებთან ერთადო; კარბონარებიც – შედარებით სულელი მასონები – მათგან მოდიანო. ჯერ იყო და, ყოველ ნაბიჯზე იჭერდნენ და პანტაპუნტით ხვრეტდნენ თურმე კარბონარებს, მოგვიანებით კი ბომბის დამზადებაში რაღაც შეცდომა დაუშვიათ, რისთვისაც უამრავს წააგდებინეს თავი. ბევრი მათგანი მერე სულაც სოციალისტი, კომუნისტი და კომუნარი გახდა. ყველანი კედელთან მიაყენეს. ბრავო, ტიერ!

მასონები და იეზუიტები. იეზუიტები კაბიანი მასონები არიან.

მძულს ქალები, თუმცა ბევრი არაფერი ვიცი მათზე. მრავალი წელი შეპყრობილივით ვერ ვცილდებოდი იმ ლუდხანებს, სადაც ყველა ჯურის ნაძირალა იყრის ხოლმე თავს. ლუდხანა საროსკიპოზე უარესია. საროსკიპოების გახსნას უბნის მცხოვრებლები მაინც ეწინააღმდეგებიან და მათ დახურვას ლამობენ, ლუდხანის გახსნა კი ყველგან შეიძლება, იქ ხომ ვითომ მხოლოდ დასალევად დადიან. სინამდვილეში, სმით მხოლოდ პირველ სართულზე სვამენ, ზედა სართულები კი გარყვნილების ბუდეა. ყველა ლუდხანას თავისი სახელი, თავისი ხასიათი აქვს და ქალების იერსახე და ყოფაქცევაც მას შეესაბამება. აქ, ჩვენთან, გერმანულ ყაიდაზე გამოწყობილი მიმტანი გოგოები გემსახურებიან, სასამართლოს წინ მდებარე ლუდხანებში კი მიმტან ქალებს ვექილის ტოგები აცვიათ. სორბონის ახლოს ლუდხანების სახელებიც საკმარისია, რომ მიხვდე, სად ხარ: „მუქთახორა“, „მაროკოელი ლამაზმანები“, „თოთხმეტი დუნდული“. მათი მეპატრონეები ძირითადად გერმანელები არიან: აი, რა უთხრის ძირს ფრანგულ მორალს. მარტო მეხუთე და მეექვსე უბანს შორის სამოცი, მთელ პარიზში კი ორასამდე ასეთი დაწესებულება იქნება და მათი კარი ყმაწვილთათვისაც ღიაა. ბიჭები ჯერ ცნობისმოყვარეობის გამო დადიან იქ, მე-



*…იეზუიტები კაბიანი მასონები არიან…*

რე ეჩვევიან, ბოლოს კი – ამ დროს უკვე სიფილისით ლპებიან – როცა მოეხასიათებათ. თუ ლუდხანა სკოლასთან ახლოსაა, ყმაწვილები კარიდან უჭვრეტენ გოგოებს. მე დასალევად დავდივარ და შიგნიდან ვაკვირდები, როგორ უთვალთვალებენ გოგოებს სკოლის შეგირდები, და არა მხოლოდ ისინი. ასე უამრავი რამ შეიძლება გაიგო უფროსების ქცევაზე, ეს კი, ვინ იცის, როდის გამოგადგება.

ყველაზე მეტად ათასი ჯურის მუქთახორას დაკვირვება მართობს: ზოგიერთს ოჯახი ჰყავს და ცოლი არჩენს, ასეთები, როგორც წესი, ერთად სხედან, გამოპრანჭულები, ეწევიან და ბანქოს თამაშობენ. მიკიტანი და ქალები მათ „რქოსნებს" ეძახიან. ლათინურ უბანში კლიენტების უმრავლესობა ხელმოცარული სტუდენტია: გაფაციცებულებს, რომ ვინმემ ფული არ ასწაპნოთ, დანა მუდამ ჯიბეში უდევთ. ყველაზე მშვიდად ქურდები და მკვლელები არიან, საკუთარი საქმე აქვთ და კარგად იციან, რომ გოგოები არ გასცემენ: ვის უნდა, დილით მისმა გვამმა ბიევრში იტივტივოს?

უკუღმართი და გარყვნილიც ბევრია, ვინც ქალებსა და კაცებს ერთნაირად დასდევს და ყველაზე ბინძურ მომსახურებას სთავაზობს შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. მეფის სასახლის შორიახლო და ელისეს მინდვრებზე ნადირობენ კლიენტზე, კარგად იციან, როგორ მიიზიდონ მსხვერპლი. ხშირად თავიანთნაირ გადაგვარებულსაც დაუდარაჯდებიან, მერე პოლიციელის ფორმაში გამოწყობილ რომელიმე ავაზაკს წამოაყენებენ თავზე და საცვლებისამარა კლიენტს დაპატიმრებით ემუქრებიან. ისიც, შეშინებული, შებრალებას ითხოვს, ფულს იხდის, ოღონდ დაეხსნან.

იმ ბუნაგებში ძალიან ვფრთხილობ, ვიცი, რაც შეიძლება დამემართოს. თუ შეგატყვეს, რომ ფული გაქვს, მეფუნდუკე მიმტან გოგოს ანიშნებს, ისიც მოგიცუცქდება და ნელ-ნელა სხვებსაც მიგაპატიჟებინებს მაგიდასთან. ათას რამეს შეგაკვე-

თინებენ (ქალები, რომ არ დათვრნენ, ანისულის ნაყენს ან კასისის ლიქიორს სვამენ – შეფერილ წყალს, რომელშიც კლიენტს ცეცხლის ფასს ახდევინებენ), თან ცდილობენ, ბანქოს თამაშში აგიყოლიონ, ერთმანეთს ანიშნებენ კარტებს, აგებ და იძულებული ხარ, ვახშამზე დაპატიჟო ყველა: გოგოებიც, მეფუნდუკეცა და მისი ცოლიც. თუ თამაშის შეწყვეტას ცდილობ, გთავაზობენ, ფულზე ნუღარ ვითამაშებთო, სამაგიეროდ, თითო მოგებულ ხელზე მიმტანი გოგო რაღაცას იხდის... მაქმანები ნელ-ნელა ძირს ცვივა და შიშვლდება ის გულისამრევი თეთრი ხორცი, ბინძური ძუძუები, ყავისფერი იღლიები, მძაფრ სუნს რომ აფრქვევენ და გონებას გიმღვრევენ...

ზედა სართულზე არასოდეს ავსულვარ. ვიღაცამ თქვა, ქალი მამაკაცთა მავნე ჩვევის სუროგატია და მეტი არაფერი, განსხვავება ისაა, რომ ქალის გარეშე კაცს მეტი ფანტაზია სჭირდებაო. სახლში ვბრუნდები და მთელი ღამე ქალები მესიზმრება; რკინის ხომ არ ვარ, თანაც, თავად გამომიწვიეს.

ექიმი ტისოს ნაშრომი წავიკითხე და ვიცი, ქალს შორიდანაც შეუძლია, გავნოს. არ ვიცით, მართლა გენიტალურ სითხეშია თუ არა ადამიანის მაცოცხლებელი ძალა, მაგრამ აშკარაა, რომ მათ შორის გარკვეული კავშირი არსებობს, ხანგრძლივი ღამის პოლუცია მამაკაცს აუძლურებს: სხეული უშრება, ეფიტება, სახე უფითრდება, მეხსიერება უდუნდება, მხედველობა ებინდება, ხმაში ხრინწი ერევა, ძილს მშფოთვარე სიზმრები უმღვრევს, მის თვალებში ტკივილი იბუდებს, სახე კი წითელი ლაქებით ეფარება. ზოგს ნერწყვი უთეთრდება, გული უჩქარდება, სული ეხუთება, ზოგიც შეკრულობასა და საშინლად მყრალ განავალს უჩივის. ბოლო კი სიბრმავეა.

შეიძლება, გაზვიადებულიცაა ეს ყველაფერი. პატარაობაში მეც დამუწუკებული სახე მქონდა, მაგრამ ამაში, მგონი, უცნაური არაფერია, ყველა ბიჭი ასეა. თუმცა ზოგს, ალბათ, მეტისმეტი მოსდის, დღედაღამე ხელს არ აჩერებს. ახლა უკ-

ვე შემიძლია, მოვზომო და მშფოთვარე სიზმრებსაც მხოლოდ ლუდხანიდან დაბრუნებული ვხედავ, ქუჩაში კაბის კალთის დანახვა ნამდვილად აღარ აღმაგზნებს, ზოგიერთივით. სამუშაო მშველის, რომ უზნეობის მორევში არ გადავეშვა.

რა საჭიროა ამდენი ლაყბობა? არ ჯობია, მოვლენები გავიხსენო? ალბათ, იმედი მაქვს, ლაპარაკი მომაგონებს, რა მიკეთებია გუშინდელ დღემდე ან როგორი ვარ გულის სიღრმეში. თუ საერთოდ მაქვს გული. ამბობენ, სული მხოლოდ ადამიანის ნამოქმედარისგან შედგებაო. მაგრამ, თუ ვინმე მძულს და ამ ბოღმას გულით ვატარებ, ეს ხომ ნიშნავს, რომ რაღაც მქონია შიგნით! როგორ ამბობდა ფილოსოფოსი? Odi ergo sum[3].

ქვევიდან ზარის ხმა მომესმა. გამიკვირდა, ნუთუ იმდენად ბრიყვია ვინმე, რომ რამის ყიდვა გადაწყვიტა-მეთქი? სტუმარმა კი მომახსენა, ტისომ გამომგზავნაო. რა ჯანდაბად ავირჩიე ეს პაროლი? ჰოლოგრაფიული ანდერძი სჭირდებოდა, ვინმე ბონფუას ხელმოწერილი, ვიღაც გიიოს სასარგებლოდ (ეს გიიო აშკარად თვითონ იყო). ქაღალდი თან ჰქონდა, ბონფუა ასეთს ხმარობსო (თუ ხმარობდაო), და მისი ხელწერის ნიმუშიც მაჩვენა. გიიო ზევით, სამუშაო ოთახში ავიყვანე, კალამი და მელანი შევარჩიე და პირდაპირ, გაუვარჯიშებლად დავწერე ანდერძი. უნაკლოდ. როგორც ჩანს, გიიომ იცოდა ტარიფები, შესაბამისი თანხა დამიტოვა.

მაშ, ესაა ჩემი ხელობა? შესანიშნავია, როცა არაფრიდან სანოტარო აქტს აღადგენ, გამოაცხობ წერილს, რომელიც ნამდვილს ჰგავს, შეთხზავ ვიღაცის ძირგამომთხრელ აღიარებას, შექმნი საბუთს, რომელიც ეშაფოტზე აიყვანს ვინმეს. ხელოვნების ძალა... ნამდვილად დავიმსახურე „ინგლისურ კაფეში“ პირის ჩატკბარუნება.

[3] მძულს, მაშასადამე, ვარსებობ (ლათ.).

ყნოსვით მეხსიერებას არ ვუჩივი, მაგრამ ასე მგონია, საუკუნეებია, რაც იმ მენიუს სურნელი აღარ შემიგრძნია: სამეფო სუფლე, კამბალას ფილე ვენეციურად, ჩაშუშული ლოქო, ცხვრის ბეჭი პიურეთი ბრეტონულად... დასაწყისისთვის: ქათამი პორტუგალიური საკმაზით, კაკბის პაშტეტი ფენოვან ცომში, კიბორჩხალები პარიზულად ან ყველაფერი ერთად... მთავარ კერძად, მაგალითად, იხვი რუანული სოუსით ან ბაღის გრატას კანაპე, გარნირად ბადრიჯანი ესპანურად, სატაცურის ღეროები ან კარტოფილის შებრაწული ბურთულები ნაღების სოუსით... ღვინო, არც კი ვიცი... ალბათ, „შატო-მარგო“, „შატო-ლატური“ ან „შატო-ლაფიტი“. წელს გააჩნია. დესერტი – ნაყინის ბურთულები.

ჭამა ყოველთვის მეტად მაკმაყოფილებდა, ვიდრე სექსი: ალბათ, ესეც მღვდლების გავლენაა.

გონება თითქოს ბინდით მაქვს სავსე, ველარაფერს ვიხსენებ. რატომ მიტივტივდება მეხსიერებაში ის ეპიზოდები, როცა კაფე „ბისერინში“ ვიპარებოდი ხოლმე პადრე ბერგამასკის ანაფორით? სულ დამავიწყდა პადრე ბერგამასკი. ვინ იყო? მსიამოვნებს იმაზე წერა, რასაც ინსტინქტი მკარნახობს. იმ ავსტრიელ ექიმს თუ დავუჯერებ, ასე მივალ ჩემი მეხსიერების მართლა მტკივნეულ წერტილამდე, რომელიც ნათელს მოჰფენს, რატომ წავშალე საკუთარი გონებიდან ერთბაშად ამდენი რამ.

გუშინ – მეგონა, სამშაბათი, 22 მარტი იყო – ისე გამეღვიძა, თითქოს შესანიშნავად ვიცოდი, ვინ ვარ: კაპიტანი სიმონინი, სამოცდაშვიდი წლის, მხნე (ზომიერად მსუქანი ვარ, რომ წარმოსადეგ კაცად ჩავითვალო). საფრანგეთში მივიღე ეს ჩინი, ბაბუას პატივსაცემად, გარიბალდის მომხრეთა რიგებში აქა-იქ გამოჩენისთვის. საფრანგეთში – სადაც ბევრად უფრო აფასებენ გარიბალდის, ვიდრე იტალიაში – კაპიტნობა პრესტიჟუ-

ლად ითვლება. სიმონე სიმონინი, ტურინში დაბადებული, ტურინელი მამისა და ფრანგი (უფრო სწორად, სავოიელი, თუმცა მისი დაბადებიდან რამდენიმე წელიწადში სარდინიის სამეფომ სავოიის მხარე საფრანგეთს დაუთმო) დედის შვილი.

ლოგინში ვიწექი და ვფიქრობდი... რუსებთან (რუსებთან?) პრობლემების გამო ჯობდა, საყვარელ რესტორნებს მოვრიდებოდი. შემეძლო, თავადაც მომემზადებინა სადილი. რამდენიმე საათი შრომა გემრიელი სასუსნავის მოსამზადებლად საშინლად მღლის. ავიღოთ, მაგალითად, ხბოს სუკი ჰოლანდიური სოუსით. ინგრედიენტები: მინიმუმ ოთხი სანტიმეტრი სიმაღლის ხორცის ნაჭერი (ორი კაცის პორცია), ორი საშუალო ზომის ხახვი, ორმოცდაათი გრამი პურის გული, სამოცდათხუთმეტი გრამი გახეხილი ყველი – გროვიერა და ორმოცდაათი გრამი კარაქი. პურის გულს დააქუცმაცებ და გროვიერას შეურევ, ორმოც გრამ კარაქს პატარა ქვაბში გაადნობ, დანარჩენ კარაქში კი წვრილად დაჭრილ ხახვს მოშუშავ. მოშუშული ხახვის ნახევარს ფაიფურის ჭურჭლის ძირზე დააწყობ, ზედ მარილით და პილპილით შეკაზმულ ხორცს დაადებ, გვერდით კი დარჩენილ ხახვს მოუწყობ. მერე ამ ყველაფერს ყველისა და დაქუცმაცებული პურის გულის ნარევით დაფარავ და ხორცს ხელით დააწვები, რომ კარგად მიეკრას ჭურჭელს. ზევიდან გამდნარ კარაქს მოასხამ. შემდეგ დაქუცმაცებული პურის მეორე ფენით დაფარავ, კარგად მოამრგვალებ და ისევ დაამატებ გამდნარ კარაქს. სულ ბოლოს თეთრ ღვინოს და ხორცის ნახარშს მოასხამ ისე, რომ ხორცი ნახევრამდე დაიფაროს და ღუმელში შედგამ დაახლოებით ნახევარი საათით. დროდადრო უნდა გამოიღო და კოვზით თავისივე წვენი მოასხა, რომ არ გამოშრეს. როცა მზად იქნება, შებრაწული ყვავილოვანი კომბოსტოს გარნირით მორთავ.

დროს კი ითხოვს, მაგრამ როცა საჭმელს აკეთებ, ნეტარება ჭამამდე იწყება და კერძის მომზადება წინასწარ მის გასინჯვას ნიშნავს. ჯერ კიდევ ლოგინში კოტრიალისას ვიწყებდი ხოლმე

ამაზე ფიქრს. ბრიყვები ქალს ან ყმაწვილს ნატრობენ საბანქვეშ, მარტო რომ არ იგრძნონ თავი. ის კი არ იციან, რომ გემრიელი კერძის წარმოდგენით მოდენილი ნერწყვი ერექციაზე უფრო ტკბილი და საამურია.

თითქმის ყველაფერი მქონდა სახლში, ხორცისა და გროვიერას გარდა. იქვე, მობერის მოედანზე, იყო საყასბო, მაგრამ – არავინ იცის, რატომ – სამშაბათობით იკეტებოდა. კიდევ ერთი საყასბო ვიცოდი ორასიოდე მეტრში, სენ-ჟერმენის ბულვარზე, თან ცოტა გასეირნებაც არ მაწყენდა. ჩავიცვი. გასვლამდე პირსაბანის სარკეში ჩავიხედე და შავი წვერ-ულვაში მივიწებე. მერე პარიკი მოვირგე, შუაში გაყოფილი თმით, სავარცხელი დავასველე და პარიკი მსუბუქად გადავივარცხნე. რედინგოტი ჩავიცვი და ჟილეტის ჯიბეში ვერცხლისძეწკვიანი საათიც ჩავიდე. უფრო რომ ვგავდე პენსიაზე მყოფ კაპიტანს, ლაპარაკის დროს პიტნის საწუწნი კამფეტებით სავსე კუს ბაკნის პატარა ყუთს ვათამაშებ ხოლმე ხელში. თავსახურზე უშნო, მაგრამ კარგად ჩაცმული ქალი ახატია, უეჭველია, ვიღაც მნიშვნელოვანი, აწ უკვე გარდაცვლილი ქალბატონია. ხანდახან პირში კამფეტს ჩავიდებ და ენით ვათამაშებ, ეს საშუალებას მაძლევს, ნელა ვილაპარაკო – ამ დროს მსმენელი ტუჩების მოძრაობას უყურებს და ყურადღებას არ აქცევს, რას ამბობ. პრობლემა ისაა, საშუალოზე ნაკლები გონებრივი შესაძლებლობები გეწეროს სახეზე.

გარეთ გავედი და სოტონის ქუჩისკენ გავუხვიე. ვცადე, არ გავჩერებულიყავი ლუდხანასთან, საიდანაც ჯერ კიდევ გამოდიოდა მთვრალი ქალების ჟივილ-ხივილი.

მობერის მოედანი ის საოცრებათა ადგილი აღარაა, რაც ოცდათხუთმეტი წლის წინ იყო, როცა პარიზში ჩამოვედი. აქაურობა მაშინ თამბაქოთი მოვაჭრეებით იყო სავსე, რომლებიც სიგარების ნარჩენებს, სიგარეტის ნამწვებსა და ჩიბუხებიდან გამოყრილ, ნახევრად დამწვარ თუთუნს აგროვებდნენ,

ახარისხებდნენ და მსხვილი თუთუნის ერთ ფუნტს ფრანკად და ოც სანტიმად, წვრილისას კი – ფრანკ-ნახევრად ყიდდნენ (თუმცა ეს საქმე დიდად მომგებიანი არც მაშინ იყო და არც ახლაა, რადგან ის ვითომ საქმოსნები შემოსავალს სამიკიტნოებში ანიავებენ და ღამის გასათევიც არ გააჩნიათ). სუტენიორებს ორ საათამდე ეძინათ, მერე საღამომდე კედელთან ატუზულები, უდარდელი პენსიონერებივით ეწეოდნენ, შებინდებისას კი ისევ მეძებარი ძაღლებივით აწრიალდებოდნენ ხოლმე; ქურდები ერთამენთს ძარცვავდნენ, რადგან ბურჟუები იმ მოედანზე გასვლას ვერ ბედავდნენ, რამდენიმე გარეუბნიდან შემოხეტებულ უსაქმურს თუ არ ჩავთვლით. მეც შესანიშნავი სამიზნე ვიქნებოდი, სამხედრო ნაბიჯით, ჯოხის ქნევით სიარულს რომ არ ვყოფილიყავი ნაჩვევი. თანაც, ადგილობრივი ქურდ-ბაცაცები მიცნობდნენ, ზოგიერთი მესალმებოდა კიდეც და „კაპიტანს" მეძახდა, რატომღაც ეგონათ, რომ მეც მათ ამქარს ვეკუთვნოდი, ძაღლი კი ძაღლის ტყავს არ დახევს; დამჭკნარი მეძავები, რომლებიც, სანამ შეეხედებოდათ, სამიკიტნოებსა და ლუდხანებში შოულობდნენ ფულს, ახლა მეძველმანეებს, თამბაქოს ნარჩენებით მოვაჭრეებსა და თაღლითებს სთავაზობდნენ საკუთარ თავს, თუმცა ხანდახან გამოწკეპილ, პრიალა ცილინდრიან კაცებსაც ეტორღიალებოდნენ და მკლავზეც წაეპოტინებოდნენ ხოლმე.

მოგიახლოვდებოდნენ თუ არა, ცხვირში შეგეფეთებოდა მათი გულისამრევი, ოფლის მძაფრ ოხშივარში შერეული, იაფფასიანი ფერუმარილის სუნი. ყველანაირად ვცდილობდი, თავიდან ამერიდებინა ეს უსიამოვნო შეხვედრები (სულაც არ მინდოდა, ისინი დამსიზმრებოდნენ ღამით), როგორც კი შორიახლოს რომელიმე მათგანს შევნიშნავდი, მაშინვე ქარის წისქვილის ფრთასავით დავატრიალებდი ხოლმე ხელჯოხს, რომ ახლოს ვერავინ გამკარებოდა. ისინიც ხვდებოდნენ და მერიდებოდნენ: ბრძანებას ნაჩვევები იყვნენ და ჯოხსაც პატივს სცემდნენ.

იმ ჯგროში პრეფექტურის ჯაშუშიც მრავლად ერია: სწორედ ამ უბნებში ქირაობდა საიდუმლო სამსახური ინფორმატორებს, აგროვებდა ცნობებს მოსალოდნელ არეულობათა შესახებ, უსმენდა ყველას, განსაკუთრებით მათ, ვინც ჩურჩულით ლაპარაკობდა და ეგონა, რომ იმ აყალმაყალში მისი ხმა არავის ესმოდა. თუმცა ბუნტისთავების ცნობა ისედაც არ იყო ძნელი: მეტისმეტად სასახრჩობელე იერი ჰქონდათ. არც ერთი ნამდვილი ქურდბაცაცა არ ჰგავს ქურდბაცაცას. ბუნტისთავს კი ვინაობა შუბლზე აწერია.

ახლა იმ მოედანზე ტრამვაიც დადის და ადამიანი ისე ვეღარ გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში. თუმცა, თუ კაცის ცნობა შეგიძლია, ახლაც ყველას იცნობ: ქუჩის კუთხეში აყუდებულს, კაფე „მეტრ-ალბერთან“ თუ მის მიმდებარე ვიწრო ჩიხებში. მოკლედ, პარიზი ის აღარაა, რაც ადრე იყო, სხვა ქალაქია მას შემდეგ, რაც მისი ყოველი კუთხიდან მოჩანს ის ფანქრის სათლელივით წამოყუდებული ეიფელის კოშკი.

კმარა, სენტიმენტალური არ ვარ და უამრავი ადგილია, სადაც შემიძლია, ის მოვძებნო, რაც მჭირდება. გუშინ დილით ხორცი და ყველი მჭირდებოდა და მობერის მოედანი ზედგამოჭრილი იყო საამისოდ.

ჯერ ყველი ვიყიდე. ჩემს საყასბოს რომ ჩავუარე, დავინახე, ღია იყო და შევედი.

– როგორ მოხდა, რომ სამშაბათს მუშაობთ? – ვკითხე ყასაბს.

– დღეს ოთხშაბათია, კაპიტანო, – გამიცინა ყასაბმა. დავიბენი და მოვუბოდიშე, დავბერდი, მეხსიერება მღალატობს-მეთქი. იმან დამამშვიდა, ჯერ ახალგაზრდა ხარ, ეგ ყველას ემართებაო. მეც ასე მომდის, თუ ვერ გამოვიძინე, გაბრუებულივით ვარო. ხორცი ავარჩიე და ისე გადავიხადე, არც შევვაჭრებივარ, არადა, ეს ერთადერთი საშუალებაა, ვაჭარი აიძულო, პატივი გცეს.

სახლში ავბრუნდი. ვფიქრობდი, ნეტავ რა დღეა-მეთქი. ულვაში და წვერი მოვიშორე (არ ვიჩერებ, როცა მარტო ვარ), საძინებელში შევედი და მხოლოდ მაშინ მეცა თვალში კომოდის გვერდით, აბაზანის ხალათის ქვეშ დაკიდებული ტანსაცმელი. მივხვდი, რომ მღვდლის ანაფორა იყო. მივუახლოვდი. იქვე, კარადის თაროზე, ღია წაბლისფერი, თითქმის ქერა პარიკი იდო.

ვეცადე, გამეხსენებინა, ვინ მყავდა სტუმრად ბოლო დღეებში და უცებ მივხვდი, რომ მეც გადაცმული ვიყავი: ულვაში და წვერი, წეღან რომ მივიწებე, ჩემი არ იყო. ვინ ვიყავი? კაცი, რომელიც ხან ჯენტლმენივით ჩაცმული დადიოდა და ხანაც – ეკლესიის მსახურივით? კი, მაგრამ როგორ შეიძლებოდა, სრულიად დამვიწყებოდა ჩემი მეორე ვინაობა? ან იქნებ რამე მიზეზით (მაგალითად, მართლმსაჯულებისაგან თავის დასაღწევად) ულვაშითა და წვერით ვინიღბებოდი და ამავე დროს სახლში ვმალავდი ვიღაცას, მღვდლად გადაცმულს? და თუ ეს ყალბი ეკლესიის მსახური (ნამდვილი მღვდელი პარიკს არ დაიხურავდა) ჩემთან ცხოვრობდა, სად ეძინა? სახლში რომ მხოლოდ ერთი საწოლი იყო? ან იქნებ აქ არც ცხოვრობდა და მხოლოდ წინა ღამეს შეაფარა ჩემთან თავი რატომღაც, მერე კი თავისი ნივთები დატოვა და ღმერთმა უწყის, საით წავიდა და რა საქმეზე?
სრული სიცარიელე მქონდა თავში, თითქოს ვხედავდი რაღაცას, რაც, წესით, უნდა მხსომებოდა, მაგრამ არ მახსოვდა, თითქოს ვიღაცის მოგონებებში ვიქექებოდი. ჰო, მგონი, ყველაზე ზუსტად ეს გამოხატავს ჩემს მაშინდელ მდგომარეობას: სხვის მოგონებებში ქექვა. თითქოს სხვა ვიყავი და გარედან ვაკვირდებოდი ჩემს თავს. ვიღაც აკვირდებოდა სიმონინის, რომელმაც აღარ იცოდა, ვინ იყო.

დამშვიდდი და იაზროვნე, ვუთხარი საკუთარ თავს. არც ისე უცნაური იქნებოდა, რომ კაცს, რომელიც ვითომ ძველ-

მანებით ვაჭრობს, რათა თავისი ნამდვილი საქმიანობა – დოკუმენტების გაყალბება – შენიღბოს, რომელმაც თავად არჩია პარიზის ერთ-ერთ ყველაზე საეჭვო უბანში ცხოვრება, ბინძურ მაქინაციებში გარეული ვიღაც ტიპი შეეფარებინა. მაგრამ რანაირად უნდა დამვიწყებოდა, ვის გავათევინე ღამე საკუთარ ჭერქვეშ? ეს ფრიად მეუცნაურებოდა.

ვცადე, გარედან შემეხედა საკუთარი თავისთვის და უეცრად ჩემი ბინა უცხო ადგილად მომეჩვენა, რომელიც, ალბათ, ბევრ სხვა საიდუმლოს მალავდა. ისე გადარეულივით დავიწყე ბინის ჩხრეკა, თითქოს უცხო სახლში ვყოფილიყავი. სამზარეულოს მარჯვნივ საძინებელი იყო, მარცხნივ – მისაღები ოთახი, შესაბამისი ავეჯით. საწერი მაგიდის უჯრები გამოვაღე, სადაც ჩემი სამუშაო ხელსაწყოები ელაგა: კალმები, სხვადასხვა ფერის მელნიანი შუშები, თეთრი და ყვითელი ფურცლები, სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა ეპოქის. თაროებზე, წიგნების გარდა, საბუთებით სავსე ყუთები ეწყო. იქვე იდო ძველი, კაკლის ხის ზარდახშაც. სწორედ იმის გახსენებას ვცდილობდი, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ზარდახშაში, როცა ქვევით ზარი დარეკეს. ჩავედი, მინდოდა, მალე მომეშორებინა თავიდან უდროო სტუმარი. კართან მოხუცი ქალი იდგა, თითქოს მეცნობოდა. „ტისომ გამომგზავნა“, – მითხრა ქალმა. იძულებული ვიყავი, შემომეშვა. ნეტავ რატომ ავირჩიე ეს პაროლი?

შემოვიდა. გულში ჩახუტებული ფუთა გახსნა და დამანახვა: სეფისკვერები იყო, ოციოდე იქნებოდა. – მღვდელმა დალა პიკოლამ მითხრა, რომ გაინტერესებდათ.

გამიკვირდა, მაგრამ თავი დავუქნიე და ფასი ვკითხე.

– ცალი ათი ფრანკი, – მითხრა დედაბერმა.

– გაგიჟდით? – ვაჭრის ინსტინქტმა თავისი ქნა.

– გიჟი თავად ხართ, ალბათ! ნორმალური რომ იყოთ, შავი მაგიით არ დაინტერესდებოდით. გგონიათ, ადვილია, სამ დღეში ოცი ეკლესია მოიარო, ეზიარო, მერე სახეზე ხელება-

ფარებულმა დაიჩოქო, ისე გამოიღო პირიდან სეფისკვერი, რომ არ დასველდეს და გულზე ჩამოკიდებულ ბოხჩაში დამალო? და ვერც მღვდელმა დაგინახოს და ვერც მრევლმა შენიშნოს რამე? აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ საშინელი მკრეხელობისთვის ჯოჯოხეთი მელის. მოკლედ, თუ გაწყობთ, ორასი ფრანკისაა, თუ არა, აბატ ბულანთან წავალ.

– აბატი ბულანი მოკვდა, როგორც ჩანს, დიდი ხანია, არ მიგიტანიათ მისთვის სეფისკვერები, – თითქმის მექანიკურად ვუპასუხე. მერე გადავწყვიტე, გონება მეტისმეტად მაქვს არეული, ინსტინქტს უნდა მივყვე და ბევრი არ ვიფიქრო-მეთქი.

– ჯანდაბას, ავიღებ, – ვუთხარი და ფული გავუწოდე. რატომღაც მივხვდი, რომ ჩემს კაბინეტში, ზარდახშაში უნდა შემენახა ის სეფისკვერები და მათ კლიენტს დავლოდებოდი. ესეც ჩვეულებრივი სამუშაო იყო.

მოკლედ, ყველაფერი შინაურულად, ნაცნობად, ჩვეულებრივად მეჩვენებოდა. არადა, რაღაც საშინელს მიგრძნობდა გული, ოღონდ ვერ ვხვდებოდი, რას.

სამუშაო ოთახში ავბრუნდი და უეცრად ოთახის სიღრმეში, ფარდის უკან, კარი შევნიშნე. შევაღე და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს უკვე ვიცოდი, რომ ბნელ დერეფანში მოვხვდებოდი და სანთლით მომიწევდა გზის გაგრძელება. დერეფანი თეატრის საწყობს ან ტაძრის ძველმანების სათავსს ჰგავდა. კედლებზე ათასნაირი ტანსაცმელი ეკიდა, გლეხის, მენახშირის, მუშის კონკები, მაწანწალას ძონძები, სამხედრო ჯუბები და შარვლები. კედელზე თორმეტიოდე ხის თავი იყო დამაგრებული, ზედ პარიკები წამოეცვათ, ისინიც იმ ტანსაცმლის შესაფერისი. დერეფნის ბოლოს ტუალეტის მაგიდა მოჩანდა, კომედიანტების საგრიმიორო ოთახებში რომ დგას ხოლმე, ისეთი. მაგიდაზე ნაირ-ნაირი პუდრისა და საცხის ქილები, ფერადი ფანქრები, კურდღლის ბეწვის ჯაგრისები, ბუმბულები, კალმები, სავარცხლები იყო დახვავებული.

დერეფანი მკვეთრად, მართი კუთხით უხვევდა და კარით მთავრდებოდა. კარი შევაღე და გაჩახჩახებულ ოთახში აღმოვჩნდი. ფანჯრიდან გადავიხედე: მეტრ-ალბერის ქუჩის მხარე იყო, ჩემი ბინა კი მობერის ბნელ ჩიხს გადაჰყურებდა.

ბინიდან პატარა კიბე პირდაპირ ქუჩაში გადიოდა. ბინის ერთადერთი, მუქი ფერის მკაცრი ავეჯით გაწყობილი ოთახი კაბინეტიც იყო და საძინებელიც. მაგიდა, დაბალი მერხი ლოცვის დროს მუხლის მოსაყრელად და საწოლი: ავეჯი სულ ეს იყო. გასასვლელთან პატარა სამზარეულო მოჩანდა, კიბის თავში კი – უნიტაზი და პირსაბანი.

აშკარად საეკლესიო პირის საცხოვრებელი იყო. რადგან ჩვენი ბინები ერთმანეთს უკავშირდებოდა, უეჭველად უნდა მცნობოდა ოთახის ბინადარი. მე კი ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ პირველად ვიყავი იმ ოთახში, თუმცა იქაურობა რაღაცას მაგონებდა.

მაგიდაზე წერილების შეკვრა დავინახე. წერილები კონვერტებში იდო და ყველა მათგანზე ერთი და იგივე ადრესატი ეწერა: უპატივცემულეს, ან უაღრესად პატივცემულ, აბატ დალა პიკოლას. წერილების გვერდით დახვეწილი, თითქმის ქალური კალიგრაფიით ნაწერი ფურცლები ეწყო, რომელიც ჩემი ხელწერისგან სრულიად განსხვავდებოდა. წერილების ნიმუშები იყო, მაგალითად, მადლობის წერილი რაღაც საჩუქრისთვის, შეხვედრის დროისა თუ ადგილის დადასტურება და ამისთანები. ფურცლებს ზევიდან ერთი განსხვავებული ხელნაწერი ედო: არეული, ნაჩქარევი ნაწერი ჩანდა, თითქოს ვიღაც შენიშვნებს იწერდა, თუ რაღაცას ინიშნავდა, რომ არ დავიწყებოდა. ძლივს წავიკითხე:

თითქოს ყველაფერი არარეალურია. თითქოს ვიღაც სხვა ვარ, ვინც გარედან მაკვირდება. ვწერ იმიტომ, რომ მერე ეჭვი არ შემეპაროს, რომ ეს ყველაფერი მართლა მოხდა.

დღეს 22 მარტია.

სადაა ანაფორა და პარიკი?

გუშინ საღამოს რას ვაკეთებდი? თითქოს ბურუსით მქონდა გონება მოცული. ისიც აღარ მახსოვდა, სად გადიოდა ოთახის მეორე ბოლოში გაქრილი კარი.

დერეფანი აღმოვაჩინე (ნეთუ აქამდე არ ვიცოდი მისი არსებობა?): ტანსაცმლით, პარიკებით, ფერუმარილის, ათასგვარი ცვილისა და საცხის ქილებით – საგრიმიოროში რომაა ხოლმე დახვავებული, ისეთი ნივთებით – სავსე.

კიბესთან ახალი ანაფორა ეკიდა, თაროზე კი მშვენიერი პარიკი და მისაწებებელი წარბები დამხვდა. მოაგურისფერო პუდრითა და ორნავ შეფაკლული ლაწვებით კვლავ ის ვარ, ვინც თავი მგონია. ფერმკრთალი, ციებიანი კაცის იერი. პირქუში, ასკეტური. კი, მე ვარ. ჰო, მაგრამ ვინ მე?

ვიცი, რომ აბატი დალა პიკოლა ვარ. უფრო სწორად, ის, ვისაც აბატ დალა პიკოლად იცნობენ. კი, მაგრამ როგორ ვარ დალა პიკოლა, თუ გრიმის გაკეთება და გარეგნობის შეცვლა მჭირდება, რომ დალა პიკოლად ვიქცე?

სად გადის ეს დერეფანი? ბოლოში გასვლის შიში.

გადავიკითხო ეს ჩანაწერები. რადგან წერია, ესე იგი, ეს ყველაფერი მართლა მოხდა. უნდა ვენდო დაწერილს.

ნეტავ ვინმე ხომ არ მითვალთვალებს? ბულანი? სავსებით შესაძლებელია. თუ იეზუიტები? ან ფრანკმასონები? რა მაკავშირებს მათთან?

ებრაელები! აი, ვინ!

აქ თავს დაუცველად ვგრძნობ. თავისუფლად შეიძლებოდა, ღამით ვინმე შემოსულიყო, ტანსაცმელი მოეპარა ჩემთვის და, რაც ყველაზე უარესია, ჩემს ქაღალდებშიც ეფათურა. ვინ იცის, იქნებ ვიღაც დადის პარიზში და აბატ დალა პიკოლად ასაღებს თავს.

სასწრაფოდ ოტეის უნდა მივაშურო. დიანას ეცოდინება. დიანა ვიღაა?

აბატ დალა პიკოლას ჩანაწერები აქ წყდებოდა. მეუცნაურა, რომ მაგიდაზე დაეტოვებინა ასეთი საიდუმლო ჩანაწერი: როგორც ჩანს, მეტისმეტად ჩქარობდა და ნერვიულობდა. მასზე მეტი არაფერი ვიცოდი.

მობერის ჩიხში, ჩემს ბინაში დავბრუნდი და სამუშაო მაგიდას მივუჯექი. სად, როგორ იკვეთებოდა ჩემი და აბატ დალა პიკოლას ცხოვრება?

ცხადია, ყველაზე ბუნებრივი აზრი დამებადა: მე და აბატი დალა პიკოლა ერთი და იგივე ადამიანი ვიყავით. თუ ასე იყო, ყველაფერი თავისთავად აიხსნებოდა, ისიც, რომ საერთო ბინა გვქონდა და ისიც, რომ დალა პიკოლას ტანსაცმლით დავბრუნდი სიმონინის ბინაში: მაშასადამე, ანაფორა და პარიკი იქ დავტოვე და მერე ჩამეძინა. მაგრამ რაღაც არ გამოდიოდა: სიმონინი თუ დალა პიკოლა იყო, რატომ არაფერი ვიცოდი დალა პიკოლაზე და სულაც არ ვგრძნობდი თავს დალა პიკოლად, რომელმაც ასევე არაფერი იცოდა სიმონინიზე? უფრო მეტიც: დალა პიკოლას აზრების გასაგებად მისი ჩანაწერების წაკითხვა დამჭირდა. და თუ ეს ვარაუდი სწორი იყო, ახლა ოტეიში უნდა ვყოფილიყავი, სახლში, რომელზეც მან, როგორც ჩანს, ყველაფერი იცოდა, მე კი (სიმონინიმ) – არაფერი. ან დიანა ვინ იყო?

შეიძლება, ხან სიმონინი ვიყავი, რომელსაც დავიწყებოდა დალა პიკოლა, ხან კი – დალა პიკოლა, რომელსაც სიმონინი აღარ ახსოვდა. დიდად უცნაური და ახალი ამაში არაფერი იქნებოდა. ვინ მიყვებოდა ამას წინათ ერთ ადამიანში ორი პიროვნების თანაარსებობაზე? დიანასაც ასე არ ემართება? კი, მაგრამ ვინაა დიანა?

გადავწყვიტე, მშვიდად გამეანალიზებინა ყველაფერი. მქონდა რვეული, სადაც, როგორც ჩანს, ვიწერდი, რა უნდა გამეკეთებინა. ჩანაწერები ასეთი იყო:

*21 მარტი, წირვა*

*22 მარტი, ტაქსილი*

*23 მარტი, გიიო, ბონფუას ანდერძზე*

*24 მარტი, დრიუმონთან?*

ვერ ვხვდები, რატომ უნდა წავსულიყავი 21-ში წირვაზე. არა მგონია, მორწმუნე ვიყო. მორწმუნეს რაღაცის სწამს. მე რამის მწამს? ეჭვი მეპარება. ჰოდა, ესე იგი, ურწმუნო ვარ. ლოგიკურია. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ადამიანი ათასი მიზეზის გამო შეიძლება წავიდეს წირვაზე, რწმენა აქ არაფერ შუაშია.

აშკარა იყო, ის დღე, მე რომ სამშაბათი მეგონა, ოთხშაბათი, 23 მარტი იყო. მართლაც ხომ მოვიდა ის გიიო და ბონფუას ანდერძის შედგენა მთხოვა. მაშ, 23 იყო, მე კი 22 მეგონა. 22-ში რა მოხდა? და ტაქსილი ვიღა (თუ რაღა) იყო?

ახლა უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ მეორე დღეს დრიუმონიც მომადგებოდა. როგორ შევხვედროდი ადამიანს, თუ საკუთარი ვინაობაც აღარ ვიცოდი? უნდა დავმალულიყავი, სანამ ვითარებას არ გავარკვევდი. დრიუმონი... მეჩვენებოდა, რომ შესანიშნავად ვიცოდი, ვინც იყო, მაგრამ როგორც კი ვცდილობდი, გამეხსენებინა, ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს ალკოჰოლით მქონდა გონება დაბინდული.

მოდი, რამდენიმე ვარიანტს დავუშვებ-მეთქი, ვიფიქრე. პირველი: დალა პიკოლა სხვა ადამიანია. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ხშირად მოდის ჩემს ბინაში, რომელიც მისას ნახევრად საიდუმლო დერეფნით უკავშირდება. 21-ში საღამოს ჩემთან შემოვიდა, მობერის ჩიხში, ანაფორა დატოვა (რატომ?), მერე კი თავისთან გავიდა დასაძინებლად. მეორე დილით კი მეხსიერებადაკარგულმა გაიღვიძა. მეხსიერებადაკარგულმა გავიღვიძე მეც ორი დღის შემდეგ. თუ ასეა და 23-ში გამეღვიძა გონებადაბინდულს, 22-ში, სამშაბათს, რას ვაკეთებდი? რატომ უნდა გაეხადა დალა პიკოლას თავისი ანაფორა ჩემს ბინაში და მერე საკუთარ ბინაში უტანსაცმლოდ გასულიყო, ან რომელ საათზე მოხდა ეს? შევ-

ძრწუნდი, როცა წარმოვიდგინე, რომ შეიძლებოდა, ღამის ნაწილი ჩემს საწოლში გაეტარებინა... ღმერთო ჩემო! მართალია, ქალები მზარავენ, მაგრამ მღვდელი კიდევ უარესია... ქალთან არ ვყოფილვარ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მამათმავალი ვარ...

მეორე: მე და დალა პიკოლა ერთი და იგივე ადამიანი ვართ. რადგან ანაფორა ჩემს ოთახში დამხვდა, შეიძლებოდა, წირვის შემდეგ (21-ში) სახლში – მობერის ჩიხში – დავბრუნებულიყავი (დალა პიკოლას თმა-წვერით: თუ წირვაზე მივდიოდი, სრულიად შესაძლებელია, ანაფორით და წვერით წავსულიყავი), აქ გამეხადა ანაფორა, პარიკიც მომეხსნა და დასაძინებლად აბატის ბინაში გავსულიყავი (და დამვიწყებოდა, რომ ანაფორა სიმონინისთან დამრჩა). მეორე დილით კი, სამშაბათს, 22 მარტს, გამღვიძებოდა, როგორც დალა პიკოლას. ანუ აღარაფერი მახსოვდა და ცხადია, აღარც ანაფორა დამხვდა სასთუმალთან. როგორც მეხსიერებადაკარგულმა დალა პიკოლამ, შემოსასვლელში მეორე ანაფორა მოვძებნე, ჩავიცვი და მთელი დღე მქონდა, რომ ოტეიში წასვლა და უკან დაბრუნება მომესწრო იმავე დღეს. იქ დარჩენა გადავიფიქრე, გამბედაობა მოვიკრიბე და გვიან საღამოს პარიზში დავბრუნდი, მობერის ჩიხში მდებარე ბინაში. ანაფორა საძინებელ ოთახში საკიდზე გადავკიდე, დავიძინე და მეორე დილით, ოთხშაბათს, კვლავ მეხსიერებადაკარგულს გამეღვიძა, მაგრამ ახლა – როგორც სიმონინის. თუმცა ისევ სამშაბათი მეგონა. ამრიგად, ვფიქრობდი, რომ დალა პიკოლას 22 მარტს მომხდარი არაფერი ახსოვდა, 23-ში კი გაეღვიძა, როგორც მეხსიერებადაკარგულ სიმონინის. ეს იმასთან შედარებით არაფერია, რასაც ის ექიმი მომიყვა... ღმერთო, რა ჰქვია იმ ექიმს ვინსენის კლინიკიდან?

მაგრამ რაღაც მაინც არ გამოდიოდა. ჩემი ჩანაწერები გადავიკითხე: თუ ყველაფერი ასე მოხდა, 23-ში დილით სიმონინის ერთი კი არა, ორი ანაფორა უნდა დახვედროდა საძინებელში, ის, რომელიც 21-ში ღამით გაიხადა და ის, რომელიც 22-ში ღამით დატოვა იქ. ანაფორა კი მხოლოდ ერთი იყო.

არა, რა სულელი ვარ! დალა პიკოლა ოტეიდან 22-ში საღამოს ჩამოვიდა, მეტრ-ალბერის ქუჩიდან შევიდა ბინაში და იქ დატოვა თავისი ანაფორა. მერე მობერის ჩიხის ბინაში გავიდა და დაიძინა, მეორე დილით კი (23-ში) გაიღვიძა, როგორც სიმონინიმ, და საკიდზე ერთადერთი ანაფორა დახვდა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ თუ ყველაფერი ასე მოხდა, მაშინ 23-ში დილით დალა პიკოლას ბინაში შესულს მის ოთახში უნდა დამხვედროდა 22-ში საღამოს დატოვებული ანაფორა. თუმცა ხომ შეეძლო, ისევ დერეფანში დაეკიდებინა. ამის შემოწმება შეიძლებოდა.

დერეფანს გავყევი სანთლით ხელში, ცოტა მეშინოდა. თუ დალა პიკოლა არ ვარ, ხომ შეიძლება, ახლა მეორე ბოლოში ის დავინახო, ისიც სანთლით ხელში-მეთქი, ვფიქრობდი... საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და დერეფნის ბოლოში, საკიდზე, ანაფორაც დამხვდა.

და მაინც... მაინც... თუ ოტეიდან დაბრუნებულმა დალა პიკოლამ ანაფორა თავის ბინაში გაიხადა, დერეფნის გავლით ჩემთან გამოვიდა და დაუფიქრებლად დაწვა ჩემს საწოლში, ალბათ, იმიტომ, რომ მაშინ გავახსენდი და იცოდა, ჩემთან ისევე შეეძლო, დაეძინა, როგორც საკუთარ სახლში, რადგან ერთი ადამიანი ვიყავით. მაშ, დალა პიკოლამ დაძინებისას იცოდა, რომ სიმონინი იყო, სიმონინიმ კი მეორე დილით ისე გაიღვიძა, რომ არ იცოდა, რომ დალა პიკოლა იყო. შეიძლება ითქვას, რომ დალა პიკოლამ ჯერ მეხსიერება დაკარგა, მერე დაუბრუნდა, მერე დაიძინა და შემდეგ სიმონინის გადასცა საკუთარი გულმავიწყობა.

გულმავიწყობა... ამ სიტყვამ, რომელიც ვერგახსენებას ნიშნავს, თითქოს რაღაც უძველეს მოგონებებს გადააცალა ბინდი ჩემს გონებაში. გულმავიწყებზე „მანიში“ ვლაპარაკობდით ხოლმე, თითქმის ათი წლის წინ. სწორედ იქ ვესაუბრებოდი ამაზე ბურიუსა და ბიუროს, დიუ მორიესა და ავსტრიელ ექიმს.

3

# „მანი“

25 მარტი, 1897, განთიადზე

„მანი“... თავი კარგი სამზარეულოს დამფასებლად მიმაჩნია და როგორც მახსოვს, კონტრესკარპ-დოფინის ქუჩის იმ რესტორანში ათ ფრანკად ისადილებდა ადამიანი, ხარისხიც შეესაბამებოდა ფასს. მაგრამ ყოველდღე „ფოიოში“ ვერ ივლი. ადრე ბევრი „მანიში“ დადიოდა, რათა ცნობილი მწერლების ყურებით დამტკბარიყო შორიდან, მაგალითად, გოტიეს ან ფლობერის, უფრო ადრე კი – იმ ჭლექიანი პოლონელი პიანისტისაც, შარვალში გამოწყობილი გადაგვარებული დედაკაცის კმაყოფაზე რომ ცხოვრობდა. ერთადერთხელ შევიხედე იქ და მაშინვე უკან გამოვბრუნდი: ხელოვანი ადამიანი შორიდანაც კი აუტანელია, გაუთავებლად აქეთ-იქით იყურება, ცმუკავს, აინტერესებს, იცნეს თუ არა გარშემომყოფებმა.

„ცნობილი სახეები“ მოგვიანებით „მანიდან“ „ბრებან-ვაშეტში“ გადაბარგდნენ, პუასონიერის ბულვარზე, სადაც სამზარეულოც უკეთესი იყო და ფასებიც უფრო მაღალი, მაგრამ, როგორც ჩანს, carmina dant panem[4]. და როცა „მანი“, ასე ვთქვათ,

[4] „პოეზია პურსაც გაჭმევს“ (ლათინური გამოთქმიდან Carmina non dant panem: პოეზია პურს ვერ გაჭმევს).



*…ადრე ისტერია მხოლოდ ქალების დაავადებად მიაჩნდათ და მას საშვილოსნოს ფუნქციის დარღვევას უკავშირებდნენ…*

გაიწმინდა, მერე დავიწყე იქ სიარული, ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან.

იქაურობის ხშირი სტუმრები იყვნენ მეცნიერები, მათ შორის ბერთლო – ბრწყინვალე ქიმიკოსი, სალპეტრიერის კლინიკის ექიმები და სხვები. საავადმყოფო არც ისე ახლოა აქედან, მაგრამ ექიმებს, ალბათ, ლათინურ უბანში ფეხით გავლა ურჩევნიათ, ვიდრე იმ გულისამრევ დუქნებში ჭამა, სადაც ძირითადად ავადმყოფების ნათესავები შედიან ხოლმე წასახემსებლად. მიყვარს ექიმების მოსმენა: სულ ვიღაცის სისუსტესა და გასაჭირზე ლაპარაკობენ; თანაც, „მანიში" მუდამ საშინელი ხმაურია, რის გამოც ყველა ხმამაღლა ლაპარაკობს და გაწაფული ყური ყოველთვის მოჰკრავს ყურს რამე საინტერესოს. რა იცი, სად რა გამოგადგება. მთავარია, იცოდე ის, რის ცოდნასაც შენგან არ ელიან.

ლიტერატორები და მხატვრები სულ ერთ მაგიდასთან ისხდნენ, მეცნიერები კი მარტო სადილობდნენ ხოლმე, ჩემსავით, მაგრამ რამდენჯერმე რომ მოხვდები ადამიანის გვერდით, ძალაუნებურად გაიცნობ. პირველად ექიმი დიუ მორიე გავიცანი ასე, საძულველი ტიპი: ისეთი საძაგელი იყო, ვერ წარმომედგინა, როგორ შეიძლებოდა, ასეთ ფსიქიატრს (დიახ, ფსიქიატრი გახლდათ) პაციენტი ნდობოდა. ბოღმისგან ჩაშავებოდა სახე, იმ კაცის გამომეტყველება ჰქონდა, რომელმაც კარგად იცის, რომ პირველობა არასოდეს ეღირსება. ერთი პატარა კლინიკა ჰქონდა ვინსენში, ნერვულ დაავადებებს მკურნალობდა. მშვენივრად იცოდა, რომ მისი დაწესებულება ვერასოდეს გახდებოდა ისეთი ცნობილი და შემოსავლიანი, როგორიც ექიმ ბლანშის კლინიკა იყო, მაგრამ დამცინავად ჩაიქირქილებდა ხოლმე, ოცდაათი წლის წინ ჩემთან ერთი პაციენტი მკურნალობდა, ნერვალი (ამბობდა, ეს ნერვალი დამსახურებული პოეტიაო), რომელიც ბლანშის ჩატარებულმა მკურნალობამ ბოლოს თვითმკვლელობამდე მიიყვანაო.

კიდევ ორი ექიმი გავიცანი „მანიში“, ბურიუ და ბიურო. განსაკუთრებული ტიპები იყვნენ, ტყუპი ძმებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. მუდამ ერთსა და იმავე, შავ სამოსში გამოწყობილებს, ულვაში და ტიტველა ნიკაპიც კი ერთნაირი ჰქონდათ, საყელო კი – ორივეს მუდამ ჭუჭყიანი: პარიზში გავლით იყვნენ, როშფორის სამედიცინო სასწავლებელში სწავლობდნენ და დედაქალაქში თვეში მხოლოდ რამდენიმე დღით ჩამოდიოდნენ ხოლმე, შარკოს ექსპერიმენტებზე დასასწრებად.

– როგორ, დღეს პრასი არ გაქვთ? – გაღიზიანებით იკითხა ერთხელ ბურიუმ. ბიუროც საშინლად აღშფოთდა: – პრასი არ აქვთ?

და სანამ მიმტანი ებოდიშებოდა, გვერდითა მაგიდიდან შევეხმიანე:

– ჰო, მაგრამ სამაგიეროდ შესანიშნავი თალგამი აქვთ. პრასს ბევრად მირჩევნია. მერე ღიმილით წავუმღერე: – *Tous les legumes, – au clair de lune – étaient en train de s'amuser – et les passants les regardaient. – Les cornichons – dansaient en rond, – les salsifis – dansaient sans bruit*[5]...

მათაც, კმაყოფილებმა, დამიჯერეს და თალგამი შეუკვეთეს. ასე დაიწყო თვეში ორჯერ მანისთან შეხვედრები და თალგამით პირის ჩატკბარუნების საამური ტრადიცია.

– იცით, მესიე სიმონინი, – მიხსნიდა ბურიუ, – ექიმი შარკო ისტერიის ფენომენს შეისწავლის, ეს ნევროზის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც სხვადასხვა ფსიქომოტორული, სენსორული თუ ვეგეტატიური რეაქციების სახით ვლინდება; ადრე ისტერია მხოლოდ ქალების დაავადებად მიაჩნდათ და მას საშვილოსნოს ფუნქციის დარღვევას უკავშირებდნენ, მაგრამ შარკო მიხვდა, რომ ისტერია ორივე სქესში თანაბრად ვლინდება და

[5] ფრანგული საბავშვო სიმღერა: „ბოსტნეული მთვარის შუქზე მატარებლით მგზავრობდა... გამვლელი და გამომვლელი, ყველა მათ უყურებდა... პაწაწინა კიტრები წრეში ჩამდგარიყვნენ... თალგამები მათთან ერთად მხიარულად ცეკვავდნენ...“



*...შარკომ ჰიპნოზის მეთოდი არჩია, რაც სულ ცოტა ხნის წინ მესმერისნაირი შარლატანების ხელობად ითვლებოდა...*

მან შეიძლება დამბლა, ეპილეფსია, სიბრმავე, სიყრუე ან სუნთქვის, ლაპარაკისა და ყლაპვის ფუნქციების მოშლაც გამოიწვიოს.

– ჩემს კოლეგას, – საუბარში ბიუროც ჩაერთვებოდა ხოლმე, – არ უგულისხმია, რომ შარკომ მკურნალობის მეთოდსაც მიაკვლია, რომელიც სრულიად აქრობს დაავადების სიმპტომებს.

– სწორედ მაგის თქმას ვაპირებდი, – წამოენთებოდა ხოლმე ბურიუ. – შარკომ ჰიპნოზის მეთოდი არჩია, რაც სულ ცოტა ხნის წინ მესმერისნაირი შარლატანების ხელობად ითვლებოდა. ჰიპნოზის ზეგავლენით პაციენტმა ტრავმული ეპიზოდები უნდა გაიხსენოს საკუთარი ცხოვრებიდან – რადგან ადამიანის დაავადების საწყისი სწორედ ტრავმებშია – და მათი გაცნობიერების გზით განიკურნოს.

– მერე, იკურნებიან?

– საქმეც ესაა, მესიე სიმონინი, – ამბობდა ბურიუ, – სალპეტრიერი ჩვენთვის თეატრი უფროა, ვიდრე ფსიქიატრიული კლინიკა. სწორად გამიგეთ, ამას იმიტომ როდი ვამბობ, რომ მაესტროს უდიდეს დიაგნოსტიკურ ნიჭში ეჭვი მეპარება...

– არა, მისთვის ჩრდილის მიყენებას არავინ აპირებს, – უდასტურებდა ბიურო. – მაგრამ... თავად ჰიპნოზის ტექნიკა...

ბურიუმ და ბიურომ ამიხსნეს ჰიპნოზის სხვადასხვა ხერხი, ვინმე შარლატანი აბატი ფარიათი დაწყებული (ყურები ვცქვიტე დიუმასეული სახელის გაგონებაზე, თუმცა, ვფიქრობ, დიუმა დოკუმენტურ ქრონიკებში იქექებოდა და იქიდან იღებდა სახელებს) ექიმ ბრაიდის უკვე მეცნიერულად აღიარებულ მეთოდებამდე. ბრაიდი ამ საქმის ნამდვილი პიონერი იყო.

– დღეს, – განაგრძობდა ბიურო, – მაგნეტიზმის ყველაზე ძლიერი ოსტატები მარტივ ხერხებს მიმართავენ.

– და უფრო ეფექტიანსაც, – დააზუსტა ბურიუმ. – ავადმყოფს თვალწინ მედალიონს ან გასაღებს დაუჭერ და ეტყვი,

რომ თვალი არ მოაცილოს: ერთიდან სამ წუთამდე კმარა, რომ ადამიანს თვალის გუგები აუციმციმდეს, მაჯისცემა შეუნელდეს, თვალები დაეხუჭოს, სახეზე მოსვენება აღებეჭდოს და შეიძლება ოცი წუთიც კი იძინოს.

– უნდა ითქვას, – შეუსწორა ბიურომ, – რომ ადამიანს გააჩნია, რადგან მაგნეტიზაცია უხილავი ფლუიდების გადაცემაზე კი არაა დამოკიდებული (როგორც ის მასხარა მესმერი ირწმუნებოდა), არამედ თვითშთაგონებაზე. ინდოელი ასკეტები იმავე შედეგს აღწევენ, როცა საკუთარი ცხვირის წვერს აკვირდებიან, ან ათონის მთის ბერები, როცა საკუთარ ჭიპს თვალს არ აშორებენ.

– თვითშთაგონების ასეთი ფორმების დიდად არ გვწამს, – თქვა ბიურომ, – თუმცა ჩვენც იმ ინტუიციას ვიყენებთ პრაქტიკულად, რომელსაც შარკო, სანამ ღრმად ირწმუნებდა ჰიპნოტიზმს. ჩვენ უფრო პიროვნების ცვლილების შემთხვევებზე ვმუშაობთ: როცა პაციენტს ერთ დღეს ერთი ადამიანი ჰგონია თავი, მეორე დღეს კი – სულ სხვა. გასულ წელს ჩვენს კლინიკაში ვინმე ლუი მკურნალობდა.

– საინტერესო შემთხვევა იყო, – განაგრძო ბურიუმ, – დამბლა, კუნთოვანი დაჭიმულობა, სპაზმები, ჰიპერმგრძნობელობა, ენაბრგვილობა, კანის გაღიზიანება, სისხლჩაქცევები, ხველა, გულისრევა, ეპილეფსიური შეტევები, მამოძრავებელი სისტემის მოშლილობა, ენცეფალიტურ-რევმატული ციება ჰქონდა, მთვარეული იყო, გარკვეულ ბგერებს ვერ წარმოთქვამდა…

– თავი ხან ძაღლი ეგონა, – დაამატა ბიურომ, – ხან ორთქლმავალი. თან დევნის აკვიატებული შიში ჰქონდა, მხედველობის არის შევიწროება, გემოვნებითი, ყნოსვითი, მხედველობითი ჰალუცინაციები, ფსევდოტუბერკულოზური ფილტვების შეკუმშვა, თავის ტკივილი, კუჭის ტკივილი, შეკრულობა, ანორექსია, ბულიმია, ლეთარგია, კლეპტომანია…

– მოკლედ, – დაასკვნა ბურიუმ, – ტიპური სურათი იყო. იმის ნაცვლად, რომ ჰიპნოზისთვის მიგვემართა, ავადმყოფს მარჯვენა ხელზე ფოლადის სამკლავური დავუმაგრეთ და თითქოს მოჯადოებული იყოო, სულ სხვა პიროვნება დაგვიდგა თვალწინ. დამბლა მარჯვენა მხარეს სრულიად გაუქრა და მარცხნივ გადაუვიდა.

– სხვა ადამიანი იყო, – დააზუსტა ბიურომ, – რომელსაც რამდენიმე წამის წინ მომხდარი არ ახსოვდა. მაგალითად, ლუი ხან საერთოდ ვერ იტანდა ალკოჰოლს, ხან ლოთობისკენ ჰქონდა მიდრეკილება.

– იცოდეთ, რომ ზოგიერთი ნივთიერების მაგნიტური ძალა დისტანციაზეც მოქმედებს. მაგალითად, პაციენტის სკამის ქვეშ ალკოჰოლით სავსე ბოთლს თუ დავდგამთ, თუნდაც თავად ამაზე არაფერი იცოდეს, სომნამბულიზმის მდგომარეობაში მყოფი სუბიექტი სიმთვრალის სიმპტომებს გამოავლენს.

– ხომ გესმით, ჩვენი მუშაობის პრინციპია, პაციენტის ფსიქიკურ მდგომარეობას გავუფრთხილდეთ, – დაასკვნა ბოლოს ბიურომ. – ჰიპნოზი გონებას აკარგვინებს პაციენტს, ხოლო მაგნეტიზმი არც ერთ ორგანოზე არ ზემოქმედებს ძალადობრივად: ის მხოლოდ მზარდი მუხტია ნერვულ წნულებზე.

მივხვდი, რომ ბურიუ და ბიურო იდიოტები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვა ხერხით აწამებდნენ საცოდავ შეშლილებს. გვერდით მაგიდასთან მჯდომი დოქტორ დიუ მორიეს რეაქციამაც დამარწმუნა, რომ არ ვცდებოდი: გვისმენდა და დროდადრო თავს აქნევდა უკმაყოფილების ნიშნად.

– ძვირფასო მეგობარო, – მითხრა რამდენიმე დღის შემდეგ, – შარკოც და ჩვენი ორი როშფორელიც, იმის ნაცვლად, რომ პაციენტის მიერ განცდილი და გადატანილი გააანალიზონ და დაფიქრდნენ, რას უნდა ნიშნავდეს პიროვნების გაორება, იმაზე იტეხენ თავს, შეუძლიათ თუ არა მასზე ზემოქმედება ჰიპნოზითა და ლითონის ჯოხებით. საქმე ისაა, რომ ბევრ ადა-

მიანში პიროვნების ცვლილება სპონტანურად ხდება, სრულიად მოულოდნელად და გაუთვალისწინებელი ფორმებით. ამის წინასწარ გათვლა შეუძლებელია. შეიძლება, ეს თვითჰიპნოზიც იყოს. ჩემი აზრით, შარკოს და მისი მიმდევრებს სათანადოდ არ გაუანალიზებიათ ექიმ აზამის გამოცდილება და ფელიდას შემთხვევა. ჯერ კიდევ ცოტა რამაა ცნობილი ამ ფენომენზე. მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ ტვინის რომელიღაც, ჯერ კიდევ გამოუკვლეველ ნაწილს სისხლი საკმარისად არ მიეწოდება; სისხლძარღვების უცაბედი შევიწროება შეიძლება ისტერიულ მდგომარეობას უკავშირდებოდეს. მაგრამ ტვინის რომელ ნაწილშია სისხლის ნაკლებობა მეხსიერების დაკარგვის შემთხვევებში?

– რომელში?

– ესაა საქმე. ვიცით, რომ ადამიანის ტვინი ორი ნახევარსფეროსგან შედგება. შეიძლება, ადამიანი ხან სრული ნახევარსფეროთი ფიქრობდეს, ხან კი – არასრულით, იმით, სადაც მეხსიერების წილი დაზიანებულია. კლინიკაში მყავს პაციენტი, ოციოდე წლის გოგონა, რომელიც ძალიან ჰგავს ფელიდას შემთხვევას. დიანა ჰქვია.

დიუ მორიე წამით შეყოვნდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი საიდუმლო გაამხილაო.

– ორი წლის წინ მისმა ნათესავმა მომიყვანა სამკურნალოდ; მოგვიანებით ის ადამიანი გარდაიცვალა და ცხადია, ფულსაც აღარავინ მიხდიდა, მაგრამ რას ვიზამდი, ქუჩაში ხომ ვერ გავაგდებდი პაციენტს? მის წარსულზე თითქმის არაფერი ვიცი. მისივე მონაყოლიდან შევიტყვე, რომ პატარაობაში, როგორც კი რამეზე აღელდებოდა, საფეთქლების ტკივილი ეწყებოდა და მალევე ძილისმაგვარ მდგომარეობაში ვარდებოდა. ეს, როგორც ჩანს, ხშირად, ყოველ ხუთ-ექვს დღეში ემართებოდა. ის, რასაც თავად ძილს უწოდებს, სინამდვილეში ისტერიის შეტევა

იყო. როცა გამოიღვიძებს, ანუ დამშვიდდება, სულ სხვანაირია. მოკლედ რომ ვთქვათ, იმ მდგომარეობაში გადადის, რომელსაც დოქტორი აზამი „მეორეს“ უწოდებდა. „ჩვეულებრივ“ მდგომარეობაში დიანა მასონური სექტის მიმდევარივით იქცევა... სწორად გამიგეთ, მეც „დიდი აღმოსავლეთის“ წევრი ვარ, ანუ წესიერ მასონებს ვეკუთვნი, მაგრამ მოგეხსენებათ, ტამპლიერთა ტრადიციის „მორჩილება“ უამრავნაირია, ათასნაირი უცნაური მიდრეკილება არსებობს ოკულტური მეცნიერებებისა და სატანისტური რიტუალებისკენ (კიდევ კარგი, სატანისტები უმცირესობაში არიან). იმ მდგომარეობაში, რომელიც შეიძლება „ჩვეულებრივად“ ჩაითვალოს, დიანას ლუციფერის მიმდევრად მიაჩნია თავი, შემზარავ რამეებს ამბობს, შემაძრწუნებელ ამბებს ჰყვება, სამედიცინო პერსონალის შეცდენას ცდილობს, ჩემზეც კი იწევს. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთ რამეს ვამბობ, თანაც დიანა მართლა მიმზიდველი ქალია. ვფიქრობ, ასეთ დროს დიანა ბავშვობაში გადატანილი ტრავმების ზეგავლენის ქვეშაა და „მეორე“ მდგომარეობაში გადასვლით ამ მოგონებებიდან თავის დაღწევას ცდილობს. ამ მდგომარეობაში დიანა ყველაზე თვინიერი და კდემამოსილი არსებაა, ჭეშმარიტი ქრისტიანი, სულ თავის ლოცვანს ეძებს, წირვაზე ითხოვს წასვლას. მაგრამ უცნაურია (ეს ფელიდასაც ემართებოდა), რომ „მეორე“, ღირსეულ მდგომარეობაში დიანას შესანიშნავად ახსოვს, როგორი იყო „ჩვეულებრივ“ მდგომარეობაში და იტანჯება, ვერ გაუგია, როგორ შეეძლო, ასეთი ბოროტი ყოფილიყო, თავს მათრახით იგვემს. „მეორე“ მდგომარეობას „გონებისას“ უწოდებს და იხსენებს, პირველ მდგომარეობაში ჰალუცინაციების მსხვერპლი ვიყავიო. ჩვეულ მდგომარეობაში მყოფ, ბოროტ დიანას არაფერი ახსოვს „მეორე“, კეთილ დიანაზე. ეს ორი მდგომარეობა ერთმანეთს სრულიად გაუთვალისწინებელი ინტერვალებით ენაცვლება და გოგონა ერთ ან მეორე მდგომარეობაში ხანდახან რამდენიმე დღეც რჩება. დავეთანხმებოდი დოქტორ აზამს,

როცა „იდეალურ მთვარეულობას“ აღწერს. ჰაშიშის, ბელადონას, ოპიუმის, ალკოჰოლის მომხმარებლები ხომ მთვარეულები არ არიან, მაგრამ სიფხიზლეში არც მათ ახსოვთ საკუთარი ნამოქმედარი.

არ ვიცი, დიანას დაავადებაზე მონათხრობმა რატომ დამაინტერესა ასე, მაგრამ მახსოვს, დიუ მორიეს ვუთხარი: – ამაზე ერთ ჩემს ნაცნობს დაველაპარაკები, მსგავს მძიმე შემთხვევებზე მუშაობს და იცის, სად მოათავსოს ობოლი გოგონა. აბატ დალა პიკოლას გამოგიგზავნით, მღვდელს, რომელსაც დიდი გავლენა აქვს საეკლესიო წრეებში.

ამრიგად, როცა დიუ მორიეს ველაპარაკებოდი, სხვა თუ არაფერი, დალა პიკოლას სახელი უკვე ვიცოდი. კი, მაგრამ რატომ მივიტანე გულთან ასე ახლოს ამ დიანას ამბავი?

რამდენიმე საათია, შეუსვენებლად ვწერ, ცერა თითი მტკივა. აქვე, სამუშაო მაგიდასთან ვჭამ: პაშტეტს და კარაქს ვუსვამ პურზე და „შატო-ლატურს“ ვაყოლებ, რომ არ მოვდუნდე.

მინდოდა, დამესვენა, „ბრებან-ვაშეტში“ მესადილა, მაგრამ სანამ არ გავერკვევი, ვინ ვარ, გარეთ ვერ გავალ. ადრე თუ გვიან მაინც მომიწევს მობერის მოედანზე გასვლა, საჭმელი უნდა ვიყიდო.

თუმცა ახლა ამაზე ფიქრი არ ღირს, წერას დავუბრუნდები.

იმ წლებში (ალბათ, ოთხმოცდახუთი თუ ოთხმოცდაექვსი წელი იყო) „მანიში“ გავიცანი ის, ვისაც დღემდე ავსტრიელ (თუ გერმანელ) ექიმად მოვიხსენიებ. ფრეიდი ერქვა (მგონი, ასე იწერება), ოცდაათი წლის იქნებოდა, როგორც ჩანს, „მანიში“ იმიტომ დადიოდა, რომ მეტის საშუალება არ ჰქონდა – პრაქტიკაზე იყო ექიმ შარკოს კლინიკაში. ჩემს მაგიდასთან ახლოს ჯდებოდა ხოლმე, თავიდან მხოლოდ თავაზიანად, თავის დაქნევით ვესალმებოდით ერთმანეთს. ნაღვლიანი ახალგაზ-

რდა ჩანდა, ცოტა დაბნეული, მორცხვად ცდილობდა მოსაუბრის მოძებნას, აშკარად განტვირთვა, ლაპარაკი სჭირდებოდა. რამდენჯერმე შევატყვე, საბაბს ეძებდა, რომ გამომლაპარაკებოდა, მაგრამ მაშინ ჯიუტად ვიცავდი საკუთარ მარტოობას.

მართალია, გვარი ფრეიდი შტაინერივით ან როზენბერგივით არ ჟღერდა, მაგრამ ვიცოდი, რომ პარიზში ფულის საშოვნელად მცხოვრებ ყველა ებრაელს გერმანული გვარი აქვს. ჰოდა ერთხელაც, ახალგაზრდა ექიმის კეხიანი ცხვირით დაეჭვებულმა, დიუ მორიეს ვკითხე ფრეიდის შესახებ. დიუ მორიემ ხელი აიქნია:

– არ ვიცი, მაგრამ მაინც შორს ვიჭერ თავს მაგათგან, ებრაელი და გერმანელი აუტანელი ნარევია.

– ავსტრიელი არაა?

– რამ გაყო ეგენი? იგივე ენა, იგივე აზროვნება... რა დამავიწყებს პრუსიელებს, ელისეს მინდვრებზე რომ დასეირნობდნენ.

– როგორც ვიცი, ექიმის პროფესიას ყველაზე მეტად იუდეველები მისდევენ, ისევე, როგორც მევახშეობას. მოკლედ, ჯობია, არც ფული დაგჭირდეს ოდესმე და არც ავად გახდე.

– კი, მაგრამ ქრისტიანი ექიმებიც ხომ არსებობენ, – გაქვავებული სახით გამიღიმა დიუ მორიემ.

უტაქტოდ გამომივიდა.

პარიზელ ინტელექტუალთა შორის ისეთებიც არიან, ამრეზით რომ უყურებენ იუდეველებს, მაგრამ საუკეთესო მეგობრებს შორის ებრაელებიც ჰყავთ. ფარისევლები. მე ებრაელებთან არ ვმეგობრობ (ღმერთმა დამიფაროს), მუდამ თავს ვარიდებდი მათ, იქნებ ინსტინქტურადაც კი ვერიდებოდი, რადგან ებრაელს (უცნაურია: ისევე, როგორც გერმანელს) სუნით ვცნობ (ვიქტორ ჰიუგოს სიტყვებია: „ურიის სიმყრალე“). ამ სუნით ერთმანეთსაც ადვილად სცნობენ, პედერასტებივით.

მახსოვს, ბაბუაჩემი ამბობდა, სუნი ხახვის და ნივრის უზომოდ ჭამისგან აქვთო. მგონი, ნაწილობრივ ეს დამდნარი შაქრით შენელებული ცხვრისა და ბატის ხორცის მძიმე სუნიცაა. თუმცა მხოლოდ საკვების ბრალი არ უნდა იყოს, ალბათ, რასის სუნიცაა: შერყვნილი სისხლის, უძარღვო ხორცის. თან ყველანი კომუნისტები არიან, თუნდაც მარქსი და ლასალი აიღე. უნდა ვაღიარო, ხანდახან ჩემი იეზუიტები არ ტყუოდნენ.

ებრაელებისთვის თავის არიდებას იმიტომაც ვახერხებდი, რომ მუდამ ვაკვირდებოდი გვარებს. ავსტრიელი ებრაელები, გამდიდრდებოდნენ თუ არა, ლამაზ სახელებს ირჩევდნენ: ყვავილების, ძვირფასი ქვების ან ლითონების. ასე გაჩნდნენ ზილბერმანები, გოლდშტაინები. უფრო ხელმოკლეები მოკრძალებულ სახელებს სჯერდებოდნენ: მაგალითად, გრუნსპანი (ბრინჯაოს ჟანგი). საფრანგეთსა და იტალიაში ქალაქების სახელებით შეინიღბნენ: რავენა, მოდენა, პიკარდი, ფლამანდი. ხშირად რევოლუციური თემატიკითაც იყვნენ შთაგონებული (ფრომენი, ავონი, ლორიე), ან რა გასაკვირია, განა მათმა წინაპრებმა არ გამოუთხარეს ძირი მონარქიას? თუმცა, გვარების გარდა, სახელებზე დაკვირვებაც გვმართებს. უამრავი სახელია, რომელიც ებრაულ წარმომავლობას ნიღბავს: მორისი მოსედან მოდის, ისიდორე – ისააკიდან, ედუარი – არონიდან, ჟაკი – იაკობიდან, ალფონსი კი – ადამიდან...

ნეტავ ზიგმუნდი ებრაული სახელია? ინსტინქტი მკარნახობდა, არ ვნდობოდი იმ ექიმბაშს. ერთხელ ფრეიდს სამარილე გადმოუპირქვავდა. მეზობელ მაგიდასთან ვიჯექი, თავაზიანობა მმართებდა, ჰოდა, ჩემი სამარილე გადავაწოდე, თან შევნიშნე, ზოგიერთ ქვეყანაში მარილის დაყრა ცუდი ნიშანია-მეთქი. მან გაიცინა, ცრუმორწმუნე არ ვარო. იმ დღიდან დროდადრო გამოველაპარაკებოდით ხოლმე ერთმანეთს. ბოდიშს იხდიდა დამტვრეული ფრანგულისთვის, თუმცა მშვენივრად გამოხატავდა სათქმელს. მომთაბარეები არიან, სხვა რა გზა აქვთ, ყველა ენას

უნდა მოერგონ. თავაზიანად ვუთხარი, მხოლოდ ცოტა ყურის მიჩვევა უნდა-მეთქი. მადლობის ნიშნად გამიღიმა. ყალბად.

ფრეიდი ებრაელისთვისაც კი მეტისმეტად მატყუარა იყო. გამეგონა, რომ მისი რასის შვილები მხოლოდ განსაკუთრებულ საკვებს იღებენ, საგანგებოდ მოხარშულსა და მომზადებულს, ამიტომაც ცხოვრობენ გეტოებად. ფრეიდი კი გემრიელად მიირთმევდა ყველაფერს, რასაც „მანიში" ამზადებდნენ და ლუდსაც სიამოვნებით აყოლებდა.

ერთხელ მომეჩვენა, რომ გამოთრობა სურდა. ორი კათხა უკვე დალეული ჰქონდა და დესერტთან მესამეც შეუკვეთა, თან ნერვიულად ეწეოდა. აგზნებული ლაპარაკობდა, ხელებს იქნევდა, ისევ გადააყირავა სამარილე.

– უგერგილო არ გეგონოთ, – მომიბოდიშა, – აფორიაქებული ვარ. სამი დღეა, წერილი არ მიმიღია ჩემი საცოლისგან. არ ვითხოვ, ყოველდღე მწეროს, როგორც მე ვწერ, მაგრამ ეს დუმილი მაფიქრებს. ძალიან სუსტი ჯანმრთელობა აქვს, ვიტანჯები ამ სიშორით. თან, რასაც უნდა ვაკეთებდე, მისი მოწონება და თანხმობა მჭირდება. მინდა, მომწეროს, რას ფიქრობს ჩემს ვახშამზე შარკოსთან. იცით, მესიე სიმონინი, რამდენიმე დღის წინ შარკომ ვახშმად მიმიწვია. ეს დამწყები ექიმისთვის დიდი პატივია, მით უფრო – უცხოელისთვის.

„აჰა, – გავიფიქრე, – ამ უდღეურ მდაბიო სემიტს უყურეთ... ცდილობს, კეთილშობილ ოჯახებში შეაღწიოს კარიერის გასაკეთებლად!" საცოლესთან სიშორის გამო დაძაბულობაც კი იუდეველის ავხორც ბუნებას ამჟღავნებდა, მუდამ სექსს რომ ეძებს. „ღამღამობით ფიქრობ, არა? და ალბათ ხელსაც არ აჩერებ, მას წარმოიდგენ... შენც არ გაწყენდა ტისოს წაკითხვა", – გავიფიქრე, მაგრამ არ შევიმჩნიე, დავაცადე, მოეყოლა.

– მაღალი საზოგადოების ხალხი იყო მიწვეული, დოდეს შვილი, დოქტორი შტრაუსი, პასტერის ასისტენტი, პროფესორი ბექი, ემილიო ტოფანოს, დიდი იტალიელი მხატვრის, ინსტიტუ-

ტიდან. ის საღამო თოთხმეტი ფრანკი დამიჯდა, „ჰამბურგის“ ლამაზი შავი ჰალსტუხი, თეთრი ხელთათმანები, ახალი პერანგი და ფრაკი შევიძინე. პირველად მეცვა ასე ცხოვრებაში. ჰო, წვერიც პირველად შევაკრეჭვინე ფრანგულ ყაიდაზე. სიმორცხვეს რომ მოვრეოდი, ცოტა კოკაინიც დავიდე ენის ქვეშ.

– კოკაინი? კი, მაგრამ საწამლავი არაა?

– ყველაფერი საწამლავია, თუ ზედმეტს მიიღებ. ღვინოც. ორი წელია, ამ საოცარ ნივთიერებას ვსწავლობ. იცით, კოკაინი ალკალოიდია, მიიღება მცენარისგან, რომელსაც ამერიკელი ინდიელები ღეჭავდნენ, რომ ანდების თავბრუდამხვევი სიმაღლე დაეძლიათ. კოკაინი გონებას აღაგზნებს, მაგრამ, ოპიუმისა და ალკოჰოლისაგან განსხვავებით, უარყოფითი ეფექტის გარეშე. შესანიშნავი ტკივილგამაყუჩებელია, განსაკუთრებით ოფთალმოლოგიაში და ასთმის სამკურნალოდ გამოიყენება. შესანიშნავია ალკოჰოლიზმისა და ტოქსიკომანიისაგან განსაკურნებლად, ზღვის დაავადების, დიაბეტის სამკურნალოდ, საოცრად აცხრობს შიმშილის, ძილის, დაღლილობის გრძნობას, თამბაქოს არაჩვეულებრივი შემცვლელია, კურნავს ფაღარათს, ყაბზობას, ნაღვლის ბუშტში კენჭებს, კუჭის წყლულს, იპოქონდრიას, ხერხემლის დაავადებებს, ყვითელ ციებას, შესანიშნავი აღმდგენი თვისებები აქვს ჭლექისა და შაკიკის მკურნალობაში. მწვავე კარიესის დროს კბილის ღრმულში კოკაინის ოთხპროცენტიან ხსნარში გაჟღენთილი ბამბის ბურთულას ათავსებენ და ტკივილი მაშინვე ყუჩდება. შეუცვლელია დეპრესიით შეპყრობილი ადამიანის გასამხნევებლად, რწმენის დასაბრუნებლად, ოპტიმიზმისა და აქტიურობის აღსადგენად.

ექიმი უკვე მეოთხე კათხას სვამდა და აშკარად მელანქოლიური სიმთვრალის მდგომარეობაში იყო. ისე იხრებოდა ჩემკენ, თითქოს აღსარებას მეუბნებაო.

– კოკაინი შესანიშნავი რამაა ჩემნაირი ადამიანისთვის, რომელიც – სულ ამას ვეუბნები ჩემს სათაყვანებელ მარტას




...მწვავე კარიესის დროს კბილის ღრმულში კოკაინის ოთხპროცენტიან ხსნარში გაჟღენთილი ბამბის ბურთულას ათავსებენ და ტკივილი მაშინვე ყუჩდება...

– თავს მიმზიდველად არ თვლის, რომელიც სიყმაწვილეშიც კი არ ყოფილა სულით ახალგაზრდა და ახლა, ოცდაათს მიღწეულს, მომწიფება ვერ მოუხერხებია. იყო პერიოდი, როდესაც მანიაკალურად ვიყავი ამბიციითა და სწავლის წადილით შეპყრობილი და დღითი დღე მთრგუნავდა აზრი, რომ დედაბუნებამ გენიოსობა არ გამოიმეტა ჩემთვის.

უცებ გაჩერდა, თითქოს მიხვდა, რომ სული გაიშიშვლა. „პატარა, წუწუნა ებრაელი", – გავიფიქრე და გადავწყვიტე, უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინა.

– კოკაინის, როგორც სექსუალურად აღმგზნები ნივთიერების, თვისებებს არავინ ახსენებს?

ფრეიდი გაწითლდა: – ეს თვისებაც აქვს, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ, მაგრამ... არ გამომიცდია. როგორც მამაკაცი, ასეთ გამაღიაზიანებლებზე არ ვრეაგირებ, როგორც ექიმს კი სექსის თემა დიდად არ მიზიდავს. თუმცა ახლა სალპეტრიერშიც კი გაუთავებლად სექსზე ლაპარაკობენ. შარკომ თავისი ერთ-ერთი პაციენტის, ვინმე ავგუსტინას, მწვავე ისტერიის ფაზის მიხედვით დაამტკიცა, რომ ქალის საწყისი ტრავმა ბავშვობაში გადატანილი სექსუალური ძალადობა იყო. ცხადია, არ უარვყოფ, რომ ისტერიის გამომწვევ ტრავმათა შორის სექსიც შეიძლება იყოს. უბრალოდ, არა მგონია, ყველაფრის სექსზე დაყვანა შეიძლებოდეს. თუმცა, შესაძლოა, წვრილბურჟუაზიული სიფრთხილე მაიძულებს, თავი შორს დავიჭირო ამ საკითხებისგან.

არა-მეთქი, ვფიქრობდი, სიფრთხილე კი არ გაიძულებს ამას, არამედ შენც, შენი რასის ყველა წინადაცვეთილი ამძუვნებული ნაშიერივით, სექსზე ფიქრით ხარ შეპყრობილი და ამიტომ ცდილობ მის დავიწყებას. ეჭვიც არ მეპარება, როცა, ბოლოს და ბოლოს, მაგ ბინძურ თათებში მოიმწყვდევ იმ შენს მარტას, ლაწირაკი ურიების მთელ ურდოს დააჩეკინებ და ისე გაასავათებ, რომ ჭლექიანს დაემსგავსოს...

ფრეიდი კი განაგრძობდა:

– ის უფრო მადარდებს, რომ კოკაინის მარაგი დამიმთავ-რდა და ისევ მიპყრობს მელანქოლია, ძველი ექიმები იტყოდ-ნენ, შავი ნაღველი გადაესხაო. ადრე „მერკისა და გეეს“ პრეპა-რატებს ვშოულობდი, მაგრამ ახლა აღარ აწარმოებენ, იძულე-ბულები გახდნენ, შეეწყვიტათ, რადგან უხარისხო ნედლეული შემოდიოდა. ნედლი ფოთლები მხოლოდ ამერიკაში შეიძლება დამუშავდეს და საუკეთესო პროდუქცია „Parke & Davis“-ს აქვს დეტროიტში: უფრო ადვილად ხსნადი ფორმაა, ქათქათა თეთ-რი, სასიამოვნო სუნის. მომარაგებული მქონდა, მაგრამ აქ, პა-რიზში, არ ვიცი, ვის მივმართო.

ეს სიტყვები მეფურ ნადიმზე მიწვევასავით იყო მობერის მოედნისა და მისი შემოგარენის კარგად მცოდნისთვის. ისეთ ტიპებს ვიცნობდი, კოკაინი კი არა, რაც უნდა გეთხოვა, ბრი-ლიანტი იქნებოდა, ლომის ფიტული თუ გოგირდმჟავათი სავსე კასრი, მეორე დღეს გაგიჩენდნენ. კითხვაც არ გჭირდებოდა, სად იშოვიდნენ. „კოკაინი შხამია, – ვიფიქრე, – იუდეველის დახმარება კი საკუთარი თავის მოწამვლაში სულაც არაა ური-გო საქმე“. მოკლედ, დოქტორ ფრეიდს დავპირდი, რომ რამდე-ნიმე დღეში იმ ალკალოიდის გვარიან მარაგს ვაშოვნინებდი. ცხადია, ფრეიდს არც უფიქრია, რომ ჩემი გულისხმიერება სუ-ლაც არ იყო უმწიკვლო.

– ხომ იცით, – ვუთხარი, – ანტიკვარიატით მოვაჭრეები ათასი ჯურის ხალხს ვიცნობთ.

ეს ყველაფერი არაფერ შუაშია ჩემს პრობლემასთან, მაგ-რამ მინდოდა, მომეყოლა, როგორ დავუახლოვდით ერთმანეთს. ამის შემდეგ ათას რამეზე ვბაასობდით ხოლმე, ფრეიდი ენამ-ჭევრი, სიტყვამახვილი კაცი იყო, რა ვიცი, იქნებ ვცდებოდი კიდეც და სულაც არ იყო ებრაელი. საქმე ისაა, რომ მასთან საუბარი უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე ბიუროსა და ბურიუს-

თან. ერთხელ სწორედ ამ ბატონების ექსპერიმენტებზე ჩამოვარდა სიტყვა და მაშინ იყო, რომ დიუ მორიეს პაციენტი გოგონა ვუხსენე.

– თქვენ ფიქრობთ, – ვკითხე, – რომ ასეთი ავადმყოფი შეიძლება ბურიუსა და ბიუროს მაგნიტებით განიკურნოს?

– ძვირფასო მეგობარო, – მიპასუხა ფრეიდმა, – უამრავ შემთხვევაში, რომლებსაც ვაკვირდებით, მეტისმეტი ყურადღება ეთმობა ფიზიკურ ასპექტს და გვავიწყდება, რომ დიდი შანსია, სნეულებას ფსიქიკური საწყისი ჰქონდეს. და თუ ის ფსიქიკიდან მოდის, ფსიქიკას უნდა მკურნალობა და არა სხეულს. ტრავმით გამოწვეულ ნევროზში დაავადების ნამდვილი მიზეზი დაზიანება კი არაა, რომელიც, როგორც წესი, მსუბუქია ხოლმე, არამედ ოდესღაც მიღებული ფსიქიკური ტრავმა. ძლიერი ემოცია ხომ ხშირად ადამიანს გონებასაც აკარგვინებს. ჰოდა, მისთვის, ვინც ნერვულ დაავადებებს იკვლევს, გულის წასვლის მექანიზმი კი არაა მნიშვნელოვანი, არამედ ის, რა განცდამ გამოიწვია ეს.

– კი, მაგრამ როგორ უნდა გაიგო, რა იყო ეს ემოცია?

– მეგობარო, როცა სიმპტომები აშკარად ისტერიულია, როგორც დიუ მორიეს პაციენტი გოგონას შემთხვევაში, მაშინ ჰიპნოზმა შეიძლება ხელოვნურად გამოიწვიოს იგივე სიმპტომები და მართლა შესაძლებელია საწყისი ტრავმის მიგნება. მაგრამ ბევრ პაციენტს ისეთი საშინელება აქვს გადატანილი, რომლის წაშლაც სრულად სურს მეხსიერებიდან და თითქოს სულის მიუწვდომელ კუნჭულში ინახავს ამ მოგონებას, იმდენად შორეულსა და ღრმაში, რომ მას ჰიპნოზითაც ვერავინ მისწვდება. მეორე მხრივ, ჰიპნოზის მდგომარეობაში საიდან გვექნება უფრო ცოცხალი გონება, ვიდრე მაშინ, როცა ფხიზლად ვართ?

– მაშ, ვერასოდეს გავიგებთ...

– მკაფიო და საბოლოო პასუხს ნუ მომთხოვთ, თავადაც ვერ გავრკვეულვარ კარგად საკუთარ აზრებში. ხანდახან ცდუ-

ნება მძლევს და ვფიქრობ, რომ სულისა და გონების შორეულ კუნჭულებს მხოლოდ ადამიანის სიზმარი სწვდება. ძველადაც იცოდნენ, რომ სიზმარმა ბევრი რამ შეიძლება გაამჟღავნოს. მგონია, ავადმყოფს რომ სიზმრად ნანახის მოყოლა შეეძლოს და ვინმემ უსასრულოდ, დღედაღამ უსმინოს მას, საწყისი ტრავმა, შეიძლება, სრულიად მოულოდნელად ამოტივტივდეს. ინგლისელები „საუბრით განკურნების" მეთოდს ახსენებენ. დაკვირვებიხართ, როცა შორეულ მოვლენებს უყვებით ვინმეს, ისეთი დეტალებიც გახსენდებათ, რომლებიც სრულიად დავიწყებული გქონდათ, ან გეგონათ, რომ აღარ გახსოვდათ, თქვენი ტვინი კი რომელიღაც იდუმალ ნაოჭში ინახავდა მათ. ვფიქრობ, რაც უფრო დეტალურად იხსენებს ადამიანი, მით მეტი შანსია, სწორედ ის ეპიზოდი ამოტივტივდეს, რომელიც გვჭირდება. მეტსაც გეტყვით, შეიძლება, ეს სრულიად უმნიშვნელო ფაქტი იყოს, ერთი გაელვება, რომელიც ისე აუტანელი იყო, რომ გონებამ ის თავისთავად მოიშორა... თუ როგორ ვთქვა, არც კი ვიცი, *Abtrennung*, თუ *Beseitigung*... სიტყვასაც ვერ ვპოულობ, ინგლისურად უფრო *ამოკვეთას* ვიტყოდი, ფრანგულად როგორ ამბობენ, როცა რომელიმე ორგანოს კვეთენ? ...*ablation*? ჰო, გერმანულად სწორი ტერმინი, ალბათ, მაინც *Entfernung* იქნება.

„აჰა, ებრაელმაც გამოყო თავი!" – გავიფიქრე. მგონი, მაშინ უკვე ბევრს ვფიქრობდი ებრაულ შეთქმულებაზე და ამ რასის განზრახვაზე, სრულად დაპატრონებოდა საექიმო და ფარმაცევტულ საქმეს, რათა ქრისტიანთა სულებიც ემართა და სხეულებიც. „ავად თუ გავხდი, გინდა, შენ ჩაგიკაკლო ყველაფერი, ისიც კი, რაც თავადაც არ ვიცი კარგად, რომ ჩემი სული ხელში მოიგდო, არა? ეს ხომ უარესია, ვიდრე იეზუიტისთვის აღსარების თქმა! მღვდლისაგან საალმსარებლოს ბადე მაინც მიცავს და თან მღვდელს საკუთარ ფიქრებს კი არ გავუმხელ, არამედ იმას ვეტყვი, რასაც ყველა აკეთებს. ამიტომაც ვიყენებთ ყვე-

ლანი ერთსა და იმავე სიტყვებს: მოვიპარე, დავხარბდი, დავამცირე დედაჩემი და მამაჩემი. შენივე ენა გყიდის, დამპალო ებრაელო, ისე ლაპარაკობ *ამოკვეთაზე*, თითქოს ტვინდაცვეთას მიპირებდე...“

ფრეიდს კი ამ დროს სიცილი აუტყდა და კიდევ ერთი კათხა შეუკვეთა.

– გთხოვთ, მთლად სერიოზულად ნუ მიიღებთ ჩემს ნათქვამს. ეს მეოცნების ფანტაზიებია. ავსტრიაში დაბრუნებისთანავე ცოლს შევირთავ და ოჯახის სარჩენად სამედიცინო კაბინეტს გავხსნი. მაშინ ჰიპნოზსაც ბრძნულად გამოვიყენებ, როგორც შარკომ მასწავლა, და პაციენტების სიზმრებში ხელებს არ ვაფათურებ. დედალი პითონი კი არ ვარ. ნეტავ დიუ მორიეს პაციენტ გოგონას თუ მოუხდებოდა ცოტა კოკაინი?

ასე დასრულდა ის საუბარი, რომელიც ბუნდოვნად შემორჩა ჩემს მეხსიერებას. თუმცა ახლა მაგონდება ყველაფერი: მთლად დიანას მდგომარეობაში არ ვარ, მაგრამ მეხსიერების ნაწილი უეჭველად დამეკარგა. კაცმა არ იცის, ახლა სადაა ფრეიდი, მაგრამ აქაც რომ იყოს, ებრაელს კი არა, კეთილ ქრისტიანსაც არაფრის დიდებით არ მოვუყვებოდი საკუთარ ცხოვრებას. ჩემი ხელობის კაცი (ნეტა რა ხელობა მაქვს?) სხვების ამბებს უნდა ვყვებოდე, შესაბამისი ანაზღაურების წილ, საკუთარის მოყოლისაგან კი მაქსიმალურად უნდა შევიკავო თავი. მაგრამ საკუთარ თავს ხომ შემიძლია ვუამბო ჩემი ცხოვრება. გამახსენდა ბურიუს (თუ ბიუროს) ნათქვამი, ზოგიერთი მისანი ჭიპზე დაჟინებული მზერით საკუთარი თავის ჰიპნოზირებასაც ახერხებდაო.

ასე გადავწყვიტე ამ დღიურის წერა, თუმცა უკუღმა მივყვები მოვლენებს და საკუთარ თავს ვახსენებ ჩემს წარსულს ნელ-ნელა, როგორც შემიძლია. ყველაზე წვრილმანი ამბების გახსენებასაც ვცდილობ, სანამ ტრავმის გამომწვევი მიზეზი

(თუ როგორ ამბობდა?) არ ამოტივტივდება. თავად მინდა, განვიკურნო, ისე, რომ გიჟების მკურნალთა საკბილოდ არ ვიქცე.

დაწყებამდე (თუმცა უკვე დავიწყე, გუშინ), თვითჰიპნოზისთვის სულიერად მოსამზადებლად, ძალიან მინდოდა, მონტორგეის ქუჩაზე გავსულიყავი, „ფილიპის რესტორანში“. დავჯდებოდი მშვიდად, ხანგრძლივად ჩავაკვირდებოდი საღამოს მენიუს, შევუკვეთავდი ბერძნულ წვნიანს, კამბალას კაპერსის სოუსით, საქონლის ფილეს, ხბოს ენას საწებლით და ბოლოს მარასკინოს ლიქიორის სორბეტს და ნაირ-ნაირ ნამცხვრებს დავაყოლებდი. ამ ყველაფერს ორი ბოთლი ძველი ბურგუნდიულით დავამშვენებდი.

შუაღამე რომ გადავიდოდა, ღამის მენიუსაც გადავხედავდი: კუს წვნიანით გავინებივრებდი თავს (საუცხოო წვნიანი გამახსენდა, დიუმასი – ესე იგი, დიუმაც გავიცანი?), ახალი ხახვით შეკაზმულ ზუთხსაც ავიღებდი იავური პილპილით შეზავებულ სატაცურთან ერთად და რომის სორბეტს და ინგლისურ სუნელებიან ტკბილეულს დავაყოლებდი. გვიან ღამით დილის მენიუს ნუგბარეულსაც ჩავკრავდი თვალს, მაგალითად, ხახვის წვნიანს გეახლებოდით, რომელსაც ალიონზე მიირთმევდნენ ხოლმე „ლე ალის“ მტვირთავები. ფრიად ვიხალისებდი მათთან ღრეობით. მერე, დილისკენ, მაგარ ყავასთან ერთად, კონიაკისა და კირშვასერის კოქტეილსაც დავაყოლებდი.

ცოტა კი დამიმძიმდებოდა კუჭი, ვაღიარებ, სამაგიეროდ სული მექნებოდა დამტკბარი და დამშვიდებული.

მაგრამ ვაი, რომ ამ ნეტარების უფლებას ვერ მივცემდი საკუთარ თავს. „აღარაფერი მახსოვს, – გავიფიქრე, – რესტორანში რომ ნაცნობი შემხვდეს და ვერ ვიცნო, რა უნდა ვქნა?“

იმაზეც დავფიქრდი, როგორ მოვქცეულიყავი, ვინმე სახლში რომ მომდგომოდა. ბონფუას ანდერძზე მოსულ კლიენტთან და სეფისკვერების დედაკაცთან ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, უარესი მომხდარიყო. მაღაზიის კარზე

აბრა მივაკარი: „მფლობელი ერთი თვე არ იქნება“, თარიღი არ მივუთითე, რომ გაუგებარი ყოფილიყო, როდის იწყებოდა ან როდის მთავრდებოდა ეს ერთი თვე. ასე ჯობდა, სანამ რამეს არ გავარკვევდი. სახლში უნდა ვმჯდარიყავი, გარეთ მხოლოდ იშვიათად გამოვიდოდი, საჭმლის საყიდლად. იქნებ ესეც ვერ მოვახერხო და მშიერი დავრჩე, ვინ იცის, იქნებ რომელიმე ზღვარს გადასული ღრეობის გამო ვისჯები ასე... ნეტავ რომლის? იმ ღირსსახსოვარი 21-ის საღამოს გამო ხომ არა?

ისე, თუ ჩემს წარსულში ჩასაღრმავებლად საკუთარ ჭიპზე მოვინდომებდი მიშტერებას, როგორც ბიურომ (თუ ბურიუმ) მირჩია, ასე მუცელამოყორილს (თუმცა ისედაც გვარიანად ფერხორციანი გახლავართ, ჩემი დარბაისლური ასაკის შესაფერისად) მეხსიერების სავარჯიშოდ საკუთარი ჭიპის სარკეში ყურება მომიწევდა.

ამის ნაცვლად, გუშინ საწერ მაგიდას მივუჯექი და სულმოუთქმელად დავიწყე წერა. აქვე, მაგიდასთან, ვილუკმები და ვიყლურწები. ღვინოს არ ვიკლებ. ჩემი სახლის საუკეთესო ადგილი ხომ შესანიშნავი მარანია.

# 4

# ბაბუას დრო

26 მარტი, 1897

ბავშვობა. ტურინი... პოს გადაღმა – გორაკები. მე და დედა – აივანზე. მერე დედა აღარ იყო. აივანზე მამა იდგა, გორაკს გასცქეროდა და ტიროდა, ბაბუა ამბობდა, ღმერთმა ინება ასეო.

დედას ფრანგულად ველაპარაკებოდი, როგორც ყველა პიემონტელი თავადიშვილი (აქ, პარიზში, ჩემი ფრანგული გრენობლში ნასწავლივით ჟღერს – ყველაზე სუფთა ფრანგულით ხომ იქ ლაპარაკობენ – პარიზელების ბაბილონურს კი არ ჰგავს). ბავშვობიდანვე ფრანგად უფრო მიმაჩნდა თავი, ვიდრე იტალიელად, როგორც ემართებათ ხოლმე პიემონტელებს. ამიტომ ვერ ვიტან ფრანგებს.

***

ჩემი ბავშვობა ბაბუა უფრო იყო, ვიდრე დედ-მამა. შევიძულე დედაჩემი, რადგან გაუფრთხილებლად მიმატოვა და მამაჩემი, რადგან ვერაფრით შეაჩერა დედა. ღმერთი – იმიტომ, რომ ასეთი რამ ინება, ბაბუა კი იმიტომ, რომ არ უკვირდა

ღმერთის ნება. მამაჩემი სულ სადღაც იყო. იტალიას აშენებდა – თავად ასე ამბობდა. სწორედ იტალიამ მოუღო მერე ბოლო.

ბაბუა. ჯოვანი ბატისტა სიმონინის, სავოიის ჯარის ოფიცერს, თუ სწორად მახსოვს, ნაპოლეონის შემოტევის დროს მიეტოვებინა სამხედრო სამსახური და ფლორენციელი ბურბონების არმიას შეერთებოდა. მერე კი, როცა ტოსკანაც ბონაპარტის ხელთ აღმოჩნდა, ბაბუა პიემონტში დაბრუნებულა და პენსიაზე მყოფი კაპიტნის იმედგაცრუებით ნაზავ მოგონებებს მისცემია.

ვეებერთელა, ხორციანი ცხვირი ჰქონდა: სახეს რომ მომიახლოვებდა ხოლმე, ცხვირის მეტს ველარაფერს ვხედავდი. სახეზე გაუთავებლად მისი ნერწყვი მეშხეფებოდა. ბაბუა *ძველ რეჟიმს* მისტიროდა და ვერაფრით ეგუებოდა რევოლუციის უხამს ნამოქმედარს. პანტალონებს ვერ ელეოდა – ჯერ კიდევ ძლიერი, ახალგაზრდული წვივები ჰქონდა – მუხლებქვეშ კოხტად გაინასკვავდა ხოლმე ოქროს თასმებს; პრიალა ფეხსაცმლის აბზინდებიც ოქროსი ჰქონდა. ჟილეტი, შავი კოსტუმი და ჰალსტუხი ცოტა მღვდლის იერს აძლევდა ბაბუას. იმდროინდელი მოდა შეპუდრული პარიკის ტარებასაც ითხოვდა, მაგრამ ბაბუაჩემს პარიკი არასოდეს უტარებია: შეპუდრული პარიკები რობესპიერისნაირ ქრისტიანთა სისხლისმსმელებსაც ეკეთათო, ასე ამბობდა.

ვერასოდეს გავიგე, მდიდარი იყო თუ არა. კარგი ჭამა კი უყვარდა და საჭმელზე უარს არასოდეს ამბობდა. ბაბუასთან და ჩემს ბავშვობასთან დაკავშირებული ყველაზე მკაფიო მოგონება ნახშირის ღუმელზე შემოდგმულ თიხის კეცზე შებრაწული ქაფშიებია. ზეთში, ნიორსა და ბლომად კარაქში ჩაშუშულ თევზს ბაბუა ნარშავს ჩაუწყობდა ხოლმე (ნარშავი იქამდე დიდხანს გამოჰყავდათ ცივ წყალსა და ლიმონის წვენში; ზოგი რძესაც ხმარობდა, მაგრამ ბაბუა – არასოდეს) და ზევიდან ოდნავ მოთუთქულ მსხვილ წიწაკას, თეთრი კომბოსტოს ფურცლებს, მიწავაშლას და უნაზეს ყვავილოვან კომბოსტოსაც

დააწყობდა. ხანდახან მოხარშულ ბოსტნეულსაც იყენებდნენ ამ კერძისთვის: ხახვს, ჭარხალს, კარტოფილსა და სტაფილოს, თუმცა ბაბუა ამბობდა, ასე ღატაკები ამზადებენო. მიყვარდა ჭამა და ბაბუაც ხარობდა, ნასუქ ბურვაკს რომ ვემსგავსებოდი (ასე მეფერებოდა ხოლმე).

სახეზე ნერწყვს მაშხეფებდა და მმოძღვრავდა: – შვილო, რევოლუციამ ათეისტური სახელმწიფოს მონებად გვაქცია, თანასწორობა უწინდელიც აღარ შეგვარჩინა და ძმები ერთმანეთს გადაამტერა, კაენად აქცია თითოეული ადამიანი. მეტისმეტი თავისუფლება სიკეთე როდია. არც ისაა კარგი, ყველაფერი გქონდეს, რაც გჭირდება. ჩვენი მამები უფრო ღარიბები, მაგრამ უფრო ბედნიერები იყვნენ, რადგან ბუნებასთან კავშირს ინარჩუნებდნენ. თანამედროვე სამყარომ კი კვამლით გამჭვარტლა სოფლები, საქსოვმა დაზგებმა ღატაკები ულუკმაპუროდ დატოვა და ქსოვილის ხარისხიც დაეცა. საკუთარი თავის ამარა დარჩენილი ადამიანი მეტისმეტად გაბოროტებულია საიმისოდ, რომ თავისუფლება შეძლოს. ის მცირეოდენი თავისუფლება, რომელიც ადამიანს სჭირდება, ხელმწიფემ უნდა გიბოძოს და მანვე დაიცვას.

მაგრამ მისი საყვარელი თემა მაინც აბატი ბარუელი იყო. ბავშვობას რომ ვიხსენებ, ისე ცხადად წარმოვიდგენ აბატ ბარუელს, თითქოს ჩვენს სახლში ცხოვრობდა, არადა მაშინ უკვე დიდი ხნის მკვდარი უნდა ყოფილიყო.

– ჩემო ბიჭო, – ახლაც ჩამესმის ბაბუას ხმა, – როცა რევოლუციის სიგიჟემ მთელი ევროპა შეიპყრო, მაშინ დაიჭექა აბატი ბარუელის ხმამ და ამცნო ქვეყანას, რომ რევოლუცია მხოლოდ უკანასკნელი (თუ უახლესი) ეტაპი იყო მსოფლიო შეთქმულებისა, რომელიც ტამპლიერებმა დაგეგმეს ტახტისა და საკურთხევლის, ანუ მეფის, წინააღმდეგ. ეს შეთქმულება განსაკუთრებით სწორედ საფრანგეთის ხელმწიფისა და ჩვენი უწმინდესი დედაეკლესიის წინააღმდეგ იყო ჩაფიქრებული...



*...ისე ცხადად წარმოვიდგენ აბატ ბარუელს, თითქოს ჩვენს სახლში ცხოვრობდა, არადა მაშინ უკვე დიდი ხნის მკვდარი უნდა ყოფილიყო...*

აბატმა ბარუელმა გასული საუკუნის ბოლო წლებში დაწერა *Mémoires pour servir à l'histoire du jacobinisme...*

– კი, მაგრამ, ბაბუა, ტამპლიერები რა შუაშია? – ვეკითხებოდი. მშვენივრად ვიცოდი, რასაც იტყოდა, მაგრამ საშუალებას ვაძლევდი, კიდევ ერთხელ გაემეორებინა ის, რის მოყოლაც ასე უყვარდა.

– ჩემო ბიჭო, ტამპლიერები რაინდთა უძლიერესი ორდენის წევრები იყვნენ, რომლებიც საფრანგეთის მეფემ გაანადგურა, რათა მათ ქონებას დაპატრონებოდა და ბევრი მათგანი კოცონზეც მიაბრძანა. მაგრამ ტამპლიერთა მიმდევრები კვლავ შეიკრიბნენ და იდუმალი ორდენი ჩამოაყალიბეს საფრანგეთის მეფეზე შურის საძიებლად. ცნობილია, როცა მეფე ლუის გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს, ვიღაც ამხტარა ფიცარნაგზე, ის სცოდავად დაგორებული თავი ხელში აუტაცია და დაუყვირია: „ჟაკ დე მოლე, შური ნაძიებიაო!“ მოლე ტამპლიერების მაგისტრი იყო, რომელიც ხელმწიფემ პარიზის ყველაზე მაღალ ადგილზე დააწვევინა კოცონზე.

– კი, მაგრამ როდის დაწვეს დე მოლე?

– 1314 წელს.

– მოიცა, ბაბუა, გამოვიანგარიშოთ... 1314 წლიდან რევოლუციამდე თითქმის ხუთასი წელი გავიდა. ამ დროის მანძილზე რას აკეთებდნენ ტამპლიერები, სად ან როგორ იმალებოდნენ?

– ტაძრების მშენებელ კორპორაციებს აფარებდნენ თავს, სწორედ იქ ჩაისახა ინგლისური მასონობა. მისი წევრები „თავისუფალ კალატოზებს“ უწოდებდნენ თავს, მათი სახელიც აქედან მოდის.

– კი, მაგრამ რატომ უნდა აჯანყებულიყვნენ მშენებლები?

– ბარუელი მიხვდა, რომ პირველი ტამპლიერები და თავისუფალი მშენებლები ბავარიელმა ილუმინატებმა შეაცდინეს და დაიმორჩილეს! ვინმე ვაისჰაუპტის მიერ დაარსებული ამ საშინელი სექტის თითოეული წევრი მხოლოდ თავის უშუალო

უფროსს იცნობდა და წარმოდგენა არ ჰქონდა სხვა ზემდგომთა ან სექტის წევრთა ვინაობაზე. მათი მიზანი არა მხოლოდ ტაქტისა და საკურთხევლის დამხობა იყო, არამედ ამორალური, უკანონო საზოგადოების შექმნა, სადაც ქონებაცა და ქალიც საერთო იქნებოდა ყველასთვის. მომიტევოს უფალმა, რომ ამისთანა რამეს ვასმენინებ ყმაწვილის უმანკო ყურებს, მაგრამ ადამიანმა სატანის გზებიც უნდა იცოდეს. ჰოდა, ბავარიის ილუმინატებთან მჭიდრო კავშირში იყვნენ ის ყოველგვარი სარწმუნოების უარმყოფელნი, იმ მკრეხელური „ენციკლოპედიის“ ავტორები, ვოლტერს, დ'ალამბერს, დიდროს ვგულისხმობ, მათ, ვინც, ილუმინატების მიბაძვით, საფრანგეთში „სინათლის საუკუნეზე“ ლაპარაკობდა, გერმანიაში – „განათლებასა“ თუ „განმარტებაზე“; მათ, ვინც, ტახტის დამხობის დასაგეგმად მოწყობილ უკანასკნელ შეკრებაზე ეგრეთ წოდებული „იაკობინელთა კლუბი“ შექმნეს, სწორედ ჟაკ დე მოლეს პატივსაცემად. აი, ვისი დაგეგმილი იყო რევოლუციის აფეთქება საფრანგეთში!

– ბარუელი ყველაფერს მიმხვდარა...

– ბარუელს ვერ გაეგო, როგორ შეიძლებოდა, ქრისტიან რაინდთა თესლიდან ქრისტეს მომტრე სექტა აღმოცენებულიყო. ცომი და საფუარი წარმოიდგინე: უსაფუაროდ ცომი არ ამოვა და პურს ვერ გამოაცხობ. რა იყო ის ბოროტი საფუარი, რომელიც ვიღაცამ, ბედმა თუ ეშმაკმა, ჩადო ტამპლიერთა და თავისუფალ კალატოზთა ჯანსაღ სხეულში, რომ მათგან ყველა დროის სექტებიდან ყველაზე ეშმაკეული ამოზრდილიყო?

აქ ბაბუა გაჩერდებოდა ხოლმე, ხელებს გულზე დაიკრეფდა, თითქოს ყურადღების უკეთ მოსაკრებად, და წინასწარ გათვლილი, ტრიუმფალური, თუმცა ვითომ მოკრძალებული, ეშმაკური ღიმილით დააგვირგვინებდა: – ადამიანი, რომელსაც პირველს ეყო გამბედაობა ამის სათქმელად, ბაბუაშენია, ბიჭუნავ. როგორც კი ბარუელის წიგნი წავიკითხე, წერილი მივწერე. მიდი კარადასთან და ზარდახშა მომიტანე.

ვემორჩილებოდი. ბაბუა ზარდახშას გახსნიდა მოოქროვილი გასაღებით, რომელიც მუდამ კისერზე ეკიდა და ორმოცი წლის წინ დაწერილ გაყვითლებულ ფურცელს იღებდა.

– ეს წერილის დედანია. მერე საგანგებოდ გადავათეთრე ბარუელისთვის გასაგზავნად.

მახსოვს, როგორ კითხულობდა ბაბუა, დროდადრო თეატრალურად ჩერდებოდა.

*„ბატონო ჩემო, ნუ იუკადრისებთ ერთი უბირი სამხედრო პირის გულითად მოლოცვასა და უსაზღვრო აღფრთოვანებას თქვენი ნაშრომით, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი საუკუნის საუკეთესო თხზულებად. რაოდენ ოსტატურად ამხილეთ ის ბინძური სექტები, ნიადაგს რომ უმზადებენ ანტიქრისტეს და სასტიკად ემტერებიან არა მხოლოდ ქრისტიანობას, არამედ ნებისმიერ სარწმუნოებას, ნებისმიერ საზოგადოებასა და სახელმწიფო წყობას! მაგრამ მათ შორის არის ერთი, რომელსაც თქვენ მხოლოდ გაკვრით ახსენებთ. ალბათ, საგანგებოდ მოიქეცით ასე, რადგან ის ყველაზე განთქმულია და ამ თვალსაზრისით, შეიძლება, სხვებზე ნაკლებ საშიშიც იყოს. მაგრამ, ჩემი აზრით, სწორედ ამ სექტის ხელშია დღეს ყველაზე დიდი ძალაუფლება, თუ გავითვალისწინებთ მის უსაზღვრო სიმდიდრესა და ძლიერ მფარველებს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. როგორც მიხვდით, ბატონო ჩემო, იუდეველთა სექტაზე მოგახსენებთ. ის თითქოს სრულიად ცალკე მდგომი და სხვა სექტების მტერია, მაგრამ სინამდვილეში ასე არაა. დააკვირდით, საკმარისია, თქვენ მიერ ჩამოთვლილთაგან რომელიმე დაჯგუფებამ აშკარად გამოავლინოს ქრისტეს მტრობა, რომ ურიათა ხროვაც მას ემხრობა, იცავს, აფინანსებს. არაერთხელ გვინახავს და ახლაც ვხედავთ, როგორ აძლიერებს ებრაული ოქრო-ვერცხლი თანამედროვე სოფისტებს, ფრანკმასონებს იაკობინელებს, ილუმინატებს! ასე*

*რომ, ებრაელებიც იმ დიდი დაჯგუფების წევრები არიან, სხვა სექტებთან ერთად, რომელიც ქრისტეს სახელის გასანადგურებლად იბრძვის. არ იფიქროთ, ბატონო ჩემო, რომ ეს ყველაფერი ჩემი ფანტაზიის ნაყოფია. ისეთს არაფერი ვამბობ, რაც თავად ებრაელებისგან არ გამიგონია...“*

– და როგორ იგებდით ასეთ რამეებს ებრაელებისგან?

– სავოიის არმიის ყმაწვილი ოფიცერი ვიყავი, ოციოდე წლის, როცა ნაპოლეონმა სარდინიის მიწები დაიპყრო. მილეზიმოში დავმარცხდით, პიემონტი საფრანგეთმა დაიკავა. უღმერთო ბონაპარტისტებმა იზეიმეს, გააფთრებულები ნადირობდნენ მეფის ჯარის ოფიცრებზე, ერთი სული ჰქონდათ, უკანასკნელი ჩვენგანიც კი ხეზე ჩამოეკონწიალებინათ. ოფიცრის ფორმით სიარული კი არა, სადმე გამოჩენაც კი საშიში იყო. მამაჩემი ვაჭარი იყო, ერთ მევახშე ებრაელთან ჰქონდა საქმე, რომელიც არ ვიცი, რით, მაგრამ რაღაცით იყო დავალებული მამასგან. ჰოდა, სანამ საფრთხე გადაივლიდა, ქალაქში გამოჩენას და ფლორენციაში ნათესავებთან ჩასვლას მოვახერხებდი, იმ ებრაელმა რამდენიმე კვირით გეტოში შემიფარა თავის ნაცნობებთან. ცხადია, ცეცხლის ფასად მომაქირავა ოთახი... გეტო მაშინ აქვე იყო, ჩვენი სახლის უკან, სან-ფილიპოსა და დელე როზინეს ქუჩებს შორის. სულ არ მეპიტნავებოდა იმ ხალხში გარევა, მაგრამ ის ერთადერთი ადგილი იყო, სადაც არავინ მომძებნიდა: ებრაელები იქიდან ვერ გამოდიოდნენ და წესიერი ხალხი იქაურობას არ ეკარებოდა.

გეტოს ხსენებაზე ბაბუა თვალებზე ხელს აიფარებდა ხოლმე, თითქოს იქაურობის მოგონებაც კი ზარავდა: – მოკლედ, სანამ საფრთხე გადაივლიდა, იმ ბინძურ მიწურში ვცხოვრობდი. ზოგჯერ რვა კაცს ერთად ეძინა: სამზარეულო, საძინებელი და ტუალეტი ერთი ოთახი იყო, მოსასაქმებელი სათლიც იქვე ედგათ. ყველანი ცვილივით ფერმკრთალები იყვნენ, სევრის

ფაიფურივით მოლურჯო კანით, მუდამ სიბნელეს ეძებდნენ, თითქოს შუქი აშინებდათ. გეგონებოდა, წვეთი სისხლიც არ აქვთო სხეულში, მოყვითალო, თევზის ნაღვლისფერი თმა და ჟღალი წვერი ჰქონდა ყველას. შავგვრემანებს გახუნებული რედინგოტის ფერი დაჰკრავდა თმა-წვერზე... ჩემს მყრალ ბუნაგში ვერ ვჩერდებოდი და გაუთავებლად გარეთ დავეხეტებოდი. ახლაც შესანიშნავად მახსოვს ეზოების სახელები: დიდი ეზო, მღვდლების ეზო, ვენახის ეზო, ტავერნის ეზო და ტერასის ეზო. ეზოები ვიწრო, გადახურული, შემზარავი დერეფნებით უკავშირდებოდა ერთმანეთს, რომლებსაც შავბნელ პორტიკებს ეძახდნენ. დღეს კარლინას მოედანზეც კი შემოგხვდება ურია, უფრო სწორად, სავოიას ოჯახს აღარ შერჩა ნიფხავი, თორემ ურიას სად არ გადაეყრები... მაგრამ მაშინ ებრაელები ერთმანეთზე მიკრულები დაიძურწებოდნენ იმ ძუნძგლიან ჩიხებში. მე კი, იმ ზინზლით გაპოხილ ბრბოში გარეულს (ბონაპატრისტების მეშინოდა, თორემ იქ რა გამაძლებინებდა!),ზიდებისაგან კუჭი ყელში მებჯინებოდა...

ბაბუა ჩერდებოდა, ბაგეზე სველ ხელსახოცს გადაისვამდა, თითქოს აუტანელი გემო უნდა მოიცილოს პირიდანო. – თანაც, მათი მადლიერიც უნდა ვყოფილიყავი, რომ სიცოცხლე შევინარჩუნე. ღმერთო, რა დამცირება იყო! ჩვენ, ქრისტიანებს, გვეზიზღებოდა ებრაელები, მაგრამ მათაც არ ვეპიტნავებოდით: ისევე ვძულდით, როგორც ახლა ვძულვართ. მოკლედ... იმ ებრაელებს ვუთხარი, ლივორნოში, ებრაულ ოჯახში დავიბადე, მაგრამ ბავშვობიდანვე ნათესავები მზრდიდნენ, რომლებმაც, საუბედუროდ, ქრისტიანულად მომნათლეს, თუმცა გულში მუდამ იუდეველად დავრჩი-მეთქი. ჩემი ამბავი დიდ შთაბეჭდილებას არ ახდენდა მათზე, რადგან – ასე ამბობდნენ – ბევრი მათგანი იყო მსგავს მდგომარეობაში და ასეთ რამეებს ყურადღებასაც აღარ აქცევდნენ. მაგრამ ჩემმა მონათხრობმა ერთ მოხუცთან დამაახლოვა, რომელიც „ტერასის ეზოში“

ცხოვრობდა, თონის გვერდით, სადაც პასექის პურს აცხობდნენ.

იმ შეხვედრის მოგონებაზე ბაბუა გამოცოცხლდებოდა ხოლმე: თვალებს ატრიალებდა, ხელებს იქნევდა, არტისტულად ბაძავდა მოხუც ებრაელს. მორდეხაი სირიული წარმოშობის ყოფილა და დამასკში ერთ შემზარავ ამბავში გარეულა. ერთხელ ქალაქში არაბი ბიჭუნა დაკარგულა და ამაში თურმე ებრაელებს ადანაშაულებდნენ, რადგან ხალხს სჯეროდა, რომ ებრაელები თავიანთი რიტუალებისთვის ქრისტიან ყრმებს ხოცავდნენ. მოგვიანებით ჭის ფსკერზე უპოვიათ ბავშვის გვამის ნარჩენები: მკვლელებს ჯერ წვრილად აეკუწათ ბიჭუნა, მერე კი სანაყში დაეჩეჩქვათ მისი სხეულის ნაჭრები. ეს დანაშაული ძალიან ჰგავდა იმას, რასაც ებრაელებს აბრალებდნენ ხოლმე. ჟანდარმებს დაუდგენიათ, რადგან პასექი ახლოვდება და ურიებს ქრისტიანის სისხლი სჭირდებათ მაცას მოსაზელად, ალბათ, ქრისტიანი ვერ მოიხელთეს, ამიტომ არაბი ბიჭუნა შეიპყრეს, მონათლეს და მერე მოკლესო.

– ხომ იცი, – მეუბნებოდა ბაბუა, – მნიშვნელობა არ აქვს, ვინ აღასრულებს ნათლობის საიდუმლოს, ადამიანი მონათლულად ითვლება, თუ მომნათლავი რომის ეკლესიის წესების დაცვით ჩაატარებს რიტუალს. მზაკვარმა იუდეველებმა ეს შესანიშნავად იციან და უტიფრად წარმოთქვამენ ამ სიტყვებს: „გნათლავ ისე, როგორც მოგნათლავდა ქრისტიანი, მოთაყვანე კერპისა, რომლისაც მე არ მწამს“. პატარა მსხვერპლს იმაში მაინც უმართლებდა, რომ სამოთხეში ხვდებოდა, თუმცა კი ეშმაკის წყალობით.

მაშინვე მორდეხაიზე მიუტანიათ ეჭვი. უწამებიათ, რომ დანაშაულში გამოეტეხათ: ზურგზე ხელებშეკრულს და ფეხებზე ლოდებგამობმულს საგანგებო მოწყობილობით ზევით სწევდნენ თურმე და მერე მთელი ძალით ძირს ანარცხებდნენ. თორმეტიოდეჯერ გაუმეორებიათ ასე. საცოდავს ცხვირთან გოგირდს

უხრჩოლებდნენ, გაყინულ წყალში სვამდნენ და წყლიდან თავს არ აყოფინებდნენ, სანამ არ დანაშაული არ ულიარებია. წამებისთვის რომ ბოლო მოეღო, იმ უბედურს ხუთი თანამზრახველიც კი დაუსახელებია, რომლებსაც თურმე არაფერი აკავშირებდათ მომხდართან. ის ხუთი ადამიანი სიკვდილით დაუსჯიათ, კიდურებდამტვრეული და ნაწამები მორდეხაი კი გაუთავისუფლებიათ, თუმცა გონება ამღვრეული ჰქონია საბრალოს. ვიღაც ღვთისნიერს გენუაში მიმავალ გემზე აუყვანია და იქაურობისთვის გაურიდებია, რომ თავად ებრაელებს არ ჩაექოლათ. იმასაც ამბობდნენ, გემზე ვიღაც ბარნაბიტმა აცდუნა და თავის სჯულზე გადაიყვანაო. ოღონდ კი ვინმე დახმარებოდა, მორდეხაი მაშინვე დათანხმებია სჯულის შეცვლას, როგორც კი სარდინიის სამეფოს მიწაზე დაუდგამს ფეხი. თუმცა გულში წინაპართა აღმსარებლობის ერთგული დარჩენილა. მოკლედ, მორდეხაი სწორედ ის იყო, ვისაც ქრისტიანები მარანებს ეძახიან. ტურინში დაბრუნებულს, გეტოში უთხოვია თავშესაფარი, უთქვამს, სჯულისთვის არასოდეს მიღალატიაო, მაგრამ ბევრს არ სჯეროდა თურმე მისი იუდეველობა და ქრისტეს ერთგულად მიაჩნდა. ანუ მორდეხაი ორმაგად მარანი გამოდიოდა. მაგრამ ზღვის გაღმიდან მოღწეულ ჭორებს ვერავინ დაადასტურებდა, თან ხალხი თავს ვალდებულად თვლიდა, გონებასუსტს დახმარებოდა და მორდეხაისაც მათხოვრობით გაჰქონდა თავი, ერთ პატარა სოროში იყო შეყუჟული, რომელსაც გეტოს ბუნაგების ბინადრებიც კი არ კადრულობდნენ.

ბაბუაჩემი ამბობდა, დამასკში მომხდარზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ ბებერი მორდეხაი გიჟი სულაც არ იყო, უბრალოდ, სულით ხორცამდე სძულდა ქრისტიანებიო. იმ ბნელ სოროში აკანკალებული ხელებით ებღაუჭებოდა თურმე ბაბუას მაჯაზე, სიბნელეში თვალები უელავდა და სისინებდა, მას შემდეგ შურისძიებას მივუძღვენი ჩემი სიცოცხლეო. მასვე უთქვამს ბაბუაჩემისთვის, თალმუდი პირდაპირ უბრძანებდა ქრისტიანთა

სიძულვილს თავის მიმდევართ; ებრაელებმა შექმნეს ფრანკმასონები ქრისტიანთა გასანადგურებლად, მათი ერთ-ერთი უხილავი წინამძღოლი კი თავად ვიყავი და ნეაპოლიდან ლონდონამდე სწორედ მე განვაგებდი მასონთა ლოჟებსო; მაგრამ იძულებული ვარ, დავიმალო, რადგან იეზუიტები სასტიკად მდევნიან და სადაც წამასწრებენ, იქვე ამომხდიან სულსო.

ლაპარაკისას თვალებს ისე აცეცებდა, თითქოს ყველა მხრიდან ხმალმოღერებული იეზუიტის გამოჩენას ელისო. მერე ხმაურით მოიხოცავდა ცხვირს, თავის გაჭირვებაზე წაიწუწუნებდა, თან მზაკვრულად ჩაიღიმებდა, ეტყობოდა, სიამოვნებდა და ახალისებდა ის, რომ სამყაროს წარმოდგენაც არ ჰქონდა მის იდუმალ ძალაზე. ფარისევლურად ეთათუნებოდა ხელებზე სიმონინის, ეუბნებოდა, თუ მოისურვებ, ჩვენი სექტა სიხარულით მიგიღებს, შეგიძლია, მასონთა ყველაზე საიდუმლო ლოჟის წევრი გახდეო.

მასვე უთქვამს ბაბუასთვის, მანის – მანიქეველთა სექტის წინასწარმეტყველს და მზაკვარ „მთის მოხუცსაც“, რომელიც ჰაშიშით უბნელებდა გონებას თავის ასასინებს და ქრისტიან მთავართა მოსაკლავად აგზავნიდა, ებრაული სისხლი ჰქონდათო. ამბობდა, ფრანკმასონებისა და ილუმინატების სექტები ორი ებრაელის დაფუძნებულია და ებრაული ძირი აქვს ყველა ანტიქრისტიანულ სექტას, რომლებიც ახლა ისე მომრავლდნენ მსოფლიოში, რომ მათი რიცხვი მილიონს აღწევს და მათ რიგებში არა მხოლოდ ყველა სქესის, ეროვნების, რანგისა და მდგომარეობის ადამიანები არიან, არამედ საეკლესიო პირები და რამდენიმე კარდინალიცო. ზოგი იმასაც კი არ გამორიცხავს, რომ პაპიც სექტის წევრი იყოსო (მართლაც, მრავალი წლის შემდეგ წმინდა პეტრეს ტახტზე ისეთი საეჭვო პიროვნება ავიდა, როგორიც პიუს IX გახლდათ, ასე რომ ბაბუას მაშინდელ ვარაუდებში წარმოუდგენელი არაფერი იყო). ამბობდა, ქრისტიანთა მოსატყუებლად ებრაელებს ხშირად მოჰქონდათ თავი

ქრისტიანებადო, ქალაქიდან ქალაქში დადიოდნენ და მოქრთამული მღვდლებისგან ნაყიდ ყალბ ნათლობის მოწმობებს აჩვენებდნენ ხალხს, იმედოვნებდნენ, რომ ფულითა და ხრიკებით მთავრობებისაგან მოქალაქის სტატუსს მიიღებდნენ, როგორც ეს ბევრ ქვეყანაში მოახერხეს კიდეც. როგორც კი მოქალაქეობას მიიღებდნენ, უძრავი ქონების, მიწების შესყიდვას დაიწყებდნენ, მევახშეობით ტყავს გააძრობდნენ ქრისტიანებს და მათ ქონებას დაეპატრონებოდნენ. ამბობდა, განზრახული აქვთ, ერთ საუკუნეში მთელი სამყარო ჩაიგდონ ხელში, ყველა სხვა სექტა გაანადგურონ და მხოლოდ საკუთარს დაუთმონ სარბიელი, იმდენივე სინაგოგა ააშენონ, რამდენიც ქრისტიანული ტაძარია ქვეყანაზე და ქრისტიანები საბოლოოდ დაიმონონო.

– ჰოდა, – ასკვნიდა ბაბუა, – ეს ყველაფერი ბარუელს გავუმხილე. შეიძლება, ცოტა გადავაჭარბე, როცა ვუთხარი, ბევრისგან მსმენია-მეთქი, რაც სინამდვილეში მხოლოდ ერთი კაცის პირიდან მქონდა გაგონილი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი და ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ბებერი მართალს მეუბნებოდა. თუ კითხვას დამამთავრებინებ, გეტყვი, რა მივწერე.

და კითხვას განაგრძობდა:

*„აი, ბატონო, ასეთია ებრაელთა მზაკვრული გეგმები, რაც მე საკუთარი ყურით მომისმენია... რაოდენ სასურველი იქნება, თქვენი ძლიერი ხელით აუხილოთ თვალი ქალაქთა მთავრობებს, მიუთითოთ მათ, როგორ მოთოკონ ეს ერი და დააბრუნონ იმ მორჩილ, ქედმოდრეკილ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენი მამები, ჩვენი ყველაზე ბრძენი და წინდახედული პოლიტიკოსები ამყოფებდნენ მათ. ბატონო ჩემო, გთხოვთ, მიუტევოთ იტალიელ ჯარისკაცს შეცდომები, რომლებსაც ამ წერილში წააწყდებით. იმედი მაქვს, უფალი გულუხვად მოგიზღავთ სიკეთეს იმ ბრწყინვალე ნაშრომებისთვის, რომლებითაც ჩვენი ეკლესია გაამდიდრეთ. დაე მანვე შთააგონოს*

*თქვენს ყველა მკითხველს ის თაყვანისცემა და აღფრთოვანება, რომლითაც მე განვიმსჭვალე თქვენდამი - თქვენი უმორჩილესი და უმდაბლესი მონა, ჯოვანი ბატისტა სიმონინი“.*

ამ ადგილას ბაბუა ჩერდებოდა, წერილს კვლავ ზარდახშაში ინახავდა, მე კი ვეკითხებოდი: – და აბატმა ბარუელმა რა გითხრა?

– პასუხის ღირსადაც არ ჩამთვალა, მაგრამ რამდენიმე გავლენიანი მეგობარი მყავდა რომის ეკლესიაში და მათგან გავიგე, თურმე იმ ლაჩარს შეშინებია, რომ ამ ჭეშმარიტების გავრცელებით ებრაელთა მიმართ საყოველთაო სიძულვილი და მტრობა იფეთქებდა, მას კი გამბედაობა არ ყოფნიდა საამისოდ: მიაჩნდა, რომ ებრაელთა შორისაც იქნებოდნენ უმწიკვლო ადამიანები. თუმცა, მგონი, სხვა მიზეზიც ჰქონდა: ზოგიერთი იმდროინდელი გავლენიანი ფრანგი ებრაელის გამოც შეიკავა თავი. როცა ნაპოლეონი დიდი სინედრიონის წარმომადგენლებს შეხვდა, რათა მათი მხარდაჭერა მოეპოვებინა საკუთარი ამბიციების გასამყარებლად, ვფიქრობ, მაშინ დაარწმუნა ვიღაცამ აბატი, რომ წყლის ამღვრევა არ ღირდა. მაგრამ ბარუელს მთლად გაჩუმებაც არ უნდოდა, ამიტომ ადგა და ჩემი წერილის დედანი პაპ პიუს IX-ს გაუგზავნა, ასლები კი – რამდენიმე ეპისკოპოსს. უფრო მეტიც, წერილის ერთი ასლი კარდინალი ფეშისთვისაც გაუგზავნია – რომელიც მაშინ გალიას მართავდა – რათა მას ნაპოლეონისთვის გაეცნო იგი. პარიზის პოლიციის უფროსისთვისაც მიუწოდებია წერილის ასლი. გავიგე, პარიზის პოლიციას გამოძიება ჩაუტარებია რომაულ სამწყსოში იმის გასარკვევად, სანდო იყო თუ არა ჩემი სიტყვა (ვაი, რომ იყო და ეს კარდინალებმაც ვერ უარყვეს!). მოკლედ, ბარუელმა ქვა ისროლა და ხელი დამალა, არ უნდოდა ისეთი აყალმაყალი გამოეწვია, რაც მის წიგნსაც კი არ მოჰყოლია. ვითომ ხმა არ ამოიღო, მაგრამ ჩემი აღმოჩენა ნახევარ მსოფლიოს გააგებინა.

უნდა იცოდე, რომ ბარუელი იეზუიტებთან იზრდებოდა, სანამ ლუი XV-მ საფრანგეთიდან არ განდევნა ისინი. მღვდლად ეკურთხა, მაგრამ მაშინვე დაუბრუნდა იეზუიტებს, როგორც კი პიუს VII-მ კანონიერება აღუდგინა ორდენს. კარგად იცი, რა გულანთებული კათოლიკე ვარ და როგორი მოწიწებით ვიხრი ქედს ანაფორის წინაშე, მაგრამ ფაქტია, რომ იეზუიტი ყოველთვის იეზუიტია, ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს, ერთს აკეთებს და მეორეს ამბობს. ბარუელიც ასე მოიქცა...

ბაბუა ჩაიხითხითებდა ხოლმე, აქა-იქ შემორჩენილი, ჩოლერა კბილები ნერწყვს ვერ უკავებდა და სახეში მეშხეფებოდა, ძალიან ახალისებდა თავისი ეშმაკობის გახსენება. – იცი, ჩემო სიმონინო, – მეტყოდა ბოლოს, – ბებერი ვარ, არ მინდა, ჩემი ხმა იქცეს ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. თუ ყური არ დამიგდეს, მამალმერთის წინაშე მოუწევთ პასუხისგება. თქვენ, ახალგაზრდებს, მაინც მინდა, გადმოგცეთ სიმართლის ჩირაღდანი ახლა, როცა წყეული ებრაელები ასე მომძლავრდნენ და ჩვენი ლაჩარი მეფე კარლო ალბერტო სულ უფრო ქედს უხრის მათ. თუმცა, ალბათ, ისიც ებრაული შეთქმულების მსხვერპლია...

– ტურინშიც არიან შეთქმულები? – ვეკითხებოდი.

ბაბუა მიმოიხედავდა, თითქოს ვიღაც ისმენდა მის სიტყვებს. დაისის ჩრდილები ავსებდა ამ დროს ოთახს. – ყველგან არიან, – მპასუხობდა. – იცოდე, ეს დაწყევლილი ჯიშია და მათი თალმუდი პირდაპირ ამბობს – ამას ყველა ხვდება, ვისაც ნათქვამის წაკითხვა ძალუძს – რომ ებრაელმა დღეში სამჯერ უნდა შეაჩვენოს ქრისტიანები და ღმერთს შესთხოვოს მათი განადგურება. თუ ებრაელი უფსკრულის პირას შეხვდა ქრისტიანს, მოვალეა, ხელი ჰკრას და ხრამში გადაჩეხოს. იცი, რატომ დაგარქვეს სიმონინო? მე მოვისურვე, რომ შენს მშობლებს ეს სახელი დაენათლათ შენთვის, წმინდა სიმონინოს, ებრაელთაგან გატაცებული და წამებული ყრმის, პატივსაცემად. შორეულ მე-




*...მეჩვენება, რომ მესმის კიდეც კიბეზე იმ საშინელი ბებრუხუნას ფეხის ხმა, შემოდის და თავის საძაგელ ბუნაგში მიმათრევს, რომ ძალით მაჭამოს ნაწამებ ქრისტიან ჩვილთა სისხლით მოზელილი სეფისკვერები...*

თოთხმეტე საუკუნეში ტრენტოში მოხდა ეს ამბავი: ნაკუწებად აქციეს საბრალო ბავშვის სხეული, რათა თავიანთ ბინძურ რიტუალებში გამოეყენებინათ მისი უმანკო სისხლი.

***

– თუ ჭკუით არ იქნები და ახლავე არ დაიძინებ, საშინელი მორდეხაი მოგაკითხავს ღამით, – ასე მემუქრება ბაბუა. მეც ვცდილობ, დავიძინო სხვენში, ჩემს პატარა ოთახში და თან ძველი სახლის ჭრიალს ვაყურადებ გულგახეთქილი, მეჩვენება, რომ მესმის კიდეც კიბეზე იმ საშინელი ბებრუხუნას ფეხის ხმა, შემოდის და თავის საძაგელ ბუნაგში მიმათრევს, რომ ძალით მაჭამოს ნაწამებ ქრისტიან ჩვილთა სისხლით მოზელილი სეფისკვერები. ამ ყველაფერს ჩემი დამფრთხალი, ძილმორეული გონება ტერეზას – მოხუცი მსახური ქალის – მონათხრობში ურევს, რომელიც ჯერ კიდევ მამაჩემს აწოვებდა ძუძუს და ახლაც აჩრდილივით დაფრატუნებს სახლში. დუჟმოდენილი მორდეხაის ბუტბუტი ჩამესმის: „ანის... ანის... სუნი მცემს ქრისტი-ანის...“

***

თითქმის თოთხმეტი წლის ვარ და უამრავჯერ წამძლია სულმა, გეტოში შემეღწია. გეტო ძველ საზღვრებს ნელ-ნელა სცილდება, რადგან პიემონტში ადრინდელი შეზღუდვები უქმდება. ალბათ, როცა იმ ძველი, აკრძალული სამყაროს საზღვრებს ვუტრიალებ, აქა-იქ მხვდებიან კიდეც ებრაელები და მესმის, რომ ბევრმა მათგანმა მიატოვა ისტორიული კერა. ინილბებიან, – ამბობდა ბაბუა, – ისე ჩაგივლიან გვერდით, რომ ვერც კი იცნობ. გეტოს მისადგომებთან ყოველ დილას ვხედავდი ერთ შავთმიან გოგონას, კარლინას მოედანს გადაჭრიდა ხოლმე: ტილოგადაფარებული კალათით რაღაც მიჰქონდა მოედნის მეორე ბოლოში მდებარე ფარდულში. მწველი მზერა ჰქონდა, ხავერდოვანი თვალები, მუქი კანი... შეუძლებელია, ებრაელი

იყოს, ვფიქრობდი, შეუძლებელია, რომ ბაბუას აღწერილმა რასამ, მტაცებელი ფრინველივით კაუჭა ცხვირებითა და შხამიანი თვალებით, ასეთი ქალი შვას... არადა, აშკარად გეტოდან გამოდის.

პირველად ვუყურებ, ტერეზას გარდა, სხვა ქალს. ყოველ დილით გავდივარ მოედანზე და როგორც კი თვალს მოვკრავ შორიდან მომავალს, გული ბაგაბუგს მიწყებს. როცა ვერ ვხედავ, ადგილზე ვწრიალებ, ისე ვაწყდები აქეთ-იქით, თითქოს თავშესაფარს ვეძებდე და თან ვერ გადამეწყვიტოს, საით წავიდე. ბაბუა კი ამ დროს სახლში მელოდება, გამწარებული ჩიჩქნის პურის გულს და ნერვიულად ზელს თითებით.

ერთ დილას გამბედაობას ვიკრებ, გოგონას ვაჩერებ და მორცხვად ვთავაზობ, კალათი წავალებინო. უხეშად მპასუხობს, რომ დახმარება არ სჭირდება. თან „ბატონოთი“ კი არ მომმართავს, „ბიჭუნას“ მიწოდებს. ამის მერე აღარც მიძებნია და აღარც მინახავს ის გოგო. სიონის შვილმა დამამცირა. იქნებ იმიტომ, რომ მსუქანი ვარ? ერთი ვიცი: იმ დღეს გამოვუცხადე ომი ევას ქალიშვილებს.

***

ბაბუამ არ მოისურვა საერო სკოლაში ჩემი გაშვება, ამბობდა, იქ მხოლოდ კარბონარები და რესპუბლიკელები ასწავლიანო. ის წლები მარტომ გავატარე სახლში, ბოღმით გავცქეროდი ხოლმე ფანჯრიდან მდინარის პირას მოთამაშე ბავშვებს. თითქოს რაღაცას მართმევდნენ, რაღაცას, რაც მე მეკუთვნოდა. დანარჩენ დროს კი იეზუიტ მღვდელთან ერთად ოთახში გამოკეტილი ვატარებდი. ვიზრდებოდი და ბაბუაც ყოველწლიურად საგანგებოდ მირჩევდა მასწავლებლებს იმ ანაფორიანი ყვავყორნებიდან, გარს რომ ეხვივნენ. გულით მძულდა თითოეული მათგანი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ წკეპლას მირტყამდა თითებზე, თუ რამე შემეშლებოდა, არამედ იმიტომაც, რომ მა-

მაჩემი (ათასში ერთხელ, როცა ჩემთვის მოიცლიდა) პატარაობიდან მინერგავდა მღვდლებისადმი სიძულვილს.

– ჰო, მაგრამ ჩემი მასწავლებლები მღვდლები კი არა, იეზუიტი მამები არიან, – ვეუბნებოდი ხოლმე მამას.

– მით უარესი, – მპასუხობდა. – არასოდეს ენდო იეზუიტებს. იცი, რა დაწერა ერთმა წმინდა მღვდელმა? კარგად დააკვირდი, „მღვდელს“ ვამბობ და არა „მასონს“, „კარბონარს“, „სატანის მსახურ ილუმინატს“ – მე ხომ სულ ამაში მადანაშაულებენ! დიახ, სწორედ ანგელოზებრივად სათნო მოძღვარმა, აბატმა ჯობერტიმ თქვა, რომ იეზუიტობა აკნინებს, თელავს, ტვინს უმღვრევს, ცილს სწამებს, დევნის და ღუპავს თავისუფალი სულით დასაჩუქრებულ ადამიანებს; სწორედ იეზუიტობა განდევნის საჯარო სამსახურებიდან სათნოთა და ღირსეულთ და უგვანი ნაძირლებით ანაცვლებს მათ; სწორედ იეზუიტობა აბრკოლებს, თრგუნავს, ამახინჯებს და რყვნის ათასგვარად განათლებას, საზოგადოებაში თესავს ღვარძლს, უნდობლობას, სიხარბეს, სიძულვილს, მრისხანებას; ადამიანებს, ოჯახებს, კლასებს, სახელმწიფოებს, მთავრობებსა და ერებს შორის ფარულსა თუ ხილულ უთანხმოებებს აღვივებს. იეზუიტობა აბნელებს გონებას, იმორჩილებს ადამიანის გულსა და ნებას, ახალგაზრდებს უდისციპლინობით სპობს, ზრდასრულთ – მიმტევებლური, ფარისევლური მორალით; იეზუიტობა ამარცხებს მეგობრობას, კლავს ოჯახურ სითბოს, მოწყალებას, სამშობლოს წმინდა სიყვარულს მოქალაქეებში... არ არსებობს ქვეყნად იესოს სექტაზე უფრო უსულგულო (ასე თქვა, მახსოვს), სასტიკი და დაუნდობელი სექტა, როცა მათ ინტერესებს ეხება საქმე. ალერსიანი სახის, დათაფლული სიტყვის, თვინიერი, დამყოლი საქციელის მიღმა ნამდვილ იეზუიტს, რომელიც ღირსეულად პასუხობს ორდენის დისციპლინასა და ზემდგომთა მითითებებს, რკინის სული უდგას, სრულიად უგრძნობი ყველაზე წმინდა და სათუთი სიყვარულისადმი. იეზუიტი მკაცრად ასრულებს

მაკიაველის მითითებას, რომლის თანახმადაც სამშობლოს კეთილდღეობის სახელით სამართალსა და უსამართლობას, გულმოწყალებასა და სისასტიკეს შორის ზღვარი იშლება. ამიტომაც ზრდიან იეზუიტებს კოლეჯებში, ბავშვობიდანვე არიდებენ ოჯახურ სითბოს, მეგობრებს. იეზუიტი სრულიად მარტოა და ვალდებულია, დაუმტკიცოს ზემდგომთ, რომ მათი ბრძანებით ყველაზე ძვირფას ადამიანსაც კი გასწირავს, ნებისმიერ გულისთქმას დაითრგუნავს და ორდენს სრულ მორჩილებას დაუდასტურებს, *perinde ac cadaver*.[6] ჯობერტი ამბობდა, ინდოელი ფასინგარები, იგივე სულთამხუთავები, მტერს ან თოკით მოახრჩობდნენ, ან ყელს გამოსჭრიდნენ და თავიანთ კერპს სწირავდნენ მსხვერპლად, იტალიელი იეზუიტები კი სულს კლავენ, ქვეწარმავლებივით, ენით ან კალმითო.

– თუმცა ყოველთვის მეცინებოდა იმაზე, – დაასკვნიდა ხოლმე მამა, – რომ თავისი მოსაზრებების დიდი ნაწილი ჯობერტის გადაწერილი ჰქონდა ეჟენ სიუს რომანიდან „მარადი ურია“, რომელიც ჯობერტის ნაშრომზე ერთი წლით ადრე გამოვიდა.

***

მამაჩემი. ოჯახის მარადიული თავსატეხი. ბაბუას თუ დაუჯერებდი, მამა კარბონარებთან იყო შეკრული. მამაჩემი კი, ბაბუა რომ თავისი მოსაზრებების ფრქვევას შეუდგებოდა, ჩამიჩურჩულებდა ხოლმე, მაგის ნაბოდვარს ყურადღება არ მიაქციოო. არ ვიცი, ბაბუას შიშით, პატივისცემით, თუ უბრალოდ იმიტომ, რომ ფეხებზე ვეკიდე, თავის იდეალებზე ჩემთან კრინტი არასოდეს დაუძრავს. მაგრამ ხან იეზუიტ ბერებთან ბაბუას ლაპარაკს მოვკრავდი ყურს, ხანაც – ტერეზას ჩურჩულს მეკარესთან და ბოლოს მივხვდი, რომ მამა იმათგანი იყო, ვინც არა მხოლოდ

[6] „ვითარცა გვამი“ (ლათ.). წმინდა ეგნატე ლოიოლას მოწოდება; სიტყვები იეზუიტთა საძმოს დამფუძნებელი აქტიდან.

რევოლუციასა და ნაპოლეონს ემხრობოდა, არამედ ოცნებობდა იტალიაზე, რომელიც მალე დააღწევდა თავს ავსტრიის იმპერიას, ბურბონებსა და პაპს და გახდებოდა *ერი* (სიტყვა, რომლის წარმოთქმაც ბაბუას თანდასწრებით არ შეიძლებოდა).

***

ჩემი პირველი მასწავლებელი, პადრე პერტუზო, პროფილში კვერნას ჰგავდა. პადრე პერტუზომ პირველმა მაზიარა თანამედროვე ისტორიას (რადგან ბაბუა მხოლოდ წარსულის შესახებ მანათლებდა).

მოგვიანებით კარბონარების მოწოდებებზე დაირხა ხმები. ეს ამბები მამას არყოფნაში მის სახელზე მოსული შეტყობინებებიდან გავიგე – ხანდახან ვახერხებდი მათ ხელში ჩაგდებას, სანამ ბაბუა გაანადგურებდა. მახსოვს, ლათინურსა და გერმანულში პადრე პერგამასკი მამეცადინებდა, ისე ახლოს იყო ბაბუასთან, რომ საკუთარი ოთახიც კი ჰქონდა ჩვენს სახლში, ჩემი ოთახის გვერდით. პადრე ბერგამასკი... პადრე პერტუზოსგან განსხვავებით, ახალგაზრდა, წარმოსადეგი კაცი იყო, დატალღული თმით, სასიამოვნო ნაკვთებით, კარგი მოსაუბრე. ღირსეულად ატარებდა – ყოველ შემთხვევაში, სახლში – გატკიცინებულ ანაფორას. მაგონდება მისი თეთრი ხელები, წვრილი თითები და საეკლესიო პირისათვის უჩვეულოდ წამოზრდილი ფრჩხილები.

წიგნებზე თავდახრილს მომიჯდებოდა ხოლმე, თავზე ხელს გადამისვამდა, შემახსენებდა, რამდენი საფრთხე ემუქრება თავქარიან ყმაწვილს; მიხსნიდა, კარბონარობა სხვა არაფერია, თუ არა უფრო დიდი უბედურების – კომუნიზმის შენიღბული ფორმაო.

– კომუნისტები, – მეუბნებოდა, – სულ ცოტა ხნის წინ საფრთხეს არც წარმოადგენდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც იმ მარშის (მგონი, ასე გამოთქვამდა) მანიფესტი გამოქვეყნდა, დროა,

ვამხილოთ მათი გეგმები. ალბათ, არაფერი გსმენია ინტერლაკენელ ბაბეტზე, ვაისჰაუპტის ღირსეულ შვილთაშვილზე, ქალზე, რომელსაც შვეიცარიული კომუნიზმის *დიადი ქალწული* უწოდეს.

იმ დღეებში ყველას მილანისა და ვენის ვნებათაღელვა ეკერა პირზე, პადრე ბერგამასკი კი შეპყრობილი იყო კათოლიკეებისა და პროტესტანტების რელიგიური დაპირისპირებით შვეიცარიაში. ვინ იცის, რატომ.

ბაბეტი უკანონო ბავშვი ყოფილა, ღრეობაში, ძარცვა-გლეჯასა და სისხლისღვრაში გაზრდილი; ღმერთის სახელი მხოლოდ ბინძურ მკრეხელთა პირიდან გაეგონა. ლუკარნოსთან მომხდარ შეტაკებაში რადიკალებს სწორედ ბაბეტის დახმარებით ამოუჟლეტიათ ახლომდებარე კანტონების მცხოვრები კათოლიკეები: ქალს მოწინააღმდეგისთვის თავგზის ასაბნევად იყენებდნენ. ქარზე აფრიალებული ქერა თმით ბაბილონის მეძავს ჰგავდაო, მშვენიერების საფარით ნიღბავდა იმას, რომ იდუმალ დაჯგუფებათა დესპანი იყო, დემონურ კონგრეგაციათა მიერ განწვრთნილი და მათ ხრიკებს ნაზიარები. წამში, ჭინკასავით, არსაიდან გაჩნდებოდა თურმე და ასევე უეცრად უჩინარდებოდა. არაადამიანური ძალის მქონე, დიპლომატიურ გზავნილებს იტაცებდა, ისე ხსნიდა დალუქულ გრაგნილებს, ლუქს არც კი ეხებოდა; ასპიტივით ძვრებოდა ვენის, ბერლინისა და თვით პეტერბურგის ცხრაკლიტულებში, თამასუქებს აყალბებდა, პასპორტებში ციფრებს ცვლიდა. ბავშვობიდან ნაზიარები ყოფილა საწამლავთა ხელოვნებას და სექტის მითითებების მიხედვით იყენებდა საკუთარ ოსტატობას. სატანის ასულს ჰგავდა თურმე, ისეთი გამანადგურებელი ყოფილა მისი ცეცხლოვანი სილამაზე, მისი მწველი მზერა.

თვალებდაჭყეტილი ვუსმენდი, ვცდილობდი, არ მეფიქრა მასზე, მაგრამ ყოველღამე მესიზმრებოდა ინტერლაკენელი ბაბეტი. ძილ-ღვიძილში ამაოდ ვცდილობდი, განმედევნა იმ ქე-



*...თვალებდახუჭული ვუსმენდი, ვცდილობდი, არ მე-
ფიქრა მასზე, მაგრამ ყოველღამე მესიზმრებოდა ინ-
ტერლაკენელი ბაბეტი...*

რადალალებიანი დემონის სახება, შიშველი, სურნელოვანი ეშმაკეული ჭინკა. მაგიჟებდა ის ულვთო, ცოდვილი, ამპარტავანი დიაცი ნდომით აცახცახებული ძუძუებით, ქვეცნობიერად კი ვეთაყვანებოდი მას და შიშის ზარს მცემდა იმის წარმოდგენაც კი, რომ თითით შევხებოდი ბაბეტის სხეულს. მწადდა, მეც მისნაირი ვყოფილიყავი: იდუმალი ნიჭით შემკული, ყოვლისშემძლე, პასპორტებსაც რომ აყალბებდა და საწინააღმდეგო სქესის უმწეო მსხვერპლთ გონებას უბნელებდა და თავს აკარგვინებდა.

***

ჩემს მასწავლებლებს კარგი ჭამა უყვარდათ. მეც ბავშვობიდან შემაჩვიეს ღორმუცელობას და დღემდე ასეთი ვარ. შეიძლება, ფუფუნებაში არ ვცხოვრობდით, მაგრამ ჩვენს სუფრას არაფერი აკლდა და მახსოვს, სათნო მამები როგორ გულდასმით, აღფრთოვანებით მსჯელობდნენ ხოლმე ბაბუას რეცეპტითა და მისივე მითითებებით სხვადასხვა ხორცისაგან მომზადებულ, ოხშივარადენილ კერძზე.

ამ კერძის ინგრედიენტებიც კარგად მახსოვს: ნახევარ-ნახევარი კილო საქონლის ბარკალი, გავა, კუდი, გულ-ღვიძლი, ხბოს ენა, ღორის კანჭები, მთლიანი დედალი, ერთი ხახვი, ორი სტაფილო, ორი კონა ნიახური და ერთი მუჭა ოხრახუში. ყველაფერი ცალ-ცალკე იხარშებოდა, რადგან სხვადასხვა ხორცს სხვადასხვა დრო სჭირდებოდა მოსახარშად, მაგრამ სამაგიეროდ – როგორც ბაბუა აღნიშნავდა და პადრე ბერგამასკიც კმაყოფილი უკანტურებდა თავს დასტურის ნიშნად – როცა ხორცს ლანგარზე გადმოიტანდი სუფრაზე მისატანად, მსხვილ მარილს მოაყრიდი და ჩამჩით მდუღარე ნახარშსაც მოასხამდი, კერძი საოცარ სურნელებას აფრქვევდა და ხორცის გემოც უფრო მკვეთრად იგრძნობოდა. გარნირად მხოლოდ კარტოფილს აყოლებდნენ, აი, საკაზმები კი უმნიშვნელოვანესი იყო: გნებავთ ყურძნის მწნილი ან პირშუშხას სოუსი, ხილის მარინადი

მდოგვით და, რაც მთავარია (ბაბუა ამ საკითხში უმცირეს კომპრომისსაც არ დაუშვებდა!), მწვანე საკაზმი: ერთი მუჭა ოხრახუში, ოთხიოდე ქაფშია, პურის ერთი ნაჭრის გული, ერთი კოვზი კაპერსი, ერთი კბილი ნიორი, ერთი მოხარშული კვერცხის გული. ამ ყველაფერს უწვრილესად დაჭრიდა, კარგად აურევდა და ზეითუნის ზეთითა და ძმრით შეაზავებდა.

ეს იყო, მახსოვს, ჩემი ყრმობისა და სიყმაწვილის სიამენი. სხვა რა უნდა მდომებოდა?

***

ჩახუთული საღამოა. ვმეცადინეობ. პადრე ბერგამასკი უსიტყვოდ მიჯდება უკან, მისი ხელი კეფაზე მეთათუნება. მოძღვარი ყურში ჩამჩურჩულებს, ასეთ სათნო და კეთილშობილ ბიჭუნას, რომელიც მედგრად უმკლავდება მტრული სქესის საცდურს, შემიძლია, მამობრივი მეგობრობის გარდა, ის სითბო და სიყვარულიც ვაჩუქო, რის მოცემაც მოწიფულ მამაკაცს შეუძლიაო.

იმის მერე მღვდელს სათოფეზე აღარ ვიკარებ. ვინ იცის, იქნებ აბატ დალა პიკოლად იმიტომ ვარ გადაცმული, რომ თავად ვუფათურო სხვებს ხელები?

***

ბაბუაჩემს უნდოდა, ვექილი გამოვსულიყავი (პიემონტის მხარეში ყველას ვექილი ერქვა, ვინც სამართალს სწავლობდა), ამიტომ შეეგუა იმას, რომ თვრამეტი წლისა სახლიდან გავეშვი, რათა უნივერსიტეტში გამეგრძელებინა სწავლა. უნივერსიტეტში პირველად მომიწია თანატოლებთან შეხება. მეტისმეტად დაგვიანებული იყო, უნდობლად ვუყურებდი გარშემომყოფთ. არ მესმოდა მათი გადაკრული ლაპარაკი, მოგუდული სიცილი, ეშმაკური მზერა გოგოებზე ლაპარაკისას. ხელიდან ხელში გადადიოდა ფრანგული წიგნები გულისამრევი ილუს-

ტრაციებით. მარტოობა და კითხვა მერჩივნა. მამას პარიზიდან ჰქონდა გამოწერილი „Le Constitutionnel“, სადაც ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა სიუს „მარადი ურია“. სულმოუთქმელად ველოდი იმ ნომრებს. იმ წიგნმა მიმახვედრა, როგორ გეგმავდა და ახორციელებდა იესოს ბინძური საძმო ყველაზე შემზარავ დანაშაულებებს კეთილთა და უმწეოთა დასამონებლად და მათი ქონების ხელში ჩასაგდებად. გარდა იეზუიტებისადმი უნდობლობის გაღვივებისა, სიუს წიგნმა მაზიარა ფელეტონების სიყვარულსაც: სხვენში მამაჩემის წიგნების ყუთს მივაგენი, რომელსაც, როგორც ჩანს, ბაბუას უმალავდა და, რადგან მეც ვუმალავდი ბაბუას ჩემს ახალ გატაცებას, მთელ საღამოებს სხვენში ვატარებდი, თვალებს ვითხრიდი „პარიზის საიდუმლოებანის“, „სამი მუშკეტერის“, „გრაფი მონტე-კრისტოს“ კითხვით...

მერე ის გასაოცარი 1848 წელიც დადგა. სტუდენტები პაპის ტახტზე კარდინალ მასტაი ფერეტის ასვლას ზეიმობდნენ, იმ პიუს მეცხრისა, რომელმაც ორი წლით ადრე ამნისტიით გაათავისუფლა პოლიტიკური დამნაშავეები. ის წელი მილანში ავსტრიის საწინააღმდეგო პირველი მოწოდებებით დაიწყო, მილანელებმა მოწევასაც კი დაანებეს თავი, რომ სამეფო ხაზინისათვის დარტყმა მიეყენებინათ (ჩემი ტურინელი მეგობრები გმირებად რაცხდნენ მილანელებს, რომლებსაც ჯარისკაცები და პოლიციელები სახეში აბოლებდნენ სურნელოვან სიგარებს, ისინი კი მედგრად უმკლავდებოდნენ საცდურს). წლის დასაწყისშივე ამბოხებებმა იფეთქა ორი სიცილიის სამეფოშიც და მეფე ფერდინანდ II კონსტიტუციის მიღებას დაჰპირდა ხალხს. მაგრამ მარტში – მას შემდეგ, რაც თებერვლის პარიზის სახალხო აჯანყებამ ლუი-ფილიპის ტახტი დაამხო, რესპუბლიკამ გაიმარჯვა (კიდევ ერთხელ და საბოლოოდ!), პოლიტიკური დანაშაულისთვის სიკვდილით დასჯა და მონობა გაუქმდა და საყოველთაო არჩევნები გამოცხადდა – პაპმა არა მხოლოდ კონსტიტუციის მიღება დაუშვა, არამედ პრესის თავისუფლებაც გამოაცხადა

და გეტოებში მცხოვრებ ებრაელებსაც მოუხსნა ზოგიერთი დამამცირებელი ვალდებულება. ამავე დროს მიიღო კონსტიტუცია ტოსკანის დიდმა ჰერცოგმაც, ხოლო კარლო ალბერტომ სარდინიის სამეფოების კანონები დაამტკიცა. ამას მოჰყვა ამბოხებები ვენაში, ბოჰემიასა და უნგრეთში და მილანის ხუთდღიანი აჯანყება, როცა პიემონტის ჯარმა ავსტრიელები გააძევა მილანიდან, რათა გათავისუფლებული ქალაქი პიემონტისთვის მიეერთებინა. ჩემი ამხანაგები კომუნისტური მანიფესტის გამოსვლაზე ჩურჩულებდნენ. ამ მანიფესტით აღფრთოვანებულები იყვნენ სტუდენტებიც, მუშებიცა და სხვა გაჭირვებულებიც, რომლებსაც სჯეროდათ, რომ მალე უკანასკნელი მეფის ნაწლავებზე ჩამოაკონწიალებდნენ უკანასკნელ მღვდელს.

თუმცა ყველა ახალი ამბავი სასიკეთო როდი იყო. კარლო ალბერტო დამარცხდა და მილანელებმა (და მათთან ერთად – ყველა პატრიოტმა) ის მოღალატედ გამოაცხადეს; თავისი მინისტრის მკვლელობით შეშინებული პიუს IX გაეტაში გაიქცა და ორი სიცილიის მეფის კარს შეაფარა თავი, მოკლედ, როგორც იტყვიან, ქვა ისროლა და ხელი დამალა. ახლა ველარ გამოიყურებოდა ისეთ ლიბერალად, როგორადაც ადრე მოჰქონდა თავი. მიღებული კონსტიტუციებიდანაც ბევრი გაუქმდა... მაგრამ ამასობაში რომში გარიბალდი და მაძინის პატრიოტები მოვიდნენ და მომდევნო წლის დასაწყისში რომის რესპუბლიკაც გამოცხადდა.

მარტში მამაჩემი საბოლოოდ გაქრა სახლიდან. ტერეზა დარწმუნებული იყო, მილანელ აჯანყებულებს შეუერთდაო, მაგრამ დეკემბერში ჩვენთან გაშინაურებულ ერთ იეზუიტს ამბავი მოუტანეს, მაძინის ხალხთან ყოფილაო, რომლებიც რომის რესპუბლიკის მართვის სადავეების ხელში ჩადგებას ლამობდნენ. ბაბუაჩემი შემზარავ წინასწარმეტყველებებს დამჩხაოდა თავზე, მისი სიტყვებით annus mirabilis მალე annus horribilis-ად[7]

[7] საოცრებათა წელი, საშინელებათა წელი (ლათ.).

გადაიქცეოდა. მართლაც, იმავე წელს პიემონტის მთავრობამ იეზუიტების ორდენის დევნა დაიწყო, ქონება ჩამოართვა მათთვის საბოლოოდ ბოლოს მოღების მიზნით. შემდეგ „მოიეზუიტო“, მაგალითად „წმინდა კარლოსა“ და „ნეტარი მარიას“, ორდენები და „ლიგუორისტებიც“ კი შემუსრა.

– ანტიქრისტე მოდის, – მოთქვამდა ბაბუა და, რაღა თქმა უნდა, ყველაფერს ებრაელთა მზაკვარ გონებას აბრალებდა; ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდებოდა, მორდეხაის საშინელ წინასწარმეტყველებაში იყო ჩაწერილი.

***

ბაბუა დევნილ იეზუიტ მამებს იფარებდა, რომლებიც ხალხის რისხვისაგან თავის დასაღწევად სეკულარულ წრეებში ცდილობდნენ შეღწევას. 1849 წლის დასაწყისში ბევრი მათგანი გამოიქცა რომიდან. ისეთ რამეებს ყვებოდნენ რომში დატრიალებულ ამბებზე, თმა ყალყზე დაგიდგებოდა.

პადრე პაკი. სიუს „მარადი ურიის“ წაკითხვის შემდეგ პადრე პაკი მამა როდენის განსახიერებად მეჩვენებოდა, უკუღმართი იეზუიტისა, ნებისმიერ მორალურ პრინციპს რომ დათმობდა საძმოს ინტერესების სასარგებლოდ. ალბათ, იმიტომაც მაგონებდა სიუს პერსონაჟს, რომ პადრე პაკიც მალავდა საკუთარ ვინაობას: გაქუცული საერო ტანსაცმლით დადიოდა, ზინტლიან, ქერტლით სავსე საყელოზე მომჩვარული ცხვირსახოცი შემოეხვია ჰალსტუხის ნაცვლად, შავი დაძენძილი ჟილეტი და ვეებერთელა, მუდამ ტალახშემხმარი წუღები ეცვა, რომლებითაც მოურიდებლად დააბოტებდა ხოლმე ჩვენს ლამაზ ხალიჩებზე. გამხმარი, წაწვეტებული, უსიცოცხლო სახე, საფეთქლებზე მიწებებული, გაპოხილი ჭაღარა, კუს თვალები და თხელი იისფერი ბაგეები ჰქონდა პადრე პაკის.

მის გვერდით ჯდომაც კი ზიზღის მომგვრელი იყო ყველასთვის, მაგრამ თითქოს ეს არ კმაროდაო, წმინდა მქადაგებლის

გამომეტყველებით სრულიად გულისამრევ, შემაძრწუნებელ ამბებს აფრქვევდა სუფრასთან, რომ ბოლომდე წაეხდინა მადა გარშემომყოფთათვის: – მეგობრებო, ხმა მიკანკალებს, მაგრამ მაინც უნდა გამცნოთ, რომ კეთრი პარიზიდან გავრცელდა! მართალია, ლუი-ფილიპი სეფისკვერის ცომივით წმინდა არ ყოფილა, მაგრამ ანარქიის შემაკავებელი ჯებირი ნამდვილად იყო. საკუთარი თვალით ვიხილე რომაელები ამ დღეებში! ნუთუ ეს იყო რომაელი ხალხი – ჩამოძონძილი, დილეგიდან გაქცეული ავაზაკები, რომლებიც ჭიქა ღვინისთვის სამოთხეს დათმობდნენ? ხალხი კი არა, მდაბიოთა ხროვაა, იტალიური თუ უცხოური ქალაქებიდან რომში ჩამოდენილ ყველაზე მდარე წუმპესთან შერეული: გარიბალდისა და მაძინის მიმდევრები, ბრმა იარაღი ყოველივე ბოროტებისა! არც იცით, რაოდენ უწმინდურია რესპუბლიკელთა ნამოქმედარი. ტაძრებს არბევენ, წმინდანთა და მოწამეთა საძვალეებს ხელყოფენ, მათ ფერფლს ქარს ატანენ და წმინდა ლარნაკებს მოსასაქმებელ ქოთნებად იყენებენ. საკურთხევლის წმინდა ქვებს განავალს აგლესენ, დანით სერავენ ღვთისმშობლის ქანდაკებებს, ფრესკებს თვალებს ჩიჩქნიან და ნახშირით ათას სიბილწეს აწერენ. ჩემი თვალით ვნახე, როგორ გამოათრიეს ტაძრიდან მღვდელი, რომელმაც რესპუბლიკის საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმა გაბედა, თვალები დათხარეს, ენა ამოგლიჯეს, მუცელი გამოფატრეს და საკუთარი ნაწლავებით დაახრჩვეს უბედური. რომი რომ გაათავისუფლონ კიდეც (ამბობენ, საფრანგეთიდან ელიან შველასო), არ დაიჯეროთ, რომ მაძინის მომხრეები უკან დაიხევენ. იტალიის ყველა პროვინციიდან მოედინებიან, ფურთხივით, ნარწყევივით, ცბიერები, ფლიდები, თვალთმაქცები, მზაკვრები, თანაც ამტანები და შეუდრეკელები. საიდუმლო ადგილებში იკრიბებიან, ტყუილითა და ეშმაკობით ყველაზე მაღალ ინსტანციებში აღწევენ: პოლიციაში, ჯარში, ფლოტში, ციტადელებში, ყველგან თავისი ხალხი ჰყავთ უკვე.



*...გამოათრიეს ტაძრიდან მღვდელი, რომელმაც რესპუბლიკის საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმა გაბედა, თვალები დათხარეს, ენა ამოგლიჯეს, მუცელი გამოფატრეს...*

– ჩემი შვილი კი მათ უდგას გვერდით, – მოთქვამდა ბაბუა. განადგურებული იყო სულიერად და ფიზიკურად.

მერე „ბაროლოში“ ჩაშუშულ ხორცს გამოიტანდა ხოლმე სუფრაზე.

– ჩემი შვილი ვერასოდეს მიხვდება, – გულისტკივილით ამბობდა ბაბუა, – ამ საქონლის ხორცის მშვენიერებას. ვერ ჩასწვდება ხახვით, სტაფილოთი, ნიახურით, ომბალოთი, როზმარინით, დაფნით, მიხაკით, დარიჩინით, ღვიით, მარილით, პილპილით, კარაქით, ზეითუნის ზეთით შეკაზმული და, რაც მთავარია, „ბაროლოში“ ჩაშუშული, ცხელ სიმინდის ფაფასთან ან კარტოფილის პიურესთან ერთად მორთმეული ხორცის სილამაზეს... მიდით, მოაწყვეთ რევოლუცია... ცხოვრების გემო დაიკარგა. პაპი გინდათ, გააძევოთ, რომ ნიცური თევზის წვნიანი ვხვრიპოთ, იმ მებადური გარიბალდის მიბაძვით... ეჰ, სადღაა რელიგია!

***

ხანდახან პადრე ბერგამასკი საერო ტანსაცმელს იცვამდა და სადღაც მიდიოდა. იტყოდა, რამდენიმე დღე არ ვიქნებიო, არ იბარებდა, სად მიდიოდა ან რისთვის. ასეთ დღეებში მის ოთახში შევიპარებოდი ხოლმე, ანაფორას გადავიცვამდი და სარკეში ვათვალიერებდი საკუთარ თავს, თან წავუცეკვებდი, ვითომ ქალი ვიყავი (ღმერთო, მომიტევე!). თუ აღმოჩნდა, რომ აბატი დალა პიკოლა მე ვარ, ჩემი თეატრალური გემოვნებაც აიხსნებოდა.

ერთხელ ანაფორის ჯიბეში ფული ვიპოვე (როგორც ჩანს, პადრეს ჩარჩა). ღორმუცელობამ მძლია და გადავწყვიტე, ქალაქის ისეთი ადგილები დამელაშქრა, რომლებზეც უამრავი რამ მსმენოდა.

ასე ჩაცმული (არც მიფიქრია, რომ მაშინ ესეც კი პროვოკაცია იყო) დავეხეტებოდი ბალონში – პორტა-პალაცოს იმ შავბნელ უბანში, სადაც მაშინდელი ტურინის მოსახლეობის ყველაზე მდაბიო ფენა ცხოვრობდა და სადაც ქალაქის ყველა-

ზე თავზეხელაღებული ავაზაკები დაბოგინებდნენ. დღესასწაულებზე პორტა-პალაცოს ბაზრობაზე ნემსი არ ჩავარდებოდა, ხალხი ერთმანეთს ეჯახებოდა, ფარდულებს შორის ტევა არ იყო, მოახლეები ბუზებივით ესეოდნენ საყასბოებს, ბავშვები მოჯადოებულები შესცქეროდნენ ტკბილეულის დახლებს, ათასი ჯურის მუცლის მონა შესეოდა ფრინველის, ნანადირევისა და ძეხვეულის ურიკებს, ტრაქტირებში დასაჯდომი ადგილი არ იყო. მე კი ანაფორას დავაფართხუნებდი და ვცდილობდი, კაბების კალთებს გავხახუნებოდი, თავდახრილი, ეკლესიური დაყინებით დავჩერებოდი ჩემსავე ხელებს, ჩუმჩუმად კი ქალების ქუდებს, თავსაფრებსა და პირბადეებს ვაკვირდებოდი და მაოცებდა დილიჟანსებისა და ეტლების სიმრავლე, ყაყანი, ყვირილი, ხმაური.

აღგზნებული ქუჩის იმ თავბრუდამხვევი ციებ-ცხელებით, რომელსაც სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ მრავალი წელი მიმალავდნენ ბაბუაც და მამაც, მაშინდელი ტურინის ერთ-ერთ ლეგენდარულ ადგილს გავუშინაურდი. ჩემი იეზუიტის სამოსი კაფე „ბისერინში“ გაოგნებას იწვევდა, რაც ფრიად მახალისებდა. „ბისერინი“ კონსოლატას ტაძართან ახლოს იყო, დახლთან მოვკალათდებოდი და ლითონის სადგამში ჩასმული ჭიქიდან რძის, კაკაოს, ყავისა და სხვა არომატული ინგრედიენტების სურნელოვან ნაზავს ვსვამდი. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ „ბისერინზე“ თვით ალექსანდრე დიუმაც – ჩემი სიყმაწვილის *გმირი* – დაწერდა, მაგრამ იმ მაგიურ ადგილას ორი სტუმრობის შემდეგ მივხვდი იქაური ნექტრის შემადგენლობას. ეს სასმელი იგივე „ბავარეიზა“ იყო, მაგრამ მასში რძე, ყავა და შოკოლადი ათქვეფილია, „ბისერინში“ კი ისინი ცალ-ცალკე, თბილ შრეებადაა ჩასხმული. შეგიძლია შეუკვეთო „ბისერინი“ *pur e fiur* – მხოლოდ ყავითა და რძით, *pur e barba* – ყავით და შოკოლადით, ან *'n poc'd tut* – ანუ ცოტ-ცოტა ყველაფრით.

არასოდეს დამავიწყდება ის ნეტარება. თვალწინ მიდგას კაფეს ლითონის ჩარჩოში ჩასმული ფასადი, გვერდებზე სარეკლამო პანელებით, თუჯის ბურჯებითა და კაპიტელით; ხით მოპირკეთებული და სარკეებით მორთული ინტერიერი, მარმარილოს მაგიდები, ბარი კოხტად ჩალაგებული ბოთლებით, ნუშის სურნელი, ორმოცი სხვადასხვა ტიპის ტკბილეული... მიყვარდა იქაურობის თვალიერება, განსაკუთრებით კვირაობით, რადგან უამრავი ადამიანი ეწაფებოდა ამ ნექტარს, უზმოზე წირვაზე მიმავალნი თუ კონსოლატადან გამოსულები, ზიარების შემდეგ. „ბისერინს“ მარხვაშიც ყველა ეტანებოდა, რადგან ცხელი შოკოლადი საჭმელად არ ითვლებოდა. ფარისევლები.

ყავითა და შოკოლადით ნეტარებას რომ თავი დავანებოთ, ყველაზე მეტად ის მსიამოვნებდა, რომ ხალხმა არ იცოდა, ვინ ვიყავი და ეს მათ წინაშე უპირატესობის შეგრძნებით მავსებდა. საიდუმლო მქონდა.

***

მერე იძულებული გავხდი, შემეზღუდა და ბოლოს სულაც უარი მეთქვა ამ თავგადასავლებზე: მეშინოდა, ჩემს უნივერსიტეტელ მეგობრებს არ გადავყროდი, რომლებსაც მღვდლის ტერფის მკოცნელი კი არა, მათსავით მგზნებარე კარბონარი ვეგონე.

სამშობლოს აღორძინების გულმხურვალე მხარდამჭერები, როგორც წესი, სამიკიტნო „ოქროს კიბორჩხალაში“ იკრიბებოდნენ. ჩაბნელებულ, ვიწრო ქუჩაზე, კიდევ უფრო ჩაბნელებული შესასვლელის თავზე აბრა ეკიდა მოოქროვილი კიბორჩხალას გამოსახულებით და იუწყებოდა: „ოქროს კიბორჩხალა, კარგი ღვინო და ნაღდი გართობა“. კარის იქით ვრცელი დარბაზი იშლებოდა, რომელიც ერთდროულად სამზარეულოც იყო და ღვინის სარდაფიც. დარბაზში ძეხვეულისა და ხახვის მძაფრი სუნი იდგა, კლიენტები სვამდნენ, კამათელს აგორებდნენ



*...ყველაზე მეტად ის მსიამოვნებდა, რომ ხალხმა არ იცოდა, ვინ ვიყავი და ეს მათ წინაშე უპირატესობის შეგრძნებით მავსებდა...*

და ჩვენც, ვითომ შეფიცულები, ღამეებს ვათენებდით მომავალ აჯანყებებზე საუბარში. ბაბუასეულ სმა-ჭამას ნაჩვევი, „ოქროს კიბორჩხალაში“ გაჭირვებით თუ მოვიკლავდი შიმშილს (ისიც მაშინ, თუ ძალიან მშიოდა), მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრება მჭირდებოდა, ხანდახან მაინც ხომ უნდა გავრიდებოდი სახლში დაბუდებულ იეზუიტებს. ასე რომ, ხშირად ხალისიანი მეგობრების წრეში „კიბორჩხალას“ სალაფავს ვამჯობინებდი ხოლმე მოსაწყენი ოჯახური ვახშმების მეფურ კერძებს.

გამთენიისას გამოვდიოდით სამიკიტნოდან, ნივრის სუნით აყროლებულები, გულში პატრიოტიზმის ცეცხლაგიზგიზებულები და დილის ნისლში ჩავიკარგებოდით. ნისლი არაჩვეულებრივი საშუალება იყო პოლიციის ჯაშუშთაგან თავის დასაღწევად. ხანდახან ალმა ავყვებოდით პოს და ზევიდან ვათვალიერებდით დაბლობზე ჩაფენილ სითეთრეში მოტივტივე სახურავებსა და სამრეკლოებს. სუპერგას ბაზილიკის კონტურები შორს, ამომავალი მზის ფონზე, შუა ზღვაში ალმართულ შუქურას ჰგავდა.

სტუდენტები მხოლოდ ერზე როდი ვბჭობდით, რომელიც ჯერ არ არსებობდა, მაგრამ მომავალში ჩამოყალიბდებოდა. ქალებზეც ვლაპარაკობდით, როგორც ყველა მამაკაცი ამ ასაკში. ჩემი მეგობრები აგზნებულები ახსენებდნენ ხოლმე აივნიდან დაჭერილ მზერას, კიბეზე ჩასვლისას ქალის სხეულთან მსუბუქ შეხებას, წირვაზე ლოცვანიდან გადმოვარდნილი გამხმარი ყვავილის მიწოდებას გვერდით მჯდომი მორცხვი გოგონასთვის. ამას ვინც იკვეხნიდა, იმასაც ამბობდა, ყვავილს ქალის ხელების სურნელი ჰქონდაო. მე, დაბღვერილი, ხმას არ ვიღებდი და მეგობრები მაძინის მიმდევარს მეძახდნენ, შეუვალს, მტკიცე მორალისა და პრინციპების მქონეს.

მაგრამ ერთხელაც მეგობრებში ყველაზე თამამმა გაგვიმხილა, სხვენში, გათახსირებული მამაჩემის გადამალულ ყუთში, cochons[8] ვიპოვეო. ასე ეძახდნენ მაშინ ტურინში ბინძურნახატე-

[8] ღორი (ფრ.)

ბიან პუბლიკაციებს. გაზინტლულ ტავერნაში მათ ვერ გამოვაჩენდით, ამიტომ გადაწყდა, რიგრიგობით გვეთხოვა ის წიგნები. ჩემი რიგი რომ მოვიდა და იმ ილუსტრაციებს პირველად ჩავხედე, სუნთქვა შემეკრა.

მახსოვს, გვიანი ღამე იყო, წიგნი რომ გადავშალე. ძვირფასი, იშვიათი გამოცემა ჩანდა, მოვარაყებული არეები ჰქონდა, ტყავის ყდა უკან თასმებით იკვრებოდა და წითელი აბზინდით იკეტებოდა. ფურცლები მოოქროვილი ორნამენტებით იყო მორთული. ახლაც მახსოვს სათაურები: „ყმაწვილი ქალის საღამო“ ან „ოჰ, ბატონო, თომასი რომ გვხედავდეს!“. ვფურცლავდი, ნახატებს ვათვალიერებდი და ტანში ჟრუანტელი მივლიდა, ოფლი ღვარად ჩამომდიოდა სახესა და კისერზე: ახალგაზრდა ქალებს კაბის კალთები წამოეხადათ და დამაბრმავებელი სითეთრის უკანალებს ავხორც მამაკაცთა წინაშე ამზეურებდნენ. ერთ-ერთ მათგანს ჩავშტერებოდი მონუსხულივით და ველარ გამერკვია, რა უფრო მაფორიაქებდა, ის შიშველი, მრგვალი დუნდულები, ყორნისფერი ნაწნავების მბზინავი გორგალი გოგონას კეფაზე, თუ მის ქათქათა, უმანკო სახეზე ეშმაკურად მოციმციმე ლამის ქალწულებრივი ღიმილი. გოგო იცინოდა და მაცდურად, ნდომით უყურებდა თავის ბილწ გამრყვნელს. ყველაზე შემაძრწუნებელი მაინც სამი ქალის გამოსახულება იყო: ტახტზე წაწოლილიყვნენ, ფეხები გაეშალათ და საქვეყნოდ ამზეურებდნენ ქალწულთა სარცხვინელს, რაც ბუნებამ განგებ მოათავსა ქალის სხეულის ყველაზე დაფარულ ადგილას. ხუჭუჭთმიანი მამაკაცი მარჯვენა ხელით ერთი ქალის საშოს ეფერებოდა, მეორე უსირცხვილო დიაცს ჰკოცნიდა და თან საშოში ასოს უყოფდა, მესამეს კი, შიშველ ბოქვენზე არც უყურებდა, მარცხენა ხელით კორსეტს უხსნიდა და ტიტველ ძუძუებს უსრესდა. იმავე გვერდზე დავინახე ნაყვავილარსახიანი აბატის კარიკატურული გამოსახულება: კარგად თუ დააკვირდებოდი, შეამჩნევდი, რომ ქალისა და მამაკაცის ერთმანეთში ჩატმას-

ნილ-ჩახლართული დედიშობილა სხეულებით იყო დახატული; მსხვილი, ხორციანი სასქესო ასოები ქალების სხეულებში იყო გაყრილი. აბატის თავიც მამაკაცის ასოებისაგან შედგებოდა, ერთიმეორის მიყოლებით ჩამწკრივებული და ერთმანეთზე დაყრილი სათესლე პარკები კი კულულებად ეფინებოდა კეფაზე ანაფორიანს.

ალარ მახსოვს, როგორ დამთავრდა ის ავბედითი ღამე, როცა სექსი ყველაზე შემაძრწუნებელი სახით წარმომიდგა თვალწინ (ამ სიტყვის საკრალური გაგებით: სექსი ხომ, როგორც ჭექა-ქუხილი, ერთდროულად ავსებს ღვთიურობის განცდით, სატანის შიშითა და ცოდვის წინაშე ძრწოლით). მხოლოდ ის მახსოვს, რომ იმ შემაშფოთებელი ღამის შემდეგ ლოცვასავით ვიმეორებდი რომელიღაც რელიგიური მწერლის სიტყვებს, მრავალი წლის წინ პადრე პერტუზომ რომ დამაზეპირებინა: „ადამიანის სხეულის სილამაზე მხოლოდ კანშია. ადამიანები იმას რომ ხედავდნენ, რაც კანქვეშაა, ქალის დანახვაზეც კი წამოაზიდებდათ: მთელი ქალური სილამაზე ლორწოს, სისხლის, ლიმფის, ნერწყვისა და ნაღველისაგან შედგება. აბა დაფიქრდით, რა იმალება ნესტოებში, ყელში, მუცელში. ჩვენ, ადამიანები, რომლებსაც ნარწყევის ან განავლის შეხების წარმოდგენაზეც კი ზიზღით გვაზიდებს, როგორ ვიხუტებთ გულში განავლის ტომარას?“

იმ ასაკში ალბათ ჯერ კიდევ მწამდა ღვთიური სამართლის და იმ ავბედითი ღამისთვის ღმერთის შურისძიებად მივიღე, რაც მეორე დღეს მოხდა. ბაბუა თავის სავარძელზე დამხვდა გაშხლართული, თავი უკან გადავარდნოდა და ხელში რაღაც ქაღალდი ჩაებღუჯა. ექიმს გამოვუძახეთ, ბაბუას ძლივს გამოვაცალე დაკრუნჩხული თითებიდან ის ქაღალდი და წავიკითხე: მამაჩემი სასიკვდილოდ დაეჭრა ფრანგების ტყვიას, როცა რომის რესპუბლიკას იცავდა, სწორედ იმ 1849 წლის ივნისში, როცა გენერალი ოდინო ლუი ნაპოლეონის ბრძანებით გაეშურა

წმინდა მიწის გასათავისუფლებლად გარიბალდისა და მაძინის მომხრეთაგან.

ამ დროს ბაბუა უკვე ოთხმოცს იყო გადაცილებული. გულმოსული, დიდხანს გამოიკეტა თავის ოთახში. არ ვიცი, ფრანგები სძულდა, პაპის მომხრეები, რომლებმაც შვილი მოუკლეს, საკუთარი შვილი, რომელმაც უგუნურად სცადა მათთვის წინააღმდეგობის გაწევა, თუ ყველა ის პატრიოტი, რომლებმაც მისი ვაჟი გზას ააცდინეს. დროდადრო დაიჩივლებდა ხოლმე და ებრაელებს ადანაშაულებდა იმაში, რომ იტალიას ასეთი განსაცდელი ადგა, განსაცდელი, რომელიც ორმოცდაათი წლით ადრე საფრანგეთს დაატყდა თავს.

***

ალბათ, იმისთვის, რომ მამა გავიხსენო, საათობით ვზივარ სხვენში მის დატოვებულ წიგნებთან. იმასაც ვახერხებ, ბაბუაზე ადრე ჩავიგდო ხელთ მამას სახელზე ფოსტით მოსული დიუმას „ჯუზეპე ბალზამო“, რომელსაც მამა ველარასოდეს წაიკითხავს.

ეს გასაოცარი წიგნი, როგორც ყველამ იცის, კალიოსტროს თავგადასავალს მოგვითხრობს. იმას, თუ როგორ გამოიგონა მან დედოფლის ყელსაბამის ამბავი და ხელის ერთი მოსმით მორალურად და ფინანსურად გაანადგურა კარდინალი დე როჰანი, დედოფალს სახელი გაუტეხა, მისი კარი მასხრად აიგდო. ბევრი იმასაც ფიქრობდა, რომ კალიოსტროს თაღლითობამ იმდენად დიდი წვლილი შეიტანა მონარქიის ავტორიტეტის შერყევასა და ტახტის დასუსტებაში, რომ ნიადაგი მოუმზადა ვითარებას, რომელიც შემდეგ ოთხმოცდაცხრა წლის რევოლუციაში გადაიზარდა.

მაგრამ დიუმა უფრო შორს მიდის და კალიოსტროს, იგივე ჯუზეპე ბალზამოს, საქციელში არა მხოლოდ თაღლითობას ხე-

დავს, არამედ შეგნებულად მოწყობილ პოლიტიკურ შეთქმულებას, მსოფლიოს მასონთა კალთას ამოფარებულს.

მოხიბლული ვიყავი უვერტიურით. სცენა: Mont Tonnerre, ქუხილის მთა. რაინის მარცხენა ნაპირზე, ვორმსთან ახლოს, პირქუში მთების რიგი იწყება: *მეფის ტახტი*, *შევარდნის კლდე*, *გველის ქიმი* და მათ შორის ყველაზე მაღალი – *ქუხილის მთა*. 1770 წლის 6 მაისს (იმ ავბედითი რევოლუციის აფეთქებამდე თითქმის ოცი წლით ადრე), როცა მზე სტრასბურგის კათედრალს მოეფარება და ტაძრის გუმბათის ქიმი მნათობის დისკოს ორ ცეცხლოვან ნახევარსფეროდ გახლეჩს, ვიღაც უცნობი გამოვა მაინციდან და მთის კალთას შეუყვება. ციცაბო ფერდობზე ცხენს მიატოვებს და ფეხით განაგრძობს გზას, მაგრამ მალევე ნიღბიანი არსებები დაესხმიან თავს და დაატყვევებენ. გამტაცებლები ტყვეს თვალებს აუხვევენ, უღრან ტყეს გაატარებენ და ვაკეზე გაიყვანენ, სადაც მას სუდარაში გახვეული და ხმლით შეიარაღებული სამასი აჩრდილი ელის. აჩრდილები ტყვის დაკითხვას შეუდგებიან.

რა გინდა? სინათლის ხილვა. მზად ხარ, დაიფიცო? არ ეშვებიან, აგრძელებენ წამებას, მასონთა ბინძური ორდენის ათასგვარ რიტუალს სცდიან მასზე, ისეთებს, როგორიცაა ახლად მოკლული მოღალატის ჯერ კიდევ ცხელი სისხლის დალევა, საფეთქელში პისტოლეტის დახლა საკუთარი ხელით, სიმტკიცისა და მორჩილების დასტურად და დიუმას მკითხველებისთვის კარგად ცნობილ უამრავ სხვა საშუალებას. იქამდე არ ეშვებიან, სანამ მგზავრი არ გადაწყვეტს, ბოლო მოუღოს ამ ამბავს. ამაყად მიმართავს შეკრებილთ, თქვენს ყველა რიტუალსა და მეთოდს კარგად ვიცნობ და ეს სპექტაკლი ჩემთან არ გაგივათ, რადგან თქვენზე მაღლა ვდგავარ, სწორედ მე დამასახელა უზენაესმა განგებამ მსოფლიო მასონური დაჯგუფების წინამძღოლადო.

მორჩილებისკენ მოუწოდებს სტოკჰოლმის, ლონდონის, ნიუიორკის, ციურიხის, მადრიდის, ვარშავისა და აზიის ქვეყნების

მასონური ლოჟების წევრებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, უკვე შეკრებილიყვნენ *ქუხილის მთაზე.*

რატომ მოიყარეს თავი სწორედ იმ ადგილას მსოფლიოს მასონებმა? *უცნობი* უხსნიდა ამას შეკრებილთ: რკინის ხელი, ცეცხლის მახვილი და ალმასის სასწორია საჭირო, რათა *უწმინდური* განიდევნოს ქვეყნიდან, ეს კი ნიშნავს, რომ უნდა დაამაბუნოთ და გაანადგუროთ კაცობრიობის ორი უდიდესი მტერი: ტახტი და საყდარიო (ბაბუამ მითხრა, ესეც იმ ბილწი ვოლტერის მოწოდება იყოო: *écrasez l'infame*[9]). უცნობი ამბობდა, რომ როგორც იმ დროის ყველა ნამდვილი ნეკრომანტი, თვითონაც ათასი თაობის წინ, ჯერ კიდევ მოსემდე და, შეიძლება, ასურბანიფალამდეც იყო დაბადებული. აღმოსავლეთიდან მოსულიყო იმის საუწყებლად, რომ ჟამი დამდგარიყო. ერები იმ ვეებერთელა ლეგიონის ნაწილებია, რომელიც უწყვეტ ნაკადად მიედინება სინათლისაკენ და ამ ლეგიონის სათავეში საფრანგეთია, მას უპყრია ხელთ ამ დიადი მსვლელობის წინამძღოლი ჩირაღდანი და სწორედ ის გააცისკროვნებს სამყაროს ახალი შუქითო; საფრანგეთის ბებერ და გარყვნილ მეფეს რამდენიმე წლის სიცოცხლეღა დარჩენიაო. ერთ-ერთმა იქ მყოფმა – ლაფატერი აღმოჩნდა, ცნობილი ფიზიონომისტი – აღნიშნა, შემდეგი ორი ახალგაზრდა ხელმწიფის (მომავალი ლუი XVI და მისი ცოლი, მარი ანტუანეტი) სახეს კეთილი საწყისის კვალი ატყვიაო. უცნობმა (რომელშიც, ალბათ, მკითხველმა ის ჯუზეპე ბალზამო უნდა ამოიცნოს, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ნახსენები დიუმას წიგნში) შეახსენა, ადამიანურ სიკეთეს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, როცა საქმე პროგრესის ჩირაღდნის ტარებას ეხება და დაასკვნა, ოც წელიწადში ფრანგული მონარქია უნდა დაემხოსო.

მაშინ *უცნობს* ყველა ქვეყნის ყველა ლოჟის წარმომადგენელმა აღუთქვა დახმარება. დაჰპირდნენ ფულსაც და ხალ-

---

[9] გასრისეთ უწმინდური (ფრ.)

ხსაც რესპუბლიკური და მასონური საქმის გამარჯვებისთვის, სიტყვებით *lilia pedibus destrue*: ფეხით გათელე და გაანადგურე საფრანგეთის შროშნები.

იმაზე აღარ დავფიქრებულვარ, მეტისმეტი ხომ არ იყო ხუთი კონტინენტის მასშტაბის შეთქმულება საფრანგეთის ტახტის დასამხობად. კაცმა რომ თქვას, იმ ეპოქის ერთი პიემონტელი გულწრფელად ფიქრობდა, რომ სამყაროში არსებობდა მხოლოდ საფრანგეთი, ცხადია, ავსტრია და სადღაც ძალიან შორს – კოხინხინაც. ამათ გარდა არც ერთი სხვა ქვეყანა არ მიაჩნდა ყურადღების ღირსად, რა თქმა უნდა, წმინდა საყდრის სამეფოს გარდა. დიუმას სიუჟეტი (ვეთაყვანები ამ უდიდეს მწერალს) მაფიქრებდა: კონკრეტული შეთქმულების აღწერით ვაითუ დიდმა მწერალმა ნებისმიერი შესაძლო შეთქმულების უნივერსალური ფორმა აღმოაჩინა-მეთქი.

დავივიწყოთ *ქუხილის მთა*, რაინის მარცხენა ნაპირი, ის ეპოქა-მეთქი, ვფიქრობდი. წარმოვიდგინოთ შეთქმულები, რომლებიც სამყაროს ყველა კუთხიდან მოედინებიან მსოფლიო სექტის საცეცებივით, ერთად შევყაროთ ისინი სადმე, მდელოზე, გამოქვაბულში, ციხესიმაგრეში, სასაფლაოზე, საძვალეში – მთავარია, საკმარისად ბნელოდეს. ვალაპარაკოთ ერთ-ერთი მათგანი, გავამხელინოთ მასონთა ზრახვები, სამყაროს დაპყრობის სურვილი... მთელი ცხოვრება ისეთ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა, სადღაც ჩასაფრებული, უხილავი მტრისაგან რომ ელოდნენ თავდასხმას და ყველგან შეთქმულება ელანდებოდათ. ბაბუაჩემს ებრაელების აჩრდილი არ ასვენებდა, იეზუიტებს – მასონების, გარიბალდის მომხრე მამაჩემს – იეზუიტების, ნახევარი ევროპის გამგებელ ხელმწიფეს – კარბონარების, მაძინის მომხრე ჩემს მეგობრებს – მღვდლებით გარშემორტყმული მეფის, მთელი ევროპის ჟანდარმერიებსა და პოლიციებს – ბავარიელი ილუმინატების და ასე შემდეგ. ვინ იცის, კიდევ რამდენი ადამიანია ქვეყანაზე, ვისაც შეთქმულე-

ბის შიში არ აძინებს. ეს მხოლოდ ჩონჩხია, როგორც გინდა, ისე შეავსებ, შეგიძლია, თითოეულს თავისი შეთქმულება მოუგონო.

დიუმა მართლა ღრმად იცნობდა ადამიანის სულს. რისკენ მიისწრაფვის თითოეული ჩვენგანი, თანაც მით უფრო ძლიერად, რაც უფრო დართგუნული, უიღბლო და ჩაგრულია თავად? – იოლად ნაშოვნი ფულის, ძალაუფლების (ოჰ, რაოდენი ნეტარებაა შენს მსგავსზე ბატონობა, მისი დამცირება!), შურისძიებისკენ. ადამიანს შურისძიება სწყურია თუნდაც სულ მცირე წყენისთვის, წყენა კი ვის არ განუცდია ცხოვრებაში? და აი, დიუმა „მონტე-კრისტოში" გვიჩვენებს, როგორ შეიძლება, უსაზღვრო სიმდიდრე, შესაბამისად – უსაზღვრო ძალაუფლება, ჩაიგდო ხელთ და შენს მტერს სათითაოდ აზღვევინო შეცდომები. ადამიანი ყოველთვის ფიქრობს, კი, მაგრამ რატომ მაინცდამაინც მე ამითვალწუნა ბედისწერამ (ან რატომ არ მანებივრებს ისე, როგორც ვისურვებდი), რატომ არ მომცა ის, რაც სხვებს, იმათ, ჩემზე ნაკლებად რომ იმსახურებდნენო? დამნაშავის პოვნა იმიტომაა აუცილებელი, რომ ადამიანს საკუთარი უიღბლობა და წარუმატებლობა მისივე შეზღუდულობის ბრალი არ ეგონოს. დიუმა ყველა დათრგუნულს (ადამიანსა თუ მთელ ერს) უხსნის საკუთარი მარცხის მიზეზს. ვიღაცეებმა, სხვებმა, ქუხილის მთაზე შეკრებილებმა, დაგეგმეს შენი გაუბედურება...

თუ კარგად დავფიქრდებით, დიუმას ახალი არაფერი გამოუგონია: მხოლოდ მხატვრულად მოგვითხრო ის, რასაც, ბაბუას აზრით, აბატმა ბარუელმა ახადა ფარდა. მესმოდა, რომ შეთქმულების აღმოჩენას თუ მოვისურვებდი, არაფრის გამოგონება არ დამჭირდებოდა, იმას უნდა მივყოლოდი, რაც ხალხმა ისედაც იცოდა, რასაც უჩემოდაც ადვილად გაიგებდა. ხალხს მხოლოდ იმის სჯერა, რაც უკვე იცის. ამაშია შეთქმულების უნივერსალური ფორმის მშვენიერება.

***

1855 წელი იყო. უკვე ოცდახუთი წლის ვიყავი, იურისტის დიპლომი მქონდა და ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა მომეხერხებინა საკუთარი ცხოვრებისათვის. კვლავაც ვხვდებოდი უნივერსიტეტელ მეგობრებს, მაგრამ მათი რევოლუციური აღტყინება აღარ მიტაცებდა, უკვე წინასწარ, რამდენიმე თვით ადრე ვხვდებოდი, რა იმედგაცრუებაც ელოდათ: მართლაც, რომი კვლავ პაპს დაემორჩილა, პიუს IX, რეფორმატორი პაპი, თავის წინამორბედებზე უარეს რეტროგრადად იქცა, გაიფანტა – ბედისწერითა თუ ადამიანთა სულმდაბლობით – იმედები, რომ კარლო ალბერტო იტალიის ერთიანობის მაუწყებელი დესპანი გახდებოდა. სოციალისტური ვნებათაღელვისა და მგზნებარე მოწოდებების ტალღამ გადაიარა და საფრანგეთში კვლავ მონარქია დამყარდა, პიემონტის ახალმა მთავრობამ კი, იტალიის განთავისუფლების ნაცვლად, ყირიმში გაგზავნა ჯარი რაღაც უაზრო ომის წამოსაწყებად...

ველარც იმ რომანებს ვკითხულობდი, რომლებმაც ჩემს აღზრდა-ჩამოყალიბებაში იეზუიტებზე დიდი როლი ითამაშეს: საფრანგეთის უმაღლესმა საუნივერსიტეტო საბჭომ, რომელიც, კაცმა არ იცის, რატომ, სამი არქიეპისკოპოსისა და ერთი ეპისკოპოსისაგან შედგებოდა, საგანგებო ბრძანება გამოსცა, რომელიც ხუთი სანტიმით ბეგრავდა ყველა იმ გაზეთის თითოეულ ნომერს, სადაც ფელეტონები იბეჭდებოდა. ვინც საგამომცემლო საქმეში ვერ ერკვეოდა, მისთვის ეს სიახლე უმნიშვნელო იყო, მაგრამ ჩემმა მეგობრებმა კარგად გააცნობიერეს, რაც მოჰყვებოდა ამ გადაწყვეტილებას: გადასახადი გადამლაშებული იყო და ფრანგულ გაზეთებს რომანების ბეჭდვაზე უარის თქმა მოუწევდათ. ასე ჩაახშეს სამუდამოდ საზოგადოების ჭირის მამხილებელთა ხმა, სიუსი, დიუმასი და სხვების.

თუმცა ბაბუა – რომელიც ხან სრულიად გონებაამღვრეულს ჰგავდა, ხანაც კი გასაოცრად ჯანსაღად აზროვნებდა და აფა-

სებდა მოვლენებს – მაინც ჩიოდა, პიემონტის მთავრობა სატანის სინაგოგად იქცა მას შემდეგ, რაც ძალაუფლების სადავეები დ'აძელიოსა და კავურისნაირმა მასონებმა იგდეს ხელთო.

– ხომ ხვდები, ჩემო ბიჭო, – მეუბნებოდა, – რომ იმ საძაგელი სიკარდის კანონებმა სრულიად გააუქმა ეკლესიის პრივილეგიები? რატომ უნდა აეკრძალათ წმინდა ადგილებისთვის თავის შეფარება? ეკლესიას ნაკლები უფლებები აქვს, ვიდრე ჟანდარმერიას? რატომ უნდა გაუქმდეს საეკლესიო სასამართლო იმ საელესიო პირთა განსასჯელად, რომლებმაც ჩვეულებრივი დანაშაული ჩაიდინეს? ეკლესიას რა, უფლება არ აქვს, საკუთარი შვილები განსაჯოს? რატომ გააუქმეს წინასწარი საეკლესიო ცენზურა პუბლიკაციებზე? ყველამ ის უნდა წამოაყრანტალოს, რაც მოეპრიანება, თავშეკავების, რწმენისა და მორალის პატივისცემის გარეშე? და როცა ჩვენმა არქიეპისკოპოსმა, ფრანსონიმ, ტურინის მღვდელმსახურთ მოუწოდა, ამ განკარგულებებს არ დამორჩილებოდნენ, ავაზაკივით შეიპყრეს და ერთი თვით დილეგში გამოამწყვდიეს! ახლა იქამდე მივედით, რომ მოხეტიალე და განდეგილ ორდენებსაც ავიწროებენ, ეს კი თითქმის ექვსი ათასი საეკლესიო პირია! სახელმწიფო ქონებას ართმევს მათ და ამბობს, სამრევლო მღვდლებისთვის თვიური სარგოს გადასახდელად გამოგვადგება ეს ფულიო, მაგრამ ორდენებისთვის ჩამორთმეული ქონება ათჯერ, რა ათჯერ, ასჯერ აღემატება მთელი სამეფოს მღვდლების ჯამაგირს. გეუბნები, მთავრობა ამ ფულს საჯარო სკოლების მოწყობაზე დახარჯავს, სადაც იმას ასწავლიან, რაც მოკრძალებულ ქრისტიანს არაფერში არგებს, ან სულაც გეტოების მოსაწყობად გამოიყენებს! ეს ყველაფერი „თავისუფალი ეკლესია თავისუფალ სახელმწიფოში!" – ამ მოწოდებით კეთდება, სინამდვილეში კი მხოლოდ სახელმწიფო პარპაშებს ჩვენში თავისუფლად. ჭეშმარიტი თავისუფლება ადამიანის უფლებაა, ღვთის წესს მისდიოს და სამოთხე ან ჯოჯოხეთი დაიმსახუროს. ახლა კი თავისუფ-



*...როცა ჩვენმა არქიეპისკოპოსმა, ფრანსონიმ, ტურინის მღვდელმსახურთ მოუწოდა, ამ განკარგულებებს არ დამორჩილებოდნენ, ავაზაკივით შეიპყრეს და ერთი თვით დილეგში გამოამწყვდიეს...*

ლებად იმას თვლიან, ის რწმენა და მოსაზრება აირჩიო, რაც გეპრიანება და სახელმწიფოსთვის სულერთია, ვინ იქნები, მასონი, ქრისტიანი, იუდეველი თუ დიდი სულთნის მსახური. ასე ხომ ჭეშმარიტება უფასურდება ადამიანისთვის.

– შვილო, – ატირდა ერთ დღეს ბაბუა, რომელსაც სიბერისგან მამაჩემში ვერეოდი და უკვე ლაპარაკიც უჭირდა, – ასე ქრებიან ლატერანი კანონიკები, წმინდა ეჯიდიოს მიმდევრები, კარმელიტები, ფეხშიშველა იქნებიან თუ ფეხსაცმლიანი, კარტეზიანელები, მონტეკასინოელი ბენედიქტელები, ცისტერციანელები, ოლივეტოს ორდენის ბერები, მინიმები, მინორიტები, წესისმიერი მინორიტები, რეფორმატორი მინორიტები, კაპუცინი მინორიტები, წმინდა მარიამის მსახურები, ვნების ძმები, დომინიკელები, მერსედელები, მარიამის მსახურები, ორატორიუმის ორდენის წევრები, ასევე ქალთა ორდენები: კლარა ასიზელის მიმდევრები, ჯვარცმის დედები, ცელესტინელები, წმინდა ხარებისა და ნათლისმცემლის ორდენების დედები.

კრიალოსნის ქვებივით ჩამოაწიკწიკა ეს სახელები, აღგზნებული, ჩქარა ლაპარაკობდა, ბოლოს თითქოს ჩასუნთქვაც დაავიწყდაო და, დაასამთავრა თუ არა, უბრძანა, კერძი გამოეტანათ – ღორის ქონში, კარაქში და ბლომად „ბარბერაში“ ჩაშუშული ღორი, ფქვილი, ოხრახუში, ხახვი, მსხვილ ნაჭრებად დაჭრილი კურდღელი თავისი გულ-ღვიძლით, პილპილით, სუნელებითა და შაქრით შენელებული.

ჭამამ თითქოს დაამშვიდა კიდეც და როგორც კი დაამთავრა, თვალები გადმოკარკლა და უეცრად ჩაქრა, თან მსუბუქად წამოაბოყინა.

კედლის საათმა თორმეტი ჩამოჰკრა და გამახსენა, რომ დიდი ხანია, გაუჩერებლად ვწერ. ახლა, რაც უნდა ვეცადო, აღარაფერი მაგონდება ბაბუას სიკვდილისშემდგომი წლებიდან.

თავბრუ მეხვევა.

5

# კარბონარი სიმონინი

1897 წლის 27 მარტი, ღამე.

მომიტევეთ, კაპიტანო სიმონინი, რომ თქვენს დღიურში ვწერ, მაგრამ არ შემეძლო, არ წამეკითხა. ჩემი ნება ნამდვილად არ ყოფილა, რომ ამ დილით თქვენს ლოგინში გამღვიძებოდა. ალბათ, მიხვდით, რომ აბატი დალა პიკოლა ვარ (ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია).

სხვის საწოლში, უცხო ბინაში გამეღვიძა, ჩემი ანაფორა და პარიკი ვერსად ვნახე. მხოლოდ მისაწებებელი წვერი დამხვდა სასთუმალთან. მისაწებებელი წვერი?

რამდენიმე დღის წინ უკვე დამემართა ასე: გამოღვიძებული საკუთარ ვინაობას ვერ ვიხსენებდი. მაგრამ მაშინ ჩემს სახლში ვიყავი, ახლა კი სახლიც სხვისაა. მეჩვენებოდა, რომ ჭირპლით მქონდა თვალები სავსე, ენა მტკიოდა, თითქოს ზედ ნაკბენი მქონდა.

ფანჯრიდან გავიხედე და მივხვდი, რომ ბინა მობერის ჩიხზე გადიოდა, სწორედ მეტრ-ალბერის ქუჩის კუთხეზე, სადაც ვცხოვრობ.

სახლი გადავაქოთე. აქაურობა საერო პირის საცხოვრებელს ჰგავს, რომელიც, როგორც ჩანს, მიწებებული წვერ-ულვაშით დადის

და თანაც (მომიტევეთ), საეჭვო მორალის ადამიანი უნდა იყოს. კაბინეტი მდიდრულადაა მოწყობილი, მის სიღრმეში, ფარდის უკან, პატარა კარი დამხვდა, რომლითაც დერეფანში აღმოვჩნდი. თეატრის კულისებივით, ტანსაცმლითა და პარიკებით იყო სავსე იქაურობა, იმ ადგილს მაგონებდა, სადაც რამდენიმე დღის წინ ანაფორა ვიპოვე. მაშინღა მივხვდი, რომ ეს დერეფანი მეორე მხრიდან მქონდა ნანახი და ჩემს ბინაში გადიოდა.

ჩემს სამუშაო მაგიდაზე ჩანაწერები დამხვდა, რომლებიც, თქვენი მეხსიერების თანახმად, 22 მარტის უნდა იყოს, ანუ იმ დღის, როცა, დღევანდელივით, მეხსიერებადაკარგულმა გავიღვიძე. ვერ ვხვდები, რას უნდა ნიშნავდეს ის ბოლო ჩანაწერი ოტეისა და დიანაზე. ვინაა დიანა?

რა უცნაურია. ფიქრობთ, რომ ჩვენ ერთი და იგივე ადამიანი ვართ. მაგრამ თქვენ ბევრი რამ გახსოვთ საკუთარი ცხოვრებიდან, მე კი – თითქმის არაფერი. სამაგიეროდ, თქვენი ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ჩემზე არაფერი იცით, მე კი ბევრი რამ მახსოვს თქვენზე და, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, სწორედ ისეთი რამეები, რაც თავად საერთოდ არ გახსოვთ. რადგან ბევრი ვიცი თქვენზე, უნდა დავასკვნა, რომ მე და თქვენ ერთი ვართ?

ალბათ, არა. მაინც მგონია, რომ სხვადასხვა ადამიანები ვართ, რაღაც იდუმალი მიზეზით საერთო ცხოვრებაში მოქცეულები. მე ხომ ეკლესიის მსახური ვარ, პოდა თქვენზე ის ვიცი, ალბათ, რაც თავად გამანდეთ აღსარებაში. ან იქნებ დოქტორი ფრეიდის ადგილი დავიკავე და მზაკვრულად დაგტყუეთ ის, რის სამუდამოდ დასამარებაც გსურდათ სულის სიღრმეში? თან ისე, რომ არც კი გახსოვთ.

როგორც უნდა იყოს, ჩემი, მოძღვრის, ვალია, გაგახსენოთ, რა შეგემთხვათ ბაბუათქვენის სიკვდილის შემდეგ, ღმერთმა აცხონოს. რაღა დაგიმალოთ და თქვენ, არა მგონია, სამოთხეში შეგიშვათ ვინმემ, ეჭვი მაქვს, დიდად არ სწყალობდით მოყვასს. ვინ იცის, იქნებ თქვენი მეხსიერება საგანგებოდაც ივიწყებს მოვლენებს, რომლებიც ნამდვილად არ არის სასახელო.

***

სინამდვილეში დალა პიკოლა სიმონინის ფრიად მწირ ფაქტებს ახსენებდა, რომლებიც მისი ხელწერისაგან სრულიად განსხვავებული ხელით, ნაჩქარევად იყო ჩამოწერილი. მაგრამ სიმონინის სწორედ ის სიტყვაძუნწი შენიშვნები დაეხმარა, რათა მათზე ნელ-ნელა აეხუნძლა სიტყვების, მოგონებების ასხმები, რომლებიც ნელ-ნელა უბრუნდებოდა გონებაში. მთხრობელი იმ ამბების მოკლედ გადმოცემას ცდილობს, უფრო სწორად, საკმარისად ვრცლად საიმისოდ, რომ სრულად და თანამიმდევრულად წარმოაჩინოს სტიმულები და რეაქციები, მაგრამ ამავე დროს მკითხველს თავს არ მოახვიოს ყალბი, გატყლარჭული ტონი, რომლითაც აბატი საკუთარი ალტერ ეგოს თავგადასავალს ნიღბავდა.

როგორც ჩანს, ფეხშიშველა კარმელიტელების დევნა-შევიწროებას კი არა, ბაბუას გარდაცვალებასაც არ უმოქმედია დიდად სიმონეზე. ბაბუა, ალბათ, უყვარდა, მაგრამ ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის გატარებამ სახლში, რომელიც თითქოს მის დასათრგუნად იყო შექმნილი, სადაც ბაბუაცა და მისი შავანაფორიანი აღმზრდელებიც მუდამ სამყაროს სიძულვილს, უკმაყოფილებასა და უნდობლობას ჩააგონებდნენ, სიმონინოს ყოველგვარი გრძნობის უნარი გაუცვითა და დაუდამბლავა, გარდა საკუთარი თავის სიყვარულისა, რომელმაც დროთა განმავლობაში ფილოსოფიური უდრტვინველობა შეიძინა.

დაკრძალვის ცერემონიაში პიემონტის ყველაზე თვალსაჩინო საეკლესიო პირები და ძველი რეჟიმის დიდგვაროვნები მონაწილეობდნენ. როგორც კი ბაბუა მიწას მიაბარა, ოჯახის ნოტარიუსმა, ვინმე რებაუდენგომ ანდერძი გააცნო, რომლითაც ბაბუა მთელ თავის ქონებას შვილიშვილს უტოვებდა. ოღონდო, ამცნო ნოტარიუსმა (თითქოს განსაკუთრებულად ტკბებოდა ამ სიტყვებით), ბაბუათქვენს თითქმის მთელი ქონება დაგირავებული ჰქონდა და ბოლო წლებში ფულსაც ცუდად აბანდებდა,

ასე რომ მისი ქონებიდან აღარაფერი დარჩაო. სახლიც კი, ავეჯითა და მთელი ავლა-დიდებით, კრედიტორებს უნდა გადაეცეს და რაც შეიძლება სწრაფადო. იმ პატივცემული მოხუცის ხათრით მევალეები ამდენ ხანს იცდიდნენ, მაგრამ შვილიშვილი მათ არაფრად ანაღვლებთო.

– იცით, ძვირფასო ვექილო, – უთხრა ბოლოს ნოტარიუსმა, – ახალმა დრომ ის მოიტანა, რომ ხანდახან კეთილშობილთა შვილებსაც მუშაობა უწევთ. ვაღიარებ, ფრიად დამამცირებელი შემოთავაზებაა, მაგრამ თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ, ჩემთან იმუშაოთ. ძალიან მჭირდება ახალგაზრდა დამხმარე, რომელიც სამართალში ერკვევა. აქვე მინდა გაგაფრთხილოთ, რომ თქვენი განათლების საკადრის გასამრჯელოს ვერ დაგპირდებით, მაგრამ ბინის შოვნას და მოკრძალებულად ცხოვრებას შეძლებთ.

სიმონე მაშინვე მიხვდა, რომ ნოტარიუსმა მიითვისა იმ ქონების დიდი ნაწილი, რომელიც ბაბუას საკუთარი წინდაუხედაობის გამო დაკარგულად მიაჩნდა, მაგრამ ამას ვერაფრით დაამტკიცებდა და სასწრაფოდ თავის რჩენაზე უნდა ეზრუნა. იფიქრა, ნოტარიუსთან მუშაობით იქნებ შურისძიებაც მოვახერხო და წართმეული ქონებაც დავიბრუნოო. ასე რომ, დათანხმდა და ბარბარუს ქუჩაზე ორი ოთახი იქირავა. ცდილობდა, მორიდებოდა თავყრილობებს იაფფასიან ტავერნებში, სადაც მისი სახლის ბინადრები იკრიბებოდნენ ხოლმე და ემსახურებოდა ძუნწ, დესპოტ რებაუდენგოს, რომელიც ყველას ეჭვის თვალით უყურებდა. მუშაობის პირველივე დღიდან აღარც „ვექილო“ დაუძახია სიმონინისთვის და აღარც თქვენობით მიუმართავს, სიმონინის ეძახდა, რათა ეგრძნობინებინა, ვინ იყო მათ შორის უფროსი. რამდენიმე წლის განმავლობაში გადამწერად მუშაობის შემდეგ სიმონინი იურიდიულ საკითხებშიც გაერკვა, სახელიც გაითქვა და ნელ-ნელა საკუთარი პატრონის ნდობაც დაიმსახურა. მალევე მიხვდა, რომ მისი სამუშაო ნოტარიუსის

ჩვეული საქმე – ანდერძების დამოწმება, ქონების ჩუქება, გასხვისება, ყიდვა-გაყიდვა თუ სხვა ხელშეკრულებების გაფორმება – კი არ იყო მხოლოდ, არამედ ისეთი ხელშეკრულებებისა და ანდერძების შედგენა, რომლებიც არასოდეს არავის დაეწერა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნოტარიუსი რებაუდენგო, გვარიანი თანხის საფასურად, აქტებს აყალბებდა: დიდი ოსტატობით ბაძავდა სხვების ხელწერას, მოწმეებს კი იმ უბნის ძუნძგლიანი სამიკიტნოებიდან ქირაობდა.

– იცოდე, ძვირფასო სიმონე, – უხსნიდა თანაშემწეს, კარგა ხანი იყო, შენობით მიმართავდა, – მე საბუთებს კი არ ვაყალბებ, დაკარგული დოკუმენტების ასლებს ვქმნი ხელახლა; ან ისეთ საბუთებს, რომლებიც რაღაც სულელური შემთხვევითობის გამო არ დაწერილა, მაგრამ შეიძლებოდა (ან აუცილებლად უნდა), დაწერილიყო. ყალბი დოკუმენტი ის იქნებოდა, მაგალითად, რომ შემექმნა ნათლობის მოწმობა, რომელიც დაადასტურებდა, რომ შენ – მაპატიე ასეთი მაგალითი – ოდალენგო პიკოლოს ბორდელის მეძავის შვილი ხარ (და ხითხითებდა, სხვისთვის შეურაცხყოფის მიყენებით გახალისებული). ასეთ დანაშაულს არასოდეს ჩავიდენდი, რადგან ღირსეული კაცი ვარ. მაგრამ წარმოიდგინე, მტერი ქონების წართმევას გიპირებდეს: დანამდვილებით იცოდე, რომ არც დედაშენის შვილია და არც მამაშენის, ვიღაც როსკიპის გაგდებულია, რომელმაც საკუთარი ნათლობის საბუთი გაანადგურა და ახლა შენს ავლადიდებას ეპოტინება. ასეთ ვითარებაში რომ გეთხოვა ჩემთვის განადგურებული ნათლობის დოკუმენტის თავიდან შექმნა, რათა ავაზაკისთვის სათანადო პასუხი მიგეგო, სიმართლის აღდგენაში დაგეხმარებოდი და სინდისი სულაც არ შემაწუხებდა.

– ჰო, მაგრამ საიდან დაადგენდით, სინამდვილეში ვისი შვილია?

– შენ მეტყოდი, შენ ხომ კარგად იცნობ!



*...იცოდე, ძვირფასო სიმონე, – უხსნიდა თანაშემწეს, კარგა ხანი იყო, შენობით მიმართავდა, – მე საბუთებს კი არ ვაყალბებ, დაკარგული დოკუმენტების ასლებს ვქმნი ხელახლა; ან ისეთ საბუთებს, რომლებიც რაღაც სულელური შემთხვევითობის გამო არ დაწერილა, მაგრამ შეიძლებოდა (ან აუცილებლად უნდა), დაწერილიყო...*

– და მე მენდობოდით?

– ჩემს კლიენტებს ყოველთვის ვენდობი: მე მხოლოდ ღირსეულ ადამიანებს ვემსახურები.

– მაგრამ თუ კლიენტი გატყუებთ?

– მაშინ ის სცოდავს და არა მე. მაგაზეც რომ ვიფიქრო, კლიენტი ხომ არ მატყუებს-მეთქი, ამ ხელობას უნდა შევეშვა. ნოტარიუსის საქმე ნდობას ეფუძნება.

სიმონე მთლად ბოლომდე ვერ დარწმუნდა რებაუდენგოს საქმიანობის წესიერებაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნოტარიუსმა თავისი ხელობის საიდუმლოებები გაანდო, თავადაც შესანიშნავად აყალბებდა დოკუმენტებს და მალე ოსტატობით მასწავლებელი უკან ჩამოიტოვა. სიმონინის სრულიად განსაკუთრებული კალიგრაფია და მიბაძვის ნიჭი აღმოაჩნდა.

თანაც ნოტარიუსი, საკუთარი სიტყვების გასამართლებლად თუ იმიტომ, რომ თანაშემწის სისუსტე აღმოაჩინა და ამით სარგებლობდა, სიმონინის ხშირად ეპატიჟებოდა მდიდრულ რესტორნებში, მაგალითად, „კამბიოში“, სადაც თვით კავურიც კი დადიოდა. ასე ეზიარა სიმონინი პიემონტურ „ფინანციერას“: ეს იყო „მარსალაში“, ფქვილში, ზეთსა და ქარაქში ჩაბუჟბუჟებული მამლის ბიბილოების, საქონლის ელენთის, ხბოს ტვინისა და ყვერების, საქონლის სუკის, დათვის სოკოს ნამდვილი სიმფონია. კერძს პიკანტურ, მომჟავო გემოს აძლევდა ძმრის ჭეშმარიტად ალქიმიური დოზა და თუ მისი მირთმევა გინდოდა, „კამბიოში“ ფრაკით ან რედინგოტით უნდა გამოცხადებულიყავი.

შეიძლება იმიტომ, რომ – მამის მგზნებარე მოწოდებების მიუხედავად – სიმონინო ჰეროიკული სულისკვეთებით არ იყო აღზრდილი, მაგრამ ფაქტია, რომ ვექილი მზად იყო, იმ სადილ-ვახშმის ხათრით სიკვდილამდე ემსახურა რებაუდენგოსთან. ცხადია, ნოტარიუსის – და არა საკუთარ – სიკვდილამდე. ასეც მოხდა.

ამასობაში ხელფასიც მოემატა: ნოტარიუსი საშინლად დაჩაჩანაკდა, თვალს დააკლდა, ხელი უკანკალებდა და სულ მალე სიმონინის გარეშე ველარაფერს აკეთებდა. მოკლედ, ვექილი ახლა მეტად ანებივრებდა საკუთარ თავს, ვერ უძლებდა ტურინის საუკეთესო რესტორნების ცდუნებას (რა შეედრებოდა პიემონტურად მომზადებული ბატკნის ნეტარებას, თეთრი ხორცის შებრაწულ რულეტებს, ცვრიან მწვადებს, ნაზ სუკებს, ძვალგაცლილ, მრგვალად მოხარშულ დედალს, პირში რომ დნება, ქორფა კომბოსტოს ფოთლებში შემწვარ ხორცს, დაფხვნილი პარმის ყველის საკაზმით დატენილ მოხარშულ კვერცხებს, მუსკატის კაკლით, პილპილით, ნივრით, მარილითა და როზმარინით შეზავებულ, კარაქით ჩასქელებულ, დადუღებულ-ჩაბლანტებულ ხორცის ნახარშს) და ბოლომდე იკმაყოფილებდა თავის ყველაზე ღრმა, ნამდვილ, მწველ ხორციელ ვნებას. ცხადია, ახალგაზრდა სიმონინი იმ რესტორნებში გაქუცული ტანსაცმლით ველარ ივლიდა, ასე რომ შესაძლებლობებთან ერთად მისი მოთხოვნებიც იზრდებოდა.

სიმონე მალე მიხვდა, რომ ნოტარიუსი არა მხოლოდ კერძო კლიენტებს უწევდა ფრიად კონფიდენციალურ მომსახურებას, არამედ – ალბათ, იმიტომ, რომ მისი უკანონო საქმიანობა დაცული ყოფილიყო, თუ საქმე სამართალდამცავ სამსახურებამდე მივიდოდა – საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებსაც ემსახურებოდა. ხანდახან – თავად ასე ამბობდა – დამნაშავის სამართლიანად დასასჯელად სასამართლოს დამაჯერებელი მტკიცებულებები სჭირდება, რომ მოსამართლეები პოლიციის ვარაუდების საფუძვლიანობაში დარწმუნდნენო. მოკლედ, რებაუდენგოს დროდადრო გაურკვეველი ვინაობის ადამიანები შეუვლიდნენ ხოლმე ბიუროში, რომლებსაც ის „სამსახურის ბატონებს“ ეძახდა. რა იყო ეს „სამსახური“, ამის მიხვედრას დიდი გამჭრიახობა არ უნდოდა: ეს სახელმწიფოს საიდუმლო საქმეთა სამსახური იყო.

მათ შორის იყო ვინმე კავალერი ბიანკო, რომელმაც ერთხელ დიდად შეაქო სიმონინი რაღაც უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის ორიგინალის შექმნისთვის. უდავო იყო, სანამ ვინმეს რამეს დაავალებდა, ეს კაცი ყველანაირ ინფორმაციას წინასწარ მოიპოვებდა. ერთ დღესაც გვერდზე გაიხმო სიმონინი და ჰკითხა, კიდევ დადიხართ კაფე „ბისერინშიო" და მერე სწორედ იქ დაიბარა, სალაპარაკო მაქვსო.

– ძვირფასო ვექილო, კარგად ვიცით, რომ თქვენ ხელმწიფის უერთგულესი მსახურის შვილიშვილი ხართ და სწორი პრინციპებით ბრძანდებით აღზრდილი. ისიც ვიცით, რომ ბატონმა მამათქვენმა სიცოცხლე გაიღო იმისთვის, რაც ჩვენც მართებულად მიგვაჩნია, თუმცა, როგორ ვთქვა, მეტისმეტად ადრე მოუვიდა ამის გაკეთება. ასე რომ, თქვენი პატიოსნებისა და დახმარების იმედი გვაქვს. გაითვალისწინეთ, რომ დიდი მიმტევებლობა გამოვიჩინეთ თქვენდამი, კარგა ხნის წინ შეგვეძლო, პასუხისგებაში მიგვეცა ნოტარიუსი რებაუდენგოცა და თქვენც, კანონთან ფრიად შეუთავსებელი საქმიანობის გამო. ისიც ვიცით, რომ ბუნტისთავებთან მეგობრობთ, როგორ ვთქვა, მაძინის, გარიბალდის მომხრეებთან, კარბონარებთან. ახალგაზრდა ხართ და ამაში გასაკვირიც არაფერია. მაგრამ ის გვაფიქრებს, ახალგაზრდებს მეტისმეტად არ აუვარდეთ თავში, ან იქამდე მაინც, სანამ ამის დრო არ დადგება. ჩვენი მთავრობა ძალიან შეაშფოთა პიზაკანეს ამბავმა, რამდენიმე თვის წინ ოცდაოთხ ბუნტისთავთან ერთად პონცაში რომ ჩავიდა სამფეროვანი დროშის ფრიალით, სამასი პატიმარი გაათავისუფლა და მერე საპრის მიაშურა, რადგან ეგონა, იქაური მოსახლეობა იარაღასხმული მელოდებაო. ყველაზე მიმტევებლები ამბობენ, პიზაკანე კეთილშობილი კაცი იყოო, ყველაზე სკეპტიკისები მას გიჟად თვლიან, სიმართლე კი ისაა, რომ თავგზააბნეული იყო, ილუზიების მსხვერპლი. სწორედ იმ ავაზაკებმა ამოხადეს სული მასაც და მის მომხრეებსაც, რომელთა გასათავისუფ-

ლებლადაც იბრძოდა. აი, სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს სიკეთემ, თუ ფაქტებს არ გავითვალისწინებთ.

– მესმის, – უთხრა სიმონინიმ. – ჩემგან რა გნებავთ?

– მოგახსენებთ. თუ იმ ყმაწვილებისთვის მართლა სიკეთე გვინდა და გვსურს, შეცდომის ჩადენაში ხელი შევუშალოთ, ჯობს, სახელმწიფოზე თავდასხმის ბრალდებით ციხეში გამოვამწყვდიოთ გარკვეული ხნით და მაშინ გავათავისუფლოთ, როცა ქვეყანას პატიოსანი ადამიანები დასჭირდება. მოკლედ, შეთქმულების მოწყობის ფაქტზე უნდა დავიჭიროთ. თქვენ გეცოდინებათ, ვის ენდობიან და უგდებენ ყურს. საკმარისია, მივაწვდინოთ მეთაურის გზავნილი, რომელიც სადმე დაიბარებს შეიარაღებულებს, კოკარდებით, დროშებითა და სხვა შესაბამისი აღჭურვილობით: ეს მათთვის ბრალის წაყენებას გააადვილებს, როგორც შეიარაღებული კარბონარებისთვის. პოლიცია თავზე დაადგება, დააპატიმრებს და ამით დამთავრდება ყველაფერი.

– კი, მაგრამ, მე რომ იმ დროს მათთან ერთად ვიყო, მეც ხომ დამაპატიმრებენ? მათთან ერთად თუ არ ვიქნები, ეჭვს აიღებენ, რომ მე გავეცი.

– არც ასეთი გულუბრყვილოები ვართ, დამიჯერეთ.

ბიანკოს მართლაც ყველაფერი მოფიქრებული ჰქონდა. თუმცა არც ჩვენი სიმონე იყო გონებაჩლუნგი და სანამ ბიანკო თავის გეგმებს გაუზიარებდა, სიმონინიმ მოიფიქრა, რამდენი მოეთხოვა გასამრჯელოდ და იქვე გამოუცხადა ბიანკოს, რას ითხოვდა ამ მომსახურების სანაცვლოდ სახელმწიფოსგან.

– იცით, კავალერო, ნოტარიუსმა რებაუდენგომ უამრავი უკანონობა ჩაიდინა, სანამ მე დავიწყებდი მასთან მუშაობას. საკმარისია, ორი-სამი ასეთი შემთხვევა ანონიმურად გადავუგზავნო სასამართლოს. შეუვალი საბუთები გექნებათ, რომ ნოტარიუსს ბრალი წაუყენოთ საჯარო აქტების მრავალჯერადი გაყალბებისთვის და უსაფრთხო ადგილას მოათავსოთ რამდე-

ნიმე წლით – იქამდე, სანამ ბუნება თავისას არ იზამს. დიდი დღე არ უნდა ეწეროს ბებერს, თუ მის მდგომარეობას გავითვალისწინებთ.

– და შემდეგ?

– შემდეგ, როცა ნოტარიუსი ციხეში იქნება გამომწყვდეული, გამოვაჩენ მის დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე შედგენილ კონტრაქტს, რომელიც დაადასტურებს, რომ საბოლოოდ გამოვისყიდე მისი ბიურო და რომ ამიერიდან ამ საქმის მფლობელი მე ვარ. რაც შეეხება თანხას, რომელიც კონტრაქტში იქნება ასახული: ისედაც ყველას ჰგონია, რომ ბაბუაჩემისგან ბევრი დამრჩა. ერთადერთი, ვინც სიმართლე იცის, თავად რებაუდენგოა.

– საინტერესოა, – ჩაილაპარაკა ბიანკომ. – მაგრამ მოსამართლეს ხომ დაებადება კითხვა, სად წავიდა თქვენი გადახდილი ფული.

– რებაუდენგო ბანკებს არ ენდობა და ყველაფერს თავის სამუშაო ოთახში, სეიფში ინახავს. ცხადია, შემიძლია სეიფის გაღება. ზურგს შემაქცევს ხოლმე, როცა არ უნდა, დავინახო, რას აკეთებს: თავად რომ ვერ მხედავს, ჰგონია, ვერც მე ვხედავ. სასამართლო როგორმე მოახერხებს სეიფის გახსნას, მაგრამ შიგ არაფერი დახვდება. მე ჩვენებას მივცემ, რომ რებაუდენგომ მოულოდნელად გადაწყვიტა კანტორის გაყიდვა, იმდენად იაფად, რომ მეც გამიკვირდა, მაგრამ ვიფიქრე, ალბათ, სერიოზული მიზეზი აქვს, რის გამოც საქმის მიტოვებას აპირებს-მეთქი. პოლიცია ბუხარში რაღაც დოკუმენტების ნამწვავებს იპოვის, ნოტარიუსის საწერი მაგიდის უჯრაში კი ნეაპოლში დაჯავშნილი სასტუმროს საბუთს ნახავენ. მაშინ ცხადი გახდება, რომ რებაუდენგო გრძნობდა, პოლიცია უთვალთვალებდა და გაქცევას აპირებდა, რათა დარჩენილი ცხოვრება ბურბონების კალთის ქვეშ გაეტარებინა. ფულიც, ალბათ, იქ ჰქონდა გაგზავნილი.

– კი, მაგრამ მოსამართლე თუ რამეს ეტყვის ამ ხელშეკრულებაზე, ის ხომ ყველაფერს უარყოფს!

– ვინ იცის, ეგ რამდენ რამეს უარყოფს, მაგას ყურს ვინ ათხოვებს.

– გონებამახვილური გეგმაა. მომწონხართ, ვექილო. რებაუდენგოზე ბევრად უფრო სხარტი, ყოჩაღი, თამამი ხართ, როგორ გითხრათ... უფრო ეკლექტურიც. მოკლედ, თქვენ კარბონარები დაგვაჭერინეთ და რებაუდენგოს ჩვენ მივხედავთ.

კარბონარების დაპატიმრება დამალობანას თამაშივით ადვილი აღმოჩნდა. ისე, ის გულმხურვალე ენთუზიასტები მართლაც ბავშვებს უფრო ჰგავდნენ და კარბონარები მხოლოდ მათ მგზნებარე გონებაში არსებობდნენ. სიმონემ კარგად იცოდა, რომ მის ყოველ სიტყვას ის გულუბრყვილო ყმაწვილები გმირი მამამისისგან მოსმენილად მონათლავდნენ, ამიტომ კარბონარებზე ოდესღაც პადრე ბერგამასკის მონაჩმახ ათას სისულელეს უყვებოდა მეგობრებს. იეზუიტი ხომ გამუდმებით ჩასჩიჩინებდა, პატრიოტის სამოსში გამოწყობილი კარბონარების, მასონების, მაძინის მომხრეების, რესპუბლიკელებისა და იუდეველების ხრიკებს არ წამოეგოო; კარბონარები პოლიციისთვის თვალის ასახვევად მენახშირეებად ასაღებენ თავს და საიდუმლო ადგილებში იკრიბებიან, ვითომდა ყიდვა-გაყიდვის მოლაპარაკებების საწარმოებლადო.

– ყველა კარბონარი „ალტა ვენდიტას“ ლოჟას ემორჩილება, რომელიც ორმოცი წევრისაგან შედგება და მათი უმრავლესობა (საშინელებაა ამის აღიარება!) რომის მაღალი საზოგადოებიდანაა. ცხადია, მათ შორის რამდენიმე ებრაელია. ლოჟის მეთაური ნუბიუსი იყო, კეთილშობილი ოჯახის შვილი, სულით ხორცამდე გახრწნილი, მაგრამ სახელისა და ქონების წყალობით რომში ისეთ წრეებში იყო გარეული, რომ მასზე ეჭვს ვერავინ აიღებდა. პარიზიდან ბუონაროტი, გენერალი ლაფაიეტი და სენ-სიმონი ისე უჯერებდნენ მას, თითქოს დელფოსის ორაკული ყო-



*...ყველა კარბონარი „ალტა ვენდიტას“ ლოჟას ემორჩილება, რომელიც ორმოცი წევრისაგან შედგება და მათი უმრავლესობა (საშინელებაა ამის აღიარება!) რომის მაღალი საზოგადოებიდანაა...*

ფილიყო. მიუნხენიდან, დრეზდენიდან, ბერლინიდან, ვენიდან და პეტერბურგიდან კი სექტის მეთაურები, შარნერი, ჰაიმანი, იაკობი, ჩოძკო, ლივენი, მურავიოვი, შტრაუსი, პალავიჩინი, დრისტენი, ბემი, ბათიანი, ოპენჰაიმი, კლაუსი და კაროლუსი ხელმძღვანელობდნენ მას. ნუბიუსი 1844 წლამდე მართავდა „ვენდიტას“, სანამ ვიღაცამ დარიშხანი არ შეაპარა საჭმელში. არ იფიქრო, ჩვენი, იეზუიტების, ნახელავი იყოს, მკვლელობას ბევრი მაძინის უკავშირებს, მას ხომ ეწადა და ახლაც სწადია, იუდეველთა დახმარებით თავად ჩასდგომოდა სათავეში მსოფლიოს მასონებს. ნუბიუსის ადგილი „პატარა ვეფხვმა“ დაიკავა – ებრაელმა, რომელიც, ნუბიუსივით, ადგილს ვერ პოულობს, გადარეულივით აწყდება აქეთ-იქით, რომ ჯოჯოხეთში გაისტუმროს მტრები. „ალტა ვენდიტას“ შემადგენლობა და ადგილსამყოფელი იმ ლოჟებისთვისაც კი საიდუმლოა, რომლებიც მისგან იღებენ განკარგულებებს. მისმა ორმოცმა წევრმაც არ იცის, ვის ბრძანებებს იღებს და ავრცელებს. მერე იტყვიან, იეზუიტები არიან თავიანთ ზემდგომთა მონებიო. იეზუიტები კი არა, კარბონარები ემონებიან მბრძანებელს, მეთაურს, რომელიც საკუთარ ქვეშევრდომთა მზერასაც ემალება, ვიღაც „დიდ მოხუცს“, რომელიც იატაკქვეშა ევროპას განაგებს.

ნუბიუსი სიმონეს წარმოსახვითი გმირი იყო, ინტერლაკენელი ბაბეტის ერთგვარი მამრობითი ვარიანტი. პადრე ბერგამასკის გოთური ნოველის სტილში მონათხრობს სიმონინი ეპიკურ პოემად გარდაქმნიდა და მომაჯადოებლად უყვებოდა საკუთარ მეგობრებს.

ერთ დღესაც წერილი აჩვენა ამხანაგებს. მისთვის ამის დაწერა წუთების საქმე იყო: ნუბიუსი პიემონტის მხარეში, მის თითოეულ ქალაქსა და დაბაში, გლობალურ გადატრიალებას აცხადებდა. სიმონეს მეგობრების ჯგუფს რთული და საშიში დავალება ეკისრებოდა: დანიშნულ დღეს, ალიონზე, სამიკიტნო „ოქროს კიბორჩხალას“ ეზოში შეკრებილიყვნენ, სადაც იარა-

ლი და ლეიბებითა და ძველი ავეჯით დატვირთული ურიკები დახვდებოდათ. ბარბარუს ქუჩის კუთხეში ბარიკადი უნდა აღემართათ, კასტელოს მოედნისკენ გასასვლელი ჩაეხერგათ და შემდგომ განკარგულებას დალოდებოდნენ.

ოციოდე ყმაწვილის წაქეზებას მეტი არც უნდოდა. იმ ავბედით დილას ახალგაზრდები მართლაც შეიკრიბნენ სამიკიტნოს ეზოში და მიტოვებულ კასრებში დაპირებული იარაღიც დახვდათ. თოფების დატენა აზრადაც არ მოსვლიათ, ბარიკადებისთვის საჭირო ხარახურით სავსე ურიკებს ეძებდნენ, როცა ტავერნის ეზო ჟანდარმებით აივსო. ახალგაზრდები წინააღმდეგობის გაუწევლად დანებდნენ შეიარაღებულ ჟანდარმებს. მაშინვე იარაღი ჩამოართვეს ყველას, ეზოდან გამოყარეს და ქუჩაში გაამწკრივეს, სახით კედლისკენ. – გაინძერით, ავაზაკებო! ხელები მაღლა! – ღრიალებდა სამოქალაქოტანსაცმლიანი ტიპი, რომელსაც თავი უფროსივით ეჭირა.

ორმა ჟანდარმმა სიმონე საგანგებოდ დააყენა მწკრივის ბოლოში, ქუჩის კუთხესთან. როგორც შეთანხმებული იყო, ამ დროს მათ უფროსმა უხმო, სიმონემ დრო იხელთა, გვერდით მდგარი მეგობრისკენ გადაიხარა და რაღაც ჩასჩურჩულა. როგორც კი ჟანდარმები შორს დაიგულეს, ახალგაზრდები ადგილს მოსწყდნენ, წამში მოეფარნენ ქუჩის კუთხეს და მოკურცხლეს.

– იარაღი! გარბიან! – გაისმა ვიღაცის ყვირილი. გაქცეულებს ჟანდარმების ღრიალი და ჩექმების ბრაგაბრუგი ესმოდათ ზურგს უკან. ორი გასროლა გაისმა. პირველივე ტყვიამ ადგილზე მოცელა მისი მეგობარი, მაგრამ სიმონეს არც მოუხედავს, რომ დაენახა, სასიკვდილოდ დაიჭრა თუ არა საბრალო. მთავარი იყო, რომ მოლაპარაკების თანახმად, მეორეჯერ ჰაერში გაისროლეს.

შემდეგ ქუჩაზე ჩაუხვია, მერე ისევ მოსახვევში შევარდა. სულ უფრო შორიდან ესმოდა მდევართა ყვირილი, რომლებმაც, განკარგულების თანახმად, სულ სხვა ქუჩაზე შეუხვიეს.

ცოტა ხანში კასტელოს მოედანიც გადაჭრა და უვნებელი დაბრუნდა სახლში. მისი მეგობრები უკლებლივ ყველა დააპატიმრეს. სიმონე მათ გაქცეული ეგონათ. ჟანდარმებიდან არავის ახსოვდა მისი სახე: სამიკიტნოს ეზოში შევარდნისთანავე ხომ სახით კედელთან მიაყენეს ბუნტისთავები. მოკლედ, არც ტურინის დატოვება სჭირდებოდა და მშვიდად შეეძლო მუშაობის გაგრძელება. თანაც, დაპატიმრებული მეგობრების ოჯახებს ხომ მისი გამხნევება და თანადგომა სჭირდებოდათ.

ისღა დარჩენოდა, ნოტარიუსი რებაუდენგო ჩამოეშორებინა გზიდან. არც ეს გასჭირვებია. მოხუცს ერთი წლის შემდეგ ციხეში გული გაუსკდა, მაგრამ სიმონინი სულ არ თვლიდა თავს დამნაშავედ: ანგარიში გასწორებული ჰქონდათ: ნოტარიუსმა მას ხელობა ასწავლა, თავად კი მონად ემსახურა რამდენიმე წელი რებაუდენგოს; ნოტარიუსმა ბაბუამისის ქონება მიითვისა, სიმონემ კი ნოტარიუსს მოუღო ბოლო.

ასეთ ამბებს უმჟღავნებდა აბატი დალა პიკოლა სიმონინის. აშკარა იყო, საშინლად დაეძაბა გონება, თითქოს არაქათგამოცლილი წერდა... ამას მისი დღიურის ბოლო, დაუმთავრებელი წინადადებაც ადასტურებდა: ნაწერი ისე წყდებოდა, თითქოს ავტორი წერისას ბანგს მოეცელოს.

6

# „სამსახურის“ სამსახურში

28 მარტი, 1897

ბატონო აბატო,

ფრიად საინტერესოა, რომ ის, რაც დღიური უნდა ყოფილიყო (ანუ, ავტორის გარდა, არავის წაეკითხა), შეტყობინებათა გაცვლა-გამოცვლა გამოვიდა. წერილს გწერთ და თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ოდესმე წაიკითხავთ მას.

მეტისმეტად ბევრი იცით ჩემზე. მეტისმეტად არასასურველი მოწმე ხართ. თან, მეტისმეტად მკაცრი.

დიახ, ვაღიარებ, ჩემს კარბონარ მეგობრებს და რებაუდენგოს მთლად თქვენი დარიგებისამებრ არ მოვპყრობივარ, მაგრამ მოდი, სიმართლე ვთქვათ: რებაუდენგო აფერისტი იყო და კაცმა რომ თქვას, მატყუარა მოვატყუე, სხვა არაფერი. ის ბიჭები კი ეგზალტირებული ახალგაზრდები იყვნენ, ეგზალტირებული კი ყოველთვის სამყაროს ლექია: ასეთების ხელიდან და მათი ბუნდოვანი იდეალებიდან (რომელთა გამოც არიან ეგზალტირებულები) ომებისა და რევოლუციების მეტი არაფერი გამოდის. უკვე მივხვდი, რომ ეგზალტირებულთა რიცხვს ამ

ქვეყნად ვერაფერი შეამცირებს, ასე რომ ჯობია, რამეს გამორჩე მაინც მათ ეგზალტაციას.

ნება მომეცით, *ჩემს* მოგონებებს დავუბრუნდეთ. ვცდილობ, თავი რებაუდენგოს ბიუროში წარმოვიდგინო. ის, რომ ყალბ სანოტარო აქტებს ვაშანშალებდი, სულ არ მაკვირვებს, რადგან იმავეს ვაკეთებ ახლა პარიზშიც.

კავალერი ბიანკოც კარგად მაგონდება. ერთხელ მითხრა: – იცით, ვექილო, იეზუიტები სარდინიის სამეფოებიდან გააძევეს, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ მოქმედებას განაგრძობენ და საკუთარი რწმენის ერთგულნი რჩებიან ნებისმიერ სამოსელში. ყველა ქვეყანაში ასე ხდება, საიდანაც იეზუიტები განდევნეს. რაღაც სასაცილო კარიკატურაც ვნახე ამას წინათ ერთ უცხოურ გაზეთში, იქ იეზუიტები იყვნენ გამოსახული, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებას ცდილობდნენ, მათ დიდი ამბით აკავებდნენ საზღვარზე, თუმცა ბოლოს ყველა ხვდებოდა, რომ მათი თანამოაზრენი სრულიად თავისუფლად დაპარპაშებდნენ ამ ქვეყანაში, სხვა ორდენების სამოსელს ამოფარებულები. ასე რომ, იეზუიტები ჯერ კიდევ ყველგან არიან, უბრალოდ უნდა ვიცოდეთ, სად. კარგად ვიცით, რომ ჯერ კიდევ რომის რესპუბლიკის წლებში ბევრი მათგანი დადიოდა ბაბუათქვენთან. ძნელი დასაჯერებელია, რომელიმესთან მაინც არ გქონდეთ დღემდე ურთიერთობა, ასე რომ გთხოვთ, კარგად დააკვირდეთ მათ განწყობასა და ზრახვებს. ეჭვი გვაქვს, რომ საფრანგეთში ორდენი კვლავ მოძლიერდა და ის, რაც საფრანგეთში ხდება, შეუძლებელია, ტურინში არ ხდებოდეს.

ცდებოდა, ჩემი სიყმაწვილის კეთილ მამებთან აღარაფერი მაკავშირებდა, თუმცა იეზუიტებზე ბევრ რამეს ვიგებდი, თანაც უტყუარი წყაროდან. იმ წლებში ეჟენ სიუმ თავისი „პარიზის საიდუმლოებანი“ გამოაქვეყნა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაამთავრა ნაშრომი, როცა, დევნილი, სავოიის მხარე-

ში, ანესში ცხოვრობდა. დიდი ხნის წინ დაეკავშირებინა საკუთარი ბედი სოციალისტებისთვის და ლუი ნაპოლეონის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და იმპერიის გამოცხადების სასტიკი წინააღმდეგი იყო. რადგან „რიანსის კანონის“ გამო ფელეტონებს აღარ ბეჭდავდნენ, სიუს ბოლო ნაშრომი პატარა ტომებად გამოვიდა და თითოეულ მათგანს სასტიკად სდევნიდა ცენზურა, მათ შორის პიემონტური. ძალიან ძნელი იყო მათი ხელში ჩაგდება. მახსოვს, საშინლად მოსაწყენი იყო ორი ოჯახის, გალებისა და ფრანკების, ის მდორე ამბავი, პრეისტორიული ხანიდან რომ იწყებოდა და ნაპოლეონ III-მდე მოდიოდა. ფრანკები ბოროტ მმართველებად იყვნენ მასში წარმოჩენილი, გალები კი, სიუს თუ დაუჯერებდი, ვერცინგეტორიქსის დროიდან სოციალისტები ყოფილან. სიუ უკვე აშკარად საკუთარი აკვიატებების მსხვერპლი იყო, როგორც ყველა იდეალისტი.

ჩანდა, რომ წიგნის ბოლო ნაწილი სიუს დევნილობაში დაეწერა, მაშინ, როცა ლუი ნაპოლეონი იმპერატორის ტახტისაკენ მიიწევდა. სიუს გენიალური იდეა დაებადა ლუი ნაპოლეონის გეგმების შემზარავად წარმოსაჩენად: ვინაიდან რევოლუციის დროიდან მოყოლებული, რესპუბლიკური საფრანგეთის მეორე დიდი მტერი იეზუიტთა ორდენი იყო, საკმარისი იყო, სიუს ლუი ნაპოლეონის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება იეზუიტების ინსპირირებულად და მართულად წარმოეჩინა. მართალია, 1830 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ იეზუიტები საფრანგეთიდანაც გაძევებულები იყვნენ ოფიციალურად, მაგრამ სიუ ამბობდა, სინამდვილეში არსად წასულან, უბრალოდ გასუსულები იყვნენ და უწინდელზე მეტად მოძლიერდნენ მას შემდეგ, რაც ლუი ნაპოლეონმა ძალაუფლებისკენ სვლა დაიწყოო; ლუი ნაპოლეონი მათ რომის პაპთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად იტანდაო.

წიგნში იყო მამა როდენის (რომელიც იქამდეც გამოჩნდა, „მარად ურიაში“) უგრძესი უსტარი იეზუიტთა გენერლის, მა-

მა როთაანისადმი, რომელშიც დაწვრილებით იყო აღწერილი შეთქმულება. რომანის ბოლო მოვლენები სახელმწიფო გადატრიალების წინააღმდეგ უკანასკნელი სოციალისტურ-რესპუბლიკური წინააღმდეგობის პერიოდში ვითარდებოდა და წერილში ჯერ კიდევ გეგმის სახით იყო წარმოჩენილი ის, რაც ლუი ნაპოლეონმა შემდეგ მართლაც გააკეთა. მოკლედ, მკითხველს რჩებოდა განცდა, რომ რომანში აღწერილი მოვლენები მოგვიანებით მართლაც მოხდა. ახდენილი წინასწარმეტყველება კი ყოველთვის განსაკუთრებულად მოქმედებს ხალხზე.

რა თქმა უნდა, დიუმას „ჯუზეპე ბალზამოც" გამახსენდა: საკმარისი იყო, ქუხილის მთა ცოტა უფრო ეკლესიური გარემოთი შეცვლილიყო, მაგალითად, რომელიმე ძველი მონასტრის საგანძურით, მასონების მაგივრად იქ ლოიოლას მიმდევრები მოგროვილიყვნენ მთელი მსოფლიოდან, ბალზამოს ნაცვლად კი როდენს მიემართა შეკრებილთათვის და მსოფლიო შეთქმულების ძველი სქემა უცებ მოერგებოდა თანამედროვეობას.

აქედან დამებადა აზრი, რომ შემეძლო, ბიანკოსთვის აქა-იქ ყურმოკრული ჭორი კი არა, იეზუიტებისთვის დაცინცლული მთელი დოკუმენტი მიმეყიდა. ცხადია, რაღაც უნდა შემეცვალა, ჩამენაცვლებინა მამა როდენი, რომელიც ალბათ ვიღაცვიღაცეებს ეხსომებოდათ სიუს რომანიდან, პადრე ბერგამასკი გამომეყვანა სცენაზე, რომელიც ვინ იცის, ახლა სად იყო, მაგრამ ტურინში მასზე უეჭველად ბევრი რამ სმენოდათ. გარდა ამისა, სიუს დროს ორდენის გენერალი ჯერ კიდევ როთაანი იყო, ახლა კი ხმები დადიოდა, რომ ის ვინმე მამა ბექსს ჩაენაცვლებინა.

დოკუმენტი უნდა წარმოჩენილიყო, როგორც სანდო ინფორმატორის მონათხრობის სიტყვასიტყვითი ჩანაწერი. თანაც, ეს ადამიანი მოსყიდული ჯაშუში კი არ უნდა ყოფილიყო (ცნობილია, რომ იეზუიტები ორდენს არასოდეს ღალატობენ), არამედ – ბაბუაჩემის ძველი მეგობარი, რომელიც ბაბუას თა-

ვისი ორდენის სიდიადისა და უძლეველობის დასტურად უყვებოდა იმ ამბებს.

იუდეველთა გარევაც მინდოდა ამ ყველაფერში – ამით ბაბუას ხსოვნას მივაგებდი პატივს – მაგრამ სიუ მათზე არაფერს ამბობდა და ებრაელებისა და იეზუიტების ერთ ამბავში მოთავსება გამიჭირდებოდა. თან, იმ წლებში პიემონტში ებრაელები დიდად არავის ადარდებდა. მთავრობის ხალხს ზედმეტი ინფორმაციით არ უნდა დაუტვირთო გონება, მათ მარტივი, მკაფიო აზრები უნდათ, შავი და თეთრი, კეთილი და ბოროტი. თანაც, ბოროტი მხოლოდ ერთი უნდა იყოს.

მაგრამ ებრაელებს მაინც ვერ შეველიე და ისინი გარემოდ გამოვიყენე. ერთგვარი ხერხი იყო, ბიანკოსთვის იუდეველებზე რაღაც ცუდი ჩამეწვეთებინა ყურში.

ვიფიქრე, რომ პარიზში – ან, მით უარესი, ტურინში – მომხდარის შემოწმებას ადვილად შეძლებდნენ, ამიტომ ჩემი იეზუიტები ისეთ ადგილას უნდა შემეკრიბა, რომელზეც პიემონტის საიდუმლო სამსახურსაც არ მიუწვდებოდა ხელი. ადგილი, რომელიც მხოლოდ ლეგენდებით იქნებოდა ცნობილი. იეზუიტები კი, უფლის საცეცები, ყველგან იყვნენ, პროტესტანტული ქვეყნებისთვისაც ჩაევლოთ კლანჭები.

დოკუმენტების გამყალბებელს ყოველთვის სერიოზული საბუთები სჭირდება, ამიტომ ბიბლიოთეკებში დავდიოდი. საოცარი ხიბლი აქვს ბიბლიოთეკას: ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს რკინიგზის ბაქანზე დგახარ; როცა ეგზოტიკურ ქვეყნებზე წიგნებს ათვალიერებ, გგონია, რომ შენც მოგზაურობ, შენც დააბიჯებ იმ შორეულ სანაპიროებზე. ასე წავაწყდი რომელიღაც წიგნში პრაღის ებრაული სასაფლაოს მომხიბლავ გრავიურებს. პატარა, მიტოვებულ სასაფლაოზე თორმეტი ათასამდე საფლავის ქვა იყო თავმოყრილი. თუმცა საფლავები ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო, რადგან საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთზე მარხავდნენ მკვდრებს. სასაფლაოს დახურვის

შემდეგ რამდენიმე უძველესი საფლავი გაეთხარათ. ერთმანეთზე დახვავებული ვეებერთელა ქვები ყველა მიმართულებით გაშვერილიყო (შეიძლება, ებრაელებმა დაყარეს ასე, მათთვის ხომ მშვენიერებისა და წესრიგის ყოველგვარი განცდა უცხოა).

ის მიტოვებული ადგილი იდეალური იყო: ბუნდოვანებით მოცული, უცნაური. რა ფარული ჩანაფიქრი უნდა ყოფილიყო იმაში, რომ იეზუიტებს ებრაელთა წმინდა ადგილზე განეზრახათ შეკრება? რა აკავშირებდათ ამ ყველასაგან დავიწყებულ და მიუდგომელ ადგილთან? ამ შეკითხვებზე პასუხი არ არსებობდა, ეს კი მონათხრობს მეტ დამაჯერებლობას შესძენდა: ჩემი აზრით, ბიანკოს ღრმად სწამდა, რომ, თუ ამბავი მეტისმეტად ჰგავს სიმართლეს, აუცილებლად ყალბია.

დიუმას ერთგულ მკითხველს, საშინლად მხიბლავდა შეკრების ორგანიზება წკვარამ ღამეში, სასაფლაოზე, რომელსაც აქაიქ მკრთალად ანათებდა მთვარის ჭლექიანი შუქი. იეზუიტები ნახევარწრეზე განლაგებულიყვნენ და განიერფარფლიანი შავი ქუდებით ბნელში მოფუთფუთე ტარაკნებს ჰგავდნენ. ხელები წინასწარ მექავებოდა სიამოვნებისგან, რომ წარმოვიდგენდი, როგორ აღვწერდი მამა ბექსის სატანურ ქირქილს, როცა კაცობრიობის მტრების ბინძურ ზრახვებს ახდიდა ფარდას (რას იხალისებდა მამაჩემის აჩრდილი ზეცაში! თუმცა ზეცაში კი არა, ჯოჯოხეთში: ჩემი ვარაუდით, ღმერთი სწორედ იქ ჩაუძახებს მაძინის მიმდევრებსა და რესპუბლიკელებს). თვალწინ მედგა, როგორ იქსაქსებოდნენ სხვადასხვა მიმართულებით ის ბოროტების შიკრიკები, რათა მთელ მსოფლიოში გაევრცელებინათ სამყაროს დაპყრობის ახალი სატანური გეგმა. სისხლიანი ღამის შემდეგ, ალიონზე ავისმომასწავებლად აფრთხიალებულ ყვავ-ყორნებს ჰგავდნენ.

მაგრამ სიტყვაძუნწობა და სისხარტე მმართებდა, როგორც იდუმალ დოკუმენტს უხდება: ყველამ იცის, რომ პოლიციის აგენტები განსაკუთრებული ენაწყლიანობით არ გამოირჩევიან და ორ-სამ გვერდზე მეტის დაწერა არ შეუძლიათ.



*....როგორ აღვწერდი მამა ბექსის სატანურ ქირქილს, როცა კაცობრიობის მტრების ბინძურ ზრახვებს ახდიდა ფარდას (რას იხალისებდა მამაჩემის აჩრდილი ზეცაში! თუმცა ზეცაში კი არა, ჯოჯოხეთში: ჩემი ვარაუდით, ღმერთი სწორედ იქ ჩაუძახებს მაძინის მიმდევრებსა და რესპუბლიკელებს)...*

ასე და ამგვარად, ჩემი გამოგონილი ინფორმატორი ყვებოდა, რომ იმ ღამეს ორდენის წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებიდან შეიკრიბნენ პრაღაში მამა ბექსის მოსასმენად. ბექსმა დამსწრეთ ბერგამასკი წარუდგინა, რომელიც ღვთის ნებით მომხდარ მოვლენათა წყალობით ლუი ნაპოლეონის მრჩეველი გამხდარიყო.

პადრე ბერგამასკიმ შეკრებილთ განუცხადა, ლუი ნაპოლეონ ბონაპარტმა არაერთხელ დაადასტურა ორდენის ერთგულება და მის განკარგულებათა მორჩილებაო.

– ბონაპარტმა რევოლუციონერები გააცურა, ვითომ დოქტრინის ერთგული იყო, საქებარი ოსტატობით შენიღბა ლუი-ფილიპის მიმართ საკუთარი დამოკიდებულებაც და ხელი შეუწყო იმ ათეისტური მთავრობის ჩამოგდებას. ერთგულად გაითვალისწინა ჩვენი რჩევები, როცა 1848 წელს ამომრჩეველთა წინაშე წარდგა, როგორც გულმხურვალე რესპუბლიკელი და თავი რესპუბლიკის პრეზიდენტადაც აარჩევინა. უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მაძინის რესპუბლიკის დამხობაშიც: სწორედ მისი დახმარებით დაბრუნდა ტახტზე წმინდა მამა.

– ნაპოლეონმა გადაწყვიტა, – განაგრძობდა ბერგამასკი, – სოციალისტების, რევოლუციონერების, ფილოსოფოსების, ათეისტებისა და ყველა იმ ავაზაკი რაციონალისტის საბოლოოდ გასანადგურებლად, რომლებიც ერის სუვერენინეტს ჩაგვჩიჩინებენ, სასამართლოს, რელიგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ თავისუფლებას გვიქადაგებენ – საკანონმდებლო საბჭო დაეთხოვა, შეთქმულების ბრალდებით დაეპატიმრებინა ხალხის წარმომადგენლები, პარიზი ალყაში მყოფ ქალაქად გამოეცხადებინა, ბარიკადებზე შეპყრობილი ბუნტისთავები გაუსამართლებლად დაეხვრიტა, საშიში ინდივიდები კი კაიენაში გამოემწყვდია სამუდამოდ, შეეზღუდა ბეჭდვისა და თავყრილობის უფლება, ჯარი ციხესიმაგრეებში შეეყვანა და იქიდან დაეშინა ჭურვები დედაქალაქისთვის, დაეფერფლა, ნაცარტუტად ექცია პარიზი,

ქვა ქვაზე აღარ დაეტოვებინა და ასე ეზეიმა რომის სამოციქულო კათოლიკური ეკლესიის გამარჯვება, თანამედროვე ბაბილონის ნანგრევებზე. შემდეგ მოსახლეობას პირდაპირ მიაცემინებდა ხმას საკუთარი საპრეზიდენტო მანდატის კიდევ ათი წლით გასაგრძელებლად და შედეგად რესპუბლიკას ახალ იმპერიად გარდაქმნიდა: საყოველთაო არჩევნები ხომ ერთადერთი და უებარი საშუალებაა დემოკრატიის წინააღმდეგ: მასში სოფლების მოსახლეობაც მონაწილეობს, რომელიც საკუთარი მოძღვრის სიტყვას ვერ გასცილებია და მას უგდებს ყურს.

ყველაზე საინტერესო ის იყო, რასაც ბერგამასკი ბოლოს იტყოდა პიემონტთან დაკავშირებულ პოლიტიკაზე: ორდენის სამომავლო გეგმებად გაასაღებდა მოვლენებს, რომლებიც ამ დოკუმენტის შედგენის დროს უკვე მომხდარი იყო.

– ის იდიოტი მეფე, ვიტორიო ემანუელე, იტალიის სამეფოზე ოცნებობს, მისი მინისტრი, კავურიც, აქეზებს ამისკენ. ნატრობენ, ავსტრია გააძევონ ნახევარკუნძულიდან და წმინდა მამის საერო ზეგავლენა შეარყიონ. მხარდაჭერის მოპოვებას საფრანგეთისაგან ეცდებიან, ასე რომ ადვილია, ისინი ჯერ რუსეთთან ომში ჩააბა, დაჰპირდე, რომ ავსტრიის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს დაუჭერ, სანაცვლოდ კი სავოიის მხარე და ნიცა მოსთხოვო. შემდეგ იმპერატორი თავს მოიკატუნებს პიემონტელებთან, ვითომ რამეს ცდილობს, მაგრამ – რამდენიმე უმნიშვნელო ადგილობრივი გამარჯვების შემდეგ – ზავზე დაიწყებს ვაჭრობას ავტრიელებთან ისე, რომ პიემონტელებს არც შეეკითხება და ხელს შეუწყობს იტალიური კონფედერაციის შექმნას, რომლის სათავეში პაპი იქნება. კონფედერაციაში ავსტრიაც შევა და სრულად შეინარჩუნებს თავის მონაპოვარს იტალიაში. ამრიგად, პიემონტი ერთდროულად აღმოჩნდება საფრანგეთისა და რომის დაქვემდებარებაში და მას ფრანგული ჯარიც გააკონტროლებს, რომელსაც რომი აქვს დაკავებული და სავოიის მხარეში განლაგებული სამხედრო ძალებიც.

ესეც დოკუმენტი. არ ვიცოდი, რამდენად მოეწონებოდა პიემონტის მთავრობას ნაპოლეონ III-ის სარდინიის სამეფოების მტრად გამოყვანა, მაგრამ წინასწარ ვგრძნობდი იმას, რაც შემდეგ არაერთხელ დამიდასტურა გამოცდილებამ: საიდუმლო სამსახურს ყოველთვის ურჩევნია, ხელთ ჰქონდეს დოკუმენტი (თუნდაც მაშინვე არ გამოამზეუროს ის), რომლითაც ხელისუფლებაში მყოფ პირებს დააშანტაჟებს, ვითარებას აამღვრევს და სასურველ დროს მის მკვეთრ ცვლილებას გამოიწვევს.

მართლაც, ბიანკომ ყურადღებით წაიკითხა ანგარიში, მერე ამომხედა და მითხრა, ეს უმნიშვნელოვანესი მასალააო. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თუ ჯაშუშს ცინცხალი ცნობები სჭირდება გასაყიდად, მხოლოდ იმას უნდა მოჰყვეს, რასაც ნებისმიერ ბუკინისტთან გადააწყდება ადამიანი.

ბიანკოს ლიტერატურის ბევრი არაფერი გაეგებოდა, სამაგიეროდ ჩემზე ყველაფერი იცოდა, ამიტომ, ვითომ სხვათა შორის, მითხრა: – რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი თქვენი გამონაგონია.

– რას ბრძანებთ! – შევძახე შეშფოთებულმა. მან ხელი ასწია და გამაჩუმა. – არ გინდათ, ვექილო. ეს დოკუმენტი თქვენი ნახელავიც რომ იყოს, ჩემთვის და ჩემი ხელმძღვანელობისთვისაც მოსახერხებელია, ის ავთენტიკურად წარმოვაჩინოთ. უეჭველად გეცოდინებათ – ეს ახლა ყველამ იცის – რომ ჩვენი მინისტრი კავური დარწმუნებული იყო, რომ მუჭში ჰყავდა მომწყვდეული ნაპოლეონ III, რადგან გრაფინია კასტილიონე მიუჩინა (მშვენიერი ქალია, ვერ უარვყოფთ). ფრანგმა დიდხანს არ ახვეწნინა, სიამოვნებით სარგებლობდა ამ ბანოვანის მომსახურებით, თუმცა მალევე ნათელი გახდა, რომ ნაპოლეონი მთლად კავურის ჭკუაზე არ დადიოდა და გრაფინია კასტილიონეც ფუჭად გაისარჯა (შეიძლება, თავადაც ისიამოვნა, ვერ გეტყვით). მაგრამ ნამდვილად ვერ დავუშვებთ, რომ სახელმწიფოს საქმეები ერთი მსუბუქი ყოფაქცევის ქალის ხუშტურებზე იყოს დამოკიდებუ-

ლი. მნიშვნელოვანია, ჩვენი ხელისუფალი ბონაპარტს აღარ ენდობოდეს. უკვე ნათელია, რომ მალე გარიბალდი ან მაძინი, ან ორივე ერთად, ნეაპოლის სამეფოსკენ გაეშურებიან. თუ მათი ექსპედიცია შემთხვევით წარმატებით დაგვირგვინდა, პიემონტიც უნდა ჩაერიოს საქმეში, რომ გადარეულ რესპუბლიკელებს არ ჩაუგდოს ხელთ ის მიწები. ამისათვის ნახევარკუნძულის მთელ სიგრძეზე გადაჭრა, ანუ პაპის მმართველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფოების გავლა, მოუწევს. ამ მიზნის მიღწევის აუცილებელი პირობა იქნება, ჩვენი ხელისუფალი პაპისადმი უნდობლობით განვაწყოთ და ვურჩიოთ, დიდად არ გაითვალისწინოს ნაპოლეონ III-ის რჩევები. თავად მიხვდებოდით, ძვირფასო ვექილო, პოლიტიკას ხშირად ჩვენნაირი მოკრძალებული სახელმწიფო მოხელეები განსაზღვრავენ და არა ისინი, ვინც ხალხს ჰგონია გადაწყვეტილების მიმღები...

ის ანგარიში ჩემი პირველი სერიოზული ნაშრომი იყო: ვილაცის კერძო ანდერძს კი არ ვთითხნიდი, პოლიტიკური მნიშვნელობის ტექსტს ვქმნიდი, რომლითაც, ვინ იცის, სარდინიის სამეფოს საქმეებში ვმონაწილეობდი. უნდა ვაღიარო, ფრიად ვამაყობდი ამით.

ამასობაში ის ავად გასახსენებელი 1860 წელიც დადგა. ავად გასახსენებელი ქვეყნისთვის და არა ჩემთვის (ჯერ კიდევ). მოვლენებს შორიდან ვადევნებდი თვალყურს და კაფეებში უსაქმურების რატრატს ვუსმენდი. ვგრძნობდი, მომავალში სულ უფრო ხშირად მომიწევდა პოლიტიკურ საქმეებში ჩარევა და ვფიქრობდი, რომ გამოსაგონებლად ყველაზე მიმზიდველი ახალი ამბები სწორედ მუქთახორების ვარაუდები იქნებოდა: ისინი ხომ გაზეთების გავრცელებულ დამაჯერებელ ცნობებს არ ენდობიან.

ასე შევიტყვე, რომ ტოსკანის დიდი საჰერცოგოს, ასევე მოდენისა და პარმის საჰერცოგოთა მცხოვრებლები ხელისუფ-

ლებას უმხედრდებოდნენ, ემილია რომანიას მხარის ეგრეთ წოდებული პაპის ლეგატები პაპს აღარ ემორჩილებოდნენ. ყველა სარდინიის სამეფოს ანექსიას მოითხოვდა; 1860 წლის აპრილში პალერმოში ამბოხებებმა იფეთქა; მაძინი აიმედებდა აჯანყების მეთაურებს, რომ მათ გარიბალდი მიეშველებოდა. ამბობდნენ, გარიბალდი ხალხს, ფულს და იარაღს აგროვებს ლაშქრობისთვისო, სიცილიასთან კი უკვე ბურბონების ხომალდები იდგნენ მტრის თავდასხმის შესაჩერებლად.

– იცით, რომ კავური მხოლოდ ერთ ადამიანს ეყრდნობა, ლა ფარინას, რომ გარიბალდი აკონტროლოს?

– რას ამბობთ? მინისტრმა თორმეტი ათასი თოფის შესყიდვა ბრძანა, სწორედ გარიბალდის მომხრეებისთვის.

– ჰო, მაგრამ თოფები არ დაურიგებიათ. და ვინ გააკეთა ეს? სწორედ მეფის კარაბინერებმა.

– კარგი რა, თუ ღმერთი გწამთ... კავურმა, პირიქით, ხელი შეუწყო იარაღის დარიგებას.

– რა თქმა უნდა... ოღონდ „ენფილდის" მშვენიერი შაშხანები კი არ დაურიგა, რომლებსაც გარიბალდი ელოდა, არამედ – ჯართი, რომლითაც, დიდი-დიდი, ტყის ქათამზე ინადიროს კაცმა.

– მეფის კართან დაახლოებული ხალხისგან ვიცი, სახელებს ნუ მათქმევინებთ, რომ ლა ფარინამ გარიბალდის რვა ათასი ლირა და ათასი თოფი გადასცა.

– დიახ, მაგრამ სამი ათასი უნდა გადაეცა, ორი ათასი შაშხანა გენუის გუბერნატორმა დაიტოვა.

– გენუა რა შუაშია?

– როგორ ფიქრობთ, გარიბალდი ჯორზე გადამჯდარი ჩავა სიცილიამდე? ხელშეკრულება გააფორმა ორი გემის შესასყიდად, რომლებიც გენუიდან უნდა გავიდნენ. და იცით, ვინ აიღო ეს ხარჯი საკუთარ თავზე? მასონებმა, უფრო სწორად, გენუის ერთ-ერთმა ლოჟამ.

– ეგვიპტის ლოჟა რა სახსენებელია! მასონობა იეზუიტების მოგონილია!

– თქვენ მაინც ნუ იღებთ ხმას, ყველამ იცის, რომ თავად ხართ მასონი!

– კარგი, არ გვინდა ამაზე. სანდო წყაროდან ვიცი, რომ ხელშეკრულების ხელმოწერას (ამ სიტყვებზე ხმას დაუწია) ვექილი რიკარდი და გენერალი ნეგრი სენ-ფრონი ესწრებოდნენ.

– ეგ ვიღა ოხრები არიან?

– არ იცით? (ჩურჩულებდა) საიდუმლო საქმეების განყოფილების, უფრო სწორად, პოლიტიკური მეთვალყურეობის უმაღლესი სამსახურის უფროსები. ეს იგივე მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის საინფორმაციო სამსახურია... მათ დიდი ძალა აქვთ, პრემიერ-მინისტრზე მეტიც! მასონები მათთან რას მოვლენ.

– ასე გგონიათ? მშვენივრად შეიძლება, საიდუმლო საქმეთა სამსახურში მუშაობდე და მასონი იყო: საქმეშიც ძალიან დაგეხმარება.

ხუთ მაისს ხმა გავრცელდა, გარიბალდი ათასი მოხალისით სიცილიისკენ დაიძრაო. პიემონტელი მათში ათი კაცი თუ იქნებოდა, უცხოელებიც იყვნენ, ვექილები, ექიმები, ფარმაცევტები, ინჟინრები – ძირითადად მდიდარი ადამიანები. ძალიან ცოტა იყო უბრალო ხალხიდან.

თერთმეტ მაისს გარიბალდის გემები მარსალას მიადგნენ. კი, მაგრამ ბურბონების საზღვაო ძალები საით იყურებოდნენ ამ დროს? როგორც ჩანს, ისინი ბრიტანულმა გემებმა დააფრთხო, რომლებიც პორტში იდგნენ, ოფიციალურად – თანამემამულეთა ქონების დასაცავად (იმ წლებში ინგლისელები წარმატებით ვაჭრობდნენ მარსალაში ძვირფასი ღვინოებით). ან იქნებ ინგლისელები გარიბალდის ეხმარებოდნენ?

მოკლედ, რამდენიმე დღეში გარიბალდის „ათასმა მებრძოლმა“ (ხალხი უკვე ასე მოიხსენიებდა მათ) ბუზებივით მოიგერია



*– ეგვიპტის ლოჟა რა სახსენებელია! მასონობა იეზუიტების მოგონილია!*

*– თქვენ მაინც ნუ იღებთ ხმას, ყველამ იცის, რომ თავად ხართ მასონი!..*

ბურბონების არმია კალატაფიმისთან. მათ დღითი დღე ემატებოდა ხალხი, ადგილობრივი მოხალისეებიც უერთდებოდნენ და გარიბალდიმ თავი სიცილიის დიქტატორად გამოაცხადა ვიტორიო ემანუელე II-ის სახელით. თვის ბოლოს პალერმო აღებული იყო.

საფრანგეთი, საფრანგეთი რას ამბობდა ამაზე? საფრანგეთი თითქოს ფრთხილად აკვირდებოდა, მაგრამ ამ დროს ერთი სახელოვანი ფრანგი, გარიბალდიზე ბევრად უფრო ცნობილი – ალექსანდრე დიუმა, დიდი მწერალი – თავისი პირადი ხომალდით, „ემათი“, განმათავისუფლებლებთან შესაერთებლად მიიჩქაროდა, ფულითა და იარაღით დატვირთული.

ნეაპოლში ორი სიცილიის საბრალო მეფეს, ფრანჩესკო II-ს, ძალიან ეშინოდა, რადგან გარიბალდი წარმატებით მიიწევდა წინ და მეფის არმიის გენერლებიც ნელ-ნელა მის მხარეს გადადიოდნენ. მეფე პოლიტიკური ტყვეების ამნისტიას ჩქარობდა და სურდა, თავისივე გაუქმებული, 1848 წლის კანონმდებლობა აღედგინა, მაგრამ უკვე მეტისმეტად გვიანი იყო და დედაქალაქშიც კი უკმაყოფილება და ჯანყი მწიფდებოდა.

სწორედ ივნისის დასაწყისში მივიღე კავალერ ბიანკოს წერილი, მატყობინებდა, შუღამისას სახლის კართან კარეტა დაგხვდებათო. უცნაური პაემანი იყო, მაგრამ გული რაღაც საინტერესოს მიგრძნობდა და ღამის თორმეტ საათზე, ერთიანად ოფლში გაღვრილი ჯოჯოხეთური სიცხისგან, ტურინში რომ იდგა იმ დღეებში, გარეთ გავედი. ეტლი ზუსტად დანიშნულ დროს მოვიდა, ფანჯრებზე ფარდები იყო ჩამოფარებული, შიგნით უცხო მამაკაცი დამხვდა. გარეთ არ ვიყურებოდი, მაგრამ, მგონი, ცენტრს დიდად არ დავშორებივართ, მომეჩვენა, რომ ორ-სამჯერ გავიარეთ ერთი და იგივე ქუჩები.

კარეტა ერთ ღარიბულ უბანში, ნახევრად დანგრეული სახლის აყროლებულ ეზოსთან გაჩერდა. ეზოში მოგლეჯილი მოა-

ჯირები იყო დახვავებული. უცნობმა ვიწრო კარში შემიყვანა და გრძელ დერეფანში გამიძღვა, რომლის ბოლოშიც მეორე, პატარა კარი ჩანდა. კარი სულ სხვაგვარი შენობის სადარბაზოს უკავშირდებოდა. ფართო კიბის წინ აღმოვჩნდით, მაგრამ არ ავსულვართ, მეორე, ვიწრო კიბეს ავუყევით სადარბაზოს სიღრმეში და კაბინეტში მოვხვდით, რომლის კედლები გობელენებით იყო დაფარული. კედელზე მეფის დიდი სურათი ეკიდა, მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდას ოთხი ადამიანი უჯდა. ერთი კავალერი ბიანკო იყო. ბიანკომ დანარჩენები გამაცნო. ხელი არავის გამოუწვდია, მხოლოდ ოდნავ დამიკრეს თავი.

– დაბრძანდით, ვექილო. თქვენ მარჯვნივ გენერალი ნეგრი სენ-ფრონია, ეს ვექილი რიკარდი გახლავთ, ეს კი პროფესორი ბოჯოა, ვალენცა პოს კოლეგიის დეპუტატი.

ბარებსა და ტავერნებში ყურმოკრულის თანახმად, ნეგრი და რიკარდი პოლიტიკური ზედამხედველობის სამსახურის მოხელეები იყვნენ, რომლებიც გარიბალდის დახმარებოდნენ (ხალხი ასე ამბობდა) იმ ორი ცნობილი გემის ყიდვაში. მესამესი მხოლოდ სახელი მქონდა გაგონილი: ჟურნალისტი იყო, ოცდაათი წლისა უკვე სამართალს ასწავლიდა, დეპუტატი და კავურთან დაახლოებული პირი გახლდათ. უშველებელი მონოკლი ეკეთა, ჟღალი სახე, წვრილი ულვაში და ქვეყნად ყველაზე უმანკო ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა. მაგრამ ისეთი მოწიწებით მიმართავდნენ იქ მყოფნი, რომ აშკარა იყო, მთავრობაში დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა.

საუბარი ნეგრიმ დაიწყო: – ძვირფასო ვექილო, კარგად ვიცით, როგორ გეხერხებათ ინფორმაციის შეგროვება, რა ფრთხილი, წინდახედული ბრძანდებით, როგორ შეგიძლიათ საიდუმლო მასალებთან მუშაობა. ამიტომ გადავწყვიტეთ, უაღრესად დელიკატური მისია მოგანდოთ გენერალ გარიბალდის მიერ ახლახან აღებულ მხარეში. ნუ შეშფოთდებით, წითელპერანგიანების გაძღოლას არ გავალებთ აჯანყების მოსაწყობად.

ინფორმაცია გვჭირდება. მაგრამ ზუსტად რომ იცოდეთ, რა ტიპის ინფორმაცია აინტერესებს მთავრობას, იძულებულები ვართ, სახელმწიფო საიდუმლო გაგანდოთ. ამრიგად, თავად ხვდებით, რაოდენი წინდახედულება და სიფრთხილე გმართებთ დღეიდან თქვენი მისიის ამოწურვამდე და მას შემდეგაც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია თქვენივე უსაფრთხოებისთვისაც და ჩვენთვისაც.

იშვიათი დიპლომატიური ნიჭის კაცი იყო სენ-ფრონი. ძალიან ადარდებდა ჩემი კარგად ყოფნა, გამაფრთხილა, რომ, თუ სადმე დამცდებოდა, რასაც მათგან მოვისმენდი, ჩემს ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს შევუქმნიდი. ამ გრძელი შესავლით დრო და საშუალება მომცა, სავარაუდოდ განმესაზღვრა გონებაში ჩემი ჰონორარი. თავაზიანად დავუკარი თავი სენ-ფრონს და ამით ვანიშნე, გაეგრძელებინა.

– დეპუტატ ბოჯოზე უკეთ ვერავინ აგიხსნით საქმის ვითარებას. ის ყველაზე მეტადაა დაახლოებული ამ გეგმის ავტორებთან. გთხოვთ, პროფესორო...

– იცით, ვექილო, – დაიწყო ბოჯომ, – პიემონტში კაცი არ მეგულება, ჩემზე მეტად ეთაყვანებოდეს იმ წმინდა, კეთილშობილ ადამიანს – გენერალ გარიბალდის. რაც მან სიცილიაზე ერთი მუჭა მხარდამჭერებით მოახერხა, თანაც ევროპის ერთ-ერთი ყველაზე კარგად შეიარაღებული ჯარის წინააღმდეგ, საოცრებაა.

მივხვდი, რომ ბოჯო გარიბალდის უსასტიკესი მტერი იყო. მაგრამ გადავწყვიტე, ბოლომდე უხმოდ მომესმინა მისთვის.

– და მაინც, – განაგრძო ბოჯომ, – შეიძლება, მართალია, რომ გარიბალდიმ ის მიწები ჩვენი მეფის, ვიტორიო ემანუელე II-ის სახელით აიღო, მაგრამ სინამდვილეში ვინც დგას გენერლის უკან, მას სულ სხვა მიზნები აქვს. მაძინი არ მოისვენებს, სანამ სამხრეთის დიდი გადატრიალება რესპუბლიკის გამოცხადებით არ დაგვირგვინდება. კარგად ვიცით, დარწმუნების

როგორი უნარი აქვს მაძინის: თავად არხეინად ცხოვრობდა უცხოეთში და იქიდან ურევდა ტვინებს, თავგანწირვისკენ მოუწოდებდა უთავბოლოებს და თავგზაარეულებს. გარიბალდისთან ყველაზე დაახლოებულ პირები კრისპი და ნიკოტერა არიან – მაძინის მიმდევრები – და ცუდ ზეგავლენას ახდენენ გენერალზე: ის ხომ სხვის მზაკვრობას და მუხანათობას ვერ ხედავს. მოდით, უფრო ნათლად გეტყვით: გარიბალდი მალე მიაღწევს მესინის სრუტეს და კალაბრიაში გადავა. ის ძლიერი სტრატეგია, მის გულანთებულ მოხალისეებს ბევრი სიცილიელიც შეუერთდა, ზოგი სამშობლოს სიყვარულით და ზოგიც – გამორჩენის მიზნით. ბურბონების გენერალებმა საბოლოოდ დაამტკიცეს საკუთარი უვარგისობა, ეჭვი მაქვს, ფარული წყაროებიდან მიღებულმა დიდძალმა ფულმა მთლად დაუჩლუნგათ სამხედრო უნარი და ღირსებები. თქვენთან არ ვაპირებთ იმის განხილვას, საიდან მოდის ეს ფული. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ეს ჩვენი მთავრობის ფული არაა. სიცილია უკვე გარიბალდის ხელშია და თუ ის კალაბრიასა და ნეაპოლის მხარესაც აიღებს, გენერალს, მაძინის მიმდევარი რესპუბლიკელების მხარდაჭერით, ცხრამილიონიანი სამეფოს მთელი რესურსი ექნება ხელთ და ხალხში სრულიად უპრეცედენტო პოპულარულობის წყალობით ხელისუფალზე ძლიერი აღმოჩნდება. ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად ჩვენს მეფეს ერთადერთი არჩევანი აქვს: სამხრეთისაკენ დაიძრას ჯარით, პაპის მმართველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფოები გაიაროს (ცხადია, ეს უმტკივნეულოდ არ მოხდება) და ნეაპოლში ჩაასწროს გარიბალდის. გასაგებია?

– გასაგებია. მაგრამ არ მესმის, მე რა...

– მოითმინეთ. გარიბალდის და მის ხალხს სამშობლოს სიყვარული ამოძრავებს, ამიტომ ისინი რომ დაამარცხო – აჯობებს, თუ ვიტყვი, უვნებელყო – უნდა დაამტკიცო (ამისთვის კი სწორად უნდა გაავრცელო ხმები), რომ მათ რიგებში კორუმპი-

რებული, სახელგატეხილი ადამიანები არიან და რომ პიემონტელების ჩარევა აუცილებელია.

– მოკლედ, – ჩაერთო ვექილი რიკარდი, რომელიც აქამდე ხმას არ იღებდა, – გარიბალდის ლაშქრობას კი არ უნდა გავუტეხოთ სახელი, იმ რევოლუციური მმართველობისადმი უნდა დავთესოთ ეჭვი და უნდობლობა, რომელიც გარიბალდის ექსპედიციის შედეგად ჩაიგდებს ხელში მართვის სადავეებს. გრაფი კავური ლა ფარინას, დიდ სიცილიელ პატრიოტს, აგზავნის სიცილიაზე. ლა ფარინას სასტიკად სდევნიდნენ მრავალი წლის მანძილზე, ამიტომ არ უნდა გაუჭირდეს გარიბალდის ნდობის მოპოვება. თუმცა უკვე მრავალი წელია, ეს კაცი ჩვენი მთავრობის ერთგული მოხელეა, მან დააფუძნა იტალიის ეროვნული ასოციაცია, რომლის მიზანია ორი სიცილიის სამეფოს ანექსია და მისი შეყვანა იტალიის ერთიან სამეფოში. ლა ფარინამ უნდა გაარკვიოს, საიდან მოდის ეს შემაშფოთებელი ჭორები. მაგალითად, ხმები დადის, გულუბრყვილობის თუ უბრალოდ სიბრიყვის გამო გარიბალდი იქ, სამხრეთში, მმართველობის რაღაც ისეთი ფორმის შემოღებას აპირებს, რომელიც მთავრობის ნებისმიერ კონცეფციას უარყოფსო. ცხადია, გენერლის პატიოსნებაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ თავად ხომ ვერ გააკონტროლებს ყველაფერს? ვის ხელში ტოვებს ქვეყნის საქმეს? კავური ლა ფარინასგან დეტალურ ანგარიშს ითხოვს, აინტერესებს, რაში იხარჯება ფული. რა თქმა უნდა, მაძინის მომხრეები ეცდებიან, ხალხს არ გააკარონ ლა ფარინა, ანუ მოსახლეობის იმ ფენებს, სადაც ყველაზე ადვილია სკანდალების შესახებ ცინცხალი ინფორმაციის მოგროვება.

– მოკლედ, ასეა თუ ისე, ჩვენი სამსახური ბოლომდე არ ენდობა ლა ფარინას, – ჩაერია ისევ ბოჯო. – მის კრიტიკას არ ვაპირებ, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ფაქტია, რომ ისიც სიცილიელია. სიცილიელები კი, შეიძლება, კარგი ხალხია, მაგრამ მეტისმეტად განსხვავდებიან ჩვენგან, არ მეთანხმებით?

წერილს გაგატანთ ლა ფარინასთან. თქვენი მთავარი ობიექტი ისაა, მაგრამ თავისუფლად უნდა იმოძრაოთ, არა მხოლოდ დადასტურებული ფაქტები შეკრიბოთ, არამედ ახლებიც შექმნათ (მშვენივრად გამოგდით ეს საქმე), როცა ფაქტები არასაკმარისი იქნება.

– რანაირად, რა ფუნქციით გამგზავნით იქ?

– როგორც ყოველთვის, ყველაფერი გათვლილია, – გაიღიმა ბიანკომ. – ბატონი დიუმა, სახელგანთქმული მწერალი, რომლის სახელი უეჭველად გაგონილი გექნებათ, გარიბალდისთან შესახვედრად მიემართება საკუთარი ხომალდით. გემს „ემა“ ჰქვია. კარგად ვერ გავარკვიეთ, რა უნდა, რა მიზნით მიდის იქ, იქნებ მორიგი რომანის შეთხზვას აპირებს გარიბალდის ლაშქრობაზე, ან უბრალოდ ერთი ამპარტავანი კაცია, რომელსაც უნდა, ყველას დაანახვოს, რომ სახალხო გმირთან მეგობრობს. რაც არის, არის, მოკლედ, ვიცით, რომ დაახლოებით ორ დღეში დიუმა სარდინიაზე გადავა, უკვე არძაკენის ყურეშია, ანუ ფაქტობრივად ჩვენს მიწაზეა. ზეგ, გამთენიისას, გაემგზავრებით ჩვენი გემით გენუიდან და სარდინიაზე დაეწევით დიუმას. თან გექნებათ წერილი, ისეთი ადამიანის ხელმოწერილი, ვისგანაც დიუმა ძალიანაა დავალებული ან ვისაც ენდობა. გაეცნობით, როგორც გაზეთის თანამშრომელი. გაზეთის რედაქტორმა, პროფესორმა ბოჯომ გაგაგზავნათ სიცილიაზე, დიუმასა და გარიბალდის ისტორიის უკვდავსაყოფად. ასე მოხვდებით მწერალთან დაახლოებულ პირთა შორის და მასთან ერთად ჩახვალთ პალერმოში. დიუმასთან ერთად პალერმოში ჩასვლა ისეთ ნდობასა და პატივისცემას მოგაპოვებინებთ, რასაც მარტო ჩასული ვერაფრით მიაღწევდით. შემდეგ მოხალისეებს გაიცნობთ, შეერევით მათ, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარებასაც ცდით. აკრედიტაციის წერილს გაგატანთ გარიბალდის ერთ ახალგაზრდა ოფიცერთან, კაპიტან ნიევოსთანაც, რომელიც, როგორც ამ-

ბობენ, გარიბალდიმ ვიცე-ინტენდანტად დანიშნა. წარმოიდგინეთ, რომ „ლომბარდოსა“ და „პიემონტის“ (ასე ერქვა გარიბალდის გემებს) გასვლის შემდეგ ნიევოს 14.000 ლირა ებარა იმ 90.000-დან, რომელიც ექსპედიციის სრულ ბიუჯეტს შეადგენდა. კარგად არ ვიცით, რატომ მიანდეს ეს საქმე მაინცდამაინც ნიევოს, რომელიც, როგორც ამბობენ, პოეტია. ალბათ, გამორჩეული პატიოსნების გამო. ჰოდა, დარწმუნებული ვარ, სიამოვნებით გაიცნობს გაზეთში მომუშავე კაცს, თანაც სახელოვანი დიუმას მეგობარს.

დანარჩენი დრო გეგმის ტექნიკური მხარეების მოგვარებას დაეთმო: ჩემი ანაზღაურების განსაზღვრას და ა. შ. მეორე დღეს გაურკვეველი ვადით დავკეტე ბიურო და პატარა ბარგი შევკარი. მხოლოდ აუცილებელი ნივთები და, არ ვიცი, რატომ, პადრე ბერგამასკის ანაფორა ჩავდე ჩანთაში. ბერგამასკის ბაბუაჩემთან დაეტოვებინა ანაფორა და სანამ სახლს მევალეებს გადასცემდნენ, მისი წამოღება მოვასწარი.

7

# „ათასთა“ რიგებში

29 მარტი, 1897

არ ვიცი, გავიხსენებდი თუ არა ჩემი სიცილიური მოგზაურობის განმავლობაში, 1860 წლის ივნისიდან 1861-ის მარტამდე, მომხდარ მოვლენებს და, რაც მთავარია, იმ მოგზაურობის შეგრძნებებს, წუხელ, მაღაზიის საწყობის ძველ ქაღალდებში ქექვისას, დახვეული ფურცლების შეკვრა რომ არ მეპოვა: იმ დღეების ჩანაწერები იყო. ალბათ, იმიტომ ვიწერდი ყველაფერს, რომ მაქსიმალურად დეტალური ანგარიში მომემზადებინა ჩემი ტურინელი დამკვეთებისთვის. ამ შენიშვნებში ბევრი სიცარიელეა, ალბათ, იმას ვინიშნავდი, რაც მნიშვნელოვნად მეჩვენებოდა ან მინდოდა, მნიშვნელოვნად წარმოჩენილიყო. რაზე დავხუჭე თვალი, არ ვიცი.

***

6 ივნისიდან „ემაზე“ ვარ. დიუმამ არაჩვეულებრივად მიმიღო. მსუბუქი ქსოვილის გაცრეცილი ყავისფერი სერთუკი ეცვა. აშკარად ეტყობოდა ნარევი სისხლი: მუქი კანი, ხორციანი,

ვნებიანი ტუჩები, აფრიკელი ველურის ხვეული, ხშირი, ჯაგარა თმა. ცოცხალი, ირონიული მზერა და თავაზიანი ღიმილი ჰქონდა დიუმას, ჩამრგვალებული იყო, როგორც კარგი ცხოვრების ტრფიალს შეჰფერის... დიუმაზე გაგონილი ამბები მახსენდებოდა, ათას რამეს ყვებოდნენ ხოლმე. ერთხელ პარიზში ვიღაც დამცინავად ქირქილებდა თურმე ადამიანის წარმოშობის თეორიაზე, მაშინ რომ ძალიან აქტუალური და პოპულარული იყო. დიუმას უთქვამს, დიახ, ბატონო, მე ნამდვილად მაიმუნისგან მოვდივარ, აი თქვენ კი მისკენ მიდიხართო!

ეკიპაჟი გამაცნო: კაპიტანი ბოგრანი, თანაშემწე ბრემონი, შტურმანი პოდიმატა (ტახივით ერთიანად გაჯაგრული კაცი, თმა-წვერი სახეზე გაერთიანებოდა, გეგონებოდა, თვალის უპეები ამოუპარსავსო) და, რაც მთავარია, მზარეული ჟან ბოიე. დიუმას თუ დაუჯერებდი, მზარეული გემის ეკიპაჟის ყველაზე მნიშვნელოვანი წევრია. მუდამ ვეებერთელა ამალით მოგზაურობდა დიუმა, როგორც ძველი დროის ჭეშმარიტი ბატონიშვილი.

კაიუტამდე პოდიმატამ მიმაცილა, თან ბოიეს საფირმო კერძზე მიყვებოდა, სატაცურს ამზადებს ნედლი ბარდის მარცვლებითო. საინტერესო რეცეპტი გახლდათ, რადგან კერძში ბარდის კვალი აშკარად არ იყო.

კუნძულ კაპრერას ჩავუარეთ. აქაურობას აფარებს ხოლმე თავს გარიბალდი, როცა არ იბრძვის.

– მალე შეხვდებით გენერალს, – მითხრა დიუმამ, მისი სახელის ხსენებაზე აღფრთოვანებით გაუბრწყინდა თვალები. – ქერა წვერითა და ცისფერი თვალებით იესოს ჰგავს, ლეონარდოს „საიდუმლო სერობიდან“. დახვეწილია, თავაზიანი, უსაზღვროდ თბილი ხმა აქვს. მშვიდი ადამიანი ჩანს, მაგრამ საკმარისია, მისი თანდასწრებით „იტალია“ და „დამოუკიდებლობა“ ახსენოთ, ვულკანივით გამოიღვიძებს, ცეცხლსა და გიზგიზა ლავას აფრქვევს. იარაღს არ ატარებს, მაგრამ თუ ბრძოლა გაჩაღ-



...მალე შეხვდებით გენერალს, – მითხრა დიუმამ, მისი სახელის ხსენებაზე აღფრთოვანებით გაუბრწყინდა თვალები. – ქერა წვერითა და ცისფერი თვალებით იესოს ჰგავს, ლეონარდოს „საიდუმლო სერობიდან“...

და, პირველსავე ხმალს დასწვდება, რომელიც ხელში მოხვდება, იშიშვლებს და მტერს ეკვეთება. ერთადერთი სისუსტე აქვს: მიაჩნია, რომ ბოჩეს[10] თამაშში ბადალი არ ჰყავს.

უცებ გემზე ჩოჩქოლი ატყდა. მეზღვაურებს წყლის უზარმაზარი კუ დაეჭირათ: კორსიკის სამხრეთ წყლებში ბინადრობენ ეს ცხოველები. დიუმა საშინლად იყო აგზნებული.

– ბევრი საქმე გვაქვს! ზურგზე გადმოატრიალებ თუ არა, სულელი, თავს გამოყოფს ბაკნიდან. თავს წააცლი და თორმეტი საათი კუდით დაკიდებ, რომ სისხლი დაიწრიტოს. მერე ამოაბრუნებ და გრძელ დანას გაუყრი მუცელსა და ბაკანს შორის, ძალიან ფრთხილად, რომ ნაღველი არ გაუხვრიტო, თორემ ხორცი უვარგისი გახდება. შიგნეულობიდან მხოლოდ ღვიძლი ვარგა. მთელი ის გამჭვირვალე მასა სრულიად გამოუსადეგარია. ამხელა ცხოველიდან ხორცის სულ ორი პატარა, მრგვალი ნაჭერი გამოდის, სითეთრითაც და გემოთიც ხბოს ყვერებს ჰგავს. აპკს გააცლი, გაასუფთავებ და კაკლისხელა ნაჭრებად დაჭრი. წიწაკით, მიხაკის თესლით, სტაფილოთი, ძირათი და დაფნით შეაზავებ და დაბალ ცეცხლზე რამდენიმე საათს ხარშავ. ამასობაში ცალკე ოხრახუშით, ქაფშიითა და მწვანე ხახვით შეკაზმულ, წვრილად დაჭრილ ქათმის ხორცს ჩაშუშავ და ზედ და კუს ნახარშს მოასხამ. ჰო, ნახარშს სამი-ოთხი ჭიქა „მადერა“ უნდა დაამატო. „მადერა“ თუ არ გაქვს, „მარსალაც“ შეიძლება. ერთი პატარა ჭიქა ჭაჭის არაყი ან რომიც უნდა სულ ბოლოს. ხვალ ჩავიკოკლოზინებთ ყელს ამ კერძით.

გურმანი კაცი იყო და რა თქმა უნდა, მომეწონა, მიუხედავად მისი ფრიად საეჭვო წარმომავლობისა.

***

(13 ივნისი) გუშინწინ „ემა“ პალერმოში შევიდა. წითელპერანგა ადამიანებით სავსე ქალაქი ყაყაჩოებით გადაპენტილ

[10] სიცილიური თამაში ბურთებით.

ველს დაემსგავსა. თუმცა გარიბალდის ბევრი მოხალისე ჩვეულებრივადაა ჩაცმული და შეიარაღებული, ზოგსაც მხოლოდ პაწაწინა ბუმბულიანი ქუდი ახურავს და სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია. წითელი ქსოვილი აღარ იშოვება და პერანგი ძალიან ძვირი ჯდება, ალბათ, ადგილობრივ მდიდრებს უფრო შეუძლიათ მისი შეძენა (რომლებიც გარიბალდის მოგვიანებით, ყველაზე სისხლიანი შეტაკებების შემდეგ შეუერთდნენ), ვიდრე გენუიდან გამოყოლილ პირველ მოხალისეებს. ბიანკომ საკმარისი თანხა გამომატანა სიცილიაზე თავის გასატანად, ასე რომ სასწრაფოდ ვიშოვე წითელი პერანგი, თანაც – ზომიერად გაცვეთილი, ახალგამომცხვარი მოხალისის იერი რომ არ მქონოდა. ხშირი რეცხვისაგან ჩემს პერანგს ვარდისფერი უფრო დაჰკრავდა და შარვალიც გვარიანად შელახულიყო. თხუთმეტი ფრანკი დამიჯდა ის ძონძი, ტურინში ამ ფასად ოთხ ახალ პერანგს შევიძენდი.

ყველაფერს საშინელი ფასი ადევს. კვერცხი ოთხი სოლდო ღირს, ნახევარი კილო პური – ექვსი სოლდო. არ ვიცი, რატომაა ასე, იმიტომ, რომ კუნძული ღარიბია და მდიდრები შთანთქავენ საკვების ისედაც მწირ მარაგს, თუ იმიტომ, რომ პალერმოელებს გარიბალდის ხალხი ზეცით მოვლენილი საჩუქარი ჰგონიათ და მათი ბოლომდე გაყვლეფა განუზრახავთ.

ორი დიდი ადამიანი სენატის სასახლეში შეხვდა ერთმანეთს („როგორც შეხვედრა პარიზის მერიაში 1830 წელს!“ – აღგზნებული იგონებდა დიუმა). საოცრად თეატრალური სანახაობა გახლდათ. ვერ ვიტყვი, იმ ორში რომელი უფრო დიდი მსახიობი იყო.

– ძვირფასო დიუმა, როგორ მაკლდით! – შეეგება გენერალი. დიუმამ მიულოცა და ქება-დიდებით შეამკო. – არა, გთხოვთ, მე ნუ მილოცავთ, ამ ადამიანებს უნდა მიულოცოთ, მართლა სასწაული მოახდინეს! – უპასუხა გარიბალდიმ და მე-

რე თავის ხალხს მიუბრუნდა: – სასწრაფოდ დააბინავეთ ბატონი დიუმა სასახლეში. არც კი ვიცი, რით უნდა გადავუხადო მადლობა ადამიანს, რომელმაც მაუწყა, რომ მალე კიდევ ორი ათას ხუთასი კაცი შემოგვიერთდება, ათი ათასი თოფითა და ორი ხომალდით!

უნდობლად შევცქეროდი. მამაჩემის სიკვდილის შემდეგ გმირებს აღარ ვენდობოდი. დიუმა აპოლონივით აღმიწერდა გზაში გენერალს, მე კი მომეჩვენა, რომ გარიბალდი არცთუ ისე მაღალი და ქერა იყო; მართალი გითხრათ, მოკლე, გაღუნული ფეხები ჰქონდა და, თუ მისი სიარულის მანერით განვსჯით, რევმატიზმიც აწუხებდა. დავინახე, როგორ გაჭირვებით შეჯდა ერთხელ ცხენზე, ორი კაცი ეხმარებოდა.

საღამოს მეფის სასახლესთან ხალხი მოგროვდა. „გაუმარჯოს დიუმას, გაუმარჯოს იტალიას!" – ყვიროდნენ. მწერალი აშკარად ნასიამოვნები ჩანდა, მე კი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მთელი ეს სანახაობა გარიბალდის მოწყობილი იყო: გენერალი კარგად იცნობდა თავისი მეგობრის ამპარტავნობას და დაპირებული თოფებიც ძალიან სჭირდებოდა. ბრბოს შევერიე. ვცდილობდი, გამეგო, რაზე ლაპარაკობდნენ იმ თავიანთ გაუგებარ დიალექტზე, უფრო აფრიკელების ენას რომ ჰგავდა, ვიდრე იტალიურს. თუმცა რაღაც მაინც მესმოდა, მაგალითად, ყური მოვკარი, ერთი ეუბნებოდა მეორეს, ვინაა ეს დიუმა, მის სახელს რომ გავყვირითო? იმან უპასუხა, ჩერქეზი უფლისწული ყოფილა, ოქროში ცურავს თურმე და აქ ჩამოსულა, რომ მთელი თავისი ქონება გარიბალდის მოახმაროსო.

დიუმამ გენერლის ხალხი გამაცნო. გამჭოლი, არწივის მზერა მესროლა გარიბალდის მოადგილე ლეიტენანტმა, თავზარდამცემმა ნინო ბიქსიომ. ისე შემეშინდა, მაშინვე გავეცალე იქაურობას. მინდოდა, ერთი უბრალო ტრაქტირი მომეძებნა, სადაც ვისადილებდი ხოლმე და თვალშიც არავის მოვეჩხირებოდი.

ახლა სიცილიელებისთვის გარიბალდის მოხალისე ვარ, მოლაშქრეთათვის კი – ერთი თავისუფალი ჟურნალისტი. ესეც ასე.

***

ნინო ბიქსიო მეორედ ქალაქში, ცხენზე ამხედრებული დავინახე. ამბობენ, ექსპედიციის ნამდვილი სამხედრო მეთაური სწორედ ისააო. გარიბალდი დაბნეულია, უყურადღებო, სულ ხვალინდელზე ფიქრობს, შეტევა, გარშემომყოფთა აყოლიება ეხერხება, ბიქსიო კი აწმყოზე ფიქრობს, ჯარს საომრად აწყობს. რომ ჩაიარა, ყური მოვკარი, ვიღაც წითელპერანგა ამბობდა: – ნახე, რა მზერა აქვს, ხმლის პირივით ბასრი, მეხივით სპობს, რასაც მოხვდება! ბიქსიო... სახელიც კი ცეცხლოვანი აქვს ამ კაცს...

ცხადია, მოხალისეები მონუსხულები იყვნენ გარიბალდით და მისი ლეიტენანტებით. მეტისმეტად მომხიბლავ წინამძღოლებს კი, როგორც წესი, მალე აყრევინებენ თავებს: ასე მოითხოვს სახელმწიფოს მშვიდობიანი ცხოვრება. ჩემი ტურინელი დამკვეთები მართალი არიან: გარიბალდის მითი ჩრდილოეთში არ უნდა გავრცელდეს, თორემ ის თითისტოლა სამეფოები წამში გადაიპენტება წითელი პერანგებით და რესპუბლიკა იზეიმებს.

***

(15 ივნისი) ძნელია აქაურებთან ურთიერთობა. ერთადერთი რამაა ცხადი: ცდილობენ, გაყვლიფონ ყველა, ვინც პიემონტელს წააგავს. თავად ჰგონიათ ასე, თორემ მოხალისეთა შორის ნამდვილი პიემონტელი მართლა ცოტაა. ამასობაში ერთ იაფ ტავერნას მივაგენი, მივირთმევ კერძებს, რომელთა სახელების გამოთქმაც შეუძლებელია. ამას წინათ ელენთით გამოტენილი პური ყელზე დამადგა და კინაღამ დამახრჩო, მაგრამ

ისე, აქაურ მშრალ ღვინოს თუ დააყოლებ, მშვენიერი რამაა. იმ ტავერნაში გავიცანი ორი მოხალისე, ლიგურიელი აბა, ოციოდე წლის, და დაახლოებით ჩემი ასაკის ლივორნოელი ჟურნალისტი, ვინმე ბანდი. მათი მონაყოლიდან შევიტყვე გარიბალდის ლაშქრობაზე, მის პირველ ბრძოლებზე.

– ვაიმე, რომ იცოდეთ, ძვირფასო სიმონინი, – მიყვებოდა აბა, – მარსალაში ჩასვლა ნამდვილი ცირკი იყო! წინ ბურბონების ხომალდები გვედგნენ, „სტრომბოლი" და „კაპრი", როცა ჩვენი გემი, „ლომბარდო", რიფს დაეჯახა. ნინო ბიქსიომ განაცხადა, მუცელგაფატრულს თუ შემიპყრობენ, თორემ საღსალამათი არ დავნებდებიო; აჯობებს, „პიემონტიც" ჩავძიროთ, ვიდრე მტრის ხელში ჩავარდესო. გამიკვირდა, როგორ შეიძლება ხომალდების განადგურება-მეთქი, მაგრამ ბიქსიო მართალი იყო, არაფრით არ შეიძლებოდა ბურბონებისთვის ორი ხომალდის ჩუქება. ასე აკეთებდნენ დიდი მხედართმთავრები, ხმელეთზე გადასვლისას ხომალდს ცეცხლს მისცემდნენ და მორჩა, უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი ჰქონდათ. მოკლედ, „პიემონტიდან" ხმელეთზე რომ გადავდიოდით, „სტრომბოლიდან" ჭურვები დაგვიშინეს, მაგრამ აგვაცილეს. პორტში მდგარი ერთი ინგლისური გემის კაპიტანი „სტრომბოლიზე" ავიდა და გააფრთხილა, ინგლისის ქვეშევრდომები ვართ და თუ რამე მოხდა, იცოდეთ, თქვენ დაგეკისრებათ საერთაშორისო სკანდალზე პასუხისმგებლობაო. ხომ იცი, მარსალაში ინგლისელებს სერიოზული ეკონომიკური ინტერესი აქვთ, ღვინით ვაჭრობენ. ბურბონების კაპიტანმა განუცხადა, საერთაშორისო სკანდალი სულ ფეხებზე მკიდიაო და ისევ ბრძანა ქვემეხების გასროლა, მაგრამ ისევ აგვაცილეს. ბურბონების ქვემეხებმა ბოლოს და ბოლოს ერთ გაქუცულ ძაღლს მოარტყეს ჭურვი. ეგ იყო და ეგ.

– ესე იგი, ინგლისელები დაგეხმარნენ?

– პირდაპირ არ ჩარეულან საქმეში, მაგრამ ხელი შეუშალეს ბურბონებს.

– კი, მაგრამ ზოგადად რა ურთიერთობა აქვს გენერალს ინგლისელებთან?

აბამ მიმახვედრა, ჩემნაირები მხოლოდ ბრძანებებს ასრულებენ და ზედმეტ კითხვებს არ სვამენო. – ერთ რამეს მოგიყვები, გაგახალისებ. ქალაქში რომ შევედით, გენერალმა ტელეგრაფის დაკავება და ხაზების გადაჭრა ბრძანა. ლეიტენანტი გაგზავნეს ამ საქმეზე, თან რამდენიმე კაცი გააყოლეს. მათ დანახვაზე ტელეგრაფისტი თავქუდმოგლეჯილი გაქცეულა და მაგიდაზე ტრაპანის სამხედრო მთავარსარდლისადმი რამდენიმე წუთით ადრე გაგზავნილი დეპეშა დარჩენია: „ორი გემი, სარდინიული დროშით, ამწუთას შემოვიდა პორტში. ნაპირზე გადმოდიან“. პასუხიც მალევე მოსულა. ლეიტენანტის თანმხლები მოხალისეებიდან ერთი გენუის ტელეგრაფში ყოფილა ნამუშევარი და უთარგმნია დეპეშა: „რამდენი არიან და რატომ გადმოდიან?“ ლეიტენანტის ბრძანებით მაშინვე პასუხი აფრინეს თურმე: „ბოდიშს ვიხდი, შევცდი, ჯირჯენტიდან მომავალი სავაჭრო გემები ყოფილან, გოგირდს ტვირთავენ“. ტრაპანიდან უპასუხიათ: „რეგვენო“. ბიქსიომ, კმაყოფილმა, ხაზები გადააჭრევინა და იქაურობა დატოვა თავის ხალხთან ერთად.

– სიმართლე გითხრათ, – ჩაერთო ბანდი, – სიცილიაზე გადასვლა არც ისეთი ცირკი ყოფილა, როგორც აბა აღწერს, თუმცა გართობა და ხალისი არ მოგვკლებია. უკვე ნაპირზე ვიყავით, როცა ბურბონების გემებიდან პირველი გრანატები და ტყვიები დაგვიშინეს. ამ დროს საიდანღაც ერთი გაქუცული ბერი გამოძვრა, ცქვიტი მოხუცი ჩანდა, ქუდით გვესალმებოდა. ვიღაცამ დაუყვირა, შენ რაღა დაგრჩენია აქ, ბებერო, ვის დაკარგვიხარო? გარიბალდიმ ხელით გააჩუმა მოხალისე და ბერს მიუბრუნდა: „მამაო, აქ რა გინდათ? ტყვიების ზუზუნი არ გესმით?“ „ტყვიის არ მეშინია, ღატაკი და უპოვარი წმინდა ფრანცისკის მსახური ვარ, იტალიის შვილიო“, – გამოსძახა მოხუცმა. „მაშ, ხალხთან დგახართ?“ – ჰკითხა გენერალმა. „ხალხთან ვარ,

ხალხთან!“ – იყვირა ბერმა. მაშინ მივხვდით, რომ მარსალა აღებული გვქონდა. გენერალმა საგადასახადო სამსახურში კრისპი გაგზავნა ვიტორიო ემანუელეს – იტალიის მეფის – სახელით, რომ აკრეფილი თანხა სრულად გადაებარებინა. ხაზინა ზედამხედველმა აჩერბიმ ჩაიბარა, შესაბამისი ქვითრით, რომელსაც კრისპი აწერდა ხელს. იტალიის სამეფო ჯერ არ არსებობდა, მაგრამ კრისპის მიერ საგადასახადო სამსახურის უფროსისთვის ხელმოწერილი ქვითარი პირველი დოკუმენტია, რომელშიც ვიტორიო ემანუელე იტალიის მეფედაა მოხსენიებული.

დაზუსტება მინდოდა და ვკითხე: – კი, მაგრამ ხაზინის ზედამხედველი ხომ კაპიტანი ნიევოა?

– ნიევო აჩერბის მოადგილეა, – ამიხსნა აბამ. – სულ ახალგაზრდაა და უკვე დიდი მწერალია. ნამდვილი პოეტია, საოცარი გონების პატრონი. სულ მარტოა, სადღაც, შორს იყურება, თითქოს უნდა, მზერით გასცდეს ჰორიზონტს. მგონი, გარიბალდი მალე პოლკოვნიკის ჩინს უბოძებს.

ისევ ბანდი ჩაგვერთო: – კალატაფიმიში ნიევო ცოტა ჩამორჩა, პურსურიგებდა მოხალისეებს, როცა შეტაკება დაიწყო. რომ გაიგო, ბოცეტი ბრძოლის ველზე უხმობდა თანამებრძოლებს, თავგანწირული გაექანა მტრისკენ, ვეებერთელა შავი ფრინველივით მიქროდა ტყვიების წვიმაში შავი მოსასახამის ფრიალით, წამში საცერივით დაუცხრილეს მოსასხამის კალთები...

მეტიც არ მინდოდა, რომ ნიევოსადმი ცუდად განვწყობილიყავი. ჩემი ასაკის იყო და უკვე სახელი გაეთქვა. მებრძოლი პოეტი! ცხადია, რომ ტყვიები დაგიცხრილავს მტრის თვალწინ აფრიალებულ მოსასახამს. დაცხრილული მანტიის ფრიალი ადვილია, მკერდს რომ გაგიხვრეტს ტყვია, აი, მაშინ იამაყე ნახვრეტებით, თუ ბიჭი ხარ...

აბა და ბანდი უკვე კალატაფიმის ბრძოლას იხსენებდნენ, საოცარ გამარჯვებას, როცა ათასი მოხალისე დაუპირისპირდა კბილებამდე შეიარაღებულ ოცდახუთი ათას ბურბონელს.

– გარიბალდი მიგვიძღოდა, წითელი პერანგი ეცვა, უნგრული ჩალის ქუდი ეხურა, – განაგრძო აბამ. – დიდი ვეზირივით იჯდა მდიდრულ უნაგირზე და მოჩუქურთმებული დეზები ულაპლაპებდა. სალემიში ადგილობრივი მოხალისეებიც შემოგვიერთდნენ. ყველა მხრიდან მოდიოდნენ, ფეხით, ცხენზე ამხედრებულები, ასობით იყვნენ, სატანის რაზმებს ჰგავდნენ. გინახავთ კბილებამდე იარაღასხმული, ნახევრად ველური მთის ხალხი? თოფის ლულებს მიუგავდათ თვალები. თუმცა მათ დიდგვაროვნები მოუძღოდნენ, აქაური მემამულეები. სალემი ბინძური ადგილია, ქალაქი სანაგვეს ჰგავს, მაგრამ მონასტრები კარგადაა მოვლილი და ბერებთან დავბინავდით. იმ დღეებში ათასნაირი ურთიერთგამომრიცხავი ცნობა მოდიოდა მტრის რაზმებზე. ზოგი ამბობდა, ოთხი ათასი კაცი ჰყავთო, ზოგიც – ათი ან ოცი ათასიო, ცხენოსანი ჯარიაო, ქვემეხებიც ბლომად აქვთ და ზევით გამაგრებულანო; ზევით არა, ქვევითო, ეწინააღმდეგებოდა ზოგი; წინ მოიწევენო, არა, უკან იხევენო... მოკლედ, მტერი უცებ დაგვადგა თავზე. ხუთი ათასი კაცი იქნებოდა დაახლოებით... რა ხუთიო. ზოგი გაიძახოდა, ათი ათასი მაინც ჰყავთო... ეკალბარდიანი მინდორი გვაშორებდა მტერს. ნეაპოლელი მონადირეები მთის ხალხია, მშვიდი, თავდაჯერებული, საუცხოოდ გაწვრთნილი. ჩვენნაირი გაღლეტილი მაწანწალები კი არ არიან. მათი საყვირების ავისმომასწავებელი ხმა არასოდეს დამავიწყდება! ნაშუადღევს, ორის ნახევარზე გაგვიხსნეს ცეცხლი. ნეაპოლელი მონადირეები იყვნენ, ოპუნციების რიგებს მოუყვებოდნენ ფერდობზე. – არ უპასუხოთ, ცეცხლს არ უპასუხოთ! – გაჰყვიროდნენ ჩვენი კაპიტნები; მაგრამ ისე გვიწუოდა თავზე ნეაპოლელების ტყვიები, გულხელდაკრეფილი ვერ დაჯდებოდი. ერთ გასროლას მეორე მოჰყვა, შემდეგ გენერლის მესაყვირემაც ჩაჰბერა მთელი ძალით და სვლა ნელ-ნელა სირბილში გადაიზარდა. სეტყვასავით წამოვიდა ტყვიები, ქვემეხებმა კვამლის ღრუბელს დაამსგავსეს

ფერდობი. მინდორი გავიარეთ და მტერს შევერიეთ. წინა რიგები რომ გავარღვიე, მოვტრიალდი და გორაკზე გარიბალდი დავინახე, ფეხზე იდგა, მარჯვენა მხარზე ქარქაშში ჩაგებული ხმალი ეკიდა, ნელა მიიწევდა წინ, თვალს არ აშორებდა საბრძოლო მოქმედებებს. ბიქსიო მისკენ მიაქროლებდა ცხენს, ცდილობდა, აფარებოდა, უყვიროდა: „გენერალო, ასე გინდათ სიკვდილი?“ „ამაზე უკეთ როგორ უნდა მოვკვდე? ჩემს სამშობლოში ვარ“, – უპასუხა გარიბალდიმ და გზა განაგრძო, თითქოს ტყვიების სეტყვას ვერც კი ამჩნევდა. უცებ შემეშინდა, ვიფიქრე, გენერალს თავადაც არ სჯერა გამარჯვების და სიკვდილს ეძებს-მეთქი. მაგრამ ამ დროს ჩვენი მხრიდანაც იქუხა ქვემეხმა. თითქოს ერთბაშად ათასი ხელი წამოგვეშველა. – წინ, წინ, წინ! მხოლოდ იმ საყვირის ხმაღა ისმოდა, რომელმაც წეღან საბრძოლო ნიშანი მოგვცა. ხიშტებმომარჯვებულებმა გავიარეთ პირველი, მეორე, მესამე ტერასა. აღმა მივუყვებოდით ფერდობს, ბურბონების ბატალიონი ნელა, აღმართ-აღმართ იხევდა უკან, ერთად რომ შექუჩდნენ, თითქოს მოძლიერდნენ, გული მოეცათ. მთის წვერზე შეგროვდნენ, ჩვენ კი ქვევიდან მივადექით, დაქანცულები, გასავათებულები. წამით შევისვენეთ, მათ – მთის წვერზე, ჩვენ – ქვევით თავმოყრილებმა. კანტიკუნტად ისმოდა სროლა, ბურბონების ხალხი ლოდებს აგორებდა მთიდან, ქვებს გვესროდა, ვიღაცამ თქვა, გენერალსაც კი მოხვდა ქვაო. ოპუნციებში ყმაწვილს მოვკარი თვალი, სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, მეგობრებს მოჰყავდათ. ეხვეწებოდა თანამებრძოლებს, ნეაპოლელები შეიბრალეთ, ისინიც იტალიელები არიანო. იქაურობა სავსე იყო დაჭრილებით, მაგრამ კვნესა არსაიდან ისმოდა, მთის წვერიდან დროდადრო ნეაპოლელთა შეძახილი ისმოდა: „მეფეს გაუმარჯოს!“ ამასობაში დახმარებაც მოგვაშველეს. მახსოვს, ბანდი, მაშინ შეგხვდი პირველად, უამრავი ჭრილობა გქონდა, მაგრამ განსაკუთრებით დამამახსოვრდა მარცხენა ძუძუსთავზე ნატყვიარი, მაშინ



...ადმირალის ხიდზე, ხიდის ქვეშ, გზაზე, ეზოებში, ბაღ-ბოსტნებში – ყველგან სასაკლაო იყო გამართული, ხიშტებზე ვაგებდით მტერს...

ვიფიქრე, წუთები დათვლილი აქვს-მეთქი, მაგრამ ბოლო შეტევისას ისევ რაზმის სათავეში დაგინახე! უკვდავი ხარ?

– არაფერი, – ჩაილაპარაკა ბანდიმ, – ნაკაწრები იყო.

– ფრანცისკელებიც რომ ჩვენ გვერდით იბრძოდნენ? ის თუ გახსოვს, გამხდარი, ტურტლიანი, ქვემეხს რომ ტენიდა ხან ჭურვებით და ხანაც ქვებით? მეორემ, ჩემი თვალით ვნახე, ბარძაყში რომ დაიჭრა, საკუთარი ხელით ამოიგლიჯა ხორციდან ტყვია და ბრძოლის ველს დაუბრუნდა.

აბა ადმირალის ხიდის აღებას იხსენებდა: – ღმერთო, სიმონინი! ჰომეროსის პოემის ინსცენირებას ჰგავდა ის ბრძოლა! პალერმოს მისადგომებთან ვიყავით და ადგილობრივი მოხალისეების რაზმი შემოგვიერთდა. მახსოვს, როგორ აღმოხდა ერთს, „ღმერთოო!“, მერე მთვრალივით დაბარბაცდა, უცნაურად დაბზრიალდა, სამი-ოთხი ნაბიჯი გადადგა და ჩავარდა სანგარში, მკვდარი ნეაპოლელის გვერდით. ის ნეაპოლელი, ალბათ, გუშაგი იყო, რომელიც პირველი მოკლეს ჩვენებმა. გენუელიც მახსოვს, ტყვიების ზუზუნში რომ უყვიროდა ვიღაცას თავის დიალექტზე, ბელანდი, აქ როგორ გავალთო? სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ შუბლში მოხვდა ტყვია და თავი შუაზე გაუპო. ადმირალის ხიდზე, ხიდის ქვეშ, გზაზე, ეზოებში, ბაღ-ბოსტნებში – ყველგან სასაკლაო იყო გამართული, ხიშტებზე ვაგებდით მტერს. გამთენიისას ხიდი ავიღეთ, მაგრამ გალავნის იქიდან ქვეითებმა გაგვიხსნეს ცეცხლი, მარცხნიდან ცხენოსნები მოგვადგნენ, თუმცა ისინი ადვილად მოვიგერიეთ. ხიდი რომ გავიარეთ და „პორტა ტერმინის“ მივადექით, ახლა ქვემეხებმა ამოგვიღეს მიზანში ნავსადგურიდან. გემიდან გვესროდნენ ჭურვებს, წინიდან, ბარიკადიდანაც, სროლა ატყდა. მოკლედ, ასეთ დღეში ვიყავით, რომ ზარმა ჩამოკრა. შეტევაზე გადასვლის ნიშანი იყო. გალავანში შევცვივდით და... ღმერთო, რა დამავიწყებს იმ სანახაობას! რკინის გისოსებს მობღაუჭებოდნენ თეთრი მკლავებით, როგორც

შროშანის ნაზი ყვავილები... სამი უმშვენიერესი გოგონა, ქათქათა სამოსით, დამუნჯებული მოგვჩერებოდა. ფრესკის ანგელოზებს ჰგავდნენ. ვინ ხართო, დაგვიძახეს შეშინებულებმა, იტალიელებიო, ვუპასუხეთ... მონასტრის მორჩილები იყვნენ. თქვე საწყლებო, მაგ სატუსაღოში რა გინდათ, თავისუფლება უნდა იგემოთ, გაერთოთ და იხალისოთო, ვეძახოდით, ისინი კი გაჰკიოდნენ, დიდება წმინდა როზალიასო! ჩვენ აქედან ვღრიალებდით: „დიდება იტალიას!“ ბოლოს ისინიც აგვყვნენ, მგალობლების წკრიალა ხმით ყვიროდნენ: „დიდება იტალიას!“ და გამარჯვებას გვისურვებდნენ. კიდევ ხუთი დღე ვიბრძოდით პალერმოში, მაგრამ მორჩილი გოგოები თვალით აღარ გვინახავს, რაღას ვიზამდით, მეძავებს ვჯერდებოდით!

სანდოა ეს ორი კაცი? გულანთებული ყმაწვილები არიან, პირველად აიღეს ხელში იარაღი, ეთაყვანებიან თავიანთ გენერალს. თავისებურად ისინიც მწერლები არიან, დიუმასავით, მოგონებებს ალამაზებენ, მათ მონაყოლში ქათამი არწივს ემსგავსება. მათ სიმამაცეში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ დავიჯერო, შემთხვევით მოხდა, რომ გარიბალდი არხეინად დასეირნობდა ბრძოლის ველზე (თან მტერი მშვენივრად ხედავდა შორიდან) და ტყვია არც კი გაკარებია? ის მტერი იქნებ, ვიღაცის ბრძანებით, საგანგებოდ არ უმიზნებდა გარიბალდის?

ამ აზრებს სამიკიტნოს მეპატრონისაგან ყურმოკრული ამბებიც დაემატა, ნახეტიალები კაცია, უამრავ რამეს გაიგებ მისი მონაყოლიდან. სწორედ მან მირჩია, ნოტარიუსს, ფორტუნატო მუსუმეჩის გაესაუბრე, ამბობენ, ყველაზე ყველაფერი იცის, თან არ მალავს, რომ ახალჩამოსულებს არ ენდობაო.

მუსუმეჩისთან წითელი პერანგით ვერ მივიდოდი. გამახსენდა, რომ პადრე ბერგამასკის ანაფორა თან მქონდა წამოღებული. ზეთით გადავილაპლაპე თმა, სავარცხელი გადავისვი და სამიკიტნოდან გამოვძვერი. კაციშვილი ვერ მიცნობდა. ცოტა საშიში კი იყო იმ ანაფორით სიარული, ხმები დადიოდა,

იეზუიტებს გაძევებას უპირებენ კუნძულიდანო. მაგრამ გადავ-რჩი. თან ვიფიქრე, როგორც მოსალოდნელი უსამართლობის შესაძლო მსხვერპლმა, იქნებ გარიბალდის მოწინააღმდეგების თანაგრძნობაც მოვიპოვო-მეთქი იეზუიტის ანაფორით.

ფორტუნატოს, წირვიდან გამოსული, ტრაქტირის წინ ყავას წრუპავდა. ქალაქის ცენტრში ვიყავით, ლამაზი ადგილი იყო, დონ ფორტუნატოს თვალები მიელულა და ნებიერად ეფიცხე-ბოდა მზეს. წვერი ოდნავ წამოზრდოდა, მაგრამ შავ სამოში გა-მოპრანჭულიყო და ჰალსტუხიც ჩვეულებისამებრ გამოენასკვა, თითქოს ირგვლივ განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. ნიკო-ტინისგან გაყვითლებულ თითებში ნახევრად ჩამქრალი სიგარა გაერჭო. შევამჩნიე, აქ, პალერმოში, ყავაში ლიმონის ქერქს აგ-დებენ. იმედია, რძიან ყავაშიც არ გიგდებენ ლიმონს.

გვერდით მაგიდას მივუჯექი და სიცხეზე დავიჩივლე. გამო-ვესაუბრეთ ერთმანეთს. რომის სამრევლოდან გამომგზავნეს, რომ გავარკვიო, ამ მხარეში რა ხდება-მეთქი. მუსუმეჩი გაათა-მამა ჩემმა სიტყვებმა, თავისუფლად ალაპარაკდა.

– ღირსო მამაო, როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, შემ-თხვევით შეკრებილ და სახელდახელოდ შეიარაღებულ ათას კაცს უმსხვერპლოდ აეღო მარსალა? რატომ ისროდნენ ბურ-ბონების ქვემეხები ჰაერში ისე, რომ არავინ დაშავებულა, ინ-გლისის შემდეგ ხომ ბურბონების ფლოტი ყველაზე ძლიერია ევროპაში? ან კალატაფიმიში როგორ მოხდა, რომ ისევ იმ ათასმა გაქუცულმა მათხოვარმა, გლეხის ბიჭბუჭების რაზ-მებთან ერთად (რომლებიც სულ პანღურის ცემით გაყარეს თავიანთმა ბატონებმა მოხალისეთა დასახმარებლად, ოკუ-პანტებისთვის რომ თავი მოეწონებინათ) მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოდ გაწვრთნილი ჯარი დაამარცხა (არ ვი-ცი, წარმოდგენა გაქვთ თუ არა ბურბონების სამხედრო აკა-დემიაზე)? როგორ მოერია ათასიოდე მაწანწალა ოცი ათას

პროფესიონალ ჯარისკაცს? დიახ, ოცი ათასი კაცი ჰყავდათ, მაგრამ ყველა არც კი გამოუყვანიათ ყაზარმებიდან. ფული, ბატონო ჩემო, დიდი ფული გადაიხადეს ოფიცრების მოსასყიდად მარსალაში! გენერალი ლანდი კალატაფიმიში ერთი დღე გაჩერდა, უზარმაზარი ჯარი ჰყავდა, დასვენებული, ნაკვები მეომრები, არაფერი იყო მათთვის იმ მოხალისე ყვინჩილებისთვის კისრის მოგრეხა. მან კი უკან, პალერმოსკენ დაიხია. ამბობენ, თოთხმეტი ათასი დუკატი აიღოო, იცით? მისი უფროსები რამდენსღა აიღებდნენ?! პიემონტელებმა ამ თორმეტიოდე წლის წინ გენერალი რამორინოს დახვრეტაში ბევრად ნაკლები აიღეს. პიემონტელები სულ არ მეხატებიან გულზე, მაგრამ ვერ უარვყოფთ, რომ სამხედრო საქმეში ერკვევიან. ლანდი, ჩემი აზრით, უბრალოდ, ლანცამ ჩაანაცვლა და ისიც უკვე მოსყიდულია. დააკვირდით, რა ზარ-ზეიმით აიღეს პალერმო... გარიბალდიმ სამი ათას ხუთასი სიცილიელი ავაზაკით გაამაგრა საკუთარი რიგები, ლანცას კი თექვსმეტი ათასამდე ჯარისკაცი ჰყავდა, გესმით, რამდენია თექვსმეტი ათასი? იმის მაგივრად, რომ იერიში მიეტანა, როგორც საჭირო იყო, პატარ-პატარა ჯგუფებად დააქუცმაცა ჯარი და ისე გაუშვა მეამბოხეებთან საბრძოლველად, ცხადია, რომ მეამბოხეები მათ ადვილად გაუსწორდნენ. თანაც, პალერმოელი მოსყიდული მოღალატეები სახლების სახურავებიდან ესროდნენ ჯარისკაცებს. პორტში კი, ბურბონების ხომალდების თვალწინ, პიემონტური გემებიდან ტვირთავენ იარაღს მოხალისეთათვის. ამის მერე გარიბალდი დაუბრკოლებლად შევიდა ვიკარიას ციხეში, კიდევ ათასი ნაძირალა გაათავისუფლა და თავის ბანდას შეუერთა. იმაზე აღარაფერს გეტყვით, რაც ნეაპოლში ხდება. ჩვენი საბრალო ხელმწიფე მოღალატე ლაჩრებითაა გარშემორტყმული, რომლებმაც უკვე ხელი მოითბეს და ახლა ხელმწიფეს უთხრიან მიწას...

– კი, მაგრამ საიდან ამდენი ფული?

– ღირსო მამაო, თქვენი გამკვირვებია! კი, მაგრამ რომში არაფერი იცით? ეგ ხომ ინგლისის მასონების ფულია! დაფიქრდით: გარიბალდი მასონია, მაძინი მასონია – ახლა ლონდონში გაიხიზნა და ინგლისელ მასონებთან ერთად მოქმედებს, კავური მასონია – ინგლისის ლოჟებიდან იღებს ბრძანებებს. გარიბალდის გარემოცვაში ყველა მასონია. მთელი ეს გეგმა იმდენად ორი სიცილიის სამეფოს დამხობას არ ისახავს მიზნად, რამდენადაც მისი უწმინდესობისთვის მომაკვდინებელი დარტყმის მიყენებას. ცხადია, რომ სიცილიის შემდეგ ვიტორიო ემანუელე რომსაც გადასწვდება. თქვენ, ალბათ, გჯერათ მოხალისეების ამ ლამაზი ამბის, ოთხმოცდაათი ათასი ლირით რომ დაიძრნენ სამხრეთისკენ... ეს ფული ხომ საჭმელზეც არ ეყოფოდა ამ ღორმუცელების ბანდას. ვერ ხედავთ, როგორ გადაჭამეს პალერმო? სურსათის მარაგი აღარ შერჩა ქალაქს. ველ-მინდვრებსაც კი მკალივით გადაუარეს. სინამდვილეში ინგლისელმა მასონებმა გარიბალდის სამი მილიონი ფრანგული ფრანკი მისცეს, თანაც – თურქული ოქროთი: სადაც უნდათ, იქ დახარჯავენ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში!

– ვინ ინახავს ამ ოქროს?

– გენერლის ნდობით აღჭურვილი მასონი, კაპიტანი ნიევო – წვერგაბურძგნული ახალგაზრდა, ოცდაათი წლისაც არ იქნება. მას ოფიციალურად მხოლოდ სალარო აბარია. მაგრამ ეგ ეშმაკის გაგდებულები გენერლებს, ადმირალებს და კაცმა არ იცის კიდევ, ვის, ფულს უხდიან, ღარიბ-ღატაკებს კი კიდევ უფრო ძარცვავენ. გლეხებს ეგონათ, გარიბალდი მიწებს დაურიგებდათ, მაგრამ გენერალი იმას შეეკვრება, ვისაც მიწა და ფული აქვს. აი, ნახავთ, ის ყმაწვილები, თავს რომ სწირავდნენ კალატაფიმიში, როგორც კი მიხვდებიან, რომ აქ არაფერი შეცვლილა, დახოცილ ჯარისკაცებს აცლიან თოფებს და მოხალისეებს დაახლიან ტყვიას.

ნაშუადღევს მღვდლის სამოსი გავიძრე, ისევ წითელი პერანგი გადავიცვი და ქალაქში გავედი. ერთ-ერთი ტაძრის კიბე-

ზე ბერს, პადრე კარმელოს გამოველაპარაკე. ოცდაშვიდი წლის ყოფილა, ორმოცისას კი ჰგავდა. მითხრა, მინდა, შემოგიერთდეთ, მაგრამ რაღაც მაკავებსო. რა გაკავებს, კალატაფიმიში ბერებიც ერივნენ მოხალისეებში-მეთქი.

– შემოგიერთდებოდით, რომ ვიცოდე, მართლა რაღაც მნიშვნელოვანს აკეთებთ. თქვენ კი მარტო იმას გაიძახით, იტალია უნდა გავაერთიანოთ და მისგან ერთი ერი შევქმნათო. მაგრამ ტანჯული ხალხი, მარტო იქნება თუ სხვასთან ერთად, მაინც ტანჯულია. ეჭვი მეპარება, თქვენ იხსნათ ადამიანები ტანჯვისაგან.

– თავისუფლები იქნებიან, სკოლაში ივლიან, – ვუთხარი.

– თავისუფლებით ვერ იარსებებ. ვერც განათლება გამოგკვებავს. არ ვიცი, პიემონტელებს იქნებ გეყოთ, მაგრამ ჩვენ არ გვეყოფა.

– აბა თქვენ რა გინდათ?

– ჩვენ ბურბონებთან ომი კი არ გვაინტერესებს, გვინდა, ღარიბები შეებრძოლონ მტარვალთ, მათი დამხობა გვსურს, ვინც ხალხს აშიმშილებს. ასეთები კი მარტო მეფის კარზე კი არა, ყველგან არიან.

– თუ ასეა, ხალხი თქვენ წინააღმდეგაც უნდა გამოვიდეს. ეკლესია ხომ უზარმაზარი ქონების, თვალუწვდენელი მიწების მფლობელია?

– დიახ, ჩვენ წინააღმდეგაც უნდა ამხედრდეს; განსაკუთრებით ჩვენ წინააღმდეგ! მაგრამ – ჯვრითა და სახარებით ხელში. აი, ასეთ ბრძოლას შევუერთდებოდი. ამჟამინდელი ვითარება კი მხოლოდ ეჭვებს აღმიძრავს.

თუ სწორად მახსოვს უნივერსიტეტის დროიდან კომუნისტების ის ცნობილი მანიფესტი, ეს ბერი სწორედ ერთ-ერთი იმათგანი გამოდის. ამ სიცილიას მართლა ვერაფერი გავუგე.

***

შეიძლება ბაბუაჩემისგან გამოყოლილი აკვიატება იყო, არ ვიცი, მაგრამ თავიდანვე არ მასვენებდა ფიქრი, გარიბალდის შეთქმულებაში ნეტავ ებრაელები თუ არიან გარეულები-მეთქი. ეგენი ხომ ყველაფერში არიან გარეული. მუსუმეჩის ვკითხე.

– აბა რა! – დამეთანხმა. – პირველ რიგში, გახსოვდეთ, რომ ყველა მასონი ებრაელი არ არის, მაგრამ ყველა ებრაელი მასონია. გარიბალდის მომხრეები გაინტერესებთ? ამას წინათ ისე, ცნობისმოყვარეობის გამო გადავხედე მარსალის მოხალისეთა სიას, რომელიც „ღირსეულთათვის პატივის მისაგებად" გამოაქვეყნეს. ჩამოგითვალოთ სახელები? – ეუჯენიო რავა, იოსებ უზიელი, ისააკ ანკონელი, სამუელ მარკეზი, აბრამ ისააკ ალპრონი, მოსე მალდაქეა, ვინმე კოლომბო დონატოც არის, რომელსაც სინამდვილეში აბრამი ჰქვია. მითხარით ერთი, შეიძლება, ქრისტიანებს ასეთი სახელები ერქვათ?

***

(16 ივნისი) კაპიტან ნიევოს ვეახლე ჩემი აკრედიტაციის წერილით. მოსკარდიდან იყო, გაწკეპილი ულვაშით, ტუჩქვეშაც მოეზარდა პატარა სამკუთხედი. მეოცნებეს ჰგავდა, მაგრამ აშკარად ჩანდა, სინამდვილეში სულ სხვანაირი იყო. სანამ ვლაპარაკობდით, ერთი მოხალისე შემოვიდა ოთახში, რაღაც საბნებს სთხოვდა, მან კი, კირკიტა ბუღალტერივით, შეახსენა, შენმა რაზმმა გასულ კვირას გაიტანა საბნებიო.

– კი, მაგრამ რას უშვრებით ამ საბნებს, ჭამთ? – დაუცაცხანა. – ღორმუცელობას დილეგში გადაგაჩვევ, იცოდე.

მოხალისე სასწრაფოდ დაემშვიდობა და გაუჩინარდა.

– ხედავთ, რა დღეში ვარ? ჩემზე გეტყოდნენ, განათლებული კაციაო. მე კი აგერ, ჯარისკაცებს ფულს და ტანსაცმელს

ვურიგებ. ოცი ათასი ახალი ფორმა უნდა შევუკვეთო, ყოველდღე ჩამოდიან ახალი მოხალისეები გენუიდან, ლა-სპეციიდან და ლივორნოდან. აქეთ გრაფები და ჰერცოგების ცოლები არ გეშვებიან, თვეში ორას დუკატს გთხოვენ, მგონი, გარიბალდი მთავარანგელოზი ჰგონიათ. აქაურები ფიქრობენ, რომ ფული ციდან ცვივა, ჩვენსავით კი არ არიან. ჩვენთან თუ რამე გინდა, ხელი უნდა გაანძრიო, ესენი სხვას მისჩერებიან ხელში. სალარო, შეიძლება, იმიტომ მომანდეს, რომ პადუის უნივერსიტეტი დავამთავრე, ან, უბრალოდ, იმიტომ, რომ იციან, არ ვიპარავ. თუ არ ქურდობ, დიდი ღირსებაა ამ კუნძულზე, აქ ხომ მმართველი და ქურდი ერთსა და იმავეს ნიშნავს.

მეოცნებე პოეტის როლი მოურგია. ვკითხე, უკვე პოლკოვნიკი ხართ-მეთქი? არ ვიციო, მიპასუხა.

– აქ ცოტა გაუგებარი სიტუაციაა. ბიქსიო ცდილობს, პიემონტური სამხედრო დისციპლინა მოგვახვიოს თავს, გეგონება, პინეროლოში ვიყოთ. ჩვენ კი ერთი უწესრიგო ჯგრო ვართ. ისე, მინდა, გთხოვოთ, თუ ტურინში მუშაობთ და იქ უნდა უნდა წეროთ სტატიები, ამ წვრილმანებს ნუ ახსენებთ. აჯობებს, ის გულწრფელი გზნება გადმოსცეთ, რაც ჩვენს ხალხს ამოძრავებს. ჩვენ შორის არიან ადამიანები, რომლებიც დაუფიქრებლად გაიღებენ სიცოცხლეს რწმენისთვის, იდეისთვის. სხვა ყველაფერი თავგადასავალია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი. პალერმოში არ მოიწყენ, ქორებით ვენეციას მაგონებს. გვეთაყვანებიან, როგორც გმირებს, ორი მტკაველი წითელი ქსოვილი და სამოცდაათსანტიმეტრიანი ხანჯალი კმარა ნებისმიერი, ვითომ უკარება, ლამაზმანის დასაპყრობად. რა სჯობია აქ ცხოვრებას! თეატრში საკუთარი ლოჟა გვაქვს და ამათი სორბეტები ხომ შესანიშნავია!

– დიდი ხარჯი გვაქვსო, ამბობთ. კი, მაგრამ როგორ გყოფნით გენუიდან წამოღებული ფული? მარსალაში ჩამორთმეულ ფულს ხარჯავთ?

– ის ხურდა ფული ვის ეყოფოდა! როგორც კი სიცილიაზე ჩამოვედით, გენერალმა კრისპი გაგზავნა „სიცილიის ბანკიდან“ ფულის გამოსატანად.

– ჰო, მსმენია ამაზე, ამბობენ, ხუთი მილიონი დუკატიო...

ამ სიტყვებზე პოეტი კვლავ გარიბალდის კაცად გადაიქცა. ზეცად აღაპყრო თვალები:

– ეჰ, ბევრ რამეს ამბობენ. არ დაგავიწყდეთ, რომ მთელი იტალიიდან, უფრო მეტიც – მთელი ევროპიდან, გვიგზავნიან შემოწირულობებს. ეს არ დაგავიწყდეთ, სტატიას რომ დაწერთ. იქნებ უსაქმურებმა საკუთარ საქმეს მიხედონ და ჩვენ თავი დაგვანებონ. მოკლედ, ხარჯთაღრიცხვა ადვილი არაა. როცა ოფიციალურად გამოცხადდება იტალიის სამეფო, ისე უნდა ჩავაბარო მის აღმატებულებას ეს საბუღალტრო წიგნები, რომ თითოეული გროში აღრიცხული იყოს, შემოსულიც და გასულიც.

„ნეტავ როგორ ჩასვამ მაგ ხარჯთაღრიცხვაში ინგლისელი მასონების მილიონებს? – ვფიქრობდი. – ყველანი შეთანხმებულები ხართ: შენ, გარიბალდი და კავური, დიდი ფული მოგცეს, მაგრამ მასზე ლაპარაკი არ შეიძლება. ან იქნებ არც არაფერი იცი, თოჯინა ხარ, პატიოსანი კაცუნა, რომელსაც ისინი (ვინ?) ფარად იყენებენ. იქნებ მართლა გგონია, რომ ბრძოლები ღვთის წყალობით მოიგეთ?“ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გამერკვია, რა კაცი იყო ეს ნიევო. მის სიტყვებში გულწრფელი მხოლოდ მწველი სინანული იყო: ძალიან განიცდიდა, რომ პალერმოში უნდა დარჩენილიყო და ანგარიშებისთვის მიეხედა, მაშინ, როცა მოხალისეები აღმოსავლეთისკენ მიიწევდნენ, ახალ მიწებს იკავებდნენ და სრუტის გავლით კალაბრიისა და შემდეგ ნეაპოლისკენ მიიჩქაროდნენ. აშკარად მოუთმენლობა კლავდა ნიევოს, ერთი სული ჰქონდა, იქაურობას გასცლოდა. რას იზამ, არიან ასეთი ადამიანები, იმის მაგივრად, ბედს უმადლოდნენ, რომელიც გემრიელი სორბეტებითა და ლამაზი ქალებით ანებივრებს, ნატრობენ, მტრის ტყვიებმა დაუცხრილოთ მოსასხამი.

გამიგია, რომ დედამიწაზე მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. არ ვიცი, ვინ და როგორ მოახერხა მათი დათვლა, მაგრამ პალერმოს შემოვლაც კმარა იმის მისახვედრად, რომ მეტისმეტად ბევრნი ვართ ქვეყანაზე და გადაადგილებასაც ვეღარ ვახერხებთ ისე, ფეხზე რომ არ დავაბიჯოთ ერთმანეთს. თანაც, ადამიანების უმრავლესობა ყარს. საკვები უკვე ჭირს, კიდევ რომ გავმრავლდეთ, მერე რაღა იქნება. მოკლედ, დედამიწის მოსახლეობას ცოტა გაცხრილვა არ აწყენდა. ცხადია, ნაწილობრივ გვშველის ეპიდემიები, თვითმკვლელობები, სიკვდილით დასჯა, დუელები; ადამიანები ათასნაირად ერჩიან თავს, ზოგი კისრის მოტეხამდე დაჯირითობს კლდე-ღრეში, ინგლისელ ჯენტლმენებზეც მსმენია, ზღვაში შედიან საცურაოდ და ხშირად იხრჩობიან თურმე. აბა რა მოუვათ!.. მაგრამ ეს ყველაფერი არ კმარა, ომები მაინც ყველაზე ეფექტიანი და ბუნებრივი გზაა კაცთა მოდგმის ზრდის დასამუხრუჭებლად. განა ასე არ ამბობდნენ ადრე, ომში წასვლის წინ, ღვთის ნებააო? მთავარი ისაა, ხალხი იყოს, ვისაც ომის სურვილი ექნება. ყველამ რომ თავი დაიძვრინოს, ომში ვინღა მოკვდებოდა? და მაშინ რაღა აზრი ექნებოდა ომს? მაშასადამე, აუცილებელია, იყვნენ ნიევოს, აბას, ბანდისნაირი ადამიანები, რომლებსაც ერთი სული აქვთ, ქვემეხს აეფარონ ბრძოლის ველზე. მე და ჩემნაირებს გვჭირდება ისინი, რომ მშვიდად ვიძინოთ, რომ კაცობრიობის ქშენა არ ჩაგვესმოდეს ყურში დაძინებისას.

მოკლედ, მე კი არ მეპიტნავებიან, მაგრამ კეთილშობილი ხალხი მაინც საჭიროა.

***

ლა ფარინას ვეახლე ჩემი აკრედიტაციის წერილით.

– თუ გგონიათ, ჩემგან რამეს შეიტყობთ, რომ ტურინს აცნობოთ, იცოდეთ, არაფერი გამოგივათ. აქ მთავრობა არ არსებობს. გარიბალდის და ბიქსიოს ჰგონიათ, თავიანთნაირ

გენუელებს მართავენ, ჩვენ კი სიცილიელები ვართ. აქ ხალხმა არც კი იცის, რა არის სავალდებული სამხედრო სამსახური, ამათ კი ოცდაათი ათასი ჯარისკაცის შეკრების იმედი ჰქონდათ. ბევრ ქალაქში აჯანყებამ იფეთქა. დაადგინეს, რომ საქალაქო საბჭოებიდან ძველი მეფის მოხელეები უნდა გამოყარონ, არადა, წერა-კითხვა მხოლოდ მათ იციან. ამას წინათ ეკლესიის მოძულეებმა საჯარო ბიბლიოთეკის დაწვა გადაწყვიტეს, რადგან ის იეზუიტების დაფუძნებულია. პალერმოს გუბერნატორად ვიღაც მარჩილეპრელი ყმაწვილი დააყენეს, კაცმა არ იცის, ვინაა. კუნძულზე უამრავი დანაშაული ხდება და ხშირად მკვლელები სწორედ ისინი არიან, ვისაც წესრიგის დაცვა ევალება. მოხალისეთა რიგებში უამრავი გათახსირებული თაღლითი და ავაზაკია. გარიბალდი პატიოსანი კაცია, მაგრამ ვერ ხედავს, რაც მის თვალწინ ხდება: ორასი ცხენი მხოლოდ პალერმოში წართმეული ცხენებიდან გაქრა უგზოუკვლოდ! ვინც არ უნდა სთხოვოს, ყველას აძლევს ბატალიონის შექმნის უფლებას, ზოგიერთ, ორმოციოდე კინკილა ჯარისკაციან ბატალიონს ოფიცრების სრული შემადგენლობა და საკუთარი ორკესტრიც კი ჰყავს! ერთსა და იმავე რამეს ორ, სამ ადამიანს ავალებენ! სიცილია ლამის სასამართლოს გარეშე დატოვონ, აღარც სისხლის სამართლის სასამართლო მუშაობს, აღარც სამოქალაქო, აღარც სავაჭრო! მთელი სასამართლო კორპუსი გარეკეს, სამხედრო კომისიები განიხილავენ ყველანაირ საქმეს, გეგონება, ჰუნების ხანაში ვიყოთ! კრისპი და მისი ბანდა გაიძახის, გარიბალდის სამოქალაქო სასამართლო არ მოსწონს, რადგან ყველა მოსამართლე და ვექილი თაღლითი და გაიძვერააო; მმართველი დარბაზი უსარგებლოდ მიაჩნია, ამბობს, დეპუტატები კალმის ხალხია და არა ხმლისო; სამოქალაქო წესრიგის დამცველ ძალებს არ აღიარებს, ამბობს, რომ მოქალაქეებმა თავად უნდა აისხან იარაღი და საკუთარი თავი დაიცვანო. არ ვიცი, მართალია თუ არა ეს ყველაფერი, მაგრამ

გენერალთან შეხვედრასაც ველარ ვახერხებ, რომ სიმართლე გავარკვიო.

7 ივლისს გავიგე, რომ ლა ფარინა დაეპატიმრებინათ და ტურინში გაეგზავნათ. გარიბალდის ბრძანება ყოფილა, ვფიქრობ, კრისპის ჩაგონებული. მოკლედ, კავურს ინფორმატორი აღარ ჰყავს სიცილიაში და ახლა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რას მოვახსენებ ჩემს დამქირავებლებს.

ჭორების მოსასმენად მღვდლის სამოსის გადაცმას აზრი აღარ აქვს; ტავერნებში, ფუნდუკებში ათას რამეს მოჰკრავ ყურს და ხშირად სწორედ უკმაყოფილო მოხალისეები ჩივიან. გავიგე, სიცილიელებისგან, რომლებიც გარიბალდის კუნძულზე ჩამოსვლის შემდეგ შეუერთდნენ მოხალისეებს, ორმოცდაათს უკვე დაეტოვებინა მათი რიგები. ბევრს იარაღიც გაუყოლებია ხელს. „გლეხუჭები არიან, თივასავით უცებ ეკიდებათ ცეცხლი, მალე იღლებიან“ – აბა ცდილობს, გამართლება მოუძებნოს თავგზაარეულებს. სამხედრო საბჭო სიკვდილის განაჩენს გამოუტანს მათ, მაგრამ არ დასჯის, ოღონდ მოშორდნენ აქაურობას. ვცდილობ, გავიგო, მართლა რას გრძნობს ეს ხალხი. ვფიქრობ, ის საყოველთაო აღგზნება იმიტომაც მოედო ასე უეცრად, ალივით, მთელ სიცილიას, რომ ამ ღვთისაგან დავიწყებულ, უწყლო, მზით გადახრუკულ მიწას არაფერი ებადა ზღვის გარდა. ხილიც კი ცოტაა ამ კუნძულზე და ისიც – ეკლიანი. საუკუნეთა მანძილზე ახალი არაფერი ხდებოდა ამ მხარეში და უცებ გარიბალდი გამოჩნდა თავისი მებრძოლებით. განა აქაურებს მართლა გული შესტკივათ მისთვის ან სამეფო ტახტის დამხობა ადარდებთ, უბრალოდ, რაღაცნაირად დაბანგულან სიახლით, განსხვავებულით. განსხვავებული კი აქ ყველას თავისებურად ესმის. ვინ იცის, იქნებ განახლების ეს ძლიერი ქარი სიროკოა სხვა არაფერი, რომელიც ისევ მალე მიაძინებს ყველას.

***

(30 ივლისი) ნიევომ, რომელსაც ამასობაში საკმაოდ გავუშინაურდი, გამანდო, გარიბალდიმ ვიტორიო ემანუელეს შეტყობინება მიიღო და მეფე უბრძანებს, სრუტე არ გადაკვეთოო. მაგრამ ბრძანებას ცალკე, პირადად მეფის ხელით დაწერილი წერილიც ახლავს, რომლითაც საწინააღმდეგოს ეუბნება: „წელან გწერდით, როგორც მეფე, ახლა კი იმას გწერთ, რაც მართლა უნდა გააკეთოთ. მიპასუხეთ, რომ სიამოვნებით შეასრულებდით ჩემს ბრძანებას, მაგრამ იტალიის წინაშე ვალდებულება გაიძულებთ, ნეაპოლელებს დაეხმაროთ, თუ ისინი შველას გთხოვენ გასათავისუფლებლად“. ვის წინააღმდეგ იყო მიმართული მეფის ორმაგი თამაში? კავურის? თუ თავად გარიბალდის? ჯერ უბრძანებს, არ გადავიდეს ნახევარკუნძულზე და იქვე აქეზებს, გადადიო: იქნებ იმიტომ, რომ შემდეგ ურჩობისთვის დასაჯოს და პიემონტის ჯარები გაგზავნოს ნეაპოლში?

– გენერალი მეტისმეტად მიამიტია, ადვილად გაებმება ხაფანგში, – მითხრა ნიევომ. – მინდა, მის გვერდით ვიყო, მაგრამ ისეთი საქმე მაქვს მობარებული, ფეხს ვერ მოვიცვლი.

მივხვდი, რომ ეს განათლებული ადამიანიც გარიბალდის ეთაყვანება. ერთხელ, გულაჩუყებულმა, თავისი წიგნი მაჩვენა, „გარიბალდელთა სიყვარული“, ჩრდილოეთში იყო დაბეჭდილი, ახლახან ჩამოსვლოდა ფოსტით. დარდობდა, დაბეჭდვამდე წიგნის გადაკითხვა და შესწორება ვერ მოვასწარიო.

– იმედია, მკითხველი, როგორც გმირს, ცოტა გაუთლელობას მაპატიებს. გამომცემლობას არც გადაუხედავს, სამარცხვინო შეცდომებითაა წიგნი გატენილი.

მის ერთ-ერთ ქმნილებას ჩავხედე, რომელიც სწორედ გარიბალდის ეძღვნებოდა და დავრწმუნდი, რომ ცოტა გაუთლელი უდავოდ გახლდათ ჩვენი ნიევო:



*...ის მისი მზერა, ზასრი, გამჭოლი,*
*გონიერებით გაბრწყინებული,*
*მუხლის მოყრას, თაყვანისცემას*
*აიძულებს*
*ადამიანებს...*

ის მისი მზერა, ბასრი, გამჭოლი,
გონიერებით გაბრწყინებული,
მუხლის მოყრას, თაყვანისცემას
აიძულებს
ადამიანებს.
ბრბოშიც ზრდილია, მოხდენილი, თავაზიანი,
გოგონებთან – დახვეწილი და
ქცევით, სიტყვით – ლაზათიანი.

მოკლედ, ჭკუას კარგავენ აქ ამ დაგვაჯული კაცისთვის.

***

(12 აგვისტო) ნიევოსთან მივეშურები, მაინტერესებს, მართალია თუ არა, რაც ყველას პირზე აკერია: გარიბალდის ხალხი უკვე კალაბრიის ნაპირზე გადავიდაო. ნიევო საშინელ ხასიათზე მხვდება, ლამის იტიროს. ენა მიუტანიათ, ტურინში სასტიკად გაკრიტიკებენ, კორუფციაში გადანაშაულებენო.

– ყველა გროში აქაა ჩაწერილი, – მჯიღს ურტყამს წითელ ტილოში გამოკრულ საბუღალტრო წიგნებს. – შემოსულიც და გასულიც. თუ ვინმეს რამე მოუპარავს, ამ ანგარიშებში ყველაფერი გამოჩნდება. როცა ეს საბუთები დანიშნულების ადგილზე ჩავა, ვიღაც-ვიღაცეებს თავებს დააყრევინებენ. ჩემი თავი კი მხრებზე დარჩება, აგერ ნახავთ!

***

(26 აგვისტო) დიდი სტრატეგი არ გახლავართ, მაგრამ ყურმოკრულითაც ვხვდები, რა ხდება. მასონთა ფულითაა თუ საბაუდიელთა მხარდაჭერით, ზოგიერთი ნეაპოლელი მინისტრი მეფე ფრანჩესკოს წინააღმდეგ აწყობს გეგმებს. ნეაპოლში ამბოხი მზადდება, აჯანყებულები პიემონტის მთავრობას სთხოვენ დახმარებას და ვიტორიო ემანუელე სამხრეთში ჩამოვა. გა-

რიბალდი თითქოს ვერაფერს ამჩნევს, ან ყველაფერს ხვდება და ჩქარობს, რომ ნეაპოლში ჩაასწროს ვიტორიო ემანუელეს.

***

ნიევო გაცოფებული მხვდება, რაღაც წერილი უჭირავს ხელში, გაშმაგებული აფრიალებს: – თქვენი მეგობარი დიუმა კრეზობანას თამაშობს! ოღონდ კრეზი მე ვგონივარ! ნახეთ, რას მწერს! თან იმდენად თავხედია, მეუბნება, გენერლის სახელით გწერო! ბურბონების ფულით დაქირავებული შვეიცარიული და ბავარიული ჯარები უკვე გრძნობენ, რომ მარცხდებიან ნეაპოლის მხარეში და მზად არიან დეზერტირობისთვის, კაცზე ოთხ დუკატს ითხოვენ. სულ ხუთი ათასი კაცია, ოცი ათასი დუკატი, ანუ ცხრა ათასი ფრანკი გამოდის. დიუმას, რომელიც ხალხს მისივე გამოგონილი გრაფი მონტე-კრისტო ეგონა, ეს ფული არ აქვს და, როგორც ჭეშმარიტად კეთილშობილი ბატონი, მათხოვრულ ათას ფრანკს გვთავაზობს. სამი ათასს ნეაპოლელი პატრიოტები შეაგროვებენ, დანარჩენს შენ ხომ არ დადებდიო, მეკითხება! კი, მაგრამ რა ჰგონია, საიდან მოვიტან ფულს?

ღვინოს მისხამს. – იცით, სიმონინი, ახლა ყველა ნახევარკუნძულზე გადასვლის იდეითაა აღტყინებული და არავინ ფიქრობს ტრაგედიაზე, რომელიც შავ ლაქად დარჩება ჩვენი ლაშქრობის ისტორიაში. ბრონტეში, კატანიასთან მომხდარს ვგულისხმობ. იქ სულ ათი ათასი მოსახლეა, მათი უმრავლესობა, გლეხები და მწყემსები, ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ფეოდალიზმში ცხოვრობენ. მთელი ის მხარე ლორდ ნელსონს აჩუქეს თავის დროზე, ბრონტეს გრაფის ტიტულთან ერთად. ის მიწები მუდამ რამდენიმე მდიდრის ხელში იყო, იქაურები მათ „გალანტურებს" ეძახდნენ. მდიდრები საქონელივით ექცეოდნენ გლეხებს, საკვების საშოვნელად ტყეში შესვლასაც უკრძალავდნენ და მინდორში სამუშაოდ ბაჟს ახდევინებდნენ. იმ საცოდავებმა იფიქრეს, გარიბალდი სამართალს აღადგენდა, მიწებს დაუბრუ-

ნებდა. ეგრეთ წოდებული ლიბერალური კომიტეტები შეიქმნა, წარმომადგენლად ვინმე ვექილი ლომბარდო დასახელდა. მაგრამ ბრონტე ინგლისელთა საკუთრებაა, ინგლისელები კი გარიბალდის მარსალაში დაეხმარნენ და ახლა ვის მხარეზე უნდა ყოფილიყო? ამას რომ მიხვდნენ, იქაურები აღარც ლომბარდოს უგდებდნენ ყურს და აღარც სხვა ლიბერალებს, აირ-დაირია ვითარება, აჯანყებამ იფეთქა, მდიდრებს დაერივნენ და ერთიანად ამოწყვიტეს. მოკლედ, საშინელება დატრიალდა. ისიც უნდა ითქვას, რომ აჯანყებულებს შორის ციხეებიდან გაქცეული ავაზაკებიც ბლომად იყვნენ. ყველამ იცის, იმ ქაოსში, რაც ამ კუნძულს დაატყდა თავს, უამრავი გარეწარი დაუძვრა საპყრობილეს, ისეთებიც, სიკვდილამდე რომ უნდა ეხეხათ დილეგის კედლები... მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენმა ჩამოსვლამ გამოიწვია. ინგლისელების ზეწოლით გარიბალდიმ ბიქსიო მიავლინა ბრონტეში, ბიქსიოს კი ყოყმანი არ სჩვევია: ქალაქს ალყა შემოარტყა, მოსახლეობას შეუტია და იქაური ბატონების კარნახით ლომბარდო ბუნტისთავად გამოაცხადა. კარგად იცოდა, ტყუილი იყო, მაგრამ ფეხებზე ეკიდა, ხალხისთვის ჭკუა უნდა ესწავლებინა. ლომბარდო ოთხ ადამიანთან ერთად დახვრიტეს, მათგან ერთი საწყალი შტერი იყო, მთელი ცხოვრება ქუჩა-ქუჩა დადიოდა და მდიდრებს ლანძღავდა, მაგრამ მისი ყვირილი არასოდეს არავის ანაღვლებდა. სისასტიკე ზოგადად საშინელებაა, მაგრამ ამ ამბავმა პირადად ჩემზე განსაკუთრებულად იმოქმედა, გესმით, სიმონინი? ტურინში ათასნაირი ხმები ჩადის ჩვენზე: ძველ მებატონეთა დამცველებად და მოკავშირეებად გვხატავენ, თან ჩვენ გაფლანგულ ფულზე ჭორაობენ. ორჯერ ორი კი ოთხია: გამოდის, მდიდრები გვიხდიან, რომ საცოდავ ხალხს დავუშინოთ ტყვია, ჩვენ კი იმ ფულით განცხრომით ვცხოვრობთ. კიდევ კარგი, თქვენ მაინც ხედავთ, რომ აქ ვიხოცებით, თანაც სრულიად უფასოდ. სისხლი აგასხამს კაცს თავში ბოლმისგან.

***

(8 სექტემბერი) გარიბალდის ნეაპოლში წინააღმდეგობა არ შეხვედრია. როგორც ჩანს, თავს გაუვიდა: ნიევო მეუბნება, ვიტორიო ემანუელეს კავურის დაჭერა მოსთხოვაო. ტურინში მალე დასჭირდებათ ჩემი მოხსენება. ვხვდები, რომ მასში, რაც შეიძლება, მეტი უნდა იყოს გარიბალდის საწინააღმდეგო. მასონური ფულის ამბები უნდა გავაზვიადო, უთავბოლო კაცად წარმოვაჩინო გარიბალდი, ბრონტეში მომხდარ ხოცვა-ჟლეტაზე გავამახვილო ყურადღება, დანაშაულებრივ ქმედებებზე, ძარცვა-გლეჯასა და უმსგავსობაზე, კორუფციასა და ფულის ფლანგვაზე. მუსუმეჩის მონაყოლს გამოვიყენებ და მოხალისეთა ქცევაზეც დავწერ, მონასტრებს რომ არბევენ და გოგონებს აუპატიურებენ (ალბათ, მონაზვნებსაც! მუქი ფერები დაამშვენებს მოხსენებას).

ქონების წართმევის რამდენიმე ბრძანებაც რომ შევთხზა, ურიგო არ იქნება. დავწერ ანონიმურ წერილებს, რომლებიც კრისპის საშუალებით გარიბალდისა და მაძინის შორის კავშირებზე, პიემონტში რესპუბლიკის აღდგენის გეგმებზე მიანიშნებენ. მოკლედ, სერიოზული, დატვირთული მოხსენება იქნება და კედელთან მიაყენებს გარიბალდის. მუსუმეჩიმ კიდევ ერთი კარგი საკბილო მომაწოდა: გარიბალდის მომხრეები უცხოელი ვაჭრების ბრბოა და მეტი არაფერი. ამ ათას კაცში ათასი ჯურის თავგადასავლის მაძიებელია: ფრანგი, ამერიკელი, ინგლისელი, უნგრელი, აფრიკელებიც კი არიან. ყველა ქვეყნის ლექი, მოკლედ. ბევრი მათგანი გარიბალდისთან ერთად იყო კორსართა რიგებში. საკმარისია, მათ სახელებს გადახედო, ტური, ებერი, ტუკორი, ტელოკი, მაგიაროდი, კძუდაფი, ფრიჯიესი (მუსუმეჩი ძლივს გამოთქვამს ამ სახელებს, მე კი, ტურისა და ებერის გარდა, იქამდე არც ერთი მსმენოდა). არიან პოლონელები, თურქები, ბავარიელები, ერთი გერმანელიცაა, სახელად ვოლფი, ბურბონების ჯარის გერმანელი და შვეიცარიელი



*...გარიბალდის ნეაპოლში წინააღმდეგობა არ შეხვედრია...*

დეზერტირების მეთაური. ინგლისის მთავრობამ გარიბალდის ალჟირელებისა და ინდოელების ბატალიონებიც მიაშველა. რომელი იტალიელი პატრიოტები! ათასი კაციდან ნახევარიც არაა იტალიელი! სინამდვილეში მუსუმეჩი აჭარბებს: ირგვლივ მხოლოდ ვენეციური, ლომბარდიული, ემილიური და ტოსკანური დიალექტები მესმის, ინდოელი კი თვალითაც არ მინახავს... მაგრამ ჩემს მოხსენებას უდავოდ დაამშვენებს ეს ცნობები.

ცხადია, არც მასონებზე გადასკვნილი ებრაელები დამვიწყებია.

მოხსენება, რაც შეიძლება, მალე უნდა ჩავიდეს ტურინში. და, რაც მთავარია, დაუშვებელია, არასასურველ ხელში მოხვდეს. პიემონტური სამხედრო გემი მოვძებნე, მალე ბრუნდება სარდინიის სამეფოებში, წამში გავაშანშალე კაპიტნისთვის ოფიციალური ბრძანება, რომ გენუამდე გემზე ავეყვანე. ჩემი სიცილიური ცხოვრება აქ მთავრდება, ცოტათი გული მწყდება, რომ ვერ ვნახავ, რა მოხდება ნეაპოლში და სხვაგან, მაგრამ არც გასართობად ჩამოვსულვარ აქ და არც საგმირო თხზულების საწერად. კაცმა რომ თქვას, მთელი ამ მოგზაურობიდან სასიამოვნოდ თევზეულის კერძები მაგონდება: ბაბალუჩი, პიკიაპაკი და პიში დ'ოვუ... ლოკოკინებისა და კანოლის რეცეპტებია. ღმერთო, კანოლი... ნიევო იმასაც დამპირდა, სამურიგუს სოუსში მომზადებულ ხმალა თევზს გაგასინჯებო, მაგრამ ველარ მოვასწარით. ამ კერძის სახელის სურნელიღა მიმყვება ჩრდილოეთში.

8

# „ჰერაკლე“

1897 წლის 30, 31 მარტისა და
1-ლი აპრილის დღიურებიდან

მთხრობელს, ცოტა არ იყოს, ეხამუშება, ასე დაწვრილებით აღწეროს სიმონინისა და მისი დაუპატიჟებელი ანაფორიანი სტუმრის უსასრულო მიმოწერა, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ 30 მარტს ცდილობდა სიმონინი, სიცილიაზე გატარებული ბოლო დღეების მოვლენები გაეხსენებინა. მისი ნაწერი ძნელად გასარჩევია, უამრავი სტრიქონია წაშლილი, გადაჯღაბნილი, თუმცა მაინც იკითხება. ფრიად შემაშფოთებელია ეს გვერდები. 31 მარტის ჩანაწერში აბატი დალა პიკოლაც ჩნდება, თითქოს სურს, სიმონინის მეხსიერების დახშული კარი შეაღოს და გამოამზეუროს ის, რის დამალვასაც ვექილი ასე საგულდაგულოდ ცდილობს. 1-ლ აპრილს სიმონინი ხელახლა მისჯდომია საწერ მაგიდას. უძილო ღამის შემდეგ გული მერეოდაო, წერს. თითქოს, მორალისტი მღვდლის სიტყვებით გაღიზიანებული, ლამობს, გაასწოროს, რაც გაზვიადებულად ეჩვენება დალა პიკოლას მონათხრობში. მთხრობელმა აღარ იცის, საბოლოოდ

რომელს დაუჯეროს, ამიტომ თავს უფლებას აძლევს, ისე მოჰყვეს მაშინდელი ამბები, როგორც თავად ეჩვენება მართებულად. ცხადია, საკუთარ მონათხრობზე თავადვე იღებს პასუხისმგებლობას.

ტურინში ჩავიდა თუ არა, სიმონინი კავალერ ბიანკოს ეახლა და მოხსენება წარუდგინა. მეორე საღამოს ისევ იქ დაიბარეს, სადაც პირველად მიიყვანა ეტლმა. ბიანკო, რიკარდი და ნეგრი სენ-ფრონი ელოდნენ.

– ვექილო, – დაიწყო ბიანკომ, – არ ვიცი, ჩვენი ურთიერთობა მაძლევს თუ არა უფლებას, ასე პირდაპირ გამოვხატო ჩემი მოსაზრება, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ სულელი ხართ.

– კავალერო, რას მკადრებთ?

– გკადრებთ, გკადრებთ, – საუბარში რიკარდი ჩაერთო, – სხვათა შორის, ჩვენი სახელითაც. იმასაც დავამატებდი, რომ საშიში რეგვენი ხართ, იმდენად საშიში, რომ არც კი ვიცი, შეიძლება თუ არა, თავისუფლად დაიარებოდეთ ტურინში, ასეთი აზრებით გამოტენილი თავით.

– მაპატიეთ, შეიძლება, რამე შემეშალა, მაგრამ არ მესმის...

– შეეშალა! კი, მაგრამ ხვდებით თუ არა, რომ რამდენიმე დღეში (ეს უკვე ჭორიკანა დედაკაცებმაც იციან) გენერალი ჩალდინი ჩვენი ჯარებით პაპის მმართველობის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებს მიადგება და შესაძლოა, სულ რაღაც ერთ თვეში ჩვენი ჯარი ნეაპოლში შევიდეს. მაშინ უკვე საყოველთაო მხარდაჭერაც გვექნება და ორი სიცილიის სამეფოს მთელი ტერიტორია ოფიციალურად მიუერთდება იტალიის სამეფოს. თუ გარიბალდი მართლა ასეთი ჯენტლმენი და მეფის მხარდამჭერია, იმ თავქარიანი მაძინის მოთოკვასაც მოახერხებს, უნდა თუ არა, დათანხმდება შექმნილ ვითარებას, დაკავებულ მიწებს მეფეს გადასცემს და დიდი პატრიოტის სახელსაც დაიმკვიდრებს. მაშინ კი გარიბალდის ჯარის დაშლა მოგვიწევს. როგორც

იცით, მოხალისეებმა სამოცი ათასს გადააჭარბეს. მათი უკონტროლოდ დატოვება შეუძლებელია, ამ ხალხის დიდი ნაწილი საბაუდიის ჯარში უნდა მივიღოთ, დანარჩენებს კი ფული მივცეთ და დავითხოვოთ. ასე თუ მოვიქცევით, თითოეული მათგანი გმირი მეომრის სახელს დაიმკვიდრებს. თქვენ კი გსურთ, ეს წყეული ანგარიში გაზეთებს ჩაუგდოთ ხელში, ხალხის საჯიჯგნად აქციოთ ეს თემა, გარიბალდის მებრძოლები, რომლებიც მალე ჩვენი ჯარისკაცები და ოფიცრები უნდა გახდნენ, გადამთიელი ავაზაკების ხროვად წარმოაჩინოთ, რომლებმაც სიცილია გაძარცვეს? გინდათ, გარიბალდი, რომელსაც მთელი იტალია უნდა უმადლოდეს, გმირად კი არა, ავანტიურისტად წარმოაჩინოთ, რომელმაც მტერი კი არ დაამარცხა, მოისყიდა? აპირებთ, ქვეყანას მოსდოთ, გარიბალდი ბოლო წუთამდე მაძინისთან იყო შეკრული, რათა იტალია რესპუბლიკად ექცია, ნინო ბიქსიო კი კუნძულზე თარეშობდა, ლიბერალებს ხვრეტდა და მწყემსებსა და გლეხებს სასტიკად ჟუჟავდაო? შეიშალეთ?!

— კი, მაგრამ, ბატონებო, თქვენ არ დამავალეთ...

— არავის დაუვალებია, გარიბალდი და მისი თანამებრძოლი კეთილშობილი იტალიელები ლაფში ამოსვარეო! ჩვენ დოკუმენტების მოპოვება გთხოვეთ, იმის დასტურად, თუ რა უხეიროდ განკარგავენ ფულს გმირის ზურგს ამოფარებული ავაზაკი რესპუბლიკელები, რომ პიემონტური სამხედრო ინტერვენცია ამით გაგვემართლებინა.

— კი, მაგრამ, ბატონებო, ხომ იცით, რომ ლა ფარინა...

— ლა ფარინა პირად წერილებს სწერდა გრაფ კავურს, მაგრამ არა მგონია, კავური მათ საქვეყნოდ აფრიალებდეს! თანაც, ლა ფარინა ლა ფარინაა, მას კრისპის ბოღმა არ ასვენებს. ან ეს რა მოგიროშავთ, ბოლოში, ინგლისელ მასონთა ოქროზე?

— ყველას ეს აკერია პირზე.

— ყველას? ჩვენ არა. გამაგებინეთ, ეს მასონები რაღა ჯანდაბაა? თქვენ მასონი ხართ?

– მე არა, მაგრამ...

– მაშ, ნუ იქექებით იმაში, რაც არ გეხებათ. მასონები თავის თავს მიხედავენ.

როგორც ჩანს, სიმონინი ვერ მიმხვდარიყო, რომ საბაუდიის მთავრობა მთლიანად მასონებისგან შედგებოდა (კავურის გარდა, ალბათ, ყველა მასონი იყო). იეზუიტებში გაზრდილი, წესით, ამდენს კი უნდა მიმხვდარიყო. რიკარდი ახლა ებრაელებზე ბრდღვინავდა: – ან ებრაელები რაღა ჯანდაბისთვის ჩააკვეხეთ ამ მოხსენებაში?!

სიმონინიმ ჩაიბურტყუნა: – ებრაელები ყველგან არიან, ხომ არ გგონიათ...

– მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენ რა გვგონია და რა არა! – შეაწყვეტინა სენ-ფრონმა. – ჯერ ერთი, გაერთიანებულ იტალიაში ებრაელი მოსახლეობის მხარდაჭერაც დაგვჭირდება და მერე, საჭირო არაა, კათოლიკე იტალიელებს უჩხიკინო, გარიბალდის უმწიკვლო გმირებს შორის ებრაელებიც იყვნენო. მოკლედ, ამისთანა სისულელის შეთითხვნის გამო მართლა იმსახურებთ ალპების სუფთა ჰაერზე, ჩვენს კომფორტულ ციხესიმაგრეში სამუდამოდ გამწესებას. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვჭირდებით. ის კაპიტანი თუ პოლკოვნიკი, ნიევო გვაინტერესებს, თავისი საბუღალტრო წიგნებით. არ ვიცით, რამდენად სწორად აწარმოებს აღრიცხვას ან პოლიტიკური თვალსაზრისით რამდენად მიზანშეწონილია ამ დოკუმენტების გამომზეურება. ძალიან კარგია, თუ ნიევო თავისი საბუღალტრო წიგნების გადმოცემას გვიპირებს, მაგრამ სანამ ჩვენამდე მოაღწევს, ის დოკუმენტები, შეიძლება, სხვას ჩაუვარდეს ხელში. ამას ვერ დავუშვებთ. ამიტომ ახლა სიცილიაზე დაბრუნდებით კვლავ დეპუტატ ბოჯოს სახელით, წურბელასავით მიეკვრებით ნიევოს და არ მოშორდებით, სანამ იმ წიგნებს არ გააქრობთ, ააორთქლებთ, ფერფლად არ აქცევთ. რაც გინდათ, ის მოუხერხეთ, ოღონდ მათი კვალიც არ უნდა დარჩეს ამქვეყნად. თავად მოიფიქრეთ, როგორ

შეძლებთ ამას, უფლებას გაძლევთ, ყველა ხერხს მიმართოთ, ოღონდ გახსოვდეთ: კანონის ფარგლებში. ჩვენგან დავალებებს ნუღარ ელით. კავალერი ბიანკო იზრუნებს, რომ სიცილიის ბანკიდან საჭირო ფული არ მოგაკლდეთ.

აქ დალა პიკოლას მონაყოლიც ბუნდოვანი ხდება, თითქოს უჭირს, გაიხსენოს ის, რის დავიწყებასაც სიმონინი ცდილობს.

ჩანაწერებიდან ნათელია, რომ სიმონინი სიცილიაზე სექტემბრის ბოლოს დაბრუნებულა და შემდეგი წლის მარტამდე დარჩენილა იქ. როგორც ჩანს, იქამდე უშედეგოდ ცდილობდა ნიევოს საბუთების ხელში ჩაგდებას, თანაც ყოველ ორ კვირაში კავალერ ბიანკოს უსტარს იღებდა, რომელიც გაღიზიანებული ეკითხებოდა, როგორ მიდის საქმეო.

ნიევო შეპყრობილი იყო იმ წყეული საბუთებით, სულ უფრო უფრთხოდა ჭორებს, უფრო და უფრო კირკიტა ხდებოდა, საათობით ამოწმებდა, ქექავდა ქვითრების დასტებს, რათა ეჭვი არაფერში შეჰპარვოდა. ეს პროცესი მეტისმეტად მკაცრად კონტროლდებოდა, გარიბალდიც შეეშფოთებინა სკანდალურ ჭორებს და ნიევოსთვის ოთხი დამხმარე და ორი მცველი დაენიშნა: ერთი ქვევით, შესასვლელში და მეორე – კიბეზე, ნიევოს კაბინეტის სადარაჯოზე, დღედაღამე მორიგეობდნენ. პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ნიევოს ოთახში შეღწევა და საბუღალტრო წიგნების ხელში ჩაგდება.

უფრო მეტიც, ნიევო აშკარად ეჭვობდა, რომ ზოგ-ზოგიერთებს ხელს არ აძლევდათ მისი ანგარიშების გახმაურება. ამბობდა კიდეც, მეშინია, საბუთები არ მომპარონ, ან რამე არ შეცვალონ იქო. თავზე დაჰკანკალებდა საბუღალტრო წიგნებს. სიმონინის ისღა რჩებოდა, პოეტთან მეგობრობის განმტკიცებაზე ეზრუნა, იქნებ ის მაინც გაეგო, რას უპირებდა ნიევო იმ წყეულ საბუთებს. კარგადაც გამოსდიოდა: უკვე შინაურულად, შენობით, მიმართავდნენ ერთმანეთს.

საღამოებს ხშირად ატარებდნენ ერთად. შემოდგომის პალერმო ჯერ კიდევ დუღდა: ზღვიდან მონაბერი ცხელი ქარი არ ცხრებოდა. მეგობრები ანისულის ნაყენს წრუპავდნენ: ნელა აზავებდნენ ცივ წყალში, სანამ გამჭვირვალე არ გახდებოდა. ნიევო თანდათან ადუნებდა სიმონინისთან ყურადღებას: შეიძლება, მართლა მოსწონდა სიმონინი, ან ტუსაღად გრძნობდა თავს იმ ქალაქში და უბრალოდ თანამეოცნებე სჭირდებოდა. მოკლედ, ენდობოდა ვექილს, თავის უიმედო სიყვარულზე, მილანში მყოფ სატრფოზე უყვებოდა: ნიევო თავისი ბიძაშვილისა და საუკეთესო მეგობრის ცოლზე ოცნებობდა. სრულიად უმწეო იყო ამ გრძნობის წინაშე, სიყვარულს იპოქონდრიამდე მიჰყავდა საბრალო.

– ასეთი ვარ, ვეღარ შევიცვლები. სულ მეოცნებე, გულჩათხრობილი, ნაღვლიანი დავრჩები. ოცდაათი წლის ვარ და რაც თავი მახსოვს, ვცდილობ, არ ვიფიქრო სამყაროზე, რომელიც ასე მძულს. ჩემი წიგნიც კი ვერ დავამთავრე. მის დაბეჭდვაზე ვოცნებობ, მაგრამ ამ საძაგელი ანგარიშების გადამკიდეს, არ მცალია. მე რომ ამბიციური, დიდების მაძიებელი ვყოფილიყავი... ან თუნდაც – ბიქსიოსავით სასტიკი... ეჰ, ბავშვად დავრჩი, დღევანდელი დღით ვცხოვრობ, ვმოძრაობ იმიტომ, რომ გადავადგილდე, ვსუნთქავ იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შემიძლია. სიკვდილიც ასე მეწვევა: მხოლოდ იმიტომ, რომ გარდაუვალია... და ყველაფერი დამთავრდება.

სიმონინი სულაც არ ცდილობდა მის ნუგეშისცემას. განუკურნებლად მიაჩნდა ნიევო.

ოქტომბრის დასაწყისში ვოლტურნოს ბრძოლა გაიმართა. გარიბალდიმ ბურბონთა ჯარის უკანასკნელი შეტევა მოიგერია. იმ დღეებში გენერალმა ჩალდინიმ პაპის ლაშქარი დაამარცხა კასტელფიდარდოში და ბურბონთა სამეფოს მიწები – აბრუცოს და მოლიზეს მხარეები – დაიკავა. პალერმოში ნიევო მოთმი-

ნებას კარგავდა. ყური მოეკრა, რომ პიემონტში ლა ფარინას მომხრეები ადანაშაულებდნენ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ლა ფარინა უკვე შხამს ანთხევდა ყველაფერზე, რასაც წითელი ფერი დაჰკრავდა.

– ერთი სული მაქვს, ზურგი ვაქციო ყველაფერს, – ამბობდა სასოწარკვეთილი ნიევო, – მაგრამ სწორედ ასეთ დროს არ შეიძლება ხომალდის მიტოვება.

26 ოქტომბერს მნიშვნელოვანი რამ მოხდა: გარიბალდი ვიტორიო ემანუელეს ტეანოში შეხვდა და სამხრეთ იტალია ჩააბარა. სანაცვლოდ სენატორად მაინც უნდა დაენიშნა მეფესო, ამბობდა ნიევო. ნოემბრის დასაწყისში გარიბალდი კაზერტაში თოთხმეტი ათასი ქვეითითა და სამასი ცხენოსნით დარაზმული ელოდა, რომ ხელმწიფე ჯარს ჩაიბარებდა, მაგრამ ის არც გამოჩენილაო.

7 ნოემბერს კი მეფე ზარ-ზეიმით შევიდა ნეაპოლში და გარიბალდი, თანამედროვე ცინცინატი, კუნძულ კაპრერაზე გაიხიზნა. – რა კაცი იყო! – ცრემლს ვერ იკავებდა გულაჩუყებული ნიევო. – პოეტებს ხომ მუდამ ასე ემართებათ (ამ სიტყვებზე სიმონინი საშინლად ღიზიანდებოდა).

რამდენიმე დღის შემდეგ გარიბალდის ლაშქარი დაიშალა, ოცი ათასი მოხალისე საბაუდიის ჯარს შეუერთდა. ამავე ჯარში შეიყვანეს ბურბონების სამი ათასი ოფიცერიც.

– სწორია, – ამბობდა ნიევო, – ისინიც ხომ იტალიელები არიან. ეს ჩვენი დიდი ეპოპეის მწარე დასასრულია. მე მოვრჩი სამხედრო სამსახურს, ექვსი თვის ხელფასს ავიღებ და სამუდამოდ დავემშვიდობები ამ ყველაფერს. ექვსი თვე მჭირდება ჩემი მისიის ბოლომდე მისაყვანად. იმედია, მოვახერხებ.

მართლა საშინელი საქმე ეტვირთა ნიევოს: ნოემბრის ბოლოს ძლივს მოაწესრიგა ზაფხულის ანგარიშები. სამიოდე თვე კიდევ სჭირდებოდა, შეიძლება, მეტიც.

ნოემბერში, როცა ვიტორიო ემანუელე პალერმოში ჩავიდა, ნიევო სიმონინის შესჩიოდა:

– უკანასკნელი წითელპერანგიანი დავრჩი აქ, ველურივით მიყურებენ. თან იმ მხეცი ლა ფარინას მომხრეთა ცილისწამებას უნდა გავუძლო. ღმერთო ჩემო, ვიცოდი, რომ ასე დამთავრდებოდა! მერჩივნა, ზღვაში დავმხრჩვალიყავი და ამ სატუსაღოს გემბანზე არ შემედგა ფეხი მაშინ გენუაში, ასე აჯობებდა.

სიმონინის ჯერ თვალიც ვერ მოეკრა იმ შეჩვენებული საბუღალტრო წიგნებისთვის. ნოემბრის შუა რიცხვებში ნიევომ მოულოდნელად გამოუცხადა, ცოტა ხნით მილანში ვბრუნდებიო. პალერმოში დატოვებდა ჟურნალებს? თან წაიღებდა? როგორ გაეგო?

ნიევო თითქმის ორი თვე იყო მილანში. სიმონინი პალერმოს შემოგარენის თვალიერებაში ატარებდა იმ მოწყენილ დღეებს (სენტიმენტალური არ ვარო, ყოველთვის ასე ეგონა, მაგრამ გაგონილა შობის დღესასწაული უდაბნოში? შობას თოვლი უხდება და არა დახრუკული, ოპუნციების ეკლებით გადაკაწრული არემარე). პადრე ბერგამასკის ანაფორით, ჯორზე გადამჯდარი, სოფელ-სოფელ დადიოდა, მღვდლებსა და გლეხებში ჭორებს აგროვებდა და თან – რაც მთავარია – სიცილიური სამზარეულოს საიდუმლოებებს ეზიარებოდა.

მიკარგულ სამიკიტნოებში გროშის ფასად ჭამდა უგემრიელეს კერძებს. თუნდაც იქაური „მოდულებული“ რად ღირდა: პურის ნაჭრებს ღრმა თასში ჩააწყობდი და ბლომად ზეთითა და დაფხვნილი წიწაკით შეაზავებდი. ცალკე, ნახევარ ლიტრ მარილიან წყალში, ოცი წუთი ადუღებდი დაჭრილ ხახვს, პომიდორსა და ომბალოს და ბოლოს სურნელოვან ნახარშს პურის ნაჭრებს მოასხამდი. ცოტას დააყოვნებდი და ცხელ-ცხელს მიირთმევდი.

ბაგერიის გარეუბანში ერთ პატარა ფუნდუკს მიაგნო. სულ რამდენიმე მაგიდა იდგა იმ ბნელ ოთახში, მაგრამ ზამთარშიც

სასიამოვნო იყო იქ ჯდომა. ერთი შეხედვით (ალბათ, არა მხოლოდ შეხედვით) ზინზლიანი მიკიტანი უგემრიელეს კერძებს ამზადებდა შიგნეულისგან: ძროხის გულს სატენით, ღორის ლაბას, ნაირ-ნაირ კუპატ-კუჭმაჭეულს.

იქ შეხვდა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ორ ადამიანს, რომლებიც სიმონინიმ მოგვიანებით ერთი საქმისთვის გამოიყენა. თუმცა მოვლენებს ნუ გავუსწრებთ.

პირველი გონებაჩლუნგს ჰგავდა. მეფუნდუკემ უთხრა სიმონინის, მეცოდება, ვაჭმევ და აქვე, ჩემთან, ცხოვრობსო. თუმცა „გონებაჩლუნგი“ უამრავ საქმეს აკეთებდა და ფრიად საჭირო კაცი იყო. ყველა „ბრონტეს“ ეძახდა, როგორც ჩანს, ბრონტეში დატრიალებული ცნობილი ხოცვა-ჟლეტის გამო. ჰგავდა კიდეც იმ სასაკლაოზე შემთხვევით გადარჩენილს. სულ აღგზნებული იყო აჯანყების მოგონებებით, შეთვრებოდა და მუშტს დაჰკრავდა ხოლმე მაგიდას ღრიალით: „ქუდოსნებო, იცოდეთ, სამართლის ჟამი ახლოვდება, ხალხი ერთ დაძახებაზე გამოვა!“ რაც ნიშნავდა: „ვისაც რამე გაბადიათ, ძრწოდეთ, განკითხვის დღე ახლოვდება!“ ამ სიტყვებს ბრძოლის წინ ყვიროდა თურმე მისი მეგობარი ნუნციო ჩირალდო ფრაიუნკო, ერთ-ერთი იმ ხუთიდან, რომლებიც ბიქსიომ დახვრიტა ბრონტეში.

სხარტი გონებით ნამდვილად არ გამოირჩეოდა, მაგრამ ერთი აკვიატებული აზრი კი უტრიალებდა თავში: ნინო ბიქსიოს მოკვლა უნდოდა.

სიმონინისთვის ბრონტე ერთი ახირებული კაცი იყო, რომელიც ზამთრის გრძელ და მოსაწყენ საღამოებს უხალისებდა. ვექილს უფრო მეტად მეორე ადამიანი აინტერესებდა: ბანჯგვლიანი, ველური და აგრესიული, რომელმაც, ყური მოჰკრა თუ არა, რომ სიმონინი სიცილიური კერძების რეცეპტებს ეკითხებოდა მეფუნდუკეს, მაშინვე საუბარი გაუბა. ისიც კარგი სამზარეულოს ტრფიალი აღმოჩნდა. სიმონინი უხსნიდა, როგორ უნდა მომზადდეს ბატკანი პიემონტურად, ის კი ყვერულის



*...ყველა „ბრონტეს“ ეძახდა, როგორც ჩანს, ბრონტე-ში დატრიალებული ცნობილი ხოცვა-ჟლეტის გამო. ჰგავდა კიდეც იმ სასაკლაოზე შემთხვევით გადარ-ჩენილს....*

მომზადების საიდუმლოებებს უზიარებდა, სიმონინი ალბას რეცეპტით შეზავებულ სისხლიან სუკს აღუწერდა, მგლის მადას რომ გაუღვიძებდა კაცს, ის კი, აგზნებული, მარციპანის ალქიმიაზე უყვებოდა.

ოსტატი ნინუცო იტალიურად თითქმის გამართულად ლაპარაკობდა, ჩანდა, ბევრ ქვეყანაში იყო ნამყოფი, უცხოეთშიც ემოგზაურა. ერთ დღეს, როცა სიმონინის ბოლომდე გადაუშალა გული, ადგილობრივი სალოცავების ნაირ-ნაირი ღვთისმშობლებისადმი მგზნებარე ტრფობა გაუმხილა და დედაეკლესიისადმი სიმონინის მოწიწებაშიც დარწმუნდა, ნინუცომ უაღრესად საინტერესო ცნობა გაუმჟღავნა ახალ მეგობარს: ეს ადამიანი ბურბონების ჯარის სული და გული ყოფილა, მაგრამ არა სამხედრო თვალსაზრისით, არამედ – როგორც დენთის საიდუმლოებათა უბადლო მცოდნე და დენთის საწარმოსა და საწყობის მეთვალყურე. როცა გარიბალდის მომხრეებს ბურბონების ოფიცრები გაუძევებიათ და საწყობი ხელში ჩაუგდიათ, მხოლოდ ნინუცო დაუტოვებიათ სამსახურში დარაჯად და ხელფასს კვლავ სამხედრო უწყება უხდიდა. ისიც დარჩენილა. ბრძანებების მოლოდინში მოწყენილობა უხრავდა გულს, თან ჩრდილოელი დამპყრობლის ბოღმა ახრჩობდა, ტახტის აღდგენას ნატრობდა და დაუმორჩილებლობასა და აჯანყებაზე ოცნებობდა.

– ნებისმიერ წამს შემიძლია, ცაში ავიტანო ნახევარი პალერმო, – ჩაუჩურჩულა სიმონინის, როცა მიხვდა, რომ არც მას ეხატებოდა გულზე პიემონტელები. მერე კი, გაოგნებულს, გაუმხილა, უზურპატორებმა ვერც კი შენიშნეს, რომ საწყობის ქვეშ საგანძურია, ტონობით დენთით, ყუმბარებითა და სხვა საბრძოლო მასალებითო. აჯანყების დიადი დღისთვის ვინახავ ამ ყველაფერსო, ამბობდა, პატრიოტების რაზმები იკრიბება მთებში, პიემონტელ დამყრობელს არ გავახარებთო.

აფეთქებას რომ ახსენებდა, სახე უცისკროვნდებოდა, ის მიჭყლეტილი დინგი და მუქარით სავსე თვალებიც თითქოს ეც-

ვლებოდა. ერთ დღეს სიმონინიც წაიყვანა თავის ციხესიმაგრეში, საგანძურში გაუჩინარდა და მუჭა მოშავო ფხვნილით ამობრუნდა.

– ღირსო მამაო, ხარისხიან დენთზე მშვენიერი არაფერია ქვეყნად. დახედეთ, რა ფერია! მუქი რუხი მბზინვარე მარცვლები ხელში არ ისრისება. ქაღალდზე რომ დაყაროთ და ცეცხლი წაუკიდოთ, ისე დაიწვება, ქაღალდს ალი არც გაეკარება. ძველად დენთის ფხვნილში სამოცდათხუთმეტი წილი კალიუმის ნიტრატი, თორმეტი – ნახშირბადი და თორმეტიც – გოგირდი იყო. მოგვიანებით ეგრეთ წოდებულ ინგლისურ დოზაზე გადავიდნენ, რომელშიც თხუთმეტი წილი ნახშირბადია და ათი – გოგირდი. ასე აგებენ, ბატონო ჩემო, ომს: ყუმბარები აღარ ფეთქდება. საქმის ნამდვილი ოსტატები (სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ) დღეს ცოტანი დავრჩით. კალიუმის ნიტრატის ნაცვლად ჩილეს ნიტრატს ვხმარობთ, სულ სხვა რამეა.

– უკეთესია?

– საუკეთესო! დააკვირდით, მამაო, ყოველდღე ახალ-ახალ ასაფეთქებელ ნივთიერებებს იგონებენ, მაგრამ ერთი მეორეზე უარესია. მეფის ჯარში (კანონიერი მეფის ჯარს ვგულისხმობ) ერთი ოფიცერი იყო, თავი საბრძოლო მასალების დიდ მცოდნედ მოჰქონდა და უახლესი მიგნების – პიროგლიცერინის გამოყენებას მირჩევდა. ის კი არ იცოდა, რომ პიროგლიცერინი მხოლოდ შენჯღრევით მოქმედებს, ანუ მისი დეტონირება ძნელია, ჩაქუჩი უნდა ურტყა, რომ ააფეთქო. მოკლედ, სანამ მტერს დაუშავებ რამეს, შენვე აგიტანს ცაში. დამიჯერეთ, ძველებური დენთის ფხვნილს არაფერი სჯობია. თანაც, რა სანახაობაა!

ოსტატი ნინუცო ისეთი გზნებით ლაპარაკობდა, თითქოს დენთზე მშვენიერი მართლა არაფერი ყოფილიყო ქვეყნად. მაშინ სიმონინის დიდი ყურადღება არ მიუქცევია მისი ბოდვისთვის, მოგვიანებით, იანვარში, გაიაზრა ბოლომდე ნინუცოს სიტყვები.

თავს იტეხდა, როგორ ჩაეგდო ხელში გარიბალდის ლაშქრობის ანგარიშები. საბუღალტრო წიგნები ან ახლაც პალერმოში იყო, ან ჩრდილოეთიდან დაბრუნებული ნიევო ჩამოიტანდა მათ. ტურინში კი პოლკოვნიკს ისევ ზღვით მოუწევდა წასვლა. სიმონინი მიხვდა, დღედაღამ იქ ყურყუტს აზრი არ ჰქონდა, სეიფს მაინც ვერ მიაგნებდა და რომ მიეგნო, ვერ გააღებდა. იმ საბუთების მოპარვა რომც მოვახერხო, ნიევო მაშინვე განგაშს ატეხს, ამ ამბავს საშინელი სკანდალი მოჰყვება და ამაში, შეიძლება, ჩემი ტურინელი დამკვეთებიც დაადანაშაულონო, იფიქრა. ვერც ზურგში ჩასცემდა დანას უჩუმრად, რომ მის ნადავლს დაპატრონებოდა: ნიევოსნაირი კაცის გვამს ადვილად ვერ მოიშორებ თავიდან, ათას პრობლემას შეგიქმნის. „ტურინში მითხრეს, რომ დოკუმენტები უნდა განადგურდეს. მაშ, მათთან ერთად უნდა განადგურდეს ნიევოც, თანაც ისე, რომ მისმა დაღუპვამ (სიკვდილი შემთხვევითად, ბუნებრივად უნდა გამოიყურებოდეს) ჟურნალების გაუჩინარება გადაფაროს“. შტაბის გადაწვა ან აფეთქება? მეტისმეტი იყო. ერთი გამოსავალი რჩებოდა: ნიევო საბუღალტრო წიგნებიანად უნდა გამქრალიყო. უნდა გამქრალიყო ყველაფერი, რასაც ის დაჰკანკალებდა. ეს პალერმოდან ტურინში მგზავრობის დროს უნდა მომხდარიყო. ვერავინ წარმოიდგენს, რომ ტრაგედია, რომელსაც ორმოცდაათი-სამოცი ადამიანის სიცოცხლე ეწირება, ქაღალდების გასანადგურებლადაა მოწყობილი.

საუცხოო იდეა იყო. სიმონინი დაღვინებულიყო: ეს გეგმა უნივერსიტეტის ბავშვურ თამაშებს აღარ ჰგავდა. ომი გამოევლო, სიკვდილს მისჩვეოდა (საბედნიეროდ – სხვისას) და ყველა ღონეს ხმარობდა, რომ იმ დილეგში არ ამოეყო თავი, რომლითაც ნეგრი სენ-ფრონი ემუქრებოდა.

სიმონინიმ დიდხანს იფიქრა გეგმის დეტალებზე. სხვა საქმე არც ჰქონდა. დროდადრო ოსტატ ნინუცოს გემრიელი სადილით უმასპინძლდებოდა და თან ეთათბირებოდა.

– ოსტატო, ალბათ, გაინტერესებთ, რატომ ვარ აქ. გაგიმხელთ: პაპის ბრძანებას ვასრულებ, ჩვენი მონარქიის – ორი სიცილიის სამეფოს – აღდგენის საქმეს ვემსახურები.

– თქვენთან მიგულეთ, მამაო, მითხარით, რით გემსახუროთ.

– ზუსტად არ ვიცი, როდის, მაგრამ მალე პალერმოდან კონტინენტისკენ თბომავალი გავა. ამ გემით ტურინში აგზავნიან დოკუმენტებსა და გეგმებს, რომლებიც წმინდა საყდრის ძალაუფლებას დაასამარებენ და საბოლოოდ დაამხობენ ჩვენი ხელმწიფის ტახტს. გემმა ტურინში ვერ უნდა ჩააღწიოს. არავინ და არაფერი არ უნდა გადარჩეს.

– ამაზე ადვილი არაფერია, მამაო. ახლა „ნახშირის ჭურვს“ იყენებენ, ამბობენ, ამერიკელებმა გამოიგონესო. ეს ბომბი ფაქტობრივად ნახშირის გროვაა, საწვავში ჩამალავ მას და როგორც კი საწვავს ღუმელში შეყრიან, ჭურვი გახურდება და ააფეთქებს ხომალდს.

– მშვენიერია. მაგრამ ნახშირი ხომ საჭირო დროს უნდა შეაგდონ ღუმელში. დაუშვებელია, გემი მეტისმეტად ადრე ან მეტისმეტად გვიან აფეთქდეს, ამას ყველა შენიშნავს. გემი შუა გზაში, ცნობისმოყვარე თვალისაგან შორს უნდა აფეთქდეს.

– ჰო, ეს ცოტა ართულებს საქმეს. ცეცხლფარეშს ვერ მოვისყიდით, პირველ რიგში ხომ თვითონ აფეთქდება. თავს რატომ მოიკლავს? ერთადერთი გზა რჩება, ზუსტად გაითვალოს, რამდენ ხანში მოხვდება ღუმელში ჭურვი, ამას კი ბენევენტოელი ალქაჯიც ვერ გვეტყვის.

– აბა რა უნდა ვქნათ?

– მაშინ, მამაო, ის გამოსავალი რჩება, რომელიც არასოდეს გღალატობს: დენთის კასრი კოხტა პატრუქით.

– კი, მაგრამ პატრუქს ცეცხლს ვინ მოუკიდებს, თუ ეცოდინება, რომ გემი რამდენიმე წამში აფეთქდება?

– არავინ. ამას საქმის ნამდვილი მცოდნე სჭირდება, ასეთები კი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ძალიან ცოტანი ვართ.

გამოცდილმა კარგად იცის, რა სიგრძის უნდა იყოს პატრუქი. ადრე ამისთვის დენთით გამოტენილ თივის ღერს, გოგირდით გაჟღენთილ ჩვარს ან კალიუმის ნიტრატით გაჟღენთილ, კუპ-რში ამოვლებულ თოკს იყენებდნენ. არავინ იცოდა, რამდენ ხანში ჩაიწვებოდა პატრუქი და როდის მოხდებოდა აფეთქება. ღვთის წყალობით, თითქმის ოცდაათი წელია, ნელი წვის პატ-რუქს ხმარობენ, რამდენიმე მეტრი მაქვს კიდეც გადანახული ქვევით, საწყობში.

– მერე?

– მერე ის, რომ ზუსტად შეგიძლია, გათვალო, რამდენ ხან-ში მიაღწევს ცეცხლი დენთის კასრს. თუ პატრუქს ცეცხლს მოუკიდებ და მაშინვე დატოვებ ხომალდს, აფეთქების დროს სამშვიდობოს იქნები. გემთან ნავით უნდა გელოდებოდეს ვინ-მე. ყველაფერი იდეალურად იქნება, შედევრი გამოგვივა!

– ოსტატო, ეგ გეგმა მაინც საეჭვოა... იმ ღამეს რომ ღელვა იყოს? როგორ ჩავუშვებთ ნავს ზღვაში? თქვენ გარისკავდით?

– სიმართლე გითხრათ, ვერა, მამაო.

ნინუცოს ვერ ვთხოვდი, გარდაუვალ სიკვდილს გაუსწორე თვალი-მეთქი, მაგრამ ვინმეს, მასზე ნაკლებად მიხვედრილს – რატომაც არა.

იანვრის ბოლოს ნიევო მილანიდან ნეაპოლში დაბრუნდა. თხუთმეტიოდე დღე დაყო იქ, ალბათ, იქაც საბუთებს აგროვებ-და. მერე კი ბრძანება მიიღო, კვლავ პალერმოში ჩასულიყო, გუ-და-ნაბადი აეკრა (რაც ნიშნავდა, რომ საბუღალტრო წიგნები პა-ლერმოში ჰქონდა დატოვებული) და ტურინში დაბრუნებულიყო.

ნიევო თბილად, ძმურად შეხვდა სიმონინის. ჩრდილოეთში მოგზაურობისას, როგორც ჩანს, გრძნობები მოზღვავებოდა და თავის ძველ სიყვარულზე ფიქრი მოსძალებოდა. მისდა საუბე-დუროდ თუ საბედნიეროდ, იმ ხანმოკლე ვიზიტის განმავლობა-ში გრძნობა გაღვიძებოდა... სიმონინი აცრემლებული უსმენდა

მეგობრის სევდიან მონათხრობს და ერთი სული ჰქონდა, როგორმე დაეცდინა ნიევოსთვის, როგორ აპირებდა საბუღალტრო წიგნების ტურინში წაღებას.

როგორც იქნა, ნიევომ ესეც ახსენა: მარტის დასაწყისში დატოვებდა პალერმოს და ნეაპოლს მიაშურებდა „ჰერაკლეთი". ნეაპოლიდან კი გენუისკენ განაგრობდა გზას. „ჰერაკლე" ინგლისური წარმოების მშვენიერი, მკვიდრად ნაშენი ხომალდი იყო, ორი გვერდითა ბორბლითა და თხუთმეტკაციანი ეკიპაჟით. რამდენიმე ათეულ მგზავრს იტევდა. ძველი, მაგრამ გამძლე გემი იყო, შესანიშნავად ასრულებდა მოვალეობას. სიმონინი დაფაცურდა. გაარკვია, რომელ კაიუტაში ეძინა კაპიტანს, მიკელე მანჩინოს, მეზღვაურებიც გაიცნო. მალე ზედმიწევნით იცოდა ხომალდის აგებულება.

ამის შემდეგ, ანაფორაგადაცმულმა, კვლავ ბაგერიას მიაშურა და ბრონტე გვერდზე გაიხმო.

– ბრონტე, პალერმოდან მალე გემი გავა, რომლითაც ნინო ბიქსიო ტურინს მიემგზავრება. დადგა დრო, ჩვენ, ტახტის უკანასკნელმა ერთგულმა დამცველებმა, შური ვიძიოთ იმისთვის, რაც ბიქსიომ შენს სამშობლოს გაუკეთა. შენ კი წილად გხვდა პატივი, მონაწილეობა მიიღო ამაში.

– მითხარით, რა უნდა გავაკეთო.

– ეს პატრუქია. მისი სიგრძე საგანგებოდ გათვალა ამ საქმის ოსტატმა. წელზე შემოიხვიე. ერთი ჩვენი კაცი, კაპიტანი სიმონინი, ვითომ გარიბალდის ოფიცერი, სინამდვილეში კი ჩვენი მეფის ერთგული მსახური, გემზე დენთით სავსე სკივრს აიტანს. გემის ეკიპაჟს ეცოდინება, რომ სკივრში საიდუმლო დოკუმენტებია, ასე რომ სიმონინი ტვირთისთვის მეთვალყურის მიჩენას მოსთხოვს კაპიტანს. ეს კაცი კი შენ იქნები. სიმონინი შენთან ერთად ამოვა გემზე და როცა შორს იქნებით ზღვაში გასული, დაახლოებით სტრომბოლის გასწვრივ, ნიშანს მოგცემს, რომ პატრუქს ცეცხლი წაუკიდო. ამასობაში თავად

ნავს ჩაუშვებს წყალში. პატრუქი იმსიგრძეა, რომ თავისუფლად მოასწრებ კიჩომდე მისვლას და ნავში ჩაჯდომას. აფეთქებამდე გემს გვარიანად იქნებით დაშორებული. გემთან ერთად წყეულ ბიქსიოსაც მოუღებთ ბოლოს. იცოდე, სიმონინის ჯერ ვერ ნახავ, არც გემზე უნდა გაეკარო მას. ნინუცო მიგიყვანს, სადაც საჭიროა. გემზე მეზღვაური ალმალო დაგხვდება, ტრიუმში ჩაგიყვანს და იქ დარჩები, სანამ ისევ ალმალო არ მოგაკითხავს და გეტყვის, გააკეთე, რაც დაგავალესო.

ბრონტეს თვალები უელავდა, მაგრამ არც მთლად რეგვენი იყო. – ღელვა რომ იყოს? – იკითხა.

– ნუ გეშინია, ნავი იალქნიანია, კარგად შეკრული, თან ხმელეთთან ახლოს იქნებით. ძლიერ ღელვაში არც კაპიტანი გარისკავს, თავს საფრთხეში ხომ არ ჩაიგდებს. მაშინ ბრძანებას ვერ მიიღებ და ბიქსიოსაც სხვა დროს მივხედავთ. მაგრამ თუ ბრძანება გადმოგცეს, ესე იგი, საშიში არაფერია და სტრომბოლიმდე საღ-სალამათები ჩააღწევთ.

ბრონტე ალგზნებული იყო. ცხადია, უსიტყვოდ დაეთანხმა. ამას ოსტატ ნინუცოსთან ხანგრძლივი სჯა-ბაასი მოჰყვა და ჯოჯოხეთური მანქანაც ამოქმედდა. მოკლედ, დანიშნულ დროს სიმონინი სკივრით ხელში გამოეცხადა კაპიტან მანჩინოს. სწორედ ისე იყო გამოწყობილი, როგორც წარმოუდგენია ხალხს ჯაშუშები და საიდუმლო აგენტები. სკივრს ხელმოწერებითა და ბეჭდებით სავსე უსტარი ახლდა, რომელიც იუწყებოდა, რომ მისი უდიდებულესობის, ვიტორიო ემანუელე II-ის ბრძანებით ნეაპოლში იგზავნებოდა უაღრესად საიდუმლო მასალები. სკივრი, თვალში რომ არავის მოხვედროდა, გემის ტრიუმში უნდა შეენახათ და სიმონინის სანდო კაცი მიეჩინათ დარაჯად. ამ საქმეს მეზღვაური ალმალო მიხედავდა, მას ადრეც შეესრულებინა საიდუმლო სამხედრო დავალებები, ასე რომ კაპიტანს ეს საქმე არანაირად არ ეხებოდა. ნეაპოლში კი გზავნილს მეისრეთა ბატალიონის ოფიცერი დახვდებოდა.

გეგმა მარტივი იყო, ეჭვს არავის აღუძრავდა, მით უფრო – ნიევოს, რომელსაც საკუთარი, ბუღალტრული ანგარიშებით სავსე კიდობანიც ეყოფოდა სამეთვალყურეოდ.

„ჰერაკლეს“ გასვლა დღის პირველ საათზე იგეგმებოდა. ნეაპოლამდე თხუთმეტი-თექვსმეტი საათი უნდა ემგზავრათ. სასურველი იყო, გემი სტრომბოლის კუნძულის მახლობლად აეფეთქებინათ. მოქმედი ვულკანი დღედაღამე კვამლსა და ცეცხლს იფურთხებოდა და მის სიახლოვეს გემის აფეთქებას ვერავინ შენიშნავდა.

სიმონინიმ წინასწარ მოისყიდა მეზღვაური ალმალო (გემის ეკიპაჟიდან სწორედ ის ჩანდა ყველაზე ხარბი) და განკარგულებებიც მისცა: ალმალო ბრონტეს დაელოდებოდა ნავსადგურში და სკივრიანად ტრიუმში ჩაუძღვებოდა. „სტრომბოლის კრატერის კვამლი რომ გამოჩნდება, ტრიუმში ჩახვალ და, როგორი ღელვაც უნდა იყოს, ბრონტეს ეტყვი, კაპიტანმა შემოგითვალა, დროაო. შენი საქმე აღარაა, ბრონტე რას გააკეთებს, მაგრამ მერე ცნობისმოყვარეობამ რომ არ გძლიოს, თუ გინდა, გეტყვი: ბრონტე სკივრიდან ბოთლს ამოიღებს და ტრიუმის სარკმლიდან გადააგდებს. გემთან ნავით კაცი დაელოდება, რომელიც ბოთლში მოთავსებულ შეტყობინებას სტრომბოლიზე წაიღებს. შენ შენს ადგილს დაუბრუნდები და ყველაფერს დაივიწყებ. გაიმეორე, რა უნდა უთხრა“.

– კაპიტანმა შემოგითვალა, დროაო.

– მშვენიერია.

სიმონინი ნაპირზე გამოემშვიდობა ნიევოს. პოლკოვნიკი გულაჩუყებელი იყო:

– ძვირფასო მეგობარო, რამდენი ხანია, ერთად ვართ, გული გადაგიშალე. იქნებ ვეღარც შევხვდეთ ერთმანეთს. როცა ტვირთს დანიშნულების ადგილზე ჩავიტან, მილანს მივაშურებ და მერე... ვნახოთ. ჩემს წიგნს მივხედავ. მშვიდობით, მოდი, მოგეხვიო. დღეგრძელი იყოს იტალია!

– მშვიდობით, მეგობარო, მარად მემახსოვრები, – სიმონინიმ ისიც კი მოახერხა, რომ რამდენიმე კურცხალი გამოეწურა თვალებიდან. როლში იყო შესული.

ნიევომ მძიმე სკივრი ეტლიდან გადმოატანინა და სანამ გემზე არ აიტანეს, წამით არ მოუშორებია მისთვის თვალი. გემბანზე ასვლამდე ორი მეგობარი (სიმონინი მათ არ იცნობდა) ჩააცივდა ნიევოს, ეხვეწებოდნენ, არ წახვიდე „ჰერაკლეთი“, საიმედო არაა, ჯობია, ხვალ დილას „ელექტრიკოთი“ გაემგზავროო. სიმონინი წამით დაიბნა, მაგრამ მალევე მოეგო გონს: ნიევომ მხრები აიჩეჩა, რაც უფრო მალე ჩავიტან ტვირთს, მით უკეთესიაო და „ჰერაკლეც“ ნაპირს მოსწყდა.

მეტისმეტი იქნება, რომ ვთქვათ, სიმონინიმ მომდევნო საათები მშვიდად და უდარდელად გაატარაო. არც ასეთი ცივსისხლიანი გახლდათ. გულისფანცქალით ელოდა მოვლენას, რომელსაც ვერ იხილავდა, თუნდაც პალერმოს განაპირას, რაისის გორაკზე შემომდგარიყო. მისი გათვლით, საღამოს ცხრა საათზე ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო. ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, რომ ბრონტე დავალების ზედმიწევნით შესრულებას შეძლებდა. წარმოიდგენდა, როგორ მივიდოდა მასთან მეზღვაური, როცა სტრომბოლის გაუსწორდებოდნენ და ბრძანებას გადასცემდა, ის უბედური კი სკივრს პატრუქს გაუკეთებდა და ცეცხლს მოუკიდებდა. მერე თავქუდმოგლეჯილი მიაშურებდა გემის კიჩოს, იქ კი არავინ დახვდებოდა. მიხვდებოდა, რომ გააცურეს, უკან გამოიქცეოდა გადარეულივით (ჭკუათმყოფელი ისედაც არ ეთქმოდა), რომ ტრიუმში ჩაერბინა და პატრუქი ჩაექრო, მაგრამ უკვე გვიანი იქნებოდა: დენთით სავსე სკივრი იქამდე აფეთქდებოდა, სანამ უბედური ტრიუმში ჩააღწევდა.

სიმონინი უზომოდ კმაყოფილი იყო შესრულებული მისიით. კვლავ ანაფორა გადაიცვა და ბაგერიის ტავერნაში გემრიელი



*...მისი გათვლით, საღამოს ცხრა საათზე ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო...*

ვახშამი შეუკვეთა – მაკარონი სარდინებით და ნაფოტა თევზი სიცილიურად (შებოლილ კობრს ორი დღით ცივ წყალში ალბობენ, მერე წვრილად ჭრიან და ხახვით, ნიახურით, სტაფილოთი, პომიდვრით, კურკაგაცლილი შავი ზეთისხილით, გირჩის თესლითა და ერთი ჭიქა ზეთით შეაზავებენ. ბოლოს თითა ყურძენს, მსხალს, კაპარს დაამატებენ და მარილითა და წიწაკით შეკაზმავენ).

ნავახშმევს ოსტატი ნინუცო გაახსენდა... ასეთ საშიშ მოწმეს ცოცხალს ვერ დატოვებდა. ჯორზე შეჯდა და დენთის საწყობს მიაშურა. ოსტატი ზღურბლზე იჯდა, ფართო ღიმილი შეაგება სიმონინის:

– როგორ ფიქრობთ, მამაო, გამოვა საქმე?

– იმედია. თქვენი წყალობით, ოსტატო, – სიმონინი მოეხვია, დღეგრძელი იყოს ხელმწიფეო, ჩაულაპარაკა და ორჯერ გაუყარა მუცელში დანა.

ვინ იცის, როდის აღმოაჩენდნენ გვამს ამ სრულიად უკაცრიელ ადგილას. ძნელი წარმოსადგენი, მაგრამ მაინც შესაძლებელი იყო, ჟანდარმები ბოლოს ბაგერიის ტავერნასაც მისდგომოდნენ, იქ კი აუცილებლად ეტყოდნენ, ბოლო ხანებში ნინუცო ერთ ღორმუცელა მღვდელთან მეგობრობდაო. იმ მღვდელს ვეღარავინ მიაგნებდა, რადგან სიმონინი კუნძულზე აღარ იქნებოდა. ბრონტეს გაუჩინარებას კი ნამდვილად ვერავინ შენიშნავდა.

სიმონინი მარტის შუა რიცხვებში დაბრუნდა ტურინში, რათა დამკვეთებს შეხვედროდა და ანგარიში ჩაებარებინა. ერთ დღესაც ბიანკო პირდაპირ სამუშაო ოთახში დაადგა თავზე და მეორე მხრიდან მიუჯდა მის საწერ მაგიდას:

– სიმონინი, ერთი საქმეც ვერ გააკეთეთ ხეირიანად.

– როგორ, – შეჰყვირა სიმონინიმ, – განა საბუღალტრო საბუთების განადგურება არ გინდოდათ?! თავს დავდებ, რომ ვერავინ ვერასოდეს მიაგნებს მათ!

– დიახ, მაგრამ მათთან ერთად პოლკოვნიკი ნიევოც გაანადგურეთ, ჩვენ კი ეს არ დაგვივალებია. იმ აფეთქებულ გემზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, არც კი ვიცით, ოდესმე ჩაწყნარდება თუ არა ეს მითქმა-მოთქმა. ცხადია, ამ ამბავს საიდუმლო სამსახურს დააბრალებენ. ალბათ, საბოლოოდ მაინც მოვახერხებთ, გავემიჯნოთ ამ შემთხვევას, მაგრამ ჯაჭვის ერთადერთი სუსტი რგოლი თქვენ ხართ. ადრე თუ გვიან, შეიძლება, მოწმეც გამოტყვრეს საიდანღაც და გაიხსენოს, რომ ნიევოსთან მეგობრობდით პალერმოში და რომ იქ (რა დამთხვევაა!) ბოჯოს დავალებით ბრძანდებოდით. ბოჯო, კავური, მთავრობა... ღმერთო, არც მინდა, ვიფიქრო, რა ჭორები მოჰყვება ამას. მოკლედ, უნდა გაქრეთ.

– დილეგში გამომამწყვდევთ? – შეეკითხა სიმონინი.

– ჭორებს დილეგიც ვერ დააკავებს. „რკინისნიღბიანი კაცი“ საჩვენო საქმე არაა. ვეცდებით, ნაკლებად თეატრალური გამოსავალი მოვიფიქროთ. ტურინიდან გუდა-ნაბადი უნდა აიკრათ და საზღვარგარეთ წახვიდეთ. პარიზში გაგიშვებთ. დასაწყისისთვის იმ გასამრჯელოს ნახევარს იკმარებთ, რომელზეც შეთანხმებული ვიყავით. თქვენი ბრალია, მეტისმეტად გამოიდეთ თავი, ეს კი სანახევროდ შესრულებული საქმის ტოლფასია. იმედი არ გვაქვს, პარიზში დიდხანს გაძლოთ ისე, რომ კვლავ რამე უბედურება არ დაატრიალოთ, ამიტომ ჩვენი იქაური კოლეგები უბრალო საქმეს მოგიძებნიან. ასე ვთქვათ, ამიერიდან სხვა სამსახური გადაგიხდით ჯამაგირს.

9

# პარიზი

2 აპრილი, 1897. გვიანი საღამო

მას შემდეგ, რაც ამ დღიურის წერა დავიწყე, რესტორანში აღარ ვყოფილვარ. დღეს გამბედაობის მოკრება მჭირდებოდა, სადმე ისეთ ადგილას მინდოდა წასვლა, სადაც ყველა გალეწილი მთვრალი იქნებოდა და ნაცნობი რომც გადამყროდა, ვერ მიცნობდა. კაბარე „პერ ლუნეტი“ აქვეა, ინგლისელების ქუჩაზე. ეს სახელი უზარმაზარი პენსნეს გამო შეარქვეს, შესასვლელის თავზე რომ კიდია, თუმცა არავინ იცის, როდიდან ან რატომ.

აქ თითქმის ვერაფერს შეჭამთ, ყველს თუ გაკიკნით, მეპატრონე ლამის მუქთად იძლევა ყველს, რადგან აწყურებს. ძირითადად სვამენ და მღერიან. აქაურ „მომღერლებს“ ვგულისხმობ: ფიფი აბსენტს, არმან ლე გელარს, გასტონ ტრუა-პატს. პირველი დარბაზი ფაქტობრივად დერეფანია, თუთიის გრძელი დახლით. დახლს უკან ტრაქტირის მეპატრონე და მისი ცოლი დგანან, მათ გოგონას კლიენტების აყალმაყალში, ლანძღვა-გინებასა და ხარხარში დახლზევე სძინავს. მოპირდაპირე კედ-

ლის გასწვრივ გრძელი მაგიდაა, რომელთანაც ის კლიენტები ირევიან, ვინც უკვე აიღო დასალევი. თაროებზე გულ-მუცლის ამოსატრიალებელი ათასნაირი საშუალებაა ჩამწკრივებული: ყველანაირი სასმელი, რაც კი პარიზში მოიძებნება. ნამდვილი კლიენტები ბოლო დარბაზში ირევიან, ან, გალეშილები, მაგიდებთან ხვრინავენ ერთმანეთზე მიწოლილები. კედლები კლიენტების მოხატულია გარყვნილი, გულისამრევი სცენებით.

უცნობ ქალს მივუჯექი. არ ვიცი, მერამდენე აბსენტს სვამდა. ვიცანი: ადრე ილუსტრატორი იყო, ჟურნალებს ასურათებდა, მაგრამ მერე ხელიდან წავიდა. ალბათ, იმიტომ, რომ იცოდა, ჭლექი ჰქონდა და დიდი დღე აღარ ეწერა. ახლა აქ ზის და კლიენტებს ხატავს ჭიქა სასმლის სანაცვლოდ, მაგრამ ხელი უკანკალებს. თუ გაუმართლა, ჭლექით სიკვდილს ვერც მოესწრება, ბიევრის წყალში ჩაიხრჩობა ერთხელაც ღამით.

გამოველაპარაკე (ათი დღეა, ჩემი სოროდან ცხვირი არ გამომიყვია), მაგრამ ამანაც ვერ გამომიკეთა გუნება. აბსენტს ვუსხამდი და რამდენსაც დალევდა, მეც იმდენს ვაყოლებდი.

ვწერ დაბინდული მზერითა და გონებით: იდეალური მდგომარეობაა, რომ არაფერი გახსოვდეს, და რაც გახსოვს – ისიც ბუნდოვნად.

პარიზში თავიდან მოუსვენრად ვგრძნობდი თავს (რა გასაკვირია, ფაქტობრივად დევნილი ვიყავი), მაგრამ ამ ქალაქმა საბოლოოდ მოინადირა ჩემი გული. გადავწყვიტე, სიცოცხლის ბოლომდე აქ დავრჩენილიყავი.

არ ვიცოდი, რამდენ ხანს უნდა მყოფნოდა ფული და ბიევრის უბანში ერთ პატარა სასტუმროში დავბინავდი. გამიმართლა, რომ მარტო ვიყავი ოთახში, იმ უფანჯრო ბუნაგებში ხშირად თხუთმეტ კაცს ერთად ეძინა. ავეჯი ვიღაცის გადაყრილი ნივთებისგან შედგებოდა. ტილებიანი, აყროლებული ქვეშაგები, თითბრის დაჭეჭყილი ჯამი პირსაბანად და ვედრო – ფიზიოლო-

გიური მოთხოვნილებებისთვის: ეს იყო ჩემი ოთახის მოწყობილობა. არც სკამი მქონდა, არც პირსახოცი. კედელზე წარწერა გაეკრათ, რომ გასაღები გარედან უნდა დამეტოვებინა საკეტში. ალბათ, იმიტომ, რომ პოლიციას დრო არ დაეკარგა: დღე არ გავიდოდა, ოთახებში არ შევარდნილიყვნენ, თმებით დაითრევდნენ ხოლმე მძინარე კლიენტებს, სახეში სანათურს მიანათებდნენ, თუ ვერ იცნობდნენ, იატაკზე დაანარცხებდნენ, ხოლო თუ ძებნილს გადააწყდებოდნენ, კიბეზე დააგორებდნენ ხოლმე. ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა, ცხვირ-პირს გაუერთიანებდნენ.

„პატარა ხიდის“ ქუჩაზე ერთ უიაფეს ტავერნას მივაგენი: ჰალესის უბნის ყასბების გადაყრილი, აყროლებული ხორცისგან ამზადებდნენ საჭმელს. ნაგვიდან ამოღებულ ხორცს ქონი მწვანე ჰქონდა, მჭლე ნაწილი კი ერთიანად გაშავებოდა. აგროვებდნენ, ასუფთავებდნენ, ბლომად მარილსა და წიწაკას დააყრიდნენ, მერე ძმრით ამუშავებდნენ და ორმოცდარვა საათით უკანა ეზოში, ჰაერზე კიდებდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ ამზადებდნენ კერძებს. ტრაწი გარანტირებული გქონდა, სამაგიეროდ ფასი იყო მისაღები.

ბავშვობიდან ტურინული კერძებით განებივრებულს და ბოლოს – პალერმოს სამზარეულოთი გაზულუქებულს, რამდენიმე კვირაში გამძვრებოდა სული, მალე რომ არ მიმეღო გასამარჯელო მათგან, ვისაც კავალერმა ბიანკომ მიმამაგრა. ამაზე ცალკე მოგიყვებით. მოკლედ, სულზე მომისწრეს. მაშინ კი თავს უფლება მივეცი, „ნობლოში“ მესადილა, უშეტის ქუჩაზე. „ნობლოს“ დიდი დარბაზი ძველებურ, შიდა ეზოში გადიოდა. პური თან უნდა მიგეტანა. შესასვლელთან მდგარ სალაროს მეპატრონის ცოლი და ქალიშვილები განაგებდნენ. დაგიანგარიშებდნენ, რასაც შეუკვეთავდი: დაბეგვილ ხორცს, ყველს, ხილის ჯემებს ან ჩაშუშულ, ნიგოზმოყრილ მსხალს. ნახევარი ლიტრი ღვინოს შეკვეთა სავალდებულო იყო. ხელოსნები, წარუმატებელი არტისტები, გადამწერები სადილობდნენ აქ.



*...აღმაფრთოვანებდა პარიზის ქუჩებში მოფუსფუსე ათასი ჯურისა და წარმომავლობის ადამიანზე დაკვირვება...*

სალაროს შემდეგ სამზარეულო იყო. ვეებერთელა ქურაზე ცხვრის რაგუ თუხთუხებდა, ხანაც კურდღელი ან საქონლის ხორცი იშუშებოდა. ბარდის ან ოსპის პიურესაც ამზადებდნენ. კლიენტებს არ ემსახურებოდნენ, თავად უნდა აგელო თეფში, დანა-ჩანგალი და მზარეულთან რიგში ჩამდგარიყავი. კლიენტები მუჯლუგუნებით მიიწევდნენ წინ, თავ-თავიანთი თეფშებით, საჭმელს იღებდნენ და უზარმაზარ მაგიდებს უსხდებოდნენ. წვნიანი ორი სუ ღირდა, ხორცი – ოთხი, ათი სანტიმიც გარედან შემოტანილი პური ჯდებოდა. მოკლედ, ორმოც სანტიმად ისადილებდი. ყველაფერი გემრიელი მეჩვენებოდა, შევნიშნე, რომ შეძლებული ადამიანებიც დადიოდნენ იქ საჭმელად: მათ ხომ უყვართ მდაბიოებში გარევა.

თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ის ჯოჯოხეთური დღეებიც არ მინანია. პირველ პარიზულ კვირებს ვგულისხმობ, სანამ „ნობლოში“ დავიწყებდი სიარულს. საჭირო ნაცნობები გავიჩინე და გავშინაურდი იმ გარემოში, სადაც მერე მომიწევდა ცხოვრება. ათასი რამე გავიგე, ახალი ქუჩები, პარიზის უცნობი უბნები აღმოვაჩინე. მაგალითად, სამჭედლოებით სავსე დე ლაპის ძველი ქუჩა: რას აღარ აკეთებდნენ იქ, საოჯახო დანიშნულების რკინა-კავეულით დაწყებული, ქურდებისა და ჯიბგირების ათასნაირი ხელსაწყოთი დამთავრებული: საკეტის სამტვრევ სადგისებს, ყალბ გასაღებებს და დასაკეც დანებსაც კი, სერთუკის სახელოში შემალულს რომ ატარებენ ხოლმე ქუჩის ავაზაკები.

ვცდილობდი, ჩემს ბუნაგში დიდი დრო არ გამეტარებინა. ჯიბეგაფხეკილი პარიზელისთვის ხელმისაწვდომ სიამოვნებას არ ვიკლებდი: ბულვარებში დავეხეტებოდი. თავიდან ვერც კი ვხვდებოდი, რა დიდია პარიზი ტურინთან შედარებით. აღმაფრთოვანებდა პარიზის ქუჩებში მოფუსფუსე ათასი ჯურისა და წარმომავლობის ადამიანზე დაკვირვება. ცოტა იყო ისეთი, ვინც საქმეზე მიიჩქაროდა, უმრავლესობა ხალხის თვალიერებით ერთობოდა. მდიდარ პარიზელ ქალებს გემოვნებით ეცვათ,

თუმცა იმდენად ქალები არ იქცევდნენ ჩემს ყურადღებას, რამდენადაც მათი ვარცხნილობა. სამწუხაროდ, იმ ტროტუარებზე მდაბიო დიაცებიც უხვად ირეოდნენ და მამაკაცების გამოთაყვანებაშიც აშკარად უკეთ იყვნენ გამეცადინებულები, ვიდრე არისტოკრატი ქალები.

ყველანი მეძავები იყვნენ, მაგრამ ნამდვილი, ბინძური ბოზები მოგვიანებით ბორდელიან ტრაქტირებში გავიცანი. ამ ქალებზე მხოლოდ შეძლებულ მამაკაცებს მიუწვდებოდათ ხელი. ათასნაირ ეშმაკეულ მეცნიერებას მიმართავდნენ მსხვერპლის გამოსაჭერად. მოგვიანებით ერთმა ჩემმა ინფორმატორმა გამარკვია ამ საკითხებში. ოდესღაც პარიზის ბულვარებში თურმე მხოლოდ ეგრეთ წოდებული „გრიზეტები“ – ქერქეტი ყმაწვილი ქალები დაიარებოდნენ. წმინდანები ნამდვილად არ ყოფილან, მაგრამ უანგარო სიყვარული სცოდნიათ, სამკაულსა და ფარჩააბრეშუმს არ ითხოვდნენ, ალბათ, იმიტომაც, რომ საყვარლები მათზე ჯიბეგაფხეკილები ჰყავდათ. შემდეგ „გრიზეტები“ პრაქტიკულად გამქრალან და მათ ნაცვლად „ლორეტები“, „ბიშები“ და „კოკეტები“ გამოჩენილან. ისინი „გრიზეტებზე“ მხიარულები და განათლებულები სულაც არ ყოფილან, სამაგიეროდ ქიშმირსა და ძვირფასეულობას გახლდნენ დახარბებულები. მე რომ პარიზში ჩავედი, „ლორეტი“ უკვე „კურტიზანს“ ჩაენაცვლებინა. კურტიზანები უმდიდრეს საყვარლებზე, ძვირფას კარეტებსა და ალმასებზე ნადირობდნენ. ბულვარზე კურტიზანს იშვიათად თუ შეხვდებოდი. ესენი იყვნენ „ქალები კამელიებით“: მათი მორალური პრინციპი იყო უგულობა, სისასტიკე, უმადურობა. ბოლომდე წურავდნენ უბადრუკ ცვედნებს, რომლებიც მხოლოდ იმიტომ უხდიდნენ, რომ ოპერის ლოჟაში მომხიბლავ ქალთან ერთად გამოჩენილიყვნენ. რა გულისამრევია.

ამასობაში კლემან ფაბრ დე ლაგრანჟი გავიცანი. ტურინელებმა რაღაც კანტორას მიმამაგრეს. ერთი დაფხავებული

შენობა იყო. ქუჩის სახელს არ დავასახელებ, ჩემმა ხელობამ წინდახედულება მასწავლა, ვფრთხილობ, თუნდაც ისეთ რამეც ვწერდე, რასაც ვერასოდეს ვერავინ წაიკითხავს. ვფიქრობ, ლაგრანჟი საჯარო უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს პოლიტიკურ განყოფილებაში მუშაობდა, მაგრამ ვერასოდეს გავიგე, იმ პირამიდის წვერში იყო თუ ძირში. როგორც მივხვდი, უშუალოდ მას ვექვემდებარებოდი, სხვა უფროსი არავინ მყავდა და რომც ვეწამებინე ვინმეს, საიდუმლო პოლიტიკური ინფორმაციის მთელი იმ მექანიზმის შესახებ ვერაფერს ვიტყოდი. ისიც კი არ ვიცოდი, ლაგრანჟი იმ შენობაში იჯდა თუ არა: წერილი კი იმ მისამართზე გავუგზავნე, როცა ვატყობინებდი, კავალერ ბიანკოს შეტყობინება უნდა გადმოგცეთ-მეთქი. ორი დღის შემდეგ უსტარი მივიღე, ნოტრ-დამის მოედანზე მიბარებდა, პიჯაკში წითელი მიხაკით მიცნობთო. მას შემდეგ ლაგრანჟი სულ ასეთ უცნაურ ადგილებში მხვდებოდა: კაბარეებში, ტაძრებში, ბაღებში. ერთ ადგილზე ორჯერ არასოდეს დავუბარებივარ.

ლაგრანჟს სასწრაფოდ სჭირდებოდა ერთი საბუთი, იდეალურად გავუკეთე დოკუმენტი, ძალიან მოეწონა ჩემი ნახელავი და ასე გავხდი მისი ინფორმატორი – არაოფიციალურად აქ ასე ამბობენ. ყოველთვიურად სამას ფრანკს მიხდიდა. ას ოცდაათსაც ხარჯებისთვის მაძლევდა (განსაკუთრებულ შემთხვევებში დამატებით ცოტას კიდევ გადმოაყოლებდა ხოლმე, დოკუმენტების გაყალბებისთვისაც ცალკე ჰონორარს მიხდიდა). იმპერია ბევრს ხარჯავს ინფორმატორებში, ბევრად მეტს, ვიდრე სარდინიის სამეფო. ისიც გამიგია, რომ პოლიციის შვიდმილიონფრანკიანი წლიური ბიუჯეტიდან ორი მილიონი საიდუმლო პოლიტიკური ინფორმაციის მოპოვებაზე იხარჯება. იმასაც ამბობენ, სინამდვილეში ბიუჯეტი თოთხმეტმილიონიანია, დანარჩენი იმპერატორის ხალხში გამოჩენისას საგანგებოდ ორგანიზებულ ოვაციებსა და ბუნტისთავებისთვის სათვალთვალოდ

მიჩენილი ავაზაკების, პროვოკატორებისა და წვრილ-წვრილი ჯაშუშების დაფინანსებაზე იხარჯებაო.

ლაგრანჟთან წელიწადში ხუთი ათასი ფრანკი მაინც გამომდიოდა, მაგრამ მისი საშუალებით კერძო კლიენტურაც გავიჩინე და მალე საკუთარი კაბინეტიც მოვიწყვე (ძველმანების მაღაზიით შენიღბული), სადაც ახლა ვცხოვრობ. ყალბი ანდერძებითა და ნაკურთხი სეფისკვერებით ვაჭრობით ჩემი კანტორა დამატებით ხუთი ათას ფრანკს მაძლევდა თვეში. ათი ათასი ფრანკით კი შეძლებულ პარიზელ ბურჟუასავით ვცხოვრობდი. ცხადია, ეს გარანტირებული შემოსავალი არ იყო და ვოცნებობდი, ათი ათასი ფრანკი ჯამაგირი კი არა, შემოსავალი მქონოდა, პროცენტის ან სახელმწიფო ობლიგაციების სახით (ეს უფრო ნაღდი იყო). ამიტომ სამასი ათასი ფრანკის კაპიტალის დაგროვება განვიზრახე. მაშინ ეს თანხა, შეიძლება, კურტიზანს ჰქონოდა, მაგრამ უცნობი ნოტარიუსისთვის მხოლოდ ოცნება იყო.

ბედის გაღიმებას ველოდი და ნელ-ნელა პარიზული განცხრომის მაყურებლის როლიდან მათი მოქმედი პირის ამპლუაში გადავდიოდი. თეატრი არასოდეს მაინტერესებდა, იმ საზიზღარი, გატყლარჭულ თორმეტმარცვლიან ლექსზე დაწერილი ტრაგედიების გამო. მუსიკალური სალონები ყოველთვის გუნებას მიფუჭებდა. სამაგიეროდ, თუ ფული გქონდა, პარიზი ბევრად უკეთესს გთავაზობდა: რესტორნებს.

პირველ რიგში, „გრან ვეფურს“ ვეწვიე მეფის სასახლის მახლობლად, თუმცა უძვირესი იყო. ამ რესტორანზე ტურინშიც მსმენოდა. ამბობენ, ვიქტორ ჰიუგოც აქ დადიოდა და ბატკნის ფილეს მიირთმევდა თეთრი ლობიოს გარნირითო. მეორე დაწესებულება, რომლის ცდუნებასაც ვერ გავუძელი, „ინგლისური კაფე“ იყო, გრამონის ქუჩისა და იტალიური ბულვარის კუთხეში. ეს რესტორანი ოდესღაც მეეტლეებისა და მოჯამაგირეებისთვის გაუხსნიათ, ახლა კი იქ პარიზის უმაღლესი საზოგადოება იკრიბებოდა. იქ აღმოვაჩინე თხლად დაჭრილი და ღუმელში

მომზადებული უნაზესი კარტოფილი, კიბორჩხალები ბორდოს საწებელში, ფრინველის ხორცის ფაფუკი პაშტეტი, დაბრაწული ტოროლები ალუბლის წვენში, საზაფხულო ბოსტნეულის ნაზი გუნდები, შვლის სუკი ქორფა არტიშოკის გულების გარნირით, შამპანური ღვინის სორბეტები. ამ კერძების გახსენებაც კი მარწმუნებს, რომ ცხოვრება ღირდა.

რესტორნების გარდა, პარიზული პასაჟებიც მხიბლავდა. ვაღმერთებდი ჟოფრუას გასასვლელს, შეიძლება, იმიტომ, რომ პარიზის სამი საუკეთესო რესტორანი, „დინე დე პარი“, „დინე დიუ როშე“ და „დინე ჟოფრუა“, სწორედ იმ ქუჩაზე იყო ჩამწკრივებული. შაბათობით ახლაც გეგონება, მთელმა პარიზმა იმ ბროლის გვირაბში მოიყარა თავიო: გაბეზრებული ბატონებისა და ჭარბად სუნამონაპკურები ქალების ტევა არაა.

ყველაზე მეტად მაინც „პანორამების პასაჟი“ მიზიდავდა: აქ უფრო მრავალფეროვანი საზოგადოება ირევა, წვრილი ბურჟუები და პროვინციელები თვალებით ჭამენ ვიტრინებში გამოფენილ ანტიკვარულ ნივთებს, რომელსაც მათი ჯიბე ვერასოდეს გასწვდება. საღამოობით აქ ქარხნებიდან გამოსული მუშა გოგოებიც ირევიან. რა თქმა უნდა, „ჟოფრუას პასაჟის“ გამოწკეპილ ქალებს ვერ შეედრებიან, მაგრამ შუახნის შეძლებული მამაკაცები მწვანე, მუქმუშებიანი სათვალეებით ამ პასაჟში სწორედ მუშა გოგოების საყურებლად მიდი-მოდიან. ეჭვი მეპარება, ეს გოგოები მართლა მუშები იყვნენ. უბრალო კაბა, მაქმანიანი ჩაჩი და წინსაფარი არაფერს ნიშნავს, თითებზე უნდა დააკვირდე: თუ ქალს თითები დაჩხვლეტილი, დასერილი, დამწვარი არ აქვს, იცოდე, რომ ბევრად არხეინად ცხოვრობს, ვიდრე ქარხნის მუშა, და სწორედ „ჟოფრუას პასაჟში“ გამოჭერილი რომელიმე ჯიბესქელი ბურჟუას წყალობით.

მე მუშა ქალები კი არა, მათი კლიენტები მაინტერესებს (ვეღარ ვიხსენებ, ვინ თქვა, ჭეშმარიტი ფილოსოფოსი კაფე




*...მე მუშა ქალები კი არა, მათი კლიენტები მაინტერესებს...*

„შანტანში“ სცენას კი არა, მაყურებელს აკვირდებაო). ეს ადამიანები ოდესმე, შეიძლება, ჩემი კლიენტები გახდნენ, ან სულაც – ჩემი ინსტრუმენტები. ზოგიერთს სახლამდეც მივდევ და ვუთვალთვალებ, როგორ ეხუტება ზღურბლზე გამოგებებულ ჩასუქებულ ცოლს და ლეკვებივით გარსშემოხვეულ, მოყიჟინე ნაშიერებს. მისამართს ვინიშნავ. ვინ იცის, რა იქნება. ყოველთვის შემიძლია, ანონიმური წერილით დავაშანტაჟო ეს ვაჟბატონები. თუ ოდესმე დამჭირდა.

ლაგრანჟის პირველი დავალებებიდან თითქმის აღარაფერი მახსოვს. ერთი სახელი მაგონდება მხოლოდ, აბატი ბულანი, მაგრამ ეს, მგონი, რაღაც გვიანდელია, შეიძლება, ომამდელი ან ომის შემდგომი (ბუნდოვნად მახსოვს, რომ ამ ამბებში ომიც ურევია, რომელმაც თავდაყირა დააყენა პარიზი).

აბსენტი თავისას შვრება. ისე ვარ გაჟღენთილი სპირტით, სანთელს სული რომ შევუბერო, შეიძლება, მბჟუტავი ალი კოცონივით აგიზგიზდეს.

10

# დალა პიკოლა დაბნეულია

3 აპრილი, 1897

ძვირფასო კაპიტანო სიმონინი,

ამ დილას დამძიმებული თავითა და პირში უცნაური გემოთი გამეღვიძა. ღმერთმა მომიტევოს და ვაღიარებ, აბსენტის გემო იყო! გარწმუნებთ, ჯერ არ მქონდა წაკითხული თქვენი წუხანდელი ჩანაწერები. ან როგორ უნდა გამეგო, რა დალიეთ, თუ მეც იმავეს არ დავლევდი? საეკლესიო პირი როგორ იცნობს იმ სასმლის გემოს, რომელიც აკრძალული აქვს და არასოდეს გაუსინჯავს? იქნებ, უბრალოდ, გონებაამღვრეული აღვწერ გემოს, რომელიც გაღვიძებისას ვიგრძენი, მაგრამ იქამდე თქვენი ჩანაწერები წავიკითხე და მათი ზეგავლენის ქვეშ ვარ? თუ აბსენტი არასოდეს დამილევია, საიდან უნდა ვიცოდე, რომ სწორედ მისი გემო მაქვს პირში? ან იქნებ სულ სხვა გემოა და მხოლოდ თქვენი დღიურის ზეგავლენით მგონია, რომ აბსენტისაა?

ღმერთო, ფაქტია, რომ ჩემს საწოლში გამეღვიძა, ყველაფერი მეშინაურებოდა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო. ოღონდ რატომღაც ვიცოდი, რომ თქვენთან უნდა მოვსულიყავი. იქ, უფრო

სწორად კი, აქ თქვენი ჩანაწერები წავიკითხე, რომლებზეც არაფერი ვიცოდი. მათში ბულანს მოვკარი თვალი და გონებაში რაღაც გაცოცხლდა, თუმცა კი ბუნდოვნად, გაურკვევლად.

რამდენჯერმე ხმამაღლა გავიმეორე ეს გვარი. მომეჩვენა, რომ გონება შემენჯღრა, თითქოს თქვენმა ექიმებმა, ბერიუმ და ბიერომ, მაგნიტი ჩამიდგეს სხეულში, ან ექიმმა შარკომ რაღაც ამიქნია სახესთან: თითი, გასაღები, გაშლილი ხელი, არც ვიცი – რა, და რაღაც უცნაური, ფხიზელი მთვარეულის მდგომარეობაში გადამიყვანა.

თითქოს მღვდელი დავლანდე, პირში რომ აფურთხებს ეშმაკით შეპყრობილ ქალს.

II

# ქოლი

1897 წლის 3 აპრილის დღიურიდან, გვიანი ღამე

დალა პიკოლას დღიური აქ მოულოდნელად წყდებოდა. ვინ იცის, რამ შეაწყვეტინა წერა, იქნებ ხმაური შემოესმა, ქვევით კარმა გაიჯახუნა, ან რამე ამგვარი. აშკარაა, რომ რაღაცამ ხელი შეუშალა. დამეთანხმებით, მთხრობელიც დაბნეულია, ვეღარ გაუგია, რა ხდება. თითქოს მღვდელი მხოლოდ მაშინ იღვიძებს, როცა სიმონინი საკუთარ სინდისს უხმობს, რომ რეალობაში დაბრუნდეს. სხვა დროს თითქოს აღარც ახსოვს საკუთარი თავი. მოკლედ, ამ გვერდებზე მხოლოდ სიმართლე რომ არ იყოს მონათხრობი, ამნეზიური ეიფორიისა და მეხსიერების დისფორიული გამოღვიძებების ეს მონაცვლეობა, შეიძლება, მკითხველს მთხრობლის ოსტატობის ნაყოფიც კი ჰგონებოდა.

1865 წლის გაზაფხულის ერთ დილას ლაგრანჟმა სიმონინი ლუქსემბურგის ბაღში დაიბარა. მერხზე ჩამოსხდნენ. ლაგრანჟმა გაქექილი, გაყვითლებულყდიანი წიგნი უჩვენა ვექილს, სათაურით „მაკიაველისა და მონტესკიეს დიალოგი ჯოჯოხეთში,

ანუ XIX საუკუნის მაკიაველური პოლიტიკა, აღწერილი თანამედროვის მიერ“. წიგნი 1864 წლის ოქტომბერში ბრიუსელში იყო დაბეჭდილი, ავტორი არ ეწერა.

– ვინმე მორის ჟოლის ქმნილებაა. ახლა კი ვიცით, ვინცაა, მაგრამ საშინლად გავწვალდით, სანამ გავიგებდით. საზღვარგარეთ ბეჭდავდა ამ წიგნს და ფარულად შემოჰქონდა საფრანგეთში. უფრო სწორად, ძალიან არ გაგვჭირვებია მისი მიგნება, მაგრამ სერიოზული მუშაობა დაგვჭირდა. პოლიტიკური მასალის კონტრაბანდისტების უმრავლესობა ჩვენი აგენტია. გახსოვდეთ, მოწინააღმდეგე დაჯგუფების კონტროლის ერთადერთი საშუალება მისი მართვის სადავეების ხელში ჩაგდებაა. კიდევ უფრო ეფექტიანი გზა მისი დაფინანსებაა. მტრის ხელმძღვანელობა შენი ბიუჯეტიდან უნდა იღებდეს ჯამაგირს. სახელმწიფოს მტრის გეგმები ღვთის ნებით არავის გადაეშლება თვალწინ. ვიღაცამ თქვა, აღარ მახსოვს, ვინ (შეიძლება, სულ ოდნავ გადაამეტა): ნებისმიერი საიდუმლო დაჯგუფების ათი წევრიდან სამი ჩვენი ჯაშუშია (ნუ მიწყენთ ამ სიტყვას, ფაქტია, ხალხი ასე გეძახით), ექვსი – რწმენით გულანთებული იდიოტი და ერთი – მართლა საშიში ადამიანიო. თუმცა, მოდი, ისევ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ. ახლა ჟოლი სენტ-პელაჟის ციხეშია და ვეცდებით, კიდევ დიდხანს ვაყურყუტოთ იქ. მაგრამ უნდა გავიგოთ, საიდან იღებდა ამ ინფორმაციას.

– რაზეა ეს წიგნი?

– გამოგიტყდებით, არ წამიკითხავს. ხუთას გვერდზე მეტია: როგორც ჩანს, იმდენი ვეღარ გათვალა, რომ ცილისმწამებლური ბროშურა ნახევარ საათში უნდა იკითხებოდეს. ასეთ საკითხებში სპეციალური აგენტი გვყავს, ლაკრუა, მან მოგვაწოდა წიგნის ძირითადი მონახაზი. ვიმეტებ და მის ერთადერთ დარჩენილ ეგზემპლარს გჩუქნით. თავად ნახავთ, როგორც აღწერს ავტორი მაკიაველისა და მონტესკიეს საუბარს ჯოჯოხეთში. მაკიაველი ძალაუფლების ცინიკური ხედვის თეორეტი-

კოსად ჰყავს წარმოჩენილი, რომელიც ლეგიტიმურად აცხადებს პრესის, სიტყვის, საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილე-ბისა და კიდევ ბევრი რამის შეზღუდვას, რის თავისუფლებასაც რესპუბლიკელები ქადაგებენ. ისე დეტალურადაა აღწერილი ეს ყველაფერი, იმდენად აშკარაა მინიშნებები ჩვენს დროსთან, რომ ყველაზე უყურადღებო მკითხველიც კი მიხვდება, რომ ამ პუბლიკაციის მიზანი ჩვენი იმპერატორის გასვრაა. წიგნიდან ჩანს, რომ იმპერატორს ეროვნული კრების ძალაუფლების შეზ-ღუდვა და პრეზიდენტის მანდატის ათი წლით გახანგრძლივება სწადია, რათა რესპუბლიკა იმპერიად აქციოს...

– მაპატიეთ, ბატონო ლაგრანჟ, მაგრამ რადგან ასე გულ-წრფელად ვსაუბრობთ... თანაც კარგად იცით, რა ერთგული ვარ მთავრობის... ამიტომ ბოლომდე გეტყვით... გამოდის, რომ ეს ჟოლი იმას წერს, რაც იმპერატორმა მართლა გააკეთა. მაშ, არ მესმის, რატომ უნდა ვიტეხოთ თავი და ვარკვიოთ, ვისგან მიიღო ეს ინფორმაცია?

– ჰო, მაგრამ ამ წიგნში არაა მხოლოდ იმაზეა ირონია, რაც მთავრობამ უკვე გააკეთა, იმაზეცაა მინიშნება, რის გაკეთე-ბასაც ვითომდა აპირებს. თითქოს ჟოლი მხოლოდ გარედან კი არა, შიგნიდანაც ხედავდეს რაღაც-რაღაცეებს. ყველა სამინის-ტროში, ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში მოიძებნება ვირ-თხა, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია გაჟონავს. როგორც წესი, ასეთ ქვემძრომს არ ანადგურებენ, სახელმწიფო სამსახუ-რები მას ყალბ ინფორმაციასაც ავრცელებინებენ, როცა სჭირ-დებათ. მაგრამ ასეთი ტიპი მაინც საშიშია. მოკლედ, უნდა გა-ვარკვიოთ, ვინ აწვდიდა ავტორს ინფორმაციას, ვინ ჩაახედა ჟოლი ასეთ დეტალებში.

სიმონინი ფიქრობდა, რომ ყველა დესპოტურ მთავრობას ერთი ლოგიკა აქვს და საკმარისია, ნამდვილი მაკიაველი წაი-კითხო, რომ მიხვდე, რას გააკეთებს ნაპოლეონი. იმდენი იფიქ-რა ამ თემაზე, რომ საბოლოოდ განუმტკიცდა აზრი, რომელიც

ლაგრანჟთან საუბრის დროს არ ასვენებდა: ეს ჟოლი თავის მაკიაველ-ნაპოლეონს თითქმის იმავე სიტყვებს ათქმევინებდა, რომლებიც სიმონინიმ იეზუიტებს წარმოათქმევინა პიემონტური საიდუმლო სამსახურისთვის შეთხზულ დოკუმენტში. აშკარა იყო, ჟოლი იმავე წყაროს ეყრდნობოდა, რომელსაც სიმონინი: პადრე როდენის წერილს პადრე როთაანისადმი ეჟენ სიუს „პარიზის საიდუმლოებანიდან".

– მოკლედ, – განაგრძობდა ლაგრანჟი, – სენტ-პელაჟიში გამოგამწყვდევთ, როგორც მაძინის მომხრეს, ფრანგულ რესპუბლიკურ წრეებთან კავშირში ეჭვმიტანილს. იქ ერთი იტალიელი ზის, ვინმე გავიალი, რომელიც ორსინის მოწყობილ თავდასხმაში იყო გარეული. ბუნებრივია, თქვენ, გარიბალდის მომხრე, კარბონარი და კიდევ ვინ იცის, რა, მასთან დაკავშირებას ეცდებით. გავიალის საშუალებით კი ჟოლის გაიცნობთ. პოლიტიკური პატიმრები, რომლებიც ათასი ჯურის ავაზაკთან ერთად სხედან დილეგში, ერთმანეთს კარგად უგებენ ხოლმე. ეცადეთ, ალაპარაკოთ, ციხეში მოწყენილობისგან კვდება ხალხი.

– რამდენ ხანს უნდა ვიყო იქ? – სიმონინის ყველაზე მეტად კვების საკითხი აღელვებდა.

– ეს თქვენზე იქნება დამოკიდებული. რაც უფრო მალე მოიპოვებთ ინფორმაციას, მით მალე გამოხვალთ. გავრცელდება ხმა, რომ თქვენმა ვექილმა იყოჩაღა და მოსამართლემ ბრალდება მოგიხსნათ.

სიმონინიმ იქამდე არ იცოდა, რა იყო ციხე. ყველაზე მეტად ოფლისა და შარდის სიმყრალე და იქაური სალაფავები აწუხებდა. იშვიათად, მაგრამ მაინც უწევდა იქაური საკვების გასინჯვა. მადლობა ღმერთს, როგორც სხვა შეძლებული ოჯახების პატიმრებს, მასაც ყოველდღე უგზავნიდნენ გარედან სანოვაგით სავსე კალათას.

ეზოდან პატიმრები პირდაპირ დიდ სასადილო დარბაზში შედიოდნენ. შუაში უზარმაზარი ქურა იდგა, კედლების გაწვრივ კი მერხები ჩაემწკრივებინათ. იქ, როგორც წესი, ისინი ჭამდნენ, ვისაც გარედან უგზავნიდნენ საჭმელს. ზოგი საკუთარ კალათში თავჩარგული ილუკმებოდა და საკვებს ხელებს აფარებდა, რომ სხვებს არ დაენახათ.ზოგი კი გულუხვად უნაწილებდა სარჩოს მეგობრებსაც და უბრალოდ გვერდით მსხდომ სხვა პატიმრებსაც. სიმონინი მალე მიხვდა, რომ ყველაზე გამეტებულები უბრალო ავაზაკები იყვნენ, რომლებსაც საოცრად მძაფრად ჰქონდათ განვითარებული მსგავსისადმი სოლიდარობის გრძნობა. გულუხვობით გამოირჩეოდნენ პოლიტიკური პატიმრებიც.

ტურინში გატარებული წლების, სიცილიის ამბებისა და პარიზის ძუნძგლიან ჩიხებში მიღებული გამოცდილების წყალობით სიმონინი უაღრესად გაწაფული იყო რიგითი თაღლითის ამოცნობაში. არ ეთანხმებოდა იმ წლებში საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ყველა ავაზაკი მახინჯი, კუზიანი, კურდღლისტუჩა, ჩიყვიანი ან, როგორც ცნობილმა ვიდოკმა თქვა (ის ხომ საუცხოოდ ერკვეოდა ნაძირალებში: სხვა თუ არაფერი, თავადაც ერთ-ერთი მათგანი იყო), ფეხებგაღუნულია. ერთ რამეს კი წყალი არ გაუვიდოდა: მკვლელებისა და ჯიბგირების უმრავლესობა შავკანიანთა დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩეოდა: თითქმის ქოსა, უბალნო სხეული, ვიწრო თავის ქალა, წაკვეთილი შუბლი, ამოშვერილი წარბის ძვლები, უზარმაზარი, წინ წამოწეული ყბები და მაღალი ყვრიმალები, ჩაცვენილი თვალები, მუქი კანი, ხშირი, ხვეული თმა, ვეებერთელა ყურები, ოღროჩოღრო კბილები. გრძნობები თითქოს შეზღუდული ჰქონდათ და ყველაფერში, რაც ხორციელია, ზღვარს გადასული სიხარბე სჩვეოდათ. პათოლოგიურად უყვარდათ ალკოჰოლი, ტკივილის შეგრძნება მოჩლუნგებოდათ, მორალზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ, ზარმაცები, იმპულსუ-

რები, ბრიყვები, საშინლად ამპარტავნები, აზარტული თამაშების მოყვარულები და ცრუმორწმუნეები იყვნენ.

ის ტიპი, საგანგებოდ რომ მოკალათდებოდა ხოლმე სიმონინის ზურგს უკან, თითქოს კალათიდან ლუკმის დაცინცვლას უპირებსო, მაინც ყველასგან გამოირჩეოდა: სახე ღრმა, ჩალურჯებულ იარებს დაესერა, პირი თითქოს მჟავათი ჰქონდა დამწვარი და დასიებული, ცხვირის ადგილას ორი უფორმო ხვრელი უჩანდა; გრძელი მკლავები ბრტყელი მტევნებითა და მოკლე, კოტიტა, ფრჩხილებამდე გაბანჯგვლული თითებით ბოლოვდებოდა... მოკლედ ამ ადამიანმა თავდაყირა დააყენა სიმონინის წარმოდგენა ავაზაკის გარეგნულ ნიშნებზე: ეს კაცი, სახელად ორესტე, თვინიერი და უწყინარზე უწყინარი არსება აღმოჩნდა. სიმონინიმ ერთხელ თავისი საკვები გაუნაწილა და მას შემდეგ ორესტე გვერდიდან აღარ შორდებოდა ვექილს, ერთგულ ფინიასავით თან დასდევდა.

ორესტეს თავგადასავალი არაფრით გამოირჩეოდა სხვებისაგან: ერთ გომბიოს მისთვის სასიყვარულო ალერსზე უარი ეთქვა და ამასაც კნუტივით მიეხრჩო. სულ ეს იყო. სასამართლოს ელოდებოდა.

– არ ვიცი, რატომ მომექცა ასე უგულოდ, ცოლობა ვთხოვე, მეტი კი არაფერი. იმან კიდე სიცილი დამაყარა, თითქოს ურჩხული ვყოფილიყავი. გული მტკივა, რომ ცოცხალი აღარაა, მაგრამ სხვა რა უნდა მექნა, თავმოყვარე კაცს? თუ გილიოტინას გადავურჩი, სატუსაღოზე არ დავიჩივლებ. ამბობენ, საკვებს არ მოგვაკლებენო.

ერთ დღესაც ვიღაცას მიაშვირა ხელი: – აი, ის მართლა ბოროტი კაცია. იმპერატორის მოკვლა უნდოდა.

ასე გაიგო სიმონინიმ, რომელი იყო გავიალი, მერე კი ნელნელა დაუახლოვდა კიდეც.

– სიცილიის აღება ჩვენი დამსახურება იყო, – უთხრა ერთხელ გავიალიმ, – თუმცა მე მონაწილეობა არ მიმიღია მაგ



*...ასე გაიგო სიმონინიმ, რომელი იყო გავიალი, მერე კი ნელ-ნელა დაუახლოვდა კიდეც...*

საქმეში. ვერაფერი დამიმტკიცეს, გარდა იმისა, რომ ორსინის ვიცნობდი. ორსინი და პიერი გილიოტინაზე აიყვანეს, დი რუდიო კაიენის ციხეში ჩააყუდეს, მე კი, თუ ყველაფერი კარგად იქნება, მალე გავალ აქედან.

ორსინის ამბავი ყველამ იცოდა. იტალიელი პატრიოტი იყო, ინგლისში საგანგებოდ დაემზადებინა მგრგვინავი ვერცხლისწყლის ექვსი ბომბი. 1858 წლის 14 იანვარს, საღამოს, ორსინის და მის ორ მეგობარს სამი ბომბი უსვრიათ თეატრში მიმავალი იმპერატორის კარეტისთვის, მაგრამ უშედეგოდ: ას ორმოცდაჩვიდმეტი ადამიანი დაუჭრიათ და რვა მოუკლავთ, იმპერატორი კი უვნებელი დარჩენილა.

სანამ ეშაფოტზე ავიდოდა, ორსინის იმპერატორისთვის გულის ამაჩუყებელი წერილი მიუწერია, ეხვეწებოდა თურმე, იტალიის ერთიანობას დაუჭირე მხარიო. ბევრი ამბობს, ამ წერილმა ნაპოლეონ III-ის შემდგომ გადაწყვეტილებებზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინაო.

– თავიდან ბომბები მე და ჩემს მეგობრებს უნდა დაგვემზადებინა, – ამბობდა გავიალი, – ასაფეთქებელი ნივთიერებების ნამდვილი ჯადოქრები არიან. მაგრამ ორსინი რატომღაც აღარ გვენდო. უცხოელები ხომ ყოველთვის ჩვენზე მაგრები ჰგონიათ და იმანაც ერთი ინგლისელი აიჩემა. იმას კიდევ მგრგვინავი ვერცხლისწყალი ჰქონდა აჩემებული. ლონდონში აფთიაქებში იყიდებოდა ეს ნივთიერება, მისგან დაგეროტიპებს აკეთებდნენ, აქ კი, საფრანგეთში, ეგრეთ წოდებულ „ჩინურ კანფეტებში“ იყენებდნენ: ქაღალდს ჟღენთდნენ ამ ნივთიერებით და მსხვერპლს ხელში უფეთქდებოდა ბომბი. მართლა სასაცილოა. საქმე ის არის, რომ დეტონატორიანი ბომბი მხოლოდ მაშინაა ეფექტიანი, თუ უშუალოდ სამიზნეს მოხვდა. დენთის ბომბის ნამსხვრევები კი ათ მეტრზე მისწვდება მსხვერპლს. მგვრგვინავი ვერცხლისწყლის ბომბი ადგილზე იშლება და თუ იქ დგახარ, სადაც დაეცა, მოგკლავს,

თუ არა, ვერაფერს გავნებს. თუ ბომბიც უნდა უმიზნო კაცს, მაშინ ბარემ ტყვია ესროლე.

– ყოველთვის შეიძლება, ხელახლა სცადო, – გაბედა სიმონინიმ. მერე დაამატა: – ვიცნობ ხალხს, ვისაც დენთის კარგი ოსტატები სჭირდება.

მთხრობელმა არ იცის, რატომ ისროლა სიმონინიმ ის ანკესი. უკვე ფიქრობდა რაღაცაზე თუ უბრალოდ ჩვევად ჰქონდა ანკესის სროლა, ისე, ყოველი შემთხვევისთვის, ვინ იცის, სად და რაში დასჭირდებოდა? მოკლედ, როგორც იყო, გავიალის უკან არ დაუხევია:

– კარგი, დავილაპარაკოთ. როგორც ამბობთ, მალე გაგიშვებენ. მეც მალე გამოვალ. „პერ ლორეტში" მიპოვით, უშეტის ქუჩაზე. თითქმის ყოველ საღამოს ვიკრიბებით იქ მეგობრები, ჟანდარმები აღარც გვაწუხებენ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თუ შემოვიდნენ, წესით ყველა კლიენტი უნდა დააპატიმრონ, ეს კი მათთვის დამატებითი თავსატეხია, მეორეც, „პერ ლორეტში" შესული ჟანდარმი სულაც არაა დარწმუნებული, რომ უკან გამოვა.

– მშვენიერი ადგილი ჩანს, – გაიცინა სიმონინიმ, – აუცილებლად მოვალ. ჰო, მართლა, გავიგე, ამ ციხეში ყოფილა ვინმე ჟოლი, რომელსაც ცუდი რამეები დაუწერია იმპერატორზე.

– იდეალისტია, – თქვა გავიალიმ. – სიტყვა კაცს არ კლავს. მაგრამ კარგი ადამიანი უნდა იყოს, გაგაცნობთ.

ჟოლის საკმაოდ სუფთად ეცვა და, როგორც ჩანს, გაპარსვასაც ახერხებდა. ჩვეულებრივ, ღუმელთან იჯდა ხოლმე დარბაზში და სასწრაფოდ გადიოდა, როგორც კი პრივილეგირებული პატიმრები შემოდიოდნენ თავიანთი კალათებით. ალბათ, არ სურდა სხვისი საჭმლის ყურება. სიმონინის ასაკის ჩანდა, ოცნებით სავსე, მაგრამ ნაღველჩამდგარი თვალები ჰქონდა, წინააღმდეგობებით აღსავსე ადამიანს ჰგავდა.

– ჩემთან დაჯექით, – უთხრა სიმონინიმ, – მიირთვით რამე, მარტო ვერ მოვერევი. დაგინახეთ თუ არა, ვიფიქრე, რომ ამ ხროვასთან საერთო არაფერი გაქვთ.

ჟოლიმ უხმოდ, ღიმილით გადაუხადა მადლობა და სიამოვნებით აიღო პური და ხორცის ნაჭერი. შემდეგ გაისაუბრეს, ჟოლის ბევრი არაფერი უთქვამს, უფრო სიმონინი ლაპარაკობდა.

– კიდევ კარგი, ჩემს დას ვახსოვარ. მდიდარი არაა, მაგრამ კარგად მივლის.

– გაგიმართლათ, – უთხრა ჟოლიმ, – მე სულ მარტო ვარ...

ყინული გალღვა. გარიბალდის ეპოპეაზე ილაპარაკეს, რომელსაც ფრანგები გულშემატკივრობდნენ. სიმონინიმ გაკვრით მიანიშნა, პრობლემები მქონდა ჯერ ტურინის ხელისუფლებასთან, შემდეგ – პიემონტის მთავრობასთან და ახლა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით უნდა გამასამართლონო. ჟოლიმ გაუმხილა, მე შეთქმულებასაც ვერ მაბრალებენ, ცილისწამების გამო ვზივარ აქო.

– გასაოცარია... ჩვენთვის, განათლებული ადამიანებისთვის, სამყაროს წესრიგი იგივეა, რაც უბირთათვის – ცრურწმენა. სამყაროს იდეებით ვერ შეცვლი. ადამიანები, რომლებსაც იდეებით თავი არ უსკდებათ, ნაკლებ შეცდომასაც უშვებენ: უბრალოდ სხვების ნაკვალევს მისდევენ და არავის აწუხებენ, წარმატებასაც მშვენივრად აღწევენ, ფულს შოულობენ, მაღალ თანამდებობებს იკავებენ, დეპუტატები, ორდენის კავალრები, ცნობილი სწავლულები, აკადემიკოსები, ჟურნალისტები ხდებიან. შეიძლება, ადამიანი სულელი იყოს, როცა ასე კარგად აკეთებს საკუთარ საქმეს? სულელი მე ვარ, ქარის წისქვილებს რომ გამოვუცხადე ომი.

მესამედ სადილობდნენ ერთად. ჟოლი აშკარად არ ჩქარობდა სიმონინისთვის რამის გამხელას, ასე რომ ისევ ვექილს მოუწია, საქმეზე გადასულიყო. ერთხელაც პირდაპირ ჰკითხა, ასეთი რა დაწერე, რომ აქ გამოგამწყვდიესო. ჟოლი მოუყვა, წიგნში მკვდრები ვალაპარაკეო; უხსნიდა და თან ხელახლა ბრაზობდა

იმ სიბინძურეებზე, რომლებსაც ამხელდა თავის თხზულებაში, თავიდან აანალიზებდა მათ, კიდევ უფრო სიღრმისეულად და დეტალურად, ვიდრე წიგნში გაეკეთებინა.

– გესმით? საყოველთაო არჩევნებმა დესპოტიზმი მოგვიტანა! იმ კაცუნამ ავტორიტარული სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა, თანაც – ხალხის სახელით! გვაფრთხილებს, როგორი იქნება მომავალი დემოკრატია.

„მართალია, – ფიქრობდა სიმონინი. – ეს ნაპოლეონი თანამედროვე კაცია, მიხვდა, როგორ უნდა ამოსდო ლაგამი ხალხს, რომელსაც სამოცდაათიოდე წლის წინ გულანთებულს სჯეროდა, რომ მეფისთვისაც შეიძლებოდა თავის მოკვეთა. ლაგრანჟი დარწმუნებულია, რომ ჟოლის ვიღაც აწვდიდა ინფორმაციას, სინამდვილეში კი აშკარაა, რომ ჟოლიმ მხოლოდ ფაქტები გააანალიზა, ის, რაც მართლა მოხდა და რაც ყველამ იცის. ამით გათვალა წინასწარ დიქტატორის სვლები. მე უფრო ის მაინტერესებს, ვის ბაძავდა ჟოლი“.

და სიმონინიმ გაკვრით ახსენა სიუ და პადრე როდენის წერილი. ჟოლი აილეწა, მერე გაიღიმა და გამოუტყდა, ნაპოლეონის მუხანათური გეგმების აღწერის იდეა სწორედ სიუს წიგნმა შთამაგონა, ოღონდ საჭიროდ მომეჩვენა, იეზუიტური სული უფრო გამომეკვეთა, ვიდრე კლასიკური მაკიაველიზმიო.

– მან მიკარნახა, როგორ დამეწერა რომანი, რომელიც ქვეყანას შეაზანზარებდა. რა სიგიჟეა, ახლა წიგნებს სდევნიან, წვავენ, შენ კი ვითომც არაფერი გიქნია. სამაგიეროდ, სიუ, რომელსაც ისეთი არაფერი უთქვამს, ქვეყნიდან გააძევეს.

სიმონინი ისე გრძნობდა თავს, თითქოს რაღაც წაართვეს. მართალია, მანაც სიუსგან ისესხა თავისი სიუჟეტი იეზუიტებზე, მაგრამ ეს არავინ იცოდა და თან ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ შეთქმულების სქემას ოდესმე სხვა მიზნით მაინც გამოიყენებდა. ახლა კი ჟოლი ართმევდა ბრწყინვალე მიგნებას, საქვეყნოდ ამზეურებდა მას.

თუმცა მალე დაიმშვიდა თავი. ჟოლის წიგნი პრაქტიკულად აღარ არსებობდა, რამდენიმე ეგზემპლარი თუ იქნებოდა გადარჩენილი და ერთი მას ჰქონდა. ჟოლი კიდევ რამდენიმე წელს გაატარებდა ციხეში, ამასობაში კი სიმონინი მთლიანად გადაიწერდა მის ტექსტს და შეთქმულებას, მაგალითად, კავურებს ან პრუსიელთა კანცელარიას მიაწერდა. ვერავინ ვერაფერს მიხვდებოდა, თვით ლაგრანჟიც კი, რომელსაც მოუწევდა, ეღიარებინა, რომ ახალი დოკუმენტი დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ნებისმიერი ქვეყნის კონტრდაზვერვას იმისა სჯერა, რაც არაერთხელ სმენია, სრულიად ახალ ამბავს კი ყურსაც არ ათხოვებს. ასე რომ, სიმონინის შფოთვის საფუძველი არ ჰქონდა: მის გარდა არავინ იცოდა, რა დაწერა ჟოლიმ. „დიალოგი" ერთადერთ კაცს ჰქონდა თავიდან ბოლომდე წაკითხული – იმ ლაკრუას, ლაგრანჟმა რომ უხსენა. ლაკრუას ჩამოშორებაღა რჩებოდა და საქმე გაკეთებული იყო.

ამასობაში სენტ-პელაჟიდან გამოსვლის დროც მოუვიდა. ძმურად გამოემშვიდობა ჟოლის. იმას გულიც კი აუჩუყდა. – იქნებ დამეხმაროთ, – სთხოვა, – ერთი მეგობარი მყავს, გედონი ჰქვია, მგონი, არც იცის, აქ რომ ვარ. შეუძლია, დროდადრო ადამიანური საკვები შემომიგზავნოს. ეს საზიზღარი სალაფავები მჟავიანობას მიწევს და კუჭს მიშლის.

გედონს ბონის ქუჩაზე, წიგნის მაღაზიაში ნახავთო, უთხრა, მადმუაზელ ბუკესთან, სადაც ფურიერისტები იკრიბებიანო. რამდენადაც სიმონინიმ იცოდა, ფურიერისტები ერთგვარი სოციალისტები იყვნენ, რომლებიც კაცობრიობის ერთიან რეფორმას ნატრობდნენ, მაგრამ რევოლუციას არ ახსენებდნენ და ამის გამო ისინი კომუნისტებსაც ეზიზღებოდათ და კონსერვატორებსაც. როგორც ჩანს, მადმუაზელ ბუკეს წიგნის მაღაზია შეკრების ადგილად ქცეულიყო იმპერიის მოძულე რესპუბლიკელებისთვის, იქ თავისუფლად ხვდებოდნენ თურმე ერთმანეთს, რადგან პოლიცია ფურიერისტებს სრულიად უწყი-

ნარ არსებებად თვლიდა და ვერც წარმოედგინა, რომ მათ რამე ზიანის მოტანა შეეძლოთ.

ციხიდან გამოვიდა თუ არა, სიმონინიმ ლაგრანჟს მიაშურა ანგარიშის ჩასაბარებლად. ჟოლისთვის ზიანის მიყენება არ სურდა, ეცოდებოდა კიდეც ის დონ კიხოტი.

– ბატონო დე ლაგრნაჟ, ჩვენი სუბიექტი ერთი გულუბრყვილო კაცია, რომელიც სახელის მოხვეჭაზე ოცნებობდა და საფრთხეში ამოყო თავი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ არც დაწერდა იმ წიგნს, რაღაცას თუ ვიღაცას რომ არ შთაეგონებინა საამისოდ თქვენი გარემოცვიდან. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ვფიქრობ, ეს იმ ლაკრუას დამსახურებაა. თქვენ ამბობდით, ლაკრუა ერთადერთია, ვინც მთლიანად წაიკითხა წიგნი, რომ მოკლე შინაარსი გადმოეცა ჩვენთვისო. მე კი მგონია, რომ ლაკრუამ იქამდე იცოდა წიგნის შინაარსი, სანამ ის დაიწერებოდა. შეიძლება, მანვე დაბეჭდა წიგნი ბრიუსელში. ნუ მკითხავთ, რატომ.

– რომელიმე უცხოური დაზვერვის დავალებით, შეიძლება პრუსიელების, საფრანგეთში არეულობის გამოსაწვევად. სულაც არ მიკვირს.

– პრუსიელების ჯაშუში თქვენს სამსახურში? ვერ დავიჯერებ.

– შტიბერს, პრუსიის დაზვერვის შეფს, ცხრა მილიონი ტალერი გამოუყო სახელმწიფომ, რომ საფრანგეთის ტერიტორია ჯაშუშებით აევსო. ხმები დადის, საფრანგეთში ხუთი ათასი პრუსიელი გლეხი და ცხრა ათასი მოახლე გაფანტა, რომ ყველგან: კაფეებში, რესტორნებში, კეთილშობილთა ოჯახებში აგენტი ჰყოლოდაო. ტყუილია. ჯაშუშებიდან ძალიან ცოტაა პრუსიელი, ელზასელებიც კი არ არიან ბევრნი – აქცენტით ვიცნობდით. ჯაშუშების უმრავლესობა სუფთა ფრანგია, ფულის გამო აკეთებენ ამ საქმეს.

– და ვერ ახერხებთ ამ მოღალატეების გამოაშკარავებას და დასჯას?

– არ გვილირს. მაშინ ისინი ჩვენს ჯაშუშებს დაერევიან. ჯაშუშის გაუვნებლება თუ გინდა, კი არ უნდა მოკლა, ყალბი ინფორმაცია უნდა მიაწოდო. ამისთვის გვჭირდება ორმაგი მოთამაშეები. ლაკრუაზე ამას ვერ ვიფიქრებდი. ღმერთო მაღალო, რა დრო დადგა, ვეღარავის ენდობა კაცი... სასწრაფოდ თავიდანაა მოსაშორებელი.

– ჰო, მაგრამ თუ გაასამართლებთ, არც ის აღიარებს რამეს და არც ჟოლი.

– ადამიანი, რომელიც ჩვენთან თანამშრომლობდა, სასამართლოს წინაშე ვერ წარდგება. ეს ჩვენი მუშაობის ზოგადი პრინციპია და მომიტევეთ, მაგრამ თქვენც გეხებათ. ლაკრუა უბედურ შემთხვევას ემსხვერპლება. ცოლი კარგ პენსიას მიიღებს.

სიმონინის გიდონი და ბონის ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზია არ უხსენებია. უნდოდა, ჯერ თავად დაეზვერა იქაურობა. თანაც, სენტ-პელაჟის მერე, დაქანცულს, განტვირთვა სჭირდებოდა და სასწრაფოდ მიაშურა „ლაპერუზს“ დიდი ავგუსტინელების სანაპიროზე. ოღონდ პირველი სართულისკენ არც გაუხედავს, სადაც მოლუსკებსა და ანტრეკოტს ამზადებდნენ ძველებური რეცეპტით, პირდაპირ მეორე სართულზე მოკალათდა, განცალკევებულ ოთახში. იქ მომსახურებაც განსაკუთრებული იყო და მენიუც: კამბალა ჰოლანდიურ სოუსში, ბრინჯი ტულუზურად, ბაჭიას ფილე შესქელებულ ნახარშში, შამპანურში ჩაშუშული თირკმელა სოკო, გარგარის პუდინგი ვენეციურად, ქორფა ხილის ასორტი, ატმისა და ანანასის კომპოტი. და ჭირს წაუღია ჯიბგირები, იდეალისტები და მკვლელები თავიანთი სალაფავებით! ბოლოს და ბოლოს, ციხე იმიტომაც არსებობს, რომ ჯენტლმენებმა არხეინად იარონ რესტორნებში!

აქ სიმონინის მოგონებები ირევა (როგორც ყველგან, სადაც საჭმელ-სასმელს ახსენებს). ნაწერი აბდაუბდა, ერთმანეთთან

დაუკავშირებელი ფრაზებითაა სავსე. მთხრობელს ისღა დარჩენია, აბატ დალა პიკოლას ჩანართებს დაუკვირდეს. დალა პიკოლა და სიმონინი ახლა უკვე იდეალურად ავსებენ ერთმანეთს...

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, სიმონინი გრძნობდა, იმპერატორის საიდუმლო სამსახურის ნდობის მოსაპოვებლად ლაგრანჟისთვის უფრო მეტი უნდა შეეთავაზებინა. რა არის საჭირო იმისთვის, რომ პოლიცია ბოლომდე ენდოს ინფორმატორს? შეთქმულების გახსნა! შეთქმულება უნდა მოეწყო, რომ შემდეგ თავადვე აეხადა მისთვის ფარდა.

ეს გავიალის იდეა იყო. სენტ-პელაჟიში გაარკვია, როდის გამოვიდოდა ციხიდან გავიალი. კარგად ახსოვდა, სადაც უნდა ენახა: უშეტის ქუჩაზე, კაბარე „პერ ლორეტში“.

სახლი ქუჩის ბოლოში იდგა. შესასვლელი ღრიჭოს უფრო ჰგავდა, ვიდრე კარს, თუმცა შა-კი-პეშის ქუჩა, რომელიც უშეტის ქუჩაზე გამოდიოდა, იმ კარზე განიერი არც იყო. ვერ გაიგებდი, საერთოდ რა აზრი ჰქონდა ამ შესასვლელს, თუ ადამიანი გვერდულადაც ძლივს გაეტეოდა. ქვის გაპოხილკედლებიან დერეფნებში დაბალი კარები ჩაემწკრივებინათ, ადამიანი მოკუნტულიც ძლივს შევიდოდა. მეორე სართულზე კი, შედარებით განიერი კარით, დიდ ოთახში ხვდებოდი. ჩანდა, რომ ოდესღაც ეს სივრცე სამად ან ოთხად იყო დაყოფილი, მაგრამ ახლა ტიხრები მოეხსნათ. ეს იყო „პერ ლორეტის“ სალონი, ანუ დარბაზი. პერ ლორეტის ვინაობა არავინ იცოდა, დიდი ხნის მკვდარი უნდა ყოფილიყო.

ჩიბუხიანი კლიენტები ბანქოს ატკაცუნებდნენ მაგიდებზე. ღარიბი ბავშვის თოჯინასავით გახუნებული, ხეშეშათმიანი, ნაადრევად დამჭკნარი გოგოები ცდილობდნენ, ისეთი კლიენტი დაეთრიათ, რომელსაც სასმელი ბოლომდე არ დაეცალა, ერთი ყლუპი მაინც რომ დაეცინცლათ.

სიმონინის საშინელი აყალმაყალი დახვდა სალონში. ის-ის იყო, ვიღაცისთვის ქუჩაში დანა გაეყარათ და სისხლის სუნით

შეშლილ სამხეცეს დამსგავსებოდა იქაურობა. იმ აურზაურში ვიღაც გადარეულს მეწაღის დანაზე წამოეგო იმ გაქუცული გოგოებიდან რომელიღაცა. დიასახლისს გოგოს დაცვა ეცადა, მაგრამ დანამომარჯვებული ლოთი არც მას მორიდებოდა, შუა ოთახში წაექცია ქალი და გადარეულივით ურტყამდა ყველას, ვინც კი გაეკარებოდა. ბოლოს მიმტანებიდან ვიღაცა უკნიდან მიეპარა და ღვინის გრაფინი სთხლიშა კეფაში. ეს იყო და ეს: ყველა მაშინვე თავის საქმეს მიუბრუნდა, თითქოს არაფერი მომხდარაო.

იქ ნახა სიმონინიმ გავიალი: მუდმივი კლიენტების მაგიდას მისჯდომოდა. აშკარა იყო, გავიალის მეგობრებსაც მასავით სძულდათ ხელმწიფე. ძირითადად ციხიდან გამოსული იტალიელები იყვნენ, თითქმის ყველა კარგად ერკვეოდა ასაფეთქებელ ნივთიერებებში, შეპყრობილებს ჰგავდნენ, ამაზე რომ იწყებდნენ ლაპარაკს. შეთვრებოდნენ თუ არა, ძველი, ცნობილი ტერორისტების შეცდომების განხილვას იწყებდნენ: ჯოჯოხეთის მანქანა, რომლითაც კადუდალმა ნაპოლეონის მოკვლა სცადა (ნაპოლეონი მაშინ ჯერ კიდევ კონსული იყო), კალიუმის ნიტრატისა და საფანტის ნარევი იყოო. ძველი დედაქალაქის ვიწრო ქუჩებში, ალბათ, გააკეთებდა კიდეც თავის საქმეს, მაგრამ დღეს სრულიად უაზრო იქნება მისი გამოყენებაო (ისე, უნდა ვაღიაროთ, რომ თავის დროზეც ვერ გამოიღო სასურველი შედეგი). ლუი-ფილიპის მოსაკლავად ფიესკის საგანგებოდ დაუმზადებია თვრამეტლულიანი მოწყობილობა, რომელსაც ერთი გასროლით თვრამეტი კაცი გაუსტუმრებია საიქიოს, მაგრამ არა მეფე.

– მთავარი, – ამბობდა გავიალი, – ასაფეთქებელი მასალის შემადგენლობაა. კალიუმის ქლორიდი ავიღოთ: მისი გოგირდსა და ნახშირთან შერევა სცადეს დენთის მისაღებად, შედეგად კი საკუთარი სახელოსნო ააფეთქეს. მერე ასანთის წარმოებაში გადაწყვიტეს მისი გამოყენება, მაგრამ ამისთვის ქლორიდია-




*...იქ ნახა სიმონინიმ გავიალი: მუდმივი კლიენტების მაგიდას მისჯდომოდა. აშკარა იყო, გავიალის მეგობრებსაც მასავით სძულდათ ხელმწიფე. ძირითადად ციხიდან გამოსული იტალიელები იყვნენ, თითქმის ყველა კარგად ერკვეოდა ასაფეთქებელ ნივთიერებებში, შეპყრობილებს ჰგავდნენ, ამაზე რომ იწყებდნენ ლაპარაკს...*

ნი და გოგირდიანი ღერები გოგირდმჟავაში უნდა ამოევლოთ. მოკლედ, მარტივი რამ იყო. იქამდე იყენებდნენ ამ მეთოდს, სანამ გერმანელებმა (აგერ უკვე ოცდაათი წელია) ფოსფორიანი ასანთი არ გამოიგონეს, რომელიც ხახუნით ინთება.

– პიკრინის მჟავაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, – ამბობდა მეორე. – შენიშნეს, რომ ის კალიუმის ქლორატთან ერთად გაცხელებისას ფეთქდებოდა. სასწრაფოდ დაიწყეს ათასნაირი, ერთიმეორეზე ფეთქებადი ფხვნილის წარმოება. უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამ ცდებმა და ბოლოს შეეშვნენ ამ მეთოდს. ნიტროცელულოზა აჯობებდა...

– რას ამბობ!

– ძველ ალქიმიკოსებს უნდა დავუჯეროთ. სწორედ მათ აღმოაჩინეს, რომ აზოტმჟავასა და სკიპიდარის ნარევი თავისით ალდება. ას წელზე მეტია, ცნობილია, რომ თუ აზოტმჟავას გოგირდმჟავას დაუმატებ, წყალი შთაინთქმება და ნაერთი აუცილებლად აალდება.

– მე უფრო სერიოზულად მივუდგებოდი ქსილოიდინს. ნატრიუმის მჟავას სახამებელს ან ხის ბოჭკოებს შეურევ...

– ჟიულ ვერნის რომანები გექნება ახალი წაკითხული: ის აღწერს, როგორ გადაისროლოს მფრინავი მანქანა მთვარეზე ქსილოიდინის დახმარებით. თუმცა დღეს ნიტრობენზოლსა და ნიტრონაფტალინზე მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე ქსილოიდინზე, ან სულაც – ნიტრამიდინი, რომელიც ქაღალდის ან მუყაოს აზოტმჟავათი დამუშავებით მიიღება და ქსილოიდინს ჰგავს.

– ეგ ნაერთები არასტაბილურია, ვერც ერთს ვერ ენდობი. დღეს „აალებად ბამბას" უფრო ხშირად ხმარობენ. თანაბარი წონის ბამბასა და დენთს თუ შევადარებთ, ბამბის აფეთქების ძალა დენთისას ექვსჯერ აღემატება.

– ჰო, მაგრამ ეგეც ხან ეფექტიანია, ხან – არა.

ასე საათობით ლაპარაკობდნენ, ბოლოს კი მაინც ძველებურ, საიმედო შავ დენთს უბრუნდებოდნენ და ერთხმად აღია-

რებდნენ მის უპირატესობას. სიმონინის თავი სიცილიაზე ეგონა: ნინუცოს სიტყვები აგონდებოდა.

სულ რამდენიმე გრაფინი ღვინო დასჭირდა გავიალის თანამოაზრეებთან გასაშინაურებლად და ნაპოლეონ III-ისადმი მათი სიძულვილის კიდევ უფრო გასაღვივებლად. უკვე გარდაუვალი იყო, რომ საბაუდიის ჯარები რომს შეუტევდნენ და ნაპოლეონი, სავარაუდოდ, მათთვის ხელის შეშლას ეცდებოდა. ასე რომ, იტალიის ერთიანობის დიად საქმეს დიქტატორის სიკვდილი სჭირდებოდა. თუმცა სიმონინი ფიქრობდა, რომ იტალიის ერთიანობაზე მეტად ამ ლოთებს ბომბების აფეთქება აინტერესებდათ. ზუსტად ის ტიპები იყვნენ, ვისაც ეძებდა: აკვიატებული იდეისთვის თავის გამწირავი ხალხი.

– ორსინის თავდასხმა, – უხსნიდათ სიმონინი, – იმიტომ კი არ ჩაიშალა, რომ ცუდად იყო დაგეგმილი, უბრალოდ, ბომბები იყო უხეიროდ დამზადებული. გვყავს ადამიანები, რომლებიც მზად არიან ბომბის სასროლად, თუნდაც ამისთვის გილიოტინაზე ამოყონ თავი, მაგრამ ჯერ ვერ დაგვიზუსტებია, რომელი ასაფეთქებელი მასალა გამოვიყენოთ. გავიალისთან საუბარმა დამარწმუნა, რომ სწორედ თქვენ გვჭირდებით.

– კი, მაგრამ „თქვენ“ ვინ ხართ? – ჰკითხა ერთმა.

სიმონინი წამით თითქოს შეყოყმანდა, მერე კი იმავე ხრიკებს მიმართა, რითაც თავის დროზე ტურინელი სტუდენტების ნდობა მოიპოვა: „ალტა ვენდიტას“ წარმომადგენელი ვარ, იდუმალი ნუბიუსის წარმოგზავნილიო. მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან, კარბონარების წესის თანახმად, ორგანიზაციის ყოველი წევრი მხოლოდ თავის უშუალო უფროსს იცნობსო. საქმე ის არის, რომ ახალი, საიმედო ბომბების წარმოება ადვილი არაა, ექსპერიმენტები, ალქიმიური კვლევებია საჭირო, სხვადასხვა ნაერთის შერევა, საველე ცდების ჩატარება, მე კი შემიძლია, საიმედო ადგილი გიშოვოთ, უშეტის ქუჩაზე, და ხარჯებიც აგინაზღაუროთო. თქვენ მხოლოდ ბომბების დამზადება გევა-

ლებათ, თავდასხმა თქვენი საზრუნავი არ იქნებაო. წინასწარ დავბეჭდავთ და თქვენთან შევინახავთ პროკლამაციებს, რომლებშიც იმპერატორის სიკვდილის ცნობა და თავდამსხმელთა მიზნები იქნება გამჟღავნებულიო. ნაპოლეონის მკვლელობის შემდეგ კი ამ პროკლამაციებს ქალაქის სხვადასხვა უბანში და მნიშვნელოვანი გაზეთების გამომცემლობებში გაავრცელებთო.

– ნურაფერზე იდარდებთ, მაღალ ეშელონებში მხარს უჭერენ თავდასხმას. პრეფექტურაშიც ჩვენი კაცი გვყავს, სახელად ლაკრუა. თუმცა ბოლომდე არ ვენდობი, ასე რომ მასთან დაკავშირებას ნუ ეცდებით. რომელიმე თქვენგანის ვინაობა რომ გაიგოს, შეიძლება, გაგცეთ კიდეც, მხოლოდ იმიტომ, რომ თავი გამოიჩინოს და დააწინაურონ. ხომ იცით, როგორები არიან ორმაგი აგენტები...

ბუნტისთავები დიდი ენთუზიაზმით დათანხმდნენ შეთავაზებას. გავიალის თვალები უბრწყინავდა აგზნებისაგან. სიმონინიმ ბინის გასაღები და საკმაო თანხა დაუტოვა შეთქმულებს საწყისი ხარჯებისთვის, რამდენიმე დღეში კი მიაკითხა, რომ ენახა, როგორ მიდიოდა ცდები. თან პროკლამაციის შეკვრები მიიტანა: ჩემი კაცი მყავს ერთ სტამბაში, იმას დავაბეჭდინეო. შეთქმულებს კიდევ დაუტოვა ფული, გასვლამდე „ერთიან იტალიას გაუმარჯოს! რომი ან სიკვდილიო!“, შესძახა და გატრიალდა.

მაგრამ იმ საღამოს სენ-სევერინის უკაცრიელ ქუჩაზე მოეჩვენა, რომ უკან ვიღაც მიჰყვებოდა. რამდენჯერმე გაჩერდა, დააყურადა: ნაბიჯების ხმა აღარ ესმოდა. ფეხს აუჩქარა თუ არა, ზურგს უკანაც იმატა ნაბიჯების ხმამ და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისდევდნენ. უცებ ვიღაცის სუნთქვა იგრძნო კისერთან, მიხედვაც ვერ მოასწრო, რომ საშინელი ძალით სწვდნენ და სალემბრიერის ჩიხში შეაგდეს (რომელიც კიდევ უფრო ვიწრო იყო, ვიდრე შა-კი-პეშის ქუჩა). მდევარი აშკარად

კარგად იცნობდა იმ უბანს და საგანგებოდ შეერჩია ადგილი, სად ასდევნებოდა. უცნობმა თვალის დახამხამებაშიააყუდა კედელზე და მოელვარე დანის პირი მიაბჯინა ყელზე. სიბნელეში თავდამსხმელის სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ როცა უცნობმა სიცილიური აქცენტით ჩაუსისინა ყურში: „ექვსი წელი გეძებდით, მამაო, მაგრამ მაინც მოგაგენითო!“ – სიმონინი ყველაფერს მიხვდა.

ოსტატი ნინუცო იყო, ბაგერიის დენთის საწყობში მუცელში დანაგაყრილი რომ დააგდო სიმონინიმ მრავალი წლის წინ.

– გადავრჩი, რადგან სრულიად შემთხვევით გულმოწყალე ადამიანი გამოჩნდა და გადამარჩინა. სამი თვე ვებრძოდი სიკვდილს, ნაჭრილობევი მთელ მუცელზე გამდევს... როგორც კი ფეხზე დავდექი, ძებნას შევუდექი. დავდიოდი, სასულიერო პირს ვეძებდი... მოკლედ, პალერმოში ვიღაცეებს უნახიხართ, ნოტარიუს მუსუმეჩის ესაუბრებოდით თურმე კაფეში. გარიბალდის იმ პიემონტელი მომხრისთვის მიუმსგავსებიხართ, პოლკოვნიკ ნიევოსთან რომ მეგობრობდა... ისიც გავიგე, ნიევოს თავის გემიანად ზღვამ უყო პირიო. თითქოს გემი სადღაც აორთქლდაო, ამბობდნენ, მე კი კარგად ვიცოდი, რანაირადაც აორთქლდა, ვისი ნახელავი იყო ყველაფერი. ნიევოსგან ადვილად გავედი პიემონტურ ჯარზე და იქიდან – ტურინზე, ერთი წელი გავატარე იმ აუტანელ, გაყინულ ქალაქში, გეძებდით, ნაცობ-უცნობს ვეკითხებოდი, გამვლელებსაც კი. როგორც იქნა, იმ გარიბალდელის სახელი შევიტყვე: სიმონინი ერქვა, ადრე სანოტარო ბიურო ჰქონდა, მაგრამ სხვას გადასცა, ერთ-ერთ კლიენტთან დასცდა, რომ პარიზში მიდიოდაო. გროში არ მეგდო ჯიბეში, არ მკითხოთ, როგორ ჩამოვაღწიე აქამდე. წარმოდგენაც არ მქონდა, რამხელა იყო ეს ქალაქი. დიდხანს ვიხეტიალე, სანამ თქვენს კვალს მივაგნებდი. დანით ვხვდებოდი ჩაბნელებულ ქუჩებში გზაარეულ, კარგად ჩაცმულ ვაჟბატონებს, დღეში ერთის გაძარცვა მყოფნიდა თავის გასატანად.

სულ აქ ვტრიალებდი. ვხვდებოდი, რომ თქვენნაირ ტიპს აქ უფრო გადავეყრებოდი, ვიდრე მდიდრულ უბნებში. შავი წვერი უნდა მოგეზარდათ, რომ არავის ეცნეთ ადვილად...

იმ დღიდან მოყოლებული მართლა ატარებდა სიმონინი გაბურძგნილ წვერს, მაგრამ მაშინ მიხვდა, რომ არასოდეს ეზრუნა თავისი კვალის წაშლაზე.

– მოკლედ, ჩემი თავგადასავალი რაში გაინტერესებთ, – უთხრა ბოლოს ნინუცომ, – მთავარია, ისევე გაგიფატროთ მუცელი, როგორც მე გამიფატრეთ ექვსი წლის წინ. აქ არავინ მოგეშველებათ.

სიმონინი ნინუცოს წაწვეტებულ ცხვირს და ბოროტად აკიაფებულ თვალებს ხედავდა მთვარის შუქზე.

– ნინუცო, – ძალა მოიკრიბა სიმონინიმ, – მინდა, იცოდეთ, რომ მაშინ მიბრძანეს, ასე მოვქცეულიყავი. ზევიდან მივიღე ბრძანება, პირად გრძნობებს ვერ ავყვებოდი. აქაც მათი ბრძანებით ვარ, ტახტისა და საკურთხევლის მხარდასაჭერად.

სიმონინი ქოშინით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა და ხედავდა, რომ დანის წვერი ნელ-ნელა შორდებოდა მის სახეს.

– თქვენ ხელმწიფეს მიუძღვენით სიცოცხლე და კარგად გესმით, რომ მოვალეობა წმინდათაწმინდა რამაა... მოვალეობა ისეთ რამეს ჩაგადენინებს, რასაც სხვა ვერაფერი გაამართლებდა ქვეყანაზე. გესმით ჩემი?

ოსტატ ნინუცოს ჯერ არ ესმოდა, მაგრამ შურისძიება აშკარად აღარ იყო მისი ერთადერთი მიზანი:

– იმდენი ვიშიმშილე ამ ბოლო წლებში, რომ თქვენი მოკვლა ვერ გამაძღობს. მომბეზრდა მათხოვრული ცხოვრება. რაც თქვენს კვალს მივაგენი, არაერთხელ დაგინახეთ მდიდრულ რესტორნებში. მოდი, ასე მოვიქცეთ: სიცოცხლეს გაჩუქებთ, მაგრამ გარკვეული თანხის სანაცვლოდ. მსურს, ისევე ვიკვებო და ვიცხოვრო, როგორც თქვენ, თუ უკეთ არა.

– ოსტატო, გპირდებით, რომ საკმარისად გადაგიხდით ყოველთვიურად. საფრანგეთის იმპერატორზე ვამზადებ თავდასხმას. გახსოვთ, ალბათ, თქვენმა მეფემ იმიტომ დაკარგა ტახტი, რომ გარიბალდის ფარულად ნაპოლეონი ეხმარებოდა. თქვენ შესანიშნავად ერკვევით ასაფეთქებელ ნივთიერებებში, აუცილებლად უნდა შეგახვედროთ ნამდვილი ჯოჯოხეთის მანქანის დასამზადებლად უშეტის ქუჩაზე შეკრებილ სპეციალისტებს. თუ მათ შეუერთდებით, ისტორიულ საქმეში მიიღებთ მონაწილეობას, სრულად გამოავლენთ თქვენს არაჩვეულებრივ ცოდნას და ოსტატობას იარაღის დამზადებაში და თანაც – ვინაიდან ამ თავდასხმას ძალიან მაღალ ეშელონებში უჭერენ მხარს – ისეთ ანაზღაურებას მიიღებთ, რომ სიკვდილამდე უზრუნველად იცხოვრებთ.

დენთის ხსენებაზე ნინუცოს თითქოს წამში გაუქრა ბრაზი, რომელიც ბაგერიაში მომხდარი ამბის მერე ახრჩობდა და სიმონინი მიხვდა, რომ მუჭში ჰყავდა მომწყვდეული სიცილიელი. ნინუცომ დაიჩურჩულა:

– რა მევალება?

– ისეთი არაფერი, ზეგ, ექვსი საათისთვის, ამ მისამართზე მიხვალთ, დააკაკუნებთ, საწყობში შეხვალთ და ეტყვით, რომ ლაკრუამ გამოგაგზავნათ. მეგობრები გაფრთხილებულები იქნებიან. მაგრამ სხვაში რომ არ შეეშალოთ, გულის ჯიბეზე მიხაკი დაიბნიეთ. შვიდისთვის მეც მოვალ.

– მივალ, – უთხრა ნინუცომ, – მაგრამ თუ მატყუებთ, იცოდეთ, ველარ გამექცევით. უკვე ვიცი, სად ცხოვრობთ.

დილით სიმონინი გავიალისთან მივიდა. დრო აღარ იცდისო, უთხრა. მეორე დღეს, ექვს საათზე, დაავალა შეკრება. ჯერ ჩემი გამოგზავნილი სიცილიელი მოვა, სამუშაოს შეამოწმებს, მერე მე მოვალ და ბოლოს – ლაკრუა, რომელიც შეკრებილებს დაელაპარაკებაო.

მერე ლაგრანჟს მიაკითხა და მოახსენა, იმპერატორის მოსაკლავად დაგეგმილი შეთქმულება გავხსენიო. შეთქმულები ხვალ საღამოს, ექვს საათზე, იკრიბებიან უშეტის ქუჩაზე, დამკვეთს დამზადებული ბომბები უნდა ჩააბარონო.

– სიფრთხილეა საჭირო, – უთხრა სიმონინიმ. – თქვენვე მასწავლეთ, რომ ათი შეთქმულიდან სამი ჩვენი აგენტია, ექვსი – სულელი და მხოლოდ ერთია საშიში კაცი. მაშ ასე, იქ აგენტი მხოლოდ მე ვიქნები, რვა სრული იდიოტია, საშიშ კაცს კი საკინძეში მიხაკით იცნობ. ის ადამიანი ჩემთვისაც ძალიან საშიშია, ამიტომ მცირე გადახვევას გთხოვთ თქვენი წესებიდან: ეს კაცი კი არ უნდა აიყვანონ, ადგილზე უნდა მოკლან. დამიჯერეთ, ეს ერთადერთი გზაა, რომ ამბავი არ გახმაურდეს. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ მან პირი გააღოს, თუნდაც თქვენიანებთან.

– თქვენი მჯერა, სიმონინი, – უთხრა ლაგრანჟმა. – ადგილზე გავანადგურებთ იმ კაცს.

ნინუცო ექვს სააათზე მივიდა უშეტის ქუჩაზე, საგულდაგულოდ დაემაგრებინა მიხაკი საკინძეში. გავიალი და დანარჩენები ამაყად აჩვენებდნენ სიცილიელს თავიანთ ნახელავს, ნახევარ საათში სიმონინიც მივიდა და აუწყა, მალე ლაკრუაც გვეწვევაო. შვიდს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, საწყობში პოლიცია შეიჭრა. სიმონინი აყვირდა, ღალატიაო, პისტოლეტი იძრო, ჟანდარმებს დაუმიზნა და ჰაერში ისროლა. ჟანდარმებმა პასუხად ნინუცო ამოიღეს მიზანში და გულში ესროლეს, მაგრამ რადგან ასეთ დროს სუფთად მუშაობა არ გამოდის, მეორე შეთქმულიც მოკლეს. ნინუცო ჯერ კიდევ იატაკზე იკრუნჩხებოდა და სიცილიურად იწყევლებოდა, როცა სიმონინიმ, ვითომ ჟანდარმებს ესროდა, საკონტროლო გასროლაც დაამატა.

ლაგრანჟის აგენტებმა გავიალი და მისი მეგობრები ფაქტზე დაიჭირეს: ნახევრად დამზადებული ბომბებით და მთელი ყუთი პროკლამაციებით, რომლებშიც გარკვევით ეწერა, რისთვისაც

მზადდებოდა ბომბები. დაკითხვებზე გავიალიმ და მისმა მეგობრებმა ვინმე ლაკრუა დაასახელეს, რომელმაც გასცა ისინი (ასე ეგონათ). ასე რომ, ლაგრანჟს კიდევ ერთი მიზეზი მიეცა ლაკრუას თავიდან მოსაშორებლად. პოლიციის ოქმებში ჩაიწერა, რომ ლაკრუა შეთქმულთა დაკავებაში მონაწილეობდა და ბუნტისთავის ტყვიამ იმსხვერპლა. დიდი პატივით დაკრძალეს.

რაც შეეხება შეთქმულებს, უაზრობა იყო მათი საქმის გახმაურებულ პროცესად გადაქცევა. მაშინ, – უხსნიდა ლაგრანჟი სიმონინის, – გაუთავებლად დადიოდა ხმები იმპერატორზე თავდასხმის შესახებ. საიდუმლო სამსახურს მიაჩნდა, რომ მთლად ჭორები არ იყო და მათ საგანგებოდ ავრცელებდნენ რესპუბლიკელების აგენტები, რომ ბუნტისთავები მოქმედებისკენ წაექეზებინათ. ნაპოლეონ III-ის მოკვლის იდეა ისედაც მოდად ქცეულიყო და ზედმეტი იყო ცეცხლზე ნავთის დასხმა. ასე რომ, შეთქმულები კაიენის გზას გაუყენეს, სადაც მალარია მოუღებდა ბოლოს ყველას.

იმპერატორის სიცოცხლის გადარჩენა მომგებიანი საქმეა. თუ ჟოლის საქმემ ათი ათასი ფრანკი მოუტანა, შეთქმულების გამოაშკარავებამ სიმონინის ოცდაათი ათასი ფრანკი აშოვნინა. დაიანგარიშა, რომ საწყობის დაქირავება და ბომბების დასამზადებელი მასალების ყიდვა ხუთი ათასი ფრანკი დაუჯდა, სუფთად ოცდათხუთმეტი ათასი რჩებოდა: იმ სამასიათასიანი კაპიტალის მეათედზე მეტი, რომელზეც ოცნებობდა.

ნინუცოს აღსასრულით კმაყოფილს, გავიალიზე ცოტა გული სწყდებოდა. კაცმა რომ თქვას, არ იყო ცუდი ადამიანი, თან ენდობოდა სიმონინის. მაგრამ შეთქმულების მონაწილე საფრთხეს უნდა აცნობიერებდეს და იმასაც ხვდებოდეს, რომ არავის ნდობა არ შეიძლება.

ის ვიღაც ლაკრუაც დაენანა: მისთვის ხომ არაფერი დაეშავებინა. თუმცა ლაკრუას ქვრივი კარგ პენსიას მიიღებდა.

12

# ღამე პრაღაში

4 აპრილი, 1897

ისლა დამრჩენოდა, გედონი მომეძებნა, ჟოლიმ რომ ახსენა. ბონის ქუჩაზე წიგნის მაღაზიას ერთი დამჭკნარი შინაბერა მართავდა. შავი შალის განიერ ქვედაკაბას დააფართხუნებდა, თავზე კი წითელქუდას ჩაჩი ჩამოეფხატა, რომელიც – საბედნიეროდ – ნახევარ სახეს უფარავდა.

გედონი პირველსავე მისვლაზე იქ დამხვდა. გამოუსწორებელი სკეპტიკოსი, ირონიით უყურებდა გარემომცველ სამყაროს. ძალიან მესიმპათიურებიან ურწმუნოები. ჟოლის სახელის გაგონება გაუხარდა: საჭმელსაც გავუგზავნი და ცოტა ფულსაცო. მერე მწარედ ჩაიცინა, ნეტავ რისთვის იკლავს თავსო. ციხეში როგორ უნდა ამოყო კაცმა თავი წიგნის დაწერისთვის, როცა ამ ქვეყანაში თუ ვინმეა წიგნის წამკითხავი, ისედაც რესპუბლიკელია, დიქტატურას კი უწიგნური გლეხუჭები უჭერენ მხარს, რომლებსაც სრულიად შემთხვევით, ღვთის წყალობით ერგოთ საარჩევნო ხმის უფლებაო.

– ფურიერისტები? კარგი ხალხია, მაგრამ როგორ გინდა, სერიოზულად აღიქვა წინასწარმეტყველი, რომელიც ქადაგებს,

რომ ახალ, გარდაქმნილ სამყაროში ციტრუსებს ვარშავაში მოიყვანენ, ოკეანეები ლიმონათით აივსება, ადამიანებს კუდები გამოებმებათ, ინცესტსა და ჰომოსექსუალობას კი კაცთა მოდგმის ყველაზე ბუნებრივ იმპულსებად აღიარებენ?

– მაშ რატომ მეგობრობთ მათთან? – ვკითხე.

– იმიტომ, რომ ჯერჯერობით პატიოსან მოქალაქეთაგან მათ გარდა არავინ ეწინააღმდეგება უნამუსო ბონაპარტის დიქტატურას. ხედავთ იმ ლამაზ ქალბატონს? ჟულიეტ ლამესინი გახლავთ, გრაფინია დ'აგუს სალონის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მანდილოსანი. ცდილობს, ქმრის ფულით თავად გააკეთოს სალონი რივოლის ქუჩაზე. მომხიბლავია, ჭკვიანი, ნიჭიერი მწერალიცაა. მის სალონში მიწვევა ყველასთვის მნიშვნელოვანი იქნება.

შემდეგ გედონმა მაღალი, მომხიბლავი მამაკაცი დამანახვა:

– ტუსენელს ვინ არ იცნობს. „ცხოველთა სულის“ ავტორია, გსმენიათ, ალბათ. სოციალისტია, შეურიგებელი რესპუბლიკელი. თავდავიწყებით უყვარს ჟულიეტი, ის კი შეხედვის ღირსადაც არ თვლის საცოდავს. აქ მყოფთაგან ყველაზე ნათელი გონების პატრონია.

ტუსენელი კაპიტალიზმზე ლაპარაკობდა, თანამედროვე საზოგადოებას წამლავსო, ამბობდა.

– კაპიტალისტები ვინ არიან? – ებრაელები, ჩვენი დროის ბატონ-პატრონები. გასული საუკუნის რევოლუციამ კაპეტინგების დინასტიას წააგდებინა თავი, ჩვენი საუკუნის რევოლუციას კი მოსესთვის მოუწევს თავის მოკვეთა. წიგნს დავწერ ამაზე. ვინ არიან ებრაელები? ყველა, ვინც დაუცველებს, ხალხს, სისხლს სწოვს: პროტესტანტები, მასონები და, ცხადია, იუდეველები.

– კი, მაგრამ პროტესტანტები ებრაელები არ არიან, – შევბედე.

– ებრაელი იგივე პროტესტანტია, ისევე, როგორც ინგლისელი მეთოდისტი, გერმანელი პიეტისტი, შვეიცარიელი

ან ჰოლანდიელი. ყველანი იმავე წიგნიდან სწავლობენ ღვთის სიტყვას, საიდანაც ებრაელები, ბიბლიიდან: ინცესტის, ხოცვა-ჟლეტის, აღვირახსნილი ომების წიგნიდან, რომელშიც მხოლოდ ღალატით იმარჯვებენ, სადაც მეფეები წამლავენ იმ ქალების კანონიერ თანამეცხედრეთ, რომელთა საწოლში ჩაგორებაც სწადიათ; სადაც ქალებს წმინდანებად მოაქვთ თავი და მერე მტრის მთავარსარდლებთან მრუშობენ, რათა ღამით თავი წააგდებინონ მოტყუებულ კუროს. კრომველმა ბიბლიის სიტყვები დაიმოწმა, როცა ხელმწიფეს თავი მოჰკვეთა, მალთუსი, რომელსაც ღარიბი ჩვილები გასაჟუჟად ემეტებოდა, ბიბლიით იყო ერთიანად გაჟღენთილი. ეს ის ჯურია, რომელსაც დღემუდამ ახსოვს საკუთარი მონობა და მუდამ მზადაა, ოქროს ხბოს კულტს ეთაყვანოს, ღვთის რისხვის ნიშნების მიუხედავად. ებრაელთა წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყოს ყოველი სოციალისტის უმთავრესი მიზანი, თუკი მართლა სურს, იმსახურებდეს ამ სახელს. კომუნისტებს არ ვგულისხმობ, რადგან მათი დამფუძნებელი ებრაელია. მთავარია, ფინანსური შეთქმულება ვამხილოთ. რატომ ღირს პარიზის რესტორანში ერთი ვაშლი ასჯერ უფრო ძვირი, ვიდრე ნორმანდიაში? არიან მტაცებელი ერები, რომლებიც სხვის ხორცს ჭამენ, ვაჭარი ერები, როგორებიც ოდესღაც ფინიკიელები და კართაგენელები იყვნენ, დღეს კი – ინგლისელები და ებრალები არიან.

– მაშასადამე, თქვენთვის ინგლისელი და ებრაელი ერთი და იგივეა?

– თითქმის. უნდა წაიკითხოთ, რას წერდა დიდი ინგლისელი პოლიტიკოსი, დიზრაელი, თავის რომანში „ქონინგსბი“. დიზრაელი სეფარდი ებრაელი იყო, ქრისტიანულად მონათლული. ის პირდაპირ წერდა, რომ ებრაელები სამყაროს მართვისთვის ემზადებიან.

მეორე დღეს მომიტანა კიდეც დიზრაელის წიგნი, სადაც მთელი მონაკვეთები ჰქონდა ხაზგასმული: „გსმენიათ ევროპაში

რომელიმე მნიშვნელოვანი მოძრაობა, რომელშიც წამყვანი როლი ებრაელებს არ ეკავათ?.. პირველი იეზუიტები ებრაელები იყვნენ! ვინ ხელმძღვანელობს ამ იდუმალებით მოსილ რუსულ დიპლომატიას, რომლის წინაშე შიშით კანკალებს მთელი დასავლეთი? – ებრაელები! ვინ დაიპყო გერმანიის უნივერსიტეტების კათედრები?“

– დიზრაელი ჯაშუში არ გეგონოთ, რომელიც თავის ხალხს ამხელს. პირიქით, ხოტბას ასხამს ებრაელთა ღირსებებს. უსირცხვილოდ წერს, რუსეთის ფინანსთა მინისტრი, გრაფი კანკრინი, ლიტველი ებრაელის შვილია, ისევე, როგორც ესპანეთის მინისტრი მენდისაბალია არაგონელი გაქრისტიანებული ებრაელის ნაშიერიო. საფრანგეთის მარშალი ფრანგი ებრაელის, სულტის ვაჟიშვილია, მასენაც ებრაელი იყო, ებრაულად ეს სახელი ასე ჟღერს: მენაშე... სხვას რომ თავი დავანებოთ, ვისი ჩაფიქრებულია გერმანიის რევოლუცია? ებრაელის – კარლ მარქსის და მისი კომუნისტების.

არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ტუსენელი მართალი იყო, მაგრამ ეს გესლიანი სიტყვები, რომლებიც ყველაზე რადიკალურ რევოლუციურ წრეებშიც გამეგონა, რაღაც იდეებს მკარნახობდა... კარგად ვერ გავრკვეულიყავი, ვისთვის შეიძლებოდა იეზუიტების საწინააღმდეგო დოკუმენტების მიყიდვა. ალბათ, მასონებისთვის, მაგრამ მათთან ჯერ კიდევ არ მქონდა სათანადო კავშირები. ანტიმასონური დოკუმენტებით, შეიძლება, იეზუიტები დაინტერესებულიყვნენ, მაგრამ ჯერ ვერ შევქმნიდი ასეთ საბუთებს. ნაპოლეონის წინააღმდეგ? მთავრობას ნამდვილად ვერ შევასაღებდი ნაპოლეონის საწინააღმდეგო რამეს, რესპუბლიკური წრეები კი მშვენიერი პოტენციური ბაზარი იყო საამისოდ, მაგრამ სიუსა და ჟოლის შემდეგ ახალს რაღას ვიტყოდი. რესპუბლიკელთა წინააღმდეგ რომ მომეგონებინა რამე? მაგრამ მთავრობას უკვე ყველაფერი ჰქონდა მათზე, რაც სჭირდებოდა და ლაგრანჟისთვის რომ ფურიერისტებზე შემე-

თავაზებინა რამე, ალბათ, სიცილად არ ეყოფოდა. ვინ იცის, მისი ინფორმატორებიდან უკვე რამდენი დაიარებოდა წიგნის მაღაზიაში ბონის ქუჩაზე.

ვინღა რჩებოდა? ისევ ებრაელები. მე მეგონა, მარტო ბაბუაჩემი იყო ებრაელებით შეპყრობილი, მაგრამ ტუსენელის გაცნობის შემდეგ მივხვდი, რომ ანტიებრაული ბაზარი არა მხოლოდ აბატი ბარუელის შესაძლო შთამომავლების სახით არსებობდა (თუმცა ისინიც მრავლად იყვნენ): ამ სივრცეში შედიოდნენ რევოლუციონერები, რესპუბლიკელები, სოციალისტები. ებრაელები არა მხოლოდ ეკლესიის მტრები იყვნენ: ისინი მდაბიო მასების მტრებიც იყვნენ, რომლებსაც სისხლს სწოვდნენ და ტახტისაც – იმის მიხედვით, ვინ იყო ხელისუფლებაში. მოკლედ, ებრაელებზე უნდა გამემახვილებინა ყურადღება.

ვხვდებოდი, რომ ადვილი საქმე არ იყო: საეკლესიო წრეების ნაწილზე, შეიძლებოდა, ჯერ კიდევ მომეხდინა შთაბეჭდილება ბარუელისაგან მოპარული იდეებით, თუ შევთითხნიდი დოკუმენტს, რომელშიც ებრაელები მასონებსა და ტამპლიერებთან ერთად გეგმავდნენ ფრანგულ რევოლუციას. მაგრამ ტუსენელისნაირი სოციალისტის დასაინტერესებლად ეს არ იკმარებდა, მისთვის რაღაც უფრო ზუსტი და ხელშესახები მჭირდებოდა ებრაელებთან კავშირზე, კაპიტალის დაგროვებაზე, ბრიტანულ შეთქმულებაზე.

ვნანობდი, რომ მთელი ცხოვრება შეგნებულად ვარიდებდი თავს ებრაელებთან ურთიერთობას. ახლა ვგრძნობდი, რომ ბევრი რამ არ ვიცოდი მათზე და ბრაზი მახრჩობდა.

ეს ფიქრები მღრღნიდა, როცა ისევ ლაგრანჟმა მიკარნახა გამოსავალი. უკვე გითხარით, რომ ლაგრანჟი ყველაზე უცნაურ, წარმოუდგენელ ადგილებში მიბარებდა ხოლმე. ჰოდა, მაშინ პერ-ლაშეზის სასაფლაოზე დამიბარა. მშვენიერი აზრი იყო: უცხო თვალს ძვირფასი მეგობრის საფლავის საძებნელად მისულები ვეგონებოდით. თუმცა, აბელარისა და ელოიზას

საფლავთან გრძნობამოზღვავებულები, წარსულს მონატრებულ რომანტიკოსებს უფრო ვგავდით: ეს ხომ ფილოსოფოსებისა და შეყვარებულების საყვარელი ადგილია.

– მაშ ასე, სიმონინი, მინდა, პოლკოვნიკი დიმიტრი შეგახვედროთ, ჩვენს წრეებში მხოლოდ ამ სახელითაა ცნობილი. რუსეთის იმპერატორის კანცელარიის მესამე განყოფილების თანამშრომელია. თავადაც მიხვდებით, პეტერბურგში რომ გაიკითხოთ ამ მესამე განყოფილებაზე, ვერაფერს გაიგებთ: ოფიციალურად არ არსებობს. მის აგენტებს რევოლუციური დაჯგუფებების კონტროლი ევალებათ. იქ, მათთან, უფრო სერიოზულადაა საქმე, ვიდრე ჩვენთან. აქამდე დეკაბრისტების, ანარქისტების შთამომავლებს ადევნებდნენ თვალს, ახლა კი ეგრეთ წოდებული ემანსიპირებული გლეხების გულისწყრომაც დაემატათ საზრუნავად. მეფე ალექსანდრემ რამდენიმე წლის წინ გააუქმა ბატონყმობა, მაგრამ ახლა დაახლოებით ოცმა მილიონმა გათავისუფლებულმა გლეხმა უნდა გამოისყიდოს მიწა თავიანთი ყოფილი ბატონებისაგან. თუმცა ის ორი გოჯი მიწა საარსებოდ მაინც არ ჰყოფნით, უმრავლესობა ქალაქებს მიაწყდა სამუშაოს საძებრად...

– ჩემგან რა უნდა მაგ პოლკოვნიკ დიმიტრის?

– დოკუმენტებს აგროვებს, როგორ გითხრათ... მაკომპრომეტირებელ საბუთებს, ებრაელებზე. რუსეთში ბევრად მეტი ებრაელია, ვიდრე ჩვენთან და რუს გლეხებს საფრთხეს უქმნიან, რადგან წერა-კითხვა, განსაკუთრებით კი – ანგარიში ეხერხებათ. ქალაქებში კიდევ უფრო მძიმეა ვითარება: ამბობენ, ბევრი მათგანი აჯანყებულთა სექტებს უერთდებაო. ჩემს რუს კოლეგებს ორმაგი თავსატეხი აქვთ: თან ებრაელებისგან დაიცვან თავი, ყველგან და ყველაფერში, სადაც ისინი რეალურ საფრთხეს წარმოადგენენ და ამავე დროს მათ წინააღმდეგ აამხედრონ უბირი გლეხობა. დიმიტრი უკეთ აგიხსნით ყველაფერს. ეს ჩვენ არ გვეხება. ჩვენი მთავრობა კარგ ურ-

თიერთობაშია საფრანგეთის ებრაულ ფინანსურ წრეებთან და ყველანაირად ერიდება მათ უკმაყოფილებას. მხოლოდ ის გვინდა, რუსებს დავეხმაროთ. როგორც ამბობენ, ჩვენს საქმეში ერთი ხელი მეორეს ბანს, ამიტომ თქვენს თავს დიდსულოვნად ვათხოვებთ პოლკოვნიკ დიმიტრის. სიმონინი, გახსოვთ, ალბათ, ოფიციალურად არაფერი გვაქვს თქვენთან საერთო. მართლა, კინაღამ დამავიწყდა, სანამ დიმიტრი მოსულა, გირჩევთ, ცნობები მოძებნოთ „ისრაელის მსოფლიო ალიანსზე", რომელიც ასე, ექვსი წლის წინ შეიქმნა პარიზში. მისი წევრები არიან ექიმები, იურისტები, ჟურნალისტები, საქმოსნები... პარიზის ებრაული საზოგადოების ნაღები. ყველა ლიბერალური ორიენტაციისაა და, ცხადია, უფრო რესპუბლიკელია, ვიდრე ბონაპარტის მომხრე. „ალიანსის" ოფიციალური მიზანია, დაეხმაროს დევნილებს, რომელი რელიგიისა და ეროვნებისაც უნდა იყვნენ ისინი, ადამიანის უფლებები დაიცვას. სანამ საპირისპირო არ დადასტურდება, საყოველთაოდ ცნობილია, რომ მისი წევრები უწესიერესი მოქალაქეები არიან. ძალიან ძნელია მათში ინფორმატორის შეგზავნა, ებრაელი ხომ სუნით სცნობს თავის ჯილაგს, ძაღლებივით არიან, უკანალს რომ უყნოსავენ ერთმანეთს. დაგაკავშირებთ ადამიანს, რომელმაც „ალიანსის" წევრების ნდობის მოპოვება მოახერხა. არის ასეთი, იაკობ ბრაფმანი, მართლმადიდებლობაზე მოქცეული ებრაელი, ახლა ებრაული ენის პროფესორია მინსკის სასულიერო სემინარიაში. ცოტა ხნითაა პარიზში ჩამოსული, სწორედ პოლკოვნიკ დიმიტრისა და მესამე განყოფილების დავალებით. მან შეძლო „ისრაელის ალიანსში" შეღწევა, რადგან „ალიანსის" ზოგიერთი წევრი იუდეველად იცნობდა მას. ბრაფმანი მოგაწვდით ცნობებს ამ ორგანიზაციაზე.

– მომიტევეთ, ბატონო ლაგრანჟ, მაგრამ, თუ ეს ბრაფმანი პოლკოვნიკ დიმიტრის ინფორმატორია, რაც მან იცის, დიმიტრისაც ეცოდინება და რაღა აზრი აქვს, მეც შევხვდე.



*...განდეგილი ბერის იერის კაცი შემრჩა ხელში, კოხტა, შევერცხლილი წვერით, ხშირი, ქოჩორა, ბოლოებში მეფისტოფელივით აწკეპილი წარბებით. ადრეც მენახა რუსები და პოლონელები ასეთი წარბებით...*

– გულუბრყვილო ნუ იქნებით, სიმონინი. აქვს აზრი, დამიჯერეთ. თუ თქვენ დიმიტრის იმავე ცნობებს მიაწვდით, რაც ბრაფმანისგან უკვე შეიტყო, უტყუარი ინფორმაციის მქონე ადამიანად წარმოჩნდებით მის თვალში. თქვენ მიერ მიწოდებული მასალა მის ხელთ არსებულ ცნობებს დაადასტურებს.

ბრაფმანი. ბაბუაჩემის მონაყოლი მაგონდებოდა და სვავისპროფილიან კაცს ველოდი, ზანგივით ლაშებგადმობრუნებულს, ხორციანი პირით, ღრმად ჩამჯდარი, ამღვრეული თვალებით, იუდეველებისთვის დამახასიათებელი პატარა თვალის ჭრილით, ხვეული თმით, პანტურა ყურებით... ამის ნაცვლად განდეგილი ბერის იერის კაცი შემრჩა ხელში, კოხტა, შევერცხლილი წვერით, ხშირი, ქოჩორა, ბოლოებში მეფისტოფელივით აწკეპილი წარბებით. ადრეც მენახა რუსები და პოლონელები ასეთი წარბებით.

როგორც ჩანს, სარწმუნოების შეცვლა მარტო სულს კი არა, სახის ნაკვთებსაც ასხვაფერებს.

ბრაფმანი კარგი სამზარეულოს დიდი ტრფიალი აღმოჩნდა. ოღონდ პროვინციული გაუმაძღრობით ცდილობდა, ყველაფერი გაესინჯა, კერძების შეხამების არაფერი გაეგებოდა, წარმოდგენა არ ჰქონდა, რის შემდეგ რა უნდა შეეკვეთა. „როშე დე კანკალში" ვისადილეთ, მონტორგეის ქუჩაზე. ადრე იქ მთელ პარიზში საუკეთესო ხამანწკები ჰქონდათ. ოციოდე წლის წინ დაკეტეს ეს რესტორანი. მერე გაიყიდა და ხელახლა გაიხსნა. ადრინდელს ვერ შეედრებოდა, მაგრამ ხამანწკებს კვლავ ამზადებდნენ და რუსი ებრაელი ნამდვილად ვერ დაიწუნებდა. ბრაფმანმა სულ რაღაც ორმოცდაათიოდე ბრეტონული ხამანწკა გადასანსლა და მერე კიბორჩხალას წვნიანი შეუკვეთა.

– ორმოცი საუკუნე რომ გაეტანა თავი, ეს სიცოცხლისუნარიანი ერი ცალკე მთავრობას აყალიბებდა ყველა ქვეყანაში, რომელსაც ეკედლებოდა, სახელმწიფოს სახელმწიფოში,

რომელსაც უფრთხილდებოდა და ინახავდა ყველგან და ყოველთვის, ათასწლოვანი ხეტიალის განმავლობაშიც კი. ჰოდა, მივაგენი საბუთებს, რომლებიც ამ სახელმწიფოს, ამ კანონის, კაჰალის არსებობას ადასტურებს.

– ეგ რაღაა?

– მისი ფესვები ჯერ კიდევ მოსეს უკავშირდება. მას შემდეგ დიასპორას დღის სინათლეზე აღარ უარსებია, მარად სინაგოგების ჩრდილს დარჩა შეფარებული. მე მივაგენი მინსკის კაჰალის საბუთებს, 1794-1830 წლებისას. ყველაფერი დაწერილია, უწვრილესი დეტალებიც კი აღრიცხულია.

რაღაც გრაგნილები გამიშალა, ჩემთვის გაუგებარი ნიშნებით სავსე.

– ყველა ებრაულ ერთობას ერთი კაჰალი მართავს. ერთობა დამოუკიდებელ სასამართლოს, ბეთ-დინს, ექვემდებარება. მე რასაც მივაკვლიე, მხოლოდ ერთი კაჰალის დოკუმენტებია, მაგრამ როგორც ჩანს, ასეთივეა ნებისმიერი სხვა კაჰალის საბუთებიც. ამ საბუთებში აღწერილია, როგორ უნდა დაემორჩილონ ერთობის წევრები მხოლოდ საკუთარ სასამართლოს, და არა იმ სახელმწიფოსას, რომელშიც ცხოვრობენ. აღწერილია, როგორ უნდა აღინიშნოს დღესასწაულები, როგორ უნდა დაიკლას საკლავი იუდეური კერძებისთვის, რომ ქრისტიანებს საქონლის მხოლოდ უწმინდური ნაწილები უნდა მიჰყიდონ. აღწერილია, როგორ რთავს ნებას კაჰალი თითოეულ ებრაელს, ქრისტიანს სისხლი გამოსწოვოს მევახშეობით, სანამ ბოლომდე არ დაეპატრონება მის ქონებას; რომ არც ერთ სხვა ებრაელს არ აქვს უფლება იმავე ქრისტიანზე... ღარიბების დაუნდობლობა, უპოვართა კიდევ უფრო გაყვლეფა და ბოლომდე გამოყენება, კაჰალის თანახმად, სულმოკლეობა კი არა, ღირსებაა, მთავარია, ამას ისრაელის შვილი აკეთებდეს. ზოგიერთი ამბობს, რომ რუსეთის ებრაელები განსაკუთრებით ღარიბები არიან: მართალია, რუსეთში უამრავი ებრაელია იმ ფარული

მთავრობის მსხვერპლი, რომელსაც მდიდარი ებრაელები მართავენ. მე ებრაელებს არ ვემტერები, თავადაც ებრაელად ვარ დაბადებული. *იუდეურ იდეას* ვებრძვი, რომელსაც ქრისტიანობის ჩანაცვლება სურს... ებრაელები რომ მიყვარს, ამაში მათივე მოკლული იესო დამემოწმება...

ბრაფმანმა ამოისუნთქა, გნოლის მკერდის ლაბა შეუკვეთა და ისევ თავის გრაგნილებს მიუბრუნდა. თვალები უბრწყინავდა:

– ყველაფერი ნამდვილია, ხედავთ? ქაღალდის ასაკიც აშკარაა, ნაწერიც ერთნაირია და ნოტარიუსის ხელმოწერაც აშკარად იგივეა ყველგან, თუმცა თარიღები სხვადასხვაა.

ჰოდა, ბრაფმანს, რომელსაც დოკუმენტები უკვე ეთარგმნა ფრანგულად და გერმანულად, ლაგრანჟისგან გაეგო, რომ მე ავთენტიკური დოკუმენტების შექმნა შემეძლო და მთხოვდა, ორიგინალის ფრანგული ვერსია შემექმნა. ამავე ეპოქის უნდა იყოს, რომელსაც ეს გრაგნილები ეკუთვნისო. ძალიან მნიშვნელოვანია, ეს დოკუმენტები სხვა ენებზეც არსებობდეს, რათა რუსეთის კონტრდაზვერვას დავუმტკიცო, რომ კაჰალის მოდელი ევროპის სხვა ქვეყნებშიცაა გავრცელებული და მას განსაკუთრებით სწორედ პარიზული „ისრაელის ალიანსი" მისდევსო.

ვკითხე, აღმოსავლეთ ევროპის რომელღაც მიკარგული ხალხის მიერ შექმნილი ამ დოკუმენტებით მსოფლიო კაჰალის არსებობას როგორ დაამტკიცებთ-მეთქი. ბრაფმანმა მითხრა, თქვენ მაგაზე ნუ იდარდებთ, ამ საბუთებს მხოლოდ გამამყარებელი ფუნქცია ექნებათ, დაადასტურებენ იმას, რომ ჩემი მოსაზრებები ფანტაზიის ნაყოფი არაა, თორემ ჩემი წიგნი ისედაც საკმაოდ დამაჯერებელი იქნება ნამდვილი კაჰალის – ამ უზარმაზარი რვაფეხას – სამხილებლად, რომელიც საცეცებით მთელ ცივილიზებულ სამყაროს ეპოტინებაო.

ნაკვთები თანდათან გაუმკაცრდა, მტაცებელ ფრინველს დაემსგავსა და აშკარად გაამჟღავნა ებრაელი, ყველაფრის მიუხედავად, ჯერ კიდევ რომ სახლობდა მასში.

– თალმუდურ სულს სამყაროზე ბატონობის უსაზღვრო ამბიცია ამოძრავებს, არაებრაელთა ქონების დაუფლების დაუოკებელი წყურვილი და ქრისტიანების, იესო ქრისტესადმი დაუძლეველი ღვარძლი. იქამდე, სანამ ისრაელი ქრისტეს სჯულზე არ მოექცევა, ებრაელებისთვის ყველა ქრისტიანული ქვეყანა, სადაც ებრაელები სახლობენ, უპატრონო ტბა იქნება, რომელშიც თითოეულ ებრაელს შეუზღუდავად შეუძლია, ითევზაოს. ასე ამბობს თალმუდი.

თითქოს საკუთარი ღვარძლით გასავათებული, ბრაფმანი ქოშინით ლაპარაკობდა. თეთრ ღვინოში ჩაშუშული ქათმის ნაჭრები შეუკვეთა თეთრი სოუსით, მაგრამ კერძი არ მოეწონა და შეაცვლევინა: ქათმის მკერდი აიღო გახეხილი ტრუფელით. მერე ჟილეტის ჯიბიდან ვერცხლის საათი ამოიღო:

– უჰ, გვიანი ყოფილა. ფრანგული სამზარეულო ღვთაებრივია, მაგრამ ნელა იციან მომსახურება. სასწრაფო საქმე მაქვს, უნდა წავიდე. შემატყობინეთ, კაპიტანო სიმონინი, სათანადო ქაღალდისა და მელნის შოვნას თუ მოახერხებთ.

ბრაფმანმა ბოლოს ვანილის სუფლეთიც ჩაიკოკლოზინა ყელი. დარწმუნებული ვიყავი, როგორც ჭეშმარიტი ებრაელი, თუნდაც გაქრისტიანებული, მე გადამახდევინებდა ფულს. მაგრამ შევცდი: ბრაფმანმა უაღრესად დარდიმანდულად გამომიცხადა, ნება მიბოძეთ, მე დაგპატიჟოთ ამ „საუზმეზეო“. ალბათ, რუსული კონტრდაზვერვა მეფურ გასამრჯელოს უხდიდა.

ფრიად შეფიქრიანებული დავბრუნდი სახლში. ჯერ ერთი, ორმოცდაათი წლის წინ მინსკში შექმნილი დოკუმენტი, რომელშიც ისეთი დეტალებიც კი იყო მითითებული, ვინ მიეწვიათ წვეულებაზე და ვინ არა, სულაც არ ნიშნავდა, რომ პარიზის ან ბერლინის მსხვილი ბანკირებიც იმავე წესებს იცავდნენ, და მეორე, მე ჩემი წესები მქონდა: არასოდეს მემუშავა ნამდვილ ან ნაწილობრივ ნამდვილ დოკუმენტებზე! თუკი საბუთი ოდეს-

მე არსებობდა, ან სადმე კიდევ არსებობს, ყოველთვის შეიძლება, ვინმემ მოიკითხოს, მოიძიოს, რაღაც უზუსტობა აღმოაჩინოს და დაამტკიცოს კიდეც... დამაჯერებელი რომ იყოს, ახალი დოკუმენტის შექმნაა საჭირო, სასურველია, ორიგინალის ხსენებაც კი არსად იყოს, ან გაკვრით იყოს ნახსენები, ისე, რომ წყაროს მოძებნა სრულიად შეუძლებელი იყოს. სახარების მოგვების ამბავი ამის საუკეთესო მაგალითია: მხოლოდ მათემ ახსენა ისინი გაკვრით ორგან, არც მათი სახელები უთქვამს, არც რაოდენობა, არც ის, მეფეები იყვნენო. დანარჩენი ყველაფერი ხალხის გამონაგონია. არადა, მოგვები ისევე რეალურად არსებული ადამიანები არიან ყველასთვის, როგორც იოსები და მარიამი. გამიგია, სადღაც მათ ნეშტებსაც კი ეთაყვანებიან თურმე. სიახლე განსაკუთრებული, გამაოგნებელი უნდა იყოს, რომანის სიუჟეტს უნდა ჰგავდეს. მხოლოდ ასე დაიჯერებს მას ყველა, მხოლოდ მაშინ აღაშფოთებს მასებს. რაში უნდა ანაღვლებდეს შამპანელ მეღვინეს, როგორ ათხოვებდნენ ებრაელები თავიანთ ქალიშვილებს? განა ეს დაარწმუნებს ფრანგს, რომ ებრაელს მისი გაძარცვა განუზრახავს?

უეცრად მივხვდი, რომ დამადასტურებელი საბუთი – უფრო სწორად, მისი დამაჯერებელი მონახაზი – ხელთ მქონდა (გუნოს „ფაუსტზე“ ბევრად უკეთესი, რომელზეც პარიზელები ასე გიჟდებოდნენ ბოლო წლებში) და ისღა მრჩებოდა, შესაფერისი ამბებით შემევსო. რა თქმა უნდა, ქუხილის მთაზე თავშეყრილ მასონებზე, ჯუზეპე ბალზამოს გეგმასა და პრაღის სასაფლაოზე ღამით შეკრებილ იეზუიტებზე ვფიქრობდი.

რა უნდა ყოფილიყო სამყაროს დასაუფლებლად ებრაელთა პირველი ნაბიჯი? ცხადია, ოქროს დაპატრონება, როგორც ტუსენელმა მიკარნახა. სამყაროს დაპყრობა, მონარქიებისა და მთავრობების თავდაყირა დაყენება, ოქროს დაუფლება, სოციალისტების, ანარქისტებისა და რევოლუციონერთა დასაკმაყოფილებლად, ქრისტიანული სამყაროს ჯანსაღი პრინციპების

მოშლა – პაპის, ეპისკოპოსებისა და მღვდლების შესაშფოთებლად. და ცოტა ის ბონაპარტისტული ცინიზმიც საჭირო იყო, რომელზეც ასე კარგად თქვა ჟოლიმ, და ის იეზუიტური ფარისევლობაც, რომელსაც მეც და ჟოლიც სიუს დავსესხებოდით.

პარიზის ბიბლიოთეკას მივაშურე, რომელიც ტურინისაზე ბევრად მდიდარი იყო და პრაღის სასაფლაოს უამრავ სურათს მივაგენი. შუა საუკუნეებში დაარსებული სასაფლაო საუკუნეთა მანძილზე იზრდებოდა, მაგრამ რადგან ველარ გაფართოვდებოდა და დადგენილ საზღვრებს ვერ გასცდებოდა, მკვდრებს ერთიმეორეზე ასაფლავებდნენ თურმე. ასი ათასამდე მიცვალებული იყო დაკრძალული. ერთიმეორეზე მიწყობილ საფლავის ქვებს ანწლის ბუჩქები ფარავდა. სურათები არსად ჩანდა: იუდეველებს შიშის ზარს სცემთ გამოსახულება. ქვის მთლელებს მეტისმეტი მოსვლიათ: სოკოებივით იყო დახვავებული საფლავის ქვები და ქარზე გადაწოლილ გაუვალ ბუჩქნარს ჰგავდა იქაურობა, ის ქვები კი – კუდიანი დედაბრის დაბჩენილი პირიდან უწესრიგოდ ამოჩრილ ჩაშავებულ მეჩხერ კბილებს. ერთი ისეთი ნახატიც ვნახე ბიბლიოთეკაში, სადაც სასაფლაო მთვარის შუქზე იყო გამოსახული და მაშინვე ნათლად წარმოვიდგინე, რის გადმოღება შემეძლო ამ ავბედითი გარემოდან: როგორ გეგმავდნენ შეთქმულებას საშინელი მიწისძვრისგან ამოყრილ, ერთმანეთზე გადამჯდარ საფლავის ქვებში მოკუნტული, კაპიუშონიან მოსასხამებში ჩამალული ჭაღარა, თხის წვერა შეთქმული რაბინები. ღამის წყვდიადში გახევებული ჩრდილების ტყეს ჰგავდა მათი თავყრილობა. ცენტრში კი იყო რაბი ლოუს საფლავი, რომელმაც მეჩვიდმეტე საუკუნეში შექმნა გოლემი, ურჩხული, იუდეველთა შურისგების აღსასრულებლად.

ამ სიუჟეტს დიუმას ამბებიც ვერ შეედრებოდა. იეზუიტების ისტორიასაც კი სჯობდა.

ცხადია, ჩემი დოკუმენტი იმ შემზარავი ღამის მოწმის მონათხრობის სახით იქნებოდა წარმოდგენილი. მოწმის ვინაობის

გამხელა არ შეიძლებოდა, თორემ სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა. ის ღამით, რაბინად გადაცმული, რიტუალის დაწყებამდე შევიდოდა სასაფლაოზე და რაბი ლოუს საფლავთან, ქვების გროვაში ჩაიმალებოდა. ზუსტად შუაღამისას – თითქოს შორიდან რომელიღაც ქრისტიანული ეკლესიის სამრეკლოს ზარებს ეუწყებინოთ მკრეხელურად იუდეველთა თავყრილობის დასაწყისი – თორმეტი შავოსანი მოგროვდებოდა და საფლავიდან მომავალი ხმა მიესალმებოდა მათ, როგორც ისრაელის თორმეტი შტოს მამამთავართ. თითოეული მათგანი უპასუხებდა: „მოგესალმებით, ძეო წყეულისა“.

ასეთი იყო სცენა. ისევე, როგორც ქუხილის მთაზე, აქაც ხმა, რომელმაც შეკრებილთ უხმო, კითხულობს: „ასი წელი გავიდა ჩვენი ბოლო შეკრებიდან. საიდან მოდიხართ და ვის წარმოადგენთ?“ შეკრებილები რიგრიგობით პასუხობენ: რაბი იუდა ამსტერდამიდან, რაბი ბენიამინი ტოლედოდან, რაბი ლევი ვორმსიდან, რაბი მენაშე პეშტიდან, რაბი გადი კრაკოვიდან, რაბი სიმონი რომიდან, რაბი ზებულონი ლისაბონიდან, რაბი რუბენი პარიზიდან, რაბი დანი კონსტანტინეპოლიდან, რაბი აშერი ლონდონიდან, რაბი ისაქარი ბერლინიდან, რაბი ნაფთალი პრაღიდან. მაშინ ხმა, ანუ შეკრების მეცამეტე მონაწილე, თითოეულს თავისი ერთობის ქონებაზე ეკითხება, ანგარიშობს როტშილდებისა და სხვა იუდეველი ბანკირების ქონებას, რომლებიც განაგებენ სამყაროს. ასე რომ, ევროპაში მცხოვრები სამი მილიონ ხუთასი ათასი ებრაელიდან თითოზე ექვსასი ფრანკი გამოდის, ანუ სულ ორი მილიარდი ფრანკი. ჯერ არაა საკმარისი, ამბობს მეცამეტე ხმა, ორას სამოცდახუთი მილიონი ქრისტიანის გასანადგურებლად, მაგრამ დასაწყისისთვის არა უშავს.

ჯერ არ მომეფიქრებინა, კიდევ რას იტყოდნენ, მაგრამ დასკვნა უკვე წარმოდგენილი მქონდა: მეცამეტე ხმამ რაბი ლოუს სული გამოიხმო, მოცისფრო სინათლის სვეტი წამოიმართა მი-

სი საფლავიდან, მალე კაშკაშა ლურჯ სინათლედ გადაიქცა და როცა თითოეულმა მონაწილემ თითო ქვა დააგდო საფლავზე, შუქიც ნელ-ნელა გაილია და ჩაქრა. თორმეტი შავოსანი სხვადასხვა მხარეს გაიფანტა და წყვდიადს შეუერთდა (ხომ ასე ამბობენ ხოლმე!), სასაფლაო კი თავის აჩრდილურ, უსულო სევდას დაუბრუნდა.

მოკლედ, დიუმა, სიუ, ჟოლი, ტუსენელი. მთელ იმ გამონაგონში ჩემი სულიერი მოძღვრის, პადრე ბარუელის, მხარდამჭერის გარდა, გულმხურვალე კათოლიკის მოსაზრებაც მაკლდა. სწორედ იმ დღეებში ლაგრანჟმა, როცა მიჩიჩინებდა, „ისრაელის ალიანსთან" კავშირი დამემყარებინა, გუჟენო დე მუსო ახსენა. მასზე ადრეც მსმენოდა, ჟურნალისტი იყო, ლეგიტიმისტი კათოლიკე, რომელიც ადრე მაგიის საკითხებით, დემონური საქმეებით, საიდუმლო საზოგადოებებითა და მასონებით იყო დაინტერესებული.

– როგორც ვიცით, – მითხრა ლაგრანჟმა, – მალე ამთავრებს წიგნს იუდეველებსა და ქრისტიანი ხალხების იუდეიზაციაზე. გესმით, რას ვგულისხმობ? შეიძლება, გამოგადგეთ მასთან შეხვედრა, რათა ჩვენი რუსი მეგობრების დასაკმაყოფილებლად საკმარისი მასალა მოაგროვოთ. ნამდვილად წაგვადგებოდა, უფრო დაწვრილებით რომ გვცოდნოდა, რას წერს, რადგან ჩვენს მთავრობას, ეკლესიასა და ებრაულ ფინანსურ წრეებს შორის ურთიერთობის გაფუჭება არ გვაწყობს. შეგიძლიათ, ებრაული საკითხების მკვლევრად გაეცნოთ და დაუახლოვდეთ, ვითომ აღფრთოვანებული ხართ მისი შრომებით. არის ერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია, გიშუამავლოთ, ვინმე აბატი დალა პიკოლა. ბევრჯერ დაგვხმარებია.

– კი, მაგრამ ებრაული რომ არ ვიცი?

– ვინ გითხრათ, რომ გუჟენომ იცის ებრაული? ვინმე რომ გძულდეს, სულაც არაა აუცილებელი, მის ენაზე ილაპარაკო.

ახლა (უეცრად!) მაგონდება ჩვენი პირველი შეხვედრა. თვალწინ მიდგას აბატი დალა პიკოლა... ვხვდები, რომ სულაც არაა ჩემი ორეული ან ტყუპისცალი, თუ, როგორც გნებავთ, ისე უწოდეთ: სამოცი წლის მაინც იქნება, მოკუნტულია, ელამი, წინ გამოყრილი კბილებით. „აბატი კვაზიმოდო“, გავიფიქრე, რომ დავინახე. თან გერმანული აქცენტი ჰქონდა. მახსოვს, როგორ ჩამჩურჩულა დალა პიკოლამ, მარტო ებრაელებზე კი არა, მასონებზეც უნდა გვეჭიროს თვალი, რადგან საბოლოო ჯამში ეს ერთი და იგივე შეთქმულებააო. მიმაჩნდა, რომ ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე ბრძოლა არ შეიძლება და სიტყვა ბანზე ავუგდე. მაგრამ აბატის გადაკრულმა სიტყვებმა მიმახვედრა, რომ მასონთა თავყრილობებზე ინფორმაცია იეზუიტებს აინტერესებდათ, რადგან ეკლესია ძლიერ დარტყმას ამზადებდა მასონური სენის წინააღმდეგ.

– ასე რომ, – მითხრა დალა პიკოლამ, – თუ ოდესმე დააპირებთ იმ წრეებთან ურთიერთობის დამყარებას, მითხარით. მე ერთი პარიზული ლოჟის წევრი ვარ და კარგი ნაცნობობა მაქვს მათ წრეში.

– თქვენ? მღვდელს? – გავიოცე.

დალა პიკოლამ გაიღიმა:

– რომ იცოდეთ, რამდენი მღვდელია მასონი...

ამასობაში კავალერ გუჟენო დე მუსოსთან შეხვედრა მოვახერხე. სამოცდაათი წლის, მოფახფახებული მოხუცი იყო, ბევრი აზრი არ შერჩენოდა თავში, მაგრამ რაც ჰქონდა, იმის ჯიუტად სჯეროდა და ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ არსებობდნენ დემონები, ჯადოქრები, ალქაჯები, სპირიტისტები, მესმერისტები, ებრაელები, კერპთაყვანისმცემელი მღვდლები და თვით „ელექტრისტებიც“ კი, რომლებსაც სიცოცხლის ერთგვარი მუხტისებური საწყისის არსებობა სჯეროდათ.

სიტყვაწყლიანი კაცი ჩანდა, შორიდან დაიწყო მოყოლა. უხმოდ ვისმენდი მის მოსაზრებებს მოსეზე, ფარისეველებზე, დიდ სინედრიონზე, თალმუდზე. თუმცა გუჟენო შესანიშნავი კონიაკითაც გამიმასპინძლდა. მეც, სასმლის ხათრით, მორჩილად ვიტანდი მოხუცის ტირადას.

გამიმხილა, კახპა ქალები ებრაელებში მეტნი არიან, ვიდრე ქრისტიანებშიო (ვფიქრობდი, ეს ხომ სახარებიდანაც ცნობილია, საითაც არ წავიდოდა, იესო ცოდვილ დედაკაცებს გადაეყრებოდა ხოლმე-მეთქი). მერე ამიხსნა, რომ თალმუდის მორალისთვის უცხოა მოყვასის ცნება და არც ადამიანის წინაშე ვალდებულებაა სადმე ნახსენები. ეს კი ზუსტად ხსნის და თავისებურად ამართლებს კიდეც ებრაელების უმოწყალობას: მათთვის ხომ არაფერია ოჯახების დანგრევა, ნორჩი გოგონებისთვის ნამუსის ახდა, ქვრივებისა და მოხუცებისთვის ვახშით წვეთ-წვეთად სისხლის გამოწოვა. არა მარტო მეძავი, ავაზაკიც მეტი ყოფილა იუდეველთა შორის, ვიდრე ქრისტიანებში. – იცოდით, რომ ლაიფციგის სასამართლოში განხილული ძარცვის თორმეტი შემთხვევიდან თერთმეტი ებრაელის ჩადენილია? – გუჟენომ ხმას აუწია. მერე კი ეშმაკური ღიმილით დაამატა: – ან რა გასაკვირია: ბოლოს და ბოლოს, გოლგოთაზე სამიდან ორი ავაზაკი იყო და ერთი – მართალი. საზოგადოდ, – დაასკვნა ბოლოს, – ებრაელები ყველაზე ბინძურ დანაშაულს სჩადიან: მევახშეობენ, თაღლითობენ, მოტყუებით აკოტრებენ ადამიანებს, კონტრაბანდისტობენ, ყალბ ფულს ჭრიან, ცრუ სავაჭრო გარიგებებს დებენ... ნუღარ ჩამომათვლევინებთ.

მევახშეობის დაწვრილებით მიმოხილვას თითქმის ერთი საათი დაუთმო და ყველაზე მწველ საკითხსაც შეეხო: ყრმათა კვლასა და ანთროპოფაგიას. ბოლოს კი, თითქოს სურდა, ამ შავბნელი ამბების გარდა იუდეველთა საქმიანობის აშკარა, საქვეყნოდ ცნობილი მახინჯი მხარეები წარმოაჩინოსო, ებრაული ფინანსური წრეების უკუღმართობებს გადასწვდა, რომლებ-

საც საფრანგეთის სუსტი, უხერხემლო ხელისუფლება ვერ ეწინააღმდეგებოდა და მით უფრო – ვერაფრით სჯიდა.

ყველაზე საინტერესო, თუმცა სრულიად გამოუსადეგარი იყო დე მუსოს მოსაზრებები ებრაელების ინტელექტუალურ უპირატესობაზე ქრისტიანებთან შედარებით. ისე ლაპარაკობდა ამაზე, თავადაც ებრაელი გეგონებოდა. თან დიზრაელის მოსაზრებებს იშველიებდა, რომლებიც ადრე ტუსენელისგან მქონდა მოსმენილი (რომელთა თანახმადაც ფურიერისტ სოციალისტებსა და მონარქისტ კათოლიკეებს ერთი რამ მაინც აერთიანებდათ: ებრაელთა მიმართ დამოკიდებულება), ოღონდ მომეჩვენა, რომ არ ეთანხმებოდა საყოველთაოდ გავრცელებულ შეხედულებას ებრაელის რაქიტულ, არაჯანსაღ შესახედაობაზე: იმის გამო, რომ სხეულს არ ავარჯიშებენ და სამხედრო საქმეს არ მისდევენ (კარგად ვიცით, რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნებისთვის ფიზიკურ შეჯიბრებებსო), იუდეველებს სუსტი, ფაქიზი აღნაგობა აქვთ, მაგრამ უფრო ხანგრძლივად ცხოვრობენ, საოცარი ნაყოფიერებით გამოირჩევიან (ეს მათი გაუმაძღარი სექსუალური ჟინის შედეგიც ყოფილა) და ბევრი ისეთი დაავადება არ ეკარებათ, რომელიც კაცობრიობის დანარჩენ ნაწილს ხრავსო. ამრიგად, იუდეველები, როგორც სამყაროს დამპყრობლები, კიდევ უფრო სახიფათოები არიანო.

– ამიხსენით, რატომ არასოდეს დასტყდომიათ თავს ებრაელებს ეპიდემიები, თუნდაც ქოლერა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ქალაქის ყველაზე ბინძურ უბნებში ცხოვრობდნენ? 1346 წლის შავი ჭირის ქრონიკები გადაიკითხეთ: ისტორიკოსი წერს, რომ ებრაელებს არც ერთ ქვეყანაში არ შეყრიათ სენი. ფრასკატორი გვამცნობს, რომ 1505 წლის ტიფის ეპიდემიას მხოლოდ ებრაელები გადაურჩნენ, დეგნერი იტყობინება, რომ მხოლოდ ებრაელებს არ შეხებიათ 1736 წლის დიზენტერიის ეპიდემია ნეიმეგენში, ვავრუხი ამტკიცებს, რომ ღორის სოლიტერი გერმანიაში მხოლოდ ებრაულ მოსახლეობას არ ემარ-

თება. რატომ ხდება ასე, თუ ებრაელები მსოფლიოში ყველაზე ბინძური ერია, რომლის წარმომადგენლებიც მხოლოდ საკუთარი სისხლის ადამიანზე ქორწინდებიან? ეს ხომ ბუნების კანონს ეწინააღმდეგება? რით ავხსნათ ეს ყველაფერი, იუდეველთა უკუღმართი კვებით? თუ წინადაცვეთით? რა ამოუცნობი ძალით არიან ჩვენზე ძლიერები, თუმცა იერით უფრო სუსტებს ჰგვანან? ასეთ მუხანათ და ძლევამოსილ მტერს ნებისმიერი საშუალებით უნდა ებრძოლო. დარწმუნებული ვარ ამაში. დაფიქრებულხართ, რომ როცა აღთქმულ მიწაზე დადგეს ფეხი, მხოლოდ ექვსასი ათასი მამაკაცი ჰყავდათ და თუ ერთ ზრდასრულ მამაკაცზე ოთხ ადამიანს დავითვლით, ორმილიონნახევრიანი ერი გამოდის? სოლომონის დროს მილიონ სამასი ათასი მებრძოლი ჰყავდათ, ანუ ხუთი მილიონი სული – გაორმაგებული მოსახლეობა. დღეს? ისე არიან გაფანტული ყველა კონტინენტზე, ძნელია მათი დათვლა, მაგრამ ყველაზე მოკრძალებული ვარაუდით ათ მილიონს აღწევენ. და კვლავ მრავლდებიან, მრავლდებიან...

ბრაზმა მოხუცს ქანცი გააცალა, ლაპარაკი უჭირდა და ვიფიქრე, სულის მოსათქმელად მისივე კონიაკი შემეთავაზებინა. მალევე აღიდგინა ძალები და როცა მესიანიზმსა და კაბალაზე გადავედით (მაგიასა და სატანიზმზე საკუთარი წიგნებიც მიმოიხილა), უკვე კარგად შეჟუჟუნებული გახლდით. არც კი ვიცი, როგორ მოვახერხე წამოდგომა, მადლობის გადახდა და გამომშვიდობება.

მეტისმეტად უხვი მასალაა-მეთქი, ვფიქრობდი. მთელი ეს ცნობები ლაგრანჟისნაირ ხალხზე გათვლილ დოკუმენტში რომ ჩავრთო, საიდუმლო სამსახურმა, შეიძლება, აქეთ გამომაწყვდიოს დილეგში, მაგალითად, იფის ციხეში, როგორც დიუმას ერთგულ მკითხველს შეშვენის-მეთქი. მაშინ, ალბათ, სათანადოდ ვერ შევაფასე დე მუსოს ნაშრომი. ახლა მაგონდება, რომ



*...ბრაზმა მოხუცს ქანცი გააცალა, ლაპარაკი უჭირდა და ვიფიქრე, სულის მოსათქმელად მისივე კონიაკი შემეთავაზებინა...*

მისი „ებრაელი, იუდაიზმი და ქრისტიანი ხალხების იუდეიზაცია“ 1869 წელს გამოვიდა, წვრილად ნაბეჭდმა, თითქმის ექვსასგვერდიანმა წიგნმა პაპ პიუს IX-ის კურთხევა მიიღო და მკითხველის დიდი მოწონებაც დაიმსახურა. მაგრამ მაშინ უკვე იმდენი ანტიებრაული ბროშურა თუ მონოგრაფია იბეჭდებოდა ყოველდღიურად, რომ იძულებული ვიყავი, ცნობები დამეხარისხებინა.

პრაღის სასაფლაოზე რაღაც ადვილად გასაგები უნდა მეთქმევინებინა ჩემი რაბინებისთვის, რაღაც სახალხო, თავისებურად ახალიც. აღარავის აინტერესებდა ის ყბადაღებული ყრმათა ჟლეტა, რომელზეც იმდენი საუკუნე ლაპარაკობდნენ, რომ ხალხს ჯადოქრების არსებობის უფრო სჯეროდა, ვიდრე ამ ამბის. მხოლოდ ბავშვებს უკრძალავდნენ გეტოს სიახლოვეს ჩავლას, ეს იყო და ეს.

მოკლედ, ასე დავუბრუნდი იმ ავბედითი ღამის აღწერას. მეცამეტე ხმა იწყებდა შეკრებას:

– ჩვენმა მამებმა ისრაელის რჩეულთ დაავალეს, საუკუნეში ერთხელ წმინდა რაბინის, სიმონ ბენ იეჰუდას საფლავზე შეიკრიბონ. თვრამეტი საუკუნეა, ჯვარმა წაგვართვა აბრაამის კუთვნილი ძალაუფლება. ისრაელის ხალხმა, გათელილმა, მტერთაგან დამცირებულმა, სიკვდილისა და პატივაყრის მუდმივი მუქარის ქვეშ მყოფმა, გადარჩენა შეძლო. და თუ ეს ერი მთელ დედამიწაზე გაიბნა, ნიშნავს, რომ მთელი სამყარო მას უნდა ეკუთვნოდეს. აარონის დროიდან ჩვენ გვეკუთვნის ოქროს ხბო.

– დიახ, – ხმა ამოიღო რაბი ისაქარმა, – როცა მხოლოდ ჩვენს ხელთ იქნება სამყაროს ოქრო, ნამდვილი ძალის მფლობელები მაშინ გავხდებით.

– მტერთან ათასწლიანი, სასტიკი და განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ, – განაგრძო მეცამეტე ხმამ, – უკვე მეათედ იკრიბებიან აქ, ჩვენი რაბინის, სიმონ ბენ იეჰუდას საფლავზე, ისრაელის ხალხის ყველა თაობის რჩეულნი. მაგრამ არასოდეს

ყოფილა ჩვენს წინაპართა ხელში ამდენი ოქრო და, შესაბამისად, ამხელა ძალა, როგორც ამჯერად. ისრაელის ხალხის ხელშია ფინანსური წრეები პარიზში, ლონდონში, ბერლინში, ამსტერდამში, ჰამბურგში, რომში, ნეაპოლში, როტშილდებთან... – რაბინო რუბენ, გვითხარი რამე, პარიზის ვითარება შენზე კარგად არავინ იცის.

– ყველა იმპერატორს, მეფეს თუ მთავარს, – დაიწყო რაბინმა რუბენმა, – ჩვენი ვალი აქვს. ჯარის შესანახად თუ მორყეული ტახტების გასამაგრებლად ფულს ჩვენ გვთხოვენ. კიდევ უფრო უნდა გავამარტივოთ სესხის აღება, სანამ ბოლომდე მუჭში არ მოვიქცევთ მათ. ქვეყნებს გირაოს სანაცვლოდ გზების, ქარხნების და ბრძმედების მშენებლობა, საბადოების დამუშავება უნდა დავუფინანსოთ, საბოლოოდ მოვიპოვოთ კონტროლი უძრავ ქონებასა და გადასახადების მართვის სისტემაზე.

– სოფლის მეურნეობას ნუ დაივიწყებთ. ის მუდამ ყველა ქვეყნის უდიდესი სიმდიდრეა, – ჩაერთო რომაელი სიმონი. – დიდი საფონდო ქონება ერთი შეხედვით ხელუხლებელი რჩება, მაგრამ თუ მოვახერხებთ, მთავრობებს ის დავაქუცმაცებინოთ, მისი შესყიდვა უფრო გაადვილდება.

მერე ამსტერდამელი რაბი იუდა წამოდგა:

– მაგრამ ჩვენი არაერთი ძმა ისრაელში სარწმუნეობას იცვლის და ქრისტიანად ინათლება...

– ამას მნიშვნელობა არ აქვს! – უპასუხა მეცამეტე ხმამ. – მონათლულებიც წარმატებით ემსახურებიან საერთო საქმეს. მათი სხეული ინათლება, სული და სამშვინველი კი ისრაელის ერთგული რჩება. მომავალ საუკუნეში ისრაელის შვილებს კი აღარ მოუწევთ მონათვლა, პირიქით, ბევრი ქრისტიანი მოინდომებს ჩვენს წმინდა რჯულზე მოქცევას. და მაშინ ისრაელი ზიზღით განაგდებს მათ.

– უწინარეს ყოვლისა, – წამოდგა რაბი ლევი, – გავითვალისწინოთ, რომ ქრისტიანული ეკლესია ჩვენი ყველაზე საშიში

მტერია. ქრისტიანთა შორის უნდა გავავრცელოთ თავისუფალი აზრის, სკეპტიციზმის იდეები, უნდა განვარისხოთ ამ რელიგიის ძლიერნი.

– გავავრცელოთ პროგრესის იდეა, რომლის შედეგია რელიგიათა თანასწორობა, – საუბარში ჩაერთო რაბი მენაშე. – ვიბრძოლოთ ქრისტიანული რელიგიის გაკვეთილების შესამცირებლად სასკოლო პროგრამებში. ისრაელის ნიჭიერი, ბეჯითი შვილები ადვილად დაიკავებენ მასწავლებლის თანამდებობას ქრისტიანულ სკოლებში. ამრიგად, რელიგიური აღზრდის ფუნქცია ოჯახებს დარჩება და რადგან ოჯახების უმრავლესობას დრო არ აქვს, რომ ამას ყურადღება მიაქციოს, რელიგიური სული თანდათან წაიშლება.

კონსტანტინოპოლელი რაბი დანიც შეუერთდა დისკუსიას:

– მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვაჭრობა არ გაგვისხლტეს ხელიდან. უნდა დავეპატრონოთ ალკოჰოლის, კარაქის, პურისა და ღვინის ბაზარს, რათა ერთპიროვნულად ვაკონტროლოთ მსოფლიოს სოფლის მეურნეობა.

პრაღელმა ნაფთალმაც მოისურვა აზრის გამოთქმა:

– სასამართლო და ვექილთა კორპუსიც ჩვენი სამიზნეა. სახალხო განათლების მინისტრები რატომ ვერ გახდებიან ისრაელის შვილები, თუ ფინანსთა მინისტრის პოსტი უკვე ბევრ ქვეყანაში უკავიათ?

ბოლოს ტოლედოს რაბინმა, ბენიამინმა მიმართა შეკრებილებს:

– ჩვენთვის ყველა პროფესია მნიშვნელოვანია, რომელსაც ნდობა აქვს საზოგადოებაში: ფილოსოფია, მედიცინა, სამართალი, მუსიკა, ეკონომიკა, ერთი სიტყვით – მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის ყველა დარგში უნდა გამოვავლინოთ ჩვენი ნიჭი. მედიცინა მაინც უპირველესია! ექიმი ოჯახის ყველაზე ინტიმურ დეტალებს იცნობს, მის ხელშია ქრისტიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ხელი უნდა შევუწყოთ შერეულ

ქორწინებებს ისრაელის შვილთა და ქრისტიანთა შორის: უწმინდური სისხლის რამდენიმე წვეთის შეშხაპუნება ჩვენს ჯიშში, ღვთის რჩეული რასის ძარღვებში, მას ვერ გასვრის, სამაგიეროდ ჩვენი შვილები წარჩინებულ, ძლევამოსილ ქრისტიანთა ოჯახებს დაუნათესავდებიან.

– დავასრულოთ ჩვენი შეკრება, – წარმოთქვა მეცამეტე ხმამ. – თუ ოქრო სამყაროს მამოძრავებელი პირველი ძალაა, მეორე – პრესაა. ხელში უნდა ჩავიგდოთ ქვეყნის ყველა გაზეთის სადავეები. თუ სრულად დავეპატრონებით ბეჭდვით სიტყვას, შევძლებთ, საზოგადოებრივი აზრი შევცვალოთ ღირსებაზე, კეთილშობილებაზე, სამართალზე. პირველი დარტყმა ოჯახის ინსტიტუტს უნდა მივაყენოთ, თან ხალხი დავაჯეროთ, ვითომ ძალიან გვადარდებს სოციალური საკითხები. პროლეტარიატი უნდა ვაკონტროლოთ, აგიტატორები შევგზავნოთ სამოქალაქო ორგანიზაციებში და მაშინ ავამოქმედოთ ისინი, როცა მოვისურვებთ. როცა გადავწყვეტთ, მაშინ ვუბიძგებთ მუშას ბარიკადებზე, რევოლუციისკენ და თითოეული კატასტროფა ჩვენს საბოლოო მიზანთან დაგვაახლოებს: ერთპიროვნულად ვიმეფოთ სამყაროზე, როგორც ჩვენს მამას – აბრაამს აღუთქვა ღმერთმა. მაშინ ჩვენი ძალა გიგანტური ხის ვარჯივით გაიშლება და მისი ყლორტები სიმდიდრის, ნეტარების, ბედნიერების, ძალაუფლების ნანატრ ნაყოფს გამოისხამს, იმ დამცირებისა და სიძულვილის საზღაურად, რაც საუკუნეთა მანძილზე ერთადერთი ხვედრი იყო ისრაელის ხალხისა.

ასე მთავრდებოდა, თუ კარგად მახსოვს, პრაღის სასაფლაოს შეკრების აღწერა.

საშინლად დავიქანცე. ალბათ, იმიტომაც, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში სულმოუთქმელად ვწერდი და ღვინოს ვეძალებოდი. ალკოჰოლით ვეძებდი ძალისა და გონების მოკრე-

ბას. მადა აღარ მაქვს, საჭმელზე ფიქრიც გულისრევას იწვევს. მეღვიძება და ვაღებინებ. ალბათ, მეტისმეტად ბევრს ვმუშაობ ან სიძულვილი მახრჩობს და მჭამს. ამდენი წლის შემდეგ, როცა პრაღის სასაფლაოზე დაწერილ გვერდებს ვუბრუნდები, ვაცნობიერებ, რომ მთელი ის ამბავი, ჩემი დამაჯერებელი გამონაგონი ებრაულ შეთქმულებაზე, ის სიძულვილიც, რომელიც ბავშვობის, ყრმობისა და სიყმაწვილის წლებში მხოლოდ (არც ვიცი, როგორ ვთქვა) იდეალური, მხოლოდ გონებაში არსებული იყო, ბაბუაჩემის მიერ წლობით ნაჩიჩინები კატეხიზმოსავით, ახლა ხორცს ისხამდა, სისხლით ივსებოდა. ალქაჯთა იმ ავბედითი თათბირის გაცოცხლებამ აბსტრაქტული იდეიდან დაუოკებელ, ბობოქარ ვნებად აქცია ჩემი ღვარძლი მუხანათ იუდეველთა მიმართ. ღმერთო! მართლა უნდა დასწრებოდა იმ ღამეს პრაღის სასაფლაოს თავყრილობას, ან ჩემეული აღწერა მაინც წაეკითხა ადამიანს, რომ მიმხვდარიყო, რა აუტანელი იყო იმის მოთმენა, რომ იმ წყეულთა ჯიშს მოეწამლა ჩვენი ცხოვრება!

მხოლოდ დოკუმენტის მრავალჯერ წაკითხვის შემდეგ გავაცნობიერე ბოლომდე საკუთარი მისიის მნიშვნელობა. რადაც უნდა დამჯდომოდა, მაქსიმალურად ძვირად უნდა გამეყიდა ჩემი თხზულება. თუ ცეცხლის ფასს გადაიხდიდნენ მასში, მხოლოდ მაშინ ენდობოდნენ მის შინაარსს და ყველაფერს გააკეთებდნენ, რომ სხვასაც ერწმუნა ის...

მაგრამ დღეისთვის ჯობია, შევწყვიტო წერა. სიძულვილი (მისი გახსენებაც კი) გონებას მიბნელებს. ხელები მიკანკალებს. უნდა დავიძინო, დავიძინო, დავიძინო.

13

# დალა პიკოლა ამბობს, რომ ის არ არის დალა პიკოლა

5 აპრილი, 1897

ამ დილით ჩემს საწოლში გამეღვიძა, ჩავიცვი, შევინიღბე ისე, რომ ვერ მიცნონ, თუმცა მეტისმეტად არ გამომიდვია თავი. მერე თქვენი დღიური წავიკითხე. ამბობთ, რომ აბატ დალა პიკოლას შეხვდით: ჩემზე ბევრად ბებერი, თანაც კუზიან კაცს აღწერთ. სარკეში ჩავიხედე, თქვენს ოთახში რომ კიდია (მე, როგორც საეკლესიო პირს, ოთახში სარკე არ მაქვს). თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ სწორი ნაკვთები მაქვს, არც ელამი ვარ, არც კბილები მაქვს წინ გამოშვერილი. მოხდენილი ფრანგულითაც ვლაპარაკობ, შეიძლება, მსუბუქი იტალიური აქცენტით.

მაშ ის მღვდელი ვინღაა, ჩემი სახელით რომ გაიცანით? ან მე ვინ ვარ?

14

# ზიარიცი

5 აპრილი 1897, გვიანი დილა

გვიან გამეღვიძა და დღიურში თქვენი შენიშვნა დამხვდა. ადრე იღვიძებთ, როგორც ჩანს. ღმერთო ჩემო, გამაგებინეთ, ბატონო აბატო, თუ ამ სტრიქონებს ამ დღეებში (ან ამ ღამეებში) წაიკითხავთ: ვინ ხართ სინამდვილეში? რატომ მაგონდება ახლა, რომ ჯერ კიდევ ომამდე მოგკალით? აჩრდილს როგორ ველაპარაკო?

მოგკალით? რატომ ვარ ამაში დარწმუნებული? ვცადოთ, აღვიდგინოთ მომხდარი. მაგრამ ჯერ რამე უნდა შევჭამო. რა უცნაურია, გუშინ საჭმლის გახსენებაც ზიზღს მგვრიდა, ახლა კი ყველაფერს გადავსანსლავდი, რაც ხელში მომხვდებოდა. სახლიდან თავისუფლად რომ შემეძლოს გასვლა, წესით, ექიმთან უნდა გავრბოდე.

პრაღის სასაფლაოს თავყრილობის აღწერას რომ მოვრჩი, მზად ვიყავი პოლკოვნიკ დიმიტრისთან შესახვედრად. მახსოვდა, რა სიამოვნებით მიირთმევდა ბრაფმანი ფრანგულ კერძებს,

ამიტომ დიმიტრიც „როშე დე კანკალში“ დავპატიჟე, მაგრამ პოლკოვნიკი დიდი მჭამელი არ ჩანდა, უგემურად კიკნიდა, რასაც შევუკვეთავდი. ოდნავ ელამი იყო, პატარა გუგებით, ჩხვლეტია მზერით, სინდიოფალას მიუგავდა-მეთქი თვალები, ვიტყოდი, თუმცა სინდიოფალა არც იქამდე მენახა და არც ახლა მინახავს (ისინიც ებრაელებივით მეჯავრება). დიმიტრის საოცარი უნარი ჰქონდა (მაშინ ასე მომეჩვენა), უხერხულად ეგრძნობინებინა თავი თანამოსაუბრისთვის.

ყურადღებით წაიკითხა ჩემი ანგარიში და თავი ასწია:

– ძალიან საინტერესოა. რა ღირს?

საოცრად მსიამოვნებდა ასეთ ადამიანებთან ვაჭრობა, ამიტომ მეტისმეტი დავუხეთქე: ორმოცდაათი ათასი ფრანკი. თან დავაყოლე, რამდენი დავხარჯე ინფორმატორებზე.

– ძალიან ძვირია, – მითხრა დიმიტრიმ, – უფრო სწორად, ჩემთვის ძალიან ძვირია. მოდით, ხარჯების გაყოფა ვცადოთ. ჩვენ პრუსიის საიდუმლო სამსახურთან ვთანამშრომლობთ. ებრაელების პრობლემა მათაც აწუხებთ. მე ოცდახუთი ათას ფრანკს გადაგიხდით ოქროთი და უფლებას მოგცემთ, ამ დოკუმენტის ასლი პრუსიელებს მიაწოდოთ, მეორე ნახევარს ისინი გადაგიხდიან. მე გავაფრთხილებ. ცხადია, ისინიც ორიგინალს მოისურვებენ, მაგრამ როგორც ჩემმა მეგობარმა ლაგრანჟმა მითხრა, ორიგინალების გამრავლების დიდი ნიჭი გაქვთ. კაცს, რომელიც დაგიკავშირდებათ, შტიბერი ჰქვია.

მეტი არაფერი უთქვამს. კონიაკი არ ისურვა, თავაზიანად, ოფიციალურად დამიკრა თავი, უფრო გერმანულად, ვიდრე რუსულად: თითქმის სხეულის მართობულად დახარა კისერი. მერე სწრაფადვე გასწორდა და გატრიალდა. ფული მე გადავიხადე.

სასწრაფოდ ლაგრანჟს ვთხოვე შეხვედრა. უკვე ნახსენები ჰყავდა ჩემთან ეს შტიბერი, პრუსიული შპიონაჟის ცნობილი უფროსი. განსაკუთრებით საზღვარგარეთ ინფორმაციის



...სასწრაფოდ ლაგრანჟს ვთხოვე შეხვედრა...

მოძიებით გაეთქვა სახელი, სახელმწიფოს სიმშვიდის უზრუნველსაყოფად ყველაზე საშიშ სექტებსა და მოძრაობებსაც არ ერიდებოდა, ყველგან აღწევდნენ მისი ინფორმატორები. ამ ამბებამდე ათი წლით ადრე თავი ესახელებინა ცნობების მოგროვებით მარქსზე, რომელიც ერთნაირად აფრთხობდა გერმანელებსაც და ინგლისელებსაც. ამბობდნენ, შტიბერს თუ მის აგენტს, კრაუზეს (რომელიც „ფლერის" ფსევდონიმით მუშაობდა და თავს ექიმად ასაღებდა) მარქსის ლონდონურ ბინაში შეეღწია და კომუნისტური ლიგის წევრთა სია ჩაეგდო ხელში. დიდი დარტყმა იყო კომუნისტებისთვის, ამის შედეგად ბევრი საშიში ტიპი დააპატიმრესო, თქვა მაშინ ლაგრანჟმა. დიდი გმირობა არ მგონია-მეთქი, ვუთხარი, ასე თუ გააბიაბრუებინეს თავი, კომუნისტები უთავბოლოები ყოფილან და შორს ისედაც ვერ წავიდოდნენ-მეთქი. მაგრამ ლაგრანჟმა მიპასუხა, ეგ წინასწარ არავინ იცის, ამიტომ ყოველთვის ჯობია, თადარიგი დაიჭირო და იქამდე გაანადგურო კომუნისტები, სანამ დანაშაულს ჩაიდენენო.

– ჩათვალე, რომ კარგი აგენტის ჩარევა უკვე მომხდარ ამბავში მისი გაფლანგვაა. ჩვენი ხელობა მოვლენების დაჩქარებაა. უამრავ ფულს ვხარჯავთ ბულვარებში შფოთის მოსაწყობად. ძნელი არაა: ოციოდე ყოფილი პატიმარი და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული რამდენიმე პოლიციელი უნდა ამ საქმეს. ერთი-ორ რესტორანს და ბორდელს გაძარცვავ „მარსელიეზას" სიმღერით, ერთი-ორ ფარდულსაც ცეცხლს წაუკიდებ. მერე ჩვენები გამოჩნდებიან ფორმებში, შეტაკებას გაითამაშებენ და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო ყველას დააპატიმრებენ.

– ეგ რისთვის გჭირდებათ?

– იმისთვის, რომ წესიერი ბურჟუა მარად შეშინებული იყოს და ხალხს სჯეროდეს, რომ რკინის ხელია საჭირო. ნამდვილი შფოთის ჩახშობა რომ გვიწევდეს, რომელიც ვინ იცის, ვისი

მოწყობილია, ასე ადვილად ვერ გამოვიდოდით. შტიბერს დავუბრუნდეთ. მას შემდეგ, რაც პრუსიის საიდუმლო პოლიციის შეფი გახდა, ქუჩის მსახიობად გადაცმულმა სოფელ-სოფელ შემოიარა აღმოსავლეთი ევროპა, ყველაფერს ინიშნავდა და თან გზადაგზა ინფორმატორთა ქსელს ქმნიდა, იმ მარშრუტის გასწვრივ, რომელიც პრუსიის ჯარს უნდა გაევლო ბერლინიდან პრაღამდე. საფრანგეთშიც დაიწყო ეს საქმე, რომ წინასწარ მოემზადოს ომისთვის, რომელიც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაიწყება.

– თუ ასეა, არ ჯობია, თავი შორს დავიჭიროთ ამ ადამიანისგან?

– არა. თვალყური უნდა ვადევნოთ. უკეთესია, ჩვენი აგენტები მივუჩინოთ. თქვენ ხომ მას ებრაელებზე მიაწვდით ინფორმაციას, ჩვენ კი ეს ამბავი გვაინტერესებს. ასე რომ, მასთან თანამშრომლობით ჩვენს მთავრობას ზიანს ვერ მიაყენებთ.

ერთი კვირის შემდეგ წერილი მივიღე. შტიბერი აწერდა ხელს. თავაზიანად მთხოვდა, ბავარიაში, მიუნხენში ჩავსულიყავი და მის სანდო პირს, ვინმე გედშეს, შევხვედროდი დოკუმენტის გადასაცემად. სულაც არ მეპრიანებოდა მიუნხენში ჩასვლა, მაგრამ გასამრჯელოს მეორე ნახევრის მიღება ძალიან მინდოდა.

ლაგრანჟს გამოვკითხე გედშეს ვინაობა: ადრე ფოსტის მოხელე ყოფილა, ახლა კი პრუსიის საიდუმლო პოლიციის აგენტ-პროვოკატორად მუშაობდა თურმე. 1848 წლის არეულობების შემდეგ დემოკრატების მეთაურის ლაფში გასასვრელად ყალბი წერილები შეეთითხნა, რომლებშიც მეფის მოკვლის განზრახვა ჩანდა. რამდენიმე გონიერი მოსამართლე მაინც აღმოჩენილა ბერლინში, დაუმტკიცებიათ, რომ წერილები ყალბი იყო, გედშე სკანდალში გახვეულა და იძულებული გამხდარა, ფოსტიდან წასულიყო. ამ ამბავს საიდუმლო სამსახურშიც გაუტეხია მისთვის სახელი: დოკუმენტების გაყალბება გეპატიება, მაგ-

რამ დანაშაულზე თუ წაგასწრეს, ამას აღარ გაპატიებენ. ამ შემთხვევის მერე იაფფასიანი ისტორიული რომანების წერით ირჩენდა თურმე თავს, რომლებსაც სერ ჯონ რეტკლიფის სახელით აწერდა ხელს და „კროიცცაიტუნგთან“ – ანტიებრაულ გაზეთთან – აგრძელებდა თანამშრომლობას. საიდუმლო სამსახური ებრაულ სამყაროზე ტყუილ-მართალი ცნობების გასავრცელებლად კვლავაც იყენებდა მას.

საჩემო კაცია-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ლაგრანჟმა ამიხსნა, მას, შეიძლება, იმიტომ მიმართეს, რომ შენი დოკუმენტი პრუსიელებს დიდად არ ანაღვლებთ და საშუალო რანგის მოხელეს დაავალეს, გადახედოს, რომ სინდისი მშვიდად ჰქონდეთ და მერე გადაგიხადონ ფულიო.

– ცდებით, გერმანელებს ჩემი ანგარიში აინტერესებთ, – შევეპასუხე. – სერიოზული თანხა შემომთავაზეს.

– ვინ შემოგთავაზათ? – ჩამეკითხა ლაგრანჟი. დიმიტრის ხსენებაზე გაეღიმა: – რუსები არიან, სიმონინი. ამით ყველაფერი ნათქვამია. იმათი რა მიდის, თუ გერმანელების სახელით ვინმეს რამეს დაჰპირდებიან? მაინც წადით მიუნხენში, ჩვენც გვაინტერესებს, რას აკეთებენ. მაგრამ გახსოვდეთ, რომ გედშე მუხანათი გაიძვერაა. ასე რომ არ იყოს, სხვა ხელობას აირჩევდა.

ეს ცუდად გამოუვიდა ლაგრანჟს, მაგრამ, ალბათ, ნაძირალებსაც ასხვავებდა ერთმანეთისგან და საკუთარი თავი მაღალი კატეგორიის ნაძირალად მიაჩნდა. არა უშავს, თუ კარგად გადამიხდიან, წყენას გულში არ ჩავიდებ.

მგონი, ამ დღიურში უკვე ჩავწერე მიუნხენის იმ ვეებერთელა ლუდხანის შთაბეჭდილებები. ბავარიელები ასეთ ადგილებში იკრიბებიან, გრძელ მაგიდებთან, ერთმანეთზე მიჭეჭყილები, ქონიანი ძეხვეულით იყორებიან და კასრისხელა კათხებს უხათქუნებენ ერთმანეთს, ქალი იქნება თუ კაცი. ქალები კიდევ

უფრო უხეშები და ვულგარულები არიან, ვიდრე კაცები. მოკლედ, ეს გერმანელები აშკარად რაღაც მდაბიო რასაა და ტევტონების მიწაზე გატარებული ის ორი დღე საშინელ ტანჯვად მახსოვს, თანაც – მძიმე მგზავრობის შემდეგ. ერთ ასეთ ლუდხანაში დამითქვა შეხვედრა გედშემ და უნდა ვაღიარო, რომ ჩემი გერმანელი ჯაშუში სწორედ ასეთ ადგილებში ჩხრეკა-ძიებისთვის დაბადებულს ჰგავდა: ელეგანტური ტანსაცმელი სხვების გაცუცურაკებით მცხოვრები კაცის მგლურ, გაიძვერა იერს ვერ უმალავდა.

დამტვრეული ფრანგულით გამომკითხა, რა წყაროებს ეყრდნობოდა ჩემი დოკუმენტი. ვეცადე, თავი დამეძვრინა, რაღაც მივკიბ-მოვკიბე ჩემი გარიბალდური პერიოდის შესახებ. სასიამოვნოდ გაოცებული დარჩა: 1860-ის იტალიურ ამბებზე რომანს ვწერო, გამიმხილა. თითქმის დავამთავრეო, სახელად „ბიარიცი" ერქმევა, ტომებად გამოვა, თუმცა მოქმედება მხოლოდ იტალიაში არ ხდება, ციმბირში, ვარშავაში, თავად ბიარიცში და კიდევ სხვა ადგილებშია გაშლილიო. სიამოვნებდა ამაზე ლაპარაკი, კმაყოფილი ჩანდა, მგონი, ფიქრობდა, რომ ერთგვარ სიქსტეს კაპელას ქმნიდა ისტორიული რომანის ჟანრში. არ მესმოდა, რა კავშირი ჰქონდა ამ წიგნს მოვლენებთან, რომლებზეც გედშე სინამდვილეში მუშაობდა, მაგრამ როგორც მივხვდი, მთელი ამ ამბის ბირთვი იყო მუდმივი მუქარა, საფრთხე, რომელიც მოდიოდა სამყაროს განმგებელი სამი მუხანათი ძალისგან: მასონების, კათოლიკეებისა და განსაკუთრებით – იეზუიტებისაგან. ამათ ემატებოდნენ ებრაელები, რომლებსაც მასონთა და კათოლიკეთა რიგებში უკვე შეეღწიათ და სათავეშივე აემღვრიათ ტევტონური პროტესტანტული რასის სიწმინდე.

წიგნი იტალიურ ამბებზე ყვებოდა, მაძინის მიმდევარ მასონებზე, მერე მოქმედება ვარშავაში გადადიოდა, სადაც მასონები რუსეთის წინააღმდეგ აწყობდნენ შეთქმულებას ნიჰი-

ლისტებთან (სლავები ხომ ყველგან და ყველა დროში შობდნენ ასეთ, წყეული ჯურის, ხალხს) ერთად. მასონებიცა და ნიჰილისტებიც უმეტესწილად ებრაელები იყვნენ და საინტერესო იყო, როგორ იღებდნენ საკუთარ რიგებში ახალ წევრებს. ეს სისტემა ბავარიის ილუმინატებისა და „ალტა ვენდიტას" კარბონარების წესებს წააგავდა: თითოეული წევრი ცხრა ახალს აწევრიანებდა, რომელთაც ერთმანეთი არ უნდა სცნობოდათ. მერე რომანი კვლავ იტალიას უბრუნდებოდა: ყვებოდა პიემონტელთა ლაშქრობაზე ორი სიცილიისკენ. რას აღარ გადააწყდებოდი ამ წიგნში: ხოცვა-ჟლეტა, ღალატი, პატივაყრილი კეთილშობილი ბანოვანები, რაინდული ლაშქრობები, მოსასხამში გახვეული და ხმალმომარჯვებული მამაცი ირლანდიელი ლეგიტიმისტი ქალები, ცხენის კუდში ჩამალული საიდუმლო გზავნილები, კარაჩოლოს გვარის მთავარი, მუხანათი კარბონარი, რომელიც გოგონას (ირლანდიელს, ლეგიტიმისტს) აუპატიურებდა, სასწაულმოქმედი, მწვანე ჟანგმოდებული ოქროს ბეჭდები, გადახლართული გველებითა და შუაში – წითელი მარჯნით, ნაპოლეონ III-ის შვილის მოტაცების მცდელობა, კასტელფიდარდოს ტრაგედია და პაპის ერთგული გერმანული ჯარების სისხლის მდინარეები. სიძულვილით ახსენა welsche Feigheit[11] – გერმანულად თქვა, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემთვის შეურაცხყოფა არ მოეყენებინა, მაგრამ ცოტა გერმანული მესმოდა და მივხვდი, რომ ლათინური რასებისთვის დამახასიათებელ სილაჩრეს გულისხმობდა. მერე კიდევ უფრო იხლართებოდა სიუჟეტი, არადა, ჯერ მხოლოდ პირველ ტომს მიყვებოდა.

ლაპარაკში გედშეს ნელ-ნელა გამოუცოცხლდა ღორის თვალები, ნერწყვს აშხეფებდა, ხითხითებდა, მისი აზრით, გენიალურ მიგნებებზე, თან თითქოს ცდილობდა, ჩემთვის გამოეძალა ქორები ჩალდინიზე, ლამარმორასა და სხვა პიემონტელ

---

[11] ჩამოთესლილთა სილაჩრე (გერმ.).

გენერლებზე. ცხადია, გარიბალდის გარემოცვაზეც. მაგრამ ვინაიდან გედშეს სამყაროში ცნობები ფული ღირდა, საჭიროდ არ ჩავთვალე, უფასოდ გამეღო საინტერესო ცნობები იტალიაში დატრიალებულ მოვლენებზე. მით უფრო, რომ რაც მე ვიცოდი, იმაზე აშკარად დუმილი ჯობდა.

ვუსმენდი და ვფიქრობდი, რომ ეს ადამიანი მცდარ გზას დასდგომოდა: არ შეიძლება, საფრთხე ათასგვარი იყოს, მას ერთი სახე უნდა ჰქონდეს, თორემ ხალხს დააბნევ. თუ ებრაელთა მხილება გსურს, ებრაელებზე ილაპარაკე და ირლანდიელებს, ნეაპოლის პრინცებს, პიემონტელ გენერლებს, პოლონელ პატრიოტებსა და რუს ნიჰილისტებს შეეშვი. შამფურზე იმდენი ხორცი უნდა წამოაგო, რამდენიც ეტევა. ამ დომხალში ვინ რას გაიგებდა? არადა, რომანს რომ თავი დავანებოთ, გედშე სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ ებრაელებით იყო შეპყრობილი. მეც ეს მინდოდა: სწორედ ებრაელებზე ვთავაზობდი იშვიათ დოკუმენტს.

მითხრა, რომანს ფულის გამო, სახელის მოსახვეჭად და სხვა ამქვეყნიური გამორჩენისთვის კი არ ვწერ, მინდა, გერმანული რასა იუდეური სენისაგან დავიხსნაო.

– ლუთერის სიტყვები უნდა გავიხსენოთ, როცა ამბობდა, რომ ებრაელები უკეთურები, ძვლის ტვინამდე შხამიანები და ეშმაკეულები არიან, მრავალი საუკუნის მანძილზე გვხრავდა ეს სენი და ახლაც გულს გვიჭამსო. დიახ, ასე ამბობდა: სისინა გველები, სამსალით სავსე დემონის ნაშიერები, ღვარძლიანები და მკვლელები, ფარულად გვგესლავენ და სისხლს გვიწამლავენ, რადგან ღიად არ შეუძლიათ ამის გაკეთებაო. მათ წინაალმდეგ ერთადერთი მეთოდი არსებობსო, ამბობდა ლუთერი: schärfe Barmherzigkeit. – გედშე ვერ თარგმნიდა ამას, მაგრამ ვხვდებოდი, რომ „სასტიკ მოწყალებას“, ანუ შეუწყნარებლობას ნიშნავდა. სინაგოგები უნდა გადაეწვათ და რასაც არ დაწვავდნენ, მიწით დაეფარათ, რომ ამ უწმინდური ნაგებობების ერთი

აგურიც აღარ დარჩენილიყო დედამიწაზე; დაენგრიათ ებრაელ-თა სახლები და ბოსლებში შეერეკათ ისინი, ბოშებივით. წაერ-თმიათ თალმუდი – ის მატყუარა, შეჩვენებული და მკრეხე-ლური წიგნები, აეკრძალათ მევახშეობა, ჩამოერთმიათ ოქრო, ნაღდი ფული და ძვირფასი ქვები. მამაკაცებისთვის თოხი და ნამგალი მიეცათ ხელში, ქალებისთვის კი – სართავი და თი-თისტარი, რადგან – აქ გედშემ ბოროტად ჩაიქირქილა – Arbeit macht frei, მხოლოდ შრომა ათავისუფლებს ადამიანსო. საბო-ლოო გამოსავალი კი, ლუთერის აზრით, ებრაელთა განდევნა იყო გერმანიიდან, ცოფიანი ძაღლებივით.

– ლუთერს ყური არ დაუგდეს, – დაასკვნა გედშემ, – ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. მიუხედავად იმისა, რომ არაევრო-პელი ხალხები ძველი დროიდანვე მახინჯებად ითვლებოდნენ – აგერ ზანგები აიღეთ: დღემდე ცხოველებად მიიჩნევიან, სრუ-ლიად მართებულად – ჯერ კიდევ არ იყო მკაფიოდ განსაზღვრუ-ლი მაღალი რასების უეჭველი მახასიათებლები. დღეს ვიცით, რომ ადამიანის ყველაზე მაღლა მდგომი სახეობა თეთრკანია-ნია, ხოლო მისი ყველაზე განვითარებული მოდელი – გერმანუ-ლი რასაა. მაგრამ ებრაელთა არსებობა რასების აღრევის მუდ-მივ საფრთხეს ქმნის. ბერძნულ ქანდაკებებს შეხედეთ: როგორი დახვეწილია ნაკვთები, რაოდენ მოხდენილი და ელეგანტურია სხეული. ეს სილამაზე შემთხვევით როდი იყო გაიგივებული ღირსებასა და კეთილშობილებასთან: მშვენიერი სხეულის მქონე ადამიანი მეტ ფასეულობასაც წარმოადგენდა, როგორც ჩვენი ტევტონური მითების დიადი გმირები. აბა, წარმოიდგინეთ აპო-ლონი სემიტური ნაკვთებით, მახინჯი, კანგარუჯული, მღვრიე თვალებით, კაუჭა ცხვირით, დაგრეხილი სხეულით. ჰომეროსის-თვის ასეთი იყო თერსიტე – სიმდაბლის პერსონიფიკაცია. ჯერ კიდევ იუდეური სულით გაჟღენთილმა ქრიასტიანულმა ისტო-რიამ (ის ხომ პავლეთი – აზიელი ებრაელით – იწყება, თუმცა დღეს თურქს ვიტყოდით) დაგვაჯერა, რომ ყოველგვარი რასა

ადამისგან მოდის. ტყუილია: პირველსაწყისი მხეციდან წარმოშობილი ადამიანები განვითარების სხვადასხვა გზას დაადგნენ. გზასაყართან უნდა დავბრუნდეთ, ანუ ჩვენი ხალხის ნამდვილ ეროვნულ სათავეებთან. რა დროს ფრანგი განმანათლებლების ბოდვაა კოსმოპოლიტიზმზე და მსოფლიო ძმობასა და თანასწორობაზე! ესაა ახალი დროის სული. ის, რასაც ახლა ევროპაში ერის აღორძინებას ეძახიან, რასის სიწმინდეს ეფუძნება. ოღონდ ეს ტერმინი – და მიზანიც – მხოლოდ გერმანიისთვისაა სწორი. სასაცილოა, რომ იტალიაში ანტიკური სილამაზისაკენ მიბრუნება, აღორძინება ფეხებგაღუნულ გარიბალდის, იმ დაგვაჯულ მეფეს და ქონდრისკაც კავურს უკავშირდება. საქმე ისაა, რომ რომაელებიც სემიტური რასა იყო.

– რომაელები?

– ვერგილიუსი არ წაგიკითხავთ? ტროელის, ანუ აზიელის, შთამომავლები იყვნენ და სემიტურმა თესლმა ჩაკლა ძველი იტალიური სული. ხომ ხედავთ, კელტებს რაც დაემართათ: რომანიზაციის შედეგად ფრანგებად იქცნენ, ანუ ახლა ისინიც ლათინები არიან. მხოლოდ გერმანულმა ტომებმა შეძლეს სიწმინდის შენარჩუნება, სხვებს არ შეერიენ და რომის ძალაუფლება შეასუსტეს. საბოლოოდ არიელი რასის უზენაესობა და იუდეველი რასის (საუბედუროდ, ლათინურისაც) სიმდაბლე ხელოვნების სხვადასხვა ფორმაშიც გამოიხატება: არც იტალიაში და არც საფრანგეთში ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი, ვაგნერი არ დაბადებულან.

გედშე ნამდვილად არ ჰგავდა იმ არიელ გმირს, რომელსაც ასე ეთაყვანებოდა. პირიქით, სიმართლე გითხრათ (თუმცა რა საჭიროა სულ სიმართლის თქმა?), ღორმუცელა, ავხორც ებრაელს უფრო წააგავდა. მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, უნდა დამეჯერებინა მისი სიტყვები: მას ენდობოდა საიდუმლო სამსახური, რომელსაც ჩემთვის დარჩენილი ოცდახუთი ათასი ფრანკი უნდა გადაეხადა.

მაგრამ მაინც წამძლია სულმა და ვკითხე, საკუთარი თავი თუ მიგაჩნიათ მაღალი, აპოლონის რასის ჭეშმარიტ წარმომადგენლად-მეთქი. ბოროტად აენთო თვალები. რასა მხოლოდ ფიზიკურ ნაკვთებში კი არ ვლინდება, არამედ – და უპირველეს ყოვლისა – სულიერშიცო. ებრაელი ებრაელად რჩება, თუნდაც ბუნების შეცდომით – ხომ იბადებიან ექვსთითა ბავშვები ან ქალები, ანგარიში რომ შეუძლიათ – ცისფერი თვალები და ქერა თმა გამოჰყვეს, არიელი კი შავგვრემანიც არიელია, თუ თავისი ხალხის სული უდგასო.

ერთი კია, ჩემმა შეკითხვამ წამში ჩაუხშო აღტყინება. ცოტა დამშვიდდა, დიდი წითელი კუბოკრული ცხვირსახოცით ოფლი შეიმშრალა შუბლზე და მთხოვა, მეჩვენებინა დოკუმენტი, რომლის გამოც შევხვდით ერთმანეთს. ნაწერი გავუწოდე. დარწმუნებული ვიყავი, უნდა აღეფრთოვანებინა ჩემს ქმნილებას. თუ მის მთავრობას, ლუთერის განკარგულების თანახმად, ებრაელთა განადგურება სურდა, პრაღის სასაფლაოს დოკუმენტი ზედგამოჭრილი იყო, რომ მთელი პრუსიისთვის დაემტკიცებინა ებრაული შეთქმულება. გედშემ ნელა ჩაიკითხა ნაწერი. თან ლუდს წრუპავდა, დროდადრო შუბლი ეჭმუხნებოდა და თვალებს მონღოლივით ჭუტავდა. რომ დაასრულა, ამომხედა:

– ვერ გეტყვით, გვაინტერესებს თუ არა ეს ცნობები. ახალი აქ არაფერია, მეორდება, რაც ისედაც ვიცოდით ებრაელთა შესახებ. თუმცა კარგადაა მოყოლილი. თუ გამონაგონია, მშვენივრადაა დაწერილი.

– ღვთის გულისათვის, ჰერ გედშე! ამხელა გზა იმისთვის არ გამომივლია, რომ ვიღაცის შეთითხნილი შემოგასაღოთ!

– ეგ არ მითქვამს, მაგრამ მეც პასუხს ვაგებ მათ წინაშე, ვინც ფულს მიხდის. დოკუმენტის ავთენტიკურობა დამატებით უნდა შემოწმდეს. ჰერ შტიბერსა და მის სამსახურს უნდა ვაჩვენო ეს საბუთები. დამიტოვეთ და, თუ გნებავთ, პარიზში დაბრუნდით, რამდენიმე კვირაში მიიღებთ პასუხს.

– კი, მაგრამ პოლკოვნიკმა დიმიტრიმ მითხრა, რომ გადაწყვეტილი ამბავი იყო...

– ჯერ არაა გადაწყვეტილი. გითხარით, დოკუმენტი უნდა დამიტოვოთ.

– გულწრფელად გეტყვით, ჰერ გედშე, ორიგინალი გიჭირავთ ხელში. ცხადია, ზოგადად, საბუთის მთავარი ღირებულება მისი შინაარსია, მაგრამ ეს დოკუმენტი ორმაგად ძვირფასია: მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის და თან დედანია. ეს მოხსენება პრაღაშია დაწერილი, უშუალოდ იმ შეკრების შემდეგ, რომელზეც მოგვითხრობს. ვერ დავუშვებ, რომ ის უცხოს ხელში აღმოჩნდეს, ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც, სანამ დაპირებულ ანაზღაურებას არ მივიღებ.

– მეტისმეტად ეჭვიანი ხართ. კარგი, მაშინ უნდა დამელოდოთ, რომ გადავიწერო დოკუმენტი. კიდევ მოგიწევთ ლუდის შეკვეთა. ერთი საათი მჭირდება. თავადაც ბრძანეთ, დოკუმენტში მოცემული ცნობები მხოლოდ ნაწილობრივ ფასობს და თქვენს მოტყუებას რომ ვცდილობდე, საკუთარი მეხსიერებაც მეყოფოდა, გარწმუნებთ, თითქმის სიტყვასიტყვით მახსოვს წაკითხული. მაგრამ მინდა, ტექსტი ჰერ შტიბერს ვაჩვენო. ამიტომ, ნება მომეცით, გადავიწერო. ორიგინალი თქვენთან ერთად დატოვებს აქაურობას.

რაღას ვიტყოდი. ვაკადრე საკუთარ კუჭს ის საზიზღარი ტევტონური ძეხვები და ლუდითაც გავიჭყიპე. უნდა ვაღიარო, გერმანული ლუდი ხანდახან ფრანგულს არ ჩამოუვარდება. დაველოდე, სანამ გედშემ ყურადღებით არ გადაიწერა ტექსტი.

ცივად გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. გედშემ მაგრძნობინა, რომ სადილის ფული ორივეს უნდა გადაგვეხადა. არც ის გამორჩენია, რომ მე მასზე მეტი ლუდი დავლიე და მეტის გადახდა მერგებოდა. დამპირდა, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში შემეხმიანებოდა. ბრაზი მახრჩობდა, რომ ამხელა გზაზე ასე ფუჭად წამოვედი საკუთარი ხარჯით და ჯერ ერთი ტალერიც კი არ ამეღო დიმიტრისთან შეთანხმებული ჰონორარიდან.

რა სულელი ვარ-მეთქი, ვიფიქრე. დიმიტრიმ შესანიშნავად იცოდა, რომ შტიბერი არ გადამიხდიდა და უბრალოდ ნახევარ ფასად გაინაღდა ჩემი ნაშრომი. ლაგრანჟი მართალი იყო, რუსის ნდობა როგორ შეიძლებოდა. ან იქნებ იმდენი მოვთხოვე დოკუმენტში, რომ იმ თანხის ნახევარსაც უნდა დავჯერებოდი?

ეჭვი არ მეპარებოდა, რომ გერმანელები არ შემომეხმიანებოდნენ. რამდენიმე თვის მანძილზე არანაირი ცნობა არ მიმიღია. ლაგრანჟი, რომელთანაც დოკუმენტს ვინახავდი, შემწყნარებლურად იღიმებოდა: – ეს ჩვენი ხელობის ნაწილია, რას ვიზამთ. წმინდანებთან ხომ არ გვაქვს საქმე.

მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ვეგუებოდი ამ ამბავს. ჩემი თხზულება მეტისმეტად დახვეწილი იყო საიმისოდ, რომ სადღაც ციმბირში ჩაკარგულიყო. ბოლოს და ბოლოს, იეზუიტებს მივყიდდი. კაცმა რომ თქვას, ებრაელთა მიმართ პირველი ნამდვილი ბრალდებები, მსოფლიო ებრაულ შეთქმულებაზე პირველი მინიშნებები ხომ სწორედ იეზუიტს – ბარუელს ეკუთვნოდა. ბაბუაჩემის წერილს თავის დროზე ორდენის სხვა მაღალჩინოსნების ყურადღებაც მიეპყრო.

იეზუიტებთან მხოლოდ აბატი დალა პიკოლა თუ დამაკავშირებდა. მის მოძებნაში ადრე ლაგრანჟი დამეხმარა, ამიტომ კვლავ ლაგრანჟს მივადექი. მითხრა, გადავცემ, რომ ეძებთო. დიდი ხანი არ გასულა და დალა პიკოლა მაღაზიაში მომადგა. ვაჭრების ენაზე რომ ვთქვათ, საქონელი შევთავაზე და მომეჩვენა, რომ დაინტერესდა.

– ცხადია, ჯერ კარგად უნდა შევისწავლო თქვენი დოკუმენტი და მერე ვუხსენო ორდენის წევრებს. ეს ხალხი შეფუთულ საქონელს არ ყიდულობს. იმედია, მენდობით და რამდენიმე დღით გამატანთ დოკუმენტს. ჩემი ხელიდან არსად გავა, გარწმუნებთ.

ვენდე ღირსეულ სამღვდელო პირს.



*...სიმონინი, ალბათ, ბრიყვი გეგონეთ...*

ერთი კვირის შემდეგ დალა პიკოლა ისევ გამომეცხადა. სამუშაო ოთახში ავიპატიჟე, მინდოდა, რამე შემთავაზებინა დასალევად, მაგრამ დიდად მეგობრული იერი არ ჰქონდა.

– სიმონინი, ალბათ, ბრიყვი გეგონეთ და გინდოდათ, „იესოს საზოგადოების“ წინაშე თაღლითად გამოგეყვანეთ და გაგეფუჭებინათ ურთიერთობა, რომლის დამყარებასაც მრავალი წელი მოვანდომე.

– მამაო, არ მესმის, რაზე ლაპარაკობთ...

– ჩემთან თამაში არ გაგივათ. ვითომ საიდუმლო დოკუმენტი გინდოდათ შემოგესაღებინათ ჩემთვის (მაგიდაზე დააგდო ჩემი ნაშრომი). ვაპირებდი, მაღალი ფასი დამედო მისთვის, იეზუიტებმა კი სასაცილოდ ამიგდეს. ეს ეგზომ საიდუმლო ცნობები ვინმე ჯონ რეტკლიფს გამოუგონია თავის რომანში „ბიარიცი“ (რაღაც წიგნი ამოიღო). როგორც ჩანს, გერმანული იცით და გამოსვლისთანავე წაგიკითხავთ რომანი. პრაღის სასაფლაოს ის ღამის თავყრილობა მოგეწონათ, ალბათ და გადაწყვიტეთ, გამონაგონი რეალობად გაგესაღებინათ. თან, პლაგიატორის უტიფრობით, იმედი გქონდათ, რაინის გადმოღმა გერმანული არავის ეცოდინებოდა...

– მისმინეთ, მგონი, ვხვდები...

– აქ მისახვედრი არაფერია. შემეძლო, ეს ქაღალდის ნაგლეჯი ნაგავში მომესროლა და თქვენც ჯანდაბაში გამეშვით, მაგრამ მე ადვილად არაფერი მავიწყდება და შურისძიებაც ვიცი. გაფრთხილებთ, რომ შევატყობინებთ ჩვენს მეგობრებს საიდუმლო სამსახურში, ვინც ბრძანდებით და შეიძლება თუ არა თქვენი ნდობა. გითხრათ, რატომ გეუბნებით ამას წინასწარ? გულწრფელობა ნამდვილად არ მამოძრავებს, თქვენ გულახდილობას არ იმსახურებთ. უბრალოდ, თუ ერთ დღეს ზურგში დანას გაგიყრიან, მინდა, იცოდეთ, ვისი დამსახურება იქნება. შურისძიებას აზრი არ აქვს, თუ მსხვერპლმა არ იცის, ვინ კლავს და რატომ. არ მეთანხმებით?

ყველაფერი გასაგები იყო. იმ თაღლით გედშეს (ლაგრანჟმა ხომ მითხრა, ფელეტონებს ბეჭდავს რეტკლიფის ფსევდონიმით) შტიბერისთვის საერთოდ არ გადაუცია ჩემი დოკუმენტი. ეს თემა წიგნისთვის მოეწონა, რადგან შესანიშნავად უდგებოდა რომანის ანტიებრაულ მგზნებარებას. ამიტომ უნამუსოდ მიისაკუთრა და საკუთარი თხზულების ნაწილად აქცია ნამდვილი ამბავი (მას ხომ ნამდვილი ეგონა). ლაგრანჟმა თავიდანვე გამაფრთხილა, რომ გედშე აფერისტი და დოკუმენტების გამყალბებელი იყო, მე კი ასე გულუბრყვილოდ გავები მის მახეში. მაცოფებდა ეს აზრი.

თუმცა ბრაზს შიშიც დაემატა. დალა პიკოლასთვის ზურგში გაყრილი ხანჯალი, ალბათ, ერთგვარი მეტაფორა იყო, მაგრამ ლაგრანჟს ნათლად ჰქონდა ნათქვამი, როცა ვინმე ზედმეტი აღმოჩნდება, საიდუმლო სამსახური უბრალოდ აქრობს მასო. ადვილი წარმოსადგენი იყო, რაც ელოდა არასანდო ინფორმატორს, რომელიც მონაჩმახს საიდუმლო მასალად ასაღებდა და დაზვერვის სამსახურის სახელს სამუდამოდ ლაფში სვრიდა „იესოს საზოგადოების“ თვალში. ვინ შეინარჩუნებდა ასეთ აგენტს? თვალის დაუხამხამებლად გაუყრიდნენ გულში დანას და მეორე წუთში სენაში ამოტივტივდებოდა მისი გვამი.

ამას მიქადდა აბატი დალა პიკოლა. უაზრობა იყო, მისთვის ამეხსნა, სინამდვილეში რა როგორ მოხდა. რატომ დამიჯერებდა? მან ხომ არ იცოდა, რომ გედშეს იქამდე ვაჩვენე დოკუმენტი, სანამ ის გათახსირებული რომანს დაამთავრებდა? აბატმა მხოლოდ ის იცოდა, რომ დოკუმენტი მას გადავეცი, თანაც გედშეს წიგნის გამოსვლის შემდეგ.

ჩიხში ვიყავი მოქცეული.

ერთადერთი გამოსავალი მრჩებოდა: დალა პიკოლას ხმა არ უნდა ამოეღო.

თითქმის ინსტინქტურად ვმოქმედებდი. საწერ მაგიდაზე რკინის მძიმე შანდალი მედგა. ხელი ვტაცე და დალა პიკოლა კედელთან მივიმწყვდიე. მღვდელმა თვალები გადმოკარკლა და ჩაიჩურჩულა:

– მოკვლას მიპირებთ?..

– დიახ, ძალიან ვწუხვარ, – ვუპასუხე.

მართლა ვწუხდი, მაგრამ რა მექნა, როცა საჭიროა, უნდა იმოქმედო. შანდალი თავში ჩავარტყი. აბატი იატაკზე გაიშხლართა და პირიდან სისხლმა ამოჩქეფა. მკვდარს დავყურებდი და სულაც არ ვგრძნობდი თავს დამნაშავედ. თავად მაიძულა.

ახლა როგორმე უნდა მომეშორებინა იქიდან ის უადგილო გვამი.

როცა მაღაზია და ზედა სართულზე ოთახი ვიყიდე, ბინის პატრონმა იატაკზე ამოჭრილი ხუფი მიჩვენა, საიდანაც სარდაფში იყო ჩასასვლელი.

– რამდენიმე საფეხურია, – მითხრა. – თავიდან ვერც კი გაბედავთ ჩასვლას, ისეთი სიმყრალე გეცემათ სახეში. მაგრამ ხანდახან მაინც მოგიწევთ ამ ხუფის ახდა. თქვენ უცხოელი ხართ, ალბათ, კარგად არ იცით ქალაქის ისტორია. ადრე ყველანაირ სიბინძურეს პირდაპირ ქუჩაში ასხამდნენ, კანონიც კი არსებობდა, რომელიც ავალდებულებდა ქალაქის მცხოვრებლებს, ფანჯრიდან მაინც დაეყვირათ გამვლელ-გამომვლელისთვის, „გაიწიეთ, ვასხამო“, სანამ ღამის ქოთნებს ქუჩაში გადააპირქვავებდნენ. ფეხით მოსიარულეთათვის საშინლად მოუხერხებელი იყო ეს წესი. მოგვიანებით ქუჩების გასწვრივ ღია არხები გააკეთეს, სადაც სიბინძურე ილვრებოდა, მერე კი ის არხები ზევიდანაც გადახურეს და ასე გაჩნდა პირველი კანალიზაცია. ბარონმა ოსმანმა, როგორც იქნა, კარგი საკანალიზაციო სისტემა ააშენა პარიზში, მაგრამ ის, პირველ რიგში, წყლისთვისაა, ფეკალური მასები კი სხვა გზით მიდის (ამიტომაც არ იჭედება თქვენი ტუალეტის მილში), დიდ ორმოში გროვდება, რომელ-

საც ღამით ცლიან და ყველაფერი ქალაქგარეთ, ნაგავსაყრელ-ზე გააქვთ. ახლა კამათობენ იმაზე, უნდა გამოიყენონ თუ არა ერთიანი საკანალიზაციო სისტემა: ყველაფერი ერთად გაუშვან თუ არა დიდ საკანალიზაციო მილებში. უკვე ათი წელი იქნება, მეპატრონეებს კანონით ევალებათ, სახლი დიდ საკანალიზაციო მილს დაუკავშირონ, რომლის სიგანე ერთი მეტრი და ოცდაათი სანტიმეტრია. აი, ეგ მილი დაგხვდებათ ქვემოთ, ოღონდ ცოტა უფრო ვიწროა და სიმაღლითაც კანონით გათვალისწინებულზე ნაკლებია. მე მაგდენს ვერ შევძლებდი, ასეთ მილებს დიდ ბულ-ვარებზე აკეთებენ, ამ ერთი ბეწო ჩიხში ვის რაში ანაღვლებს საკანალიზაციო მილის სიგანე. აქ არავინ მოგადგებათ შესა-მოწმებლად, მართლა იქ ჩაედინება თუ არა თქვენი განავალი, სადაც საჭიროა. მოკლედ, თუ სიბინძურეში ქექვის სურვილი არ გექნებათ, შეგიძლიათ, ღამის ქოთანი პირდაპირ ამ საფეხუ-რებზე ჩაცალოთ, ძლიერ წვიმაში წყალი აქამდეც შემოაღწევს და კიბეებს ჩარეცხავს. გარდა ამისა, საკანალიზაციო სისტე-მაში გასასვლელი სხვა მხრივაც სასარგებლოა. ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ ყოველ ათ-ოც წელიწადში პარიზში ან რევო-ლუციაა, ან გადატრიალება და ეს მიწისქვეშა გზა, შეიძლება, ძალიან გამოგადგეს კაცს. როგორც ყველა პარიზელს, წაკით-ხული გექნებათ ცოტა ხნის წინ გამოსული რომანი, „საბრა-ლონი“, სადაც მთავარი მოქმედი პირი საკანალიზაციო გზებით გაიყვანს ქალაქიდან დაჭრილ მეგობარს. მოკლედ, ხვდებით, რასაც ვგულისხმობ.

ფელეტონების მოტრფიალე, ცხადია, კარგად ვიცნობდი ჰი-უგოს სიუჟეტს და იმ მარშრუტის გამეორება ნამდვილად არ მსურდა. ვერც კი წარმომედგინა, როგორ გაიარა პერსონაჟმა იმხელა მანძილი იქ, მიწისქვეშეთში. პარიზის სხვა უბნებში სა-კანალიზაციო არხები, ალბათ, მაღალი და განიერია, მობერის ჩიხის ქვეშ არსებული არხი კი რამდენიმე საუკუნის მაინც იქ-ნებოდა. დალა პიკოლას გვამი ჯერ ქვედა სართულზე ჩავათ-

რიე და მერე – სარდაფის კიბეებზე. საბედნიეროდ, მოხუცი გამხდარი და ერთიანად მოკაკვული იყო, არ გამჭირვებია მისი გადაადგილება. თუმცა სარდაფის ვიწრო კიბეზე გვამს ვერ მოვიკიდებდი, ამიტომ იძულებული გავხდი, კიბეზე დამეგორებინა. მერე მეც ჩავედი გვირაბში და გვამი რამდენიმე მეტრზე გადავათრიე, რომ მაინცდამაინც ჩემი სახლის ქვეშ არ გახრწნილიყო. ერთი ხელით კოჭზე ვექაჩებოდი მკვდარს, მეორეში კი სანათური მეჭირა. სამწუხაროდ, მესამე ხელი აღარ მქონდა, რომ ცხვირზე ამეფარებინა.

პირველად მიწევდა გვამის დამალვა. ნიევოსა და ნინუცოს შემთხვევებში ისე გამოვიდა ყველაფერი, რომ გვამებზე ზრუნვა არ დამჭირვებია (თუმცა ნინუცოს „დაბინავებაზე“ რომ მეფიქრა მაშინ სიცილიაში, კარგი იქნებოდა). ახლაღა ვხვდებოდი, რომ მკვლელობის ყველაზე უხერხული მომენტი გვამის გადამალვაა, ალბათ, მღვდლები ამიტომაც გვიშლიან მკვლელობას. ომებს არ ვგულისხმობ, ომი სხვა საქმეა: იქ გვამები სვავებს რჩებათ.

მოკლედ, ათიოდე მეტრზე გავათრიე ჩემი აბატი. მღვდლის გვამის თრევა განავლით სავსე არხში (თანაც, ღმერთმა უწყის, ვისი განავლით!) საამო ნამდვილად არაა. მით უფრო, თუ ეს ამბავი მერე შენსავე მსხვერპლს უნდა მოუყვე – ღმერთო ჩემო, რას ვწერ? მოკლედ, გვარიანად ვგლისე ფეკალიები, სანამ, როგორც იქნა, გვირაბის ბოლოს სინათლეს მოვკრავდი თვალი. მივხვდი, რომ მობერის ჩიხისა და სოტონის ქუჩის კუთხესთან ვიყავი: იქ იყო საკანალიზაციო ჭა, რომელიც გზაზე ამოდიოდა.

თავიდან ვფიქრობდი, გვამი უახლოეს მსხვილ კოლექტორამდე მიმეთრია, სადაც მეტი წყალი ხვდებოდა, მაგრამ მერე გადავიფიქრე: წყალს, შეიძლება, მალევე ამოეტივტივებინა გვამი სენაში და იქნებ ამოეცნოთ კიდეც ჩემი აბატი. და სწორადაც მოვიქეცი. კლიშის ხევის ნაგავსაყრელზე სულ რაღაც ბოლო ექვსი თვის მანძილზე ოთხი ათასი ძაღლი, ხუთი ხბო,

ოცი ცხვარი, შვიდი თხა და შვიდი ღორი, ოთხმოცი ქათამი, სამოცდაცხრა კატა, ცხრაას ორმოცდაათი კურდღელი, ერთი მაიმუნი და ერთიც მახრჩობელა გველი უპოვიათ. სტატისტიკაში მღვდლები არ იყვნენ ნახსენები, მაგრამ ჩემს აბატს, შეიძლება, ძალიან მალე გაემრავალფეროვნებინა ეს შთამბეჭდავი ჩამონათვალი. ხოლო თუ მკვდარს იქვე დავტოვებდი, შეიძლება, ადგილიდან არც დაძრულიყო. კედელსა და თავად არხს შორის – რომელიც ბარონ ოსმანის არხებზე ბევრად ძველი იყო – ვიწრო ტროტუარი მიუყვებოდა და გვამი იქ დავტოვე. ვიფიქრე, რომ იმ ნესტსა და სიბინძურეში მალე გაიხრწნებოდა და ძვლებს ვეღარავინ ამოიცნობდა. კარგად ვიცნობდი იმ ჩიხს და დარწმუნებული ვიყავი, ამ არხში სულიერი დიდხანს არ მოხვდებოდა. რომც ჩასულიყო ვინმე და გახრწნილი გვამი ეპოვა, მაინც ვერ გაარკვევდნენ, საიდან მოხვდა იქ. საკანალიზაციოდან ნებისმიერს შეეძლო გვამის იქამდე მითრევა.

სახლში ავბრუნდი, სამუშაო ოთახს მივაშურე და გედშეს რომანი გადავშალე, სადაც დალა პიკოლას სანიშნი ჩაედო. ჩემი გვარიანად დავიწყებული გერმანულით ყველა წვრილმანს ვერ ვხვდებოდი, მაგრამ ამბავი კარგად მესმოდა. ეჭვი არ რჩებოდა: საკუთარ თხზულებას ვკითხულობდი პრაღის სასაფლაოს რაბინებზე, ოღონდ გედშე (რომელსაც უდავოდ ჰქონდა სცენური აღქმა) უფრო ხატოვნად აღწერდა ღამის სასაფლაოს. პირველი ვინმე ბანკირი როზენბერგი მოდიოდა შეკრების ადგილზე, ვილაც პოლონელი რაბინის თანხლებით. რაბინს კინკრიხოზე ქუდი დაესკუპებინა და საფეთქლებზე კულულები ეყარა. სასაფლაოზე შედიოდა და მცველს ყურში უჩურჩულებდა კაბალას შვიდმარცვლიან სიტყვას.

მერე მოდიოდა კაცი, რომელიც ჩემს, ორიგინალურ, ვერსიაში ინფორმატორი იყო. ის ვინმე ლასალის მოჰყავდა, თან ეუბნებოდა, დაგასწრებ შეხვედრას, რომელიც ყოველ ას წელიწადში ერთხელ ტარდებაო. წვერს მიიკრავდნენ, გრძელ პარი-

კებს ჩამოიფხატავდნენ და ამის შემდეგ ამბავი მეტ-ნაკლებად ჩემი სცენარით ვითარდებოდა. ფინალიც იგივე იყო: მოცისფრო შუქი ამოდიოდა საფლავიდან, რაბინები ნელ-ნელა შორდებოდნენ სასაფლაოს და ღამეში იკარგებოდნენ.

იმ გათახსირებულს ჩემი იდუმალებით აღსავსე ნაშრომი მელოდრამატული სიუჟეტისთვის გამოეყენებინა. რამდენიმე ტალერის გულისთვის ეს კაცი ყველაფერს იკადრებდა. მოკლედ, არაფერი წმინდა აღარ დარჩა ქვეყანაზე!

სწორედ ის ხდება, რაც ებრაელებს უნდათ.

ახლა უნდა დავიძინო. ჩემს ზომიერ კვებით ჩვევებსაც ვუღალატე და ღვინის ნაცვლად უამრავი კალვადოსიც დავლიე (საშინლად მეხვევა თავბრუ და მეშინია, ერთი და იგივე არ ვწერო გაუთავებლად). ვხვდები, თუ ღრმა, უსიზმრო ძილით დავიძინებ, მხოლოდ მაშინ გამეღვიძება, როგორც აბატ დალა პიკოლას. თან მაინტერესებს, როგორ უნდა გავიღვიძო ადამიანად, რომლის სიკვდილის ერთადერთი მიზეზიცა და მოწმეც თავად ვარ.

15

# მკვდრეთით აღმდგარი დალა პიკოლა

6 აპრილი 1897, განთიადი

კაპიტანო სიმონინი, არ ვიცი, როდის, ალბათ, სანამ გეძინათ (ღრმად თუ მკვდარივით – როგორიც გენებოთ, ისე თქვით), გამომელვიძა და გარიჟრაჟზე წავიკითხე თქვენი ნაწერი.

კითხვა რომ დავამთავრე, ვიფიქრე, რომ იტყუებოდით, თუმცა, არ ვიცი, რატომ (ისე გულწრფელად ყვებით თქვენს ცხოვრებაზე, დიდი ცოდვა არ იქნება, კაცმა იფიქროს, რომ ხანდახან ტყუით). თუ ამქვეყნად ვინმემ ზუსტად იცის, რომ მკვდარი არ ვარ, ეს, პირველ რიგში, მე გახლავართ. მაინც მომინდა, შემემოწმებინა, ანაფორა გავიხადე და ნახევრად შიშველი ჩავედი სარდაფში, მაგრამ ხური ავხადე თუ არა იმ შემზარავ არხს, რომელსაც თქვენ ასე ხატოვნად აღწერით, სიმყრალემ შემაჩერა. დავფიქრდი, რას ვეძებ-მეთქი: შემორჩენილი იყო თუ არა იმ გვამის ნაშთი, რომელიც თურმე ოცდახუთი წლის წინ დატოვეთ საკანალიზაციო არხში? და იმ სიბინძურეში უნდა ჩავსულიყავი, რომ მენახა, ის ძვლები ჩემია თუ არა? თუ უფლებას მომცემთ, ვიტყვი, რომ ეს ისედაც ვიცი. მოკლედ, თქვენი მჯერა, ვილაც აბატი დალა პიკოლა მოკალით.

მაშ, მე ვინღა ვარ? ფაქტია, რომ ის დალა პიკოლა არ ვარ, ვინც თქვენ გამოსალმეთ სიცოცხლეს (რომელიც, სხვათა შორის, არც კი მგავდა), მაგრამ დავიჯერო, ორი აბატი დალა პიკოლა არსებობს?

ალბათ, გავგიჟდი. სახლიდან გასვლას ვერ ვბედავ. არადა, უნდა გავიდე, საჭმელი მაინც ვიყიდო. ანაფორით ტავერნებში ვერ ვივლი სასადილოდ. არც თქვენსავით მოწყობილი სამზარეულო მაქვს, თუმცა, უნდა ვაღიარო, თქვენზე ნაკლებ როდი მიყვარს ჭამა.

საშინლად მინდა, თავი მოვიკლა, მაგრამ ვიცი, რომ ეს ეშმაკის ცდუნებაა.

თანაც რატომღა მოვიკლა თავი, თუ თქვენ უკვე მომკალით? დროის კარგვა იქნება.

7 აპრილი

ბატონო აბატო, ახლა მართლა კმარა.

არ მახსოვს, რა მოხდა გუშინ. დილით თქვენი ჩანაწერი დამხვდა. მორჩით, ნუ მტანჯავთ. თქვენც არაფერი გახსოვთ? მაშინ მომბაძეთ: საკუთარ ჭიპს მიაჩერდით, კარგა ხანს უყურეთ და მერე შეუდექით წერას. დააცადეთ, ხელმა იფიქროს გონების ნაცვლად. რატომ უნდა მახსოვდეს მე ყველაფერი, თქვენ კი – მხოლოდ ის, რის დავიწყებაც მსურდა?

ახლა სხვა მოგონებები არ მასვენებს. დალა პიკოლა ახალი მოკლული მყავდა, როცა ლაგრანჟისგან წერილი მივიღე. ამჯერად ფიურსტენბერგის მოედანზე მიბარებდა, თანაც შუაღამით, როცა ის ადგილი მართლა შემაშფოთებელია. როგორც შეშინებულები ამბობენ ხოლმე, სინდისი გასვრილი მქონდა, ის-ის იყო, კაცი მოვკალი და მეშინოდა (ქვეცნობიერად), რომ ლაგრანჟს ეს უკვე ეცოდინებოდა. თუმცა მას, ცხადია, სულ სხვა რამეზე სურდა ჩემთან საუბარი.

– კაპიტანო სიმონინი, ერთ ცნობისმოყვარე საეკლესიო პირს უნდა ადევნოთ თვალყური. როგორ გითხრათ... სატანისტია.

– სად ვნახო, ჯოჯოხეთში?

– არ გეხუმრებით. მოკლედ, არის ვინმე აბატი ბულანი, რომელმაც მრავალი წლის წინ გაიცნო ადელ შევალიე, სუასონის წმინდა თომას მონასტრის მორჩილი. ამ ქალზე ნაირ-ნაირი ხმები დადიოდა. ამბობდნენ, რაც სიბრმავისგან განიკურნა, წინასწარმეტყველება დაიწყო და იმდენი მორწმუნე აკითხავდა მონასტერში, წინამძღვარი შეწუხდა და ეპისკოპოსმა ადელი სუასონიდან გადაიყვანაო. მერე კი, გაუგებარია, როდის და როგორ, ამ ჩვენს ადელს მოძღვრად ბულანი აურჩევია. სად იპოვეს ერთმანეთი, არავინ იცის, ხომ გაგიგიათ, ღმერთი ქმნის და თავადვე აწყვილებსო. ჰოდა, ამ ჩვენს წყვილს ცოდვილთა გამოსასწორებლად ასოციაცია შეუქმნია. სურდათ, ღმერთისთვის მარტო ლოცვა არ მიეძღვნათ სულის გადასარჩენად, ამიტომ ცოდვის ფიზიკურად გამოსყიდვის ათასგვარი ფორმა მოუგონებიათ ცოდვილთათვის.

– ამაში ცუდი რა არის?

– არაფერი, თუ არ ჩავთვლით, რომ ქადაგებდნენ, ცოდვისაგან გასათავისუფლებლად ახალი ცოდვა უნდა ჩაიდინოო; კაცობრიობა ორმაგმა ავხორცობამ გარყვნა – ადამის მრუშობამ ლილიტთან, ევასი კი – სამაელთანო (არ მკითხოთ, ის ორნი ვინ არიან, ჩემი მოძღვრისგან მეც მხოლოდ ადამი და ევა მსმენია). მოკლედ, კარგად ვერ გავიგეთ, რისკენ მოუწოდებდნენ ცოდვილებს, მაგრამ ერთი აშკარაა: აბატი ბულანი, ადელი და მათი მიმდევრები იკრიბებოდნენ და, როგორ გითხრათ, ყველანი ერთად მრუშობდნენ თურმე, იმას აკეთებდნენ, რაც მოეპრიანებოდათ. ხმები დადის, კეთილ მოძღვარს არაერთხელ ოსტატურად გაუქრია ადელთან თავისი უკანონო სიყვარულის ნაყოფიო. ალბათ, ფიქრობთ, რომ ამ ამბებით პოლიცია უნდა დაინტერესდეს და არა ჩვენ, მაგრამ საქმე ისაა, რომ იმ

გარყვნილთა ხროვას კეთილშობილი ბანოვანები და მაღალჩინოსან მოხელეთა ცოლებიც შეუერთდნენ, რომელიღაც მინისტრის ცოლიც კი ყოფილა მათში. ჰოდა, ბულანმა ამ მდიდარ ქალბატონებს იმდენი ფული წააფცქვნა, რომ ამ საქმემ უკვე სახელმწიფო მნიშვნელობა შეიძინა და იძულებულები გავხდით, ჩავრეულიყავით. ორი მთავარი დამნაშავე გაასამართლეს და სამ-სამი წელი ციხე მიუსაჯეს თაღლითობისა და მრუშობისათვის. ციხიდან 64-ის ბოლოს გამოვიდნენ. ამის შემდეგ აბატზე აღარაფერი გვსმენია და გვეგონა, რომ გონს მოეგო, რადგან არაერთხელ შეინანა დანაშაული. ამ ბოლო ხანებში კი, როცა წმინდა საყდარმა საბოლოოდ მიუტევა ცოდვები, პარიზში დაბრუნდა და განაახლა ქადაგება, რომ სხვათა ცოდვების გამოსასწორებლად ერთადერთი გზა საკუთარი ცოდვების ჩადენაა. ყველამ რომ ასე იფიქროს, ეს საქმე რელიგიის სფეროს გასცდება და პოლიტიკურად გადაიქცევა, გესმით ალბათ, რასაც ვგულისხმობ. მეორე მხრივ, ეკლესიაც შფოთავს უკვე. ახლახან პარიზის არქიეპისკოპოსმა შეაჩვენა და ეკლესიიდან განკვეთა ბულანი. არ ვიცი, აქამდე რას ელოდებოდნენ. პასუხად ბულანი თავისნაირ მყრალ ერეტიკოს მღვდელს, ვინმე ვენტრას დაუკავშირდა. აი, ამ მცირე დოსიეში ყველაფერია, რაც მასზე ვიცით. ახლა თქვენ უნდა ადევნოთ თვალყური და შეგვატყობინოთ, რას საქმიანობს.

– კი, მაგრამ მე ხომ სათნო ქალწული არ ვარ, ვითომ აღსარებისთვის მივაკითხო ბულანს და ჩემთან მრუშობა მოვანდომო? როგორ მივუდგე?

– არ ვიცი, გნებავთ, ანაფორა გადაიცვით, იქნებ ასე მოახერხოთ რამე. მსმენია, თავის დროზე გარიბალდის გენერლადაც კი გაგისაღებიათ თავი.

აი, რა გამახსენდა ახლა. თუმცა, ძვირფასო აბატო, თქვენ აქ არაფერ შუაში ხართ.

16

# ბულანი

8 აპრილი

კაპიტანო სიმონინი, თქვენი გაღიზიანებული შენიშვნა რომ წავიკითხე, გადავწყვიტე, მოგბაძოთ და წერას შევუდგე. არა მგონია, აუცილებელი იყოს, იქამდე საკუთარ ქიპს მივაშტერდე, მირჩევნია, დაუფიქრებლად, თითქმის ავტომატურად ვწერო, საშუალება მივცე სხეულს, ხელის საშუალებით გაიხსენოს ის, რაც სულს დავიწყებია. ის თქვენი დოქტორი ფროიდი შტერი კი არ იყო.

ბულანი... მაგონდება, როგორ ვსეირნობდი მასთან ერთად პარიზის გარეუბანში, პატარა სამლოცველოს წინ. თუ სევრი იყო? მეუბნებოდა: – ღმერთის წინაშე ჩადენილი ცოდვების გამოსყიდვა იმასაც ნიშნავს, თავად იტვირთო ისინი. ცოდვა, რაც უფრო მძიმეა, მით უფრო დიდი მისტიკური ტვირთია და საკუთარი ნებით მისი მოკიდება იმ ბინძურ, ფიზიკურ ტვირთს ამსუბუქებს, რასაც დემონი სთხოვს ადამიანებს. ჩვენს სუსტ ძმებს უნდა მოვხსნათ ეს ტვირთი, მათ, ვინც დაუხმარებლად ვერ დააღწევს თავს ბოროტი ძალების მონობას. გინახავთ ოდესმე ის „ბუზსაჭერები", ახლახან

რომ გამოიგონეს გერმანიაში? ძირითადად საფუნთუშეებში ხმარობენ: შაქრის სიროფით გაჟღენთილ ქსოვილს ტკბილეულის თავზე კიდებენ. შაქარი ბუზებს იზიდავს, ესევიან წებოვან ქსოვილს, მაგრამ ვეღარ შორდებიან და ზედვე იხოცებიან შიმშილისგან ან სულაც იხრჩობიან, როცა მწერებით სავსე ბუზსაჭერს მეფუნთუშე არხში მოისვრის. ჭეშმარიტი გამომსწორებელიც ასეა: თავად იზიდავს ყოველგვარ ცოდვასა და გარყვნილებას და ადამიანის განმწმენდად გადაიქცევა.

მახსენდება ეკლესიაში, საკურთხეველთან, ნანახი სცენა: ბულანი მორწმუნე ცოდვილ ქალს „განწმენდს“, რომელიც იატაკზე ფორთხავს და პირიდან შემზარავ მკვეხელობასა და სიბინძურეს აფრქვევს, დემონებს უხმობს: აბიგორ, აბრაქას, ადრამელექ, ჰაბორიმ, მელქომ, სტოლას, ზაებოს...

ბულანს იისფერი შესამოსელი და ზევიდან – წითელი კოტა აცვია. ცოდვილისკენ იხრება და ეგზორცისტული ფორმულის მსგავს სიტყვებს წარმოთქვამს, მაგრამ (თუ სწორად გავიგე) უკულმა: Crux sacra non sit mihi lux, sed draco sit mihi dux, veni, Satana, veni![12] გადაიხრება და სამჯერ ჩააფურთხებს პირში ქალს. მერე სამოსს აიწევს, ბარძიმში ჩააფსამს და ასმევს. ბოლოს ლარნაკიდან რაღაც რბილ მასას იღებს (შიშველი ხელით!) – აშკარად ადამიანის განავალია – ქალს მკერდს გაუშიშვლებს და სიბინძურეს ძუძუებზე აგლესს შეპყრობილს.

ქალი ბორგავს, მიწაზე ხოხავს, ყმუის და გმინავს, მერე ნელ-ნელა ჩუმდება და თითქმის ჰიპნოზურ ძილს ეძლევა.

ბულანი სამკვეთლოში გადის, ნაჩქარევად გადაიბანს ხელებს და გარეთ გამიძღვება. სამლოცველოს კარიბჭისკენ მივდივართ. ამოიოხრებს, თითქოს მძიმე მოვალეობა მოეხადოს: – Consummatum est[13].

---

[12] „წმინდა ჯვარი იყოს ჩემი ნათელი; არასოდეს გამიძღვეს გველეშაპი. განვედ, სატანავ, განვედ!“ (ლათ. სიტყვები, რომლებიც ინიციალების სახით – C.S.S.M.L.N.D.S.M.D. – გამოსახულია ჯვრის მკლავებზე წმინდა ბენედიქტეს მედალიონის ცენტრში. წმინდა ბენედიქტეს მედალიონი კათოლიკურ ეკლესიაში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ეგზორცისტულ რიტუალებში.

[13] აღსრულებულია (ლათ.).

მახსოვს, ვუთხარი, ერთმა კაცმა გამოგზავნა თქვენთან, ვერ გეტყვით, ვინაა, ვინაობის გამხელა არ სურს, რადაც რიტუალისთვის ნაკურთხი სეფისკვერი სჭირდება-მეთქი.

ბულანმა ჩაიბურტყუნა:

– შავი წირვისთვის? კი, მაგრამ, თუ მას მღვდელი არ ჰყავს, თავადვე შეუძლია, აკურთხოს სეფისკვერი. კურთხევა ძალაშია, თუნდაც მღვდელი ეკლესიის მიერ განკვეთილი იყოს.

დავაზუსტე:

– არა მგონია, იმ ადამიანს შავი წირვის აღსრულება ჰქონდეს განზრახული. გსმენიათ, ალბათ, ზოგიერთი ლოჟის წევრები სეფისკვერის ნამოაგებენ ხანჯლის წვერზე, რომ ფიცი აღასრულონ.

– გასაგებია. მახსოვს, მობერის მოედნის სიახლოვეს ძველმანებით ერთი მოვაჭრე სეფისკვერებსაც ყიდდა. შეგიძლიათ, მასთან სცადოთ.

იქნებ ამ ამბის გამო შევხვდით ერთმანეთს?



...ზოგიერთი ლოჟის წევრები სეფისკვერს წამოაგებენ ხანჯლის წვერზე, რომ ფიცი აღასრულონ...

17

# კომუნის დღეები

9 აპრილი, 1897

დალა პიკოლას მოკვლიდან მალევე ლაგრანჟის წერილი მივიღე. ამჯერად სენის სანაპიროზე მიბარებდა.

ბოროტად მეხუმრება მეხსიერება. უმნიშვნელოვანესი ფაქტები მავიწყდება, სამაგიეროდ ცხადად მახსოვს განცდა, რომელიც იმ საღამოს პონ-რუაიალთან დამეუფლა. შევჩერდი, სინათლემ მომჭრა თვალი. „საფრანგეთის იმპერიის ოფიციალური მაცნის“ ახალ რედაქციას აშენებდნენ ხიდის პირდაპირ. სამუშაოს დასაჩქარებლად ელექტრონული შუქით გაეკაშკაშებინათ იქაურობა. ამწეებისა და ხარაჩოების ტყეში თვალისმომჭრელი სინათლის წყარო მშენებლების ჯგუფისკენ მიემართათ. სიტყვა ვერ გადმოსცემს იმ მნათობის შუქის მაგიურ ეფექტს, რომელიც ირგვლივ გამეფებულ წყვდიადში აფეთქებულიყო.

ელექტრონული შუქი… იმ წლებში სულელები მომავალზე ფიქრით იყვნენ შეპყრობილები. ეგვიპტეში არხი გაჭრეს, რომელიც ხმელთაშუა ზღვას წითელ ზღვასთან აკავშირებდა და აზიაში მოსახვედრად აფრიკის კონტინენტის შემოვლა აღარ იქნებოდა საჭირო (ცხადია, ამან სერიოზულად დააზარალა

ბევრი წესიერი სანაოსნო კომპანია); გაიხსნა მსოფლიო გამოფენა, რომლის არქიტექტურაც მიანიშნებდა, რომ ის, რაც ოსმანმა გააკეთა პარიზის გასანადგურებლად, მხოლოდ დასაწყისი იყო; ამერიკელები ამთავრებდნენ რკინიგზის მშენებლობას, რომელიც კონტინენტის აღმოსავლეთ სანაპიროს დასავლეთს დაუკავშირებდა. ზანგი მონები ახალი გათავისუფლებულები იყვნენ და ეჭვი არ იყო, ამ რკინიგზის საშუალებით მდაბიოთა ურდოები მთელ კონტინენტს მოედებოდნენ, სისხლს აამღვრევდნენ და მეტისების ჭაობად აქცევდნენ ამერიკას. მოკლედ, მათ ებრაელებზე უარესი საფრთხე ემუქრებოდათ. ამერიკის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ომში პირველად გამოჩნდა წყალქვეშა გემები და მეზღვაურები წყალში კი აღარ იხრჩობოდნენ, უჰაერობით იგუდებოდნენ; ჩვენი მშობლების მშვენიერ სიგარებს წვრილი ღერები ანაცვლებდა, რომლებიც წამში იწვებოდა და მწეველს ყოველგვარ ნეტარებას უსპობდა; ჩვენი ჯარისკაცები, უკვე მრავალი წელი იყო, ლითონის ქილებში შენახულ აყროლებულ ხორცს ჭამდნენ; ამბობდნენ, ამერიკაში ჰერმეტულად დახურული ოთახი გამოუგონებიათ, რომელსაც მაღალ სართულებზე აჰყავს მგზავრები რაღაც წყლის დგუშებიანი მექანიზმითო. ერთ შაბათ საღამოსაც ის დგუშები მოშლილა და მგზავრები ორ დღე-ღამეს ყოფილან გამომწყვდეული იმ ლითონის ყუთში უწყლოდ და უჰაეროდ, საკვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ორშაბათ დილას დახოცილები უპოვიათ, უბედურები.

ყველა კმაყოფილი იყო, რადგან ცხოვრება მარტივდებოდა. რაღაც მანქანებს იგონებდნენ, რომ შორს მყოფ ადამიანებს ერთმანეთთან ლაპარაკი შეძლებოდათ; საწერ მოწყობილობებზეც ყვებოდნენ, რომელთა გამოისობითაც მალე კალამი აღარ დაგვჭირდებოდა. ნეტავ თუ შემორჩებოდა სადმე ორიგინალები, რომელთა გაყალბებასაც შეძლებდა კაცი?

ხალხი მოჯადოებული შესცქეროდა მენელსაცხებლეთა ვიტრინებს, სადაც ათასგვარი სასწაულებრივი საშუალება გამოე-

ფინათ: სალათის ფოთლების რძეზე დამზადებული კანის საცხები, ინის შემცველი თმის აღმდგენი ნიღბები, პომპადურის კრემი, ბანანის წყალი, კაკაოს რძე, ბრინჯის ფქვილი პარმული იის დაფქვილი თესლით. ითვლებოდა, რომ ეს საშუალებები მაცდურ ქალებს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა და ძვირფას სუნამო-ნელსაცხებლებს ახლა უკვე მდიდარ მფარველზე მონადირე მკერავი ქალებიც ეტანებოდნენ: კერვა მაინც აღარ უწევდათ, მათ ნაცვლად მანქანები აკეთებდა საქმეს.

თუმცა ამ ახალი დროის ერთადერთი მართლა საინტერესო გამოგონება ფაიფურის ჭურჭელი იყო, რომელიც საშუალებას გაძლევდა, დამჯდარი გასულიყავი კუჭში.

მეც კი ვერ ვხვდებოდი მაშინ, რომ ეს გარეგნული აღტყინება იმპერიის აღსასრულს მოასწავებდა. ალფრედ კრუპმა მსოფლიო გამოფენაზე წარმოადგინა იქამდე უნახავი ზომის ქვემეხი, რომელიც ორმოცდაათ ტონას იწონიდა და რომლის თითო ჭურვი ას ლიბრა დენთს შეიცავდა. იმპერატორი ისე აღფრთოვანდა ამ გამოგონებით, რომ კრუპს ღირსების ორდენიც გადასცა, მაგრამ როცა კრუპმა მას ფასების ჩამონათვალი გაუგზავნა და აცნობა, მზად ვარ, ეს იარაღი ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს მივყიდოო, ფრანგული სამხედრო ძალების სარდლობამ, რომელსაც იარღის თავისი მომწოდებლები ჰყავდა, დაარწმუნა იმპერატორი, უარი ეთქვა კრუპის იარაღზე. ასე რომ, კრუპის გამოგონება ბოლოს პრუსიის ხელმწიფემ შეიძინა.

მაგრამ ნაპოლეონი ის აღარ იყო, რაც ოდესღაც. თირკმლებში კენჭები ხელს უშლიდა ჭამაშიც და ძილშიც, ცხენით ჯირითზე რომ აღარაფერი ვთქვათ. კონსერვატორებისა და თავისი ცოლის სჯეროდა და ფრანგული ჯარი მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ეგონა მაშინ, როცა საფრანგეთის სამხედრო ძალები (ეს მოგვიანებით გაირკვა) მაქსიმუმ ასი ათას ჯარისკაცს ითვლიდა, პრუსიისა კი – ოთხასი ათასს. შტიბერს უკვე

გაეშანშალებინა ბერლინისთვის ანგარიში ფრანგულ შაშხანებზე, რომლებიც ფრანგებს უმაღლესი რანგის თოფებად მიაჩნდათ, სინამდვილეში კი სამუზეუმო ექსპონატებად თუ გამოდგებოდა. გარდა ამისაო, კმაყოფილებით აღნიშნავდა შტიბერი ანგარიშში, ფრანგებმა ვერ მოახერხეს პრუსიასავით სერიოზული დაზვერვის სამსახურის შექმნაო.

თუმცა, მოდით, ფაქტებზე გადავიდეთ. დათქმულ ადგილზე შევხვდი ლაგრანჟს.

– კაპიტანო სიმონინი, – ყოველგვარი შესავლის გარეშე მითხრა ლაგრანჟმა, – რა იცით აბატ დალა პიკოლაზე?

– არაფერი, რატომ მეკითხებით?

– გაქრა, სწორედ მაშინ, როცა ჩვენი დაკვეთით ერთ პატარა დავალებას ასრულებდა. ჩემი აზრით, ბოლოს თქვენ ნახეთ აბატი: თქვენ არ მთხოვეთ მასთან დაკავშირება? მეც გამოგიგზავნეთ. მერე რა მოხდა?

– ის მოხსენება გადავეცი, რომელიც რუსებს მივყიდე. საეკლესიო წრეებისთვის უნდა ეჩვენებინა.

– სიმონინი, ერთი თვის წინ აბატისგან წერილი მივიღე, ნაჩქარევად მწერდა, სასწრაფოდ უნდა გნახოთ, იმ თქვენს სიმონინიზე რაღაც უნდა მოგიყვეთო. აშკარა იყო, ქება-დიდებით შემკობას არ გიპირებდათ. მითხარით, რა მოხდა თქვენ შორის?

– არ ვიცი, რა უნდა ეთქვა. შეიძლება, მიაჩნდა, რომ მისთვის არ უნდა შემეთავაზებინა დოკუმენტი, რომელიც (მას ასე ეგონა) თქვენთვის მქონდა მომზადებული. ალბათ, არ იცოდა ჩვენი მოლაპარაკების შესახებ. ჩემთვის არაფერი უთქვამს. მას შემდეგ აღარ მინახავს. მართალი გითხრათ, მეც მაინტერესებდა, რა გადაწყვიტა ჩემს შეთავაზებაზე.

ლაგრანჟი ცოტა ხანს დაჟინებით მიყურებდა თვალებში. მერე მითხრა: – კარგი, სხვა დროს დავილაპარაკოთ ამაზე, – და გამშორდა.

სალაპარაკო არაფერი იყო. ვხვდებოდი, ლაგრანჟი აღარ შემეშვებოდა და თუ მართლა იეჭვებდა რამეს, დალა პიკოლას დანაპირები ხანჯალი ზურგში ნამდვილად არ ამცდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ აბატს სამუდამოდ დავუხშე პირი.

თადარიგი დავიჭირე. მაშინვე იარაღის მაღაზიას მივაშურე ლაპის ქუჩაზე ხმლიანი ხელჯოხის საყიდლად, მაგრამ მხოლოდ ერთი ჰქონდათ და ისიც – უხეიროდ გამოჩორკნილი. მაშინ ჩემს საყვარელ ჟოფრეს ჩიხში თვალმოკრული ხელჯოხების ვიტრინა გამახსენდა. ებანოზის ხის მოხდენილი და გამძლე ხელჯოხი შევარჩიე. საოცარი ნაკეთობაა, გველის ფორმის სპილოს ძვლის თავით. დასაყრდნობად დიდად მოხერხებული არაა, თუ მართლა ფეხი გტკივა, თავი სულ ოდნავ აქვს მოხრილი, უფრო ვერტიკალურია, ვიდრე ჰორიზონტალური, სამაგიეროდ, ფუნჯივით მსუბუქია, თუ მისი ხმალივით მოქნევა დაგჭირდა.

ხმალჯოხი პისტოლეტიანი მტრის წინააღმდეგაც ძალიან ჭკვიანური იარაღია: თავს მოაჩვენებ,ვითომ შეგეშინდა, უკან დაიხევ და ჯოხს მიაშვერ მეტოქეს, ის სიცილს დაგაყრის და ჯოხს ხელს ჩაავლებს, რომ გასწიოს ან ხელიდან გაგაგდებინოს. ასე რომ, თავადვე გეხმარება, იშიშვლო ჯოხში ჩამალული წვეტიანი და საოცრად ბასრი იარაღი. მეტოქე წამით დაიბნევა, ცდილობს, გაერკვეს, რა შერჩა ხელში, ამასობაში კი სწრაფად მოიქნევ ხმალს და თვალის დახამხამებაში ჩამოუსერავ სახეს საფეთქლიდან ნიკაპამდე. ირიბად უნდა დაუსვა, სასურველია, ცხვირის ნესტო გადაუჭრა, ისე, რომ თვალი რომც არ დაუზიანო, სახიდან გადმომსკდარი სისხლის გამო ველარაფერს დაინახოს. მოულოდნელობის ეფექტია მთავარი, მოწინააღმდეგე უკვე დამარცხებული გყავს.

თუ მტერი უმნიშვნელოა, მაგალითად, რიგითი ქურდბაცაცა, სამუდამოდ დამახინჯებულს დატოვებ, ხელჯოხს აიღებ და შენს გზას გაუყვები. უფრო საშიშ მტერს, რომელიც იცი, არ მოგეშვება, მეორე მოქნევით ყელს გამოჭრი. ასე რომ, ნაიარე-

ვი სადარდებელი აღარ ექნება. თითქმის ავტომატურად აკეთებ ამას, პირველი მოქნევის შემდეგ მკლავი თავისთავად აგრძელებს მეორე მოძრაობას.

გარდა დანიშნულებისა, ხელჯოხი ღირსეული, წესიერი ადამიანის იერს გაძლევს. კარგი ხმალჯოხი ძალიან ძვირია, მაგრამ ნამდვილად ღირს მასში ფულის დახარჯვა: ხანდახან კაცი ხარჯს არ უნდა მოერიდოს.

ერთ საღამოს, სახლში რომ ვბრუნდებოდი, ჩემი მაღაზიის წინ ლაგრანჟი დამხვდა. ერთი კი შევარხიე ხელჯოხი ინსტინქტურად, მაგრამ მაშინვე ვიფიქრე, რომ სადაზვერვო სამსახური ნამდვილად არ მიანდობდა ჩემნაირი სუბიექტის ლიკვიდაციას ლაგრანჟის რანგის ფიგურას. შევდექი, რომ მომესმინა.

– მშვენიერი ნივთია, – მითხრა.

– რა?

– ხმალჯოხი. ასეთი თავი უბრალო ჯოხს ვერ იქნება, აშკარაა, ხმალჯოხია. ვინმესი გეშინიათ?

– ეგ თქვენ უნდა მითხრათ, უნდა მეშინოდეს თუ არა, ბატონო ლაგრანჟ.

– ჩვენი გეშინიათ, რადგან იცით, რომ აღარ გენდობით. თუ ნებას მომცემთ, ბევრს არ გავაგრძელებ. საფრანგეთ-პრუსიის ომია მოსალოდნელი და ჩვენმა მეგობარმა შტიბერმა პარიზი თავისი აგენტებით აავსო.

– იცნობთ მათ?

– ყველას არა. ამიტომაც გვჭირდებით. რადგან შტიბერს თქვენი ნაშრომი შესთავაზეთ ებრაელებზე, მას... როგორ გითხრათ... შესაძლებლად მიაჩნია თქვენი მოსყიდვა... პარიზშია ერთი მისი აგენტი, გედშე, რომელსაც, მგონი, უკვე შეხვედრიხართ. ალბათ, თავად დაგიკავშირდებათ. პარიზში პრუსიელთა აგენტი უნდა გახდეთ.

– ჩემი ქვეყნის წინააღმდეგ?

– ნუ ფარისევლობთ. ჯერ ერთი, ეს თქვენი ქვეყანა არაა. და თუ მაინცდამაინც გაშფოთებთ ეს საკითხი, გეუბნებით, სწორედ საფრანგეთისთვის აკეთებთ ამას. ჩვენ მიერ მოწოდებული ყალბი ინფორმაცია უნდა გადასცეთ პრუსიელებს.

– არ ჩანს რთული დავალება...

– ცდებით. ძალიან საშიშია. თუ აქ, პარიზში გამოგააშკარავებენ, იძულებული ვიქნებით, თავი მოვაჩვენოთ, რომ არ გიცნობთ. ანუ დახვრეტა არ აგცდებათ. თუ პრუსიელები აიღებენ ეჭვს, რომ ორმაგი აგენტი ხართ, სიცოცხლეს გამოგასალმებენ, თუმცა ნაკლებად კანონიერი გზით. ასე რომ, თუ ამ დავალებაზე დათანხმდებით, ორმოცდაათი პროცენტი შანსი გაქვთ, ცოცხალი ვერ გადარჩეთ.

– თუ არ დაგთანხმდებით?

– მაშინ – ოთხმოცდაათი.

– რატომ ასი არა?

– ხმალჯოხი გიყიდიათ და იმიტომ. თუმცა მაგის დიდი იმედი ნუ გექნებათ.

– ვიცოდი, რომ ნამდვილი მეგობრები მყავდა საიდუმლო სამსახურში. გმადლობთ ზრუნვისთვის. თანახმა ვარ. გადავწყვიტე, საკუთარი ნებით დაგეთანხმოთ, სამშობლოს სიყვარულის გამო.

– გმირი ხართ, კაპიტანო სიმონინი. ბრძანებებს ელოდეთ.

ერთი კვირის შემდეგ გედშე გამომეცხადა მაღაზიაში, კიდევ უფრო ოფლიანი და ბინძური, ვიდრე პირველი ნახვისას. ხელები მექავებოდა, იქვე მიმეხრჩო, მაგრამ გავუმკლავდი ცდუნებას.

– ქურდი და გამყალბებელი ბრძანდებით, – ვუთხარი.

– თქვენზე მეტად არა, – გაზინტლული სახე ულიმოდა გერმანელს. – რა გგონიათ, ვერ მივხვდი, რომ პრაღის სასაფლაოზე მონაჩმახი იმ უბედური ჟოლის ნაწერმა შთაგაგონათ,

ციხეში რომ ამოალპეს? უთქვენოდაც მივაგნებდი მას, თქვენ მხოლოდ გზა შემიმოკლეთ.

– არ ვიცი, ხვდებით თუ არა, ჰერ გედშე, რომ უცხოელი ხართ საფრანგეთის ტერიტორიაზე და საკმარისია, გახსენოთ, ვისთანაც საჭიროა, რომ თქვენი სიცოცხლე გროშის ფასი გახდეს?

– თავად თუ აცნობიერებთ, რომ თქვენს სიცოცხლესაც იგივე ფასი ექნება, დაპატიმრების შემთხვევაში რომ დაგასახელოთ? გირჩევთ, დავზავდეთ. ვცდილობ, ჩემი წიგნის ის თავი სიმართლედ გავასაღო ნაღდ მყიდველთან და გთავაზობთ, შუაზე გავიყოთ გასამრჯელო, მით უმეტეს, რომ ამიერიდან ერთად მოგვიწევს მუშაობა.

ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გედშემ ნოტრდამის გვერდით მდებარე სახლის სახურავზე ამიყვანა, სადაც ერთ მოხუცს სამტრედე მოეწყო.

– ძალიან მოხერხებული ადგილია მტრედების ასაფრენად. ტაძრის ირგვლივ უამრავი მტრედი ირევა და არავინ აქცევს ყურადღებას. როცა საჭირო ცნობები გექნებათ, დაწერთ და მოხუცს მოუტანთ, რომ მტრედს გამოატანოს. ყოველ დილას შემოივლით აქ და იკითხავთ, არის თუ არა თქვენთვის ახალი დავალება. მგონი, მარტივია.

– კი, მაგრამ რა ცნობები გინდათ?

– ჯერ არ ვიცით, რა გვაინტერესებს პარიზზე. ამჯერად ფრონტის ხაზებს ვაკონტროლებთ. მაგრამ ადრე თუ გვიან, თუ გავიმარჯვეთ, პარიზითაც დავინტერესდებით. მაშინ დაგვჭირდება ინფორმაცია ჯარების გადაადგილებაზე, იმპერატორის ოჯახის პარიზში ყოფნა-არყოფნაზე, მოქალაქეთა განწყობაზე, მოკლედ, ყველაფერზე და არაფერზე. ეს თქვენს მახვილგონიერებაზე იქნება დამოკიდებული. შეიძლება, რუკებიც დაგვჭირდეს. გიკვირთ, ალბათ, როგორ უნდა შეაბა მტრედს კისერზე გეოგრაფიული რუკა. ქვევით ჩავიდეთ.



*...დანიშნულების ადგილზე კვლავ პროექტორით გაადიდებენ გ ზავნილს...*

ქვედა სართულზე ფოტოლაბორატორია დაგვხვდა. ერთი ოთახი იყო, თეთრად შეღებილი კედლით, რომლის პირდაპირ პროექტორი დაედგათ. აი ის, „ჯადოსნურ ფარანს“ რომ ეძახიან და თეთრ კედელზე ან ზეწარზე გამოსახულებას რომ გიჩვენებს. გედშემ მასპინძელი გამაცნო.

– გზავნილს ამ ადამიანს გადასცემთ. რამხელაც უნდა იყოს, რამდენ გვერდსაც უნდა შეიცავდეს, ფოტოს გადაუღებს და კოლოდიუმის ქაღალდზე გადაიტანს გამოსახულებას, შემდეგ კი მტრედს გამოატანს. დანიშნულების ადგილზე კვლავ პროექტორით გაადიდებენ გზავნილს. იგივე მოხდება აქაც, თუ მეტისმეტად გრძელ დავალებებს მიიღებთ. პრუსიელებს პარიზული ჰაერი არ უხდებათ, ამიტომ ამაღამ მივემგზავრები. მტრედის საშუალებით გავუგზავნით ერთმანეთს წერილებს, შეყვარებულებივით.

ზიზღით გამაჟრიალა ამის წარმოდგენაზე, მაგრამ რას ვიზამდი. ვალდებულება ნაკისრი მქონდა. ჯანდაბა! და ეს ყველაფერი ერთი მღვდლის საიქიოს გასტუმრების გამო! აბა იმ გენერლებს რაღას აკეთებინებენ, ათასობით სიცოცხლე რომ აქვთ სინდისზე?

ასე მივედით ომამდე. ლაგრანჟი დროდადრო რაღაც ცნობებს მაწვდიდა მტრისთვის გადასაცემად, მაგრამ, როგორც გედშემ თქვა, პრუსიელებს პარიზი ჯერჯერობით დიდად არ აღელვებდათ და მხოლოდ ის აინტერესებდათ, რამდენი ჯარისკაცი ჰყავდა საფრანგეთს ელზასში, სან-პრივეში, ბომონში, სედანში.

ალყამდე პარიზში ჯერ კიდევ უდარდელად ცხოვრობდა ხალხი. სექტემბერში კი სანახაობები გაუქმდა, გასართობი დარბაზები დაიხურა. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ დაღუპული ჯარისკაცებისთვის სოლიდარობის ნიშნად არ მიუღიათ: ფრონტის ხაზზე აგზავნიდნენ ყველას, მეხანძრეების ჩათვლით. თუმცა

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ „კომედი-ფრანსეზს“ ომში დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად წარმოდგენების განახლების უფლება მისცეს. სპექტაკლები მინიმალური ხარჯებით იდგმებოდა, არც გათბობას რთავდნენ და დარბაზსაც, გაზის სინათლეების ნაცვლად, სანთლებით ანათებდნენ. ამის შემდეგ განაახლეს წარმოდგენები „ამბიგიუში“, „პორტ-სენ-მარტენში“, „შატლესა“ და „ათენეში“.

მძიმე დღეები სექტემბერში სედანის ტრაგედიით დაიწყო. დამარცხებული ნაპოლეონი მტერმა ტყვედ ჩაიგდო, იმპერია დამხობის პირას იყო, მთელი საფრანგეთი თითქმის (ჯერ კიდევ თითქმის) რევოლუციურ ცეცხლში ეხვეოდა, თუმცა, როგორც ვხვდებოდი, რესპუბლიკელთა რიგებშიც ორი მიმდინარეობა ეხლებოდა ერთმანეთს: ერთს სურდა, იმ საყოველთაო ნგრევით ესარგებლა სოციალური რევოლუციის მოსაწყობად, მეორე კი მზად იყო, პრუსიელებთან ზავზე მოეწერა ხელი, ოღონდ კი იმ რეფორმებს არ დამორჩილებოდა, რომლებიდანაც – როგორც ამბობდნენ – წმინდა წყლის კომუნიზმი აღმოცენდებოდა.

სექტემბერის შუა რიცხვებში პრუსიელები პარიზს მიადგნენ, გალავნის კოშკები დაიკავეს და ქალაქს ჭურვები დაუშინეს. დაიწყო უმძიმესი ხუთთვიანი ალყა, რომლის განმავლობაშიც ხალხის მთავარ და უდიდეს მტრად შიმშილი იქცეოდა.

პოლიტიკური ამბებისა და ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ჯარების გაუთავებელი მარშირების ბევრი არაფერი მესმოდა და დიდად არც მანაღვლებდა ეს ყველაფერი. უბრალოდ ვფიქრობდი, რომ ასეთ დროს ჯობდა, გარეთ ხეტიალს მოვრიდებოდი. მაგრამ საკვები კი მადარდებდა და ჩემი უბნის მაღაზიების მეპატრონეებს ყოველდღიურად ვეკითხებოდი, რა გველოდა. ქალაქის პარკები და გამწვანებული ადგილები, მაგალითად, ლუქსემბურგის ბაღი, რომლებიც მუდამ მსხვილი თუ წვრილი რქოსანი პირუტყვით იყო სავსე, მალე დაიცალა. ოქტომბერში ხმა დაირხა, პარიზში ოცდახუთი ათასი რქა საქონელი და ასი



...სექტემბერის შუა რიცხვებში პრუსიელები პარიზს მიადგნენ, გალავნის კოშკები დაიკავეს და ქალაქს ჭურვები დაუშინეს...

ათასი ცხვარი დარჩაო, რაც ზღვაში წვეთი იყო იმხელა ქალაქის გამოსაკვებად.

ნელ-ნელა ოჯახებში აკვარიუმის თევზების შეწვაზეც გადავიდნენ, შემდეგ ჯარისთვის გამოუსადეგარ ცხენებსაც დაერივნენ. ერთი ტომარა კარტოფილი ოცდაათი ფრანკი ღირდა, ბუასიეს საცხობი კი ერთ კილო ოსპს ოცდახუთ ფრანკად ყიდდა. კურდღლის ნასახიც აღარსად იყო დარჩენილი და საყასბოებმა ჯერ ჩასუქებული კატები გამოფინეს ვიტრინებში თავხედურად, მოგვიანებით კი – ძაღლებიც. „მცენარეთა ბაღში“ ყველა ეგზოტიკური ცხოველი დაკლეს და შობის ღამეს, ვისაც ფული ჰქონდა, „ვუაზანი“ მდიდრულ მენიუს სთავაზობდა: სპილოს კონსომე, ინგლისურად შემწვარი აქლემის ხორცი, კენგურუს ჩაშუშული, დათვის ნეკნები ბოსტნეულის სოუსით, ანტილოპას ფილე კეცზე ტრიუფელის სოკოთი, კატის ხორცი ჩვილი წრუწუნების გარნირით. აღარც ბეღურა იყო პარიზის სახურავებზე და აღარც თაგვი და ვირთხა – ქალაქის კანალიზაციაში.

აქლემს რა უჭირდა, ურიგო მართლა არ იყო, მაგრამ ვირთხას ნამდვილად ვერ შევჭამდი. კონტრაბანდისტები და გადამყიდველები ალყის დროსაც მოიძებნებიან. დღემდე მახსოვს ის დაუვიწყარი ვახშამი, ცეცხლის ფასი რომ დამიჯდა გარეუბნის ერთ უსახურ ტრაქტირში, სადაც რამდენიმე პრივილეგირებულ ტიპთან ერთად (ყველანი პარიზის მაღალ საზოგადოებას ნამდვილად არ ეკუთვნოდნენ, მაგრამ ასეთ დროს სოციალურ სტატუსს არავინ დაგიდევთ) ჩავიკოკლოზინე ყელი ხოხბის ხორცითა და ბატის ღვიძლის არაჩვეულებრივი, ახალთახალი პაშტეტით.

იანვარში გერმანელებთან ზავს მოაწერეს ხელი. მარტში მათ სიმბოლურად დაიკავეს დედაქალაქი და უნდა ვაღიარო, რომ ჩემთვისაც ძალიან დამამცირებელი იყო მათი ჩაჩქნების ყურება ელისეს მინდვრებზე. მოგვიანებით კი ქალაქის ჩრდი-

ლო-აღმოსავლეთით გადაინაცვლეს და ფრანგულ მთავრობას დაუტოვეს სამხრეთ-დასავლეთის მხარე, ანუ ივრის, მონრუჟის, ვანვის, ისისა და სხვა ციხეები, მათ შორის, მონ-ვალერიენის პაწაწინა ციხე, საიდანაც (ეს პრუსიელებმა დაადასტურეს) ადვილად შეიძლებოდა დედაქალაქის დასავლეთ ნაწილის დაბომბვა.

პრუსიელებმა პარიზი დატოვეს და ქალაქში ფრანგული მთავრობა დამკვიდრდა ტიერის ხელმძღვანელობით, მაგრამ „ეროვნულ გვარდიას", რომლის კონტროლიც ახლა უკვე რთული იყო, მიეტაცებინა და მონმარტრზე გადაემალა არმიის კუთვნილი ქვემეხები. ტიერმა მათ დასაბრუნებლად გენერალი ლეკონტი გაგზავნა, რომელმაც ეროვნულ გვარდიას და ბრბოს ცეცხლი გაუხსნა, მაგრამ მისი ჯარისკაცები საბოლოოდ აჯანყებულებს შეუერთდნენ და ლეკონტი თავისივე ხალხმა აიყვანა ტყვედ. ამასობაში ვიღაცამ, არ ვიცი, სად, გენერალი ტომა ამოიცნო, რომელიც ხალხს ავად ახსოვდა 1848 წლის რეპრესიების შემდეგ. ტომა სამოქალაქო ტანსაცმლით იყო და ალბათ, არც აპირებდა ბრძოლაში მონაწილეობას, მგონი, სულაც ქალაქიდან გაქცევას ლამობდა, მაგრამ ბრალი დასდეს, აჯანყებულებს აბეზღებდაო. დაიჭირეს და ლეკონტთან ერთად დახვრიტეს.

ტიერი მთავრობასთან ერთად ვერსალში გამაგრდა და მარტის ბოლოს პარიზში კომუნა გამოცხადდა. ახლა ფრანგულ (ვერსალის) მთავრობას ჰყავდა ქალაქი ალყაში და მონ-ვალერიენის ციხიდან ბომბავდა მას. პრუსიელები ამ ყველაფერში არ ერეოდნენ, უფრო მეტიც, არ ერჩოდნენ იმათ, ვინც მათკენ გადავიდოდა. ასე რომ, პარიზელებს მეორე ალყის დროს მეტი საკვები ჰქონდათ, ვიდრე პირველის განმავლობაში: ფრანგების ალყაში მოქცეულ ქალაქს ფაქტობრივად მტერი ამარაგებდა. მოგვიანებით, როცა ზოგიერთები გერმანელებს ტიერს ადარებდნენ, ბურტყუნებდნენ, კაცმა რომ თქვას, ის მჟავე კომბოსტოს მჭამელი ტევტონები კეთილი ქრისტიანები იყვნენო.

იმ დღეებში, როცა ფრანგული მთავრობა ვერსალში გამაგრდა, გედშესგან წერილი მივიღე. მწერდა, პრუსიელებს აღარ აინტერესებთ, რაც პარიზში ხდება, ამიტომ სამტრედე და ფოტოლაბორატორია უქმდებაო. იმავე დღეს მესტუმრა ლაგრანჟიც, თითქოს წინასწარ იცოდა, რას მწერდა გედშე.

– ძვირფასო სიმონინი, ახლა ჩვენთვის გააკეთებთ იმას, რასაც პრუსიელებისთვის აკეთებდით: ინფორმაციას მოგვაწვდით. უკვე დავაპატიმრებინე ის ორი მათხოვარი, თქვენთან რომ თანამშრომლობდნენ. მტრედებიც თავიანთ ადგილს დაუბრუნდნენ. ლაბორატორიის მასალები კი ჩვენ გვჭირდება. სასწრაფო სამხედრო ინფორმაციისთვის საკომუნიკაციო არხი გვქონდა ისის ციხესა და ნოტრ-დამთან მდებარე ერთი ჩვენიანის მანსარდას შორის. იქიდან გამოგვიგზავნით ინფორმაციას.

– უკაცრავად, ვის „გამოგიგზავნით“? როგორც მახსოვს, საიმპერატორო პოლიციაში მუშაობდით. წესით, თქვენს იმპერატორთან ერთად უნდა გაუჩინარებულიყავით. ახლა კი ისე ლაპარაკობთ, თითქოს ტიერის მთავრობის კაცი იყოთ...

– კაპიტანო სიმონინი, მე მათ ვეკუთვნი, ვინც ადგილზე რჩება მაშინაც კი, როცა მთავრობები იცვლება. ახლა ჩემს მთავრობას მივყვები ვერსალში, რადგან აქ რომ დავრჩე, შეიძლება, ლეკონტისა და ტომას ბედი გავიზიარო. ამ იდიოტებს დახვრეტა მეტისმეტად ეხალისებათ. მაგრამ არა უშავს, ასმაგად ვაზღვევინებთ. როცა ზუსტი ინფორმაცია დაგვჭირდება, უფრო დეტალურ ბრძანებებს მიიღებთ.

ზუსტი ინფორმაცია... ადვილი სათქმელია. ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭულში სხვადასხვა რამ ხდებოდა. იმავე უბნებში, სადაც სახლებში გამოკეტილი წესიერი მოქალაქეები ლეგიტიმური მთავრობის დაბრუნებას ელოდნენ, ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებს თოფის ლულებში ყვავილები გაერჭოთ და წითელ დროშებს აფრიალებდნენ. კომუნის წევრებზე ინფორმაცია სულ აგიბნევდა თავგზას, გაზეთებში წაკითხული იქნებო-

და თუ ბაზრებში ყურმოკრული ჭორი. გაუგებარი იყო, ვინ ვის მხარეს იყო. კომუნაში იყვნენ მუშები, ექიმები, ჟურნალისტები, ზომიერი რესპუბლიკელები, დუჟმორეული სოციალისტები, ნამდვილი იაკობინელებიც კი, რომლებიც კომუნის დაბრუნებაზე ოცნებობდნენ, ოღონდ ოთხმოცდაცხრა წლის კომუნას კი არა, იმ შემაძრწუნებელ – ათას შვიდას ოთხმოცდაცამეტი წლის კომუნას შენატროდნენ. თუმცა ზოგადად ხალისიანი და უდარდელი გარემო იყო ქალაქში. სამხედრო ფორმები რომ არა, იფიქრებდი, სახალხო ზეიმზე გამოფენილა ხალხიო. ჯარისკაცები რაღაც კოჭობანას მაგვარით ერთობოდნენ საღამოობით: ტურინში იმავეს მონეტებით თამაშობენ ხოლმე, აქ კი ბოთლის საცობს იყენებენ. ოფიცრები გოგოებს თავს აწონებდნენ.

ამ დილას მომაგონდა, რომ ძველ სკივრებში მაშინდელი გაზეთებიდან ამონაჭრები უნდა მქონდეს. იქნებ მათი დახმარებით აღვიდგინო დავიწყებული. ყველანაირი გაზეთის პირველი გვერდი მაქვს შენახული: „მოწოდება“, „ხალხის გამოღვიძება“, „მარსელიეზა“, „წითელი ჩაჩი“, „თავისუფალი პარიზი“, „სახალხო მეთვალყურე“ და სხვები. არ ვიცი, ვინ კითხულობდა ამ ყველაფერს, ალბათ, ისევ ისინი, ვინც წერდა. მე მხოლოდ იმიტომ ვყიდულობდი გაზეთებს, იქნებ რამე მენახა მათში, რაც ლაგრანჟს დააინტერესებდა.

და ერთხელაც, როცა სრულიად გაუგებარ დემონსტრაციაზე, სრულიად დაბნეულ და თავგზააურეულ ხალხში მორის ჟოლი შემხვდა, საბოლოოდ მივხვდი, რამდენად აწეწილი იყო პარიზში ვითარება. წვერით ძლივს მიცნო, მერე ალბათ გაახსენდა, რომ კარბონარი თუ რაღაც ამდაგვარი ვიყავი და კომუნის მხარდამჭერად ჩამთვალა. კარგად ახსოვდა ჩემი გულისხმიერება და თანადგომა მძიმე წუთებში, ხელკავი გამომდო, სახლში წამიყვანა (ვოლტერის სანაპიროზე, მოკრძალებულ ბინაში ცხოვრობდა) და „გრან მარნიეს“ წრუპვაში გულისნადები გამიზიარა.

– სიმონინი, – მითხრა ჟოლიმ, – სედანის ამბების შემდეგ რესპუბლიკელთა პირველ მოძრაობაში ჩავერთე, ომის გაგრძელების მხარდამჭერ გამოსვლებში ვმონაწილეობდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ამ თავქარიანებს მეტისმეტი უნდოდათ. რევოლუციურმა კომუნამ საფრანგეთი დამპყრობელთაგან იხსნა, მაგრამ ისტორიაში სასწაულები არ მეორდება. რევოლუცია დეკრეტით კი არ ცხადდება, ხალხის წიაღში იბადება და ღვივდება. ოცი წელია, ქვეყანას მორალური განგრენა ალპობს და ის ორიოდ დღეში ვერ განიკურნება. საფრანგეთს მხოლოდ თავისი საუკეთესო შვილების კასტრირება შეუძლია. ორი წელი გავატარე ციხეში ბონაპარტთან დაპირისპირების გამო და ციხიდან გამოსულმა ერთი გამომცემელიც ვერ ვნახე, რომელიც ახალ წიგნებს დამიბეჭდავდა. მეტყვით, მაშინ ჯერ კიდევ იმპერია იყოო. კი, მაგრამ იმპერიის დამხობის შემდეგ რესპუბლიკურმა მთავრობამ გამასამართლა ოქტომბრის ბოლოს ოტელ-დე-ვილის მშვიდობიანად აღებაში მონაწილეობისთვის. მერე კი გამომიშვეს, რადგან ვერანაირი ძალადობრივი ქმედება ვერ დამიმტკიცეს, უბრალოდ მინდოდა, მეთქვა, აი, ასე უნაზღაურებენ შრომას იმათ, ვინც იმპერიისა და იმ სამარცხვინო ზავის წინააღმდეგ იბრძოდა. ახლა თითქოს მთელი პარიზი აღტყინებული და შეპყრობილია ამ კომუნის უტოპიით, მაგრამ არც კი იცით, რამდენი ცდილობს ქალაქის დატოვებას სამხედრო სამსახურისთვის თავის ასარიდებლად. ამბობენ, თვრამეტიდან ორმოც წლამდე ყველა მამაკაცს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვევენო, მაგრამ თავად ხედავთ, რამდენი ახალგაზრდაა ამ ქუჩებში და არაფრის არ ეშინიათ, ისეთ უბნებშიც კი, სადაც ეროვნული გვარდიაც ვერ ბედავს შესვლას. ბევრს ვერ ნახავთ, რევოლუციისთვის თავის გაწირვა რომ უნდოდეს. რა სამწუხაროა.

ჟოლი არსებული მდგომარეობით მუდამ უკმაყოფილო, გამოუსწორებელ იდეალისტად მომეჩვენა. თუმცა უნდა ვაღია-

რო, რომ მას არასოდეს არაფერი მოსწონდა. აი, სავალდებულო სამხედრო სამსახურის ამბავმა კი ფრიად შემაშფოთა და სასწრაფოდ გავითეთრე თმა-წვერი. სამოცი წლის კაცს დავემსგავსე.

მოედნებზე და ბაზრებში მრავლად მხვდებოდნენ ადამიანები, რომლებიც, ჟოლისაგან განსხვავებით, ახალ კანონებს ემხრობოდნენ: მაგალითად, ალყის დროს სახლების მეპატრონეთა მიერ მომატებული ქირის დაწევას, ალყის დროს დაგირავებული სამუშაო იარაღების დაბრუნებას ხალხისთვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ეროვნული გვარდიის წევრების ცოლ-შვილისთვის პენსიის დანიშვნას, თამასუქების ვადების გახანგრძლივებას. მოკლედ, ყველაფერს, რაც სახელმწიფოს ჯიბეს აცარიელებდა და ბრბოს ჯიბეებში ჩაედინებოდა. ბრბოსი, რომელიც (მობერის მოედანზე და უბნის ლუდხანებში სულ ამაზე ლაპარაკობდნენ) თან გილიოტინის გაუქმებას უკრავდა ტაშს (ბუნებრივია) და თან პროსტიტუციის ამკრძალველ კანონს აპროტესტებდა, რადგან ამის გამო უბნის უამრავი მეძავი ულუკმაპუროდ რჩებოდა. მართლაც, მთელი პარიზის კახპები ვერსალში გადაბარგდნენ და წარმოდგენა არ მაქვს, რით იკმაყოფილებდნენ მამაკაცურ მოთხოვნილებებს ეროვნული გვარდიის სანაქებო ჯარისკაცები.

მოქალაქეების ერთმანეთზე წასაკიდებლად სასწრაფოდ გამოცხვა ანტიკლერიკალური კანონებიც: სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნა, ეკლესიის ქონების კონფისკაცია და სხვები, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ მღვდლებისა და ბერების დაპატიმრებაზეც დაირხა ხმები.

აპრილის შუა რიცხვებში ვერსალის ჯარის მოწინავე რიგებმა ჩრდილო-დასავლეთი რაიონები, ნეიის მხარე დაიკავეს. გზადაგზა ხვრეტდნენ ყველა მოწინააღმდეგეს, ვინც ხელში ჩაუვარდებოდათ. მონ-ვალერიენიდან ჭურვები დაუშინეს ტრიუმფალურ თაღს. იმ დღეებში პარიზის ალყის ყველაზე საოცარ

მოვლენას შევესწარი: მასონების სვლას. კომუნის მომხრე მასონები მართლა ვერ წარმომედგინა, მაგრამ ახლა თვალნათლივ ვხედავდი: თავიანთი დროშებით და წინსაფრებით მოდიოდნენ ქუჩაში ვერსალის მთავრობისთვის ზავის სათხოვნელად, რათა დაბომბილი უბნებიდან დაჭრილები გაეყვანათ. ტრიუმფალურ თაღამდე მივიდნენ. თაღი იმ დროს არ დაუბომბავთ და გასაგებია, რატომაც: მასონების დიდი ნაწილი ქალაქის გარეთ, ლეგიტიმისტების რიგებში იყო. მიუხედავად იმისა, რომ ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს და რომ ვერსალის მასონებმა მაშინ თავი არ დაზოგეს ერთდღიანი ზავის მისაღწევად, მოლაპარაკება ამაზე შორს აღარ წასულა და პარიზელი მასონები თანდათან კომუნის რიგებში ჩადგნენ.

კომუნის დღეებში მომხდარიდან მხოლოდ მცირედი იმიტომ მახსოვს, რომ მაშინ პარიზის მიწისქვეშეთში ვიყავი გადაბარგებული. ლაგრანჟის უსტარმა შემატყობინა, რა აინტერესებდათ სამხედრო მეთაურებს. ყველამ იცის, რომ პარიზის ქვეშ ურთულესი საკანალიზაციო სისტემაა, მას რომანებშიც გულმოდგინედ აღწერენ, მაგრამ საკანალიზაციო არხების ქვეშ, მთელ ქალაქში და მის ფარგლებს გარეთაც, კირქვის ქვაბულებისა და უძველესი კატაკომბების ქსელია. ზოგიერთი მათგანი ცნობილია, ბევრზე კი არავინ არაფერი იცის. სამხედროები კარგად იცნობდნენ ქალაქის გარეთა გალავნის ციხეების დამაკავშირებელ გვირაბებს და პრუსიელთა შემოსვლისთანავე საჩქაროდ ჩახერგეს ბევრი გასასვლელი, რათა მტრისთვის უსიამოვნო სიურპრიზების საშუალება არ მიეცათ. თუმცა პრუსიელებს, სადაც შეეძლოთ, იქაც არ უცდიათ იმ გვირაბების ხლართში ჩასვლა იმის შიშით, რომ უკან ველარ გამოაღწევდნენ და მტრის ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდნენ.

ბევრმა არაფერი იცოდა ქვაბულებსა და კატაკომბებზე. მათ ძირითადად კრიმინალები იცნობდნენ, რომლებსაც იმ მიწისქვეშა ლაბირინთებით კონტრაბანდული საქონელი შეჰქონდათ

ქალაქში და პოლიციის ალყასაც იმ გვირაბებით უსხლტებოდნენ ხოლმე. ლაგრანჟი მავალებდა, ავაზაკებისა და ქურდბაცაცების დახმარებით იმ ლაბირინთის განლაგება შემესწავლა.

მახსოვს, ბრძანება რომ მივიღე, თავი ვერ შევიკავე და მივწერე, კი, მაგრამ ჯარს არ აქვს დეტალური რუკები-მეთქი? „ნუ სვამთ იდიოტურ შეკითხვებს, – მიპასუხა ლაგრანჟმა. – ომის დასაწყისში ჩვენი გენერალური შტაბი იმდენად დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, რომ მხოლოდ გერმანიის რუკებს ურიგებდა ჯარს. საფრანგეთის რუკებზე არავის უფიქრია".

იმ დროში, როცა კარგი საჭმელი და ღვინო დიდი იშვიათობა იყო, არ გამიჭირდებოდა, იმ ძუნძგლიან ტრაქტირებში ძველი ნაცნობები მომეძებნა და რიგიან რესტორანში დამეპატიჟებინა ფრინველის ხორცსა და შესანიშნავ ღვინოზე. არა მხოლოდ მომიყვებოდნენ პარიზის მიწისქვეშეთზე, არამედ შთამბეჭდავ ექსკურსიებსაც მომიწყობდნენ. კარგი სანათური დამჭირდებოდა და იმ აღნიშვნების ჩაწერა, რომლებიც გზაში შემხვდებოდა: გილიოტინის ან ძველებური ფარის გამოსახულება, ნახშირით მიხატული ეშმაკი ან ვიღაცის სახელი (ალბათ, რომელიმე უბედურის, რომელმაც ლაბირინთიდან ვერ გამოაღწია). რაც მთავარია, თუ ამ საქმეს მიჰყოფ ხელს, საძვალეების არ უნდა გეშინოდეს: თავის ქალებით სავსე სარდაფს აუცილებლად ექნება კიბე, რომელიც რომელიმე ტავერნის საწყობში ადის, მაშასადამე, მიწისზევით ამოგიყვანს და შეძლებ, კვლავ იხილო ცის კაბადონი.

მოგვიანებით ასეთ ადგილებში დამთვალიერებელთა ჩაყვანაც კი დაიწყეს, მაგრამ მაშინ იმ ლაბირინთს მხოლოდ ჩემი მეგზურები თუ იცნობდნენ.

საკმაოდ მალე, მარტის ბოლოდან მაისის მიწურულამდე, მშვენივრად გავერკვიე მიწისქვეშა გვირაბებში. ლაგრანჟს პერიოდულად ვუგზავნიდი ნახაზებს, რომლებზეც შესაძლო მარ-

შრუტები და გამოსასვლელები იყო აღნიშნული. მივხვდი, რომ ჩემი გზავნილები დიდად არავის სჭირდებოდა, რადგან მთავრობის წევრები ახლა მიწისქვეშეთის გარეშეც აღწევდნენ პარიზში. ვერსალს უკვე კარგად მომზადებული და გაწვრთნილი ხუთი სამხედრო კორპუსი ჰყავდა. როგორც მალე გაირკვა, მათ პრინციპულად არ აჰყავდათ ტყვეები: მოწინააღმდეგეები ადგილზე უნდა დაეხოცათ. ამაზე საგანგებო განკარგულება ჰქონდათ და მის აღსრულებას პირადადაც შევსწრებივარ. თუ ტყვეთა რაოდენობა ათს აჭარბებდა, დახვრეტისას თოფის ნაცვლად ავტომატს ხმარობდნენ. რეგულარულ სამხედრო ძალებს საგანგებო რაზმები დაამატეს, სამფეროვანი სამკლავურებით, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ ჩვეულებრივ ჯარისკაცებთან შედარებით.

კვირას, 21 მაისს, დღის ორ საათზე, რვა ათასი ადამიანი ესწრებოდა ეროვნული გვარდიის დაღუპული ჯარისკაცების ქვრივებისა და ობლების მხარდასაჭერად გამართულ კონცერტს ტიუილრის ბაღში. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სულ ცოტა ხანში დამსწრეთა რაოდენობა ელვის სისწრაფით გაიზრდებოდა. ხუთის ნახევარზე, როცა კონცერტი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, სენ-კლუს კარიბჭიდან სამთავრობო ძალები შევიდნენ პარიზში, ოტეი და პასი დაიკავეს და ადგილზე დახვრიტეს ეროვნული გვარდიის ყველა წევრი, ვინც კი შეიპყრეს. გავრცელდა ხმა, რომ საღამოს შვიდ საათზე უკვე ოცი ათასი ვერსალელი იყო ქალაქში. ვინ იცის, რით იყვნენ დაკავებული ამ დროს კომუნის მეთაურები. ეს ადასტურებს, რომ რევოლუციის მოწყობას კარგი სამხედრო მომზადება სჭირდება, მაგრამ ვისაც ასეთი მომზადება აქვს, რევოლუციას კი არ უდგება სათავეში, მთავრობის მხარეზეა. აი, რატომ ვერ ვხედავ მიზეზებს, რატომაც უნდა მოხდეს რევოლუცია (გონივრულ მიზეზებს ვგულისხმობ).

ორშაბათ დილით ვერსალის ჯარებმა ტრიუმფალურ თაღთან განალაგეს ქვემეხები. კომუნარებს კი ვიღაცამ უბრძანა, ერთიანი თავდაცვა შეეწყვიტათ და ბარიკადები აღემართათ თავიანთ უბნებში. მოკლედ, აჯანყების მეთაურთა სიბრიყვემ კიდევ ერთხელ მთელი სიძლიერით გაიბრწყინა.

ყველა კუთხეში ბარიკადები იმართებოდა. ამ საქმეში თითქოს მოსახლეობაც ენთუზიაზმით იყო ჩართული. კომუნისადმი მტრულად განწყობილ უბნებშიც კი, ოპერის მხარეს და სენჟერმენზე, ეროვნული გვარდიის წევრები გაპრანჭულ ქალბატონებს აქეზებდნენ, გარეთ გამოსულიყვნენ და თავიანთი ძვირფასი ავეჯიც ბარიკადებზე დაეხვავებინათ. ქუჩაზე ჯერ თოკს გაჭიმავდნენ ბარიკადის ხაზის აღსანიშნავად და მერე ყველაფერს, ამოყრილი ქვაფენილი იქნებოდა თუ ქვიშის ტომარა, იმ ადგილზე ყრიდნენ. პირდაპირ ფანჯრებიდან ცვიოდა სკამები, კარადები, მაგიდები, ლეიბები, ხან მცხოვრებთა თანხმობით და ხანაც – დაცარიელებულ ბინებში შეყუჟულ, შეშინებულ და სასოწარკვეთილ ბინადართა ცრემლების თანხლებით.

ერთმა ოფიცერმა თავისიანებზე მიმითითა, გაქაფულები რომ მუშაობდნენ, და დამიყვირა: – თქვენც მიიღეთ მონაწილეობა, მოქალაქევ, თქვენი თავისუფლებისთვისაც ვიხოცებით!

თავი მოვაჩვენე, ვითომ ვეხმარებოდი, უზურგო სკამს დავწვდი, ვიღაცას ფანჯრიდან რომ გადმოეგდო და ქუჩის კუთხეს ამოვეფარე.

პარიზელებს აგერ უკვე საუკუნეზე მეტია, ბარიკადების მოწყობა ეხალისებათ და არავის ანაღვლებს ის, რომ ნებისმიერი ბარიკადი ერთი ჭურვის მოხვედრაზე ნაცარტუტადაა ქცეული. ბარიკადებს ადამიანები იმისთვის აგებენ, რომ გმირად იგრძნონ თავი, მაგრამ ძალიან მინდა, ვნახო, რამდენი მათგანი იბრძოლებს ბოლომდე. უმრავლესობა ჩემსავით გაიპარება და ბოლოს მხოლოდ შტერები რჩებიან, რომლებსაც ადგილზე მიახვრეტენ.

მხოლოდ აეროსტატიდან თუ გაარკვევდი, რა ხდებოდა სინამდვილეში პარიზში. ზოგიერთები გაიძახოდნენ, აჯანყებულებმა სამხედრო კოლეჯი აიღეს, სადაც ეროვნული გვარდიის ქვემეხები ინახებოდაო, სხვები ამტკიცებდნენ, კლიშის მოედანზე მიდის შეტაკებაო, იმასაც ამბობდნენ, გერმანელებმა მთავრობას ჩრდილოეთიდან გზა გაუხსნესო. სამშაბათს ჯარებმა მონმარტრი დაიკავეს და ორმოცი მამაკაცი, სამი ქალი და ოთხი ბავშვი გაიყვანეს იმ ადგილზე, სადაც კომუნარებმა თავის დროზე ტომა და ლეკონტი გაასამართლეს, დააჩოქეს და დახვრიტეს.

ოთხშაბათს სახელმწიფო სამსახურების შენობების უმრავლესობა ცეცხლის ალში იყო გახვეული, მათ შორის ტიუილრის სასახლეც. ზოგი ამბობდა, კომუნის ხალხმა მოუკიდა მათ ცეცხლი, სამთავრობო ძალების წინსვლა რომ შეეჩერებინაო. გადარეული იაკობინელები ქალაქში დაძრწიან, შენობებს ნავთს ასხამენ და ხანძარს აჩენენო. სხვები იფიცებოდნენ, ცეცხლს სამთავრობო ჯარების ჭურვები აჩენსო, ზოგი კი საერთოდ ძველ ბონაპარტისტებს აბრალებდა ყველაფერს, რომლებიც ვითომდა შემთხვევით სარგებლობდნენ და მაკომპრომეტირებელ არქივებს ანადგურებდნენ სხვადასხვა დაწესებულებაში. ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, ლაგრანჟის ადგილას სწორედ ასე მოვიქცეოდი-მეთქი, მაგრამ მალევე უკუვაგდე ეს აზრი: ნამდვილი აგენტი ინფორმაციას კარგად მალავს, მაგრამ არასოდეს ანადგურებს, რადგან ყოველთვის შეიძლება დასჭირდეს ვინმეს დასაშანტაჟებლად.

შიშით გული მისკდებოდა, შემთხვევით შეტაკების ცენტრში არ აღმოვჩენილიყავი, მაგრამ რადგან ვალდებულება არ მასვენებდა, უკანასკნელად მაინც მივედი სამტრედეში. ლაგრანჟის უსტარი დამხვდა, მატყობინებდა, მტრედები აღარ დაგვჭირდებაო. რაღაც მისამართი ეწერა, ლუვრის მიდამოებში და პაროლი, რომ სამთავრობო ჯარების ბლოკპოსტები გამევლო: ლუვრი უკვე აღებული იყო.

სწორედ იმ დროს შევიტყვე, რომ სამთავრობო ძალები მონპარნასამდე მისულიყვნენ. იქ მდებარე ერთი ღვინის სარდაფი გამახსენდა, საიდანაც მიწისქვეშა გვირაბში იყო ჩასასვლელი. იქიდან კი ასასის ქუჩის გავლით შერშ-მიდის ქუჩამდე შეიძლებოდა მისვლა. შერშ-მიდიზე ერთი მიტოვებული შენობის სარდაფიდან წითელი ჯვრის ქუჩის გადაკვეთაზე ამოხვიდოდი, სადაც ჯერ კიდევ კომუნარები იყვნენ გამაგრებული. ჩემი მიწისქვეშა გამოკვლევები აქამდე არაფერში გამომეყენებინა და რადგან უნდა დამემტკიცებინა, რომ ვიმსახურებდი, რასაც მიხდიდნენ, სასწრაფოდ ლაგრანჟს მივაშურე.

არ გამჭირვებია სიტეს კუნძულიდან ლუვრამდე მისვლა, მაგრამ სენ-ჟერმენ-ლ'ოქსერუას უკან ისეთ სცენას შევესწარი, რომელმაც, უნდა ვაღიარო, საშინლად შემძრა: ქალი და მამაკაცი მიდიოდნენ, ბავშვი ახლდათ, დარბეული ბარიკადიდან გამოქცეულებს ნამდვილად არ ჰგავდნენ. უცებ სამკლავურიანების გალეშილი რაზმი გამოჩნდა, რომლებიც, როგორც ჩანს, ლუვრის აღებას ზეიმობდნენ. კაცს დაეძგერნენ, ქალი სასოწარკვეთილი მოებღაუჭა, ცდილობდა, არ გაეშვა. დიდხანს არ უძიძგილავიათ: სამკლავურიანებმა კედელთან მიაცხრილეს სამივე.

ვცდილობდი, მხოლოდ რეგულარული ძალების ჯარისკაცებს შორის გამევლო, რადგან მათთვის პაროლის თქმა შემეძლო. ასე მივედი შენობამდე. დარბაზში შემიყვანეს, სადაც რამდენიმე ადამიანი ქალაქის დიდ რუკაზე ფერად ჭიკარტებს აკრავდა. ლაგრანჟი ვერ დავინახე, ვიკითხე. შუახნის კაცი შემობრუნდა, მეტისმეტად ჩვეულებრივი სახით (აღწერა რომ ვცადო, ვერც ერთ ნაკვთს ვერ გავიხსენებდი) და თავაზიანად მომესალმა, ისე, რომ ხელი არ გამოუწოდებია.

– კაპიტანი სიმონინი ხართ, ალბათ. მე ებიუტერნი მქვია. ამიერიდან ყველაფერს, რასაც ლაგრანჟისთვის აკეთებდით, ჩემთვის გააკეთებთ. მოგეხსენებათ, სახელმწიფო სამსახურ-



*...შუახნის კაცი შემობრუნდა, მეტისმეტად ჩვეუ-ლებრივი სახით...*

*– კაპიტანი სიმონინი ხართ, ალბათ. მე ებიუტერნი მქვია...*

საც სჭირდება განახლება და გადახალისება, განსაკუთრებით – ომის დასასრულს. ბატონმა ლაგრანჟმა უდავოდ დაიმსახურა ღირსეული პენსია. ალბათ, ახლა სადმე თევზაობს, ამ უსიამოვნო არეულობიდან შორს.

შეკითხვების დრო არ იყო. მოვუყევი ასასის ქუჩიდან წითელი ჯვრის გადაკვეთამდე გამავალ გვირაბზე. ებიუტერნმა თქვა, სასწრაფოდ უნდა ჩავატაროთ ოპერაცია წითელი ჯვრის ქუჩაზე, ვიცი, რომ კომუნარებს იქ უამრავი მხარდამჭერი მოუგროვებიათ და სამხრეთიდან ელიან სამთავრობო ჯარების გამოჩენასო. მიბრძანა, წავსულიყავი და ჩემ მიერ მითითებულ ღვინის სარდაფში დავლოდებოდი სამკლავურიანთა რაზმს.

ვაპირებდი, აუჩქარებლად გავყოლოდი სენის სანაპიროს მონპარნასისკენ, რათა დრო მიმეცა ებიუტერნისთვის, ჩემზე ადრე მისულიყო დანიშნულ ადგილზე. ჯერ კიდევ მარჯვენა სანაპიროზე ვიყავი, რომ ტროტუარზე ჩამწკრივებული ოციოდე გვამი დავინახე. ახალი დახვრეტილები ჩანდნენ. აშკარად სხვადასხვა სოციალური ფენისა და ასაკის ხალხი იყო. პროლეტარის იერის ყმაწვილს პირი დაებჩინა, მის გვერდით ბრგე ბურჟუა იწვა, ხვეული თმითა და კოხტა, მოვლილი ულვაშით, შეკრულ რედინგოტზე დაეკრიფა ხელები. მომდევნო მამაკაცი მსახიობს წააგავდა, შემდეგის ნაკვთების გარჩევა კი სრულიად შეუძლებელი იყო, მარცხენა თვალის ნაცვლად ვეებერთელა შავი ხვრელი ჰქონდა, თავზე კი პირსახოცი შემოეხვია, თითქოს ვიღაც ქრისტიანს თუ უბრალოდ წესრიგის მოყვარულს იმ გახეთქილი თავის გამთლიანება უნდოდა, რომელშიც ვინ იცის, რამდენი ტყვია მოხვედროდა უბედურს. ქალიც იყო დახვრეტილთა შორის, ალბათ, ლამაზი იქნებოდა სიცოცხლეში.

საწყალობლად იწვნენ მაისის საღამოს მზის ქვეშ. გვიანი გაზაფხულის ბუზები უკვე დასტრიალებდნენ ნადიმს. სრულიად შემთხვევით შეყრილებს ჰგავდნენ იმ ადგილზე, თითქოს მხოლოდ სხვებისთვის მაგალითის მისაცემად დაეხვრიტათ,

ტროტუარზე კი იმიტომ მიეწყოთ, რომ გზა არ ჩაეხერგათ სამთავრობო ჯარისთვის, ქვემეხებს რომ მიარიხინებდა ქუჩაზე ამ დროს. მიჭირს კიდეც ამ სიტყვის დაწერა, მაგრამ აბსოლუტური *სიმშვიდე* დაჰფენოდათ სახეებზე: თითქოს მძინარეებს, უდრტვინველად მიეღოთ ის საერთო ხვედრი.

მწკრივის ბოლოში ერთი გვამი ცოტა მოშორებით ეგდო სხვებისგან, თითქოს მერე მიემატებინათ. სახეს თითქმის უფარავდა შედედებული სისხლი, მაგრამ მაშინვე ვიცანი ლაგრანჟი: სახელმწიფო სამსახურების „გადახალისება“ უკვე დაწყებულიყო.

სლუკუნა ქალაჩუნა ნამდვილად არ ვარ, მღვდელი თვალის დაუხამხამებლად გავისტუმრე საიქიოს და მის გვამს საკანალიზაციო ჭაში ვუკარი თავი, მაგრამ ლაგრანჟის ნახვამ ძალიან იმოქმედა ჩემზე. ოღონდ ეს სიბრალული არ იყო: მივხვდი, რომ შეიძლებოდა, მეც იგივე ბედი მწეოდა. საკმარისი იქნებოდა, მონპარნასამდე ვინმეს გადავყროდი, ვინც ლაგრანჟის კაცად მიცნობდა. რაც მთავარია, საფრთხე კომუნარებისგანაც და ვერსალელებისგანაც თანაბრად მემუქრებოდა: ორივე მხარეს ჰქონდა საბაბი, ჩემდამი ნდობით არ ყოფილიყო გამსჭვალული. იმ დღეებში კი უნდობლობა დახვრეტას ნიშნავდა.

გავთვალე, რომ კომუნარებს უკვე დატოვებული ექნებოდათ ცეცხლის ალში გახვეული შენობები, სამთავრობო ჯარები კი ჯერ არ იქნებოდნენ გამაგრებული იმ ადგილებში. ამიტომ თამამად გადავედი სენის მეორე ნაპირზე, ბოლომდე გავიარე ბაკის ქუჩა და წითელი ჯვრის გზაჯვარედინამდე მივედი. იქ შემეძლო, მიტოვებული შენობის სარდაფში ჩავსულიყავი და გზა მიწისქვეშ გამეგრძელებინა.

ვშიშობდი, ვაითუ წითელი ჯვრის გზაჯვარედინზე გამაგრებულებმა შენობამდე მიღწევის საშუალება არ მომცენ-მეთქი, მაგრამ გადავრჩი. შეიარაღებულები სახლების ზღურბლზე იდგნენ ბრძანებების მოლოდინში. სრულიად ურთიერთგამომრიცხავი ცნობები ვრცელდებოდა, არავინ იცოდა, საიდან შემოვი-

დოდა ვერსალელთა ჯარი. ვიღაცეები გაუთავებლად აგებდნენ და შლიდნენ პატარა ბარიკადებს, რომ ქუჩის შესასვლელები იმის მიხედვით გადაეკეტათ ან გაეხსნათ, რა ინფორმაციაც მოდიოდა. ეროვნული გვარდიის დიდი კონტინგენტი მოიწევდა ამ უბნისკენ და იქაური მცხოვრებლები ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ შეიარაღებულები, რომ უაზრო გმირობაზე ხელი აეღოთ, ეუბნებოდნენ, ვერსალელებიც ჩვენი თანამემამულეები არიან, თანაც რესპუბლიკელებიო. ტიერი ამნისტიას დაჰპირდა კომუნის ყველა წევრს, ვინც დანებდებაო...

ჩემი შენობის კარი ღია დამხვდა და რომ შევედი, საგულდაგულოდ დავკეტე. ჯერ საწყობში ჩავედი, მერე – ღვინის სარდაფში და დაუბრკოლებლად მივაღწიე მონპარნასამდე. იქ ოცდაათიოდე სამკლავურიანი ჯარისკაცი დამხვდა, რომლებიც უკან გამომყვნენ. საწყობიდან შენობის ზედა სართულებზე ავიდნენ, ბინადართა დაშინებას აპირებდნენ, მაგრამ არ დასჭირდათ: კარგად ჩაცმულმა ბურჟუებმა შვებით ამოისუნთქეს მათ დანახვაზე და ისიც უჩვენეს, რომელი ფანჯრებიდან ჩანდა უკეთ გზაჯვარედინი. ამ დროს დრაკონის ქუჩის მხრიდან ცხენზე ამხედრებული ოფიცერი გამოჩნდა, რომელსაც რაღაც გზავნილი მოჰქონდა. როგორც ჩანს, იტყობინებოდა, რომ შეტევა სევრის ან შერშ-მიდის ქუჩის მხრიდან იყო მოსალოდნელი: ამ ქუჩების შესაყართან კომუნარები გააფთრებულები დაეძგერნენ ქვაფენილს ასაყრელად, რომ საიმედო ბარიკადი აღემართათ.

სანამ სამკლავურიანები მოხერხებულად მოკალათდებოდნენ დაკავებული ბინების ფანჯრებთან, ვიფიქრე, რომ ჯობდა, იქაურობას გავცლოდი: ადრე თუ გვიან კომუნართა ტყვიები აქამდეც მოაღწევდა. ქვევით ჩავბრუნდი. ქუჩაზე საშინელი არეულობა იყო. ვიცოდი, საით დაუშენდნენ ტყვიებს შენობის ფანჯრებიდან, ამიტომ ძველი სამტრედის ქუჩის კუთხეში მოვკალათდი, რომ საშიშროების შემთხვევაში გავპარულიყავი.

კომუნართა უმრავლესობა გამალებით მუშაობდა და იარაღი გვერდზე გადაედო, ასე რომ ტყვიების პირველი ჯერი მათ სრულიად მოუმზადებლებს დაატყდა თავს. მალევე მოეგენ გონს, თუმცა უცებ ვერ გაარკვიეს, საიდან ისროდნენ, ამიტომ უაზროდ ატეხეს საპასუხო სროლა გრენელისა და ფურის ქუჩების მიმართულებით. იძულებული ვიყავი, უკან დამეხია, შემეშინდა, ტყვიები ჩემამდეც მოაღწევს-მეთქი. მერე ვიღაც მიხვდა, რომ ზევიდან ისროდნენ და საშინელი სროლა ატყდა გზაჯვარედინსა და შენობის ზედა სართულებს შორის, ოღონდ ვერსალელები კარგად ხედავდნენ, ვის ესროდნენ, კომუნარებს ბოლომდე ვერ გაერკვიათ, რომელი ფანჯრებიდან მოდიოდა ცეცხლი და არ იცოდნენ, საით დაემიზნებინათ. მოკლედ, მთავრობის ჯარს არ გასჭირვებია კომუნარებთან გამკლავება. გადარჩენილები სასოწარკვეთილები გაჰყვიროდნენ, ღალატიაო. ასეა, როცა რამე არ გამოგივა, ცდილობ, შენს უუნარობაში სხვა დაადანაშაულო. რა ღალატი-მეთქი, ვფიქრობდი, წარმოდგენა არ გაქვთ, ბრძოლა როგორ უნდა, რომელ რევოლუციაზე ლაპარაკობთ-მეთქი...

როგორც იქნა, ვიღაც მიხვდა, რომელი იყო სამთავრობო ჯარების მიერ დაკავებული შენობა და გადარჩენილმა კომუნარებმა კარის შენგრევა სცადეს. მაგრამ ვერსალელები უკვე გვირაბში იყვნენ და კომუნარებს სახლი ცარიელი დახვდათ. თუმცა მე უფრო ადრე გავეცალე იქაურობას: გადავწყვიტე, აღარ დავლოდებოდი მოვლენების განვითარებას. როგორც მერე შევიტყვე, მთავრობის ჯარები მართლა მოიწევდნენ შერშმიდის ქუჩით, თანაც ბევრნი იყვნენ, ასე რომ წითელი ჯვრის ქუჩის უკანასკნელ დამცველებსაც მალე გაუსწორდებოდნენ. პატარა ქუჩებით მივედი ჩემს შესახვევამდე, ვცდილობდი, თავი ამერიდებინა იმ ადგილებისთვის, საიდანაც სროლა ისმოდა. კედლებზე ახალ მიკრულ მანიფესტებს ვხედავდი, რომლებითაც „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი“ მოქალაქეებს უკა-

ნასკნელი შეტევისკენ მოუწოდებდა („Aux barricades! L'ennemi est dans nos murs. Pas d'hésitations!"[14]).

მობერის მოედანზე, ლუდხანაში ვიჯექი, როცა უკანასკნელი ცნობები მოვიდა: სენ-ჟაკის ქუჩაზე შვიდასი კომუნარი დაეხვრიტათ, ლუქსემბურგის ბაღში დენთის საწარმო აეფეთქებინათ, კომუნარებს შურისძიების მიზნით როკეტის საპყრობილიდან მძევლები გამოეყვანათ, მათ შორის – პარიზის არქიეპისკოპოსიც, და კედელთან მიეყენებინათ. არქიეპისკოპოსის დახვრეტა უკან დასახევი გზის მოჭრას ნიშნავდა. ქალაქი ჩვეულ ყოფას ვერ დაუბრუნდებოდა, სანამ სისხლისღვრა ბოლომდე არ მივიდოდა.

ამ ამბებს რომ ვისმენდი, ლუდხანა ქალებით გაივსო. კლიენტები დიდი ზარ-ზეიმითა და ღრიანცელით შეეგებენ ძველ კახპებს. მეძავები ბრუნდებოდნენ! ვერსალიდან გამოსულმა სამთავრობო ძალებმა კომუნის მიერ შევიწროებული ბოზებიც გამოიყოლეს თან და ისინიც ძველებურად გამოეფინნენ ქალაქში, თითქოს იმის ნიშნად, რომ ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდებოდა.

ამ სიბინძურის ყურება აღარ შემეძლო. ჩემ თვალწინ ნადგურდებოდა ერთადერთი სიკეთე, რაც კომუნამ მოიტანა.

რამდენიმე დღეში კომუნა სისხლში ჩაახშეს. უკანასკნელი სასაკლაო პერ-ლაშეზის სასაფლაოზე გაიმართა. ჰყვებოდნენ, ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილი ას ორმოცდაშვიდი კომუნარიც შეიპყრეს და ადგილზე დასაჯეს სიკვდილითო.

მოკლედ, ისწავლეს, სხვის საქმეში ცხვირი აღარ ჩაყონ.

---

[14] ბარიკადებზე! მტერი ჩვენს სახლშია! ლოდინის დრო არ არის! (ფრ.).

18

# ომები

1897 წლის 10 და 11 აპრილის დღიურებიდან

ომის დამთავრების შემდეგ სიმონინი ჩვეულ საქმიანობას დაუბრუნდა. საბედნიეროდ, იმდენი ადამიანი დაიხოცა ომში, რომ მემკვიდრეობის გასაფორმებლად სულ უფრო ხშირად მიმართავდნენ ხოლმე. ბარიკადებზე დაღუპულთა დიდი ნაწილი ახალგაზრდა იყო, ვისაც ანდერძის დაწერა ვერ მოესწრო. ასე რომ, სიმონინის უამრავი სამუშაო და იოლი შემოსავალი არ აკლდა. რა მშვენიერია მშვიდობა მასობრივი მსხვერპლშეწირვის შემდეგ.

ამრიგად, სიმონინის დღიურებში ბევრი არაფერი წერია ნოტარიუსის ყოველდღიურ რუტინაზე მომდევნო წლებში. თუმცა აშკარად იგრძნობა, რომ ვექილი პრაღის სასაფლაოზე შექმნილი დოკუმენტის გაყიდვაზე ფიქრს არ ეშვებოდა. არ იცოდა, რას საქმიანობდა ამ დროს გედშე, მაგრამ უნდა დაესწრო მისთვის. უცნაური იყო, მაგრამ კომუნის დღეებში ებრაელები თითქოს სადღაც გაქრნენ. მათ ხომ კონსპირაციაში ბადალი არ ჰყავთ: ვინ იცის, სინამდვილეში კომუნას უჭერდნენ მხარს

თუ, პირიქით, კაპიტალზე მონადირეები, ვერსალში იმალებოდნენ, რომ ომისშემდგომი პერიოდი მოემზადებინათ. ებრაელები ხომ მასონებთან იყვნენ შეკრული, ხოლო პარიზის მასონები კომუნას უჭერდნენ მხარს. კომუნარებმა კი არქიეპისკოპოსი დახვრიტეს და შეუძლებელია, ამ საქმეში ებრაელების ხელი არ ყოფილიყო გარეული: ბავშვებს ხოცავდნენ და არქიეპისკოპოსს დაზოგავდნენ?

ამ ამბებზე ფიქრობდა, როცა ერთხელაც, 1876-ში, მის კარზე ზარმა დარეკა. ზღურბლზე მღვდლისშესამოსელიანი მოხუცი დახვდა. სიმონინიმ თავიდან იფიქრა, ნაკურთხი სეფისკვერებით მოვაჭრე მორიგი სატანისტი მღვდელიაო, მაგრამ როცა კარგად დააკვირდა, იმ გაბურძგნილ, ჭაღარა კაცში თითქმის ოცდაათი წლის უნახავი პადრე ბერგამასკი იცნო.

იეზუიტს, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა დაჯერება, რომ სიმონინო ედგა წინ. სიმონინო, რომელიც ბავშვი ახსოვდა. ალბათ, უფრო წვერის გამო ვერ იცნო (რომელიც ომის შემდეგ ისევ გაშავებოდა ვექილს და ცოტა შეჭაღარავებოდა კიდეც, როგორც ორმოცი წლის კაცს შეჰფერის), თუმცა მალევე გაუბრწყინდა თვალები და შესცინა:

– სიმონინო, შენ ხარ, ჩემო ბიჭუნა? სახლში არ შემომიშვებ?

კი იღიმებოდა, მაგრამ ის ღიმილი, ვეფხვისას თუ არა, კატისას ნამდვილად ჰგავდა. სიმონინიმ ზედა სართულზე აიყვანა სტუმარი.

– როგორ მიპოვეთ?

– ეჰ, ჩემო ბიჭო, – უთხრა ბერგამასკიმ, – დაგავიწყდა, რომ ჩვენ, იეზუიტები, ეშმაკსაც გავაცურებთ? პიემონტელებმა ტურინიდან კი გაგვაძევეს, მაგრამ კარგი ურთიერთობა შევინარჩუნე საჭირო ხალხთან. მათგან შევიტყვე, რომ ვიღაც ნოტარიუსთან მუშაობდი და ანდერძებს აყალბებდი, მაგრამ ეგ არაა მთავარი. გავიგე, რომ პიემონტის დაზვერვის სამსახურისთვის

საიდუმლო დოკუმენტი გადაგიცია, რომელშიც მეც ვყოფილვარ ნახსენები, როგორც ნაპოლეონ III-ის მრჩეველი. პრაღის სასაფლაოზე შეთქმულებას ვხლართავდი თურმე საფრანგეთისა და სარდინიის სამეფოების წინააღმდეგ. მშვენიერი გამოგონებაა, ვერაფერს იტყვი, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ იმ ღვთის პირიდან გადავარდნილ სიუს დაესესხე სიუჟეტს. ძებნა რომ დაგიწყე, სიცილიაზე იყავი გარიბალდისთან ერთად, მერე იტალია საერთოდ დაგიტოვებია. გენერალი ნეგრი სენ-ფრონი კარგ ურთიერთობაშია ორდენთან და მან მითხრა, პარიზშიაო. აქ კი ჩემი მეგობრები იმპერატორის საიდუმლო სამსახურთან მეგობრობენ. მათგან შევიტყვე, რომ რუსებზე გასულხარ და ის შენი თხზულება პრაღის სასაფლაოზე ებრაელების მამხილებელ დოკუმენტად ქცეულა. ამასობაში ისიც გავიგე, რომ ჟოლის ადევნებდი თვალყურს, ჩემი არხებით მისი წიგნიც ჩავიგდე ხელთ – კარბონარ დენთის ოსტატებთან გმირულად დაღუპულ ვინმე ლაკრუას კაბინეტში იყო შემორჩენილი ერთი ეგზემპლარი. მოკლედ, დავრწმუნდი, რომ ჟოლიმ სიუს წიგნიდან გადაიწერა თავისი თხზულება, შენ კი ჟოლისგან გადაიწერე. მერე ჩვენი ორდენის გერმანელმა წევრებმა მითხრეს, ვინმე გედშე თავის წიგნში რაღაც რიტუალზე ყვებოდა და ისიც პრაღის სასაფლაოს და ებრაელებს ახსენებდაო. გედშეს პერსონაჟები დაახლოებით იმავეს ამბობდნენ, რაც შენს მოხსენებაში ეწერა, რუსებს რომ მიჰყიდე. ოღონდ ვიცი, რომ პირველი ვერსია, სადაც იეზუიტები გამოჩნდნენ, სწორედ შენ გეკუთვნოდა და რამდენიმე წლით უსწრებდა გედშეს მონაჩმახს.

– როგორც იქნა, ვიღაცამ თქვა სიმართლე!

– დამამთავრებინე. ამას მოჰყვა ომი, ალყა, კომუნა. პარიზი მეტისმეტად საშიში გარემო იყო ჩემნაირი ანაფორიანისთვის. ახლა იმიტომ გადავწყვიტე დაბრუნება და შენი მოძებნა, რომ რამდენიმე წლის წინ ეს ამბავი პრაღის სასაფლაოსა და ებრაელებზე სანკტ-პეტერბურგში დაბეჭდილ ერთ წიგნშიც გა-

მოჩნდა. მითითებული იყო, როგორც ნაწყვეტი ნამდვილ ამბავზე დაწერილი რომანიდან, ანუ წყაროდ გედშე სახელდებოდა. წელს იგივე ტექსტი ერთ მოსკოვურ ჟურნალშიც დაიბეჭდა. მოკლედ, რუსეთში უკვე სახელმწიფო დონეზე ემზადებიან ებრაელთა წინააღმდეგ, რომლებიც სერიოზულ საფრთხედ იქცნენ. მაგრამ ებრაელები ჩვენთვისაც საშიში არიან, რადგან ამ „ისრაელის ალიანსის“ საშუალებით მასონების ზურგს ეფარებიან. მისმა უწმინდესობამ უკვე გადაწყვიტა, ღია ბრძოლა გამოუცხადოს ეკლესიის ამ მტრებს. ჰოდა, შენ გვჭირდები, ჩემო სიმონინო. ისე უნდა მოიქცე, რომ გაპატიოთ პიემონტელებთან გათამაშებული ხუმრობა. მას შემდეგ, რაც ასე ლაფში გასვარე ორდენი, იცოდე, ვალში ხარ.

ჯანდაბა! ეს იეზუიტები ყველას ჯიბეში ჩაისვამდნენ ეშმაკობით, ებუიტერნსაც, ლაგრანჟსაც და სენ-ფრონსაც. ყოველთვის ყველაზე ყველაფერი იცოდნენ, დაზვერვის სამსახური არ სჭირდებოდათ, თავად იყვნენ საიდუმლო სამსახური. მთელ მსოფლიოში ჰყავდათ წევრები და ყველაფერს ადევნებდნენ თვალყურს, ყველაფერს ისმენდნენ და კითხულობდნენ, ნებისმიერ ენაზე, რომელიც კი ბაბილონის გოდოლის დაშლის შედეგად წარმოიქმნა დედამიწაზე.

კომუნის დაცემის შემდეგ საფრანგეთში ყველა მორწმუნე გახდა, ეკლესიის მტრებიც კი. ულმერთოთა მიერ დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთათვის პატივის მისაგებად მონმარტრზე ტაძრის აგებაზეც კი ალაპარაკდნენ. მოკლედ, რადგან მაინც გაცხოველებული აღმშენებლობა მიდიოდა, ისევ რესტავრაციაში ჩაბმა ჯობდა.

– კარგი, მამაო, – უთხრა სიმონინიმ, – მითხარით, მე რას მთხოვთ.

– ისევ შენს გზას მივყვეთ. პირველი: რადგან რაბინის სიტყვებს გედშე საკუთრად ასაღებს, ერთი მხრივ, საჭიროა, მის



*...ბერგამასკიმ დაამატა, რომ რაბინის სიტყვებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად ღირდა, სიმონინის აბატი ბარუელის ნაწერისთვისაც გადაეხედა. განსაკუთრებით იმ წერილისთვის, რომელიც ბაბუამისს ბარუელისთვის გაეგზავნა...*

ვერსიაზე ბევრად უფრო მდიდარი და შთამბეჭდავი ტექსტი მოვამზადოთ და მეორე მხრივ – ვაიძულოთ გედშე, აღარ გაავრცელოს საკუთარი ნაშრომი.

– კი, მაგრამ იმ თაღლითს მე რა მოვუხერხო?

– ვეტყვი ჩემს გერმანელ ძმებს, თვალი ეჭიროთ მასზე და თუ საჭირო გახდა, გააუვნებლონ. როგორც ვიცით, მისი დაშანტაჟება ათასნაირად შეიძლება. შენ გევალება, რაბინის სიტყვებიდან ახალი დოკუმენტი შექმნა, უფრო დაწვრილებითი, მეტი მინიშნებებით მაშინდელ პოლიტიკურ მოვლენებზე. გადახედე ჟოლის წიგნს. ამ ამბიდან უნდა გამოვიყვანოთ... არც კი ვიცი, როგორ ვთქვა... ერთგვარი ებრაული მაკიაველიზმი... სახელმწიფოთა გახრწნის მათეული გეგმები ვამხილოთ.

ბერგამასკიმ დაამატა, რომ რაბინის სიტყვებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად ღირდა, სიმონინის აბატი ბარუელის ნაწერისთვისაც გადაეხედა. განსაკუთრებით იმ წერილისთვის, რომელიც ბაბუამისს ბარუელისთვის გაეგზავნა. სიმონინის უთხრა, თუ წერილის ასლი შენახული გაქვს, მშვენივრად შეგიძლია, ბარუელისთვის გაგზავნილ ორიგინალად გაასაღოო.

სიმონინიმ მართლა მიაგნო წერილის ასლს რომელიღაც კარადაში, ერთ პატარა ზარდახშაში და პადრე ბერგამასკის ასეთი ძვირფასი დოკუმენტის შექმნის საზღაურიც შეუთანხმა. იცოდა, რა ძუნწებიც იყვნენ იეზუიტები, მაგრამ იძულებული იყო, ეთანამშრომლა მათთან. და აი, 1878 წლის ივლისის ნომერში „Contemporain“-მა ვინმე პადრე გრიველის – ბარუელის მეგობრის – მოგონებები გამოაქვეყნა. უამრავ რამეს ყვებოდა „გრიველი“: ამბებს, რომლებიც სიმონინიმ სულ სხვა წყაროებიდან იცოდა. ბაბუამისის წერილიც დაებეჭდათ. – პრაღის სასაფლაოს მოგვიანებით მივაყოლებთ, – უთხრა მაშინ პადრე ბერგამასკიმ. – ბომბივით ინფორმაცია ერთად არ უნდა გაუშვა: თუ პირველი შთაბეჭდილება ძალიან ძლიერია, შემდეგ ულუფებს ხალხი ვეღარ აღიქვამს. ყლუპებად უნდა მიაწოდო

ცნობები მკითხველს და ყოველი ახალი ცნობა წინასაც გაუღვივებს და გაუცოცხლებს გონებაში.

სიმონინის ნაწერზე ემჩნევა, რომ აშკარად სიამოვნებდა ბაბუას წერილის ამოტივტივება. აღფრთოვანებულს, თითქოს სჯეროდა, რომ ამ საქციელით სრულიად კონკრეტულ და მნიშვნელოვან მისიას ასრულებდა.

მოკლედ, გულმოდგინედ შეუდგა რაბინის სიტყვების განახლება-გამდიდრებას. ჟოლი თავიდან გადაიკითხა და მიხვდა, რომ ის ჭორიკანა, როგორც ჩანს, არც ისეთი ერთგული მიმდევარი იყო სიუსი, როგორც სიმონინის პირველი წაკითხვისას მოეჩვენა: თავის მაკიაველ-ნაპოლეონს სხვა უამრავ სიბინძურესაც მიაწერდა, რომლებიც ზედგამოჭრილი იყო ებრაელებისთვის.

მუშაობისას სიმონინი ხვდებოდა, რომ მასალა მეტისმეტად მდიდარი და ვრცელი იყო: კათოლიკეთა დასაზაფრავად შეთხზულ რაბინის შთამბეჭდავ სიტყვაში უნდა გამჟღავნებულიყო მსოფლიოს მორალური გაუკუღმართების ებრაული გეგმა. თუ საჭირო გახდებოდა, გუჟენო-დე-მუსოს იდეაც უნდა მოეშველიებინა ებრაელთა ფიზიკურ გამძლეობაზე და ბრაფმანს დასესხებოდა ებრაელთა ზრახვებს ქრისტიანებისთვის ვახშით სულის ამოხდისა და მათი მუჭში მომწყვდევის შესახებ. რესპუბლიკელებს ყველაზე მეტად პრესის სრულ კონტროლზე მინიშნება შეაშფოთებდა, ხოლო მეწარმეებისა და წვრილი საქმოსნებისთვის, რომლებიც ისედაც არ ენდობოდნენ ბანკებს (ხალხში უკვე ლაპარაკობდნენ, რომ ბანკებს მთლიანად ებრაელები მართავდნენ), ღია ჭრილობაზე მარილის მოყრა იქნებოდა საერთაშორისო იუდაიზმის ეკონომიკური გეგმების გაცნობა.

ასე ნელ-ნელა ჩამოუყალიბდა გონებაში უაღრესად ებრაული და კაბალისტური აზრი (თუმცა თავად ვერ ხვდებოდა ამას). ერთიანი სიუჟეტი, რაბინის ერთი სიტყვა კი არ უნდა შეეთხზა პრაღის სასაფლაოზე, არამედ – რამდენიმე: ერთი – მღვდლის-

თვის, ერთი – სოციალისტისთვის, ერთი – რუსებისთვის, ერთი – ფრანგებისთვის. დოკუმენტი ერთიანი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ცალკეული ჩანაწერებით უნდა შექმნილიყო მთლიანი სურათი. თანაც, ასე შესაძლებელი იქნებოდა, სხვადასხვა მყიდველისთვის მიეყიდა სათანადო დოკუმენტი, საჭიროების მიხედვით. ისე გამოჩნდებოდა, რომ ნოტარიუსი, თავისი მოვალეობის ფარგლებში, სხვადასხვა ჩვენებას, აღიარებას, ანდერძს ამოწმებდა ვექილებისთვის გადასაცემად, რათა თითოეულს შემდეგ საკუთარი კლიენტი დაეცვა. მოკლედ, ამ ჩანაწერების კეთება სწორედ ოქმების სახით დაიწყო და სულაც არ აპირებდა, ყველაფერი ეჩვენებინა პადრე ბერგამასკისთვის, მას მხოლოდ რელიგიური შინაარსის დოკუმენტებს მიაწვდიდა.

სიმონინი იმ წლების ნამუშევარს ასეთი კომენტარით აჯამებს: გაკვირვება და შვება ვიგრძენი, როცა, 1878 წლის მიწურულს, გედშესა და იმ საწყალი ჟოლის სიკვდილი შევიტყვეო: გერმანელი, ალბათ, იმ ლუდში ჩაიხრჩო ბოლოს, რომლითაც ასე იყო გაბიჟვინებული, ჟოლის კი, მარად სასოწარკვეთილს, ტყვია ეკრა შუბლშიო. ნათელში ამყოფოს ღმერთმა, არ იყო ცუდი კაციო, წერს სიმონინი.

ალბათ, ძვირფასი გარდაცვლილის მოსაგონარი თუ მოუვიდა მეტისმეტი დღიურის ავტორს: აქ ნაწერი ირევა და თხრობა წყდება. ჩანს, ჩაეძინა.

მეორე დღეს სიმონინის ლამის მოსაღამოებულზე გამოეღვიძა და დღიურში აბატ დალა პიკოლას ჩანაწერი დახვდა, რომელიც იმ დილას როგორღაც მის კაბინეტში შესულიყო, თავისი ალტერ ეგოს ნაწერი წაეკითხა და რაღაც-რაღაცეების დაზუსტებას დაშურებოდა.

კი, მაგრამ რის დაზუსტება სურდა? იმის, რომ გედშეს და ჟოლის სიკვდილს ნამდვილად არ უნდა გაეკვირვებინა ჩვენი

კაპიტანი, რომელიც, საგანგებოდ თუ არ ცდილობდა რაღაცეების დავიწყებას, კარგად აშკარად ვერ იხსენებდა მომხდარს?

„Contemporain“-ში ბაბუას წერილის გამოქვეყნების შემდეგ სიმონინიმ გედშეს წერილი მიიღო, არცთუ სახარბიელო ფრანგულით დაწერილი, მაგრამ სრულიად მკაფიო და გასაგები. „ძვირფასო კაპიტანო, წარმომიდგენია, რომ „Contemparain“-ში დაბეჭდილი მასალა მხოლოდ შესავალია რაღაცის, რის გამოქვეყნებასაც მომავალში აპირებთ. კარგად ვიცით, რომ იმ დოკუმენტის ნაწილი ჩემი დაწერილია და იმის დამტკიცებაც შემიძლია („ბიარიცი“ ხელთ მაქვს), რომ ავტორი მე ვარ და თქვენ არაფერ შუაში ხართ. სულ მცირედ წვლილსაც, სასვენი ნიშნების დასმასაც კი ვერ დაიბრალებთ ამ ტექსტის დაწერაში. ამიტომ, პირველ რიგში, მოვითხოვ, შევხვდეთ. სასურველია, ნოტარიუსის თანხლებით (თქვენნაირ ნოტარიუსს არ ვგულისხმობ) და ოფიციალურად დავადგინოთ პრაღის სასაფლაოს სიუჟეტის ავტორის ვინაობა. თუ ამას არ გააკეთებთ, იცოდეთ, საჯაროდ გამხელთ და დაუყოვნებლივ დავუკავშირდები ბატონ ჟოლისაც, რომელმაც ჯერ არ იცის, რომ მისი ლიტერატურული ქმნილება მიისაკუთრეთ. თუ გაიხსენებთ, რომ ჟოლი პროფესიით ვექილია, ადვილად წარმოიდგენთ, რომ პრობლემები არ აგცდებათ“.

შეშფოთებული სიმონინი მაშინვე პადრე ბერგამასკის დაუკავშირდა, რომელმაც დაამშვიდა: შენ ჟოლის მიხედე, მე გედშეს მოვუვლიო.

სიმონინი ჯერ კიდევ ღელავდა და არ იცოდა, როგორ მიეხედა ჟოლისთვის, როცა პადრე ბერგამასკიმ ამცნო, საბრალო ჰერ გედშე მშვიდად აღესრულა საკუთარ საწოლში და ილოცე მისი სულისთვის, მერე რა, რომ თავგადაკლული პროტესტანტი იყოო.

სიმონინი მიხვდა, როგორ უნდა მიეხედა ჟოლისთვის. იყო რაღაცეები, რის გაკეთებაც ფრიად ეხამუშებოდა და თან ჟო-

ლისგან დავალებულიც იყო, მაგრამ ნამდვილად ვერ დაუშვებდა, ზნეობის ხათრით თავისი და ბერგამასკის ბრწყინვალე გეგმა ჩაეშალა. ფაქტია, რომ ჟოლის ტექსტის გამოყენებას აპირებდა და ავტორის პროტესტი არაფერში სჭირდებოდა.

სხვა გზა არ ჰქონდა, ისევ ლაპის ქუჩას მიაშურა. იქამდე პაწაწინა პისტოლეტი იყიდა, მისი სახლში შენახვა ადვილი იყო და თან სრულიად უხმაუროდ ისროდა. კარგად ახსოვდა ჟოლის მისამართი და ისიც, რომ ჟოლის მყუდრო ბინა შესანიშნავი ხალიჩებითა და გობელენებით იყო მოფენილი, რომლებიც არაჩვეულებრივად ახშობს ხმაურს. დილით ჯობდა, ემოქმედა, როცა ყურთასმენა მიჰქონდა პონ-რუაიალიდან და ბაკის ქუჩიდან მომავალი ეტლებისა და ომნიბუსების რახრახს, სანაპიროსკენ რომ ეშვებოდნენ.

ჟოლის გაუკვირდა მისი დანახვა, მაგრამ შეიპატიჟა და ყავა შესთავაზა, თან მაშინვე ბოლოდროინდელი ამბების მოყოლას შეუდგა. ადამიანების უმრავლესობისთვის, ვინც გაზეთებს კითხულობს (ცრუპენტელები უწოდა მკითხველსაც და რედაქტორებსაც), კომუნარად დავრჩი, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობასაც გავემიჯნე და რევოლუციურ ბოდვასაცო. სწორად მიმაჩნდა, გრევის პოლიტიკურ ამბიციებს დავპირისპირებოდი, რომელმაც საკუთარი თავი რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე წამოაყენა, ამიტომ მისი მამხილებელი პლაკატები საკუთარი ფულით დავბეჭდე და ქუჩებში გამოვაკარიო. მაშინ ბონაპარტისტობა და რესპუბლიკის მტრობა დამაბრალეს, გამბეტა ზიზღით ლაპარაკობდა „ბინძურ კალამს ამოფარებულ კრიმინალზე", ედმონ აბუმ კი გამყალბებელი მიწოდაო. მოკლედ, საფრანგეთის პრესის ნახევარი ჩემ წინააღმდეგ ამხედრდა და მხოლოდ „ფიგარომ" დამიბეჭდა განცხადება, დანარჩენებმა უარი მითხრეს თავდასაცავი წერილის გამოქვეყნებაზეო.

კარგად რომ დავფიქრდეთ, ჟოლიმ გაიმარჯვა იმ ბრძოლაში, რადგან გრევიმ მოხსნა საკუთარი კანდიდატურა. მაგრამ

ჟოლი იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც არასოდეს კმაყოფილდება და ილტვის, რომ ბოლომდე აღსრულდეს სამართალი. ასე რომ, ორი ცილისმწამებელი დუელში გამოუწვევია, ათი გაზეთის წინააღმდეგ კი საჩივარი შეუტანია მისი განცხადების არგამოქვეყნების, ცილისწამებისა და საჯარო შეურაცხყოფისათვის.

– თავად ვიკისრე საკუთარი თავის დაცვა და დამიჯერეთ, სიმონინი, ისეთი ამბებიც კი გამოვიტანე სააშკარაოზე, რომლებზეც გაზეთებს კრინტი არ დაუძრავთ, გარდა იმისა, რაც ყველას პირზე ეკერა. იცით, რა ვუთხარი იმ მასხარებს (მოსამართლეებსაც ვგულისხმობ): – ბატონებო, იმპერიას არ შევუშინდი, რომელიც პირის გაღების საშუალებას არ გაძლევდათ, ახლა კი თქვენზე მეცინება, როცა ყველაზე უარესი ფორმით ბაძავთ მას! – ცდილობდნენ, სიტყვა შეეწყვეტინებინათ ჩემთვის, მაგრამ არ დავანებე: – ბატონებო, იმპერიამ სიძულვილის ქადაგებისთვის, მთავრობის წინააღმდეგობისთვის, იმპერატორის შეურაცხყოფისთვის გამასამართლა, მაგრამ იმპერიის მოსამართლეებმა თავის გამართლების საშუალება მომცეს. და ახლა რესპუბლიკის მოსამართლეებს ვთხოვ, მომცენ იგივე თავისუფლება, რაც იმპერიის დროს მქონდა!

– როგორ დამთავრდა ეგ ამბავი?

– გავიმარჯვე. ყველა გაზეთი გაამტყუნეს, ორის გარდა.

– მაშ, რაღა გაშფოთებთ?

– ყველაფერი. ის, რომ მოწინააღმდეგე მხარის ვექილმა, თუმცა საგანგებოდ აღნიშნა ჩემი დამსახურება და ხოტბაც შემასხა, განაცხადა, თავად დაიღუპა საკუთარი მომავალი, რადგან გრძნობების მოთოკვა არ შეუძლიაო; მარცხი მუდამ თან სდევდა, როგორც სასჯელი ამპარტავნობისთვისო; ლიტერატორად უფრო ივარგებდა, ვიდრე პოლიტიკოსადო. ეს კი ტყუილია: ჩემი ნაწერი დავიწყებას მიეცა, იმ საქმეების მოგების შემდეგ კი ყველა მნიშვნელოვანმა სალონმა ჩემი ქებადიდებით გამოიდო თავი. რამდენი ბრძოლა მოვიგე და მაინც



*...დგება წამი, როცა შიგნით ტყდება რაღაც, აღარც ენერგია გრჩება და აღარც სურვილი. ამბობენ, უნდა იცოცხლოო, მაგრამ სწორედ სიცოცხლეა პრობლემა, რომელსაც საბოლოო ჯამში თვითმკვლელობამდე მიჰყავხარ...*

დამარცხებული ვარ. დგება წამი, როცა შიგნით ტყდება რაღაც, აღარც ენერგია გრჩება და აღარც სურვილი. ამბობენ, უნდა იცოცხლოო, მაგრამ სწორედ სიცოცხლეა პრობლემა, რომელსაც საბოლოო ჯამში თვითმკვლელობამდე მიჰყავხარ.

სიმონინი დარწმუნდა, რომ ის, რის გაკეთებასაც აპირებდა, წმინდათაწმინდა საქმე იყო. ამ უბედურს უმძიმესი გადაწყვეტილების მიღებისაგან იხსნიდა, რომელიც დამამცირებელი, საბოლოო მარცხის ნიშანია ადამიანისთვის. მოკლედ, ჟოლის სიკეთეს უკეთებდა, თავად კი უსიამოვნო მოწმეს მოიშორებდა.

სთხოვა, იქნებ ერთ დოკუმენტს გადახედოთ, თქვენი აზრი მაინტერესებსო და ძველი გაზეთების შეკვრა გაუწოდა. ჟოლიმ უცებ ვერ გაარკვია, რა ეჭირა ხელში და სავარძელზე ჩამოჯდა, რომ დაეთვალიერებინა, თან ცდილობდა, ფურცლები არ დასცვენოდა.

ჟოლი კითხვას შეუდგა, სიმონინიმ ნელა მოუარა უკნიდან, საფეთქელზე მიაბჯინა პისტოლეტის ლულა და გაისროლა.

ჟოლი მოეშვა, საფეთქლიდან სისხლის წვრილი ზოლი ჩამოუგრძელდა, ხელები ჩამოუცვივდა. სიმონინიმ მოხერხებულად ჩაუდო ხელში პისტოლეტი. საბედნიეროდ, ეს ამბავი დაახლოებით ექვსი თუ შვიდი წლით ადრე მოხდა, ვიდრე იმ საოცარ ფხვნილს აღმოაჩენდნენ, რომელიც იარაღიდან თითის ანაბეჭდების საშუალებას იძლეოდა. მაშინ, როცა სიმონინიმ ჟოლის საკითხი მოაგვარა, ჯერ კიდევ ძალაში იყო ვინმე ბერტილიონის თეორიები, რომლებიც ეჭვმიტანილის აღნაგობასა და ძვლების ზომებს ეფუძნებოდა. მოკლედ, ვერავინ იეჭვებდა, რომ ჟოლიმ თვითმკვლელობით არ დაასრულა სიცოცხლე.

სიმონინიმ გაზეთების შეკვრა აიღო, ყავის ფინჯნები გარეცხა და ბინა მოაწესრიგა. როგორც მოგვიანებით შეიტყო, ორი დღის შემდეგ შენობის კარისკაცს შეუნიშნავს, რომ ჟოლი ბინიდან არ გამოდიოდა და თომა აკვინელის უბნის კომისარიატი გამოუძახია. ბინის კარი შეუმტვრევიათ და გვამი უნახავთ.

მეორე დღეს საგაზეთო ქრონიკა იუწყებოდა, პისტოლეტი იატაკზე ეგდოო. როგორც ჩანს, სიმონინიმ კარგად ვერ დააჭერინა მოკლულს იარაღი, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. საბედნიეროდ, მაგიდაზე იპოვეს დედის, დის, ძმისთვის მიწერილი წერილები... თვითმკვლელობა არსად იყო ნახსენები, მაგრამ ყველა წერილი ღრმა პესიმიზმით იყო გამსჭვალული. თითქოს რაღაცისთვის ემზადებოდა. ვინ იცის, საბრალოს იქნებ მართლა ჰქონდა გადაწყვეტილი თვითმკვლელობა და სიმონინი სულ ტყუილად გაისარჯა.

პირველი შემთხვევა არ იყო, როცა დალა პიკოლა თავის თანამობინადრეს ისეთ ამბებს უმხელდა, რომლებიც, ალბათ, აღსარებაში მოესმინა და რომელთა გახსენებაც სიმონინის სულაც არ უნდოდა. ამან, ეტყობა, ცოტა გააგულისა კიდეც ვექილი და რამდენიმე აშკარად გაღიზიანებული ფრაზაც მიუწერა დალა პიკოლას დღიურის მინდორზე.

ისე, დოკუმენტი, რომელშიც თქვენი მთხრობელი იჭყიტება, სიურპრიზებითაა სავსე და ალბათ, ღირს, ამ ყველაფრზე ოდესმე ერთი კარგი რომანიც დაიწეროს.

19

# ოსმან-ბეი

1897 წლის 11 აპრილი, საღამო

ძვირფასო აბატო, ძალიან მიჭირს, გავიხსენო საკუთარი წარსული, თქვენ კი გაუთავებლად მაწყვეტინებთ, პედანტი აღმზრდელივით, რომელიც ყოველ ნაბიჯზე მართლწერის შეცდომებზე მიმითითებს... ყურადღებას მიფანტავთ. სიმშვიდესაც. კარგი, ბატონო, ჟოლი მოვკალი, მაგრამ მიზანი ამართლებდა საშუალებას. წვრილმანებს რაღა მნიშვნელობა აქვს. თან სხვა გზა არ მქონდა. მიბაძეთ პადრე ბერგამასკის მახვილგონიერებასა და ცივსისხლიანობას და სცადეთ, მოთოკოთ თქვენი აუტანელი თავხედობა...

რადგან აღარც ჟოლი მაშანტაჟებდა და აღარც გედშე, შემეძლო, ჩემს პრაღულ ოქმებს (ასე ვუწოდებდი) დავბრუნებოდი და მშვიდად მემუშავა. რაღაც ახალი უნდა გამომეგონებინა, პრაღის სასაფლაოს სცენა ლამის უკვე რომანისთვის შესაფერის სტერეოტიპულ ადგილად ქცეულიყო. ბაბუას წერილის დაბეჭდვიდან რამდენიმე წელიწადში „Contemporain“-მა რაბინის სიტყვა გამოაქვეყნა, როგორც ერთი ინგლისელი დიპლომატის,

ვინმე სერ ჯონ რედკლიფის ნაწერებიდან ამოღებული დოკუმენტური მასალა. გედშემ თავის დროზე სერ ჯონ რეტკლიფის ფსევდონიმით დაბეჭდა თავისი რომანი, ასე რომ ტექსტის წარმომავლობა ნათელი იყო. მერე სათვალავიც კი ამერია, რამდენჯერ გამოიყენა სხვადასხვა ავტორმა სასაფლაოს სცენა. სულ ცოტა ხნის წინ ვინმე ბურნანმაც დაწერა წიგნი „ჩვენი თანამედროვე ებრაელები“. მასშიცაა რაბინის სიტყვები, ოღონდ აქ თავად რაბინს ჰქვია ჯონ რედკლიფი. ღმერთო, როგორ უნდა იცხოვროს კაცმა ამ გამყალბებლებით სავსე სამყაროში?

ამრიგად, ახალ ცნობებს ვეძებდი, რომ ოქმებად ჩამეწერა, წიგნებშიც ვიქექებოდი, რადგან ვიცოდი – იმ საძაგელ აბატ დალა პიკოლას თუ არ ჩავთვლით – ჩემი პოტენციური კლიენტები ბიბლიოთეკებში სიარულით თავს ნამდვილად არ იკლავდნენ.

ერთ დღეს პადრე ბერგამასკიმ მითხრა:

– რუსულად გამოვიდა ვინმე ლუტოსტანსკის წიგნი, თალმუდსა და ებრაელებზეა. ვეცდები, ვიშოვო და იეზუიტებს ვათარგმნინო, თუმცა მასზე უფრო სხვა ავტორი გვაინტერესებს. ოსმან-ბეი გაგიგია?

– თურქი?

– მგონი, სერბია, მაგრამ გერმანულად წერს. მისი წიგნი ებრაელთა მიერ სამყაროს დაპყრობის შესახებ უკვე მრავალ ენაზეა ნათარგმნი. მაგრამ, ვფიქრობ, ოსმან-ბეის ახალი ცნობები სჭირდება, რადგან ანტიებრაული კამპანიით შოულობს ლუკმაპურს. ამბობენ, რუსულმა პოლიტიკურმა პოლიციამ ოთხასი რუბლი გადაუხადა, რომ პარიზში ჩამოსულიყო და „ისრაელის მსოფლიო ალიანსის“ საქმიანობა შეესწავლაო. თუ სწორად მახსოვს, მათზე რაღაც ინფორმაცია გქონდა იმ შენი მეგობარი ბრაფმანისგან.

– მართალი გითხრათ, ბევრი არაფერი.

– მაშინ გამოიგონე. მიეცი საკბილო, ის კიდევ შენ მოგცემს.

– როგორ მოვძებნო?

– თავად მოგძებნის.

ებიუტერნთან თითქმის აღარ ვმუშაობდი, ხანდახან ვეხმიანებოდით ხოლმე ერთმანეთს. ნოტრ-დამის კარიბჭესთან დავუთქვი შეხვედრა, ოსმან-ბეიზე მინდოდა, გამომეკითხა. მივხვდი, რომ ამ კაცს ნახევარი მსოფლიოს პოლიცია იცნობდა.

– ალბათ, ეგეც ებრაული წარმოშობისაა, როგორც ბრაფმანი და ებრაელთა სხვა მტრები, საკუთარ რჯულზე გაბრაზებულები. გრძელი ისტორიაა, ადრე მილინგერი თუ მილინგენი დაირქვა, ასე ეძახდნენ, მერე – ქიბრიდლი-ზადე, უფრო ადრე კი ალბანელად ასაღებდა თავს. ბევრი ქვეყნიდანაა გაძევებული, ზუსტად არავინ იცის, რატომ, მაგრამ ძირითადად თაღლითობისთვის. ზოგან ციხეშიც კი იჯდა თვეობით. ბოლოს ებრაელებს იმიტომ მიადგა, რომ მიხვდა, სარფიანი საქმე იყო. ზუსტად აღარ მახსოვს, როდის, მაგრამ მილანში ერთხელ საჯაროდაც განაცხადა ყველაფერი, რასაც ადრე ჩუმად ავრცელებდა ებრაელებზე, მოგვიანებით კი შვეიცარიაში ანტიებრაული ბროშურები დააბეჭდვინა, ეგვიპტეში ჩავიდა და კარდაკარ ყიდდა მათ. თუმცა ნამდვილი წარმატება ოსმან-ბეის რუსეთში ხვდა წილად, როცა მოთხრობებში ქრისტიანი ჩვილების ხოცვა-ჟლეტა აღწერა. ახლა კი „ისრაელის ალიანსს" გადაეკიდა. აი, რატომ გვინდა, საფრანგეთს არ გავაკაროთ ეგ ადამიანი. არაერთხელ მითქვამს თქვენთვის, მსგავს ტიპებთან პოლემიკა არაფრად გვარგია, ყოველ შემთხვევაში, ახლა.

– ჰო, მაგრამ პარიზში ჩამოსვლას აპირებსო. შეიძლება, უკვე ჩამოვიდა კიდეც.

– ჩემზე მეტი გცოდნიათ. რა ვიცი, თუ გსურთ, თვალი გეჭიროთ მასზე. ვალში არ დაგრჩებით, როგორც ყოველთვის.

მოკლედ, ოსმან-ბეისთან შესახვედრად უკვე ორი სერიოზული მიზეზი მქონდა. ერთი ის, რომ შეძლებისდაგვარად ებრაელებზე ცნობები მიმეყიდა მისთვის და მეორე – ებიუტერნისთვის მეცნობებინა, სად დადიოდა. ერთი კვირის შემდეგ

ოსმან-ბეი მართლაც გამოჩნდა, ჩემი მაღაზიის კარქვეშ წერილი შემოაცურა, რომელშიც მარეში მდებარე რაღაც პანსიონის მისამართი ეწერა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ღორმუცელა იქნებოდა და „გრან ვეფურში“ მინდოდა, დამეპატიჟა ჩაშუშული მარენგოს ქათმისა და მაიონეზში ჩაწყობილი ფრინველის ხორცის გასასინჯად. ეს მივწერე პასუხად, მაგრამ მოწვევაზე უარი თქვა და მობერის მოედნისა და მეტრ-ალბერის ქუჩის კუთხეში დამითქვა შეხვედრა. ფიაკრი დაგხვდებათ, ახლოს მოდით, რომ გიცნოთო, მწერდა.

მოედანს მივუახლოვდი თუ არა, დავინახე, რომ კუთხეში ეტლი გაჩერდა და კაცმა გამოყო თავი. ნამდვილად არ ვისურვებდი, ღამით ჩემს უბანში გადამყროდა ასეთი ტიპი: გრძელი, გაჩეჩილი თმა, კაუჭა ცხვირი, არწივის თვალები და მიწისფერი კანი ჰქონდა, ცირკის აკრობატივით ხმელი იყო და ნერვიულად აპაჭუნებდა მარცხენა თვალს.

– საღამო მშვიდობისა, კაპიტანო სიმონინი, – ნაჩქარევად მომესალმა და დაამატა: – პარიზში კედლებსაც ყურები აქვთო, ამბობენ. მშვიდად სალაპარაკოდ ერთადერთი გზა სეირნობაა. აქედან ხმა არ გავა და რომც გავიდეს, მეეტლე მაინც ვერაფერს გაიგებს, მნათესავით ყრუა.

პირველი საუბარი საკმაოდ გაგვიგრძელდა. საღამოვდებოდა. ცრიდა, სქელი ნისლი ლამის ქვაფენილამდე ჩამოწოლილიყო. როგორც ჩანს, მეეტლეს წინასწარ ჰქონდა ნაბრძანები, ბნელი და უკაცრიელი ქუჩებით ევლო. კაპუცინების ბულვარზეც მშვენივრად შევძლებდით ლაპარაკს, მაგრამ ოსმან-ბეის, როგორც ჩანს, მოსწონდა ეს სპექტაკლი.

– პარიზი თითქოს ცარიელია, შეხედეთ გამვლელებს, – ოსმან-ბეის ისე უელავდა თვალები და კბილები, გეგონებოდათ, ჩონჩხის თავის ქალაში სანთელი ჩადგესო (ამ უმახინჯეს კაცს საოცრად ლამაზი ქათქათა კბილები ჰქონდა), – აჩრდილებივით

დადიან. განთიადზე საფლავებისკენ მიიჩქარიან, ალბათ, რომ თვალს მიეფარონ.

ყელში ამომივიდა მისი მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი.

– მშვენიერი სტილი გაქვთ, პონსონ დიუ ტერაის მაგონებთ, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, საქმეზე გადავსულიყავით? იპოლიტ ლუტოსტანსკიზე რას მეტყოდით?

– ჯაშუში და თაღლითია. კათოლიკე მღვდელი იყო, მერე განკვეთეს უმსგავსი საქციელის გამო. როგორ გითხრათ... პატარა ბიჭებთან მრუშობდა. ეს კი დაუშვებელია. ღმერთო ჩემო, ყველამ კარგად ვიცით, რომ ადამიანი სუსტი არსებაა, მაგრამ მღვდელს მაინც მართებს გარკვეული თავშეკავება. მოკლედ, ადგა და კათოლიკური ეკლესიის ჯინაზე მართლმადიდებელ ბერად შედგა... უკვე საკმარისად ვიცნობ წმინდა რუსეთს და შემიძლია ვთქვა, რომ სამყაროსაგან მოწყვეტილ იმ მონასტრებში ბერებსა და მორჩილებს სიყვარული აკავშირებთ ერთმანეთთან... როგორ ვთქვა... ძმური სიყვარული. თუმცა ინტრიგანი არ ვარ და სხვისი საქმე არ მაინტერესებს. ის კი ვიცი, რომ მაგ თქვენმა ლუტოსტანსკიმ უამრავი ფული აიღო რუსეთის მთავრობისგან ებრაელების მიერ ადამიანის მსხვერპლად შეწირვის აღწერაში. ხვდებით, ალბათ, ქრისტიანი ჩვილების რიტუალური ხოცვის ყბადაღებულ ამბავს ვგულისხმობ. გეგონება, თავად უკეთ ექცეოდეს ბავშვებს. ხმები დადის, შემდეგ ებრაულ წრეებს დაჰპირებია, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ ყველაფერს უარვყოფ, რაც აქამდე დამიწერიაო. მაგრამ ებრაელები მაგას გროშს გადაუგდებენ? არასანდო ტიპია.

მერე დაამატა: – უჰ, დამავიწყდა. თან სიფილისიანია.

გამიგია, რომ დიდი პროზაიკოსები ყოველთვის საკუთარ თავს აღწერენ პერსონაჟებში.

მერე ოსმან-ბეიმ მოთმინებით მომისმინა. პრაღის სასაფლაოს შთამბეჭდავ აღწერაზე მიმტევებლურად ჩაიღიმა და შემაწყვეტინა: – კაპიტანო სიმონინი, ეს მართლა ლიტერატურაა,

როგორც ის, რომლის შეთხზვასაც მე მაბრალებდით. მე კონკრეტულ, უეჭველ მტკიცებულებებს ვეძებ მასონებსა და „ისრაელის ალიანსს“ შორის კავშირზე; წარსულის ქექვა კი არა, მომავლის განჭვრეტა მსურს, პრუსიელი და ფრანგი ებრაელების ურთიერთობის გარკვევა, თუ ეს შესაძლებელია. „ალიანსი“ ძალაა, რომელიც ოქროს მახეს უგებს ყველას და ყველაფერს, რათა მსოფლიოს დაეპატრონოს. ეს უნდა დამტკიცდეს, ეს უნდა ვამხილოთ. „ალიანსის“ იდეა ახალი არაა, ამგვარი რამ, ალბათ, რომის იმპერიამდეც არსებულა. ამიტომაცაა ეფექტიანი ეს სისტემა, სამი ათასი წლის ისტორია აქვს... წარმოიდგინეთ, როგორ დაიპყრეს საფრანგეთი ტიერისნაირი ებრაელის ხელით.

– ტიერი ებრაელია?

– ვინ აღარაა ებრაელი? ყველგან არიან: ჩვენ ირგვლივ, ჩვენს ზურგს უკან. დანაზოგებს გვიკონტროლებენ, ჩვენს ჯარებს მართავენ, ზეგავლენას ახდენენ ეკლესიასა და მთავრობებზე. „ალიანსის“ ერთი ინფორმატორი მოვისყიდე (მოგეხსენებათ ფრანგების კორუმპირებულობა) და რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნების ებრაული კომიტეტებისთვის გაგზავნილი წერილების ასლები ჩავიგდე ხელთ. კომიტეტები მთელი საზღვრის გასწვრივაა განლაგებული და მათი შიკრიკები მინდვრებით, ჭაობებით, მდინარეებით, ზღვით გადაადგილდებიან, პოლიცია კი მხოლოდ მთავარ გზებს აკონტროლებს. ამ შეთქმულების შესახებ რუსეთის მეფეს ვაცნობე და ასე, სრულიად მარტომ, ვიხსენი წმინდა რუსეთი. მშვიდობა მიყვარს და მინდა, სამყაროში წესრიგი სუფევდეს, მინდა, სიტყვა „ძალადობის“ მნიშვნელობაც კი არ იცოდეს ხალხმა. ქვემეხებით მოვაჭრეთა დამფინანსებელი ებრაელები რომ მოისპონ, ბედნიერი საუკუნე დაგვიდგებოდა.

– მერე?

– მერე ის, რომ მოგვიწევს, ერთადერთ გონივრულ გამოსავალს მივმართოთ: ერთიანად ამოვჟლიტოთ ებრაელები. ბავ-

შვებიცო? – იკითხავთ ალბათ. დიახ, ბავშვებიც. მესმის, ჰეროდე გაგახსენდებათ, მაგრამ როცა თესლი ბოროტია, მცენარის მოჭრა არ კმარა, უნდა ამოიძირკვოს. თუ კოლო გაწუხებს, ჭუპრი უნდა მოსპო. „ისრაელის ალიანსის“ მიზანში ამოღება მხოლოდ პირველი ნაბიჯი იქნება. „ალიანსის“ გასანადგურებლად ურიათა რასა სრულად უნდა განადგურდეს.

ლამის მთლიანად შემოვიარეთ ცარიელი პარიზი. ბოლოს ოსმან-ბეი საქმეზე გადავიდა.

– კაპიტანო, ძალიან ცოტას მთავაზობთ. მაგის სანაცვლოდ ვერ მოგაწვდით საინტერესო ინფორმაციას „ალიანსზე“, რომელზეც მალე ყველაფერი მეცოდინება. მაგრამ მინდა, ერთი რამ შემოგთავაზოთ. „ალიანსის“ ებრაელების თვალყურის დევნება შემიძლია, მაგრამ არა მასონების. რადგან რუსეთიდან ვარ, მისტიკური და მართლმადიდებლური რუსეთიდან და კარგად არ ვიცნობ ამ ქალაქის ეკონომიკურ და ინტელექტუალურ წრეებს, მასონებში ვერ გავერევი. ისინი თქვენნაირებს იღებენ საკუთარ რიგებში: ჟილეტის ჯიბეში საათი რომ უდევთ, ისეთებს. თქვენ არ უნდა გაგიჭირდეთ მათში შეღწევა. გამიგია, რომ გარიბალდის საქმეში მონაწილეობას იკვეხნით, ჰოდა, მათ შორის იყვნენ მასონები, თუ იყვნენ. მოკლედ ასე: თქვენ მასონებზე მომაწვდით ცნობებს, მე – ებრაელებზე.

– სიტყვიერი შეთანხმება კმარა?

– სერიოზულ ხალხს შეთანხმების წერილობით გაფორმება არ სჭირდება.

## 20

# რუსები?

1897 წლის 12 აპრილი, დილის 9 საათი

ძვირფასო აბატო, ნამდვილად სხვადასხვა ადამიანები ვართ. ამის დამადასტურებელი საბუთები მაქვს.

ამ დილით დაახლოებით რვა საათზე გამეღვიძა (ჩემს საწოლში). ჯერ კიდევ საღამური მეცვა, კაბინეტში რომ გავედი და შავებში ჩაცმული ადამიანის კონტური დავლანდე. მისკენ გავქანდი, მაგრამ სანამ მივუახლოვდებოდი, კიბეზე ჩაირბინა და გაუჩინარდა. მაშინვე მაგიდას შევავლე თვალი: ქაღალდები არეულ-დარეული იყო. ხმალჯოხს დავავლე ხელი და ქვევით, მაღაზიაში, ჩავირბინე. ყორანივით ფიგურა თვალის დახამხამებაში გასრიალდა კარიდან. უკან გამოვენთე, მაგრამ ბედი არ მწყალობდა თუ დაუპატიჟებელ სტუმარს წინასწარ დაეგეგმა გაქცევა, არ ვიცი – შუა ოთახში სკამს გადავაწყდი, გამოვედე და წავიქეცი. ხმალი ვიშიშვლე და კოჭლობით გავვარდი ქუჩაში, მაგრამ უცნობი აღარსად ჩანდა. შემიძლია, დავიფიცო, რომ თქვენ იყავით. მაშინვე თქვენს ბინას მივაშურე: საწოლი ცარიელი იყო.

12 აპრილი, შუადღე

კაპიტანო სიმონინი,

გპასუხობთ წერილზე. ეს წუთია, გამეღვიძა (ჩემს საწოლში). გეფიცებით, მე ვერ ვიქნებოდი ამ დილით თქვენს ბინაში, რადგან მეძინა. ბრაგაბრუგმა გამაღვიძა, შეშინებული წამოვდექი და კაცი დავინახე – ნამდვილად თქვენ იყავით – კისრისტეხით შევარდა დერეფანში. ტანზე არც გადამიცვამს, საღამურით გამოგყევით თქვენს ბინამდე და დავინახე, როგორ ჩაირბინეთ თქვენი ძუნძგლიანი მაღაზიის კიბე და ქუჩაში გავარდით. დაგედევნეთ, მაგრამ ბედად ამოყირავებულ სკამზე წავიფორხილე და დავეცი. როცა წამოვდექი და ქუჩაში გავედი, აღარავინ ჩანდა. მაგრამ შემიძლია დავიფიცო, რომ ის კაცი თქვენ იყავით, გემუდარებით, მითხარით, რომ მართალი ვარ...

12 აპრილი, შუადღის შემდეგ

ძვირფასო აბატო,

რა მემართება? როგორც ჩანს, ცუდად ვარ, თითქოს დროდადრო გონებას ვკარგავ და როცა ცნობიერება მიბრუნდება, დღიურში თქვენი ჩანაწერი მხვდება. ერთი და იგივე პიროვნება ვართ? ერთი წამით დავფიქრდეთ, გთხოვთ, ლოგიკის თუ არა, საღი აზრის ხათრით: ეს ჩვენი შეხვედრები ერთდროულად რომ მომხდარიყო, შეიძლებოდა, გვეფიქრა, რომ ერთ მხარეს მე ვიყავი, მეორე მხარეს – თქვენ. მაგრამ დროში აშკარად აცდენილები ვართ. თუ, ბინაში შესული, დავინახავ, რომ ვიღაც მეორე კარიდან გარბის, შემიძლია, დარწმუნებული ვიყო, რომ ის ვიღაც მე არ ვარ. ბევრი ვერაფრით დავასაბუთებ, მაგრამ რადგან ამ დილით სახლში ჩვენ გარდა არავინ იყო, ვვარაუდობ, რომ ის, ვინც გარბოდა, ნამდვილად თქვენ იყავით.

თუმცა, თუ სახლში მხოლოდ ორნი ვიყავით, პარადოქსი ჩნდება. დილის რვა საათზე ჩემს კაბინეტში შემოხვედით და ჩემს ქაღალდებში დაიწყეთ ჩხრეკა. დაგინახეთ და უკან დაგედევნეთ. მოგვიანებით, თერთმეტ საათზე, თავად მოგადექით ბინაში და თქვენი ნივთები გადავქექე. დამინახეთ და გამომეკიდეთ. კარგი, მაგრამ თუ ასეა, როგორ შეიძლება, ორივეს გვახსოვდეს დაუპატიჟებელი სტუმარიცა და ზუსტი დროც, როცა ის დავინახეთ, მაგრამ არ გვახსოვდეს, თავად შევედით თუ არა სხვის ბინაში?

ცხადია, შეიძლება, დაგვავიწყდა ეს ფაქტი, ან გვინდოდა, დაგვვიწყებოდა, ან სულაც ვმალავთ სიმართლეს, რამე მიზეზით. მაგრამ, გარწმუნებთ, პირადად მე არაფრის დამალვას არ ვცდილობ. თანაც, ფრიად უცნაურია, ორ ადამიანს ერთდროულად დაებადოს სურვილი, ერთი და იგივე რაღაც დაუმალოს მეორეს: მოდით, ვაღიაროთ, რომ მართლა რომანის სიუჟეტს წააგავს, მონტეპენიც კი ვერ შეთხზავდა ასეთ ისტორიას.

სიმართლესთან უფრო ახლოა, დავუშვათ, რომ ამ ამბავში სამი ადამიანია გარეული: ვიღაც უცხო ვაჟბატონი დილაუთენია შემოდის ჩემს ბინაში და მე თქვენ მგონიხართ. თერთმეტ საათზე იგივე იდუმალი სტუმარი თქვენთან შემოდის და ახლა თქვენ ფიქრობთ, რომ ის კაცი მე ვარ. განა ასეთი რამ დაუჯერებელია, როცა ყველამ ვიცით, რომ პარიზი ჯაშუშებითაა სავსე?

მაგრამ ეს მაინც ვერ ადასტურებს, რომ მე და თქვენ სხვადასხვა ადამიანი ვართ: შეიძლება, სიმონინის ახსოვდეს, რომ ვიღაც შევიდა მის ბინაში დილის რვა საათზე, მერე დაავიწყდეს ეს და მოგვიანებით, თერთმეტ საათზე, როგორც დალა პიკოლას, გაახსენდეს, რომ უცნობი თერთმეტ საათზე ეწვია.

თანაც, ეს საკითხი ჩვენი იდენტობის პრობლემას მაინც ვერ გადაჭრის. უბრალოდ კიდევ უფრო გაგვირთულებს ცხოვრებას ორივეს (და იმ ადამიანსაც, რომელიც ერთდროულად ვართ):

გამოჩნდა ვიღაც მესამე, რომელიც ისე მიდი-მოდის ჩვენს ბინებში, ვითომც არაფერი.

იქნებ სულაც სამნი კი არა, ოთხნი ვართ? უცნობი №1 რვაზე ჩემთან შემოდის, უცნობი №2 თქვენთან თერთმეტზე შემოდის. რა კავშირში არიან ერთმანეთთან უცნობი №1 და უცნობი №2?

დაბოლოს: დარწმუნებული ხართ, რომ თქვენს დაუპატიჟებელ სტუმარს თქვენ გამოეკიდეთ და არა მე? აღიარეთ, რომ ეს სრულიად გონივრული შეკითხვაა.

ასეა თუ ისე, გაფრთხილებთ: ხმალჯოხი მაქვს. როგორც კი უცხოს მოვკრავ თვალს ჩემს ბინაში, ვინც უნდა იყოს, ზედ წამოვაგებ. არა მგონია, საკუთარ თავს გავუყარო ხმალი. შეიძლება, უცნობი №1 ან უცნობი №2 შემომაკვდეს, მაგრამ გამორიცხული არაა, მსხვერპლი თქვენ აღმოჩნდეთ. მოკლედ, მიფრთხილდით.

12 აპრილი, საღამო

გამეღვიძა თუ არა, თქვენი წერილი წავიკითხე და შევშფოთდი. თითქოს სიზმარში, დოქტორ ბატაის (ნეტავ ვინაა?) სახემ გამიელვა: ოტელში, გვარიანად შემთვრალი, პატარა პისტოლეტს მიწვდიდა: „მეშინია, მეტისმეტად შევტოპეთ. მასონებს ჩვენი სიკვდილი უნდათ. ჯობია, იარაღი ატაროთო". უფრო პისტოლეტმა შემაშინა, ვიდრე მუქარამ, რადგან *ვიცოდი* (საიდან?), რომ მასონებთან მოლაპარაკება შეიძლებოდა. მეორე დღეს ის იარაღი უჯრაში ჩავაგდე აქ, მეტრ-ალბერის ქუჩის ბინაში.

თქვენმა წერილმა შემაშინა, უჯრა გამოვაღე და უცნაური გრძნობა დამეუფლა, თითქოს გამეორდა ეს მოძრაობა. გამოსაფხიზლებლად თავი გავაქნიე. საღამოს ექვსი საათისთვის ფრთხილად შევედი ტანსაცმლით სავსე დერეფანში და თქვენი ბინისკენ წავედი. დერეფნის ბოლოს ბეჭებში მოხრილი კაცი დავინახე, ხელში პატარა

სანთელი ექირა და ჩემკენ მორიოდა. არ ვიცი, შეიძლება, თქვენ იყავით, მაგრამ შიშისგან გონება დამებინდა და გავისრიალე. უცნობი ჩემს ფეხებთან დაენარცხა.

მკვდარი იყო. გულში მოხვედროდა ტყვია. ერთადერთი გასროლით შიგ გულში მოვარტყი მე, რომელმაც ცხოვრებაში პირველად და, ვიმედოვნებ, უკანასკნელად, გამოვკარი ჩახმახს. რა საშინელებაა.

ჯიბეები მოვუქექე მოკლულს: რაღაც რუსული წერილები ელო. ახლოდან დავათვალიერე: მაღალი ყვრიმალები, ყალმუხივით ვიწრო თვალები და სრულიად ქერა, თითქმის თეთრი თმა ჰქონდა. აშკარად სლავი იყო. ჩემგან რა უნდოდა?

გვამს სახლში ვერ გავაჩერებდი. თქვენს სარდაფში ჩავათრიე, კანალიზაციის სარქველი ავხადე (ამჯერად მეყო გამბედაობა, შიგნით ჩავსულიყავი) და ძლივს ჩავათრიე გვამი კიბეზე. კინაღამ გამგუდა სიმყრალემ, სანამ იმ ადგილამდე მივათრიე მოკლული, სადაც წესით დაღა პიკოლას ძვლებილა უნდა დამხვედროდა. იქ კი ორი სიურპრიზი მელოდა: პირველი ის იყო, რომ იმ მინისქვეშა ნესტსა და ობში ქიმიის – ჩვენი დროის მეცნიერებათა დედოფლის – რაღაც აუხსნელ სასწაულს ათწლეულების მანძილზე შემოენახა გვამი: ჩონჩხს კიდევ შერჩენოდა კანის ნარჩენები და სხეულს ადამიანის ფორმა შეენარჩუნებინა, თუმცა შიგნით ერთიანად გარღვნილიყო. მეორე სიურპრიზი კი ის გახლდათ, რომ დაღა პიკოლას გვერდით კიდევ ორი გვამი დამხვდა: ერთი – ანაფორიანი მამაკაცის, მეორე კი _ ნახევრად შიშველი ქალის. გვამებს გარჩნა დაენყოთ, მაგრამ მომეჩვენა, რომ ორივე მეცნობოდა. ვინ იყვნენ ის მკვდრები, გულში ქარიშხალი, გონებაში კი სრულიად აუხსნელი წარმოსახვები რომ დამიტრიალეს? არ ვიცი და არც მინდა, ვიცოდე. ძალიან ჩაიხლართა ჩვენი ამბავი.

ახლა არ მითხრათ, რომ თქვენც იგივე დაგემართათ! უკვე ნერვებს მიშლის ერთმანეთზე გადაჯაჭვული ეს დამთხვევები.



...მკვდარი იყო. გულში მოხვედროდა ტყვია...

12 აპრილი, ღამე

ძვირფასო აბატო, მე ხალხს არ ვხოცავ. ყოველ შემთხვევაში, უმიზეზოდ. მაგრამ ამჯერად მართლა მივაშურე კანალიზაციის გვირაბს, სადაც მრავალი წელი არ ჩავსულვარ. ღმერთო ჩემო, მართლაც ოთხი გვამი დამხვდა! ერთი ნამდვილად ჩემი მითრეულია, ძალიან დიდი ხნის წინ... მეორე ამ საღამოს თქვენ ჩაგიტანიათ. დანარჩენი ორი საიდანღა გაჩნდა?

ვინ დაძვრება ჩემი სახლის ქვეშ, ვინ მიწყობს გვამებს საკანალიზაციო გვირაბში?

რუსები? რა უნდათ რუსებს ჩემგან, თქვენგან – ჩვენგან?

*Oh, quelle histoire!*[15]

[15] საოცარი ამბავია! (ფრ.)

21

# ტაქსილი

1897 წლის 13 აპრილის დღიურიდან

სიმონინი ტვინს იჭყლეტდა, ვინ უნდა შესულიყო მის – და დალა პიკოლას – ბინაში. აგონდებოდა, რომ ოთხმოციანი წლების დასაწყისში ჟულიეტ ადამის სალონში დადიოდა (ჟულიეტი ბონის ქუჩის წიგნის მაღაზიაში გაეცნო, მადამ ლამესინის სახელით), სადაც იულიანა დიმიტრიევნა გლინკას, მისი საშუალებით კი – რაჩკოვსკის დაუკავშირდა. სიმონინის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მის (და დალა პიკოლას) ბინაში შეპარული უცნობი სწორედ ამ ორიდან ერთ-ერთის დავალებით მოქმედებდა. როგორც ახსოვდა, გლინკა და რაჩკოვსკი ერთ განძზე მონადირე მოსისხლე მტრები იყვნენ. თუმცა იმ ამბების შემდეგ თხუთმეტი წელი იქნებოდა გასული და ამასობაში ხომ უამრავი რამ მოხდა. ნეტავ რამდენი ხანი იყო, რაც რუსები უთვალთვალებდნენ?

მასონების ნამოქმედარი ხომ არ იყო ყველაფერი? იქნებ რაღაცით გააღიზიანა ისინი და მის ბინაში მასონების მაკომპრომეტირებელ დოკუმენტებს ეძებდნენ? იმ წლებში სიმონინი მასონურ წრეებთან დაკავშირებას ცდილობდა როგორც ოსმან-

ბეისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, ისე პადრე ბერგამასკის გამო, რომელიც მოსვენებას აღარ აძლევდა: რომაელ მასონებთან და მათ ხელისშემწყობ ებრაელებთან ღია შეტაკებას ამზადებდნენ და ცინცხალი ცნობები სჭირდებოდათ. მასალა კი იმდენად მცირე ჰქონდათ, რომ იეზუიტთა ჟურნალი „კათოლიკური ცივილიზაცია“ იძულებული იყო, სამი წლის წინ „Contemporain“-ში გამოქვეყნებული სიმონინის ბაბუას წერილი ხელახლა დაებეჭდა.

ახსოვდა: მაშინ ვერ გადაწყვიტა, მართლა ღირდა თუ არა ლოჟაში გაწევრიანება. ეს ნიშნავდა, რომ ვიღაცას უნდა დამორჩილებოდა, შეკრებებს დასწრებოდა, უსიტყვოდ დახმარებოდა ლოჟის წევრებს. ეს კი მის თავისუფლებას ზღუდავდა. არც ის იყო გამორიცხული, რომ ლოჟაში მიღებამდე მასონებს საგულდაგულოდ გაეჩხრიკათ სიმონინის აწმყოცა და წარსულიც. ამას კი ვერ დაუშვებდა. ალბათ, ისევ ჯობდა, რომელიმე მასონი დაეშანტაჟებინა და ინფორმატორად გამოეყენებინა. შეუძლებელი იყო, ნოტარიუსი, რომელიც ამდენ ყალბ ანდერძს თხზავდა (უზარმაზარ თანხებზე), რომელიმე მაღალჩინოსან მასონს არ გადაჰყროდა.

თანაც, აშკარა შანტაჟიც არ იყო საჭირო. სიმონინი ბოლო რამდენიმე წელია, ხვდებოდა, რომ ადგილობრივიდან საერთაშორისო ჯაშუშობაზე გადასვლამ მას, მართალია, გარკვეული სარგებელი მოუტანა, მაგრამ არა მისი ამბიციების შესაფერისი. ჯაშუშის საქმიანობა ლამის იატაკქვეშა ცხოვრებას აიძულებდა ვექილს, მას კი, რაც ასაკი ემატებოდა, მეტად უნდოდა აქტიური და ღირსეული საზოგადოებრივი ცხოვრება. ამრიგად, სიმონინიმ საბოლოოდ გაარკვია საკუთარი მოწოდება: ჯაშუშობა კი არ უნდოდა, სურდა, ხალხს ჰგონებოდა ჯაშუში, თანაც – სხვადასხვა მხარის დაკვეთით მომუშავე; უნდოდა, ბოლომდე არავის სცოდნოდა, ვის ემსახურებოდა, რა ტიპის ან რამდენად მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა.

მომგებიანი იყო, ყველას ჯაშუში ჰგონებოდა: ყველა ცდილობდა, მისთვის რაღაც „ფასდაუდებელი“ საიდუმლო დაემალა და მზად იყვნენ, უამრავი ფული გადაეხადათ, ოღონდ მისთვის რამე დაეცდევინებინათ. მაგრამ ამის აღიარება არავის სურდა და საბაბად მის საქმიანობას იყენებდნენ: მიმართავდნენ, როგორც ნოტარიუსს და უსიტყვოდ უხდიდნენ უზარმაზარ თანხას რაღაც სისულელეში. სრულიად უმნიშვნელო სანოტარო დოკუმენტის გაკეთებაში უამრავს ფულს აძლევდნენ და ვერანაირ ინფორმაციას ვერ იღებდნენ. უბრალოდ, ეგონათ, რომ სიმონინი მოისყიდეს და მომავალში საინტერესო ცნობებს ელოდნენ.

მთხრობელი ფიქრობს, რომ სიმონინი ბევრად უსწრებდა თავის დროს: თავისუფალი პრესისა და ინფორმაციის ახალი სისტემების, ტელეგრაფისა და რადიოს (რომელიც ძალიან მალე საყოველთაოდ გავრცელდებოდა) წყალობით იშვიათი ცნობები სულ უფრო ნაკლები რჩებოდა და მალე საიდუმლო აგენტის პროფესიის კრიზისს გამოიწვევდა. ჯობდა, საიდუმლო საერთოდ არ გქონოდა, მაგრამ სხვებს ჰგონებოდათ, რომ რაღაცას მალავ. ერთგვარად გაქირავებული ქონებიდან ან გამოგონების ლიცენზიიდან მიღებული შემოსავლით ცხოვრებას ჰგავდა ეს ყველაფერი: მხართეძოზე ნებივრობ, სხვები ტრაბახობენ, რომ გამაოგნებელი ფაქტები შეიტყვეს შენგან, შენ კი სახელს იხვეჭ და ფულიც ხელის გაუნძრევლად შემოგდის.

სად მოეძებნა ადამიანი, რომელიც არავის დაეშანტაჟებინა, მაგრამ შანტაჟს უფრთხოდა? პირველი, ვინც აზრად მოუვიდა, ტაქსილი იყო. ახსოვდა, როგორ გაიცნეს ერთმანეთი: ტაქსილმა რაღაც ყალბი წერილების შეთხზვა შეუკვეთა (ვისი? ვისთვის?) და მაშინ გაუმხილა, თუმცა ბევრი არაფერი უთქვამს, „ფრანგული ღირსების მეგობართა ტაძრის“ ლოჟის წევრი ვარო. სწორედ ტაქსილი იყო ის, ვისაც ეძებდა? არ უნ-

დოდა, შემცდარიყო და ებიუტერნს მიაკითხა ინფორმაციის დასაზუსტებლად. მისი ახალი უფროსი, ლაგრანჟისაგან განსხვავებით, შეხვედრის ადგილს არასოდეს ცვლიდა: ყოველთვის ნოტრ-დამის ცენტრალური ნავის ბოლოში, სკამზე ხვდებოდნენ ერთმანეთს.

სიმონინიმ ჰკითხა, რა იცოდა ტაქსილზე საიდუმლო სამსახურმა. ებიუტერნს გაეცინა:

– მგონი, თქვენ უნდა გვაწვდიდეთ ინფორმაციას და არა პირიქით. კარგი, ამჯერად ასე იყოს. სახელი მეცნობა, მაგრამ ეგ ჩვენზე მეტად ჟანდარმერიის საქმეა. რამდენიმე დღეში შეგატყობინებთ.

ცნობები კვირის ბოლოს მოვიდა. უდავოდ საინტერესო იყო: მარი ჟოზეფ გაბრიელ ანტუან ჟოგან-პაჟესი, მეტსახელად ლეო ტაქსილი, მარსელში იყო დაბადებული 1854 წელს, იეზუიტებთან უვლია სკოლაში და – როგორც მოსალოდნელი იყო იეზუიტების აღსაზრდელისთვის – თვრამეტი წლისას ანტიკლერიკალურ გაზეთებთან დაუწყია თანამშრომლობა. მარსელში ცუდი ყოფაქცევის ქალებში დადიოდა თურმე, მათგან ერთი თორმეტი წლით კატორღაში გაუმწესებიათ სახლის მეპატრონე ქალის მკვლელობისთვის, მეორე კი მოგვიანებით საყვარლის მკვლელობის მცდელობისთვის გაუსამართლებიათ. პოლიცია აშკარად უნამუსოდ აბრალებდა ტაქსილს ისეთ საქმეებსაც, რაშიც ბრალი არ მიუძღვოდა. ეს კი ფრიად უცნაური იყო, რადგან ტაქსილი ერთი პერიოდი სწორედ პოლიციასთან თანამშრომლობდა და რესპუბლიკურ წრეებზე აწვდიდა ინფორმაციას. თუმცა, როგორც ჩანს, პოლიციასაც არცხვენდა ეს კაცი: ერთხელ თურმე ეგრეთ წოდებული „ჰარამხანის კამფეტების“ გავრცელების გამო უჩივლეს, რომლებიც სინამდვილეში აღმგზნები აბები ყოფილა. ჯერ კიდევ 1873 წელს მარსელში წერილები დაუგზავნია ადგილობრივი გაზეთებისთვის მეთევზეების ყალბი ხელმოწერებით, სანაპირო ზოლი ზვიგენებითაა




*...შემზარავი ნახატებით დასურათებული „იესოს ცხოვრება“ (კარგად ახსოვდა მარიამისა და სულიწმინდის განმასახიერებელი მტრედის სცენა)...*

სავსეო, რასაც საშინელი პანიკა მოჰყოლია. მოგვიანებით რელიგიის საწინააღმდეგო სტატიების გამო ჟენევაში გაქცეულა. იქ გაუვრცელებია ინფორმაცია, ლემანის ტბის ფსკერზე რომაული პერიოდის ჩაძირული ქალაქიაო. ტურისტები ბუზებივით ეხვეოდნენ თურმე. ყალბი და მიკერძოებული ინფორმაციის გავრცელებისთვის შვეიცარიიდანაც გაუძევებიათ და ჯერ მონპელიეში დასახლებულა, შემდეგ კი – პარიზში, სადაც სკოლების ქუჩაზე ანტიკლერიკალური წიგნის მაღაზია გაუხსნია. ცოტა ხნის წინ ერთ მასონურ ლოჟაში შესულა, მაგრამ ულირსი საქციელისთვის იქიდანაც მალე გაუგდიათ. ახლა ანტიეკლესიური საქმიანობით ბევრს ვეღარაფერს შოულობდა და ხმები დადიოდა, ყელამდე ვალებშია ჩაფლულიო.

სიმონინის ნელ-ნელა ყველაფერი აგონდებოდა ტაქსილზე. მისი დაწერილი იყო შემზარავი ნახატებით დასურათებული „იესოს ცხოვრება“ (კარგად ახსოვდა მარიამისა და სულიწმინდის განმასახიერებელი მტრედის სცენა), წიგნი, რომელიც არა მხოლოდ ეკლესიას, არამედ ზოგადად რელიგიას ემტერებოდა. ტაქსილის კალამს ეკუთვნოდა შემზარავი რომანი „იეზუიტის შვილი“, რომელიც ნათლად აჩვენებდა, რაოდენ მასხარა იყო მისი ავტორი: წიგნი ჯუზეპე გარიბალდის ეძღვნებოდა („რომელიც მამასავით მიყვარსო“) – ეს არაფერი – და თავფურცელი იუწყებოდა, რომ წინათქმა, სათაურით „ანტიკლერიკალური ფიქრები“, გარიბალდის დაწერილი იყო. ეს იყო გააფთრებული შეტევა სამღვდელოებაზე („როდესაც მღვდელი მიდგას წინ, განსაკუთრებით იეზუიტი, მღვდლის კვინტესენცია, მისი ბუნების მთელი სიბინძურე, იმდენად ძლიერად მოქმედებს ჩემზე, რომ გულისრევა მეწყება“) და მასში ნახსენებიც არ იყო ნაწარმოები, რომლის შესავლადაც იყო გასაღებული. ვინ იცის, საიდან ამოიღო ტაქსილმა გარიბალდის ეს სიტყვები და თავისი წიგნის წინათქმად წარმოაჩინა.

სიმონინის არ სურდა ასეთ ტიპთან სახელის გაფუჭება. გადაწყვიტა, ნოტარიუს ფურნიეს სახელით გაცნობოდა მას და მოხდენილი, მოწაბლისფრო, კოხტად გვერდზე გადავარცხნილი პარიკიც მოირგო ამ შეხვედრისთვის. იმავე ფერის გრძელი ბაკენბარდებიც მიიკრა, რომ სახე უფრო წაგრძელებული გამოსჩენოდა და კანზეც გამაფერმკრთალებელი საცხი გადაისვა. სარკესთან გაივარჯიშა, სცადა, სულელურად გაეღიმა და წინა ორი ოქროს კბილი გამოეჩინა: საგანგებოდ დაამზადებინა კბილის ექიმს პაწაწინა პროთეზი, ნამდვილი შედევრი, რომელიც ბუნებრივ კბილებს უფარავდა, თან ლაპარაკში ცოტა ხელს უშლიდა და ამით ხმასაც უცვლიდა.

მერე ტაქსილს სკოლების ქუჩაზე წიგნის მაღაზიაში „ცისფერი უსტარი“ გაუგზავნა პნევმატური ფოსტით და მეორე დღეს კაფე „რიშში“ დაპატიჟა. სწორი სვლა იყო: ამ კაფეში უამრავი ცნობილი ადამიანი დადიოდა. ეს კი ახლად გამდიდრებულ მატრაკვეცა მდაბიოს აუცილებლად აცდუნებდა, მათებურად მომზადებულ კამბალასა და ტყის ქათამზე რომ აღარფერი ვთქვათ.

ლეო ტაქსილს ჩასუქებული სახე, ცხიმიანი კანი, ვეებერთელა ულვაშები და მაღალი შუბლი ჰქონდა. თმა გვარიანად შეთხელებოდა, შემელოტებულ საფეთქლებზე ოფლი ჩასდიოდა და ხმამაღლა, აუტანელი მარსელური აქცენტით ლაპარაკობდა.

ვერ გაეგო, რატომ სთხოვდა შეხვედრას ნოტარიუსი ფურნიე, მაგრამ ნელ-ნელა წამოეგო სიმონინის ანკესს და დაიჯერა, რომ მისი თანამოსაუბრე ადამიანური ბუნების ხარბი დამკვირვებელი იყო, ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც მაშინდელი მწერლები „ფილოსოფოსებს“ ეძახდნენ; დაიჯერა, რომ მისი ანტიკლერიკალური პოლემიკა, მისი განსაკუთრებული ცხოვრებისეული გამოცდილება აინტერესებდა. პირგამოტენილი, მგზნებარედ უყვებოდა სიმონინის თავისი სიყმაწვილის ანცობებს:

– როცა ზვიგენებზე გავავრცელე ინფორმაცია მარსელში, კატალონიიდან მოყოლებული პრადოს სანაპირომდე ყველა სამ-

კურნალო კურორტი რამდენიმე კვირით დაცარიელდა. მერმა განაცხადა, ზვიგენები უეჭველად კორსიკიდან მოვიდნენ, გემს გამოჰყვებოდნენ, რომელმაც, ალბათ, ზღვაში გაფუჭებული შებოლილი ხორცი გადაყარაო. მუნიციპალური კომისიის მოთხოვნით სანადირო შაშხანებით შეიარაღებული ასკაციანი ექსპედიცია გაგზავნეს ბუქსირიანი გემით, გენერალ ესპივანის მეთაურობით! და ჟენევის ტბის ამბავი იცით? ევროპის ყველა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ კორესპონდენტები! ჰყვებოდნენ, ჩაძირული ქალაქი გალური ომების ეპოქაშია აშენებული, როცა ტბა იმდენად ვიწრო იყო, რომ მდინარე რონა მას ისე კვეთდა განივად, მისი წყალი ტბის წყალში არც კი ირეოდაო. ნავების მეპატრონეებმა გვარიანი ფული იშოვეს: ტურისტები გაჰყავდათ ტბაში, წყლის ზედაპირზე ზეთს ასხამდნენ, რომ ფსკერი უკეთ დაენახათ... ერთმა ცნობილმა პოლონელმა არქეოლოგმა სამშობლოში სტატია გაგზავნა, ირწმუნებოდა, წყალქვეშ გზაჯვარედინი დავინახე, გზასაყარზე ცხენოსნის ქანდაკება დგასო! ადამიანების მთავარი თვისება ისაა, რომ მზად არიან, ყველაფერი დაიჯერონ. ყველაფრის დაჯერების ეს საყოველთაო მიდრეკილება რომ არა, როგორ იარსებებდა ეკლესია ორი ათასი წლის მანძილზე?

სიმონინი „ფრანგული ღირსების მეგობართა ტაძრით“ დაინტერესდა.

– ძნელია ლოჟაში გაწევრიანება?

– საკმარისია, ფული გქონდეს და საწევრო შესატანი გადაიხადო: ეს გვარიანი თანხაა. უნდა აჩვენო, რომ უსიტყვოდ ასრულებ ძმათა ურთიერთდაცვის ვალდებულებას. რაც შეეხება მორალურობას, ამაზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ჯერ კიდევ გასულ წელს „რიტუალების დიდი კოლეგიის“ ორატორი თავად იყო შოსე დ’ანტენის ბორდელის მფლობელი, პარიზის ყველაზე გავლენიანი ოცდაცამეტი მასონიდან ერთერთი კი ჯაშუშია, უფრო სწორად, სადაზვერვო სამსახურის უფროსი, ვინმე ებიუტერნი.

– როგორ იღებენ ლოჟაში?

– საგანგებო რიტუალებით! ნეტავ განახათ! არც კი ვიცი, მართლა სჯერათ თუ არა სამყაროს იმ დიადი შემოქმედის, რომელზეც გაუთავებლად ლაპარაკობენ, მაგრამ ლიტურგიას ნამდვილად სერიოზულად უდგებიან. ვერც კი წარმოიდგენთ, რის გაკეთება მომიწია იქ მოსახვედრად!

და ტაქსილმა ისეთი ამბები გადმოალაგა, მსმენელს თმები ყალყზე დაუდგებოდა.

სიმონინი სულაც არ იყო დარწმუნებული, რომ ეს პათოლოგიური მატყუარა რაღაცას არ ჩმახავდა. ჰკითხა, ეს ყველაფერი ხომ ლოჟის წევრმა საიდუმლოდ უნდა შეინახოსო; თანაც მეტისმეტად გროტესკულად ხომ არ აღწერთ ამ რიტუალსო. ტაქსილმა ადგებულად ჩაიქირქილა, მათ წინაშე არანაირი ვალდებულება აღარ მაქვს, იმ იდიოტებმა ლოჟიდან გამრიცხესო.

აშკარად მისი ხელი ერია მონპელიეს ახალი გაზეთის, „რესპუბლიკური სამხრეთის" პირველ ნომერში გამოქვეყნებულ, ცნობილი ადამიანების სოლიდარობის წერილებში, რომელთა შორის ვიქტორ ჰიუგო და ლუი ბლანკიც იყვნენ. იმ ავტორებმა მალევე სხვა, მასონურ გაზეთებში დააგზავნეს წერილები და აღშფოთებულები ირწმუნებოდნენ, არასოდეს დაგვიჭერია მხარი იმ გაზეთისთვის, ბოროტად გამოიყენეს ჩვენი სახელიო. ამას ლოჟაში დიდი ამბები მოჰყოლია და ტაქსილს ორი რამით დაუცავს თავი: ერთი, რომ იმ წერილების ორიგინალები წარმოუდგენია სასამართლოს წინაშე და მეორე, ჰიუგოს საქციელი სახელოვანი უხუცესი მწერლის ბებრული მარაზმით აუხსნია. მაგრამ ამ მეორე არგუმენტით ტაქსილი თავადვე აბათილებდა პირველს, რადგან ასეთი შეურაცხყოფა სრულიად მიუღებელი იყო როგორც სამშობლოს, ისე ფრანკმასონთა ღირსებისათვის.

ახლა კი მოაგონდა სიმონინის, რომ სწორედ მან შეთხზა თავის დროზე ჰიუგოსა და ბლანკის წერილები. როგორც ჩანს, ტაქსილს ეს სრულიად დავიწყებოდა. ისე მიჩვეული იყო ტყუ-

ილს და საკუთარი თავის მოტყუებასაც, რომ იმ წერილებზე გულწრფელად, თვალებანთებული ლაპარაკობდა, თითქოს ისინი მართლა არსებულიყო. თუმცა, რომც ხსომებოდა ნოტარიუსი სიმონინი, ნოტარიუს ფურნიესთან მას ვერაფრით დააკავშირებდა.

მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ტაქსილი არ მალავდა თავისი ლოჟის წევრების – ყოფილი მეგობრებისადმი – ღრმა სიძულვილს.

სიმონინი მაშინვე მიხვდა, რომ ტაქსილის მწერლური ჟინის გაღვივებით ოსმან-ბეისთვის მდიდარ მასალას მოაგროვებდა. მაგრამ გონებაში ახალმა აზრმაც გაუელვა, რომელიც თავიდან მხოლოდ მკრთალი შთაბეჭდილება იყო, ინტუიციური ჩანასახი, შემდეგ კი დახვეწილ, უაღრესად დეტალურ გეგმად იქცა.

რადგან პირველ შეხვედრაზე ტაქსილმა დაადასტურა, რომ ჭამა-სმის ჭეშმარიტი ტრფიალი იყო, თვითმარქვია ნოტარიუსმა მეორედ ის „პერ ლატუილში“ დაპატიჟა, კლიშის მოედანზე მდებარე პატარა, მაგრამ ცნობილ რესტორანში, სადაც სუნელებში შებრაწულ წიწილს და საფირმო კერძს – ბოსტნეულთან ერთად კეცზე ჩაშუშულ საქონლის შიგნეულს ამზადებდნენ. ღვინოებიც საუცხოო ჰქონდათ. მოკლედ, ორივენი ტუჩებს აწკლაპუნებდნენ ნეტარებისგან, როცა სიმონინიმ ჰკითხა თანამოსაუბრეს, ღირსეული ანაზღაურების სანაცვლოდ ყოფილი მასონის მოგონებებს ხომ არ დაწერდით რომელიმე გამომცემლის დავალებითო. ფულის ხსენებაზე ტაქსილს თვალები აენთო. სიმონინი შემდეგ შეხვედრაზე შეუთანხმდა, თავად კი პადრე ბერგამასკის მიაშურა.

– მისმინეთ, მამაო, თავგამოდებულ ანტიკლერიკალს შევხვდი, რომელიც ეკლესიის მტრობით იმდენს ველარ შოულობს, რამდენსაც ადრე. თანაც, მასონურ სამყაროს კარგად იცნობს და მათზეც დაბოლმილია. თუ ტაქსილი საჯაროდ მოექცევა

კათოლიკობაზე, უარყოფს თავის ანტირელიგიურ ნაშრომებს და მასონური სამყაროს საიდუმლოებათა გამხელას დაიწყებს, თქვენ, იეზუიტები, მუხლჩაუხრელ პროპაგანდისტს შეიძენთ მისი სახით.

– ჰო, მაგრამ ადამიანი ასე უცებ, დავალების მიხედვით ვერ მოექცევა.

– ჩემი აზრით, ტაქსილის შემთხვევაში ეს მხოლოდ ფულის საქმეა. გაითვალისწინეთ, რომ ჭკუას კარგავს ყალბი ცნობების გავრცელებაზე, ბანაკის შეცვლაზე და გაზეთებში გამოჭიმვაზე... რა ერქვა იმ ბერძენს, სახელის გასათქმელად დიანას ტაძარი რომ დაწვა ეფესოში?

– ჰეროსტრატე. გასაგებია, – თქვა პადრე ბერგამასკიმ და ჩაფიქრდა. – შეუცნობელია გზანი უფლისანი...

– რამდენს შესთავაზებთ, საჯაროდ რომ დაუბრუნდეს კათოლიკობას?

– თუ გავითვალისწინებთ, რომ ნამდვილი მორწმუნეები უფასოდ ხდებიან კათოლიკეები, ad majorem Dei gloriam[16], ფული არ უნდა დავინანოთ. მაგრამ ორმოცდაათი ათას ფრანკზე მეტი არ უნდა შევთავაზოთ. ალბათ, იცოტავებს, მაგრამ შევახსენოთ, რომ ჯერ ერთი, სულს გადაირჩენს (ამას კი ფასი არ აქვს) და მეორე, ანტიმასონურ წიგნებს ჩვენ გავუვრცელებთ საკუთარი არხებით – ეს კი ასიათასობით ეგზემპლარის გაყიდვას ნიშნავს.

სიმონინი დარწმუნებული არ იყო, რომ ეს საქმე გამოვიდოდა, ამიტომ თადარიგი დაიჭირა, ებიუტერნს მიაშურა და აცნობა, იეზუიტები შეთქმულებას გეგმავენ და ტაქსილის მოსყიდვას აპირებენ ანტიმასონური მიზნებისთვისო.

[16] „იესოს საზოგადოების" – იგივე იეზუიტთა ორდენის ჰერალდიკური დევიზი, ხშირად წარმოდგენილია აბრევიატურის სახითაც: AMDG. თარგმანში ნიშნავს „ღვთის მეტად სადიდებლად" და ითვლება, რომ ეს დევიზი ორდენის დამაარსებლის, ეგნატე ლოიოლას მოგონილია.

– ნეტავ მართალი იყოს, – უთხრა ებიუტერნმა. – ხანდახან ჩემი აზრები იეზუიტებისას ემთხვევა. სიმონინი, ვიღაც რიგითი მასონი არ გეგონოთ, გელაპარაკებით, როგორც „დიდი აღმოსავლეთის“ – ჭეშმარიტი მასონების მაღალი ეშელონების წარმომადგენელი. დიახ, ეს არის ერთადერთი სეკულარული, რესპუბლიკური, ანტიეკლესიური, მაგრამ არა ანტირელიგიური ლოჟა. არა ანტირელიგიური იმიტომ, რომ ის სამყაროს ერთ შემოქმედს აღიარებს და თითოეული წევრის ნებაა, მას ქრისტიანულ ღმერთად აღიარებს თუ რაღაც კოსმიურ, არასახელობით ძალად. ჩვენს რიგებში იმ მასხარა ტაქსილის გარევა დღემდე ჩირქს გვცხებს, მიუხედავად იმისა, რომ ლოჟიდან გავრიცხეთ. მეორე მხრივ, ხელს გვაძლევს კიდეც, ჩვენ მიერ განკვეთილი მასონებზე იმდენად შემზარავ ამბებს მოჰყვეს, რომ არავინ დაუჯეროს. ვატიკანის შეტევის მოლოდინში ვართ და პაპისგან დიდსულოვან საქციელს ნამდვილად არ ველით. მასონური სამყარო სხვადასხვა კონფესიითაა დაბინძურებული. რაგონი ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ ლაპარაკობდა მასონთა 75 სხვადასხვა ლოჟაზე, ახსენებდა 52 რიტუალს, 34 ორდენს (რომელთაგან 26 ანდროგინული იყო) და 1400 რიტუალურ ხარისხს. შემიძლია, მოგიყვეთ შოტლანდიელ და ტამპლიერ მასონებზე, „ჰერედომის“, „სვედენბორგის“ ლოჟებზე, თაღლითი და მასხარა კალიოსტროს შექმნილ მემფის-მიზრაიმის რიტუალზე, „ვაისჰაუპტის“ იდუმალ მმართველებზე, სატანისტებზე, ლუციფერისტებსა და პალადინელებზე და კიდევ ათას ვინმეზე, მეც კი თავგზა ამებნა, იმდენნი არიან. ძირითადად ეს ყველაფერი სატანისტური რიტუალებია, რომლებიც საშინლად გვიფუჭებენ სახელს და ამაში პატივსაცემ ძმებსაც მიუძღვით წვლილი: ხშირად წმინდად ესთეტიკური მიზნებით მოქმედებენ და ვერც კი ხვდებიან, რამხელა ზიანს გვაყენებენ. ორმოცი წლის წინ პრუდონმა (რომელიც სულ ცოტა ხანს იყო მასონთა რიგებში) ლუციფერის ლოცვა დაწერა: „ჰოი, სატანავ, დამცირებულო

მღვდელთა და მეფეთაგან, მოდი და უფლება მომეც, მოგეხვიო და გულში ჩაგიკრა“. იმ იტალიელმა, რაპისარდიმაც დაწერა „ლუციფერი“, რომელიც სინამდვილეში პრომეთეს ცნობილი მითის გადამღერება იყო. რაპისარდი მასონიც კი არ ყოფილა. სამაგიეროდ, ისეთი რანგის მასონმა, როგორიც გარიბალდი გახლდათ, ზეცაში აიყვანა რაპისარდი და ახლა ლამის სახარებასავით უტყუარად ითვლება, რომ მასონები ლუციფერს ეთაყვანებიან. პიუს IX-ს მასონების ყველა მოქმედებაში ეშმაკი ელანდებოდა, მრავალი წლის წინ კი იმ პოეტმა, კარდუჩიმაც, ცოტა რესპუბლიკელი რომ იყო და ცოტა მონარქისტი (დიდი მყვირალა ვინმე გახლათ და, სამწუხაროდ, დიდი მასონი), ოდა მიუძღვნა სატანას და რკინიგზის გამოგონებაც მას მიაწერა. მერე კი განმარტა კარდუჩიმ, სატანა მეტაფორა იყოო, მაგრამ მისი წყალობით კიდევ ერთხელ დარწმუნდა ყველა, რომ სატანა მასონების მთავარი კულტია. მოკლედ, არ გვაწყენდა, ვინმეს, საქვეყნოდ სახელგატეხილსა და მასონთა რიგებიდან გარიცხულს, ცნობილ თაღლითსა და მოღალატეს, ჩვენ წინააღმდეგ ცილისმწამებლური წიგნების წერა დაეწყო. ვატიკანისავე იარაღი გამოვიყენოთ და ცილისმწამებლის მომხრედ წარმოვაჩინოთ პაპი. კაცს მკვლელობას თუ დააბრალებ, ადვილად დაგიჯერებენ, მაგრამ სცადე, დააბრალო, რომ ბავშვის ხორცით იტკბარუნებს პირს სადილ-ვახშამზე, როგორც ჟილ დე რე: ყურსაც აღარავინ გათხოვებთ. ფელეტონის დონეზე დააკნინეთ მასონთა მტრები და ამით მათ სამუდამოდ მოიშორებთ თავიდან. დიახ, ხალხი გვჭირდება, ვინც ლაფში ამოგვთხვრის.

ებიუტერნს აშკარად უჭრიდა გონება, ბევრად უფრო შორს ჭვრეტდა, ვიდრე მისი წინამორბედი ლაგრანჟი. მაშინვე ვერ მითხრა, რამდენს ჩადებდა „დიდი აღმოსავლეთი“ ამ საქმეში, მაგრამ რამდენიმე დღეში თავად დამიკავშირდა: – ასი ათასი ფრანკი. მაგრამ იცოდეთ, მართლა იაფფასიანი ნაგავი გვჭირდება.

ამრიგად, სიმონინის ას ორმოცდაათი ათასი ფრანკი ჰქონდა ნაგვის საყიდლად. მხოლოდ სამოცდათხუთმეტი ათასი რომ შეეთავაზებინა ტაქსილისთვის და წიგნის დიდ ტირაჟს დაჰპირებოდა, წყალი არ გაუვიდოდა, დათანხმდებოდა, სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა. სამოცდათხუთმეტი ათასი კი სიმონინის დარჩებოდა. ორმოცდაათი პროცენტი საკომისიო ურიგო არ იყო.

ვისი სახელით შეეთავაზებინა ეს საქმე ტაქსილისთვის? ვატიკანის? ნოტარიუსი ფურნიე პონტიფიკუსის უფლებამოსილ პირს არ ჰგავდა. მაქსიმუმ, პადრე ბერგამასკი მიეგზავნა მასთან: მღვდლებს სხვა რა ფუნქცია აქვთ, თუ ცოდვილი მუხლებში არ ჩაუვარდა და სინანულით არ გაუმხილა შავბნელი წარსული?

რადგან შავბნელი წარსული ვახსენეთ... პადრე ბერგამასკის ნდობა შეიძლებოდა? ტაქსილს იეზუიტების ხელში ვერ დატოვებდა. რამდენი ათეისტი მწერალი ყოფილა, ას ცალ წიგნს გაასაღებდა და მერე, რწმენაზე მოქცეული და საკურთხევლის წინაშე დამხობილი, საკუთარ წარსულს შეინანებდა და ათასობით გაყიდულ წიგნს იზრალებდა. საბოლოო ჯამში, ანტიკლერიკალები ძირითადად ქალაქელ რესპუბლიკელებში იყვნენ, სანფედისტები კი, რომლებიც ძველ, კარგ დროს, მეფესა და მოძღვარს მისტიროდნენ, პროვინციაში მრავლობდნენ და, წერა-კითხვის უცოდინარებიც რომ არ მიგეთვალა (თუმცა მათ მღვდელი წაუკითხავდა), მაინც უამრავი იყვნენ, ეშმაკების ლეგიონებივით. ასე რომ, შეეძლო, არც ეხსენებინა პადრე ბერგამასკი და თავად შეეთავაზებინა ტაქსილისთვის თანამშრომლობა: ხელს მოაწერინებდა დოკუმენტზე, რომლის თანახმადაც ტაქსილის მომავალი წიგნების გაყიდვიდან ათი ან ოცი პროცენტი მას დარჩებოდა.

1884 წელს ტაქსილმა კათოლიკეთა გრძნობებს უკანასკნელი დარტყმა მიაყენა, როცა „პიუს IX-ის საყვარლები“ გა-

მოაქცეენა და ლაფში ამოსვარა გარდაცვლილი პაპის სახელი. იმავე წელს მოქმედმა პონტიფიკუსმა ლეონ XIII-მ ენციკლიკით „Humanum Genus“ „მასონთა ფილოსოფიური და მორალური სახე“ გამოააშკარავა. რამდენიმე წლით ადრე იმავე პაპმა სოციალისტებისა და კომუნისტების შემზარავი შეცდომები ამხილა ენციკლიკით „Quod Apostolici Muneris“, ახლა კი ღიად უტევდა ზოგადად მასონებსა და მთელ მათ მოძღვრებას, ფარდას ხდიდა იმ საიდუმლოებებს, რომლებიც მასონებს აერთიანებს და ათასგვარი დანაშაულისკენ უბიძგებს. მუდმივი შენიღბვითა და მალვით ადამიანებს ყურმოჭრილ მონებად აქცევენ და აიძულებენ, ისეთ მიზნებს ემსახურონ, რომლებიც კარგად არც ესმით; საკუთარ წევრებს ბრმა იარაღად იყენებენ ნებისმიერი ბოროტების ჩასადენად და დაუსჯელობას ჰპირდებიან, ეს ყველაფერი კი სასტიკად ეწინააღმდეგება ბუნებასო, – ბობოქრობდა პაპი. – მასონურ მოძღვრებათა ნატურალიზმსა და რელატივიზმზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს: მათ თანახმად ადამიანის გონება ყველაფერზე მაღლა დგასო! ენციკლიკა იუწყებოდა, ამის შედეგი ის არის, რომ პონტიფიკუსს საერო ძალაუფლება ჩამოართვეს, ეკლესიაში ნიჰილიზმი დააბუდეს, ქორწინება ერთ უბრალო სამოქალაქო ხელშეკრულებად აქციეს, ღვთისმსახურთ ხელიდან წაგლიჯეს ყრმათა აღზრდა-განათლება და საერო მასწავლებლებს ჩაუგდეს ხელში ახალგაზრდობის ბედიო. „ქადაგებენ, რომ ადამიანები თანასწორნი არიან და ყველას ერთნაირი უფლებები აქვს, რომ ადამიანი თავისი ბუნებით თავისუფალი და დამოუკიდებელია, რომ სხვაზე ბატონობა დაუშვებელია და რომ ადამიანის დამორჩილება ნებისმიერი ძალისადმი, რომელიც თავად მისგან არ მომდინარეობს, ტირანიაა. ასე რომ, მასონთათვის ნებისმიერი სამოქალაქო უფლებისა თუ მოვალეობის სათავე ხალხში, ანუ სახელმწიფოშია, სახელმწიფო კი მათთვის მხოლოდ ათეისტური შეიძლება იყოსო“, – შფოთავდა პაპი.

„თუ შესუსტდება ღმრთის შიში, შეირყევა საღვთო კანონების პატივისცემა, ფეხქვეშ გაითელება მთავართა ძალაუფლება, გარეთ გადმოიღვრება მასების აღვირახსნილი ლიბიდო, მუხრუჭი მოეშლება მდაბიოთა ყოველგვარ ვნებას და მასებში დაუსჯელობის განცდა გამეფდება, რევოლუცია და საყოველთაო უწესრიგობა გარდაუვალია... ეს ყველაფერი კომუნისტებისა და სოციალისტების მიზანი და მოწოდებაა, რომელსაც მასონთა სექტის ზრახვებიც ემთხვევა“.

რაც შეიძლებოდა, მალე უნდა „გამსკდარიყო“ ტაქსილის მოქცევის ამბავი.

აქ სიმონინის დღიური თითქოს ირევა. თითქოს აღარ ახსოვდეს, ვინ და როგორ მოაქცია ტაქსილი. თითქოს მისი მეხსიერება ერთგვარ ნახტომს აკეთებს და მხოლოდ იმას იხსენებს, რომ რამდენიმე წელიწადში ტაქსილი გულმხურვალე ანტიმასონ კათოლიკედ იქცა. მას შემდეგ, რაც საქვეყნოდ გამოაცხადა დედაეკლესიის კალთაში დაბრუნება, მარსელელმა ჯერ „სამწერტილიანი ძმები“ (სამი წერტილი მასონების ოცდამეცამეტე ხარისხს აღნიშნავდა) და „ფრანკმასონების საიდუმლოებანი“ (სადაც დრამატულად აღწერდა სატანის თაყვანისცემის შემაძრწუნებელ რიტუალებს) გამოაქვეყნა და მალევე მოაყოლა „მასონი დები“, რომელშიც იქამდე სრულიად უცნობ ქალთა ლოჟებზე ჰყვებოდა. ერთი წლის შემდეგ „ნიღაბჩამოხსნილი ფრანკმასონები“, ბოლოს კი „მასონური საფრანგეთი“ დაბეჭდა.

ამ წიგნების რამდენიმე გვერდიც კმაროდა მკითხველის დასაზაფრად. ავტორი ჰყვებოდა, როგორ იხმეს საღამოს რვა საათზე მასონების სახლში. კარი ლოჟის წევრმა გაუღო და „ფიქრის ოთახში“ – შავკედლებიან სარდაფში გამოკეტა. კედლებზე თავის ქალები დაემაგრებინათ ქვეშ გადაჯვარედინებული ძვლებით და უცნაური წარწერებით, მაგალითად: „თუ ფუჭი ცნობისმოყვარეობა შეგიპყრობს, გაეცალე აქაურობას!“




*...მარსელელმა ჯერ „სამწერტილიანი ძმები“ (სამი წერტილი მასონების ოცდამეცამეტე ხარისხს აღნიშნავდა) და „ფრანკმასონების საიდუმლოებანი“ (სადაც დრამატულად აღწერდა სატანის თაყვანისცემის შემაძრწუნებელ რიტუალებს) გამოაქვეყნა...*

მოულოდნელად ჭერიდან გაზის სანათური დაეშვა, კედელი გაიხსნა და მკრთალად განათებული მიწისქვეშეთი გამოჩნდა. სისხლით მოთხვრილ მაგიდაზე ტილო იდო, მასზე კი – ადამიანის ახალმოჭრილი თავი. შეძრწუნებულმა უკან დავიხიეო, წერდა ავტორი, მაგრამ ამ დროს კედლიდან მომავალმა ხმამ დამჭექაო: – ძრწოდე, უვიცო! ეს ჩვენი ძმის თავია, რომელმაც საძმოს საიდუმლო გასცა!...

ტაქსილი წერდა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სპექტაკლი იყო და ის თავი ცოცხალი ადამიანის იქნებოდა, ლოჟის რომელიმე წევრის, რომელიც, ალბათ, მაგიდის ქვეშ იჯდაო; პატრუქები ქაფურის სპირტით იყო გაჟღენთილი და ჭრაქებში მსხვილი მარილი ეყარა. მოხეტიალე მსახიობები ამას „ჯოჯოხეთის ნარევს“ ეძახდნენ: ასეთი პატრუქი მომწვანო ალით იწვის და ვითომ მოკვეთილ თავს მკვდრის ფერს აძლევს. კიდევ ბევრ რამეს აღწერდა ტაქსილი: კედლების ნაცვლად დაცვარულ სარკეებს, რომლებშიც მაგიური სანთლების შუქზე აჩრდილები ცეკვავდნენ; ნიღბოსნებს, რომლებიც ჯაჭვებით დაბმულ მსხვერპლს დასეოდნენ და ხანჯლებით ანაკუწებდნენ. ასეთი გზებით ცდილობდა მასონთა ლოჟა, სუსტი ფსიქიკისა და მდიდარი წარმოსახვის მქონე ადამიანები საკუთარ რიგებში შეეტყუებინაო.

ამ ყველაფრის შემდეგ ლოჟის ერთ-ერთი წევრი, „მრისხანე ძმა“, სტუმარს ქუდს მოხდიდა, სამოსელსა და მარჯვენა ფეხსაცმელსაც გააძრობდა, მუხლამდე აუკეცავდა შარვლის მარჯვენა ტოტს, გულის მხარეს კი მკლავსა და მკერდს გაუშიშვლებდა, თვალებს აუხვევდა, ადგილზე დაატრიალებდა, რამდენჯერმე აატარ-ჩაატარებდა კიბეს და ბოლოს „დაკარგული ნაბიჯების“ დარბაზში შეიყვანდა. დარბაზის კართან ლოჟის უხუცესი წევრი იდგა, ხელში ზამბარებიან და ჯაჭვებიან უცნაურ იარაღს აჟღრიალებდა. თვალახვეული სტუმარი დარბაზში შეჰყავდათ, მკერდზე ხმლის წვერს მიაბჯენდნენ და უხუცე-

სი ძმა ჰკითხავდა: „ახალმოსულო, რას გრძნობ მკერდზე? რა გაქვს თვალებზე?" მას უნდა ეპასუხა: „თვალები შავი სახვევით მაქვს ახვეული და მკერდზე მობჯენილ იარაღს ვგრძნობ". მაშინ მასპინძელი საზეიმოდ მიმართავდა: „ეს ფოლადი, მოღალატეთა გასაგმირად ზეაღმართული, სინდისის ქენჯნას განასახიერებს, რომელიც გულს გაგიპობს, თუ, შენდა საუბედუროდ, გაყიდი ძმობას, რომლის წევრობასაც ეშურები. სახვევი კი იმ სიბრმავეს, სიბნელეს განასახიერებს, რომელშიც ცხოვრობს გრძნობებს, ვნებებს, უვიცობასა და ცრურწმენებს დამონებული ადამიანი".

მერე თვალახვეულს კვლავ ადგილზე დაატრიალებდნენ, სანამ თავბრუ არ დაეხვეოდა და ზურგში ხელს კრავდნენ: წინ დიდი ჩარჩო იდგა, რომელზეც ქაღალდი იყო გაკრული, ცირკის ტონდოს ჩამოჰგავდა, ცხენები რომ შევარდებიან და გაარღვევენ ხოლმე. თვალახვეული ადამიანი წინ გადაქანდებოდა, ქაღალდს გაფხრეწდა და ჩარჩოს მეორე მხარეს დაგებულ ლეიბზე მოადენდა ზღართანს.

„უსასრულო კიბეც" მოემზადებინათ გამოსაცდელთათვის: კიბე სინამდვილეში მოძრავი, საფეხურებიანი ბორბალი იყო. თვალახვეულს ეგონა, რომ ზევით ადიოდა, სინამდვილეში კი კიბე ტრიალებდა და ადამიანი ერთსა და იმავე ადგილზე მოძრაობდა.

ავტორი სისხლის გამოღების, ცეცხლით დამღის დასმის და კიდევ ათასგვარ რიტუალს აღწერდა. სისხლის ასაღებად „ქირურგი" მკლავს გაუკავებდა გამოსაცდელს და კბილის საჩიჩქნ ჩხირს უჩხვლეტდა. ამასობაში მეორე ძმა თბილ წყალს აწვეთებდა მკლავზე და თვალახვეულს ეგონა, რომ მისი სისხლი მოწანწკრებდა იატაკზე. დაშანთვის რიტუალისთვის კი მშრალ ნაჭერს უხახუნებდნენ დიდხანს სადმე, შემდეგ კი ზედ ყინულს, ახლად ჩამქრალი სანთლის ჯერ კიდევ გახურებულ ბოლოს ან სულაც გავარვარებული ჭიქის ძირს დაადებდნენ. ბოლოს კი



*...მერე თვალახვეულს კვლავ ადგილზე დაატრიალებდნენ, სანამ თავბრუ არ დაეხვეოდა და ზურგში ხელს კრავდნენ: წინ დიდი ჩარჩო იდგა, რომელზეც ქაღალდი იყო გაკრული, ცირკის ტონდოს ჩამოჰგავდა, ცხენები რომ შევარდებიან და გაარღვევენ ხოლმე. თვალახვეული ადამიანი წინ გადაქანდებოდა, ქაღალდს გაფხრეწდა და ჩარჩოს მეორე მხარეს დაგებულ ლეიბზე მოადენდა ზღართანს...*

ლოჟაში შესვლის მსურველს საიდუმლო ნიშნებსა და გამოთქმებს ასწავლიდნენ, რომლებითაც ძმები ერთმანეთს ცნობდნენ.

ტაქსილის ეს ნაწარმოებები სიმონინის, როგორც მკითხველს, ისე ახსოვდა და არა როგორც ამ ყველაფრის სულის ჩამდგმელს. თუმცა აგონდებოდა, რომ ტაქსილის თითოეული წიგნის გამოქვეყნებამდე ოსმან-ბეისთან მიდიოდა და წინასწარ უყვებოდა მის შინაარსს, როგორც დიდ სიახლეს (შესაბამისად, ყველა წიგნს წინასწარ იცნობდა). მართალია, შემდეგ ჯერზე ოსმან-ბეი ეუბნებოდა, რაც წინა შეხვედრაზე მომიყევი, ტაქსილის რომანში წავიკითხეო, მაგრამ სიმონინი ამაზე პასუხობდა, ტაქსილი ჩემი ინფორმატორია და რა ჩემი ბრალია, თუ რომანებს თხზავს ჩვენთვის მოპოვებული ცნობების საფუძველზე, ფული რომ იშოვოსო? თან დააყოლებდა ხოლმე, ალბათ, უნდა მოვთხოვოთ, საჯაროდ არ დაფქვას ეს ინფორმაციაო. ამ სიტყვებზე სიმონინი მრავლისმეტყველად შეხედავდა ხოლმე ოსმან-ბეის. მაგრამ ოსმან-ბეი თვლიდა, რომ ყბედისთვის დუმილში გადახდილი ფული გადაყრილია. რატომ დამალავდა ტაქსილი იმ საიდუმლოებებს, რომლებიც გამოეაშკარავებინა? ოსმანი, ბუნებრივია, არ ენდობოდა სიმონინის და არაფერს უმხელდა „ისრაელის ალიანსზე“ მოპოვებული ცნობებიდან.

მოკლედ, საბოლოოდ სიმონინიმაც შეწყვიტა მისთვის ინფორმაციის მიწოდება. „მაგრამ, – წერს სიმონინი, – პრობლემა სხვა რამ იყო: რატომ მახსოვს, რომ ოსმან-ბეის ტაქსილის მიერ მოწოდებულ ცნობებს ვუყვებოდი, ტაქსილთან ურთიერთობაზე კი ვერაფერს ვიხსენებ?“

საქმეც ეს არის. ყველაფერი რომ ხსომებოდა, ახლა კი აღარ იცოდვილებდა წარსულის გასახსენებლად. Quelle histoire![17]

---

[17] საოცარი ამბავია! (ფრ.)

ამ ბრძნული კომენტარით ამთავრებდა სიმონინი იმ დღის ნაწერს. მერე, როგორც ჩანს, დაეძინა და დილით (რომელიც მას მეორე დილა ეგონა) ოფლში გაღვრილს გაეღვიძა, როგორც კოშმარული სიზმრებით ან კუჭის აშლილობით გაწამებულ ადამიანს ეღვიძება ხოლმე. მაგრამ, როცა საწერ მაგიდას მიუჯდა, მიხვდა, რომ ორი დღე იყო გასული. სანამ ვექილს ერთის ნაცვლად ორი მშფოთვარე ღამე ეძინა, ის აბატი დალა პიკოლა (რომელიც გვამების დაწყობასაც აღარ სჯერდებოდა სიმონინის სახლის კანალიზაციაში) ისევ მისჯდომია მის დღიურს და აღუწერია ამბები, რომლებიც, როგორც ჩანს, სიმონინიმ არ იცოდა.

22

# „ეშმაკი XIX საუკუნეში“

14 აპრილი, 1897

ძვირფასო კაპიტანო სიმონინი,

იგივე მეორდება: როცა თქვენი მეხსიერება იბინდება, ჩემი ცოცხლდება.

მაშ ასე, მგონი, დღეს ჯერ ბატონ ებიუტერნს ვხვდები და შემდეგ – პადრე ბერგამასკის. თქვენი სახელით უნდა გამოვართვა ფული, რომელსაც ლეო ტაქსილს გადავუხდი (უფრო სწორად, უნდა გადავუხადო). შემდეგ კი, უკვე ნოტარიუს ფურნიეს სახელით, ტაქსილთან მივდივარ.

– ბატონო ჩემო, – ვეტყვი, – არ ვაპირებ, ანაფორით ვისარგებლო და მოგიწოდოთ, აღიაროთ იესო ქრისტე, რომელსაც დასცინით. არც ის მაღელვებს, რომ ჯოჯოხეთში მოხვდებით. აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ მარადიული სასუფეველი აღგითქვათ. მინდა, გითხრათ, რომ მასონთა დანაშაულებრივი ქმედებების მამხილებელ წიგნებს ყველა შემთხვევაში ფართო მკითხველი ეყოლება, რადგან სალად მოაზროვნეებიც საკმაოდ მრავლად არიან. ალბათ, ვერ წარმოგიდგენიათ, როგორი შეიძლება დაეხმაროს წიგნს საფრანგეთის

(და არა მხოლოდ საფრანგეთის – მთელი მსოფლიოს!) მონასტრე-ბის, ეპარქიების, საარქიეპისკოპოსოების მხარდაჭერა. მერწმუნეთ, თქვენ მოსაქცევად კი არ მოვსულვარ, ფული მინდა, გაშოვნინოთ. ახლავე გეტყვით, რას გთავაზობთ. ხელი მოგვიწერეთ, რომ თქვენი წიგნებიდან შემოსული თანხის ოც პროცენტს გვითმობთ (მე და იმ ღირსეულ ორგანიზაციას, რომელსაც ვეკუთვნი) და ისეთ ადამიანს შეგახვედრებთ, რომელმაც ბევრად მეტი იცის მასონებზე, ვიდრე თქვენ.

კაპიტანო სიმონინი, როგორც ვხვდები, ტაქსილის წიგნების ოცი პროცენტი თანაბრად უნდა გაგვეყო ერთმანეთში. დიდი იმედი არ მქონია, რომ დამთანხმდებოდა, მაგრამ გეტყვით, რა შევთავაზე ტაქსილს:

– სამოცდათხუთმეტი ათასი ფრანკი მაქვს თქვენთვის. ნუ მკითხავთ, ვინ იხდის, თუმცა, ალბათ, ჩემი ანაფორა რაღაცას მი-გახვედრებთ. გენდობით და წინასწარ გიხდით სამოცდათხუთმეტი ათას ფრანკს, ოღონდ საჯაროდ მოინანიოთ ცოდვები და კათოლი-კური აღმსარებლობა მიიღოთ. ამ თანხაზე, გიმეორებთ, სამოცდათ-ხუთმეტი ათას ფრანკზე, პროცენტსაც არავინ გთხოვთ: ჩემთვისაც და მათთვისაც, ვინც თქვენთან გამომგზავნა, ფული ჭუჭყია და მეტი არაფერი. დაითვალეთ: ზუსტად სამოცდათხუთმეტი ათასია.

ახლაც თვალწინ მიდგას ის სცენა, თითქოს ლითოგრაფიაზე გამოსახულს ვუყურებდე. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ტაქსილს არც გაყიდული წიგნებიდან მიღებული შემოსავალი ხიბლავდა იმდენად და არც სამოცდათხუთმეტათასიანი ავანსი (თუმცა მაგიდაზე დახვავე-ბული ბანკნოტების დანახვაზე თვალები კი გაუბრწყინდა), რამდენა-დაც ის ვირტუოზული პირუეტი, მაღაყი, რომელსაც სთავაზობდნენ: ის, ეკლესიის დეემონიეული მტერი, უეცრად გულმხურვალე კათოლიკე გახდებოდა. წინასწარ ტკბებოდა ხალხის გაოგნებით, იმით, რაც გაზეთებში დაიბეჭდებოდა. ამ ამბავს მეტი რეზონანსი ექნებოდა, ვიდრე ჟენევის ტბის ფსკერზე რომაული ეპოქის ქალაქის აღმოჩე-ნას.

გემრიელად ხითხითებდა, მომავალი წიგნების სიუჟეტებს გეგმავდა, ილუსტრაციებიც კი წინდაწინ წარმოედგინა.

– ოჰ, მასონთა შავბნელ ხრიკებზე უკვე მთელი ტრაქტატი მაქვს გონებაში, რომანზე საინტერესო გამოვა! ყდაზე, ზევით, ბაფომეტი იქნება გამოსახული, მოკვეთილი თავიც, ტამპლიერების სატანურ რიტუალზე მისანიშნებლად... ღმერთო (ბოდიში ამ გამოთქმისთვის, აბატო), ნამდვილი სენსაცია იქნება. მნიშვნელობა არა აქვს, აქამდე რა დამიწერია, ჩემი გაკათოლიკება და ეკლესიასთან ურთიერთობის აღდგენა ღირსეული საქმეა და სახელს გამომისწორებს ოჯახის წევრების, მეზობლების თვალში: ისე მიყურებენ, თითქოს იესო ქრისტე მე გამეკრას ჯვარზე. მართლა, ვის გულისხმობდით, დაგეხმარებათო?

– ორაკულს გაგაცნობთ, ადამიანს, რომელიც ჰიპნოზური მდგომარეობაში დაუჯერებელ რამეებს ჰყვება პალადისტურ რიტუალებზე.

***

ორაკული დიანა ვოგანი უნდა ყოფილიყო. მასზე თითქოს ყველაფერი ვიცოდი. მახსოვს, ერთ დილით ვენსენში წავედი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს კარგად ვიცნობდი ექიმ დიუ მორიეს კლინიკას. საავადმყოფო საშუალო ზომის შენობაშია განთავსებული, მომცრო, მაგრამ მშვენიერი ბაღით. პაციენტები ბაღში გამოფენილან, ერთი შეხედვით მშვიდად ნებივრობენ მზეზე. თითქოს ვერც ამჩნევენ ერთმანეთს.

დიუ მორიეს ვეახლე და შევახსენე, რომ თქვენ ესაუბრეთ ჩემზე. გაკვრით ვახსენე კეთილშობილ ქალბატონთა ასოციაცია, რომელიც სულიერად ავადმყოფ ახალგაზრდებს ეხმარებოდა. მომეჩვენა, რომ ექიმმა შვებით ამოისუნთქა:

– იმით დავიწყებ, რომ დღეს დიანა ისეთ მდგომარეობაშია, რომელსაც ნორმალურს ვუწოდებ. კაპიტანი სიმონინი მოგიყვებოდათ ამ ამბავს: ასეთ დროს დიანა პერვერსიულია. ხვდებით, რას ვამბობ? რაღაც იდუმალი მასონური სექტის წევრი ჰგონია თავი.

ზედმეტად რომ არ ავაფორიაქოთ, თქვენც მასთან წარგადგენთ... იმედია, არ მიწყენთ, საეკლესიო პირი ბრძანდებით...

მოკრძალებულ ოთახში შემიძღვა, სადაც მხოლოდ კარადა და საწოლი იდგა. თეთრქსოვილგადაფარებულ სავარძელში ქალი იჯდა, მწყობრი, სათნო ნაკვთებითა და ფაფუკი, კეფაზე შეკრული მოჟღალო თმით. ქედმაღალი მზერა და კოხტად მოყვანილი პატარა ტუჩები ჰქონდა. ჩვენს დანახვაზე ქალს პირი მოეღრიცა:

– ექიმ დიუ მორიეს სურს, დედაეკლესიის კალთას შემაფაროს?

– არა, დიანა, სამოსელს ნუ უყურებ, ეს კაცი შენიანია, – უთხრა ექიმმა.

– რომელი საძმოდან? – სწრაფად იკითხა დიანამ.

მოხერხებულად დავიცავი თავი: – ამას ვერ გავამხელ, – ჩავიჩურჩულე, – ალბათ, თავადაც ხვდებით, რატომ...

რეაქცია შესაბამისი იყო:

– გასაგებია. ჩარლსტონის დიდმა ოსტატმა გამოგგზავნათ. მიხარია, რომ თქვენი საშუალებით გაიგებს ჩემს ამბებს. შეკრება კრუა ნივერის ქუჩაზე შედგა, „განუყოფელ გულთა" ლოჟაში – დარწმუნებული ვარ, გსმენიათ მასზე. მეც უნდა დავსწრებოდი, როგორც ტამპლიერთა ოსტატი ქალი, ერთადერთი კეთილი ღმერთი, ლუციფერი უნდა მედიდებინა და უარი მეთქვა ბოროტ ადონაიზე – კათოლიკეთა მამაღმერთზე. გულანთებული მივუახლოვდი ბაფომეტის საკურთხეველს, სადაც სოფია საფო დამხვდა და პალადიზმის დოგმების გამოკითხვა დამიწყო. მოკრძალებით ვუპასუხე, თუ ტამპლიერთა ოსტატი ქალის მოვალეობას მეკითხებით, ესაა იესოს დამდაბლება, ადონაის შერცხვენება და ლუციფერის თაყვანისცემა, სხვა რა უნდა სურდეს დიდ ოსტატს-მეთქი? – ამ სიტყვებზე დიანა ხელში ჩამაფრინდა.

– მართლაც, – ფრთხილად ვუპასუხე.

– გრძნობით ატანილმა, ერთიანად აცახცახებულმა, რიტუალური სიტყვები წარმოვთქვი: მოდი, მოდი, დიდო ლუციფერო, მღვდელთა და მეფეთაგან დამცირებულო! და როცა საკურთხეველზე შევდგი ფე-

ხი, ჯერების წევრებმა ხმლები იშიშვლეს ყვირილით: „Nekam Adonai, Nekam!"[18], სოფია სადღაც ჯი ფეხზე მდგარი თვალწინ: ეს ნივთი მხოლოდ საეკლესიო მაღაზიებში მქონდა ნანახი და გამიკვირდა, აქ რა უნდა-მეთქი რომაული საეკლესიო რიტუალის ამ საშინელ ატრიბუტს, მაგრამ დიდმა ოსტატმა მითხრა, რადგან იესომ უღალატა ქეშმარიტ ღმერთს, თაბორზე ხელი მოაწერა ალონაისთან ბინძურ კავშირს და სამყარო თავდაყირა დააყენა, როცა პური საკუთარ ხორცად აქცია, ჩვენი ვალია, ხანჯლით გავგმიროთ უწმინდური სეფისკვერი, რომლითაც მღვდლები ყოველდღიურად იხსენებენ იესოს ღალატს. მითხარით, ბატონო, დიდი ოსტატის ნებაა, რომ ეს მოქმედება სავალდებულო იყოს ლოჟაში განდევნისათვის?

– ამაზე ვერაფერს ვიტყვი, ეს ჩემი საქმე არაა. ალბათ, აჯობებს, მომიყვეთ, თქვენ როგორ მოიქეცით.

– ცხადია, უარი ვთქვი. სეფისკვერის ხანჯლით განგმირვა ნიშნავს, ალბათ, რომ სეფისკვერი მართლა ქრისტეს სხეულია. პალადიზმი კი სწორედ ამ ტყუილს უარყოფს. სეფისკვერის განგმირვა კათოლიკური რიტუალია, მორწმუნე კათოლიკეთათვის გამოგონილი!

– მგონი, მართალი ხართ, – ვუთხარი. – თქვენს მოსაზრებას აუცილებლად გადავცემ დიდ ოსტატს.

– გმადლობ, ძმაო, – მითხრა დიანამ და ხელები დამიკოცნა. – მერე თითქოს დაუდევრად შეიხსნა საკინძის ზედა ღილები, ქათქათა მხარი მოიშიშვლა და გამომწვევად შემომხედა. მაგრამ უეცრად საშინლად დაიკრუნჩხა და სავარძელზე გადავარდა. დიუ მორიემ ექთანს დაუძახა. გოგონა საწოლში გადააწვინეს. ექიმი მომიბრუნდა:

– როგორც წესი, შეტევის შემდეგ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადადის. ჯერ გონება არ დაუკარგავს, მხოლოდ ყბა და ენა დაეკრუნჩხა. საკვერცხეებზე მცირე დაწოლა კმარა, რომ...

ცოტა ხანში დიანას ქვედა ყბა ჩამოუვარდა და მარცხნივ წაუვიდა. მოლრეცილ, დაბჩენილ პირში მოკაკული ენა მოუჩანდა, ენის

[18] „შურისძიება, უფალო, შურისძიება!" (ებრ.) – ფრაზა, რომელსაც წარმოთქვამს ადამიანი, რომელსაც მასონები რაინდად ასახელებენ.

წვეხი უჯან ჩაბხუნებოდა, თითქოს მის გადაყლაპვას ცდილობსო. მეხე ენა გაუსწოხდა, თითქოს დაუგხძელდა და უეცხად პიხიდან გადმოუვახდა: საშინელი სისწხაფით ყოფდა და მალავდა ენას, გვე-ლივით. ნელ-ნელა ყბაც გაუსწოხდა, ენაც და ავადმყოფმა ხამდენიმე სიტყვა წახმოთქვა:

– ენა... სასას მიჯაწხავს... ყუხში ობობა მყავს...

ცოტა ხელი მოითქვა და ისევ მოეღხიცა ყბა, ისევ სცადეს, საჯვეხცხეებზე დაწოლით გამოეყვანათ ჯხუწჩხვიდან, მაგხამ მალე სუნთქვა გაუჭიხდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს ისხოდა, მზეხა გაე-ყინა, თვალის გუგები ზევით აატხიალა და სხეული გაუხევდა. დაჯ-ხუწჩხულ ხელებს იქნევდა და ზუხგზე იტყამდა. ფეხებიც დაუჭიმა...

– ცხენივით ამოზნექილი ტუჩები, – შენიშნა დიუ მოხიემ. – ეპილეფსიუხი მდგომახეობაა. ჩვეულებხივი ამბავია. ამას ჯლოუნის ფაზა მოჰყვება...

ქალს სახე დაებხიცა, პიხს სწხაფად აღებდა და ხუხავდა, პიხი-დან სქელი თეთხი დუჟი ამოსდიოდა და ტუჩებზე ბუშტები ებეხებო-და. ჯიოდა, გმინავდა, სახე ეხთიანად დაჯხუწჩხვოდა სპაზმებისგან, ქუთუთოებს ხიგხიგობით ახამხამებდა, მახთლა ციხჯის ჯამბაზი-ვით, სხეული თალისებუხად ეზნიქებოდა და იატაჯს მხოლოდ ჯეფი-თა და ქუსლებით ებჯინებოდა.

ხამდენიმე წამი შევყუხებდი ამ შემზახავ სანახაობას, თო-ჯინას ჰგავდა, სამახთავი მოწყობილობა ხომ მოეშლება. სხეულს თითქოს წონა დაეჯახგა. ბოლოს ქალი საწოლზე დაეცა და უეცხად დამშვიდდა. ამ ფაზას დიუ მოხიე „ვნებითს" უწოდებდა: თავიდან თითქოს იმუქხებოდა და ვილაცის მოცილებას ცდილობდა, მეხე უც-ნაუხი პხანჭვა დაიწყო, ეშმაჯუხად აპაჭუნებდა თვალს. წამში დაემ-სგავსა მეძავს, ჯლიენტის შეტყუებას ხომ ცდილობს ენის გულისამ-ხევი მოძხაობით. თითქოს ხალაცას იხვენებოდა, მზეხა დაებინდა, ხელებს ინვდიდა, ტუჩებს თითქოს საჯოცნელად ბუხავდა. ბოლოს ისე აატხიალა თვალები, ხომ მხოლოდ თეთხი ბიოლი უჩანდა და გაბზა-ხული ხმით, ვნებიან ვედხებად დაიღვახა: – ჩემო მბხძანებელო,



*...ცირკის ჯამბაზივით, სხეული თაღისებურად ეზნიქებოდა და იატაკს მხოლოდ კეფითა და ქუსლებით ებჯინებოდა...*

სათაყვანო გველო, წმინდა ასპიტო... მიმიღე, შენი კლეოპატრა... მკერდზე დამადე თავი... დაენაფე ჩემს ძუძუებს, საყვარელო, შემოდი ჩემში...

– დიანა წმინდა გველს ხედავს, რომელიც მის სხეულში შედის, ზოგიერთები წმინდა გულს წარმოიდგენენ, რომელიც მათ გულებს უერთდება. ფალოსს დაინახავს, დომინანტური მამრის სახებას თუ იმას, ვინც ბავშვობაში გააუპატიურა, – მიხსნიდა დიუ მორიე, – ისტერიულ ფაზაში მყოფისთვის სულერთია. ბერნინის წმინდა ტერეზა გინახავთ, ალბათ: ამ უბედური არსებისაგან ვერ გაარჩევთ. გიჟნეული ქალი იგივე ისტერიკაში მყოფი ქალია. საქმე ისაა, ვინ უფრო არჩე ნახავს მას: ექიმი თუ მოძღვარი.

ამასობაში დიანა ახალ ფაზაში გადავიდა: ჯვარცმულის პოზა მიიღო და ვილაცას ემუქრებოდა, თან რაღაც საზიზღრობებს ჰყვებოდა და საშინელი სისწრაფით ტრიალებდა საწოლზე.

– ვაცადოთ, დაისვენოს, – თქვა ექიმმა დიუ მორიემ. – რომ გამოფხიზლდება, შემდეგ ფაზაში იქნება და თავად შეძრწუნდება იმ საშინელებათა გამო, რასაც ახლა ამბობს. ყველაფერი დეტალურად ემახსოვრება. გააფრთხილეთ თქვენი სათნო ქალბატონები, არ შეუშინდეთ ამ შეტევების: საკმარისია, გააკავონ და პირში რამე ჩაუტენონ, რომ ენა არ მოიკვნიტოს. სპეციალური სითხეს გაგატანთ მის დასამშვიდებლად და შეგიძლიათ, რამდენიმე წვეთი მისცეთ ხოლმე.

მერე დაამატა: – დიანას იზოლირება სჭირდება. აქ ვერარ გავაჩერებ, ეს სამკურნალო სახლია და არა ციხე, ხალხი მიდი-მოდის. სასურველია, თერაპიული თვალსაზრისით აუცილებელიც კია, ჩვენი პაციენტები ერთმანეთს ესაუბრონ, ჰქონდეთ განცდა, რომ ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ. აქ შეშლილები კი არ გვყავს, ნერვული აშლილობის მქონე პაციენტებს ვმკურნალობთ და დიანას შეტევები მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. ის, რასაც დიანა თავის ეგრეთ წოდებულ „ბოროტ" მდგომარეობაში ჰყვება, მართალია თუ ტყუილი, ყველას აშფოთებს. იმედი მაქვს, თქვენს ქალბატონებს ექნებათ საშუალება, ინდივიდუალურად მოუარონ მას.

შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ექიმი დიანას მოშორებას ცდილობდა, მისი სატუსაღოში გამომწყვდევა სურდა, რომ ურთიერთობა არ ჰქონოდა ადამიანებთან. უფრო მეტიც, აშკარად ეშინოდა, ვინმეს მართლა არ დაეჯერებინა მისი მონაყოლი და თადარიგს იჭერდა: მნახველს თავიდანვე აფრთხილებდა, რომ დიანას სიტყვები შეშლილის ბოდვა იყო და მეტი არაფერი.

***

რამდენიმე დღის ნაქირავები მქონდა ოტეიში ბინა. არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ საკმაოდ მყუდრო იყო. ტიპური ბურჟუაზიული სახლის მისაღები ოთახი, წითელი ხის ძველი, უტიერხტის ხავერდგადაკრული დივანი, ალისფერი ფარჩის ფარდები, სვეტებიანი კედლის საათი ბუხრის თავზე. ბუხრის ორივე მხარეს ყვავილებიანი ლარნაკები იდგა, გვერდით კი – თაროიანი სარკე. იატაკი პრიალა ფილებით იყო მოპირკეთებული. მისაღების გვერდით, დიანას საძინებელში, სადაფისფერი ქსოვილი გაეკრათ კედლებზე, იატაკზე კი მსხვილი ვარდებით დამშვენებული მონაცრისფრო ხალიჩა ეფინა. ფარდა და საწოლის გადასაფარებელი ერთი ქსოვილისგან იყო შეკერილი, რომელსაც განიერი იისფერი ზოლები გასდევდა და ოდნავ არღვევდა ოთახის ერთფეროვნებას. საწოლის თავზე ქრომირებული ლითოგრაფია ეკიდა შეყვარებული მწყემსების გამოსახულებით, თაროზე კი ხელოვნური ქვებით მოჭედილი საათი იდგა, რომლის კიდეებზე შემოსკუპებულ ორ პუტკუნა ანგელოზს შანდლის ფორმის შიროშანების გვირგვინი ეჭირა.

ზედა სართულზე კიდევ ორი საძინებელი იყო. ერთში ნახევრად ყრუ დედაბერი იცხოვრებდა, რომელიც დიანას მომვლელად დავიქირავე. დალევა უყვარდა და ორი ღირსება ჰქონდა: ერთი ის, რომ აქაური არ იყო და მეორე, ყველაფერზე წავიდოდა ორი გროშის საშოვნელად. არც მახსოვს, ვინ გამომიგზავნა ის ქალი, მაგრამ ზედგამოჭრილი იყო დიანას მოსავლელად, როცა შეტევა დაემართებოდა.

ახლა, წერისას, ვაცნობიერებ, რომ დღებების ერთი თვეა, არ შევხმიანებივარ. ნეტავ სამახისი ფული თუ დავუტოვე საასებოდ? ან რამდენი? ოტეიში უნდა გავიქცე, მაგრამ ვხვდები, რომ მისამართი არ მახსოვს. რა ნომერია? ყველა ჯარზე ვაჯაჯუნო, პიროვნების გარიებით შეპყრობილი, სულით ავადმყოფი, პაღადიზმის მიმდევარი ქალი აქ ხომ არ ცხოვრობს-მეთქი?

***

აპრილში ტაქსილმა საჯარო გამოაცხადა თავისი ჯათოლიკედ მოქცევის შესახებ. მანამდე, ნოემბერში გამოქვეყნდა მისი წიგნი „სამნერიტილიანი ძმები", რომელიც სავსე იყო საშინელი ამბებით მასონებზე. იმ დღეებში დიანას სანახავადაც წავიყვანე. არაფერი დამიმალავს მისთვის, ქალის გარიებაზეც მოვუყევი და ვუთხარი, დიანა შეშინებული გოგოს მდგომარეობაში კი არა, გაცოფებული, დემონიერი სატანისტის ამპლუაში გვაინტერესებს-მეთქი.

ბოლო თვეებში ყურადღებით ვაკვირდებოდი გოგოს, ვაკონტროლებდი მისი მდგომარეობის ცვლილებას და საჭირო დროს ექიმ დიუ მორიეს წვეთებით ვამშვიდებდი. მაგრამ საშინლად გამაღიზიანებელი იყო მისი შეტევების ლოდინი, შეუძლებელი იყო წინასწარ გამოთვლა, როდის რომელ ფაზაში გადავიდოდა. ამიტომ როგორმე უნდა მეპოვა ხერხი, მისთვის მდგომარეობის შეცვლა მეიძულებინა. ვფიქრობ, სწორედ ასე იქცევა ექიმი შარჯო თავის შეშლილებთან.

შარჯოს სასწაულებრივი ნიჭით დაჯილდოებული არ ვიყავი, ამიტომ ბიბლიოთეკას მივაშურე, რომ ტრადიციულ ტრაქტატებს გავცნობოდი ამ თემაზე, მაგალითად, აბატი ფარიას (ნამდვილის) ნაშრომს „ფხიზელი ძილის შესახებ". ამ და კიდევ რამდენიმე ნაშრომით შთაგონებულმა ერთი ხერხი შევიმუშავე: მუხლებს გოგოს მუხლებზე მივაბჯენდი, ცერა თითებს ხელებით ვუჭერდი და დაახლოებით ხუთი წუთის მანძილზე თვალებში ვუყურებდი. მერე ხელებს მხრებზე დავაწყობდი და მკლავებზე ჩამოვუსვამდი, ბოლომდე, თითების წვერებამდე. ხუთჯერ ან ექვსჯერ ვიმეორებდი ამ მოქმედებას.

შემდეგ თავზე დავაწყობდი ხელებს და ნელ-ნელა ჩამოვაყოლებდი ქვევით, ოღონდ სახეზე არ ვეხებოდი: ხუთი-ექვსი სანტიმეტრის მანძილს ვიცავდი სხეულიდან. მუცლამდე ჩავყვებოდი და ნეკნებზე მივაბჯენდი თითებს. ბოლოს კი მთელ სხეულზე ჩავაყოლებდი ხელებს, ფეხის ფრჩხილებამდე.

„კეთილი”, კდემამოსილი დიანას სხეულზე ასეთი შეხება წარმოუდგენელი იყო, თავიდან ისე კიოდა, თითქოს (ღმერთო, მაპატიე) გაუპატიურებას ვუპირებდი, მაგრამ ეს ხერხი აშკარად ეფექტიანი იყო: ქალი მალე მშვიდდებოდა, გაყუჩდებოდა, რამდენიმე წუთით თითქოს ჩაეძინებოდა კიდეც და მეორე მდგომარეობაში ფხიზლდებოდა. მის „კეთილ” ფაზაში დაბრუნება ბევრად უფრო ადვილი იყო, რადგან ”ბოროტ” დიანას აშკარად სიამოვნებდა ჩემი შეხება, ცდილობდა, დიდხანს გაეჩერებინა სხეულზე ჩემი ხელები, თავადაც მომყვებოდა მაცდური მოძრაობებით და მოგუდული კვნესით; კიდევ კარგი, დიდხანს ვერ უძლებდა ჰიპნოზის ეფექტს და ეთვლიმებოდა, თორემ არც კი ვიცი, რა უნდა მექნა, როგორი დამეცხრო მისი ავხორცული ჟინი.

***

თუკი ამის რამე გამეგება, მგონია, რომ დიანა ნებისმიერი მამაკაცისთვის მიმზიდველი არსება იქნებოდა. მე ხომ ანაფორამ და საკუთარმა მონდომებამ სამუდამოდ მიხსნა სექსუალური ცხოვრების სიბინძურისა და სიმდაბლისაგან. აი, ტაქსილი კი მადას აშკარად არ უჩიოდა.

ექიმმა დიუ მორიემ, როცა პაციენტი გადმომილოცა, დიანას მშვენიერი კაბებით სავსე სკივრიც გამოატანა. ეს სკივრი ქალს საავადმყოფოში მიყვანისას თან ჰქონია, რაც ადასტურებდა, რომ შეძლებული ოჯახიდან უნდა ყოფილიყო. როცა ვუთხარი, რომ ტაქსილი ესტუმრებოდა, საგანგებოდ მოიკაზმა. ორივე მდგომარეობაში გათიშული მეჩვენებოდა ხოლმე, მაგრამ პატარა, ქალური დეტალებში საოცრად ფხიზელი და ყურადღებიანი აღმოჩნდა.



*...ლოცვისას ვენტრას სხეული ჰაერში იწეოდა თურმე და ამის შემხედვარე მისი მიმდევრები სრულ ექსტაზში ვარდებოდნენ...*

ტაქსიდი მაშინვე მოიხიბლა ღიანათი („მშვენიერი ქალია", – ჩამჩურჩულა ტუჩების ნჯლაპუნით). აშკარად ვატყობდი, როცა ჩემს მოძრაობებს იმეორებდა ღიანას პიპნოზური მდგომარეობაში გადასაყვანად, მაშინაც განაგრძობდა ქალის სხეულზე შეხებას, როცა ღიანას უკვე ეძინა. ხანდახან იძულებული ვიყავი, ჩავრეულიყავი და მეთქვა: „მგონი, საკმარისია".

„ავხორც" ღიანასთან მარტო რომ დამეტოვებინა, ტაქსიდი უკან არაფერზე დაიხევდა და არც ღიანა ეტყოდა უარს რამეზე. ამიტომ ყოველთვის სამნი ვიყავით, როცა გოგონას ვულაპარაკებოდით, ხანდახან ოთხნიც: ლუციფერის მოთაყვანე, სატანისტი ღიანას ფანტაზიის უკეთ გასაცოცხლებლად (და მისი ეშმაკეული ბუნების ნასაქეზებლად) აბატი ბულანიც ჩავრთე საქმეში.

***

ბულანი. პარიზის არქიეპისკოპოსის მიერ შეჩვენების შემდეგ აბატმა ლიონს მიაშურა და „კარმელის" საძმოს შეუერთდა. საძმო ვენტრას დაფუძნებული იყო, ნათელმხილველის, რომელსაც განიერ თეთრ ანაფორაზე ამოყირავებული წითელი ჯვარი ჰქონდა გამოსახული, დიადემაზე კი – ფალოსის ინდური სიმბოლო. ლოცვისას ვენტრას სხეული ჰაერში იწეოდა თურმე და ამის შემხედვარე მისი მიმდევრები სრულ ექსტაზშივარდებოდნენ. იმასაც ამბობდნენ, რომ ვენტრა წირავს, სეფისკვერებს სისხლი სდისო. თუმცა მის ჰომოსექსუალობაზეც ჭორაობდნენ, ხმები დადიოდა, ქალებს „სიყვარულის მოძღვრებად" აკურთხებს და პირველცოდვისაგან განწმენდას ალვირახსნილობით ჰპირდება ცოდვილებსო. მოკლედ, ვენტრაზე ისეთ რამეებს ჰყვებოდნენ, რაც ბულანსაც აშკარად მოსწონდა. ამიტომაც ვენტრას სიკვდილის შემდეგ ბულანი მასწავლებლის საქმის გამგრძელებლად გამოაცხადეს.

პარიზში თვეში ერთხელ მაინც ჩამოდიოდა. დემონოლოგიური თვალსაზრისით ღიანა დაკვირვების ღირსად არ ჩათვალა (განაცხადა, სხვა ხერხებით უნდა გამოიდევნოს მისგან ეშმაკიო. ეგზორ-

ციზმის მისეული ხეიხები კი ყველამ კაჩგად იცოდა). ხანდაზმული, მაგჩამ ჯეჩ კიდევ ბჩგე მამაკაცი იყო. აჩ შემიძლია, მის მზეჩას მომნეუსხველი აჩ ვუწოდო.

ბულანი უსმენდა დიანას მონაყოლს – ჩასაც ტაქსილი გულმოდგინედ ინეჩდა – მაგჩამ თითქოს სულ სხვა მიზანი ამოძჩავებდა: დჩოდადჩო ყუჩში ეჩჩიჩჩულებოდა გოგოს, თითქოს აქეზებდა თუ ჩალაცას უჩჩევდა, მაგჩამ ჩვენ აჩაფეჩი გვესმოდა. ბულანის დასწრება მაინც სასაჩგებლო იყო ჩვენთვის, ჩადგან მასონთა იმ საიდუმლო ჩიტუალებს შოჩის, ჩომლებიც საჯაჩოდ უნდა გვემხილა, წმინდა სეფისკვეჩების განგმიჩვა და შავი ლიტუჩგიის ათასი სხვა ხიჩკიც იყო, ბულანი კი ამ ყველაფეჩის უბადლო მცოდნე იყო. ტაქსილი დაწვჩილებით ინეჩდა დემონეჩი ჩიტუალების აღწეჩას და ეს ყველაფეჩი სიჩუიად ახლებუჩად, ხატოვნად და შთამბეჭდავად წაჩმოჩნდებოდა მის წიგნებში.

***

ტაქსილმა ხელიხელ გამოსცა ჩამდენიმე წიგნი და მალე ამონეჩა ცნობები მასონებზე. ცინცხალ იდეებს მხოლოდ ჰიპნოზუჩ მდგომაჩეობაში მყოფი „ბოჩოტი" დიანა თუ მიაწვდიდა: ქალი თვალებგადმოკაჩკლული ჰყვებოდა ამბებს, ჩომლებიც ვითომდა პიჩადად გადაეტანა, ან ამეჩიკაში სმენოდა ან, უბჩალოდ, წაჩმოედგინა. ვაღიაჩებ, ჩომ დიანას მონათხჩობი მეც კი, გამოცდილ კაცს (ასე მგონია), სულს მიხუთავდა. მაგალითისთვის ეჩთ სცენას მოგიყვებით: დიანა აღწეჩდა, ჩოგოჩ უნდა შეეყვანათ სექტაში მისი მტეჩი ქალი, სოფია უალდეჩი, იგივე სოფია საფო თუ ჩაღაც ამდაგვაჩი. აჩც კი ვიცი, თავად ხვდებოდა თუ აჩა, ჩაოდენ ყაჩდა ინცესტის სუნით მთელი ის სცენა, მაგჩამ ფაქტია, ჩომ დიანა ზიზღით კი აჩა, აგზნებული აღწეჩდა მას, აღფჩთოვანებული იმით, ჩომ ამ სანახაობას პიჩადად შესწჩებოდა.

– მამამისმა, – ნელა ჰყვებოდა დიანა, – დააძინა და გავაჩვაჩებული ჩკინა გადაუსვა ბაგეებზე... უნდა დაჩწმუნებულიყო, ჩომ

სხეული ბოლომდე იყო გათიშული და ვერაფერს იგრძნობდა. ქალს გველის ფორმის ყელსაბამი შემოგრაგნოდა კისერზე... მამამ ყელსაბამი შემოხსნა, სკივრიდან ცოცხალი გველი ამოიყვანა და მუცელზე დაასვა ქალს... ულამაზესია დაკლაკნილი გველი, თითქოს ცეკვით მისრიალებს სოფიას ყელისკენ, კისერზე შემოეხვევა და ყელსაბამის ადგილს იკავებს... მერე სახეზე აცოცდება, ენას ყოფს, ცახცახებს, ორკაპი ენით ბაგეებს უხსნის ქალს, სისინით კოცნის... საოცარია... სირალა... მშვენიერი... სოფიას ეღვიძება, პირზე დუჟი ადგას, წამოდგება, გაქვავებულია ქანდაკებასავით, მამა კორსეტს უხსნის, ძუძუებს უშიშვლებს! ჯოხით რაღაც შეკითხვას წერს მის მუცელზე, ქალს წითლად აჩნდება ასოები თეთრ კანზე. მიძინებული გველი თითქოს იღვიძებს, სისინებს, კუდს ასარსალებს და წვერით პასუხს წერს სოფიას შიშველ ხორცზე.

– საიდან იცი ეს ამბები, დიანა? – შევეკითხე.

– ამერიკიდან... მამაჩემმა ჯერ კიდევ ამერიკაში მომაქცია პალადიზმზე. მერე პარიზში ჩამოვედი, ალბათ, ჩემი მოშორება უნდოდათ... პარიზში სოფია საფოს შევხვდი. თავიდანვე მემტერებოდა და ბოლოს, როცა აღარ დავემორჩილე, ექიმ დიუ მორიეს მიმაბარა, როგორც შეშლილი.

***

ექიმ დიუ მორიესთან მივდივარ, რომ დიანას წარმოშობა გავარკვიოთ:

– უნდა გამიგოთ, ექიმო, ჩემი საძმო ვერ დაეხმარება ამ გოგონას, თუ არ გაარკვია, საიდანაა ან ვინ იყვნენ მისი მშობლები.

ექიმი უგრძნობლად მიყურებს:

– რაც ვიცოდი, უკვე გითხარით. ვიღაც ნათესავმა ქალმა მომიყვანა. ის ქალი ცოცხალი აღარაა. მისი მისამართი? უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ აღარ მაქვს. ერთი წლის წინ ჩემს სამუშაო ოთახში ხანძარი გაჩნდა და უამრავი დოკუმენტი დაიწვა. მართლა არაფერი ვიცი დიანას წარსულზე.

– მართლა ამერიკიდანაა?

– შეიძლება, თუმცა ფრანგულად უაქცენტოდ ლაპარაკობს. გადაეცით თქვენი პატივცემული სამოს წევრებს, რომ შეუძლებელია, გოგონა ამ მღვომარეობიდან გამოვიდეს და ნორმალური ცხოვრებას დაუბრუნდეს. მთავარია, თბილად მოექცნენ, აცალონ, მშვიდად გალიოს სიცოცხლე. დარწმუნებული ბრძანდებით, ისტერიის ასეთი მძიმე ფორმით დიდი დღე არ უწერია. არც თუ გვიან საშვილოსნოს ძლიერი ანთება დაემართება და მაშინ მედიცინა უძლური აღმოჩნდება.

დარწმუნებული ვარ, ტყუის, ალბათ, თვითონაც პალადიზმის მიმდევარია (რომელი „დიდი აღმოსავლეთი"!) და გადაწყვიტა, ცოცხლად დამარხოს საკუთარი მტერი. მაგრამ ეს ჩემი წარმოსახვაა. დიუ მორიესთან ლაპარაკი დროის კარგვაა.

ვცდილობ, ისევ დიანასგან გავარკვიო რამე, ორივე მდგომარეობაში ვუსვამ შეკითხვებს, მაგრამ არაფერი ახსოვს. კისერზე ოქროს ძეწკვით მედალიონი ჰკიდია ქალის სურათით, რომელიც ძალიან ჰგავს. შევნიშნე, რომ მედალიონი იხსნება და ვეხვეწე, ეჩვენებინა, რას ინახავს შიგნით, მაგრამ სასტიკ უარზეა. შეშფოთებული, შეშინებული, ველური სიჯიუტით იმეორებს: დედამ მომცა.

***

უკვე ოთხი წელი იქნება გასული, რაც ტაქსილმა ანტიმასონური კამპანია გააჩაღა. კათოლიკური სამყაროს რეაქციამ ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა: 1887 წელს ტაქსილი კარდინალმა რამპოლამ პაპ ლეონ XIII-სთან იხმო. ეს ტაქსილის ბრძოლის ოფიციალური აღიარება და დიდი საგამომცემლო (და ფინანსური) წარმატების დასაწყისი იყო.

სწორედ იმ პერიოდში მივიღე მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი უსტარი: „ღირსო მამაო, მგონი, ეს საქმე ჩვენს მიზნებს გასცდა. რამეს ხომ არ ილონებდით? ებიუტერნი".

უკან დახევა შეუძლებელია. არა იმდენად საავტორო უფლებით მიღებული შემოსავლის გამო, რომელიც თავბრუდამხვევი სისწრაფით იზრდება, არამედ უფრო იმ ზეწოლისა და კავშირების გამო,

რომლებიც კათოლიკე სამყაროსთან ჩამოყალიბდა. ტაქსილი ანტი-სატანიზმის ნამდვილ გმირად იქცა და ამ სახელზე უარს არაფრის დიდებით ალარ იტყვის.

ამასობაში პადრე ბერგამასკის მოკლე წერილიც მივიღე: „მგო-ნი, ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ ებრაელებს რა ვუყოთ?"

მართლაც, პადრე ბერგამასკის დავალება იყო, მხოლოდ ანტი-მასონური კი არა, ანტიებრაული ინფორმაციაც დამეტყუა ტაქსილის-თვის. მაგრამ ამაზე არც დიანა და არც ტაქსილი კრინტს არ ძრავ-დნენ. დიანასი არ მიკვირდა: ალბათ, მის სამშობლოში, ამერიკაში, ამდენი ებრაელი არ ჰყავდათ და მისთვის უცნობი იყო ეს პრობლე-მა. მაგრამ მასონთა რიგები ებრაელებით იყო სავსე და ეს არაერ-თხელ ვუთხარი ტაქსილს.

– აბა რა ვიცი, – მეუბნებოდა. – არასოდეს გადავყრივარ ებრაელ მასონს. ან, შეიძლება, შევხვედრივარ, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ებ-რაელი იყო. ლოჟაში რაბინი ნამდვილად არ მინახავს.

– რაბინის სამოსით ვინ გამოცხადდება ლოჟაში! ერთი საქმეში ჩახედული იეზუიტი მღვდლისგან ვიცი, რომ მონსინიორ მორენი – მოგეხსენებათ, ვილაც რიგითი მღვდელი კი არა, არქიეპისკოპოსია – თავის მომავალ წიგნში დაწერს, ყველა მასონი რიტუალს კაბა-ლიზმში აქვს ფესვები გადგმული, იუდეველთა კაბალას მიჰყავს მასონები სატანის თაყვანისცემამდე...

– ჰოდა, მაშ მონსინიორმა მორენმა ილაპარაკოს ამაზე, ჩვენ სათქმელი ისედაც ბევრი გვაქვს.

ტაქსილის ეს თავშეკავება დიდხანს მაეჭვებდა (ებრაელი ხომ არაა-მეთქი, ვფიქრობდი), სანამ არ გამოვჩხრიკე ცნობები, რომ თა-ვისი ჟურნალისტური და სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე უამრავი სასამართლო პროცესი ჰქონია და ვეებერთელა ჯარიმების გადახდაც დაუკისრებიათ ცილისწამებისა და უხამსობისთვის. ამის გამო დი-დი ვალები აულია ებრაელი მევახშეებისგან და ეს ვალები ჯერაც არ გაესტუმრებინა (ან რას გაისტუმრებდა, როცა არხეინად ფლანგავდა ახალი, ანტიმასონური საქმიანობით ნაშოვნ ფულს). მოკლედ, ტაქ-

სილს ეშინოდა ებრაელების, რომლებიც ახლა არ აწუხებდნენ, მაგრამ თუ შეტევაზე გადავიდოდა, ციხეში ამოალპობდნენ ვალების გამო.

მხოლოდ ფულის ამბავი იყო? ტაქსილი თაღლითი იყო, მაგრამ რაღაც გრძნობები მაინც ჰქონდა, მაგალითად, უყვარდა თავისი ოჯახი. ასევე, რაღაცნაირად ეცოდებოდა ებრაელებიც, რომლებმაც საუკუნეთა მანძილზე საშინელი დევნა და შევიწროება გადაიტანეს. ამბობდა, მართალია, პაპებმა დაიცვეს გეტოს ებრაელები, მაგრამ მათ მაინც მეორეხარისხოვან მოქალაქეებად თვლიდნენო.

იმ წლებში საშინლად აუვარდა თავში: ლეგიტიმისტური და ანტიმასონური კათოლიციზმის ჰეროლდად წარმოედგინა საკუთარი თავი და პოლიტიკაში ბედის მოსინჯვაც გადაწყვიტა. ბოლომდე ვერ ვადევნებდი თვალყურს მის მაქინაციებს, მაგრამ პარიზის რომელიღაც შემოგარენში იყარა კენჭი და ისეთ სახელოვან ჟურნალისტს დაუპირისპირდა, როგორიც გახლდათ ანტიებრაულ და ანტიმასონურ კამპანიაში ჩართული დრიუმონი, რომელსაც ეკლესია დიდ პატივს სცემდა და რომელმაც გამოთქვა ეჭვი, რომ ტაქსილი აფერისტი იყო. თუმცა 'ეჭვი~, ალბათ, მეტისმეტად უწყინარი სიტყვაა.

ტაქსილმა 1889 წელს დრიუმონის წინააღმდეგ წიგნი გამოაქვეყნა და რადგან არ იცოდა, საიდან შეუტია მისთვის (ორივენი ხომ ანტიმასონები იყვნენ), მისი იუდოფობია მენტალური დაავადების ერთგვარ ფორმად მიიჩნია. რუსულ პოგრომებსაც გადასწვდა და ისინიც გაკიცხა.

დრიუმონი პოლემიკის დიდოსტატი იყო. ტაქსილს ემალ გამოუცხო პასუხად ბროშურა, რომელშიც დასცინოდა ეკლესიის მაღალ წრეებში მიღებულ ამ ვაჟბატონს, რომელსაც ეპისკოპოსები და კარდინალები დიდი პატივით ეგებებოდნენ და რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ საშინელებებს წერდა პაპსა და მღვდელ-მონაზვნებზე. იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რა სიბინძურეს თითხნიდა იესოსა და ქალწულ მარიამზეო, წერდა დრიუმონი. თუმცა ამაზე უარესიც ბევრი უკეთებიათ.

ბევრჯერ ვყოფილვარ ტაქსილის სახლში, რომლის პირველ სართულზე ადრე ანტიკლერიკალური წიგნების მაღაზია ყოფილა. არაერთხელ

შევსწრებივარ, როგორ შემოვიდოდა ხოლმე ტაქსილის ცოლი ოთახში და ქმარს რაღაცას უჩურჩულებდა. მოგვიანებით მივხვდი, რომ ბევრი ანტიკვარიატი ჯერ კიდევ აკითხავდა იმ მისამართს და ახლა უკვე ღვთისმოსავი, კათოლიკე ტაქსილის ძველ, ანტიკათოლიკურ ნაშრომებს ეძებდა. ტაქსილს წიგნების დიდი მარაგი შემორჩენოდა სარდაფში და გასანადგურებლად ვერ იმეტებდა, ამიტომ თავად არ ჩნდებოდა, მაგრამ ფრთხილად, ცოლის ხელით იღებდა დამატებით შემოსავალს. მისი მოქცევის არასოდეს დამიჯერებია. ერთადერთი ფილოსოფიური პრინციპის სწამდა ტაქსილს: იმის, რომ ფული არ ყარს.

დიუმონმა კარგად იცოდა ეს, ამიტომ მარსელელს ებრაელებთან კავშირშიც ადანაშაულებდა და ეკლესიის მტრობაშიც. ეს კი მკითხველის გონებაში ექვის ჩასანწვეთებლად კმაროდა.

კონტრშეტევა იყო საჭირო.

– ტაქსილ, – ვუთხარი, – არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, პირადად რატომ არ უტევთ ებრაელებს, მაგრამ ხომ შეგიძლიათ, ვილაც გამოიყენოთ ამისთვის?

_ მთავარია, პირადად არ გამოვჩნდე, – მიპასუხა და დაამატა: – თანაც, აღარც ჩემი გამონაგონი კმარა და აღარც დიანას ნაბოდვარი. თავად შევქმენით მომთხოვნი მკითხველი, რომელიც, ვფიქრობ, ჩემს წიგნებს ეკლესიის მტრების ზრახვების გასაგებად კი აღარ კითხულობს, არამედ სუფთა ლიტერატურული ინტერესით. ეს დამაინტრიგებელი რომანების თავისებურებაა: კითხვის პროცესში მკითხველი უნებურად დამნაშავის მხარეზე გადადის და მას გულშემატკივრობს.

***

ასე დაიბადა დოქტორი ბატაი.

ტაქსილი ერთ ძველ მეგობარს შეხვდა (არ ვიცი, შემთხვევით შეხვდა თუ საგანგებოდ გამოძებნა ის), საზღვაო ფლოტის ექიმს, რომელსაც ეგზოტიკური ქვეყნები ჰქონდა შემოვლილი და სადაც

მოხვდებოდა, ყველგან სხვადასხვა აღმსარებლობის ტაძრებს ათვალიერებდა. მაგრამ ეს კაცი მაინც სათავგადასავლო რომანების შთამბეჭდავი ცოდნით გამოირჩეოდა, როგორებიც იყო, მაგალითად, ბუსენარის ან ჟაკოლიოს ფანტაზიით აღსავსე რომანები: „სპირიტიზმი მსოფლიოში" ან „მოგზაურობა იდუმალ ქვეყანაში". მხატვრული ლიტერატურის სამყაროში ახალი პერსონაჟების ძებნის იდეას აბსოლუტურად ვემხრობოდი (თქვენი ღიმილიდანაც ვხედავ, რომ ღიმილსა და სიკვდილს გამომგონებლის ერთადერთ სიახლედ მიიჩნევთ), კეთილინებას და სიცარიელეს ანათებდნენ მთელი ცხოვრება): ადამიანი

მხოლოდ გასართობად კითხულობს ხმელეთისა და ზღვების სათავგადასავლო ამბებს, მერე ადვილად ავიწყდება წაკითხული და როცა ერთ მშვენიერ დღეს ვინმე ნამდვილ ამბავს მოუყვება რომანში წაკითხულს, ბუნდოვნად იგონებს, რომ ეს ამბავი ოდესღაც სმენია და მონათხრობს სიმართლედ აღიქვამს.

კაცს, რომელიც ტაქსილმა მოძებნა, ჩარლზ ჰექსი ერქვა, ექიმი იყო. საკუთარი კვეთაზე დაეცვა სადისერტაციო ნაშრომი, მერე რამდენიმე პუბლიკაციაც გამოაქვეყნა სავაჭრო ფლოტზე, მაგრამ ჯერ ბოლომდე არ გამოევლინა თავისი ლიტერატურული ნიჭი. აშკარად მებრძოლი ათეიზმის კლანჭებში იყო მოქცეული და ცხადზე ცხადი იყო, რომ გიჟში არ ებადა. მისი ლაპარაკიდან მივხვდი, რომ ფუნდამენტური ნაშრომს ამზადებდა რელიგიების წინააღმდეგ, ქრისტიანობის, როგორც „ჯვრის ისტერიის", მხილებას აპირებდა, მაგრამ ტაქსილის შეთავაზებული თანხის სანაცვლოდ მზად იყო, ათასობით გვერდი შეეთხზა ეშმაკის თაყვანისმცემლებზე, ეკლესიის დასაცავად და სადიდებლად.

მახსოვს, 1892 წელს დაიწყეს წერა. ოცდაათი თვის მანძილზე მიყოლებით უნდა გამოსულიყო 240 ბროშურა. უზარმაზარი ნაშრომი იყო, სათაურით „ეშმაკი XIX საუკუნეში". ყდაზე ვეებერთელა მოქირქილე ლუციფერი იყო გამოსახული, ღამურას ფრთებითა და დრაკონის კუდით, წიგნის ქვესათაური კი იუწყებოდა: „სპირიტიზმისა და ლუციფერისტი მასონების საიდუმლოებანი, ყველაფერი პალადიზმზე, ოკულტურ მაგნეტიზმზე, ლუციფერის მედიუმებზე, საუკუნის მინე-




*...უზარმაზარი ნაშრომი იყო, სათაურით „ეშმაკი XIX საუკუნეში“. ყდაზე ვეებერთელა მოქირქილე ლუციფერი იყო გამოსახული, ღამურას ფრთებითა და დრაკონის კუდით...*

რულის კაბალაზე, როზენკროიცერთა მაგიაზე, ფარულ სატანისტური მიმდინარეობებზე, ანტიქრისტეს მიმდევრებზე". ყოველივე ამის ავტორად ვინმე დოქტორი ბატარი სახელდებოდა.

გეგმის თანახმად, ნაშრომში ერთი სიტყვაც არ იყო ახალი. ტაქსილს თუ ბატარის ყველაფერი იქამდე არსებული ლიტერატურიდან მოეპარა: საოცარი ნაზავი იყო ბნელეთის კულტების, ეშმაკის გამოცხადებების, ეჰყანტელისმომგვრელი რიტუალების, ტამპლიერთა იდუმალი ლიტურგიების, ბაფომეტისა და ათასი სხვა რამის. ჩამონათვალი უსასრულო იქნებოდა. ილუსტრაციებიც კი სხვა წიგნებიდან იყო გადახატული, ოკულტური მეცნიერებების ტრაქტატებიდან, რომელთა ავტორები, თავის მხრივ, ერთმანეთისგან იწერდნენ და იხატავდნენ ყველაფერს. ამ გამოცემაში ერთადერთი სიახლე მასონთა დიდი ოსტატების გამოსახულებები იყო. მათ თითქმის იგივე დანიშნულება ჰქონდათ, რაც ამერიკის სტეპებში გამოკრულ დამნაშავეთა სურათებს: პლაკატი იუწყება, რომ დამნაშავე, მკვდარი თუ ცოცხალი, ხელისუფლებას უნდა ჩაბარდეს, რათა სამართალი აღსრულდეს.

***

ეღვის სისწრაფით მუშაობდნენ: ჰექს-ბატარი გარკვეული ხნით განმარტოვდებოდა ხოლმე, შემდეგ კი ტაქსილს მიაკითხავდა და თავის გამოგონებებს უზიარებდა. ტაქსილი ცვლიდა, ალამაზებდა ამბებს, ბატარი კი ისეთ დეტალებს ამუშავებდა, ხვეწდა, რომლებიც სამედიცინო მეცნიერებასა და შხამთა ხელოვნებას ეხებოდა; ეგზოტიკური ქალაქებსა და ქვეყნებს აღწერდა, რომლებიც პირადად ენახა. ტაქსილი ყოველდღიურად იწერდა დიანას ბოდვას და თავადაც ამდიდრებდა და ამხატვრულებდა ქალის მონაყოლს.

ბატარი გიბრალტარის კლდის აღწერით იწყებდა: ეს იყო ფოროვანი მთა, რომელსაც სერავდა არხები, გვირაბები, ღრმულები, გამოქვაბულები. იქ ყველაზე უწმინდური, ღვთისმგმობელი სექტების რიტუალები, მასონური სიბინძურეები აღსრულდებოდა. წიგნში ასმოდეუსი და სოფია საფოც ჩნდებოდნენ. ტაქსილი კარგად იცნობდა კოლენ დე

პლანსის „ჯოჯოხეთის ლექსიკონს“ და სოფიას პირით გვამცნობდა, რომ ჯოჯოხეთს ექვსი ათას ექვსას სამოცდაექვსი ლეგიონი ჰყავდა, თითოეული ლეგიონი კი ექვსი ათას ექვსას სამოცდაექვსი დემონისგან შედგებოდა. მართალია, მუდამ შეზარხოშებული გახლდათ, მაგრამ ბატარა დათვლას მაინც არერხებდა და ბოლოს აცხადებდა, მამრ და მდედრ დემონთა რიცხვი ერთად ორმოცდაოთხი მილიონ ოთხას ოცდათხუთმეტი ათას ხუთას ორმოცდათექვსმეტიაო. ჩვენ ვამოწმებდით, გაოგნებულები ვადასტურებდით, რომ მართალი იყო, ის კი მჯიღს დაჰკრავდა მაგიდაზე და დაიძახებდა: „დარწმუნდით, რომ მთვრალი არა ვარ?“ და სმას განაგრძობდა, სანამ გალეშილი მაგიდის ქვეშ არ გაგორდებოდა ხოლმე.

ავტორები გატაცებულები იყვნენ ნეაპოლის მასონთა ქიმიური ლაბორატორიის აღწერით: იქ მზადდებოდა ნაირ-ნაირი სანამლავები ლოვების მტერთა შესამუსრად. ბატარის შედევრი იყო გამოგონება, რომელსაც მანანა შეარქვა, ოლონდ აქ ქიმია არაფერ შუაში იყო. ასპიტებითა და გველგესლებით სავსე ქურქელში გომბეშოს ჩასვამდნენ და საჭმელად მხოლოდ შხამიან სოკოს აძლევდნენ, თან დროდადრო ფუტკარასა და ციკუტას ამატებდნენ. როცა ცხოველები შიმშილით ამოწყდებოდნენ, მათ სხეულებს ბროლის ქაფს და რძიანას მოასხურებდნენ, ყველაფერს ერთად ალამბიკში გადაიტანდნენ და ნელ ცეცხლზე დგამდნენ. ბოლოს კი მკვდარი ცხოველების ფერფლს და უწვავი მინერალების ფხვნილს ერთმანეთისგან გააცალკევებდნენ და ასე ორი სახის, ერთნაირად მომაკვდინებელ შხამს იღებდნენ: ერთი სითხე იყო, მეორე კი – ფხვნილი.

– წარმომიდგენია, რამდენი ეპისკოპოსი აღფრთოვანდება ამის წაკითხვით, – ქირქილებდა ტაქსილი და ბოქვენს იფხანდა, როგორც იცოდა ხოლმე, როცა რაღაცით ძალიან კმაყოფილი იყო. შემთხვევით არ ამბობდა ამას: მართლაც, „ეშმაკის“ თითოეული ტომის გამოსვლის შემდეგ მღვდელმსახურებისგან მადლობის წერილებს იღებდა „გაბედული აღმოჩენებისთვის, რომლებიც ბევრ მორწმუნეს აუხელდა თვალს“.

ძირითადით ძიანას მიმაჩითავდნენ. მხოლოდ მის ფანტაზიას შეეძლო, გამოეგონებინა ჩარლსტონის დიდი ოსტატის „მისტიკური ზარდახშა": ზარდახშა, რომლის მხოლოდ შვიდი ასლი არსებობდა მსოფლიოში. ზარდახშაში მოთავსებული ვერცხლის ნიჟარა ბუკის თავს ნააგავდა, მაგრამ უფრო მომცრო იყო; მარცხნივ ვერცხლის მავთულების შეკვრა ერთი ბოლოთი ნიჟარაზე იყო მიმაგრებული, მეორით კი სპეციალურ ხელსაწყოს უერთდებოდა. თუ ამ ხელსაწყოს ყურში ჩაიდებდი, დანარჩენი ექვსი ზარდახშის მფლობელთა ხმის მოსმენა შეგეძლო. მარჯვნივ სინგურისფერი გომბეშო იჯდა და დაბ-ჩენილი პირიდან ცეცხლის წვრილ ალებს აფრქვევდა იმის დასტურად, რომ შვიდივე ზარდახშა ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. ოქროს შვიდი პატარა ქანდაკება კი პადრიზმის შვიდ მთავარ სათნოებასაც განასახიერებდა და მასონური სამყაროს შვიდ წინამძღოლსაც. როცა დიდი ოსტატი რომელიმე კოლეგასთან გასაუბრებას მოისურვებდა, ბერლინელი იქნებოდა თუ ნეაპოლელი, შესაბამის ქანდაკებას შე-მოდგამდა კვარცხლბეკზე; თუ ის, ვისაც ოსტატი ეხმობდა, იმნამს ზარდახშასთან არ აღმოჩნდებოდა, შუბლზე ცხელი ჰაერის მობერვას იგრძნობდა და საკმარისი იყო, დაეჩურჩულა, ერთ საათში ადგილზე ვიქნებით, რომ დიდი ოსტატის ზარდახშაში სინგურისფერი გომბე-შო გაიმეორებდა მის სიტყვებს: „ერთ საათში ადგილზე ვიქნები".

თავიდან ვჭოჭმანობდით, მეტისმეტად გიროტესკული ხომ არ არის ეს ყველაფერი: უკვე რამდენიმე წელი იყო გასული მას შემ-დეგ, რაც ვინმე მეუჩის დაეპატენტებინა საკუთარი გამოგონება, ტელექტროფონი თუ ტელეფონი, როგორც ახლა ეძახიან. მაგრამ ეს სიახლე ჯერ მხოლოდ მდიდრებისთვის ხელმისაწვდომი ფუფუნება იყო, ჩვენმა მკითხველმა არაფერი იცოდა ამ ხელსაწყოზე და ისე-თი საოცარი გამონაგონი, როგორიც ზარდახშა იყო, უეჭველად ეშ-მაკისეული გონების ნაყოფად მოეჩვენებოდა.

ხანდახან ტაქსილის სახლში ვხვდებოდით ერთმანეთს, ხან – ოტელში. რამდენჯერმე ბატაის სოროშიც კი გავბედეთ მუშაობა, მაგ-რამ იქ დაგუბებული შმორის სუნი (იაფფასიანი სასმლის, გაურეც-

ხავი ტანსაცმლისა და აქოთებული საჭმლის ნარჩენების სიმყრალის ნაზავი) გვაიძულებდა, იქაურობას მოვრიდებოდით.

***

ერთ-ერთი პრობლემა იყო, როგორ დაგვეხასიათებინა გენერალი პაიკი, მსოფლიო მასონთა დიდი ოსტატი, რომელიც ჩარლსტონიდან განაგებდა სამყაროს ბედს. არაფერია იმაზე უფრო ახალი და ცინცხალი, ვიდრე მრავალჯერ დაბეჭდილი და გამოცემული მასალა.

სულ ახალი დაწყებული გვქონდა „ეშმაკის” გამოცემა, რომ პორლუის (ნეტავ სად ჯანდაბაშია?) არქიეპისკოპოსის, მონსინიორ მორენის წიგნი გამოვიდა, რომელსაც ძალიან ელოდნენ, „ფრანკმასონთა ორდენი _ სატანის სინაგოგა”. ექიმ ბატაის კი, რომელიც ცოტა ინგლისურს ამტვრევდა, რომელიღაც მოგზაურობის დროს ხელში ჩავარდნია მასონური ლოჟების დაუძინებელი მტრის, გენერალ ჯონ ფელპსის 1873 წელს ჩიკაგოში გამოცემული წიგნი „საიდუმლო საზოგადოებები”. საკმარისი იყო, ამ ორი წიგნის შინაარსი გადაგვეწერა: ამაზე უკეთ ვერაფრით ავღწერდით მსოფლიო სატანიზმის დიდ უხუცესსა და მოძღვარს, რომელიც, სავარაუდოდ, კუ-კლუქს-კლანის დამფუძნებელი და ლინკოლნის მკვლელობის მონაწილე გახლდათ. გადავწყვიტეთ, ჩარლსტონის უზენაესი კონსილიუმის დიდი ოსტატისთვის გენერლის, უმაღლესი კომანდორის, დიდი სიმბოლური ლოჟის ექსპერტის, იდუმალი ოსტატის, სრულქმნილი ოსტატის, საიდუმლო მდივნის, პრობსტისა და მსაჯულის, „ცხრათა” რჩეული ოსტატის, „თხუთმეტეულის” საგანგებო მოძღვრის, უმაღლესი კავალრის, „თორმეტი ტომის” მეთაურის, დიდი ხუროთმოძღვრის, „წმინდა თაღის” რჩეული შოტლანდიელის, უზენაესი და სრულქმნილი მასონის, ‚აღმოსავლეთისა” და „ხმლის” რაინდის, იერუსალიმის უფლისწულის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის რაინდის, როზენკროიცერთა უმაღლესი მეთაურის, დიდი პატრიარქის, ყველა სიმბოლური ლოჟის მარადიული მეთაურის, ნოაქიტელი პრუსიელი რაინდის, კლიტეთა დიდი ოსტატის, ლიბანისა და ტაბერნაკლის მბრძანებლის, „ბრინჯაოს გველის”

ჯავალის, ტაძრის კომანდორის, მზის რაინდის, ერთგული მთავრის, „შოტლანდიელი წმინდა ანდრიას" დიდი შოტლანდიელის, კადოშის რჩეული ჯავალის, სიულქმნილი განდობილის, დიდი ინკვიზიტორი კომანდორის, „ტახტის საიდუმლოს" დიდებული მთავრის, „ოცდაცამეტის", „წმინდა პალადიუმის" მცველის, დიდი ოსტატის, მძლეთამძლე ხელმწიფისა და მსოფლიო მასონების უზენაესი პონტიფიკუსის ტიტულები და თვისებები მიგვენიჭებინა.

დასტურად მისივე წერილი მოგვყავდა, რომლითაც გვმობდა ზოგიერთ იტალიელ და ესპანელ ძმას, ზედმეტი მოსწრით და „მღვდლების ღმერთისადმი სიძულვილით გულანთებულნი", ამ ღმერთის მტერს – სატანას – განადიდებენო. ეს არსება მღვდლების გამოგონილია და მისი სახელიც არ უნდა ვახსენოთ ლოჟაშიო, ამბობდა წერილი და კიცხავდა გენუის ერთ-ერთ ლოჟას, რომელსაც მსვლელობაზე დროშა გამოეტანა წარწერით „დიდება სატანას!". ნათელი იყო, რომ ეს წერილი კიცხავდა სატანიზმს, როგორც ქრისტიანულ ცრურწმენას, რადგან მასონური რელიგია ლუციფერის მოძღვრების სიწმინდით უნდა შენარჩუნებულიყო. სწორედ მღვდლებმა შექმნეს სატანა და სატანისტები, ჯადოქრები, კუდიანები, მჩხიბავები და შავი მაგია იმით, რომ ეშმაკის სწამდათო, ლუციფერის თაყვანისმცემლები კი ნათელი მაგიის მიმდევრები არიან, როგორც ტამპლიერები – მათი ძველთაძველი ოსტატებიო. შავი მაგია აღონაის – ქრისტიანთა მიერ ნადიდები მუხთალი ღმერთის – მიმდევართა მაგიაა, რომელმაც ფარისევლობა სიწმინდედ აქცია, ტყუილი – ჭეშმარიტებად, აბსურდი – საღვთისმეტყველო მეცნიერებად, რომლის ყოველი დოკუმენტი სისასტიკის, მლიქვნელობის, კაცთმოძულეობის, ბარბაროსობის, ცოდნის სიძულვილისა და უარყოფის აშკარა დასტურია. ლუციფერი კი პირიქით, კეთილი ღმერთია, რომელიც აღონაის უპირისპირდება, როგორც ნათელი – ბნელსო.

ბულანი ცდილობდა, აეხსნა ჩვენთვის სატანის სხვადასხვა კულტს შორის არსებული განსხვავებები. ადამიანებისთვის ხომ ყველა ეს კულტი ერთ რამეს – დემონს – უკავშირდება.

– ზოგიერთის აზრით, ლუციფერი დაცემული ანგელოზია, რომელმაც შეინანა და შეიძლება, მომავალი მესია გახდეს. არის ქალთა სექტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ლუციფერი მდედრობითი სქესის კეთილი არსებაა და ბოროტ, მამრ ღმერთს უპირისპირდება. ზოგიერთები მას ღმერთისაგან შეჩვენებულ სატანად თვლიან, მაგრამ ამავე დროს მიაჩნიათ, რომ ქრისტეს საკმარისი სიკეთე არ გაუკეთებია კაცობრიობისთვის და ამიტომაც ღმერთის მტერს ეთაყვანებიან. ნამდვილი სატანისტები შავი ლიტურგიის მიმდევრები არიან. არსებობენ სატანის თაყვანისმცემლებიც, რომლებსაც მხოლოდ ალქაჯებისა და ჯადოქრების ამბები ხიბლავთ და ისეთებიც არიან, ვისთვისაც სატანიზმი ჭეშმარიტი რელიგიაა. მათ შორის არიან ადამიანები, რომლებიც კულტურული ნადიმების ორგანიზატორებს უფრო ჰგვანან, როგორიცაა, მაგალითად, ჟოზეფინ პელადანი, ან სულაც სტანისლას დე გუაიტა – შხამების დიდოსტატი. არიან პალადიზმის მიმდევრებიც. ეს მცირერიცხოვანი ჯგუფია, რომლის წევრი იყო კარბონარი მაძინიც. ამბობენ, გარიბალდიმ სიცილია სწორედ პალადისტების – ღმერთისა და მონარქიის მტრების – დახმარებით დაიპყრო.

ვკითხე, კი, მაგრამ სატანიზმსა და შავ მაგიაში რანაირად ადანაშაულებ გუაიტას და პელადანს, როცა პარიზში მსმენია, რომ ისინი შენ გაბრალებენ სატანიზმს-მეთქი. ამოიოხრა, ეჰ, ოკულტური მეცნიერებათა სამყაროში მეტისმეტად ბუნდოვანია ზღვარი კეთილსა და ბოროტს შორის და ის, რაც ვიღაცისთვის სიკეთეა, სხვებისთვის ბოროტებააო. კარგად რომ დაფიქრდე, ძველ ზღაპრებშიც კი ფერიასა და კუდიანს შორის განსხვავება მხოლოდ ასაკსა და გარეგნობაშიაო.

– კი, მაგრამ როგორ აჯადოებენ?

– ამბობენ, ჩარლსტონის დიდი ოსტატი ვიღაც ბალტიმორელ გოგრასს, დისიდენტური შოტლანდიური მიმდინარეობის მეთაურს, დაპირისპირებია, მისი მოახლე მოუსყიდია და გოგრასის ცხვირსახოცი ჩაუგდია ხელთ, მერე მარილწყალში ჩაუდვია, ხსნარს ნელ-ნელა ამატებდა მარილს და თან ბუტბუტებდა: „Sagrapim melanchtebo

rostromouk elias phitg". მეჰე მაგნოლიის ტოტებით დანთებულ ცეცხლზე გაუშია ქსოვილი და სამი ჯვიის მანძილზე ყოველდღე იხმობდა მოლოქს, განვდილ ხელებზე გადაფენილი ცხვიისახოცით, თითქოს დემონს ძღვენს მიაჰთმევდა. მესამე შაბათს, საღამოს, სპიჰტის აღზე დაუნვავს ცხვიისახოცი, ფეჰფლი ბიჰნჯაოს ფიალაზე დაუყჰია და მთელი ღამე გაუჩეჰებია, მეოჰე დილით კი ცვილისთვის შეუზელია და თოჯინა გამოუძეჰწავს. ასეთ ეშმაკისეულ ქმნილებებს „დაგიდებს" ეძახიან. ბოლოს თოჯინას ბიოლის მიგვალი ხეფი დაახეჰა, ჰომელსაც დგუში ჰქონდა მიეჰთებული ჰაეჰის გამოსატუმბად. ჰოცა შუშაში ვაკუუმი შეიქმნა, ცხვიისახოცის პატჰონს საშინელი ტკივილები დაეწყო და ვეჰაფჰით გააჰკვია, ჰა სტკიოდა და ჰატომ.

– მოკვდა?

– ეს უმნიშვნელო დეტალია. ალბათ, ეს აჰც იყო მიზანი. აქ მთავაჰია, ჰომ შოჰიდან შეგიძლია მსხვეჰპლზე ზემოქმედება. ასეთ დღეში მაგდებენ გუაიტა და მისი ამფსონები.

ბუღანს მეტი აჰაფეჰი უთქვამს, აღტაცებული დიანა კი მონუსხულივით უსმენდა.

***

ასე ჰომ, საქიჰო დიოს ბატაიმ მშვენიეჰი ამბავი გამოაცხო მასონეჰ სექტებში ებჰაელთა აჰსებობის შესახებ. მეთვჰამეტე საუკუნის ოკულტისტებსაც კი გადასწვდა და განაცხადა, ხუთასი ათასი ებჰაელი მასონი იდუმალად იყო შეკჰული ოფიციალეჰ ლოჟებთან, ოღონდ მათი ლოჟები სახელებით კი აჰა, ციფჰებით აღინიშნებოდაო.

დიოული ნაბიჯი იყო. ჰოგოჰც მახსოვს, სწოჰედ იმ წლებში გამოიყენა პიჰველად ჰომელიღაც გაზეთმა ეს მშვენიეჰი გამოთქმა – ანტისემიტიზმი. ასე ჰომ, „ოფიციალეჰ" მიმდინაჰეობაში აღმოვჩნდით. იუდეველთა მიმაჰთ ბუნებჰივი უნდობლობა მოძღვჰებად ყალიბდებოდა, ქჰისტიანობის ან თუნდაც იდეალიზმის მსგავსად.

იმ შეჯიბრებებს დიანაც ესწრებოდა. ერთხელ. როცა ყური მოჰკრა, რომ ებრაული ლოცვები ვახსენეთ, რამდენჯერმე გაიმეორა: „მელქისედეკ, მელქისედეკ“. რა მოაგონდა? მერე განაგრძო: „პატრიარქთან შეხვედრაზე... ებრაელ მასონებს გამოარჩევდა... ვერცხლის ჯაჭვი კისერზე, ოქროს ფირფიტით... ის სკულის ფიცარს განასახიერებდა... მოსეს სკულის...“

მშვენიერი აზრი იყო: ჩვენი ებრაელები მელქისედეკის ტაძარში შეჯიბრილიყვნენ, ლაპარაკობდნენ, საიდუმლო ნიშნებით, სიმბოლოებით, დაშიფრული სიტყვებით ესალმებოდნენ ერთმანეთს, რომლებსაც აშკარად ებრაული იერი დაჰკრავდა: „გიაზინ გაიზიმ, იავან აბადონ, ბამაქეკ ბამეარაქ, ადონაი ბეგო გალქოლ“. თავისთავად ცხადია, ლოცვაში გაუთავებლად ეშურებოდნენ რომის წმინდა საყდარსა და თავად ადონაის.

ამგვარად, ბატაის სახელით შენიღბულმა ტაქსილმა მოახერხა, დამკვეთიც – ეკლესიაც – დაკმაყოფილებინა და თავისი კრედიტორი ებრაელებიც არ გაელიზიანებინა. თუმცა ახლა, თუკი მოისურვებდა, ვალების მოშორებაც შეეძლო: ხუთ წელიწადში ტაქსილმა წიგნების გაყიდვით სამასი ათასი ფრანკი იშოვა. აქედან სამოცი ათასი ჩემი იყო.

***

1894 წელს, თუ სწორად მახსოვს, ჟურნალ-გაზეთები წალეკა ვინმე კაპიტან დრეიფუსის სახელმა, რომელსაც სამხედრო ინფორმაცია მიეყიდა პრუსიის საელჩოსთვის. ებრაელები აქაც იყვნენ გარეულები. დრეიფუსის საქმეში დრიუმონის სახელი ამოტივტივდა და შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ „ეშმაკის“ შთამბეჭდავ სიუჟეტებსაც გარკვეული წვლილი მიუძღვოდა მთელ ამ ისტორიაში. თუმცა ტაქსილი ყოველთვის თავს არიდებდა საიდუმლო სამხედრო სამსახურს.

მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი იმას, რაც ტაქსილმა თავიდანვე გუმანით იგრძნო: მასონებში ებრაელთა გარევა ერთი იყო, მაგრამ ამ საქმეში დრეიფუსის ხსენება იმაზე მინიშნება (ან იმის გამხელა)

იქნებოდა, რომ გარდა ებრაელობისა, დრეიფუსი მასონიც იყო. ეს კი ფრიად წინდაუხედავი ნაბიჯი იქნებოდა, რადგან მასონობას განსაკუთრებით ძლიერად ჰქონდა ფესვი მოკიდებული შეიარაღებულ ძალებში და იმ სამხედრო მაღალჩინოსანთაგან, რომლებიც დრეიფუსის საქმეს განიხილავდნენ, ბევრი, სავარაუდოდ, მასონი უნდა ყოფილიყო.

***

მეორე მხრივ, კიდევ ბევრი მასალა გვქონდა გამოუყენებელი. მკითხველისთვის კი, რომელიც ამ წლების მანძილზე შემოვიკრიბეთ, ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით, ვიდრე დრიუმონი.

„ეშმაკის" გამოჩენიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ტაქსილმა გამოგვიცხადა:

– არსებითად, ყველაფერი, რაც „ეშმაკში" იბეჭდება, ექიმი ბატაის შემოქმედებაა. რატომ უნდა ენდოს მას ხალხი? პალადიზმის მიმდევარი ქალი გვჭირდება, რომელიც მოინანიებს და სექტის შავბნელ საიდუმლოებებს სააშკარაოზე გამოიტანს. თანაც, სად გაგონილა ნამდვილი რომანი ქალი პერსონაჟის გარეშე? სოფია საფო ფრიად უარყოფითად წარმოვაჩინეთ, კათოლიკე მკითხველთა სიმპათიას ვეღარ დაიმსახურებს, თუნდაც მოინათლოს. ვიღაც სხვა გვჭირდება, ვინც თავიდანვე შეუყვარდება მკითხველს, ჯერ კიდევ სატანისტის როლში, თითქოს მის სახელს იმთავითვე აცისკროვნებდეს მომავალი ნათლობის შუქი. პალადიზმის გულუბრყვილო მსხვერპლი გვინდა, თავისუფალ მასონთა სექტის მიერ გაცურებული, რომელიც ნელ-ნელა თავს აღწევს მზაკვრულ ხაფანგს და წინაპართა რწმენის კალთას უბრუნდება.

მაშინ ვთქვი: – დიანა. დიანა ხომ მონანიე ცოდვილი ქალის ლამის ცოცხალი ხატია: თანაც, ღამის ჩვენი სეირნობის სამეზი... 

და აი, „ეშმაკის" 89-ე ტომში დიანა გამოჩნდა.

დიანას პერსონაჟი ბატაიმ შემოიყვანა რომანში. მეტი დამაჯერებლობისთვის მალევე გამოვაცხვეთ წერილი, სადაც დიანა



*...მკითხველს მალევე შევთავაზეთ დიანას ახალი, უფრო ქალური პორტრეტი...*

უკმაყოფილებას გამოთქვამდა თავისი პერსონაჟით და თავის პორტრეტსაც კი იწუნებდა, რომელიც „ეშმაკში" დაიბეჭდა, ფელეტონების სტილის თანახმად. უნდა ვაღიაროთ, რომ იმ ნახატზე დიანა მართლა კაცს წააგავდა და მკითხველს მალევე შევთავაზეთ დიანას ახალი, უფრო ქალური პორტრეტი, ცნობილი მხატვრის მიერ დახატული, რომელიც ვითომდა პირადად ენვია ქალს პარიზის ერთ-ერთ სასტუმროში.

დიანა პირველად ჟურნალ „განახლებულ და თავისუფალ პალადიუმში" გამოჩნდა. ეს იყო სეპარატისტი პალადისტების გამოცემა, რომლებიც თავხედურად ლაპარაკობდნენ ლუციფერის კულტზე და არც იმ მკრეხელურ გამოთქმებს ერიდებოდნენ, რომლებიც მათ რიტუალებში გამოიყენებოდა. იმის გაცნობიერებამ, რომ პალადიზმს ჯერ კიდევ აქტიური მიმდევრები ჰყავდა, ისეთი საყოველთაო შეძრწუნება გამოიწვია ხალხში, რომ ჟურნალ „კათოლიკური მიმომხილველის" დამფუძნებელმა, ვინმე მღვდელმა მიუსტელმა, სტატია მიუძღვნა ამ საკითხს და დიანას პალადიზმისაგან გამიჯვნას ისეთი გზნებით შეასხა ხოტბა, თითქოს ქალს უკვე კათოლიკობა ეღიარებინა. დიანამაც, ცხადია, არ დააყოვნა და მიუსტელს ორი აღფრთოვანებული წერილი გაუგზავნა ლატაკთა დასახმარებლად. მიუსტელი კი, პასუხად, თავის მრევლს შეევედრა, დიანას მოქცევისთვის ელოცათ.

ვფიცავ, მიუსტელი ჩვენ არ გამოგვიგონია: გროშიც არ გადაგვიხდია მისთვის, არადა, თითქოს ჩვენი სცენარით მოქმედებდა. მის სულისკვეთებას იზიარებდა გამოცემა „რელიგიური კვირაც", რომლის თავკაცი მონსინიორი ფავა გრენობლის ეპისკოპოსი გახლდათ.

როგორც მახსოვს, დიანა 1895 წლის ივნისში მოექცა და ექვსი თვის მანძილზე ბროშურების სახით ქვეყნდებოდა „ყოფილი პალადისტი ქალის მოგონებები". „განახლებული პალადიუმის" (რომლის გამოცემაც, ბუნებრივია, შეწყდა) აბონემენტის მფლობელები, სურვილის შემთხვევაში, ავტომატურად იღებდნენ „მოგონებების" ნომრებს, ან ფულს იბრუნებდნენ. რამდენადაც მახსოვს, რამდენიმე ფანატიკოსის გარდა, მკითხველები უსიტყვოდ დაეთანხმნენ ამ

ცვლილებას. ჯაცმა რომ თქვას, გაქრისტიანებული დიანას მონათხრობი ხომ ისეთივე შთამბეჭდავი იყო, როგორიც – ცოდვილი დიანასი. მკითხველს კი სხვა არაფერი უნდოდა. ტაქსილის იდეა სწორედ ეს იყო: არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, პიუს IX-ის საიდუმლო ვნებებზე მოუყვები ადამიანებს თუ ვილაც სატანისტი მასონის ჰომოსექსუალურ ლტოლვებზე. ხალხს აკრძალული ხილი უნდა. მორჩა.

აკრძალულ ხილს კი დიანა, იცოცხლეთ, არ აკლებდა: „გაგიმხელთ ყოველივეს, რაც სამკუთხედებში ხდებოდა და რასაც მთელი არსებით ვებრძოდი, როგორც შემეძლო. გამოგიტყდებით, რა მძულდა სულით და გულით და რა მიმაჩნდა სიკეთედ. დაე, მკითხველმა თავად განსაჯოს...''

დიანა შეუდარებელი იყო. ფანტასტიკური მითი შევქმენით. თვითონ, ცხადია, არაფერი იცოდა, იყო თავისთვის, ნარკოტიკებისგან გათიშული. ყოველდღიურ დოზას ვაძლევდით, რომ მშვიდად ყოფილიყო და დამორჩილებოდა ჩვენი (ლომერთო, მიშველე, ჩემი კი არა, მათი) ხელების ფათურს სხეულზე.

***

ახლაც აღმაგზნებს იმ დღეების მოგონება. ანგელოზად შერაცხილ დიანას უხვად ელვირებოდა მღვდლების, ეპისკოპოსების, ბერმონაზვნების, მონანიე ცოდვილების მხურვალე სიყვარული. ჟურნალი „პილიგრიმი'' ჰყვებოდა, რომ უკურნებელი სენით დაავადებული ქალი, ვინმე ლუიზა, ლურდში წაეყვანიათ მოსალოცად დიანას სახელით და სასწაულებრივად განკურნებულა. ყველაზე გავლენიანი ყოველდღიური კათოლიკური გაზეთი „ჯვარი'' კი იუწყებოდა: „ახლახან წავიკითხეთ „ყოფილი პალადისტი ქალის მოგონებების'' დასაბეჭდად გამზადებული პირველი თავი და მოზღვავებულ გრძნობებს ვერ ვუმკლავდებით. მის ვოგანი ამით თავისი ჩანაწერების გამოქვეყნებას იწყებს. რაოდენ გულისშემძვრელი და აღმაფრთოვანებელია ღვთის წყალობის გამოვლინება იმ სულებში, რომლებიც ქედს იდრეკენ უფლის წინაშე...'' ვინმე მონსინიორი ლაძარესკიმ, წმინდა საყდრის წარმო-

მადგენელმა „ანტიმასონური კავშირის“ ცენტრალურ კომიტეტში, დიანას მოქცევის აღსანიშნავად სამადლობელი წირვა აღავლინა რომში, „წმინდა გულის“ ტაძარში, ხოლო რომის კომიტეტის ანტიმასონურ ღღესასწაულებზე და ზოგიერთ ეკლესიაშიც ჟანა დ'არკისადმი მიძღვნილ ოდას ასრულებდნენ, რომელსაც დიანას მიაწერდნენ (თუმცა სინამდვილეში ეს არია ტაქსილის მეგობარი კომპოზიტორის დანერილი ოპერეტიდან იყო, რომელიც ავტორს ვილაც მუსლიმი ხალიფისა თუ სულთნის დაკვეთით შეეთხზა).

ამჯერადაც, თითქოს ჩვენს წისქვილზე წყლის დასასხმელად, დიანას კარმელიტების ორდენის ვილაც იდუმალი მონაზონი გამოესარჩლა ლიზიედან, რომელიც სიყმაწვილიდანვე აფიქვევდა წმინდანის სურნელებას. ეს იყო „ყრმა იესოსა და წმინდა სახების მოთაყვანე“ და ტერეზა: დიანას მოგონებები წაუკითხავს და ისე შეძრულა ამ საბრალო ქმნილების ბედით, რომ პიესაც კი დაუწერია საგანგებოდ თავისი ორდენის მონაზვნებისთვის, სახელწოდებით „თავმდაბლობის ზეობა“ და მასში მოქმედ გმირად დიანა გამოუყვანია. ამ პიესის ერთ-ერთი პერსონაჟი ჟანა დ'არკიც გახლდათ, პოდა, გულანთებულ მონაზონს ფოტოც კი გადაუღია ჟანა დ'არკის კოსტიუმში გამოწყობილს და დიანასთვის გაუგზავნია.

დიანას მემუარებს სხვადასხვა ენაზე თარგმნიდნენ, კარდინალი პაროკი კი საჯაროდ ულოცავდა ქალს გაქრისტიანებას და „ღვთის მადლის გასაოცარ ზეიმს“ უწოდებდა ამ მოვლენას. სამოციქულო ტახტის მდივანი, მონსინიორ ვინჩენცო სარდი წერდა, ღვთის ნება იყო, დიანა იმ უწმინდური სექტის წევრი გამხდარიყო, რათა მერე უფრო თვალსაჩინოდ ემხილა მისი ნამდვილი სახეო. ჟურნალი „კათოლიკური ცივილიზაცია“ კი იუწყებოდა, მის დიანა ვოგანი, „წყვდიადიდან ღვთიურ ნათელში გამოხმობილი“, ახლა საკუთარ გამოცდილებას ეკლესიის სამსახურს არმარს თავისი ნაშრომებით, რომლებსაც ბადალი არ ჰყავს დოკუმენტური სიზუსტისა და სარწმუნოების სათვის მოტანილი სარგებლობის თვალსაზრისით.

***

ბულანს სულ უფრო ხშირად ვხედავდი ოტელში. რა ურთიერთობა ჰქონდა დიანასთან? რამდენჯერმე გადახვეულებიც დამხვდნენ. დიანა დაბინდული მზერით მისჩერებოდა ქერს. ვინ იცის, იქნებ იმწუთას ეთქვა აღსარება და, მერე მდგომარეობაში გადასული, საკუთარი განწმენდით ნეტარებდა? უფრო საეჭვოდ კი დიანასა და ტაქსილის ურთიერთობა მეჩვენებოდა. ერთხელ გაუფრთხილებლად დავადექი თავზე, დივანზე გაწოლილიყვნენ ჩახუტებულები და ტაქსილს სახე გაფითრებოდა. ძალიანაც კარგი-მეთქი, ვიფიქრე. ბოლოს და ბოლოს, ვინმეს ხომ უნდა დაეკმაყოფილებინა „ბოროტი" დიანას ხორციელი ვნებები? მე ამის არანაირი სურვილი არ მქონდა. ქალის სხეულთან შეხების წარმოდგენაც კი მზარავს, მით უმეტეს – შეშლილის.

როცა „კეთილ" დიანასთან მარტო ვრჩები, უმანკოდ მადებს თავს მხარზე და ტირილით მთხოვს პატიებას. ქალის სითბო ლოყა- ზე, მისი სუნთქვა, რომელსაც მონანიების სურნელი ახლავს, ფრუან- ტელს მგვრის. სწრაფად ვიშორებ დიანას და ვურჩევ, ხატს დაუჩოქოს და მას შესთხოვოს პატიება.

***

პალადისტები (ნუთუ მართლა არსებობენ? ანონიმურ წერილებში ხშირად არიან ნახსენები. თუ რამეზე ლაპარაკობ, ეს უკვე ნიშნავს, რომ ის რაღაც არსებობს) მოღალატე დიანას ემუქრებოდნენ. ამ დროს მოხდა რაღაც, რასაც ვერ ვიხსენებ. აბატი ბულანის სიკვდი- ლი-მეთქი, ვიტყოდი, არადა, თითქოს ამ ბოლო წლებშიც მაგონდება ის, დიანას გვერდით.

ძალიან დავიღალე. უნდა დავისვენო.

23

# სწორად გატარებული თორმეტი წელიწადი

1897 წლის 15 და 16 აპრილის დღიურებიდან

აქ უკვე არა მხოლოდ დალა პიკოლას დღიური ერწყმის, ლამის შეშლილის ნაწერივით, სიმონინის მოგონებებს (ზოგან ორივენი ერთსა და იმავეზე ჰყვებიან, თუმცა კი სხვადასხვანაირად), არამედ თავად სიმონინის დღიურიც ბნედიანის დაწერილს ჰგავს, თითქოს ავტორს საშინლად უჭირს იმ წლების, ადამიანების, მოვლენების გახსენება. პერიოდი, რომელსაც სიმონინი იხსენებს (დრო ხშირად ერევა, აშკარად გვიანდელი მოვლენები უფრო ადრინდელად ახსოვს), ტაქსილის „მონანიებიდან" 96 ან 97 წლამდეა. ეს ნაჩქარევი, ლამის სტენოგრაფიული ჩანაწერებით გადმოცემული თორმეტიოდე წელიწადია. თითქოს მთხრობელს გაჭირვებით, ალაგ-ალაგ ახსენდება რაღაცეები, ზოგან კი ამ ფრაგმენტულ ჩანაწერებს უკიდურესი დეტალები, განსჯის, ნაფიქრალის, დიალოგების, დრამატული მოვლენების საოცრად დაწვრილებითი აღწერა მოსდევს.

ამიტომ მთხრობელი, რომელსაც აშკარად აღარ შესწევს გაწონასწორებული თხრობის უნარი (ეს უნარი აღარც დღიურის ავტორს შერჩენია), მოგონებებს მცირე თავებად ყოფს, თით-

ქოს აღწერილი მოვლენები ერთიმეორისაგან განცალკევებით ან ერთიმეორის შემდეგ მომხდარიყოს. სინამდვილეში კი ბევრად უფრო სავარაუდოა, რომ ეს ყველაფერი ერთდროულად ხდებოდა. მაგალითად, სიმონინი რაჩკოვსკისთან საუბარს მორჩებოდა და მაშინვე მიდიოდა გავიალისთან შესახვედრად. თუმცა, როგორც იტყვიან ხოლმე, რაცაა, ესაა.

*ადამის სალონი*

სიმონინის ახსოვს, რომ, როცა ტაქსილი მონანიებისა და მოქცევის გზაზე დააყენა (და სრულიად გაუგებარია, რანაირად აცხადებს დალა პიკოლა ამ როლზე პრეტენზიას), თვითონ მეტ-ნაკლებად რესპუბლიკურ წრეებთან დაახლოება გადაწყვიტა, სადაც მასონები ბლომად ეგულებოდა. ბონის ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზიაში გაცნობილი ადამიანების, განსაკუთრებით კი ტუსენელის, წყალობით ჟულიეტ ლამესინის სალონში მოხვდა, რომელსაც ახლა ქალბატონ ადამს ეძახდნენ. ჟულიეტი მემარცხენე რესპუბლიკელი პარლამენტარისა და საფრანგეთის საფონდო ბანკის დამფუძნებლის მეუღლე იყო, კაცის, რომელიც შემდეგ საპატიო სენატორადაც აირჩიეს. ასე რომ, სიმდიდრე, პოლიტიკა და კულტურა გამეფებულიყო იმ სახლში, რომელიც პუასონიერის (მოგვიანებით მალზერბის) ბულვარზე მდებარეობდა და დიასახლისიც ცნობილი ჰყავდა (გარიბალდის ცხოვრებაც კი ჰქონდა გამოქვეყნებული) და სტუმრებიც. იმ სალონში დადიოდნენ სახელმწიფო მოღვაწეები: გამბეტა, ტიერი და კლემანსო, მწერლებიდან კი – პრიუდომი, ფლობერი, მოპასანი, ტურგენევი და სხვები. სწორედ იქ შეხვდა სიმონინი ვიქტორ ჰიუგოს, მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე. ასაკით, დიდებითა და ინსულტით გაქვავებული მოხუცი საკუთარი თავის ცოცხალ ძეგლს დამსგავსებოდა.

სიმონინი არ იყო ნაჩვევი ასეთ გარემოს. დაახლოებით იმ წლებში შეხვდა ექიმ ფრეიდს მანის რესტორანში (როგორც ამას 25 მარტის დღიური მოწმობდა) და ახსოვდა, როგორ გაეცინა, როცა ექიმმა გაანდო, შარკოსთან ვახშამზე წასასვლელად ფრაკისა და შავი ჰალსტუხის ყიდვა მომიხდაო. ახლა სიმონინიც იძულებული იყო, ფრაკი და ჰალსტუხი შეეძინა. უფრო მეტიც, პარიკიც კი დაამზადებინა პარიზის საუკეთესო ოსტატს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობაში საკმაოდ კარგი განათლება მიეღო და პარიზშიც ბევრს კითხულობდა, სიმონინი მაინც უხერხულად გრძნობდა თავს იმ სალონის მეტისმეტად განსწავლულ, ენამახვილურ დისკუსიებში, რომელთა მონაწილეები მუდამ შესაშურ სიმაღლეზე იყვნენ. ამიტომაც მეტწილად დუმდა, ყურადღებით ისმენდა ყველაფერს და იშვიათად ორიოდ სიტყვას თუ იტყოდა სიცილიის ექსპედიციაზე: საფრანგეთში ხომ არ ბეზრდებოდათ გარიბალდიზე ლაპარაკი.

ელოდა, რომ იმ სალონში არათუ რესპუბლიკურ (ეს იმ დროში აღარავის უკვირდა), არამედ ჭეშმარიტად რევოლუციურ იდეებსაც მოისმენდა. ჟულიეტ ადამი კი თავის სალონში მეფის რუსეთის მოხელეებსაც აშკარად სიამოვნებით ეპატიჟებოდა. ანგლოფობი გახლდათ, ისევე, როგორც მისი მეგობარი ტუსენელი და თავის „ახალ ფრანგულ მიმოხილვაში“ ლეონ დოდეს ნაწერებსაც ბეჭდავდა. ლეონ დოდე ხომ ისეთივე მებრძოლი რეაქციონერი იყო, როგორიც მამამისი ალფონსი – გულწრფელი დემოკრატი. თუმცა უნდა ითქვას, რომ – ეს უდავოდ მადამ ადამის დამსახურება იყო – იმ სალონში ორივე მიღებული იყო.

გაუგებარი იყო, საიდან მოდიოდა სალონში ხშირად გაჩაღებული ანტიებრაული პოლემიკა: ებრაული კაპიტალიზმის სოციალისტური სიძულვილიდან, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ტუსენელი იყო, თუ მისტიკური ანტისემიტიზმიდან, რომლის სულისჩამდგმელიც იმ სალონში იულიანა

გლინკა იყო, რუსულ ოკულტურ წრეებთან მჭიდროდ დაკავშირებული ქალბატონი, ბრაზილიური კანდომბლეს მიმდევარი. გლინკა კანდომბლეს სიყმაწვილეში ზიარებოდა, როცა მამამისი დიპლომატად მუშაობდა ბრაზილიაში. ხმები დადიოდა, გლინკა იმდროინდელი პარიზული ოკულტიზმის ნამდვილ ქურუმთან, მადამ ბლავატსკისთან დაახლოებულიც არისო.

ჟულიეტ ადამის უარყოფითი განწყობა ებრაული სამყაროსადმი სრულიად აშკარა იყო. სიმონინი პირადად შეესწრო, როცა სალონში რუსი მწერლის, დოსტოევსკის ნაწერები წაიკითხეს, რომელიც, როგორც ჩანს, ბრაფმანს – სიმონინის ნაცნობს – დასესხებოდა მოსაზრებებს მსოფლიო ებრაულ შეთქმულებაზე.

– დოსტოევსკი ამბობს, რომ მათ იმდენჯერ დაკარგეს საკუთარი მიწა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა, კანონები და ლამის სარწმუნოებაც და მაინც გადარჩნენ და აღდგნენ უწინდელზე შეკრულები, საოცრად სიცოცხლისუნარიანები, ძლიერები და ენერგიულები, რომ ებრაელები ამას ვერაფრით ვერ შეძლებდნენ, რომ არ ჰქონოდათ ყველა არსებულ სახელმწიფოზე მაღლა მდგომი, ერთგვარი status in statu, რომელიც ყველგან, ყოველთვის, უსასტიკესი დევნის პირობებშიც კი შემოინახეს. ეს იმით შეძლეს, რომ მკაცრად ემიჯნებოდნენ, არ ერეოდნენ ერებს, რომლებთანაც ცხოვრობდნენ, არასოდეს არავის შერწყმიან და მუდამ იცავდნენ ძირითად პრინციპს: „მაშინაც, როცა სრულიად მარტო, სამყაროში გაბნეული და ჩაკარგული აღმოჩნდები, არ გატყდე, გწამდეს, რომ აღთქმა აღსრულდება და ეცადე, იცოცხლო, გძულდეს, შენიანი ეძებო, სხვა გამოიყენო. და ელოდე, ელოდე...“

– ეს დოსტოევსკი რიტორიკის დიდი ოსტატია, – ამბობდა ტუსენელი. – ხედავთ, როგორ ქადაგებს ებრაელებისადმი თანაგრძნობას, სიმპათიას, კეთილგანწყობას, გავბედავ და ვიტყვი – პატივისცემასაც კი? „იქნებ მეც ებრაელთა მტერი ვარ? შეიძ-

ლება, ამ უიღბლო რასის მტერი ვიყო? პირიქით, ვამბობ და ვწერ, რომ ყველაფერი, რასაც ქრისტიანული კაცთმოყვარეობა ითხოვს, ებრაელთა მიმართ გვმართებს...“ მშვენიერი დასაწყისია. მაგრამ შემდეგ აჩვენებს, როგორ განუზრახავს ამ უიღბლო ერს ქრისტიანული სამყაროს განადგურება. არაჩვეულებრივი სვლაა. თუმცა, ვისაც ის ახალი ჰგონია, ალბათ, მარქსის კომუნისტური მანიფესტი არ წაუკითხავს. ის შთამბეჭდავი სცენით იწყება: „აჩრდილი დადის ევროპაში“. შემდეგ კი სოციალური ბრძოლების ისტორიის შესანიშნავ მიმოხილვას გვთავაზობს ძველი რომიდან მოყოლებული დღემდე. სუნთქვა შეგეკვრებათ, როცა ბურჟუაზიის, როგორც რევოლუციური კლასის, აღწერას წაიკითხავთ. მარქსი გვიჩვენებს ამ ახალ ძალას, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია, რომელიც ისე გადაუვლის ჩვენს პლანეტას, როგორც მამაღმერთის სულის შთამბერავი სუნთქვა „შესაქმეს“ დასაწყისში. ამ ხოტბის დასასრულს კი (გეფიცებით, აღფრთოვანების გარეშე შეუძლებელია მისი წაკითხვა) ბურჟუაზიის ტრიუმფი ფარულ ძალებს გამოიხმობს: კაპიტალიზმი საკუთარ წიაღს გახსნის და თავისსავე მესაფლავეებს, პროლეტარებს, გამოუშვებს დღის სინათლეზე, რომლებიც დაუფარავად აცხადებენ: „გაგანადგურებთ და დავეპატრონებით ყველაფერს, რაც თქვენ გეკუთვნოდათ“. არაჩვეულებრივია! იმავეს აკეთებს დოსტოევსკი ებრაელებთან: ამართლებს ებრაულ შეთქმულებას, როგორც რასის ისტორიული გადარჩენის ერთადერთ პირობას, შემდეგ კი ამხელს მათ, როგორც მტერს, რომელიც უნდა განადგურდეს. დოსტოევსკი ნამდვილი სოციალისტია.

– სოციალისტი არაა, – ღიმილით ჩაერია იულიანა გლინკა. – უბრალოდ შორსმჭვრეტელია, ამიტომ ამბობს სიმართლეს. ხომ ხედავთ, როგორ წინასწარ მოიგერია შესაძლო, თუნდაც ყველაზე გონივრული, საწინააღმდეგო აზრი: თუ ვინმე იტყოდა, ებრაელებს „სახელმწიფო სახელმწიფოში“ იმიტომ ჰქონ-


1re Année. — N° 25 | Paris et Départements, le Numéro : 10 Centimes. | Samedi 30 Décembre 1893

# LA LIBRE PAROLE

ILLUSTRÉE

La France aux Français!

RÉDACTION
14 Boulevard Montmartre

Directeur : EDOUARD DRUMONT

ADMINISTRATION
14, boulevard Montmartre

*...ახლა კი ერთპიროვნულად განაგებენ საფონდო ბირჟებსა და საკრედიტო სისტემას. ამიტომ შეუძლებელია, სოციალიზმი ანტისემიტური არ იყოს...*

დათ საუკუნეთა მანძილზე, რომ გაუთავებლად იდევნებოდნენ და ეს სახელმწიფო მაშინვე დაიშლებოდა, როგორც კი ებრაელთა უფლებები მკვიდრი მოსახლეობის უფლებებს გაუთანაბრდებოდაო, დოსტოევსკი უპასუხებდა, რომ ეს არასწორია და ებრაელებმა რომც მოიპოვონ სხვა ერთა თანასწორი უფლებები, არასოდეს იტყვიან უარს საკუთარი მესიის მოლოდინზე, რომელმაც მახვილით უნდა დააჩოქოს ყველა სხვა ერი. დოსტოევსკი ამბობს, რომ იუდეველთა ერთადერთი საქმიანობაც – ოქროთი და ძვირფასი ქვებით ვაჭრობა – ამ მიზანს ემსახურება: ისინი მუდამ მზად უნდა იყვნენ. ებრაელები ვერ დაუშვებენ, მიეჯაჭვონ მიწას, სადაც ცხოვრობენ. უნდა შეეძლოთ, მთელი ქონება თან წაიღონ, როცა მათი მესია მოვა, როცა – როგორც პოეტურად წერს დოსტოევსკი – „გაიბრწყინებს ცისკრის სხივი: დაფ-სალამურს, დოლ-წინწილას, ოქრო-ვერცხლს თუ რელიკვიებს პალესტინას – მშობლის კერას – დაუბრუნებს ხალხი რჩეული“.

– საფრანგეთში მუდამ მეტისმეტად ელოლიავებოდნენ მათ, – დაასკვნა ტუსენელმა. – ახლა კი ერთპიროვნულად განაგებენ საფონდო ბირჟებსა და საკრედიტო სისტემას. ამიტომ შეუძლებელია, სოციალიზმი ანტისემიტური არ იყოს. შემთხვევითი არაა, რომ ებრაელები სწორედ მაშინ აღზევდნენ საფრანგეთში, როცა აქ ლა-მანშის გადაღმიდან შემოსული კაპიტალიზმი მოძლიერდა.

– მგონი, მეტისმეტად ამარტივებთ მოვლენებს, ბატონო ტუსენელ, – განაცხადა გლინკამ. – რუსეთში მაგ თქვენი ნაქები მარქსის იდეებით მოწამლულთა შორისაც უამრავი ებრაელია. ისინი თითქმის ყველგან არიან.

და სალონის ფანჯრებს გახედა, თითქოს ისინი იარაღმომარჯვებულები ჩასაფრებულიყვნენ ქუჩის კუთხეში. სიმონინის ბავშვობის შიში მოაგონდა და მორდეხაის მძიმე ნაბიჯების ხმა და მის ოთახში ამავალი კიბის ავბედითი ჭრიალი ჩაესმა.

*მუშაობა ოხრანკის დავალებით*

სიმონინიმ გლინკა მაშინვე მოიაზრა თავის შესაძლო კლიენტად. ცდილობდა, მის ახლოს დამჯდარიყო, სულ თავს დასტრიალებდა თაყვანისმცემელივით – რისთვისაც საკუთარი თავისთვის დიდი ძალდატანება უხდებოდა. ჩვენი მეგობარი ქალური მშვენიერების გამოცდილი შემფასებელი არ იყო, მაგრამ ამჩნევდა, რომ ქალს კვერნის სახე და მეტისმეტად ახლოახლოს ჩამჯდარი თვალები ჰქონდა, ჟულიეტ ადამი კი, მართალია, ის აღარ იყო, რაც ოცი წლის წინ, მაგრამ ჯერ კიდევ თვალში მოსახვედრი, მიმზიდველი, მედიდური ქალი იყო.

ამიტომაც სიმონინი დიდად არ დაჰფოფინებდა თავზე გლინკას: ძირითადად მის მონაყოლს ისმენდა ხოლმე ყალბი გულისყურით, ვითომ ძალიან აინტერესებდა, როგორ გაიცნო გლინკამ ვიურცბურგში ჰიმალაელი გურუ, რომელმაც ქალი რაღაც ჭეშმარიტებას აზიარა. მოკლედ, იულიანა გლინკა იდეალური სუბიექტი იყო: სიმონინი ადვილად არგებდა ანტიებრაულ მასალას მის ეზოთერიკულ ვნებებს. თან ხმები დადიოდა, გლინკა გენერალ ორჟეევსკის დისწულიაო, ორჟეევსკი კი რუსული სადაზვერვო პოლიციის მაღალჩინოსანი იყო. ამბობდნენ, რომ მისი საშუალებით გლინკაც ოხრაკას, იმპერიის საიდუმლო სამსახურს, ემსახურებოდა და შესაბამისად, საერთაშორისო სადაზვერვო სამსახურის უფროსთან, პიოტრ რაჩკოვსკისთანაც უნდა ყოფილიყო რაღაცნაირად დაკავშირებული. თუმცა გაუგებარი იყო, გლინკა რაჩკოვსკის ხელქვეითი იყო, მოკავშირე თუ პირდაპირი კონკურენტი. მემარცხენეების გაზეთი „რადიკალი" ეჭვს გამოთქვამდა, რომ გლინკა სამშობლოდან გაქცეული რუსი ტერორისტების დასმენით ირჩენდა თავს. ეს კი ნიშნავდა, რომ გლინკა არა მხოლოდ ადამის სალონის ხშირი სტუმარი იყო, არამედ სხვაგანაც ხშირად დადიოდა. სად – სიმონინიმ არ იცოდა.

გლინკას გემოვნებაზე უნდა მოერგო პრაღის სასაფლაოს სცენა, მოეშორებინა ზედმეტი მასალა ეკონომიკურ გეგმებზე და რაბინთა სიტყვებში მეტ-ნაკლებად მესიანური ასპექტები გამოეკვეთა.

გუჟენოს და იმ დროის ლიტერატურას გადახედა, რაღაცეები იქიდან ამოიღო და სიმონინიმ რაბინები ღვთით რჩეული განმგებლის, ისრაელის მეფის დაბრუნებაზე აალაპარაკა, მეფისა, რომელიც სამუდამოდ მოსპობდა წარმართულ სიბილწეს. ამ საკითხის უკეთ წარმოსაჩენად სიმონინიმ სასაფლაოს ამბავში მესიანური ბოდვით სავსე ორიოდე ახალი გვერდიც ჩართო, რაღაც ამდაგვარი: „სატანის მთელი ძლიერებითა და შემაძრწუნებლობით უახლოვდება ჩვენს სამყაროს ისრაელის ტრიუმფატორი ხელმწიფის სამეფო. სიონის სისხლიდან დაბადებული მეფე, ანტიქრისტე, სამყაროს განმგებლის ტახტისკენ მიიწევს“. რადგან კარგად იცოდა, რომ ცარიზმს შიშის ზარს სცემდა ნებისმიერი რესპუბლიკური მოსაზრება, ისიც დაამატა, რომ მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული რესპუბლიკური სისტემა მისცემდა საშუალებას ებრაელებს, უმრავლესობით მოსულიყვნენ ხელისუფლებაში და თავიანთვის სასარგებლო კანონები შემოეღოთ. მხოლოდ იმ სულელებს, არაიუდეველებს, ურჯულოებს – ასე ამბობდნენ სასაფლაოზე შეკრებილი რაბინები – ჰგონიათ, რომ რესპუბლიკა მეტ თავისუფლებას იძლევა, ვიდრე ავტოკრატიული სახელმწიფო; სინამდვილეში პირიქითაა, ავტოკრატიას ბრძენი უდგას სათავეში, ლიბერალიზმს კი – მდაბიო. მდაბიოებს კი ადვილად მართავენ ებრაელები. და რესპუბლიკას სამყაროს მეფესთან თანაცხოვრება არ უნდა გასჭირვებოდა: ნაპოლეონ III-ის მაგალითი ადასტურებდა, რომ რესპუბლიკასაც შეუძლია იმპერატორის შექმნა.

მაგრამ ბაბუას მონაყოლი არასოდეს ავიწყდებოდა, ასე რომ სიმონინიმ გადაწყვიტა, რაბინების გამოსვლებისთვის გრძელი შემაჯამებელი დასკვნა დაერთო იმის თაობაზე, რო-

გორ უნდა ემუშავა მსოფლიოს საიდუმლო მთავრობას. უცნაური იყო, როგორ ვერ შენიშნა გლინკამ, რომ აქაც დოსტოევსკის აზრები მეორდებოდა. ან იქნებ შენიშნა კიდეც და სწორედ ამით იყო აღფრთოვანებული, რომ უძველეს ტექსტში დაწერილს დოსტოევსკიც ადასტურებდა: გლინკასთვის ეს, ალბათ, სიმონინის შეთხზული ტექსტის ავთენტიკურობის მაჩვენებელი იყო.

ამგვარად, პრაღის სასაფლაოზე იკვეთებოდა სურათი, რომ ებრაელი კაბალისტები იყვნენ ჯვაროსნული ომების შთამაგონებლებიც, რათა იერუსალიმისთვის სამყაროს ცენტრის პირვანდელი ღირსება აღედგინათ ტამპლიერთა დახმარებით, რომელთა გვერდის ავლაც სრულიად შეუძლებელი იყო (სიმონინის მათზე უმდიდრესი მასალა ჰქონდა). სამწუხაროდ, შემდეგ არაბებმა ზღვაში გარეკეს ჯვაროსნები და ტამპლიერებსაც დიდი უსიამოვნებები შეხვდათ, როგორც ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ეს რომ არა, იუდეველთა გეგმა რამდენიმე საუკუნით ადრე აღსრულდებოდა.

პრაღის რაბინები იგონებდნენ აგრეთვე, როგორ შეუწყო ხელი ჰუმანიზმმა, საფრანგეთის რევოლუციამ და ამერიკის დამოუკიდებლობის ომმა ქრისტიანული პრინციპების შესუსტებასა და ტახტისადმი რწმენის შერყევას, რითაც ნიადაგი მოუმზადა ებრაელებს სამყაროს ხელში ჩასაგდებად. ცხადია, ამ გეგმის ხორცშესასხმელად ებრაელებს ღირსეული ფასადი სჭირდებოდათ. ასე გაჩნდნენ ფრანკ-მასონები.

სიმონინიმ ოსტატურად გამოიყენა ბარუელის ნაწერებიც, რომლებსაც, როგორც ჩანს, გლინკა და მისი რუსი დამკვეთები არ იცნობდნენ. მართლაც, გენერალმა ორჟეევსკიმ გლინკასგან მიღებული დოკუმენტით ორი ტექსტის შექმნა გადაწყვიტა: ერთი, შედარებით მოკლე, რომელიც მეტ-ნაკლებად იმეორებდა პრაღის სასაფლაოს სცენის პირველ ვარიანტს, რამდენიმე რუსულ ჟურნალში დაბეჭდეს და არც გახსენებიათ (შეიძლება,

იმედი ჰქონდათ, რომ მკითხველს ის დავიწყებული ექნებოდა ან არც არასდროს წაეკითხა), რომ გედშეს წიგნიდან ამოღებული რაბინის სიტყვა ათიოდე წლის წინ გამოქვეყნდა პეტერბურგში, რამდენიმე წლის შემდეგ კი თეოდორ ფრიშის „ანტისემიტურ კატეხიზმოშიც“ გამოჩნდა. მეორე ტექსტი კი პამფლეტის სახით გამოაქვეყნეს, სახელწოდებით „ებრაელობის საიდუმლო“, რომელსაც თავად ორჟეევსკის წინათქმა ამშვენებდა. ორჟეევსკი საზეიმოდ იუწყებოდა, ტექსტი, რომელსაც ბოლოს და ბოლოს ეღირსა დღის სინათლე, მასონებსა და ებრაელებს შორის კავშირს ამხელს და იმასაც ამტკიცებს, რომ ერთნიცა და მეორენიც ნიჰილიზმის მედროშეებთან არიან შეკრულებიო (იმდროინდელ რუსეთში ეს უმძიმესი ბრალდება იყო).

ბუნებრივია, ორჟეევსკისაგან სიმონინიმ ღირსეული ანაზღაურება მიიღო და საქმე იქამდეც მივიდა, რომ გლინკამ (ამის საშიშროება თავიდანვე იგრძნობოდა) ამ დიდი ღვაწლის საფასურად ვექილს საკუთარი სხეულიც კი შესთავაზა. სიმონინიმ მოახერხა, დასხლტომოდა ამ კოშმარს და მიახვედრა ქალი (მოგუდული ოხვრა-გმინვითა და ხელების ცახცახით), რომ მისი ხვედრი ფრიად ჰგავდა ბედკრული ოქტავ დე მალივერისას, რომელზეც ათწლეულების მანძილზე ვიშვიშებდნენ სტენდალის მკითხველები.

იმ წამიდან გლინკამ სიმონინისადმი ინტერესი დაკარგა, სიმონინიმ კი – გლინკასადმი. მაგრამ ერთხელ „კაფე დე ლა პეში“ საუზმეზე კოტლეტებისა და შამფურზე შებრაწული საქონლის თირკმლით პირის ჩასატკბარუნებლად შესულ სიმონინის ერთ-ერთ მაგიდასთან გლინკა დახვდა: ჩასხმულ, ფრიად მდაბიური იერის ბურჟუასთან ერთად მოკალათებულიყო და რაღაცაზე გაცხარებული ეკამათებოდა. სიმონინი მისასალმებლად შეჩერდა და გლინკას სხვა გზა აღარ ჰქონდა, ვექილს ბატონი რაჩკოვსკი გააცნო, რომელმაც დიდი ინტერესით აათვალიერ-ჩაათვალიერა სიმონინი.

იმწუთას სიმონინი არ ჩაღრმავებია რაჩკოვსკის ცნობისმოყვარეობის მიზეზებს. მხოლოდ მაშინ დაფიქრდა ამაზე, როცა მისი მაღაზიის კარზე ზარი დაირეკა და ზღურბლთან თავად რაჩკოვსკი დახვდა. რაჩკოვსკიმ ღიმილით, მბრძანებლობას ნაჩვევი კაცის უდარდელობით შეაბიჯა მაღაზიაში, უკითხავად მიაშურა კიბეს, უსიტყვოდ ავიდა სიმონინის სამუშაო ოთახში და საწერ მაგიდასთან, სავარძელში მოკალათდა.

– საქმეზე უნდა დავილაპარაკოთ.

რაჩკოვსკი ქერა იყო, როგორც ყველა რუსი, თუმცა თმაშევერცხლილი, როგორც ოცდაათს გადაბიჯებულ კაცს შეჰფერის. წარბები სლავური წარმოშობის ეშმაკისას მიუგავდა, ხორციანი, ვნებიანი ტუჩები, მოზრდილი ცხვირი, თავაზიანი, მაგრამ სასტიკი ღიმილი და დათაფლული ხმა ჰქონდა. გეპარდს უფრო მაგონებდა, ვიდრე ლომსო, შენიშნავდა სიმონინი თავის ჩანაწერებში. დაფიქრდა, რა უფრო შეაშინებდა, შუაღამისას ოსმან-ბეისთან შეხვედრა სენის უკაცრიელ სანაპიროზე თუ დილაუთენია რაჩკოვსკის კაბინეტში გამოძახება, გრენელის ქუჩაზე, რუსეთის საელჩოში. გადაწყვიტა, რომ ოსმან-ბეი ნაკლებად საშიში იყო.

– მაშ ასე, კაპიტანო სიმონინი, – დაიწყო რაჩკოვსკიმ, – ალბათ, არ იცით, რა არის სინამდვილეში ის, რასაც აქ, დასავლეთში, სრულიად უადგილოდ, „ოხრანას“ უწოდებთ, რუსი ემიგრანტები კი, დამამცირებლად, „ოხრანკას“ ეძახიან.

– ყური მომიკრავს.

– ყურმოსაკრავი არაფერია, ყველაფერი დღესავით ნათელია. ესაა „ოხრანნოე ოტდელენიე“, რაც დაცვის სამსახურს ნიშნავს, საიდუმლო საინფორმაციო სამსახურს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ეს სამსახური მეფე ალექსანდრე II-ზე თავდასხმის შემდეგ შეიქმნა, სამეფო ოჯახის დაცვის მიზნით, მაგრამ ნელ-ნელა ნიჰილისტური ტერორიზმის საფრთხის გაუვნებლებაზე ზრუნვა დაეკისრა. ამი-

ტომ შეიქმნა სადაზვერვო სამსახურები საზღვარგარეთაც, სადაც ბევრი ემიგრანტი და ქვეყნიდან გაძევებული პირი ცხოვრობს. აი, რატომ ვარ აქ. ჩემი ქვეყნის ინტერესებს ვიცავ. სრულიად აშკარად და კანონიერად. მალვა ტერორისტების საქმეა. გასაგებია?

– გასაგებია. მე რა შუაში ვარ?

– მოვლენებს მივყვეთ. ნუ დამიმალავთ, თუ რამე იცით ტერორისტულ დაჯგუფებებზე. გავიგე, რომ ადრე საფრანგეთის საიდუმლო სამსახურს დახმარებიხართ საშიში ანტიბონაპარტისტული ჯგუფის დაჭერაში. დასმენა კი მხოლოდ მეგობრების შეიძლება ან, ყოველ შემთხვევაში, ისეთი ადამიანების, ვისთანაც დიდ დროს ატარებთ. თვალთმაქცობა არ მჭირდება: მეც მქონია თავის დროზე რუს ტერორისტებთან ურთიერთობა, ეს ძველი ამბავია, მაგრამ სწორედ ამას ვუმადლი ანტიტერორისტულ სამსახურში ჩემს წარმატებას. ჩვენთან ეფექტიანად მხოლოდ ის მუშაობს, ვინც თავადაა გამოწრთობილი ბუნტისთავთა რიგებში. თუ კანონი ბევრჯერ არ დაგირღვევია, მას წარმატებით ვერ ემსახურები. აქ, საფრანგეთში, მშვენიერი მაგალითი გაქვთ: ვიდოკი სატუსაღოდან გამოსვლის შემდეგ გახდა პოლიციის შეფი. ასე ვთქვათ, მეტისმეტად „სუფთა“ პოლიციელს არ უნდა ენდო. ქვეშაჯვიები არიან. თუმცა ჩვენს საქმეს დავუბრუნდეთ. ბოლო ხანებში შევნიშნეთ, რომ ტერორისტთა რიგებში რამდენიმე ებრაელი ინტელექტუალია. რუსეთის ხელმწიფის კარზე რამდენიმე გავლენიანი პირის დავალებით ვცდილობ, დავამტკიცო, რომ რუსი ხალხის მორალური გახრწნის მოთავეები და ერის განადგურების მოსურნენი ებრაელები არიან. ალბათ, ყური მოგიკრავთ, რომ მინისტრ ვიტეს პროტეჟე ვარ, ის კი ლიბერალის სახელითაა ცნობილი და ამ საკითხებში მე არ დამიჯერებს. მაგრამ დაიმახსოვრეთ, წარმატებული ჩინოვნიკი ამჟამინდელ უფროსს კი არ ემსახურება, შემდეგისთვის ემზადება. მოკლედ, დროის დაკარგვა არ მინდა. გავეცანი დოკუმენტს,

რომელიც ქალბატონ გლინკას გადაეცით. მისი უდიდესი ნაწილი ნაგავია. არც გამკვირვებია, მეძველმანე ხართ და ნაგავს ახალზე ძვირად ყიდით. ვიცი, რომ რამდენიმე წლის წინ გაზეთმა „Contemporain“-მა ბაბუათქვენის მასალები გამოაქვეყნა და დარწმუნებული ვარ, კიდევ გექნებათ მისი ნაწერები. ამბობენ, რომ მართლა ბევრი რამ იცით (გაამართლა სიმონინის ძველმა გეგმამ: ჯაშუშად კი არ ემუშავა, თავი მოეჩვენებინა ჯაშუშად) და სანდო მასალები მჭირდება. გარწმუნებთ, მარცვალი ჩენჩოში არ მერევა. კარგად ვიხდი, მაგრამ თუ ვხედავ, რომ ნაგვის შემოსაღებას ცდილობენ, საშინლად ვბრაზდები. გასაგებია?

– ვერ დამიზუსტებთ, მაინც რა გჭირდებათ?

– ეგ რომ ვიცოდე, თქვენ კი არ გადაგიხდიდით ფულს. მეც მყავს სამსახურში ადამიანები, რომლებსაც არანაკლებ ოსტატურად შეუძლიათ ყალბი დოკუმენტების გამოცხობა. მაგრამ მათ მასალა სჭირდებათ. უბრალო რუს კაცს იმით ვერ გაასულელებ, რომ ებრაელები მესიას ელიან. ეს არც მუჟიკს აინტერესებს და არც მემამულეს. ებრაელი რომ მესიას ელის, რუსს ეს მოვლენა საკუთარ ჯიბესთან მიმართებაში უნდა დაანახო.

– კი, მაგრამ მაინცდამაინც ებრაელები რატომ ამოიღეთ მიზანში?

– იმიტომ, რომ რუსეთში ებრაელები გვყავს. თურქეთში რომ მეცხოვრა, სომხებით დავინტერესდებოდი.

– ესე იგი, ებრაელების განადგურება გსურთ, როგორც ოსმან-ბეის? ალბათ, იცნობთ მას.

– ოსმან-ბეი ფანატიკოსია, თან თვითონაც ებრაელია. მისგან შორს ჯობია თავის დაჭერა. ებრაელების განადგურება არ მინდა, მეტსაც გეტყვით: ებრაელები ჩემი საუკეთესო მოკავშირეები არიან. მე რუსი ხალხის მორალური სიმტკიცე მაინტერესებს და არ მინდა, ამ ხალხმა საკუთარი უკმაყოფილება ხელმწიფისკენ მიმართოს (უფრო ზუსტად: ეს არ სურთ მათ, ვისაც მე მინდა, ვასიამოვნო). ხალხს მტერი სჭირდება და სისულელეა

მონღოლებსა და თათრებში მისი ძებნა, როგორც ადრე აკეთებდა ხელისუფლება. მტერი რომ იცნო და მისი გეშინოდეს, სახლში უნდა გყავდეს, ან მეზობლად მაინც. აი, რატომ შევარჩიე ებრაელები. თავად ღმერთმა გვიბოძა ისინი და გამოვიყენოთ! ვილოცოთ, რომ მუდამ გვყავდეს ებრაელი, რომელიც შიშის ზარს დაგვცემს, რომელსაც შევიძულებთ. მტერია საჭირო, რომ ხალხს იმედი ჩაუსახო. არ მახსოვს, ვინ თქვა, პატრიოტიზმი გარეწართა უკანასკნელი თავშესაფარიაო. ის, ვისაც მორალური პრინციპები არ გააჩნია, როგორც წესი, დროშას აფრიალებს; თავისი რასის სიწმინდეზე ყველაზე მეტს სწორედ ბუში გაჰყვირის. ეროვნება ღატაკთა ერთადერთი ავლადიდებაა. საკუთარი ეროვნების შეგრძნება დღეს სიძულვილს, განსხვავებულის სიძულვილს ეფუძნება. საჭიროა სიძულვილის, როგორც სამოქალაქო ვნების, გაღვივება. მტერი ერის მეგობარია. საკუთარი უბადრუკობის გასამართლებლად სიძულვილის ობიექტია საჭირო. სიძულვილია ჭეშმარიტი, პირველქმნილი გრძნობა. პათოლოგიური მდგომარეობა სიყვარულია. ამიტომ მოკლეს ქრისტე: ბუნების წინააღმდეგ ქადაგებდა. შეუძლებელია, სამუდამოდ გიყვარდეს ვინმე. მარადიული სიყვარული განუხორციელებელი იმედია და მასში ისახება მრუშობა, კაცის კვლა, ღალატი... სიძულვილით კი, თავისუფლად შეიძლება, მთელი ცხოვრება გძულდეს ვინმე: მთავარია, იყოს, იარსებოს, რომ მარად გაგიღვივოს ვნება გულში. გულს სიძულვილი ათბობს.

*დრიუმონი*

სიმონინი შეაშფოთა ამ საუბარმა. რაჩკოვსკი აშკარად არ ხუმრობდა და თუ სიმონინი ღირსეულ მასალას არ მიაწვდიდა, მართლა „გაბრაზდებოდა“. მართალია, სიმონინის ჯერ კიდევ არ ამოეწურა საკუთარი წყაროები და უამრავი მასალა მოეგ-



1re Année. — N° 23 | Paris et Départements, le Numéro : 10 Centimes. | Samedi 16 Décembre 1893

# LA LIBRE PAROLE

ILLUSTRÉE

La France aux Français !

RÉDACTION 14 Boulevard Montmartre | Directeur : EDOUARD DRUMONT | ADMINISTRATION 14, boulevard Montmartre



SI NOUS LES LAISSONS FAIRE ....

*...სხვაგანაც ხშირად ხვდებოდა დრიუმონს. თავიდან – დრიუმონის დაფუძნებულ ანტისემიტურ ლიგაში, შემდეგ კი – მისი გაზეთის, „თავისუფალი სიტყვის“ რედაქციაში...*

როვებინა თავისი ოქმებისთვის, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ უფრო მეტი იყო საჭირო. ანტიქრისტეს ამბები გლინკასთვის იყო ზედგამოჭრილი, მაგრამ რაჩკოვსკისთვის აღარ იკმარებდა. რაღაც უფრო თანამედროვე სჭირდებოდა. არ უნდოდა, დაბალ ფასად გაეყიდა პრაღის სასაფლაოს განახლებული ვერსია. პირიქით, სურდა, ფასი აეწია მისთვის. ასე რომ, იცდიდა.

ეს ამბავი პადრე ბერგამასკის გაანდო. არც ის ასვენებდა, ანტიმასონური მასალების მოპოვებას სთხოვდა.

– ამ წიგნს შეხედე, – ეუბნებოდა იეზუიტი, – ედუარ დრიუმონის „ებრაული საფრანგეთია“. ასობით გვერდია. ამ კაცმა უთუოდ შენზე მეტი იცის.

სიმონინიმ წიგნი გადაათვალიერა.

– ეს ხომ იმავეს იმეორებს, რასაც გუჟენო თხუთმეტი წლის წინ წერდა!

– მერე რა? ფაქტია, რომ ეს წიგნი დაიტაცეს. ესე იგი, მისი მკითხველები გუჟენოს არ იცნობდნენ და როგორ ფიქრობ, შენს რუს კლიენტს უკვე წაკითხული ექნება დრიუმონი? გადაკეთების ოსტატი არა ხარ? მიდი, გაარკვიე, რა ხდება, რას ამბობენ იმ წრეებში.

დრიუმონთან დაკავშირება არ გასჭირვებია. ადამის სალონში სიმონინი ალფონს დოდეს დაუახლოვდა, თავიც მოაწონა და დოდემ ის თავის მამულში მიიწვია, შამროზეში, სადაც ხშირად ატარებდნენ კულტურულ შეხვედრებს (ადამის სალონთან მონაცვლეობით). იმ საღამოებს ჟიული დოდე უძღვებოდა და მათთან იკრიბებოდნენ ძმები გონკურები, პიერ ლოტი, ემილ ზოლა, ფრედერიკ მისტრალი და დრიუმონი, რომელსაც ახლახან გაეთქვა სახელი თავისი „ებრაული საფრანგეთით“. მომდევნო წლებში კი სიმონინი სხვაგანაც ხშირად ხვდებოდა დრიუმონს. თავიდან – დრიუმონის დაფუძნებულ ანტისემიტურ ლიგაში, შემდეგ კი – მისი გაზეთის, „თავისუფალი სიტყვის“ რედაქციაში.

დრიუმონს ფაფარივით თმა, შავი წვერი, კაუჭა ცხვირი და ბრიალა თვალები ჰქონდა, ძალიან ჰგავდა ებრაელ წინასწარმეტყველს (არსებულ იკონოგრაფიას თუ ვენდობით). იუდეველთა მიმართ მის სიძულვილში მართლა იყო რაღაც მესიანური, თითქოს ზეციდან ჰქონოდა დავალებული რჩეული ხალხის განადგურება. სიმონინი მოხიბლული იყო დრიუმონის ანტიებრაული ღვარძლით. დრიუმონს ისეთი ძალით, ისეთი ვნებით, არც კი ვიცი, რა სიტყვა ვიხმარო, ისეთი გზნებითა და თავდავიწყებით სძულდა ებრაელები, რომ ამ გრძნობას მხოლოდ დაუოკებელი სექსუალური ჟინი თუ შეედრებოდა. დრიუმონი არც ტუსენელივით ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი ანტისემიტი იყო, არც გუჟენოსავით თეოლოგი ებრაელთმოძულე. ის მგზნებარე ანტისემიტი იყო.

რედაქციის მოსაწყენ, უსასრულო სხდომებზეც კი შთამბეჭდავი იყო ამ კაცის მოსმენა.

– სიამოვნებით დავწერე წინათქმა აბატ დეპორტის წიგნისთვის, რომელიც ებრაელებში სისხლის საიდუმლოს ეძღვნება. ეს მარტო შუა საუკუნეების ტრადიცია როდია. ებრაელი ქალები დღესაც ქრისტიანი ბავშვების სისხლით ზელენ სადღესასწაულო ნამცხვრებს და სტუმრებს ასე უმასპინძლდებიან.

არ ცხრებოდა: – სემიტი ვაჭრუკანაა, ხარბი, ინტრიგანი, გაქნილი, ჩვენ კი, არიელები, ხელგაშლილები, გულღიები, თავგანწირულები, რაინდულები, უანგაროები, გულწრფელები, მიამიტობამდე მიმნდობნი ვართ. სემიტი მიწიერია, აწმყოს მიღმა ვერაფერს ხედავს, ბიბლიაში განა სადმე გინახავთ მინიშნება საიქიოზე? არიელს კი ტრანსცენდენტური ხიბლავს, ის იდეალის პირმშოა. ქრისტიანთა ღმერთი მაღლაა, ცაში, ებრაელთა ღმერთი კი კორდზე ან მთაზე შეიძლება იდგეს: ამაზე მაღლა არასოდესაა გამოსახული. სემიტი ვაჭარია, არიელი – მიწათმოქმედი, პოეტი, ასკეტი და, რაც მთავარია, ჯარისკაცი: არიელი სიკვდილს უპირისპირდება. სემიტს შემოქმედებითი უნარი

არ გააჩნია, შეგხვედრიათ ოდესმე ებრაელი მუსიკოსი, მხატვარი, პოეტი? ან ებრაელი, რომელსაც მეცნიერული აღმოჩენა გაეკეთებინოს? არიელი გამომგონებელია, ებრაელი კი – მის გამოგონებათა გამომყენებელი.

ვაგნერის სიტყვებს იმოწმებდა: „საკმარისია, უბრალოდ წარმოიდგინო ძველი თუ ახალი დროის რომელიმე გმირი ან მიჯნური, ებრაელის მიერ განსახიერებული, რომ მაშინვე, უნებურად გაგეცინება, იმდენად კომიკური იქნება ეს სახე. განსაკუთრებით გულისამრევია ებრაელთათვის დამახასიათებელი აქცენტი. ჩვენს სმენას განსაკუთრებით უხეშად ხვდება ამ ენის მკვეთრი, სისინა ბგერები. გასაკვირი არაა, რომ ებრაელის თანდაყოლილი შინაგანი სიმწირე, ეგზომ საძულველი ჩვენთვის, სრულად მჟღავნდება სიმღერაში, რაც ინდივიდუალური გრძნობის ყველაზე ნამდვილი გამოვლინებაა. ებრაელის ნებისმიერი არტისტული უნარი შეიძლება აღიარო, გარდა სიმღერისა: ეს უნარი მათ თითქოს თავად ბუნებამ შეუზღუდა“.

– თუ ასეა, – იკითხა ვიღაცამ, – როგორ აიხსნება, რომ მუსიკალური თეატრი მათ დაიპყრეს? როსინი, მეიერბერი, მენდელსონი, ჯუდიტა პასტა, ყველანი ებრაელები არიან...

– იქნებ იმიტომ, რომ მუსიკა ღვთიური ხელოვნება არაა? – ჩაერთო ვიღაც. – ის გერმანელი ფილოსოფოსი არ ამბობდა, მუსიკა ფერწერასა და ლიტერატურაზე დაბლა დგას, რადგან ის აწუხებს ადამიანებს, ვისაც მისი მოსმენა არ სურსო? თუ შენ სიახლოვეს უკრავენ მუსიკას, რომელიც არ მოგწონს, იძულებული ხარ, ისმინო. ეს კი იგივეა, შენ გვერდით მჯდომი ისეთ სუნამოს ხმარობდეს, რომელიც გულს გირევს. არიული დიდება ლიტერატურაა, რომელიც ახლა კრიზისშია. მუსიკა კი – გრძნობითი ხელოვნება, სნეულთა და ხეიბართა ხელოვნება – ყვავის. იმ ცხოველთაგან, რომლებიც კი ნიანგზე მაღლა დგანან განვითარებით, ებრაელი ყველაზე მუსიკალურია. თითქმის

ყველა ებრაელი მუსიკოსია. შეხედეთ: პიანისტები, მევიოლიონეები, ვიოლონჩელისტები – ყველანი ებრაელები არიან.

– დიახ, მაგრამ მხოლოდ შემსრულებლები, დიდი კომპოზიტორების პარაზიტები, – დაამატა დრიუმონმა. – თქვენ მეიერბერი და მენდელსონი – მდარე მუსიკოსები – ახსენეთ. დელიბი და ოფენბახი გაიხსენეთ, ისინი ხომ ებრაელები არ არიან.

ამას გაცხოველებული კამათი მოჰყვა იმაზე, ებრაელებს არ ესაქმებოდათ არაფერი ნამდვილ მუსიკასთან თუ სწორედ მუსიკა იყო სუფთად ებრაული ხელოვნება. მოსაზრებები ფრიად განსხვავდებოდა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეიფელის კოშკის პროექტზე მუშაობდნენ (აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რაც მისი დასრულების შემდეგ ხდებოდა), ანტისემიტურ ლიგაში მრისხანება დუღდა და გადმოდუღდა: ლიგის წევრთა აზრით, გერმანელი ებრაელის ეს ნახელავი „წმინდა გულის“ ბაზილიკაზე ებრაული პასუხი იყო. დე ბიზი, ლიგის ალბათ ყველაზე შეუვალი ანტისემიტი (რომელიც ებრაელთა მდაბიო ბუნებას, უპირველეს ყოვლისა, იმით ასაბუთებდა, რომ ისინი მარჯვნიდან მარცხნივ წერენ, სხვა ერებისგან განსხვავებით), ამბობდა, ამ ბაბილონური ნაგებობის ფორმაც კი ადასტურებს, რომ მათი ტვინი ჩვენსას არ ჰგავსო...

მერე ალკოჰოლიზმს გადასწვდებოდნენ – იმ ეპოქის საფრანგეთის მოურჩენელ სენს, ღია ჭრილობას. ამბობდნენ, პარიზში ყოველწლიურად 141.000 ჰექტოლიტრი ალკოჰოლი ისმებაო!

– ალკოჰოლი, – ამბობდა ვიღაც, – ებრაელებისა და მასონების მოგონილი ჭირია. ეს მათი ტრადიციული შხამის – ტოფანას წყლის – დახვეწილი ვარიანტია. ახლა აწარმოებენ საწამლავს, რომელიც წყალს ჰგავს, მაგრამ ოპიუმსა და კანტარიდს შეიცავს, აძაბუნებს და ადებილებს ადამიანს, ბოლოს კი სიკვდილამდე მიჰყავს იგი. ამ ნივთიერებას ალკოჰოლურ სასმელებში ამატებენ, რადგან თვითმკვლელობისკენ უბიძგებს ადამიანს.



*...ალკოჰოლი, – ამბობდა ვიღაც, – ებრაელებისა და მასონების მოგონილი ჭირია. ეს მათი ტრადიციული შხამის – ტოფანას წყლის – დახვეწილი ვარიანტია...*

– და პორნოგრაფია? ტუსენელი (ხანდახან სოციალისტებიც ამბობენ სიმართლეს) წერდა, რომ იუდეველის სიმბოლო ღორია, რომელიც ურცხვად სიბილწეში კოტრიალობს. თალმუდი პირდაპირ ამბობს, განავლის დასიზმრება კარგი ნიშანიაო. ყველა გახრწნილი წიგნი ებრაელთა გამოცემულია. კრუასანის ქუჩაზე გადით, პორნოგრაფიული ჟურნალ-გაზეთების ბაზარში. ებრაული დახლები სავსეა ორგიის სცენებით აჭრელებული პუბლიკაციებით. რას არ ნახავთ: ბერებს, რომლებიც ყმაწვილ გოგოებთან მრუშობენ, მღვდლებს, ტიტველ ქალებს რომ ამათრახებენ, რომლებსაც სარცხვინელს მხოლოდ თმა უფარავთ, პრიაპიზმის სცენებს, გალეშილ, ამძუვნებულ სასულიერო პირებს. ხალხი კი მიდი-მოდის, უყურებს ამ ყველაფერს და იცინის. ბავშვებიც კი დაჰყავთ იქ! მომიტევეთ ეს სიტყვა და, ნამდვილი ანუსის ზეიმია. მამათმავალი ეკლესიის მსახურები, ტიტველი დუნდულები, რომლებსაც მონაზვნები ურცხვად უშვერენ ბილწ მღვდლებს...

მეორე მარადიული თემა ებრაელთა მომთაბარეობა იყო.

– ებრაელი მომთაბარეა, მაგრამ ახალი მიწების აღმოსაჩენად კი არ იცვლის ადგილს, არამედ იმიტომ, რომ სულ რაღაცას გაურბის, – ამბობდა დრიუმონი. – არიელი მოგზაურობს, ამერიკას, სხვა უცნობ მიწებს აღმოაჩენს, სემიტი კი იცდის და მისი აღმოჩენით სარგებლობს. თუნდაც ზღაპრებს დააკვირდით. ებრაელებს არასოდეს ჰყოფნიდათ ფანტაზია ლამაზი ზღაპრის მოსაგონებლად, სამაგიეროდ მათმა სემიტმა ძმებმა, არაბებმა, შეთხზეს „ათას ერთი ღამე“, სადაც ხან ოქროთი სავსე ქოთანს პოულობენ, ხან – ყაჩაღების მიერ გამოქვაბულში გადამალულ განძს, ხანაც – სურას კეთილი ჯინით. ყველაფერი ნაჩუქარი, ზეციდან მოვლენილია. არიელთა თქმულებებში კი – გრაალის ამბავიც კმარა – ყველაფერი ბრძოლის, მსხვერპლის ფასად უნდა მოიპოვო.

– თანაც, – ჩაერთო ვიღაც დრიუმონის თანამოაზრეთაგან, – ებრაელებმა მოახერხეს და ყველანაირ მტერს გადაურჩნენ...

– რა თქმა უნდა, – ლამის დუჟი სდიოდა დრიუმონს, – მათი განადგურება შეუძლებელია! ნებისმიერი სხვა ერი, როცა ადგილს იცვლის, ვერ ეგუება კლიმატის, საკვების ცვლილებას, სუსტდება, ძაბუნდება. იუდეველებს კი მომთაბარეობა კიდევ უფრო აწრთობს, აძლიერებს, როგორც მწერებს.

– ბოშებივით არიან – ავად არ ხდებიან. ლეშიც რომ ჭამონ, კუჭიც კი არ აეშლებათ. ალბათ, კანიბალიზმი თუ ეხმარებათ ამაში, ამიტომაც იტაცებენ ბავშვებს...

– კანიბალიზმი არაფერ შუაშია, კანიბალიზმი სიცოცხლეს არ ახანგრძლივებს: აფრიკელი ზანგები გაიხსენეთ, ისინიც ჭამენ ადამიანის ხორცს, მაგრამ ბუზებივით იხოცებიან.

– მაშ, რით აიხსნება ებრაელის იმუნიტეტი? მისი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ორმოცდაცამეტი წელია, ქრისტიანისა კი – ოცდაჩვიდმეტი. შუა საკუნეებიდან მოყოლებული, ებრაელები ეპიდემიებსაც აშკარად უკეთ უმკლავდებიან. თითქოს რაღაც მარადიული ჭირი ჰქონოდეთ სხეულში ჩასახლებული, რომელიც ჩვეულებრივი შავი ჭირისაგან იცავთ.

სიმონინი აღნიშნავდა, რომ ამ საკითხებზე უკვე ბევრი ეთქვა და დაეწერა გუჟენოს, მაგრამ დრიუმონის შეკრებებზე დიდად არავინ დაგიდევდათ მოსაზრებათა ორიგინალურობას, მათი სარწმუნოობა კი საერთოდ არ ადარდებდათ.

– მართალია, – ამბობდა დრიუმონი, – ჩვენზე უკეთ უძლებენ სხეულის დაავადებებს, მაგრამ გონებრივად უფრო ხშირად ავადდებიან. გაუთავებელი გარიგებების, ხრიკების, სპეკულაციებისა და შეთქმულებების ხლართვა ნერვულ სისტემას უსპობს მათ. იტალიაში ყოველ სამას ორმოცდარვა ებრაელში ერთი შეშლილია, როცა კათოლიკებისთვის პროპორცია ერთი შვიდას სამოცდათვრამეტზეა. შარკომ საინტერესო კვლევები ჩაატარა რუს ებრაელებზე. იქ ადვილია: რუსი ებრაელები ღა-

რიბები არიან, აქ კი, საფრანგეთში, მდიდრები არიან და თავიანთ სნეულებას ექიმ ბლანშის ძვირიან კლინიკაში მალავენ. იცოდით, რომ სარა ბერნარი თავის ოთახში თეთრ კუბოს ინახავს?

– ჩვენთან შედარებით ორჯერ უფრო სწრაფადაც მრავლდებიან. უკვე ოთხ მილიონს გადააჭარბეს მთელ მსოფლიოში.

– ჯერ კიდევ „გამოსვლათა წიგნში" წერია: „ძენი ისრაელისანი აღორძნდეს და განმრავლდეს... და განძლიერდებოდეს დიდად ფრიად, რამეთუ განამრავლებდა მათ ქუეყანა იგი".

– და აჰა, ახლა აქ არიან. თუმცა მუდამ აქ იყვნენ, მაშინაც კი, როცა ამას არავინ ეჭვობდა. ვინ იყო მარატი? მისი ნამდვილი სახელი მარა იყო. ესპანეთიდან გაძევებული სეფარდების შვილი გახლდათ, რომლებიც ებრაული წარმოშობის დასამალად პროტესტანტები გახდნენ. მარატი ნამდვილი ებრაელი იყო, კეთრისგან დამპალი, დევნის მანიითა და მკვლელობის ჟინით შეპყრობილი შლეგი, რომელიც ქრისტიანებზე შურის საძიებლად ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტი ქრისტიანი გაეგზავნა გილიოტინაზე. ბინძური იყო და ბინძურად ჩაძაღლდა. შეხედეთ მის პორტრეტს კარნავალეს მუზეუმში: ისეთივე ნევროპათია, როგორიც რობესპიერი და სხვა იაკობინელები იყვნენ. სრულიად აშკარაა სახის ასიმეტრია, რაც გონებრივი სნეულების უტყუარი ნიშანია.

– ყველამ ვიცით, რომ რევოლუცია მთლიანად ებრაელებმა მოაწყვეს. ნუთუ პაპის მოძულე და მასონებთან შეკრული ნაპოლეონიც სემიტი იყო?

– როგორც ჩანს. დიზრაელიც ამას ამბობს. ბალეარის კუნძულები და კორსიკა ესპანეთიდან გაძევებული ებრაელების თავშესაფარი იყო. როცა გაკათოლიკდნენ და მარანები გახდნენ, იმ კეთილშობილთა გვარები აიღეს, რომლებსაც მსახურებად ედგნენ: ორსინი და ბონაპარტე.

ყველა თავყრილობაში გამოერევა ხოლმე ერთი ხეპრე, რომელიც სრულიად შეუფერებელ დროს სრულიად შეუფერებელ კითხვას დასვამს. და აი, არც ამჯერად დააყოვნა შეკითხვამ:

– კი, მაგრამ იესო? ისიც ხომ ებრაელი იყო, არადა, ახალგაზრდა მოკვდა, არც ფული ადარდებდა და მხოლოდ ცათა სასუფეველზე ფიქრობდა...

ჟაკ დე ბიზმა უპასუხა:

– ბატონებო, ქრისტეს ებრაელობა თავად ებრაელების, წმინდა პავლესა და ოთხი მახარებლის, გამოგონილი ლეგენდაა. სინამდვილეში იესო კელტური რასის შვილი იყო ისევე, როგორც ჩვენ, ფრანგები. ლათინებმა მოგვიანებით დაგვიპყრეს. ლათინებთან შერევამდე კელტები დამპყრობლები იყვნენ. გსმენიათ გალატებზე, რომლებმაც საბერძნეთამდე მიაღწიეს? გალილეასაც ეს სახელი სწორედ გალების გამო ჰქვია, ის გალების კოლონია იყო. ქალწულის ამბავიც, რომელმაც ვაჟი შვა, კელტური, დრუიდული წარმოშობის მითია. იესოს ნებისმიერ გამოსახულებას დააკვირდით: ის ქერა და ცისფერთვალება იყო. მისი ყველა ქადაგება ებრაელთა ჩვევებისა და ცრურწმენების საწინააღმდეგოა. მესიის მომლოდინე ებრაელებისგან განსხვავებით, ქრისტე ზეციურ სასუფეველს აცხადებდა თავის სამეფოდ. ებრაელები მონოთეისტები იყვნენ, ქრისტემ კი სამების ხატი დაგვიტოვა, ამაშიც გამოსჭვივის მისი კელტური პოლითეიზმი. ამიტომაც მოკლეს. ებრაელმა კაიაფამ მიუსაჯა მას სიკვდილი, ებრაელი იყო მისი გამყიდველი იუდაც, ებრაელი იყო ქრისტეს უარმყოფელი პეტრეც...

იმავე წელს, როცა „თავისუფალი სიტყვა“ დააარსა, დრიუმონს საოცრად გაუმართლა და უვნებელი დაუძვრა პანამის სკანდალს. თუმცა ვინ იცის, იქნებ იღბალზე მეტად ინტუიციამ უშველა.

– ცხადია, – უხსნიდა სიმონინის, სანამ თავის კამპანიას გააჩაღებდა, – ფერდინან დე ლესეფსს, სუეცის არხის გამჭრელს, დაავალეს პანამის ყურეში არხის გაყვანა. ექვსასი მილიონი ფრანკი უნდა დახარჯულიყო ამ საქმეზე და ლესეფსმა კომპანია დააფუძნა, რომელსაც თავისივე სახელი დაარქვა. როგორც იქნა, 1881 წელს სამუშაოები დაიწყო. მალე ლესეფსს ფული დასჭირდა და გადაწყვეტა, ხალხისთვის მიეყიდა აქციები. მაგრამ შეგროვებული ფულის ნაწილი ჟურნალისტთა მოსასყიდად და იმ სირთულეების დასაძლევად დასჭირდა, რომლებიც გზადაგზა ხვდებოდა. 1887 წელს არხის ნახევარიც არ იყო გათხრილი და უკვე ათას ოთხასი მილიონი ფრანკი იყო დახარჯული. ლესეფსმა ეიფელს სთხოვა დახმარება, ებრაელს, რომელმაც ის საშინელი კოშკი ააგო. მერე ისევ განაგრძო ფულის შეგროვება და თანხა პრესისა და მინისტრების მოსასყიდად გამოიყენა. ასე რომ, ოთხი წლის წინ არხის გასათხრელად დაფუძნებული კომპანია გაკოტრდა და ოთხმოცდახუთი ათასმა პატიოსანმა ფრანგმა მოქალაქემ, რომლებმაც კომპანიის აქციები იყიდეს, მთლიანად დაკარგა საკუთარი ფული.

– ეს ცნობილი ამბავია.

– დიახ, მაგრამ ახლა შემიძლია დავამტკიცო, რომ ლესეფსი ებრაელი ფინანსისტების მხარდაჭერით მოქმედებდა. მათ შორის იყო ბარონი ჟაკ დე რეინახიც (პრუსიელების დანიშნული!). ხვალ „თავისუფალი სიტყვა“ ამაზე ერთ ამბავს ატეხს.

სკანდალი მართლაც ატყდა და ჟურნალისტები, ფინანსისტები, მთავრობის ჩინოვნიკები, ყოფილი მინისტრები ჩაითრია. რეინახმა თავი მოიკლა, ბევრი ცნობილი პიროვნება დააპატიმრეს, ლესეფსი იმან იხსნა, რომ მისი საქმე დიდი ხნის დახურული იყო, ეიფელი კი ბეწვზე გადარჩა. დრიუმონი ზეიმობდა: სახელი გაითქვა, როგორც უზნეობასთან მებრძოლმა და, რაც მთავარია, ხელახლა გააჩაღა თავისი ანტიებრაული კამპანია.

*ისევ ბომბები*

სანამ დრიუმონს დაუახლოვდებოდა, ებიუტერნმა სიმონინი კვლავ იხმო ჩვეულ ადგილას, ნოტრ-დამის ტაძარში.

– კაპიტანო, რამდენიმე წლის წინ დაგავალეთ, ტაქსილი ისეთი მდარე ანტიმასონური კამპანიის გასაჩაღებლად წაგექეზებინათ, რომ ყველაზე თავზეხელაღებული ანტიმასონებიც კი მის საწინააღმდეგოდ განგეწყოთ. აბატ დალა პიკოლას, რომელიც თქვენი სახელით დამპირდა, რომ ამ საქმეს გააკონტროლებდა, გვარიანი თანხაც გადავუხადე. მაგრამ ახლა მგონია, რომ ტაქსილს ზედმეტი მოსდის. ვინაიდან აბატი თქვენ გამომიგზავნეთ, ახლა თქვენ უნდა მიხედოთ მასაც და ტაქსილსაც.

სიმონინი აღიარებს, რომ რაღაცეები კარგად აღარ ახსოვს. თითქოს აგონდება, რომ აბატ დალა პიკოლას ტაქსილისთვის უნდა მიეხედა, მაგრამ არ ახსოვს, თავად დაევალებინოს მისთვის რამე. ებიუტერნს რომ დაჰპირდა ამ საქმის მოგვარებას, ეს ზუსტად იცის. უთხრა, ჯერჯერობით ებრაელების საკითხზე ვმუშაობ და ვცდილობ, დრიუმონის ხალხზე გავიდეო. მაშინ სიმონინიმ აშკარად იგრძნო ებიუტერნის კეთილგანწყობა დრიუმონისადმი და გაოცდა, ჩაეკითხა კიდეც, ხომ მეუბნებოდით, მთავრობას ანტიებრაულ კამპანიაში გარევა არ სურსო?

– ვითარება იცვლება, კაპიტანო, – უპასუხა ებიუტერნმა. – ხომ ხედავთ, სულ ცოტა ხნის წინ ებრაელები ან გეტოებში გამოკეტილი ლატაკები იყვნენ (რუსეთში ან თუნდაც რომში დღემდე ასეა), ან – მსხვილი ბანკირები, როგორც საფრანგეთში. ღარიბ ებრაელებს მევახშეობითა და ექიმის ხელობით გაჰქონდათ თავი, მაგრამ ვინც ქონებას დააგროვებდა, სამეფო კარს ასესხებდა ფულს და მეფეების ხარჯზე ისქელებდა ჯიბეს. ომები ებრაული ფულით ფინანსდებოდა. ასე რომ, ბუნებრივია, ებრაელები მუდამ ძალაუფლების მქონეთ უჭერდნენ მხარს და პოლიტიკაში არ ერეოდნენ. მათ მხოლოდ ფინანსური სამყა-

რო აინტერესებდათ, მრეწველობაში ფულს არ აბანდებდნენ. ამ ყველაფრის შედეგები ჩვენც გვიან გავაცნობიერეთ. რევოლუციის შემდეგ სახელმწიფოებს ბევრად მეტი ფული დასჭირდათ, ვიდრე ებრაელებს შეეძლოთ მიცემა, ასე რომ ებრაელებმა თანდათან დაკარგეს მონოპოლია კრედიტების გაცემაზე. ამასობაში – ამას ახლა ვხვდებით – რევოლუციამ მართლა მოიტანა, საფრანგეთში მაინც, სამოქალაქო თანასწორობა და გეტოებში მცხოვრებ ღატაკთა გარდა, ებრაელებიც ბურჟუებად იქცნენ: არა მხოლოდ მსხვილ კაპიტალისტურ ბურჟუაზიას შეუერთდნენ, არამედ წვრილ ბურჟუაზიასაც – სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს, სახელმწიფო მოხელეებს, სამხედრო მოსამსახურეებს. იცით, დღეს რამდენი ებრაელია სამხედრო სამსახურში? იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე თქვენ გგონიათ. და მხოლოდ ჯარს არ ვგულისხმობ: ებრაელებმა თანდათან ანარქისტებისა და კომუნისტების წრეებშიც შეაღწიეს. თუ ადრე რევოლუციონერები სნობები იყვნენ და ებრაელებს ამრეზით უყურებდნენ, როგორც კაპიტალისტებსა და ხელისუფლების მოკავშირეებს, ახლა ოპოზიციონერი ებრაელები მომრავლდნენ. განა სხვა ვინ იყო მარქსი, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ ჩვენი რევოლუციონერები? არისტოკრატი ცოლის კმაყოფაზე მცხოვრები ჯიბეგაფხეკილი ბურჟუა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უნივერსიტეტებს მთლიანად ისინი განაგებენ, მათ ხელშია პარიზის ყველა თეატრი, გაზეთების უმრავლესობა, „დებატებიც" კი – მსხვილი ბანკების ოფიციალური გაზეთი.

სიმონინი მაინც ვერ ხვდებოდა, ახლა, როცა ებრაელი ბურჟუები ასე მომძლავრებულიყვნენ, რა აინტერესებდა მათზე ებიუტერნს. პასუხად ებიუტერნმა ხელები გაასავსავა:

– არ ვიცი. უბრალოდ ყურადღებაა საჭირო. უნდა ვიცოდეთ, შეიძლება თუ არა ებრაელთა ამ ახალი კატეგორიის ნდობა. მსოფლიოს ხელში ჩასაგდებად ებრაელების შეთქმულებაზე ნაბოდვარს არ ვგულისხმობ! ეს ბურჟუა ებრაელები საკუთარ

ფესვებს არც აღიარებენ, უფრო მეტიც, რცხვენიათ კიდეც საკუთარი წარმომავლობის, მაგრამ ამავე დროს არასანდო მოქალაქეები არიან, რადგან დიდი ხანი არაა, რაც ფრანგებად თვლიან თავს. ხვალვე შეუძლიათ, გაგვყიდონ და, მაგალითად, პრუსიელ ებრაელებს შეეკრან. პრუსიელთა შემოტევის წლებში ჯაშუშების უმრავლესობა სწორედ ელზასელი ებრაელი იყო.

უკვე ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, როცა ებიუტერნმა დაამატა:

– ერთი რამ მინდა დავაზუსტო: ლაგრანჟთან მუშაობის დროს, როგორც ვიცი, ვინმე გავიალისთან გქონდათ კავშირი. თქვენი წყალობით დააპატიმრეს.

– დიახ, გავიალი უშეტის ქუჩის შეთქმულთა მეთაური იყო. მგონი, ყველანი კაიენაში არიან გამომწყვდეულები.

– გავიალის გარდა. ახლახან გაიქცა ციხიდან, პარიზში უნახავთ.

– „ეშმაკის კუნძულიდან" გაქცევა შესაძლებელია?

– გაქცევა ნებისმიერი ადგილიდან შეიძლება, მთავარია, საკმარისი ბოღმა გიდუღდეს გულში.

– რატომ არ აპატიმრებთ?

– იმიტომ, რომ ბომბების სპეციალისტი, შეიძლება, ძალიან გამოგვადგეს. მისი ადგილსამყოფელი გავარკვიეთ: ძველმანებით ვაჭრობს კლინიანკურის ბაზრობაზე. არ გინდათ, დაელაპარაკოთ?

ძნელი არ იყო პარიზში მეძველმანის პოვნა. მართალია, მთელ ქალაქში იყვნენ, მაგრამ მათი სამფლობელო ძირითადად მაინც მუფტარისა და სენ-მედარის ქუჩებს შორის იყო. ისინი, ვინც ებიუტერნს აინტერესებდა, კლინიანკურის კარიბჭესთან, ხის ტოტებით გადახურულ ფარდულებში ვაჭრობდნენ. და ვინ იცის, საიდან ამოდიოდა იმ ნაგვით სავსე ადგილზე ზაფხულობით მზესუმზირები.

იქვე იყო რესტორანი „სველი ფეხები“: ასე იმიტომ შეურქმევიათ, რომ ხალხს საათობით უწევდა გარეთ ლოდინი, სანამ რესტორანში მოხვდებოდა და ორ გროშად დანაყრდებოდა. კლიენტს ვეებერთელა ჩანგალს აძლევდნენ, ალალბედზე ჩაყოფდა უზარმაზარ ქვაბში და იმას ამოიღებდა, რასაც დაარჭობდა. თუ გაუმართლებდა, ხორცის ნაჭერს დაითრევდა, თუ არა – სტაფილოს.

მეძველმანეებს თავიანთი იაფფასიანი ღამის გასათევი სოროებიც ჰქონდათ. ოთახში საწოლი, მაგიდა და ორი მონჯღრეული სკამი იდგა, კედლებზე კი წმინდანთა სურათები ან ნაგავში ნაპოვნი ლითოგრაფიები ეკიდა, იაფფასიანი რომანების სიუჟეტებით. როგორც წესი, პაწაწინა სარკეც იყო ხოლმე კედელზე. ამ ოთახებში მეძველმანეები, პირველ რიგში, ნადავლს ახარისხებდნენ: ძვლის ნაკეთობებს, ფაიფურს, შუშას, გაცრეცილ ბაფთებს, აბრეშუმის ნაკუწებს. დილის ექვს საათზე იწყებდნენ ვაჭრობას და თუ საღამოს შვიდი საათის შემდეგ ქალაქის პოლიცია (როგორც ახლა ეძახიან, ფლიკები) ვინმეს კიდევ წაასწრებდა ქუჩაში, აჯარიმებდა.

სიმონინის სწორედ იქ ეგულებოდა გავიალი. კარგა ხანს ეძება და როგორც იქნა, მიაგნო სარდაფში, სადაც ღვინოსთან ერთად ანისულის ნაყენსაც ყიდდნენ, რომელსაც შხამიან აბსენტს ეძახდნენ (თითქოს ჩვეულებრივი აბსენტი საკმარისად შხამიანი არ იყოს). გავიალი იკითხა და ვიღაც კაცზე მიუთითეს. სიმონინის სახლიდან გასვლის წინ წვერი არ გაუკეთებია, რადგან ახსოვდა, რომ, როცა გავიალი გაიცნო, წვერს არ ატარებდა. ოცდახუთი წელი იყო გასული, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ გავიალის მისი ცნობა არ გაუჭირდებოდა. აი, გავიალის ცნობა კი მართლა შეუძლებელი იყო.

გაფითრებულ, დანაოჭებულ სახეზე წვერი მოეზარდა. გაპოხილ საყელოზე გაქუცული მოყვითალო ჰალსტუხი შეება,

რომელიც თოკივით უკონწიალებდა გაძვალტყავებულ კისერზე. დაძენძილი ქუდი ეხურა და დაჭმუჭნილ ჟილეტზე მომწვანო რედინგოტი ეცვა. მრავალი წლის გაუწმენდავი ფეხსაცმლის თასმები ტყავს მიხმობოდა. სხვა მეძველმანეებისგან გავიალი არაფრით გამოირჩეოდა, მასზე უკეთ არავის ეცვა. სიმონინიმ თავი გაახსენა. თავაზიან შეხვედრას ელოდა, გავიალის კი მზერა გაუქვავდა:

– და თავხედობა გყოფნით, აქ გამომეცხადოთ, კაპიტანო? – სიმონინი დაიბნა და სანამ მოიფიქრებდა, რა ეთქვა, გავიალიმ განაგრძო: – ბრიყვი გგონივართ? მშვენივრად დავინახე, იმ დღეს, ჟანდარმები რომ დაგვადგნენ თავზე და ცეცხლი გაგვიხსნეს, თავში დაახალეთ ტყვია იმ უბედურს, რომელიც თქვენს მეგობრად გაგვაცანით. ვინც იმ დღეს სიკვდილს გადავურჩით, ყველანი კაიენაში გამოგვამწყვდიეს. ორჯერ ორი ოთხია, ბატონო, დიდი ტვინი არ უნდა იმის მიხვედრას, რა მოხდა მაშინ. თანაც, კაიენაში გატარებული თხუთმეტი წელი აბრძენებს ადამიანს: ყველაფერი წინასწარ დაგეგმეთ, რომ თავადვე გაგეცათ შეთქმულება. ალბათ, კარგად გადაგიხადეს.

– მერე რა? გინდათ, შური იძიოთ? კაცს აღარ ჰგავხართ, სიმართლესაც რომ ამბობდეთ, პოლიცია მაინც მე დამიჯერებს. საკმარისია, ერთი სიტყვა ვუთხრა, ვისაც საჭიროა და ისევ კაიენაში მიგაბრძანებენ.

– თუ ღმერთი გწამთ, კაპიტანო. დამაბრძენა-მეთქი კაიენაში გატარებულმა წლებმა. როცა შეთქმულებას გეგმავ, იმასაც მოელი, რომ ადრე თუ გვიან დამსმენს პირისპირ გადაეყრები. ომობანას თამაშივითაა. თანაც, არ მახსოვს, ვინ თქვა, სიცოცხლის ბოლოს ყველა რევოლუციონერი ტახტისა და საკურთხევლის დამცველი ხდებაო. მე ტახტიც ფეხებზე მკიდია და საკურთხეველიც, დიადი იდეალების ეპოქა, ჩემი აზრით, დასრულებულია. ამ ეგრეთ წოდებულ მესამე რესპუბლიკაში ისიც კი გაუგებარია, ვინაა ტირანი, რომელიც სიცოცხლეს

უნდა გამოვასალმოთ. ჯერჯერობით ერთადერთი რამ კიდევ მეხერხება: ბომბების დამზადება. თქვენი დანახვა მაფიქრებინებს, რომ სწორედ ბომბები გჭირდებათ. კი, ბატონო, ოღონდ გადამიხადეთ. სად ვცხოვრობ, თავადაც ხედავთ. უკეთესი ბინა და საკვები მინდა, მეტი არაფერი. მითხარით, ვინ უნდა გავისტუმრო საიქიოს? როგორც ყველა ყოფილი რევოლუციონერი, მეც გამყიდველი ვარ. ამ ხელობას უთუოდ კარგად იცნობთ.

– ბომბები მინდა, გავიალი. ოღონდ ჯერ არ ვიცი, სად, ვისთვის, როგორი. დრო რომ მოვა, მაშინ დავილაპარაკებთ ამაზე. ფულს, წარსულის ლაქების ჩამორეცხვას და ახალ საბუთებს გპირდებით.

გავიალიმ უთხრა, მნიშვნელობა არ აქვს, ვის გავუწევ სამსახურს, მთავარია, კარგად გადამიხადოსო. სიმონინიმ საკმარისი ფული დაუტოვა, ერთი თვე მაინც არ დასჭირდებოდა ნაგავში ქექვა. ციხეზე კარგად არაფერი აჩვევს ადამიანს მორჩილებას.

ებიუტერნმა მოგვიანებით აცნობა სიმონინის, რაც ევალებოდა გავიალის. 1893 წლის დეკემბერში ერთმა ანარქისტმა, ვინმე ოგიუსტ ვაიანმა, ლურსმნებით სავსე პატარა ასაფეთქებელი მოწყობილობა შეაგდო დეპუტატთა პალატაში ყვირილით: „სიკვდილი ბურჟუაზიას! გაუმარჯოს ანარქიას!“ სიმბოლური ჟესტი იყო, თავად ვაიანმაც თქვა მოგვიანებით სასამართლოზე, ვინმეს მოკვლა რომ მნდომებოდა, ბომბს დენთით გავტენიდიო. ასე რომ, არ გამოგივათ, თავი წამაგდებინოთ და სანახაობით დატკბეთო. თუმცა, სხვებისთვის ჭკუის სასწავლებლად, თავი მაინც წააგდებინეს. მაგრამ პრობლემა ეს არ იყო: უშიშროების სამსახურს ეშინოდა, ამგვარი საქციელი ხალხს გმირულად არ მოენათლა და მისაბაძი არ გამხდარიყო.

– არიან მავნებლები, – უხსნიდა ებიუტერნი სიმონინის, – რომლებიც ამართლებენ და აქეზებენ ტერორსა და საზოგა-

დოებრივ უწესრიგობას. თავად კი არხეინად ატარებენ დროს კლუბებსა და რესტორნებში, პოეზიაზე ლაყბობენ და შამპანურს წრუპავენ. ხომ უყურებთ ამ ჯღაბნია ჟურნალისტს, ლორან ტაიადს (თანაც დეპუტატია და მისი ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე კიდევ უფრო ძლიერია ), ვაიანზე დაწერა: „რა მნიშვნელობა აქვს მსხვერპლს, როცა თავად ჟესტი მშვენიერიაო?“ სახელმწიფოსთვის ტაიადები უფრო საშიშები არიან, ვიდრე ვაიანები, რადგან მათ თავსაც ვერ წააგდებინებ ადვილად. საჯაროდ უნდა ვასწავლოთ ჭკუა ამ ინტელექტუალებს, რომლებიც მუდამ მშრალზე გამოდიან.

ეს „ჭკუის სწავლება“ კი სიმონინისა და გავიალის დაევალათ. რამდენიმე კვირის შემდეგ მდიდრულ რესტორან „ფუაიოში“, სადაც ტაიადი სადილობდა ხოლმე, ბომბი აფეთქდა და ტაიადმა ცალი თვალი დაკარგა (გავიალი ნამდვილი გენიოსი იყო, ბომბი ისე იყო გათვლილი, რომ მსხვერპლი კი არ მოეკლა, დაესახიჩრებინა). სამთავრობო გაზეთები სარკაზმით გამოეხმაურნენ ამ ამბავს: „ბატონო ტაიად, როგორ მოგეწონათ ეს მოხდენილი ჟესტი?“ მშვენიერი სვლა იყო მთავრობის, სიმონინისა და გავიალის მხრიდან: ტაიადმა ამ ამბავს, თვალის გარდა, რეპუტაციაც გადააყოლა.

ყველაზე კმაყოფილი მაინც გავიალი იყო და სიმონინის სამართლიანად ეჩვენებოდა სიცოცხლისა და ღირსების დაბრუნება მისთვის, ვინც ბედის მუხანათობით ოდესღაც ყველაფერი დაკარგა.

იმავე წლებში ებიუტერნმა სიმონინის სხვა დავალებებიც მისცა. პანამის სკანდალი უკვე ყველას მობეზრებოდა: ის, რაც გაუთავებლად მეორდება, ადრე თუ გვიან აუცილებლად ბეზრდება ხალხს. დრიუმონს ეს ამბავი აღარ აინტერესებდა, თუმცა ზოგიერთები ჯერ კიდევ სულს უბერავდნენ მინავლებულ ნაკვერცხალს და მთავრობას, როგორც ჩანს, მაინც ადარდებ-

და, რომ ის საქმე ხელახლა არ აალებულიყო (თუ როგორ ამბობენ ახლა?). ხალხის ყურადღება სხვა რამეზე უნდა გადაეტანათ და ებიუტერნმა სიმონინის დაავალა, ერთი კარგი არეულობა მოეწყო, რომელიც გარკვეული ხნით გაზეთების პირველ გვერდებს დაიკავებდა.

– ამ საქმის ორგანიზება ადვილი არაა, – უთხრა სიმონინიმ. მაშინ ებიუტერნმა შეახსენა, რომ, როგორც წესი, პირველები სტუდენტები აყაყანდებიან ხოლმე. ყველაფერს აჯობებდა, სტუდენტების ხელით წამოეწყო არეულობა და მერე ჩაერთო საქმეში საზოგადოებრივი არეულობის გამოცდილი ექსპერტი.

სიმონინი არ იცნობდა სტუდენტურ სამყაროს, მაგრამ მაშინვე იფიქრა, რომ მას მხოლოდ სტუდენტების რევოლუციური ან სულაც ანარქისტული ნაწილი სჭირდებოდა. ვინ იცნობდა ყველაზე კარგად ანარქისტებს? ის, ვისი ხელობაც მათთან დაახლოება და შემდეგ მათი დასმენა იყო: რაჩკოვსკი. რაჩკოვსკიმ წვეტიანი კბილები დაკრიჭა (თავად ამას მეგობრულ ღიმილად თვლიდა) და ჰკითხა, ამიხსენით, ზუსტად რა გჭირდებათო.

– რამდენიმე სტუდენტი მჭირდება, რომლებიც მზად არიან, ბრძანებისთანავე ყაყანი ატეხონ.

– მაგაზე ადვილი არაფერია, – უთხრა რუსმა, – „შატორუჟში“ მიბრძანდით.

„შატო-რუჟი“ ერთი შეხედვით ჯიბეგაფხეკილთა რესტორანი იყო ლათინურ კვარტალში, გალანდის ქუჩაზე. ჩიხის ბოლო შენობა იყო, ფასადი სისხლისფრად შეეღებათ. კარშივე შეგეფეთებოდათ დამპალი, დაობებული საკვების სიმყრალე და წლობით ნათუხთუხები იაფფასიანი წვნიანების ოხშივარი. გაპოხილ კედლებზე ცხიმის შხეფები მიმხმარიყო. უცნაურიც კი იყო, რას გაეზუნტლა ისე საშინლად იქაურობა: საჭმელი თავად უნდა მიგეტანა, მხოლოდ ღვინოს ყიდდნენ და შესვლისას

თეფშს გაძლევდნენ. პირველ დარბაზში თუთუნისა და გაზის ნამწვის სქელი კვამლი იდგა და თითქოს ამ კვამლით დაბანგულ მაწანწალებს ერთიმეორეზე მიწოლილებს ეძინათ.

შიგა დარბაზები დაფეხვილი ბებერი ბოზებითა და თოთხმეტიოდე წლის თავხედი კახპა გოგოებით იყო სავსე. ქალებს უძილობისგან ჩაშავებული თვალები და ჭლექით გადაფითრებული სახეები ჰქონდათ. კლიენტები უბნის თაღლითები და ავაზაკები იყვნენ, ყალბთვლიანი ბეჭდებით და პირველი დარბაზის მათხოვრებზე ოდნავ უკეთესი რედინგოტებით. იმ სიბინძურესა და ალიაქოთში მდიდრულად ჩაცმული ქალები და საღამოს ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცებიც ირეოდნენ, რადგან „შატო-რუჟის“ სტუმრობა ლამის სავალდებულო რიტუალად ქცეულიყო ქალაქში: გვიან საღამოს, თეატრის შემდეგ, მდიდრული კარეტები ჩერდებოდა მის შესასვლელთან და თითქმის მთელი პარიზი დადიოდა ამ ჭაობში, რომ კრიმინალური ცხოვრების გემო შეეგრძნო. კლიენტების დიდ ნაწილს, სავარაუდოდ, „შატო-რუჟის“ უფასო ალკოჰოლური ნაყენი იზიდავდა. მეპატრონე სპეციალურად ამზადებდა მას პატიოსანი ბურჟუების მოსაზიდად და უფასოდ სთავაზობდა კლიენტებს აბსენტთან ერთად, რაშიც ორმაგს ახდევინებდა.

რაჩკოვსკის მითითებით „შატო-რუჟში“ სიმონინი ვინმე ფაიოლს დაუკავშირდა, რომელიც ადამიანის ჩანასახებით ვაჭრობდა. ბებერი ფაიოლი მთელი დღე პარიზის საავადმყოფოებში დაეხეტებოდა და ებრიონებსა და უდღეური ჩვილების გვამებს აგროვებდა, რომ მერე სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებისთვის მიეყიდა. ნაშოვნ ფულს კი საღამოობით „შატო-რუჟის“ ოთხმოცგრადუსიან სპირტში ხარჯავდა. ფაიოლი ისე იყო აქოთებული ლეშის სუნით, რომ „შატო-რუჟის“ სიმყრალეშიც კი ვერავინ ეკარებოდა. მაგრამ ამბობდნენ, რომ კარგად იცნობდა სტუდენტურ წრეებს, განსაკუთრებით მარადიულ სტუდენტებს, რომლებსაც ბუნტისთავობა უფრო ეხერხებოდათ, ვიდრე



*...შიგა დარბაზები დაფეხვილი ბებერი ბოზებითა და თოთხმეტიოდე წლის თავხედი კახპა გოგოებით იყო სავსე. ქალებს უძილობისგან ჩაშავებული თვალები და ჭლექით გადაფითრებული სახეები ჰქონდათ. კლიენტები უბნის თაღლითები და ავაზაკები იყვნენ, ყალბთვლიანი ბეჭდებით და პირველი დარბაზის მათხოვრებზე ოდნავ უკეთესი რედინგოტებით....*

ემბრიონების შესწავლა და როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, ალიაქოთს ტეხდნენ.

სწორედ იმ დღეებში ლათინური კვარტლის ახალგაზრდები ერთ ბებერ, პარიკიან სენატორზე, ბერანჟეზე იყვნენ გაცეცხლებულები, რომლისთვისაც „უმწიკვლო მოძღვარი“ შეერქმიათ მეტსახელად. ამ ბერანჟეს ეკუთვნოდა კანონპროექტი, რომელიც ზნეობის ნორმების დარღვევას კრძალავდა. უზნეობის მსხვერპლი, პირველ რიგში (პირდაპირ ასე ეწერა კანონში), სტუდენტები არიანო. ეს ყველაფერი ერთი ჩათქვირებული ქალის, სარა ბრაუნის, წარმოდგენებმა გამოიწვია. სანახაობას „ოთხი ხელოვნების ცეკვა“ ერქვა, რომელშიც ბრაუნი ნახევრად ტიტველი (სავარაუდოდ, დაუბანელიც, ძრწოლით ფიქრობდა სიმონინი) ცეკვავდა სცენაზე.

სტუდენტები ადვილად ვერ შეელეოდნენ ამ საამო სანახაობას. ფაიოლის ჯგუფი უკვე აპირებდა ღამით სენატორის სახლის ფანჯრებქვეშ აყალმაყალის ატეხას. მხოლოდ იმის გაგება იყო საჭირო, ზუსტად როდის გეგმავდნენ ამას, რომ ახლომახლო დაქირავებული უსაქმურები დაედარაჯებინათ, რომლებიც სტუდენტებს შეუერთდებოდნენ და ჩხუბად აქცევდნენ ახალგაზრდების პროტესტს. მცირედი გასამრჯელოს სანაცვლოდ ფაიოლი იზრუნებდა ამ ყველაფერზე. სიმონინის მხოლოდ დღე და საათი უნდა შეეტყობინებინა ებიუტერნისთვის.

მოკლედ, როგორც კი სტუდენტები სენატორის სახლთან აყაყანდნენ, ჟანდარმები წამოადგნენ თავზე. პლანეტის ნებისმიერ გრძედსა თუ განედში იგივე ხდება: ვერავინ იწვევს ხალხში საომარ ვნებებს უფრო წარმატებით, ვიდრე პოლიცია. ვიღაცამ ქვა ისროლა, ატყდა წივილ-კივილი, რომელიღაც ჟანდარმმა შუშხუნა ისროლა კვამლის გასაშვებად, მაგრამ შემთხვევით ვიღაც უბედურ გამვლელს თვალში მოარტყა. მოკლედ, მსხვერპლიც ბუნებრივად, თავისთავად გამოვიდა, ეს კი აუცილებელი იყო. ამას რაც მოჰყვა, თავადაც წარმოიდგენთ:

სასწრაფოდ აიხორხლა ბარიკადები და ნამდვილი ამბოხება დაიწყო. ამ დროს ჩაერთნენ საქმეში ფაიოლის მიერ მუშტების საქნევად დაქირავებული ვიგინდარებიც. სტუდენტები ომნიბუსებს აჩერებდნენ, თავაზიანად სთხოვდნენ მგზავრებს ჩამოსვლას, ცხენებს უშვებდნენ და ომნიბუსებს ბარიკადების ასაგებად აყირავებდნენ. ვიღაც-ვიღაცეები კი ცეცხლს უკიდებდნენ ომნიბუსებს. მოკლედ, აყალმაყალი ამბოხებაში გადაიზარდა და ამბოხება რევოლუციას დაემსგავსა. ამ ამბავმა კარგა ხნით დაიკავა გაზეთების პირველი გვერდები. პანამა აღარავის გახსენებია.

*ბორდერო*

1894 წელი სიმონინისთვის ყველაზე შემოსავლიანი გამოდგა. ყველაფერი თითქმის შემთხვევით მოხდა, თუმცა შემთხვევასაც უნდა ხოლმე ხელის წაშველება.

დრიუმონი საშინლად ბრაზობდა სამხედრო ძალებში ებრაელთა რაოდენობის ზრდის გამო.

– ამაზე ხმას არავინ იღებს, – ვერ ისვენებდა დრიუმონი, – რადგან სამშობლოს ამ პოტენციურ მოღალატეებზე ლაპარაკი, თანაც ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფო ინსტიტუციაში, და აღიარება, რომ ამ იუდეველებმა ჯარი წაგვიბილწეს (მკვეთრად იმეორებდა „იუდეველებს“ და ამ სიტყვაში ებრაელთა მთელი მოდგმისადმი ცხოველურ ზიზღს ატევდა), ჯარისადმი ნდობის დაკარგვას გამოიწვევს. მაგრამ ვინმემ ხომ უნდა ამოიღოს ამაზე ხმა? იცით, როგორ ცდილობს ახლა ებრაელი პატივისცემის მოპოვებას? ან ოფიცრის კარიერით და არისტოკრატიულ სალონებში ტყლარჭვით, ან ხელოვანისა და პედერასტის სახელით დამკვიდრებით. ჰერცოგების ნებიერა ცოლებს მობეზრდათ ძველებური ყაიდის, ფრაკიან ვაჟბატონებთან ან წესიერ

კანონიკოსებთან მრუშობა, ვეღარ ძღებიან, ვეღარ ერთობიან, ეგზოტიკას, გარყვნილებას ეძებენ და ამძუვნებულები, ქალივით გაპრანჭულ, ფერუმარილით გათხუპნილ და სუნამოში ამოვლებულ კაცებთან ავხორცობენ. მაგრამ მაღალი საზოგადოების ხრწნა დიდად არ მადარდებს, ამათზე უკეთესები არც ძველი დროის მარკიზების ცოლები იყვნენ, მეფეებთან რომ კოტრიალობდნენ საწოლში. მაგრამ ჯარის გახრწნა ფრანგული ცივილიზაციის დასასრული იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ ებრაელ ოფიცერთა დიდი ნაწილი პრუსიელების ჯაშუშია, მაგრამ ამის დასამტკიცებლად სამხილები მაკლია.

– სამხილები მჭირდება! – დაღრიალებდა თავზე თავისი გაზეთის თანამშრომლებს.

„თავისუფალი სიტყვის" რედაქციაში სიმონინიმ ესტერჰაზი გაიცნო, დენდი, რომელიც ძალიან ამაყობდა თავისი თავადური წარმომავლობით, ვენაში მიღებული განათლებითა და წარსული თუ მომავალი დუელებით. ყველამ იცოდა, რომ ვალებით იყო დახუნძლული: რედაქტორები, როგორც კი თვალს მოჰკრავდნენ ვითომ საქმიანი იერით მომავალს, დამდუღრულებივით გარბოდნენ, რადგან იცოდნენ, ესტერჰაზისთვის ნასესხები ფული უკან არასდროს ბრუნდებოდა. ცოტა ქალური მანერების პატრონს, პირზე მუდამ ამოქარგული ცხვირსახოცი ჰქონდა აფარებული. ამბობდნენ, ჭლექიანიაო. მისი სამხედრო კარიერა თავგადასავლებით აღსავსე ყოფილა. 1866-ში, იტალიის სამხედრო კამპანიის დროს, კავალერიის ოფიცრად უმსახურია, მერე კი – პონტიფიკუსის ზუავთა რიგებშიც. ბოლოს უცხოურ ლეგიონში იბრძოდა თურმე, 1870 წლის ომში. ხმები დადიოდა, სამხედრო კონტრდაზვერვასთან თანამშრომლობსო, მაგრამ ცხადია, ეს ფორმაზე არ ეტყობოდა. დრიუმონი დიდ პატივს სცემდა მას, ალბათ, სამხედრო ძალებთან ურთიერთობისთვის სჭირდებოდა.

ერთხელ ესტერჰაზიმ სიმონინი ვახშმად დაპატიჟა „ბეფ ა-ლა მოდში“. მან ჯერ ბატკნის სუკი შეუკვეთა ქორფა სატაცურის გარნირით, შემდეგ ყურადღებით შეისწავლა ღვინოების მენიუ და ბოლოს საქმეზე გადავიდა: – კაპიტანო სიმონინი, ჩვენი მეგობარი დრიუმონი ისეთ მტკიცებულებებს ეძებს, რომლებსაც ვერასოდეს მიაგნებს. მთავარი ის არაა, გავიგოთ, არიან თუ არა ჯარში ებრაული წარმოშობის პრუსიელი ჯაშუშები. მოთმინება გვმართებს, ჯაშუშები ყველგან არიან და ცოტა მეტი იქნება თუ ნაკლები, არ გვადარდებს. პოლიტიკური პრობლემა ისაა, დავამტკიცოთ, რომ არიან. დამეთანხმებით, ალბათ, რომ ჯაშუშის ან შეთქმულის გამოსავლენად სამხილებზე ნადირობა სულაც არაა აუცილებელი. ბევრად უფრო მარტივი და იაფია, თავად შექმნა სამხილი ან, თუ შესაძლებელია, თავად ჯაშუშიც. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა შევარჩიოთ ებრაელი ოფიცერი, რომელსაც საეჭვო რეპუტაცია აქვს რამე პირადი, ადამიანური სისუსტის გამო და დავამტკიცოთ, რომ მან მნიშვნელოვანი ინფორმაცია გადასცა პრუსიის საელჩოს პარიზში.

– „ჩვენო“, რომ ამბობთ, ვის გულისხმობთ?

– საფრანგეთის სადაზვერვო სამსახურის სტატისტიკის განყოფილებას, რომელსაც ვიცე-პოლკოვნიკი სანდერი ხელმძღვანელობს. ალბათ, იცით, რომ ეს განყოფილება, სრულიად ნეიტრალური სახელით, ძირითადად გერმანელებს უთვალთვალებს: ჯერ იმით იყო დაინტერესებული, რასაც ისინი თავიანთ ქვეყანაში აკეთებენ: მოიპოვებდა ყველანაირ ინფორმაციას გაზეთებიდან, მივლინებაში მყოფი ოფიცრების ანგარიშებიდან, ჟანდარმერიებიდან, საზღვრის ორივე მხარეს გაფანტული ჩვენი აგენტებიდან. ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტი გაეგო მათ სამხედრო ორგანიზაციაზე, კავალერიის დივიზიების რაოდენობაზე, ჯარისკაცის ჯამაგირზე, მოკლედ ყველაფერზე. ამ ბოლო ხანებში კი სამსახურმა გადაწყვიტა, ისიც გაარკვიოს, რას საქ-

მიანობენ გერმანელები ჩვენს ქვეყანაში. ზოგიერთი დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ამ შერევით უკმაყოფილოა, მაგრამ ეს ორი საქმე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. უნდა ვიცოდეთ, რა ხდება გერმანიის საელჩოში, რადგან ის უცხო ქვეყნის ტერიტორიაა. ეს დაზვერვის საქმეა, მაგრამ იქ ჩვენზეც მოვიპოვებთ ინფორმაციას: ეს უკვე კონტრდაზვერვაა. მათ საელჩოში ვინმე მადამ ბასტიანი გვყავს ინფორმატორად, დამლაგებელია და ოფიციალურად წერა-კითხვის უცოდინარია. სინამდვილეში წერა-კითხვა კი არა, გერმანულიც სრულყოფილად იცის. საღამოობით საელჩოს თანამშრომლების საქაღალდეებიდან ნაგვის გატანა ევალება და გვაწვდის ჩანაწერებს, დოკუმენტებს, რომლებიც პრუსიელებს (კარგად მოგეხსენებათ, რა რეგვენებიც არიან) განადგურებული ჰგონიათ. მოკლედ, უნდა შევქმნათ დოკუმენტი, რომელიც აჩვენებს, რომ ჩვენი ერთი ოფიცერი საიდუმლო ინფორმაციას გადასცემს პრუსიელებს ფრანგულ შეიარაღებაზე. ასეთ შემთხვევაში ლოგიკურად გაჩნდება ეჭვი იმაზე, ვისაც საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი და გამოააშკარავებენ მოღალატეს. მოკლედ, დასაწყისისთვის ქაღალდი გვჭირდება, ერთგვარი პატარა ჩამონათვალი, მოდით, „ბორდერო“ დავარქვათ. ამიტომ მოგმართეთ, ამბობენ, რომ ამ საქმის დიდოსტატი ხართ.

სიმონინის თავი აღარ აუტკივებია იმაზე ფიქრით, საიდან იცოდა სანდერის სამსახურმა მისი ხელობის შესახებ. შესაძლოა, ებიუტერნისგან. უბრალოდ მადლობა გადაუხადა კომპლიმენტისთვის სანდერს და დააზუსტა: – როგორც ვხვდები, კონკრეტული ადამიანის ხელწერას უნდა მივბაძო.

– უკვე გამოვავლინეთ შესაფერისი კანდიდატი. არის ასეთი კაპიტანი დრეიფუსი, ცხადია, ელზასელი, სტაჟიორად მუშაობს ჩვენს განყოფილებაში. მდიდარი ცოლი შეირთო და ქალთა გულთამპყრობელად მოაქვს თავი. კოლეგები ვერ იტანენ, თუმცა, ქრისტიანიც რომ ყოფილიყო, მაინც ვერ აიტანდნენ.




...დანარჩენი დრიუმონის საქმეა: საქვეყნო სკანდალის ატეხა, ებრაული საფრთხის მხილება...

დრეიფუსს არავინ გამოესარჩლება. იდეალურია მსხვერპლად შესაწირად. როგორც კი დოკუმენტი ხელთ გვექნება, შემოწმდება და დრეიფუსის ხელწერას ამოვიცნობთ. დანარჩენი დრიუმონის საქმეა: საქვეყნო სკანდალის ატეხა, ებრაული საფრთხის მხილება და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ღირსების გადარჩენა, რომელმაც ასე ოსტატურად შეძლო საფრთხის გამოვლენა და გაუვნებლება. გასაგებია?

დღესავით ნათელი იყო. ოქტომბრის პირველ რიცხვებში სიმონინი ვიცე-პოლკოვნიკ სანდერის კაბინეტში იდგა. სანდერს მიწისფერი, უღიმღამო სახე ჰქონდა. მართლა იდეალური ფიზიონომია იყო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურის შეფისთვის.

– აი, დრეიფუსის ხელწერის ნიმუში. ესეც ტექსტი, – სანდერმა ორი ფურცელი გაუწოდა, – როგორც ხედავთ, საელჩოს სამხედრო ატაშეს, ფონ შვარცკოფენის სახელზეა დაწერილი. 120-კალიბრიანი ქვემეხის ჰიდრავლიკური მუხრუჭის აღწერილობას და სხვა ამგვარ დეტალებს ეხება. გერმანელები ხომ გიჟდებიან ასეთ რამეებზე.

– არ აჯობებს, რაღაც ტექნიკური დეტალებიც ჩაამატოთ? – შესთავაზა სიმონინიმ. – უფრო დამაჯერებელი იქნება.

– იმედია, გესმით, – უთხრა სანდერმა, – რომ, როგორც კი სკანდალი ატყდება, ეს დოკუმენტი საჯარო გახდება. ტექნიკურ ინფორმაციას გაზეთებში ვერ გამოვაქვეყნებთ. საქმეს მიხედეთ, კაპიტანო სიმონინი. მოხერხებულად რომ იმუშაოთ, ოთახი მოგიმზადეთ ჩვენთან. აქ ყველაფერია, რაც გჭირდებათ: ქაღალდი, კალამი და მელანი. კარგი ნამუშევარი მჭირდება. ნუ იჩქარებთ, ივარჯიშეთ, ხელწერა იდეალური უნდა იყოს.

სიმონინი ასეც მოიქცა. „ბორდერო“ სელის ქაღალდზე დაწერილი ოცდაათიოდეპწკარიანი დოკუმენტი იყო: თვრამეტი

პწკარი პირველ გვერდზე იყო და თორმეტიც – მეორეზე. სიმონინის არც ის დავიწყებია, რომ პირველ გვერდზე სტრიქონები მწყობრი, თანაბრად დაშორებული ყოფილიყო ერთმანეთისგან, მეორეზე კი – უფრო ნაჩქარევი და დაუდევარი. ასე ხდება ხოლმე, როცა აღგზნებულ მდგომარეობაში წერს ადამიანი: ნელა, გაშლილად იწყებს და მერე აჩქარებს ხელს. ისიც გაითვალისწინა, რომ ასეთ დოკუმენტს საქაღალდეში გადაგდებამდე ხევენ. სტატისტიკის სამსახურს დანაკუწებული წერილის აწყობა მოუწევდა, ამიტომ ჯობდა, ასოებიც საკმარისად დაეშორებინა, რომ ნაწერის აწყობა არ გასჭირვებოდათ. ამ ყველაფერთან ერთად ზუსტად უნდა მიებაძა სასურველი ხელწერისთვის.

მოკლედ, ხარისხიანად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა.

სანდერმა ამონაწერი სამხედრო სამინისტროში გენერალ მერსიეს გადაუგზავნა და ყველა დოკუმენტზე მკაცრი კონტროლის დაწესება ბრძანა, რაც კი განყოფილებაში ხვდებოდა. მალე შეატყობინეს, ხელწერა დრეიფუსის არისო. დრეიფუსი 15 ოქტომბერს დააპატიმრეს. ორი კვირის მანძილზე ოსტატურად მალავდნენ ინფორმაციას, მოზომილად ჟონავდა გარეთ ცნობები, რომ ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობა გაეღვიძებინათ. მერე ნელ-ნელა, ჯერ ჩურჩულით და ყურში თქმით დაიწყეს სახელის წარმოთქმა, იფიცებდნენ, საიდუმლოაო და ბოლოს, როგორც იქნა, აღიარეს, რომ დამნაშავე კაპიტანი დრეიფუსი იყო.

სანდერმა ნება დართო თუ არა, ესტერჰაზიმ მაშინვე დრიუმონს შეატყობინა, რომელიც რედაქციის ოთახებში დარბოდა, წერილს იქნევდა და ყვიროდა: „სამხილი! სამხილი! აი, სამხილი!“

„თავისუფალი სიტყვის“ 1-ლი ნოემბრის ნომერი ვეებერთელა ასოებით იწყებოდა: „ღალატი უმაღლეს სამხედრო ეშელონებში. დაპატიმრებულია ებრაელი ოფიცერი დრეიფუსი“. კამპანია დაწყებული იყო: მთელი საფრანგეთი აღშფოთებული ბორგავდა.

იმ დილით, როცა რედაქციაში ამ წარმატების სადღეგრძელოს წრუპავდნენ, სიმონინის თვალში მოხვდა ესტერჰაზის წერილი, რომლითაც იგი დრეიფუსის დაპატიმრებას იუწყებოდა. დრიუმონის მაგიდაზე დარჩენილიყო, ზედ ჭიქის კვალი ეტყობოდა, მაგრამ მშვენივრად იკითხებოდა. სიმონინის იმდენი ევარჯიშა ამ ხელწერის მიბაძვაში, რომ შეცდომა გამორიცხული იყო: მის მიერ ასე კარგად ათვისებული ხელწერა ესტერჰაზის იყო. საბუთების გამყალბებელს ასეთი რამეები არ ეშლება.

რა მოხდა? სანდერმა დრეიფუსის ნაწერის ნაცვლად ესტერჰაზის ნაწერი მისცა? შესაძლებელი იყო ასეთი რამ? ძნელი დასაჯერებელი, მაგრამ ფაქტი იყო. შეცდომა მოხდა? თუ საგანგებოდ გააკეთა ეს სანდერმა? რატომ? იქნებ თავად სანდერიც მოატყუა ქვეშევრდომმა, რომელმაც არასწორი ნიმუში მიუტანა? თუ სანდერი მოატყუეს, სასწრაფოდ უნდა შეეტყობინებინა მისთვის, მაგრამ თუ თავად სანდერის მოწყობილი იყო ყველაფერი და სიმონინი გაამჟღავნებდა, რომ ჩანაფიქრს მიუხვდა, საფრთხეში იგდებდა თავს. ესტერჰაზი რომ გაეფრთხილებინა? ჰო, მაგრამ თუ სანდერმა საგანგებოდ არია ნაწერები ესტერჰაზისთვის ზიანის მისაყენებლად, ამ შემთხვევაში სიმონინი მსხვერპლს ეხმარებოდა და საიდუმლო სამსახურს უპირისპირდებოდა. გაჩუმებულიყო? მისთვის რომ დაებრალებინათ ხელწერის შეცვლა?

ეს შეცდომა სიმონინის ბრალი არ იყო და მას მხოლოდ ამის დაზუსტება სურდა. განსაკუთრებით კი ის უნდოდა, მისი შექმნილი ყალბი საბუთები „ნამდვილი“ ყოფილიყო. გადაწყვიტა, გაერისკა და სანდერს მიაშურა, რომელმაც თავიდან არ ისურვა მისი მიღება. ალბათ, შანტაჟის ეშინოდა.

მაგრამ როცა სიმონინიმ სიმართლე გაუმხილა (ერთადერთი სიმართლე ტყუილის იმ ზღვაში), სანდერს კიდევ უფრო მიწისფერი დაედო და თითქოს დაჯერება არ ისურვა.

– პოლკოვნიკო, – უთხრა სიმონინიმ, – დარწმუნებული ვარ, ბორდეროს ერთი ასლი შენახული გექნებათ. იშოვეთ დრეიფუსის ხელწერის ნიმუში და ესტერჰაზისას შეადარეთ.

სანდერმა რამდენიმე ბრძანება გასცა და მალე მის საწერ მაგიდაზე ფურცლები ელაგა. სიმონინიმ ტექსტი დაუდო:

– დახედეთ, ესტერჰაზის ნაწერში ყველა სიტყვაში, სადაც ორი ს-ა, მაგალითად, adresse ან intéressant, პირველი ს მეორეზე პატარაა და ასოები არასოდესაა გადაბმული. ამ დილით პირველ რიგში ეს დეტალი მეცა თვალში, რადგან ამ თავისებურებაზე განსაკუთრებით ბევრი ვიმუშავე, როცა დოკუმენტს ვაკეთებდი. ახლა დრეიფუსის ხელწერას დახედეთ, რომელსაც პირველად ვხედავ: პირველი ს მეორეზე დიდია და ასოები ყველგან გადაბმულია. გნებავთ, გავაგრძელო?

– არა, არა, კმარა. არ ვიცი, როგორ მოხდა გაუგებრობა, გამოვიკვლევ ამას. საქმე ისაა, რომ დოკუმენტი ახლა უკვე გენერალ მერსიეს ხელთაა და ნებისმიერ დროს შეიძლება, მოისურვოს მისი შედარება დრეიფუსის ხელწერასთან. თუმცა გამოუცდელია და შეიძლება, განსხვავება ვერც შენიშნოს, ეს ორი ხელწერა საკმაოდ წააგავს ერთმანეთს. მთავარია, ესტერჰაზის ხელწერის შედარებაც არ მოუვიდეს აზრად. მაგრამ არ მესმის, რატომ უნდა იფიქროს მაინცდამაინც ესტერჰაზიზე – თუ თქვენ ხმას არ ამოიღებთ. ეცადეთ, დაივიწყოთ ეს ამბავი და გთხოვთ, აქ ნუღარ მოხვალთ. შრომა სათანადოდ აგინაზღაურდებათ.

ამის შემდეგ სიმონინის საგანგებო არხები აღარ სჭირდებოდა, რომ გაეგო, რა ხდებოდა. გაზეთები დრეიფუსის ამბებით იყო აჭრელებული. თუმცა გენერალურ შტაბში მაინც აღმოჩნდნენ პედანტი ადამიანები და დამატებითი დასაბუთება მოითხოვეს იმისა, რომ დოკუმენტი ნამდვილად დრეიფუსს ეკუთვნოდა. სანდერმა ცნობილ კალიგრაფს, ბერტილიონს მი-

მართა, რომელმაც დაადგინა, ხელწერა დრეიფუსის კალიგრაფიის მთლად იდენტური არაა, მაგრამ ეს აშკარა თვითგაყალბების მცდელობაა, დრეიფუსმა თვითონ შეცვალა (მხოლოდ ნაწილობრივ) საკუთარი ხელწერა, რომ ვერავინ ვერაფერს მიმხვდარიყოო. თუმცა მთლიანობაში ეს უმნიშვნელო დეტალია და დოკუმენტი ნამდვილად დრეიფუსის დაწერილიაო.

ვინ გაბედავდა ეჭვის შეტანას ამაში, როცა „თავისუფალი სიტყვა" გაუთავებლად ამაზე წერდა და იმასაც კი აპარებდა მკითხველს, ეს საქმე, ალბათ, მალე მიჩუმათდება, რადგან დრეიფუსი ებრაელია და ებრაელები მფარველობენო. ორმოცი ათასი ოფიცერია ჯარშიო, წერდა დრიუმონი, და როგორ მოხდა, რომ მერსიემ ეროვნული თავდაცვის საიდუმლოებები მაინცდამაინც ელზასელ კოსმოპოლიტ ებრაელს მიანდოო. მერსიე ლიბერალი იყო და უკვე დიდი ხანია, დრიუმონი და ნაციონალისტური პრესა ემტერებოდნენ, ებრაელებისადმი კეთილგანწყობაში ადანაშაულებდნენ. ასე რომ, მერსიე მოღალატე ებრაელის დასაცავად თავს ვერ გამოიდებდა. მის ინტერესებში არ იყო გამოძიებისთვის ხელის შეშლა, პირიქით, ის ფრიად აქტიურობდა.

დრიუმონი არ ცხრებოდა:

– ებრაელებს დიდი ხნის მანძილზე არ აკარებდნენ ჯარს და საფრანგეთის შეიარაღებული ძალები ეთნიკურ სიწმინდეს ინარჩუნებდა. ახლა, როცა იუდეველებმა ჯარშიც შეაღწიეს, მათ ვეღარაფერი შეაჩერებს და ბოლომდე დაეპატრონებიან საფრანგეთს... როტშილდს შეატყობინებენ სამხედრო მობილიზაციის გეგმებს... კარგად იცით, რა მიზნითაც!

დაძაბულობამ პიკს მიაღწია. დრაგუნთა კაპიტანმა კრემიეფოამ დრიუმონს მისწერა, თქვენ ყველა ებრაელ ოფიცერს მიაყენეთ შეურაცხყოფაო და დუელში გამოიწვია. დუელი შედგა და ვინ აღმოჩნდა კრემიე-ფოას სეკუნდანტი? – ესტერჰაზი!.. ამან კიდევ უფრო გაზარდა დაძაბულობა. მარკიზმა დე მორეს-

მა „თავისუფალი სიტყვის“ რედაქციიდან კრემიე-ფოა გამოიწვია დუელში, მაგრამ ზემდგომებმა კაპიტანს მეორე დუელში მონაწილეობის უფლება აღარ მისცეს და ყაზარმაში გამოკეტეს. ასე რომ, კრემიე-ფოას ნაცვლად, დუელში კაპიტანი მაიერი გავიდა. დე მორესის ტყვიამ ფილტვი გაუხვრიტა მეტოქეს. მაიერი იმ დუელს შეეწირა. ამას საშინელი პოლემიკა და რელიგიური შუღლის აგიზგიზების წინააღმდეგ პროტესტი მოჰყვა... სიმონინი აღფთოვანებული ადევნებდა თვალყურს თავისი სულ რაღაც ერთსაათიანი ნამუშევრის ხმაურიან შედეგებს.

დეკემბერში სამხედრო საბჭო შეიკრიბა. ამასობაში მეორე დოკუმენტიც გააშანშალეს: იტალიელი სამხედრო ატაშეს, პანიცარდის, წერილი გერმანელებისადმი. პანიცარდი ახსენებდა ვიღაც „გარეწარ დ...“-ს, რომლისგანაც ვითომდა რაღაც სამხედრო ნახაზები ეყიდა. „დ“ დრეიფუსს ნიშნავდა? ამაში ეჭვიც არავის შეჰპარვია, მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ეს ვინმე დიუბუა იყო, სამინისტროს თანამშრომელი, რომელიც თითო დოკუმენტს ათ ფრანკად ყიდდა. მაგრამ უკვე გვიანი იყო, 22 დეკემბერს დრეიფუსი დამნაშავედ ცნეს, იანვრის დასაწყისში სამხედრო ჩინი ჩამოართვეს და თებერვალში „ეშმაკის კუნძულზე“ უპირებდნენ გამწესებას.

სიმონინი საგანგებოდ დაესწრო სამხედრო აკადემიის ეზოში ჩინის ჩამორთმევის ცერემონიას, რომელსაც დღიურში იგონებს, როგორც „საოცრად შთამბეჭდავს“: გალავნის კედლების გასწვრივ ჯარი იყო ჩამწკრივებული, დრეიფუსს შუაში უნდა გაევლო და, თუმცა ჯარისკაცები უძრავად იდგნენ, თითოეული მათგანისგან საშინელი ზიზღი იგრძნობოდა. საოცარი სცენა იყო: გენერალმა დარასმა ხმალი იშიშვლა, საყვირები აგუგუნდა და საზეიმო ფორმაში გამოწყობილი დრეიფუსი ოთხი არტილერისტის თანხლებით გენერალს მიუახლოვდა. წინ სერჟანტი მიუძღოდა. დარასმა ხმამაღლა წაიკითხა ჩინის ჩამორთმევის

ბრძანება. შემდეგ ჟანდარმერიის ოფიცერი, ნამდვილი გოლიათი, თავზე ბუმბულებიანი ჩაფხუტით, კაპიტანს მიუახლოვდა და მუნდირიდან სამხრეები, ღილები და პოლკის ნომერი ააწყვიტა. ბოლოს ხმალიც აართვა და მუხლზე გადაიტეხა, ნამტვრევები კი ფეხებთან დაუყარა მოღალატეს.

დრეიფუსი გაუნძრევლად იდგა. პრესამ, ცხადია, ეს მის არამზადობას მიაწერა. სიმონინის მოეჩვენა, რომ ჩინის ჩამორთმევის დროს დრეიფუსმა ჩაილაპარაკა, უდანაშაულო ვარო, მაგრამ არ განძრეულა, გაჯგიმული იდგა. ალბათ, იმიტომო, სარკასტულად შენიშნავს სიმონინი თავის დღიურში, რომ ამ ებრაელ კაცუნას ისე შეეფერებინა ფრანგი ოფიცრის ღირსება (რა უფლებით ატარებდა ამ სახელს!), ზემდგომთა გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვიც კი არ შეჰქონდაო. მათ თუ დაადგინეს, რომ ის მოღალატე იყო, უხმოდ უნდა დათანხმებოდაო. იმწამს, ვინ იცის, თავადაც დაიჯერა, რომ ჯარს უღალატა და თავის მართლება მხოლოდ რიტუალის სავალდებულო ნაწილი იყოო.

სიმონინის ასე ახსოვდა ეს ამბავი, მაგრამ შემდეგ რომელიღაც სკივრში ვინმე ბრესონის სტატიას გადააწყდა, დრეიფუსის ჩინის ჩამორთმევის მეორე დღეს დაებეჭდა „საფრანგეთის რესპუბლიკას“ და იქ სულ სხვა რამ ეწერა:

„იმწამს, როცა გენერალმა ის დამამცირებელი სიტყვები მიახალა, დრეიფუსმა ხელი ასწია და შესძახა: – საფრანგეთს გაუმარჯოს, უდანაშაულო ვარ!

კაპიტნის ჩინი ჩამორთმეულია. ოქრო, რომელიც უნიფორმას ამკობდა, მიწაზეა მიმობნეული. წითელი ლენტებიც კი ააგლიჯეს. საზეიმო მუნდირი გაქუცულ შავ პალტოს დაემსგავსა, ოფიცრის მოხდენილ ქუდსაც მხოლოდ ფერი შერჩა პირვანდელი და დრეიფუსი წამში დაემსგავსა ტუსაღს. კვლავ ყვირის: უდანაშაულო ვარ! მოედნის მეორე ბოლოდან, სადაც სეირის მაყურებლები შეკრებილან, სტვენა და შეურაცხმყოფელი შე-


# Le Petit Journal

Le Petit Journal

Le Supplément illustré

SUPPLÉMENT ILLUSTRÉ

Huit pages : CINQ centimes

ABONNEMENTS

Sixième année

DIMANCHE 13 JANVIER 1895

Numéro 217

LE TRAITRE

Dégradation d'Alfred Dreyfus

*...ჟანდარმერიის ოფიცერი, ნამდვილი გოლიათი, თავზე ბუმბულებიანი ჩაფხუტით, კაპიტანს მიუახლოვდა და მუნდირიდან სამხრეები, ღილები და პოლკის ნომერი ააწყვიტა. ბოლოს ხმალიც აართვა და მუხლზე გადაიტეხა...*

ძახილები აღწევს. დრეიფუსს ბრბოს წყევლა-კრულვა ესმის და ბრაზი ახრჩობს.

როცა ოფიცრების ჯგუფს ჩაუვლის, გარკვევით ესმის სიტყვები: „გაეთრიე, იუდავ!“ დრეიფუსი გამწარებული ყვირის: „უდანაშაულო ვარ! უდანაშაულო ვარ!“

ახლა შეგვიძლია, გავარჩიოთ მისი ნაკვთები. რამდენიმე წუთს შევყურებთ, ვცდილობთ, რამე წავიკითხოთ მის სახეზე, სიმართლე, იმ სულის ანარეკლი, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ მისი მსაჯულები თუ შენიშნავდნენ. ვაკვირდებით, მაგრამ დრეიფუსის გაქვავებულ სახეზე მხოლოდ რისხვა გამეფებულა. შემზარავად დამანჭვია ტუჩები, თვალები ჩასისხლიანებული აქვს. აშკარაა, ბრალდებული იმიტომაა ასე უძრავად, რომ მრისხანებისგან ნერვები დაწყვეტაზე აქვს...

რა უდევს სულში ამ კაცს? რას ემორჩილება მისი გონება, როცა ასე ჯიუტად, ასე სასოწარკვეთით იმეორებს, უდანაშაულო ვარო? იმედი აქვს, რომ საზოგადოებრივ აზრზე მოახდენს გავლენას, ხალხს აფიქრებინებს, რომ მსაჯულებმა უსამართლოდ ცნეს დამნაშავედ? ვუყურებთ და გონებაში გაიელვებს აზრი: მართლა რომ უდანაშაულო იყოს, რა აუტანელი იქნებოდა ამ ადამიანის ტანჯვა!“

სიმონინის იოტისოდენა სინდისის ქენჯნაც არ ეტყობა: დრეიფუსის ბრალში დარწმუნებულია: თავად არ დაუდგინა ბრალი? მაგრამ იმ სტატიასა და თავის მოგონებას შორის განსხვავებამ აშკარად დაანახვა, როგორ შეძრა ერი დრეიფუსის საქმემ და რომ ყველა იმას ხედავდა მომხდარში, რის დანახვაც სურდა.

ეშმაკსაც წაუღია დრეიფუსი. უფრო სწორად, „ეშმაკის კუნძულამდეც“ გზა ჰქონია. ეს სიმონინის საქმე აღარ იყო.

ჰონორარი, რომელიც ფრიად კონფიდენციალურად გადასცეს, მართლა ყოველგვარ მოლოდინს აღემატებოდა.

სიმონინის კარგად ახსოვს, რომ ამ ამბებში ტაქსილისთვის თვალყურის დევნებაც არ ავიწყდებოდა. განსაკუთრებით იმიტომ, რომ დრიუმონის წრეებში ტაქსილზე ბევრს ლაპარაკობდნენ: ჯერ დაცინვით, სკეპტიკურად ახსენებდნენ, შემდეგ კი – შეშფოთებითა და გაღიზიანებით. დრიუმონს ანტიმასონად, ანტისემიტად და ნამდვილ კათოლიკედ მიაჩნდა თავი – თავისებურად იყო კიდეც – და გიჟდებოდა, რომ ვიღაც თაღლითი საქვეყნოდ უჭერდა მხარს მის იდეალებს. ტაქსილი რომ თაღლითი იყო, დრიუმონმა დიდი ხანია იცოდა, ადრეც არაერთხელ გაელანძღა იგი „ებრაული საფრანგეთის" გვერდებზე. სულ იმას ამბობდა, ტაქსილის ყველა ანტიკლერიკალური წიგნი ებრაელი გამომცემლების დაბეჭდილიაო. მაგრამ იმ წლებში პოლიტიკურმა მიზეზებმა კიდევ უფრო გააღრმავა მათ ურთიერთობაში არსებული ბზარი.

აბატ დალა პიკოლასგან უკვე ვიცით, რომ ორივემ წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა პარიზის მუნიციპალიტეტის მრჩევლის პოსტზე და ორივეს ერთი ამომრჩეველი ჰყავდა. ასე რომ, დაპირისპირება გარდაუვალი იყო.

ტაქსილმა დაწერა „მესიე დრიუმონი, ფსიქოლოგიური ეტიუდი", რომელშიც სარკასტულად აკრიტიკებდა მეტოქის ზღვარგადასულ ანტისემიტიზმს. ამბობდა, ებრაელთა სიძულვილს უფრო სოციალიზმისა და რევოლუციის სუნი უდის, ვიდრე კათოლიკობისო. დრიუმონმა „ანტისემიტის ანდერძით" უპასუხა, რომელშიც ეჭვქვეშ აყენებდა ტაქსილის გაქრისტიანებას, იხსენებდა, როგორ ლაფში ამოესვარა ტაქსილს კათოლიკური სიწმინდეები და ეშმაკურ კითხვებსაც სვამდა ებრაული სამყაროსადმი ტაქსილის კეთილგანწყობასთან დაკავშირებით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „თავისუფალი სიტყვა" – პოლიტიკური გაზეთი, რომელმაც პანამის სკანდალის ატეხა მოა-

ხერხა და „ეშმაკი XIX საუკუნეში“, რომელიც ძნელად თუ ჩაით-ვლებოდა სარწმუნო გამოცემად, ერთ წელს – 1892-ში გამო-ვიდა პირველად, გასაგებია, რატომ იყვნენ ტაქსილისადმი ასე სარკასტულად განწყობილი დრიუმონის გაზეთის რედაქციაში და რატომ ქირქილებდნენ ბოროტად მის ყოველ მარცხზე. მარ-ცხი კი ზედიზედ მოსდიოდა.

დრიუმონი წერდა, კრიტიკაზე მეტად ტაქსილს არასასურ-ველი მომხრეები აყენებენ ზიანსო. უამრავი ვიგინდარა იფიცე-ბოდა, პირადად ვიცნობთ დიანა ვოგანსო, რომელიც, ალბათ, ნანახიც არ ჰყავდათ.

ვინმე დომენიკო მარჯოტამ გამოაქვეყნა „ოცდაცამეტიდან ერთ-ერთის მოგონებები. ადრიანო ლემი, თავისუფალ მასონ-თა უმაღლესი წინამძღოლი“, დიანას გაუგზავნა და სოლიდა-რობა გამოუცხადა. მარჯოტა ასე აწერდა ხელს: ფლორენციის „სავონაროლას“ ლოჟის მდივანი, პალმის „ჯორდანო ბრუნოს“ ლოჟის საპატიო ხელმძღვანელი, „უძველესი და დაკანონებუ-ლი შოტლანდიური წესის“ ოცდამეცამეტე საფეხურის უზენაე-სი გენერალური ინსპექტორი, „მემფის-მიზრაიმის წესის“ ოთ-ხმოცდამეთხუთმეტე საფეხურის დიდი მთავრის, კალაბრიისა და სიცილიის „მიზრაიმის“ ლოჟების ინსპექტორი, ჰაიტის „დი-დი აღმოსავლეთის“ საპატიო წევრი, ნეაპოლის უმაღლესი ფე-დერალური საბჭოს წევრი, სამი კალაბრიის მასონური ლოჟების გენერალური ინსპექტორი, „მიზრაიმის აღმოსავლეთის მასო-ნური ორდენის“, იგივე „პარიზის ეგვიპტის“ ოთხმოცდამეათე საფეხურის უმაღლესი საპატიო ოსტატი, „მსოფლიოს მასონე-ბის მცველ რაინდთა ორდენის“ კომენდანტი, „პალერმოს იტა-ლიური ფედერაციის უმაღლესი გენერალური საბჭოს“ მუდმივი და საპატიო წევრი, „ნეაპოლის დირექტორატის“ მუდმივი ინ-სპექტორი და მთავარი წარმომადგენელი და „ახალი, რეფორ-მირებული პალადიუმის“ წევრი. მოკლედ, ჩანდა, რომ ბოლო დრომდე მასონთა მაღალჩინოსანი იყო და ახლახან მიეტოვე-

ბინა მათი რიგები. დრიუმონი ამბობდა, კათოლიკედ იმიტომ მოინათლა, რომ სექტის უმაღლესი და საიდუმლო მმართველის სადავეები მას კი არ ჩააბარეს, როგორც იმედოვნებდა, არამედ ვინმე ადრიანო ლემისო.

მარჯოტა ჰყვებოდა, როგორ დაიწყო იდუმალებით მოცულმა ადრიანო ლემიმ კარიერა ქურდობით: მარსელში ნეაპოლური ფირმის, „ფალკონე და კომპანიის" ყალბი თამასუქები გაუშანშალებია და თვალ-მარგალიტი და სამასი ოქროს ფრანკი მოუპარავს თავისი მეგობარი ექიმის ცოლისთვის, როცა ქალი ჩაის უმზადებდა სამზარეულოში. გარკვეული ხანი ციხეში გაუტარებია, შემდეგ კონსტანტინოპოლში ჩასულა და ერთ მოხუც ებრაელ ფარმაცევტს მსახურად დასდგომია. დაჰპირებია, ნათლობაზე უარს ვიტყვი და წინადაცვეთაზეც თანახმა ვარო. და ასე, ებრაელების დახმარებით გაუკვალავს გზა მასონებში. დანარჩენი უკვე ვიცით.

მარჯოტა ასკვნიდა, იუდას წყეულმა რასამ, რომლისგანაც კაცობრიობის ყოველგვარი მანკიერება იღებს სათავეს, მთელი თავისი ზეგავლენა გამოიყენა, რათა მსოფლიო მასონური ორდენის უმაღლეს მმართველად თავისიანი, ებრაელთაგან ყველაზე მზაკვარი, დაეყენებინაო.

ეკლესიას ხელს აძლევდა ეს ბრალდებები და მარჯოტას წიგნს „პალადიზმი, სატანა-ლუციფერის კულტი მასონურ სამკუთხედებში", რომელიც 1895 წელს გამოქვეყნდა, გრენობლის, მონტობანის, ექსის, ლიმოჟის, მანდის, ტარანტეზის, პამიეს, ორანის, ანსის ეპისკოპოსებისა და იერუსალიმის პატრიარქის – ლუდოვიკო პიავის, ქება-დიდების წერილები უძღოდა წინ.

უბედურება ის იყო, რომ მარჯოტას წიგნში იტალიის პოლიტიკოსების ნახევარი მაინც იყო ჩათრეული, განსაკუთრებით კი – კრისპი, რომელიც თავის დროზე გარიბალდის მოადგილე იყო, იმ წლებში კი სამეფოს პრემიერ-მინისტრი გახლდათ. სანამ მთელი ეს ამბავი მასონურ რიტუალებზე მონაჩმახს ჰგავდა,

სერიოზულად არავის აღელვებდა. მაგრამ თუ საქმე მასონებსა და პოლიტიკურ ძალებს შორის ურთიერთობას შეეხებოდა, ეს, სავარაუდოდ, რამდენიმე ფრიად საშიში და ღვარძლიანი ადამიანის გულისწყრომას გამოიწვევდა.

ტაქსილს, წესით, ეს უნდა სცოდნოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იმის დაბრუნებას ცდილობდა, რაც მარჯოტამ წაართვა. და აი, დიანას სახელით გამოვიდა თითქმის ოთხასგვერდიანი წიგნი „ოცდამეცამეტე კრისპი", რომელშიც უამრავი ცნობილი ფაქტი იყო ერთმანეთში აზელილი: რომის ბანკის სკანდალი, რომელშიც კრისპი იყო გარეული, მისი გარიგება დემონ ჰაბორიმთან და შემდეგ – პალადისტების შეკრებაში მონაწილეობა, როდესაც ისევ იმ სოფია უალდერმა გამოაცხადა, ორსულად ვარ ქალიშვილზე, რომელიც ანტიქრისტეს შობსო.

– ნამდვილი ოპერეტაა! – აღშფოთებული იყო დრიუმონი. – პოლიტიკური ბრძოლა ასე არ გამოვა!

მაგრამ ვატიკანმა მოიწონა წიგნი და ეს კიდევ უფრო აცოფებდა დრიუმონს. ვატიკანს საკუთარი ანგარიშები ჰქონდა კრისპისთან, რომელმაც რომის ერთ-ერთ მოედანზე ჯორდანო ბრუნოს, როგორც ეკლესიის სიბნელის მსხვერპლის, ძეგლი დაადგმევინა და ის დღე პაპმა ლეონ XIII-მ წმინდა პეტრეს ქანდაკების წინ დამხობილმა გაატარა. ადვილი წარმოსადგენია პონტიფიკუსის სიხარული, როცა კრისპის საწინააღმდეგო დოკუმენტები წაიკითხა: თავისი მდივნის, მონსინიორ სარდის პირით დიანას ჩვეული „სამოციქულო დალოცვა" კი არა, გულითადი, პერსონალური მადლობა შეუთვალა და ურჩია, განაგრძეთ ღირსეული შრომა „უწმინდური სექტის" სამხილებლადო. სექტის უწმინდურობას კი ის ადასტურებდა, რომ დიანა სამთავიან ჰაბორიმს აღწერდა: ერთი თავი ადამიანისა იყო, თმის ნაცვლად ცეცხლის ენებით გარშემორტყმული, მეორე – კატისა, მესამე კი – გველის. თუმცა დიანა მეცნიერული სიმკაცრით აზუსტებდა, ამ სახით პირადად არასოდეს მინახავს დემონი,

როცა ვუხმობდი, მუდამ ვერცხლისფერწვერიანი მოხუცის სახით მევლინებოდაო.

– დამაჯერებლობაც კი ფეხებზე ჰკიდიათ! – ბობოქრობდა დრიუმონი. – საფრანგეთში ახლახან ჩამოსულმა ამერიკელმა ქალმა საიდან უნდა იცოდეს იტალიური პოლიტიკის საიდუმლოებები? ხალხი სულ აღარ უყურებს ასეთ რამეებს და დიანაც ადვილად ასაღებს თავის ნაჯღაბნს, მაგრამ პონტიფიკუსი? პაპს ხომ ბრალს დასდებენ, მოლაყბე დედაკაცს უგდებს ყურსო?! თავისივე სისუსტეებისგან უნდა დავიცვათ დედაეკლესია!

დიანას არსებობა პირველად სწორედ „თავისუფალმა სიტყვამ“ დააყენა ეჭვქვეშ. პოლემიკაში მაშინვე ჩაერთვნენ რელიგიური გამოცემები: „მომავალი“ და „სამყარო“. თუმცა ისეთი კათოლიკეებიც იყვნენ, რომლებიც ხავსს ებღაუჭებოდნენ, ოღონდ დიანას არსებობა დაემტკიცებინათ. „როზიე დე მარიმ“ დაბეჭდა სენ-პიერის ვექილთა ორდენის თავმჯდომარის, ლოტიეს, წერილი, რომელიც ირწმუნებოდა, პირადად მინახავს დიანა, როცა მხატვარი მის პორტრეტზე მუშაობდა, ტაქსილი და ბატაიც იქ იყვნენო. ეს კარგა ხნის წინ იყო, როცა დიანა ჯერ კიდევ პალადიზმის მიმდევარი იყო, მაგრამ სახეზე უკვე დაჰნათოდა მომავალი მოქცევის მადლიო. „ოცდაცხრა წლის ყმაწვილი ქალია, ნატიფი, დახვეწილი, საშუალოზე მაღალი, წრფელი სახით, გონიერი თვალებით, ნათელი, მტკიცე მზერით. მოხდენილად, გემოვნებით აცვია და სრულიად ბუნებრივია, საოცრად განსხვავდება სამკაულით დახუნძლული მდიდარი უცხოელი ქალებისგან... თვალები ხან ზღვასავით ლურჯი აქვს, ხანაც ოქროსფრად უბრწყინავს...“ „შარტრეზი“ შესთავაზეს, მაგრამ არ დალია, სძულდა ყველაფერი, რაც ეკლესიას უკავშირდებოდა, მხოლოდ კონიაკი მოსვაო, წერდა ლოტიე.

ტაქსილი მთავარი ფიგურა იყო ტრენტოს დიდ ანტიმასონურ შეკრებაზე 1896 წლის სექტემბერში. მაგრამ სწორედ იმ

შეხვედრაზე იმძლავრა გერმანელ კათოლიკეთა მხრიდან ეჭვებმა და კრიტიკამ. ვინმე პადრე ბაუმგარტენს დიანას დაბადების მოწმობა და იმ ეკლესიის მღვდლის დასტური მოუთხოვია, რომელთანაც დიანამ ფიცით უარყო სატანა. ტაქსილმა განაცხადა, ყველა საბუთი ხელთ მაქვსო, მაგრამ წარდგენით არაფერი წარუდგენია.

ტრენტოს კონგრესიდან ერთი თვის შემდეგ „ფრანგი ერის" ფურცლებზე ვინმე აბატმა გარნიემაც გამოთქვა ეჭვი, რომ დიანა მასონების მონაჩმახი იყო. ამ ვარაუდს მიემხრო პადრე ბაიიც ავტორიტეტული გამოცემა „ჯვრის" საშუალებით. „კიოლნის მაცნემ" კი გაიხსენა, ბატაი-ჰექსი, „ეშმაკის" ტომების გამოსვლამდე სულ ცოტა ხნით ადრე ღმერთისა და წმინდანების ლანძღვა-გინებაში ათენ-აღამებდაო. დიანას დასაცავად ისევ მიუსტელმა, „კათოლიკურმა ცივილიზაციამ" და კარდინალ პაროკის მდივანმა გამოიდეს თავი, „გვინდა, გაგამხნევოთ და გვერდში დაგიდგეთ ცილისწამების ამ ნიაღვარში, რომელიც თქვენს არსებობასაც კი ეჭვქვეშ აყენებსო".

დრიუმონს არც გავლენიანი ნაცნობები აკლდა სხვადასხვა წრეში და არც ჟურნალისტური ალღო. სიმონინიმ ვერ გაიგო, როგორ, მაგრამ ფაქტია, რომ დრიუმონმა შეძლო და საბოლოოდ მაინც გამოჩხრიკა ჰექს-ბატაი. სავარაუდოდ, ალკოჰოლით გაბრუებულს წააწყდა, როცა დარდი და მონანიების სურვილი მოეძალებოდა ხოლმე, რადგან სცენარი მოულოდნელად შეიცვალა: ჰექსმა ჯერ „კიოლნის მაცნის", შემდეგ კი „თავისუფალი სიტყვის" ფურცლებზე აღიარა ტყუილი. გულწრფელად წერდა: „როცა პაპის ენციკლიკა, „Humanum Genus" გამოვიდა, ვიფიქრე, რომ კათოლიკეთა მიამიტობისა და უსაზღვრო სიბრიყვის წყალობით კარგი ფულის შოვნა შეიძლებოდა. ჟიულ ვერნი იყო საჭირო, რომ შემზარავი იერი მიეცა იმ ნაბოდვარისთვის. ჰოდა ეს ვერნი თავად აღმოვჩნდი. სულ ესაა... სა-

კუთარ გამონაგონს ეგზოტიკური ამბებით ვამდიდრებდი, რომელთაც ვერასოდეს ვერავინ შეამოწმებდა... კათოლიკეებმა კი ყველაფერი დაიჯერეს. მათი სიბრიყვე იმდენად უსაზღვროა, ახლაც რომ ვუთხრა, დაგცინოდით-მეთქი, არ დამიჯერებენ".

ამ ამბავს ლოტიე გამოეხმაურა „როზიე დე მარის" ფურცლებზე და თქვა, ალბათ, შევცდი და ქალი, რომელიც ვნახე, დიანა ვოგანი არ იყოო. იეზუიტებმაც არ დააყოვნეს: ისეთ სერიოზულ ჟურნალში, როგორიც იყო „კვლევები", ვინმე პადრე პორტალიეს სტატია დაიბეჭდა. თითქოს ეს არ კმაროდა, ზოგიერთმა გაზეთმა დაწერა, მონსინიორ ნორთროპი, ჩარლსტონის ეპისკოპოსი (სადაც, სავარაუდოდ, პაიკი, დიდოსტატთა დიდოსტატი ცხოვრობდა), საგანგებოდ ჩავიდა რომში, რათა პირადად დაერწმუნებინა ლეონ XIII, რომ იქაური მასონები წესიერი ხალხი იყო და მათ ტაძრებში სატანის არავითარი ქანდაკებები არ იყოო.

დრიუმონი ზეიმობდა. ტაქსილის საქმე მოგვარდა. ანტიმასონური და ანტიებრაული ბრძოლა კვლავ საიმედო ხელში იყო.

24

# ღამის მსახურება

17 აპრილი, 1897

ძვირფასო კაპიტანო,

თქვენს ბოლოდროინდელ ჩანაწერებში იმდენი მოვლენაა თავმოყრილი, თავბრუ დაეხვევა ადამიანს. ამ ყველაფერში თქვენ პირადად მონაწილეობდით, მაგრამ მე ხომ საკუთარიც ბევრი მაქვს მოსაყოლი. თუმცა, ალბათ, ჩემი ამბებიც კარგად იცოდით (ტაქსილისა და ბატარსნარის ქორიკანების წყალობით). იქნებ იმაზე მეტიც კი იცით ჩემზე, ვიდრე მე.

თუ ახლა 1897 წლის აპრილია, გამოდის, რომ ტაქსილისა და დიანას ამბავი დაახლოებით თორმეტი წელი გრძელდებოდა. ეჭვგოა, რომ ამ ხნის მანძილზე უამრავი რამ მოხდა. ნეტავ ბულანი როდის გავაქრეთ?

„ეშმაკის" გამოქვეყნებიდან წელიწადი იქნებოდა გასული, რომ ერთ საღამოს ბულანი ოტეიში ჩამოვიდა, შეშფოთებული ჩანდა, ხელსახოცით იწმენდდა პირს: ტუჩებზე გაუთავებლად ადგებოდა მოთეთრო დუჟი.

– დავიღუპე, – თქვა, – მოკვლას მიპირებენ.



...კარადაში მოჩვენება ჰყავს გამომწყვდეული, მუდამ ალკოჰოლითა და მორფინითაა გაბრუებული და თავისივე ამღვრეული გონების ნაშობ აჩრდილებს ელაპარაკებაო...

ექიმმა ბატამ იფიქრა, რამე მაგარი სასმელი გონს მოიყვანსო და ჭიქა შეუვსო. ბულანმა გადაკრა და აკანკალებული ხმით დაიწყო ჩალაც შავბნელი ამბების მოყოლა. მაჯადოებენო, ამბობდა.

უკვე ვიცოდით, რომ ბულანს სტანისლას დე გუაიტა და როზენკროიცერების კაბალისტური ორდენი ემტერებოდნენ. იმ დისიდენტ ფოზეფინ პელადანზეც გვსმენოდა, რომელმაც როზენკროიცერების კათოლიკური ორდენი ჩამოაყალიბა. ცხადია, „ეშმაკში" ყველანი ნახსენები იყვნენ. ჩემი აზრით, დიდი განსხვავება არ იყო პელადანის როზენკროიცერებსა და ვენტრას სექტას შორის, რომელსაც ბულანი წინამძღოლობდა. ყველანი კაბალისტურნიშნებიანი ტუნიკებით დაიარებოდნენ და გაუგებარი იყო, ღმერთის მხარეს იყვნენ თუ ეშმაკის. ალბათ, სწორედ ამიტომაც გაეჩხირათ ბულანი ყელში პელადანის მიმდევრებს. ერთსა და იმავე ადგილას საქმიანობდნენ და ერთი და იმავე გზააბნეული სულების შეცდენას ცდილობდნენ.

ახლო მეგობრების თქმით, გუაიტა დახვეწილი კაცი იყო (მარკიზი გახლდათ), რომელიც პენტაგრამებით სავსე გრიმუარებს, ლულიუსისა და პარაცელსუსის ნაშრომებს, თავისი შავი და თეთრი მაგიის მასწავლებლის ხელნაწერებს, ელიფას ლევისა და სხვა ჰერმეტიკოსი ავტორების უიშვიათეს წიგნებს აგროვებდა. ამბობდნენ, ტრუდენის პროსპექტზე, პატარა ბინაში ცხოვრობს, პირველ სართულზე, სახლიდან კვირაობით არ გამოდის და მასთან მხოლოდ ოკულტისტები დადიან სტუმრადო. იმასაც ამბობდნენ, კარადაში მოჩვენება ჰყავს გამომწყვდეული, მუდამ ალკოჰოლითა და მორფინითაა გაბრუებული და თავისივე ამოღვრეული გონების ნაშობ აჩრდილებს ელაპარაკებაო.

ოკულტიზმი რომ აინტერესებდა, ეს ბულანის ნაშრომების სათაურებიდანაც ჩანდა. მაგალითად, ერთს „ესეები შეჩვენებულ მეცნიერებებზე" ერქვა. ეს წიგნები აშკარად ამჟღავნებდა მათი ავტორის ლუციფერულ, სატანურ (თუ სატანისეულ) ეშმაკეულ (თუ ეშმაკისეულ) ზრახვებს. მოკლედ, ბულანი ერთი გარწნილი კაცი იყო, რომელმაც „მრუშობა ლიტურგიამდე აღაზევა".

ეს ამბები დიდი ხნის წინ დაიწყო: ჯერ კიდევ 1887 წელს გუაიტამ და მისმა მხარდამჭერებმა „წმინდა სასამართლო" დააარსეს, რომელმაც დამნაშავედ ცნო ბელანი. ბელანი გაიძახოდა, ეს აშკარა მექარაათ. მიაჩნდა, რომ ეჩრდნენ, სდევნიდნენ და გუაიტა და მისი მომხრეები შორიდანაც არერხებდნენ მისთვის ზიანის მიყენებას გრძნეულებითა თუ უხილავი სამსჭვალებით.

შიშისგან უკიდურეს ზომამდე იყო მისული.

– საკმარისია, ძილი მომერიოს, რომ სახეში საშინელი ძალით მხვდება მუშტი. ჩემი სნეული წარმოსახვის ნაყოფი არ გეგონოთ, ამ დროს ჩემი კატაც დენდარტყმულივით ბორგავს ხოლმე. ვიცი, რომ გუაიტამ ცვილის ფიგურა გამოძერწა და როცა ნემსით ჩხვლეტს, საშინელი ტკივილი მისერავს გულ-მუცელს. ვცადე, მეც იმავე ხერხით მეპასუხა: დავწყევლე, რომ დამებრმავებინა, მაგრამ გუაიტა ჩემზე გამოცდილია ამ საქმეში, საფრთხე იგრძნო და დამასწრო. თვალები მებინდება, სუნთქვა მიჭირს, არ ვიცი, კიდევ რამდენს გავუძლებ.

დარწმუნებულები არ ვიყავით, რომ სიმართლეს ამბობდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა: მართლა ცუდად იყო, საცოდავი. ისევ ტაქსილს გაუნათდა გონება:

– მოატყუეთ, რომ მკვდარი ხართ! სანდო ხალხმა შეატყობინოს, რომ პარიზისკენ მიმავალს გინიათ სიკვდილმა, ლიონში ნულარ დაბრუნდებით, აქ მოძებნეთ თავშესაფარი, წვერ-ულვაში გაიპარსეთ, სხვა ადამიანად იქეცით. დიანასავით სხვა პიროვნებად გამოიღვიძეთ, მაგრამ, დიანასგან განსხვავებით, იმად დარჩით, ვინც ხართ. როცა გუაიტა და მისი ამფსონები დარწმუნდებიან, რომ მკვდარი ხართ, თავს დაგანებებენ.

– კი, მაგრამ ლიონში თუ აღარ დავბრუნდი, როგორ ვიცხოვრო?

– ჩვენთან იცხოვრებთ, ოტეიში, იქამდე მაინც, სანამ საფრთხე არ გაივლის და თქვენს მტრებს ნიღაბი არ აეხდებათ. დიანას მუდმივი მეთვალყურეობა სჭირდება და უფრო გამოგვადგებით, თუ აქ იცხოვრებთ, ვიდრე ასე, სტუმრად სიარულით.



*...მიაჩნდა, რომ ერჩოდნენ, სდევნიდნენ და გუაიტა და მისი მომხრეები შორიდანაც ახერხებდნენ მისთვის ზიანის მიყენებას გრძნეულებითა თუ უხილავი სამსჭვალებით...*

– მაგრამ, – დაამატა ტაქსილმა, – თუ სანდო მეგობრები გყავთ, სანამ თქვენი სიკვდილის ამბავი გავრცელდება, მისწერეთ მეგობრებს, აცნობეთ, რომ სიკვდილის მოახლოებას გრძნობთ, გუაიტა და პელადანი დაადანაშაულეთ თქვენს ცუდად ყოფნაში. ისე მოაწყვეთ, რომ თქვენმა ერთგულმა მიმდევრებმა შეუტიონ თქვენს მკვლელებს.

ასეც მოხდა. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც სიმართლე იცოდა, მადამ ტიბო იყო, ქერუბი ქალი, ბულანის დამხმარე და მარჯვენა ხელი (შეიძლება, უფრო მეტიც). ტიბომ გულისშემძვრელად აღუწერა ბულანის აგონია მის პარიზელ მეგობრებს და, არც ვიცი, როგორ მოახერხა, ცარიელი კუბოც კი დაამარხვინა ლიონში. ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ მადამ ტიბო გულითადად აიყვანეს ბულანის ერთ-ერთი მეგობრის, ჰიუისმანსის, ოჯახში, რომელიც პოპულარული მწერალი გახლდათ იმ წლებში. დარწმუნებული ვარ, საღამოობით, როცა ოტელში არ ვიყავი, ქალბატონი ტიბო ჩემად დაიარებოდა თავის ძველ თანამოაზრესთან.

ბულანის სიკვდილის ცნობის გავრცელების შემდეგ ჟურნალისტმა ჟიულ ბუამ შეუტია გუაიტას „ჟილ ბლასის" გვერდებიდან, ჯადოქარი და შავი მაგიის მიმდევარი უწოდა და ბულანის სიკვდილში დასდო ბრალი. „ფიგარომ" კი ჰიუისმანსთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც წვრილად იყო აღწერილი გუაიტას შავბნელი საქმიანობა. შემდეგ ბუამ ისევ განაახლა შეტევა „ჟილ ბლასის" ფურცლებზე, გვამის გაკვეთა მოითხოვა, რათა ბულანის გული და ღვიძლი დაეთვალიერებინათ და გაერკვიათ, მართლა მოწამლული იყო თუ არა. ბუა ბობოქრობდა, გამოძიებას ითხოვდა.

გუაიტამაც „ჟილ ბლასის" ფურცლებიდან უპასუხა ირონიულად: „დიახაც, ჯადოსნური ხელოვნებასაც ვფლობ და შხამებსაც ვამზადებ, შემიძლია, სითხე ავაქროლო და მომწამლავი აირად ვაქციო, რომელიც ასობით მილზე მისწვდება მსხვერპლის ყნოსვას. ყველას შემიძლია, გავუმკლავდე, ვინც არ მეპიტნავება. მომავალი საუკუნის ჟილ დე რე გახლავართ!" და დუელში გამოიწვია ჰიუისმანსიც და ბუაც.

ბატაი ქირქილებდა, ორივე მაგიური ძალის პატრონია, ერთმანეთს კი რატომღაც ჯერ ვერაფერი დაუშავესო. ერთი ტულუზური გაზეთი იუწყებოდა, ამ საქმეში აშკარად ურევია ჯადოსნობაო: როცა ბუა დუელზე მიდიოდა, მის კარეტაში შებმული ცხენი სრულიად უმიზეზოდ წაქცეულა. ცხენი გამოუცვლიათ, მაგრამ მეორეც მაშინვე მიწაზე გაშხლართულა, კარეტა გადაყირავებულა და ჟიულ ბუა დალილავებულ-და-სახიჩრებული გამოცხადებულა საკუთარი ღირსების დასაცავად. დუე-ლის შემდეგ კი იმასაც ამბობდნენ, რაღაც ზებუნებრივმა ძალამ პისტოლეტის ლულაში სასწაულებრივად გაქრა ტყვიაო.

ბულანის მეგობრებმა გაზეთებს შეატყობინეს, პელადანის რო-ზენკროიცერებმა ნოტრ-დამში წირვა ჩაატარებინეს და პერ-ღვინის „გარდაქმნის" მომენტში მუქარით მიმართეს ხანჯლები საკურთხევ-ლისკენო. რას გაიგებ. „ეშმაკისთვის" ეს ფრიად საინტერესო ცნო-ბები იყო, იმაზე უფრო დამაჯერებელიც, რასაც მისი მკითხველი იყო ნაჩვევი, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ბულანის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. მისი დაბრუნება იყო საჭირო.

– თქვენ მკვდარი ხართ, – უთხრა ბატაიმ, – და გარდაცვლილზე რას ლაპარაკობენ, აღარ უნდა გაინტერესებდეთ. მკვდრეთითაც რომ აღდგეთ, ისეთი იდუმალების ბურუსში გაგხვევთ, რომელიც ისევ თქვენს წისქვილზე დაასხამს წყალს. ასე რომ, ნუ იდარდებთ იმაზე, რას დავწერთ: ეს თქვენ კი არა, წიგნის პერსონაჟ ბულანს ეხება, რომელიც უკვე აღარ არსებობს.

ბულანი დათანხმდა და შორიდან ტკბებოდა: აუტანელი ნარცისი იყო და გულზე მალამოდ ედებოდა ბატაის მონაჩმახი მის ოსტატო-ბაზე შავ მაგიასა და ჯადოსნობაში. თუმცა სინამდვილეში მხო-ლოდ დიანა აღელვებდა, ავადმყოფურად იყო მიჯაჭვული ქალზე, ვერ შორდებოდა. მეცოდებოდა კიდეც დიანა: რეალობას ისედაც სრულიად მოწყვეტილი, ბულანის ფანტაზიებით მთლად მონუსხული და გამო-თაყვანებული ჩანდა.

***

მშვენივრად ალწერეთ, რაც შემდეგ მოხდა. კათოლიკური სამყარო ორად გაიხლიჩა. ერთმა ნაწილმა საერთოდ ეჭვი შეიტანა დიანა ვოგანის არსებობაში, ჰექსი მოლალატე აღმოჩნდა, ტაქსილის აგებული ხუხულა ჩამოქცევის პირას იყო. მოსვენებას აღარ გვაძლევდა მეტოქეების გაავებული ყეფა ყოველი მხრიდან. ამას დიანას მიმბაძველებიც ემატებოდნენ, თუნდაც თქვენი ნახსენები მარჯოტა. აშკარად მეტისმეტი მოგვივიდა: სამთავიანი ეშმაკი, რომელიც იტალიის მთავრობის მეთაურთან ერთად ნადიმობდა, ცოტა არ იყოს, ძნელი სამართავი აღმოჩნდა.

პადრე ბერგამასკისთან რამდენჯერმე შეხვედრამ მიმახვედრა, რომ „კათოლიკური ცივილიზაციის" გამომცემელ რომაელ იეზუიტებს რომც ნდომებოდათ დიანას საქმის მხარდაჭერა, „იესოს საზოგადოების" ფრანგ წევრებს უკვე გადაეწყვიტათ ამ ამბის დასამარება (ამის დასტურად პადრე პორტალიეს ის სტატიაც კმარა, თქვენ რომ ახსენეთ). ებიუტერნთან ხანმოკლე შეხვედრამაც დამარწმუნა, რომ მასონებსაც ერთი სული ჰქონდათ, როდის მოეღებოდა ბოლო ამ ამბავს. კათოლიკეებს საქმის უხმაუროდ მოგვარება უნდოდათ, ისე, რომ ეკლესიის მაღალი ეშელონებისთვის ახალი დარტყმა არ მიეყენებინათ, მასონებს კი ხმაურიანი აღსარება სურდათ, რათა ტაქსილის მრავალწლიანი ანტიმასონური პროპაგანდა სრულ მასხარაობად წარმოჩენილიყო.

ერთ დღესაც ორი შეტყობინება ერთდროულად მივიღე: პადრე ბერგამასკი მწერდა: „უფლებას გაძლევთ, ტაქსილს ორმოცდაათი ათასი ფრანკი შესთავაზოთ, რომ ეს საქმე დაამთავროს. ძმური სიყვარულით, ბერგამასკი". ებიუტერნი კი მატყობინებდა: „კმარა. ტაქსილმა საჯაროდ უნდა აღიაროს, რომ ყველაფერი გამოიგონა. ასი ათასი ფრანკი გადაუხადეთ".

ორივე მხრიდან მოგება მიჩნდა. საქმისთვის უნდა მიმეხედა. დამკვეთთა შემოთავაზებული თანხები, ცხადია, ჩავიჯიბე.

ჰექსის უკანდახევამ საქმე გამიადვილა. ტაქსილი უნდა დამერწმუნებინა, მოქცეულიყო. თუ — ხელახლა მოქცეულიყო. მოკლედ, როგორ-

ცაა. უკვე თავგზა ამერია. როგორც ამ საქმის დასაწყისში, ახლაც ას ორმოცდაათი ათასი ფრანკი მქონდა ხელთ. ტაქსილს სამოცდათხუთმეტ ათასსაც ვაკმარებდი, მის დასარწმუნებლად ფულზე ძლიერი არგუმენტები მქონდა.

– ტაქსილ, ჰექსი დავკარგეთ. ლიანას ხალხში ვერ გამოვაჩენთ, მას მე მივხედავ. მაგრამ თქვენი ბედი კი მაფიქრებს: ხმები მომივიდა, რომ მასონები გემუქრებიან. ჩემზე კარგად იცით, რა დაუნდობელი შურისძიება იციან. აქამდე კათოლიკეები მაინც მზად იყვნენ თქვენს დასაცავად, მაგრამ ახლა ხომ ხედავთ, იეზუიტებმაც უკან დაიხიეს. საუკეთესო გამოსავალს გთავაზობთ: ერთ-ერთი ლოჟა – ნუ მკითხავთ, რომელი, საიდუმლოა – სამოცდათხუთმეტი ათას ფრანკს გთავაზობთ, თუ საჯაროდ აღიარებთ, რომ ეს ყველაფერი გამოიგონეთ. თავად გესმით, რა სარგებლობასაც მიიღებენ ამით მასონები: ჩამოირეცხენ ტალახს, რომელშიც ამოსვარეთ და თავის მხრივ, კათოლიკეებს ამოსვრიან ლაფში, მიამიტებად წარმოაჩენენ მათ, რომლებსაც ყველაფრის სჯერათ. თქვენთვის ეს მხოლოდ რეკლამა იქნება: მომავალში ერთიათად გაყიდით წიგნებს, კათოლიკეები ხომ თითქმის აღარ ყიდულობდნენ თქვენს ნაწერებს. ანტიკლერიკალ მკითხველსაც დაიბრუნებთ და მასონსაც. ნამდვილად გილირით.

დიდი ძალისხმევა არ დამჭირვებია მის დასარწმუნებლად. ტაქსილი მასხარა იყო და ახალი ცირკის წარმოდგენაც კი აღაგზნებდა.

– მისმინეთ, ძვირფასო აბატო, დარბაზს ვიქირავებ და პრესას შევატყობინებ, რომ თავად დიანა ვოგანი შეხვდება მკითხველს და დემონ ასმოდეუსის ფოტოსაც აჩვენებს, რომელიც ლუციფერის თანხმობით გადაუღო! ხმას გავავრცელებ, რომ შეხვედრაზე ორთახასფრანკიანი საბეჭდი მანქანა გათამაშდება. თუმცა არაფრის გათამაშება აღარ დაგვჭირდება, რადგა დამსწრეთა წინაშე წარვდგები და გამოვაცხადებ, რომ დიანა არ არსებობს. თუ დიანა არ არსებობს, ცხადია, არც საბეჭდი მანქანა იარსებებს. უკვე თვალწინ მიდგას სცენა: გაზეთები ჩემზე ილაპარაკებენ, პირველ გვერდებზე გამომ-

ქიმავენ. გადასახევია. ღირ მომეცით, რომ კარგად დავგეგმო ეს ამბავი. თუ არ შემეხვდებით, იქნებ წინასწარ მოითხოვოთ თანხის ნაწილი დაპირებული სამოცდათხუთმეტი ათასიდან, ხარჯებისთვის...

ტაქსიდმა მეორე დღესვე მონახა შესაფერისი ადგილი „გეოგრაფიული საზოგადოების" შენობაში, მაგრამ დაჩბაზი მხოლოდ ბრწყინვალე ორშაბათს იქნებოდა თავისუფალი. მახსოვს, ვუთხარი:

– თითქმის ერთი თვეა დარჩენილი. იქამდე ხალხში ნუ გამოჩნდებით, ახალი ქორები არაფერში გვჭირდება. ამასობაში მოვიფიქრებ, დიანას რა მოვუხერხო.

ტაქსილი შეცბა, ულვაში აუკანკალდა: – მის... მოკვლას ხომ არ აპირებთ?.. – ძლივს ამოილუღლუღა.

– რას როშავთ, ხომ არ დაგავიწყდათ, რომ სასულიერო პირი ვარ? იქ დავაბრუნებ, საიდანაც წამოვიყვანე.

მომეჩვენა, რომ სასო წარეკვეთა, როცა წარმოიდგინა, რომ დიანას კარგავდა. მაგრამ მასონთა შურისძიების შიშმა დიანასადმი ლტოლვაც გადაწონა. მხოლოდ მასხარა კი არა, ლაჩარიცაა ეს კაცი. ნეტავ რას იტყოდა, რომ მეთქვა, დიას, მოკვლას ვაპირებ-მეთქი? მასონების შიშით, ალბათ, ამაზეც დამთანხმდებოდა. მთავარი იყო, მისთვის არ დამევალებინა ეს საქმე.

ბრწყინვალე ორშაბათი 19 აპრილია. ტაქსილს თუ ვუთხარი, თითქმის ერთი თვეა დარჩენილი-მეთქი, გამოდის, რომ მასთან დაახლოებით 19 ან 20 მარტს მისაუბრია. დღეს 16 აპრილია. მოკლედ, უკანასკნელი ათი წლის მოვლენები, ავად თუ კარგად, გასული მარტის შუა რიცხვებამდე გამიხსენებია. მაგრამ თუ ეს ღლიური ორივეს (მეც და თქვენც) ჩემი ახლანდელი დაბნეულობის მიზეზის გარკვევაში უნდა დაგვეხმარებოდა, ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს. ან იქნებ გადამწყვეტი მოვლენა სწორედ ბოლო ოთხი კვირის მანძილზე მოხდა?

ახლა თითქოს მეშინია კიდეც, უფრო მეტი არ გამახსენდეს.

18 აპრილი, განთიადზე

მაშინ, როცა ტაქსილი ოთხ კედელში გამოკეტილი მოუსვენრად ბორგავდა, დიანას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა ხდებოდა. ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის დროს ფართოდ გახელილი თვალებით მოგვჩერებოდა და მხოლოდ მაშინ ფხიზლდებოდა, როცა რომელიმე სახელი, ადამიანის იქნებოდა თუ ადგილის, უეცრად გაუნათებდა გონებას და რაღაცას ბუნდოვნად მოგონებდა.

ნელ-ნელა მცენარეს ემსგავსებოდა. ერთადერთი რამ შერჩენოდა ცხოველური: სიცილიად უკონტროლო აღგზნება, რომელსაც განერჩევლად ხან ვისკენ მიმართავდა და ხან – ვისკენ: ტაქსილის, ბატარს (სანამ ჯერ კიდევ ჩვენთან იყო), ბულანის ან – თუმცა ყველანაირად ვცდილობდი, ამის მიზეზი არ მიმეცა – ჩემკენ.

ჩვენს ხელში რომ მოხვდა, დიანა ოციოდე წლის იქნებოდა, ახლა კი ოცდათხუთმეტს გადასცილებოდა. ტაქსილი მსუნაგი ღიმილით ჩაიდაპარაკებდა ხოლმე, მომწიფებული ქალი კიდევ უფრო მომხიბლავიაო. ისე ამბობდა ამას, თითქოს ოცდაათს გადაშორებული ქალი კიდევ შეიძლება, მიმზიდველი მოეჩვენოს მამაკაცს. ან იქნებ სწორედ ის უსიცოცხლობა სძენდა დიანას მზერას რაღაც ბუნდოვან იდუმალებას? სიმახინჯეთა ექსპერტად ნამდვილად არ გამოვდგები. ღმერთო, რატომ ვლაპარაკობ ამდენს ქალის სხეულზე, რომელიც ჩვენთვის მხოლოდ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება უნდა ყოფილიყო?

***

როგორც ვთქვი, დიანას წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა მის გარშემო. თუმცა, შეიძლება, ვცდები. მარტში, ალბათ, იმიტომ, რომ ვეღარც ტაქსილს ხედავდა და ვეღარც ბატარს, მისმა აღგზნებამ კულმინაციას მიაღწია. ისტერიის შეტევა ჰქონდა, დემონი (ასე ამბობდა) სასტიკად აწვალებდა, ტანჯავდა, ძიძგნიდა, ხელ-ფეხს უგრეხდა, სახეში ულაწუნებდა. თვალებჩალურჯებული მხვდებოდა ხოლმე. ნელ-ნელა მკლავები ჭრილობებით დაეფარა. ვერ გაეგო, რატომ

ესწოდებოდნენ ასე სასტიკად ჯოჯოხეთის ძალები, ის ხომ პალადისტი, ლუციფერის ერთგული იყო? ტანსაცმელზე მებღაუჭებოდა, თითქოს შველას მეხვეწებოდა.

გადავწყვიტე, ბულანისთვის მიმემართა: ჩემზე უკეთ ერკვეოდა ასეთ ამბებში. დაინახა თუ არა, დიანა ხელებში ჩააფრინდა და ერთიანად აცახცახდა. ბულანმა კეფაზე დაადო ქალს ხელი, ტკბილად გამოელაპარაკა, მოეფერა და ბოლოს პირში ჩააფურთხა.

– ვინ გითხრა, შვილო ჩემო, რომ შენი ბატონი, ლუციფერი გტანჯავს? არ გიფიქრია, რომ სწორედ ლუციფერის ერთგულების გამო ისჯები? იქნებ შენი ნამდვილი მტერი სულ სხვაა: ღმერთი, რომელსაც ქრისტიანები იესო ქრისტეს ეძახიან? ან მისი რომელიმე თვითმარქვია წმინდანი?

– კი, მაგრამ, მამაო, – დაიბნა დიანა, – პალადისტი იმიტომ ვარ, რომ სწორედ თვითმარქვია ქრისტეს ძალას არ ვაღიარებ. სეფისკვერის განგმირვაზეც კი უარი ვთქვი, რადგან სიგიჟედ მიმაჩნია ღვთაებრივი ძალის აღიარება ცომის გუნდაში.

– სწორედ ამაში ცდები, შვილო ჩემო. ხედავ, რას აკეთებენ ქრისტიანები? ქრისტეს აღიარებენ ღმერთად, მაგრამ ამის გამო კი არ ამტკიცებენ, ეშმაკი არ არსებობსო, პირიქით, ეშინიათ მისი, უფრთხიან მის საცდურს. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ: თუ ჩვენი მეუფის, ლუციფერის ძალა გვწამს და მის მტრად ადონაის ვაღიარებთ, რომელიც ქრისტეს სახით წარმოგვიდგება, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ქრისტე სულიერად არსებობს და ბოროტებაში გამოვლინდება. ასე რომ, გევალება, ფეხით გათელო მტრის ხატი, ლუციფერის ქეშმარიტ მიმდევარს კი ამის ერთადერთი გზა აქვს.

– რა გზა?

– შავი წირვა. ვერ ელირსები ჩვენი მეუფის, ლუციფერის კეთილგანწყობას, თუ შავი მსახურების საშუალებით არ უარყოფ ქრისტიანთა ღმერთს.

დიანა თითქოს დაარწმუნა ამ სიტყვებმა. ბულანმა მთხოვა, სატანისტების შეკრებაზე წამეყვანა ქალი: სურდა, დაესაბუთებინა

მისთვის, რომ სატანიზმი და ლუციფერიზმი (თუ პალადიზმი) ერთსა და იმავე მიზანს ემსახურებოდა: ადამიანის განწმენდას.

არ მინდოდა, დიანა გარეთ გასულიყო, მაგრამ მთლად სახლშიც ვერ გამოვკეტავდი.

***

სახლში აბატი ბულანი მხვდება, დიანას ეჩურჩულება:

– მოგეწონა გუშინ?

რა მოხდა გუშინ?

აბატი განაგრძობს:

– ძალიან კარგი, ხვალ საღამოს უნდა კიდევ უნდა აღვავლინო ნირვა პასიში, ეკლესიის ყოფილ შენობაში. საოცარი საღამო იქნება, 21 მარტია, გაზაფხულის ბუნიობა, იდუმალი შინაარსით აღსავსე დღე. თუ დამთანხმდები და ნამოხვალ, სულიერად მოგამზადებ. აღსარება უნდა ჩავიბარო.

გარეთ გავედი. ბულანი მარტო დარჩა ქალთან ოთახში. საათზე მეტი იყო გასული, რომ, როგორც იქნა, დამიძახა და გამომიცხადა, ხვალ საღამოს დიანას პასის ეკლესიაში წავიყვან, მაგრამ შენც უნდა გამოგვყვეო.

– დიახ, ბატონო აბატო, – მითხრა დიანამ, თვალები უჩვეულოდ ებრწყინავდა, ლოყები უღაპღაპებდა. – ძალიან გთხოვთ.

უარის თქმას ვაპირებდი, მაგრამ ცნობისწადილმა მძლია, თან არ მინდოდა, ბულანისთვის მეჩვენებინა, რომ რაღაც მაფერხებდა.

***

ერთიანად მაკანკალებს, ხელი თითქმის თავისით გამირბის ფურცელზე, მეჩვენება, რომ მომხდარს კი არ ვიხსენებ, არამედ რაღაც ისეთს ვყვები, რაც ახლა ხდება, თითქოს სიულიად ახალ გან-ცდებზე ვწერდე...

21 მარტის საღამო იყო. კაპიტანო, დღიურის წერა 24 მარტს დაიწყეთ და ამბობდით, რომ მეხსიერება 22 მარტს, დილით, დავ-

კარგე. მაშასადამე, თუ რაღაც საშინელი მოხდა, 21-ში უნდა მომ-ხდარიყო.

ვცდილობ, გავიხსენო, მაგრამ ძალიან მიჭირს, მგონი, სიცხე მაქვს, შუბლი მიხურს.

დიანა ოტელიდან მომყავს. პარიზელ მეეტლეს მისამართს ვეუბ-ნები. ალმაცერად მიყურებს, თითქოს არ მენდობა, თუმცა ანაფორა მაცვია. სანამ გვარიან თანხას არ ვთავაზობ, ადგილიდან არ იძ-ვრის. ნელ-ნელა ვშორდებით ქალაქს. ქუჩები სულ უფრო ვიწროვდება და ბნელდება. ბოლოს ეტლი სრულიად უკაცრიელ ქუჩაზე გადის. გარ-შემო მხოლოდ მიტოვებული შენობებია, ქუჩის ბოლოში ძველ, დაბ-რეცილ ეკლესიას ვხედავ.

ჩამოვდივართ. მეეტლე ისე ჩქარობს, იმ ადგილს გაეცალოს, რომ აღარც მელოდება, სანამ ხურდას მოვიქექავ ჯიბეებში, რომ შეპირე-ბულ გასამრჯელოზე დავუმატო. „აღარაა საჭირო, მამაო, გმადლობთ!" – მეძახის და უკანმოუხედავად შორდება იქაურობას.

– მცივა და მეშინია, – მეჩურჩულება დიანა და ტანზე მეკვრის. მოწყვეტით ვიცილებ და უეცრად ვხვდები, რომ ძალიან უცნაურად აცვია. მკლავები არ უჩანს, კაპიუშონიანი მოსასხამი თავიდან ფე-ხებამდე ფარავს: იმ ბინდბუნდში მონაზონი გეგონება, საუკუნის დასაწყისის რომელიმე მოდური გოთიკური რომანის პერსონაჟი. ეს მოსასხამი აქამდე არასოდეს მენახა, თუმცა ვაღიარებ, არც არასო-დეს ჩამიხედავს იმ სკივრში, რომელიც ექიმმა დიუ მორიემ გამოა-ტანა დიანას თავის დროზე.

საყდრის კარი შეღებულია. ერთნავიან სივრცეს მკრთალად ანა-თებს სამფეხა შანდლებზე დამაგრებული სანთლები. შანდლები გვირ-გვინივით შემოუწყვიათ პატარა აფსიდში განთავსებული საკურ-თხევლის გარშემო. საკურთხეველზე მუქი ფერის ქსოვილია გადა-ფარებული, დაკრძალვებზე რომ ხმარობენ ხოლმე, ისეთი. ზევით, სადაც, როგორც წესი, ხატი ან ჯვარცმა კიდია, თხის ფორმის დემო-ნის ქანდაკება დგას: ვეებერთელა, დაახლოებით ოცდაათსანტიმეტ-რიანი ფალოსი წინ გაუშვერია. სანთლები თეთრი ან სპილოსძვლის-

ფერი კი არა, შავია. ცენტრში, რელიკვიების შესანახ ზარდახშაში, სამი თავის ქალა დევს.

– აბატი ბელანი მომიყვა ამაზე, – ჩამჩურჩულებს დიანა. – მოგვების წმინდა ნაწილებია, ნამდვილი მოგვების, თეობენის, მენზერისა და ზაირის. ვარსკვლავის მოწყვეტა ნიშანი იყო მათთვის, პალესტინას გაირდებოდნენ და ქრისტეს შობას არ დასწრებოდნენ.

საკურთხევლის წინ ნახევარწრედ ყმაწვილები დგანან: მარჯვნივ – ბიჭები, მარცხნივ – გოგონები. იმდენად წორჩები არიან, რომ სქესი ძლივს ეტყობათ, შორიდან მომხიბლავ ანდროგინებს ჰგვანან და თავზე დამჭკნარი ვარდის გვირგვინები ახურავთ. ბიჭები სრულიად ტიტვლები არიან, არც რცხვენიათ, რომ ასო უჩანთ, გოგონების მოკლე, გამჭვირვალე პერანგები კი ნაზად ელაციცება მათ კოკორ ძუძუებს და ბავშვურ თეძოებს. უმშვენიერესები არიან, თუმცა წორჩ სახეებზე უფრო ეშმაკობა აღბეჭდვიათ, ვიდრე უმანკოება და ეს კიდევ უფრო მატებთ ხიბლს. უნდა ვაღიარო (რა უცნაურია, მღვდელი კაპიტნის წინაშე აღიარებს!), რომ მოწიფული ქალი შეძრწუნებას თუ არა, შიშს მაინც მგვრის, მაგრამ სრულიად უძლური ვარ წორჩი ქმნილების მომხიბვლელობის წინაშე.

ის უცნაური ყმაწვილი ღვთისმსახურები საკურთხეველთან მიდიან, პატარა საცეცხლურები მოაქვთ და იქ მყოფთ ურიგებენ. მერე რაღაც ყლორტებს ამაგრებენ სამფეხა შანდლებზე, ცეცხლს უკიდებენ და მათი საშუალებით საცეცხლურებს აღვივებენ, საიდანაც სქელი კვამლი და ეგზოტიკური წარკოტიკების მძაფრი სუნი იფრქვევა. შემდეგ კი დედიშობილა ეფებები პატარა თასებს გვირიგებენ. – დალიეთ, მამაო, – მეუბნება უტიფარმზერიანი ყმაწვილი, – რიტუალში მონაწილეობაში დაგეხმარებათ.

ვსვამ. ხმები თითქოს შორიდან ჩამესმის. იგვლივ ყველაფერი სქელ ნისლში ეხვევა.

ბელანი შემოდის. თეთრ ქლამინდზე მენამული კაზულა მოუსხამს, რომელზეც ამოქარგვებული ჯვარცმაა გამოსახული. ჯვრის შუაში შავ თხას ვხედავ, უკანა ფეხებზე წამომართულა და რქები აუშვერია...

წირვის აღმავლენელს პირველივე მოძრაობაზე ქლამინდი ეხსნება და უზარმაზარი ფალოსი მოუჩანს. ვითომ შემთხვევით ხდება, სინამდვილეში კი აშკარად წინასწარაა გათვლილი. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ბუღანისწარი ჩვარივით კაცს ამხედა ასო ქნებოდა: ალბათ, რაღაც ნივთიერების ზემოქმედებაა. ფეხებზე გამჭვირვალე შავი წინდები აცვია, ზუსტად ისეთი (ვაი, რომ ამ სურათებითაა სავსე „შარივარი" და სხვა ყოველკვირეული გამოცემები, რომლებიც ძალაუნებურად მლვდლების ხელშიც ხვდება), ხელესტე მოგადორის რომ ეცვა, როცა „ბალ მაბიში" კანკანს ცეკვავდა.

მლვდელი ზურგს აქცევს დამსწრეთ და ლათინურად აღავლენს წირვას, დიოდადიო ანდროგინები ეხმაურებიან.

– სახელითა ასტაროტისა და ასმოდეუსისა და ბელზებელისა, სატანისა მიმართ ვილოცოთ.

– აკურთხე და განამრავლე ვნებანი ჩვენი.

– ლუციფერო ყოვლისშემძლეო, მოგვივლინე წყდიადი შენი დასამარცხებლად ყოველთა მტერთა.

– გვიჩვენე, სატანავ, ღმერთო ჩვენო, ძლიერება შენი და განამრავლე ცოდვა ჩვენი.

_ მიიღე მკირეხელობა ჩემი.

ამ სიტყვებით ბუღანმა სამოსელიდან ჯვარი ამოიღო, ძირს დადო და ფეხით შედგა:

– პოი, ჯვარო, გთელავ ტაძრის ძველ ოსტატთა მოსაგონრად და მათი სახელით შურის საძიებლად. გთელავ, როგორც ცრუ ღმერთის, იესო ქრისტეს, გაღმერთების იარაღს.

ამ დროს დიანამ, სიტყვის უთქმელად, თითქოს მოულოდნელად გასხივოსნებულმა (სინამდვილეში კი აშკარად აბატ ბუღანის დავალებით მოქმედებდა, რომელსაც გუშინ აღსარება ჩააბარა), სამლოცველო გადაკვეთა და საკურთხევლის წინ დადგა. მერე მორწმუნეებს (თუ ურწმუნოებს, არც ვიცი, რა ვუწოდო იქ შეკრებილებს) მოუბრუნდა, ხელის საზეიმო მოძრაობით შეიხსნა მოსასხამი და დედიშობილა წარდგა მათ წინაშე. კაპიტანო, ენა მებორკება მის გახსენებაზე,

თითქოს ახლაც თვალწინ მიდგას: შიშველი იდგა, ვითარცა ისისი და სახეს თითქმის გამჭვირვალე შავი ნიღაბი უფარავდა.

ყელში რაღაც მეჩხირება, თითქოს ვიხრჩობი. პირველად ვარ ქალის სხეულის აუტანლად მოძალადე სიშიშვლის წინაშე. მუდამ კუფაზე შემოგრაგნილი თმა ახლა ოქროსფერი ღვედებად ჩამოშლია ზურგზე და კოხტა, სულისშემხუთავად, დამღუპველად მრგვალ, მაცდურ დუნდულებზე ელამუნება. მშვენიერი წარმართული ქანდაკებასავით ნატიფი აქვს მაღალი კისერი, მარმარილოსავით ქათქათა მხრები, აბზეკილი ძუძუები კი (პირველად ვხედავ ქალის ძუძუებს) თითქოს სატანური ამპარტავნობით გიწვევს. ძუძუებს შორის დიანას განუყრელ მედალიონს ვხედავ: ერთადერთს, რაც იმ თვალისმომჭრელ სიშიშვლეს არღვევს.

დიანა უსირცხვილო, ავხორცი მოძრაობით აივლის აფსიდის სამ საფეხურს და ერთ-ერთი ყმაწვილის დახმარებით საკურთხეველზე წვება. თავს შავი ხავერდის ვერცხლისფერფოჩებიან ბალიშზე დებს და თმა ჩანჩქერივით იღვრება საკურთხევლიდან. მუცელი ოდნავ ამობურცვია, სპილენძისფერი ბულული უფარავს გაშლილ ფეხებს შორის ღრმულს. ქალის პრიალა კანი შიშისმომგვრელად ირეკლავს სანთლების მოწითალო ალს. ღმერთო, არ ვიცი, რა სიტყვებით აღვწერო ეს სანახაობა. თითქოს ჩემი თანდაყოლილი, მარადიული ძრწოლა ქალის სხეულის წინაშე უეცრად ქრება და ახალ შეგრძნებას უთმობს ადგილს, გრძნობას, რომელიც აქამდე გაუსინჯავი სასმელივით მეღვრება ვენებში...

ბულანი დიანას სპილოს ძვლისგან გამოკვეთილ პატარა სასქესო ასოს ადებს მკერდზე, მუცელზე კი მოქარგულ ქსოვილს აფარებს და ზედ შავი ქვის ბარძიმს დაასვენებს.

მერე ბარძიმიდან სეფისკვერს იღებს. ეს ნაკურთხი სეფისკვერი არაა, რომლებითაც თქვენ ვაჭრობთ, კაპიტანო სიმონინი: ამ სეფისკვერის კურთხევას ბულანი – რომის ეკლესიის სრულუფლებიანი მღვდელმსახური, თუმცა, შეიძლება, უკვე განკვეთილი – ახლა აპირებს დიანას მუცელზე.

ამბობს: – მოსახსენებლად შენისა, უფალო სატანა, მივიღებ სეფისკვერს, რომელიც ვაკურთხე მდაბალმა მონამან შენმან. ამინ.

სეფისკვერს იღებს და ჰაერში უკუღმა გამოსახავს ჯვარს: ქვიდან ზევით და მარჯვნიდან მარცხნივ. ბოლოს კი საზეიმოდ ამბობს:

– სამხრეთიდან სატანის სიკეთეს მოვიხმობ, აღმოსავლეთიდან – ლუციფერის შეწევნას, ჩრდილოეთით ბელიალს ვთხოვ დახმარებას, ხოლო დასავლეთით – ლევიათანს. განიხვნას კარიბჭენი ჯოჯოხეთისანი და მოვიდნენ ამ სახელებით მოხმობილი ქვესკნელის დარაჯები. მამაო ჩვენო, რომელი ხარ უფსკრულთა შინა, წყეულ იყავნ სახელი შენი, ნავიდეს სუფევა შენი, გაქრეს ნება შენი, ვითარცა ჯოჯოხეთსა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა! დიდება მხეცის სახელს!

ყმაწვილთა გუნდი ხმამაღლა ეხმიანება: – ექვსი, ექვსი, ექვსი! მხეცის რიცხვი!

შემდეგ ბულანი დაიყვირებს:

– დიდება ლუციფერს, რომლის სახელია განსაცდელი. ოსტატო ცოდვის, გახრწნილი ვნების, ინცესტით ნეტარების, ღვთიური სოდომის, სატანავ, შენ გეთაყვანებით! შენ კი, იესო, გაიძულებთ, განსხეულდე ამ სეფისკვერში, რათა განგიახლოთ ჭრილობები, გაწამოთ სამსჭვალებით, რომლებითაც ჯვარზე გაგაკრეს და ხელახლა განგგმიროთ ლონგინუსის შუბით!

– ექვსი, ექვსი, ექვსი! – იმეორებენ ყმაწვილები.

ბულანი სეფისკვერს იღებს და ამბობს:

– დასაბამიდან იყო ხორცი, და ხორცი იყო ლუციფერთან და ლუციფერი იყო ხორცი. ის იყო დასაბამიდან ლუციფერთან: ყოველივე მის მიერ შეიქმნა და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა. ხორცი სიტყვად იქცა და დამკვიდრდა ჩვენ შორის, წყვდიადში, და ვიხილეთ დაბინდული ბრწყინვალება მისი: ლუციფერის მხოლოდშობილი ასულისა, სავსე მრისხანებით, ნდომითა და ვნებით.

წმინდა ნაწილს დიანას მუცელზე გადაატარებს და ქალს საშოში უდებს. შემდეგ გამოიღებს, მოტრიალდება და ხმამაღლა იძახის:

– მიიღეთ და ჭამეთ!

დედიშობილა ყმაწვილთა მწკრივს ორი გამოეყოფა, ქლამინდს უწევენ ბულანს და გამაგრებულ ასოზე ეამბორებიან. შემდეგ რკალი ირღვევა და ყველანი ერთად ემხობიან ბულანის ფეხებთან: ბიჭე-ბი მასტურბაციას იწყებენ, გოგონები კი პერანგებს იგლეჯენ და ერთმანეთს ეტმასნებიან ტიტველი სხეულებით. ყურთასმენა მიაქვს ვნებიან ოხვრასა და კრუსუნს. ჰაერი უცნაური სუნით ივსება, ტა-ძარში მყოფები ნელა, ჯერ ჩუმი კვნესით, შემდეგ კი ავხორცული გმინვით შიშვლდებიან და ურცხვად ეჯვარებიან ერთმანეთს ასაკისა და სქესის განურჩევლად. ტაძარში ადამიანის სხეულის მძაფრი ოხ-შივარი დგება, სამოცდაათს გადაცილებულ დედაბერს ვხედავ, ნაკეცე-ბად ჰკიდია დამჭკნარი კანი, ძუძუები გამხმარ ფოთლებს მიუგავს, იატაკზე იკლაკნება და გულისამრევად იქნევს დაჩონჩხილ ფეხებს, სანამ უწვერული ყრმა გაშმაგებული უკოცნის იმას, რაც ოდესღაც ქალის საშოს ბაგეები იყო.

მაკანკალებს, აქეთ-იქით ვიყურები, ვფიქრობ, როგორ გავაღ-წიო ამ ბუნაგიდან. კუთხისკენ მივიწევ, სულს მიხუთავს შხამია-ნი ჰაერი და ვხვდები, წეღან რაღაც ნარკოტიკი დამალევინეს. გო-ნებას ვეღარ ვიკრებ, თითქოს სქელი, მოწითალო ბურუსი ჩამოწვა ირგვლივ. ალისფერი ნისლის საბურველში ვხედავ დიანასაც: შიშვე-ლი ჩამოდის საკურთხევლიდან, ნიღაბი მოუხსნია. გონს გადასული ბრბო ორგიას არ წყვეტს, მაგრამ ირღვევა და გზას უთმობს ქალს. დიანა ჩემკენ მოიწევს.

ძრწოლა მიპყრობს, მეც იმ შეშლილებს არ დავემსგავსო, უკან ვიხევ და ბოძს ვეჯახები. დიანა მიახლოვდება და სუნთქვაგახში-რებული მეტმასნება. ღმერთო, კალამი მიკანკალებს, გონება მებინ-დება, ზიზღისგან ცრემლი მომდის (მაშინაც და ახლაც), ვერც კი ვყვირი, პირი რაღაცით მაქვს სავსე, მინაზე ვენარცხები, მახრჩობს ქალის სხეულის უცხო სურნელი, გასაქანს რომ არ მაძლევს და გაშ-მაგებული ცდილობს, ჩემსას შეერწყას. თითქოს მდუღარე მეღვრება ტანში, აგონიისწინა აღგზნებას ჰგავს, სალპეტრიერის კლინიკის შეშლილივით გაშმაგებული ვეპოტინები (საკუთარი ხელით, თითქოს

მინდოდეს ეს!) იმ უცხო სხეულს, ქირურგის არაჯანსაღი ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი შევაღწევ მის ღრმულში, ვემუდარები ალქაჯს, დამეხსნას, ვკბენ, რომ თავიდან მოვიშორო, ის კი გიჟივით კივის, რომ არ გავჩერდე, რომ კიდევ უნდა. თავი უმწეოდ მივარდება უკან, ექიმი ტისო მახსენდება და ვხვდები, ეს სწორედ ისაა, რაც სხეულს ჩამომიდნობს, მინისფერს დამადებს სახეზე, მზერას დამიბინდავს, ძილს ამირევს, ხმას ჩამიხლეჩს, თვალებს ამიწვავს, სახეს ავბედითი წითელი ლაქებით დამიფარავს, გულს ამიჩქარებს, სულ ბოლოს კი, როცა მდულარე ნარწყევს ყოველდღე გულმუცელს ამოვაყოლებ, სიფილისი დამაბრმავებს.

თვალთ მიბნელდება და ყველაზე წამლეკავი, გამანადგურებელი, ენით გამოუთქმელი შეგრძნება მეუფლება, რაც კი ოდესმე განმიცდია. თითქოს მთელი სისხლი ერთბაშად გამოიტყორცნა დაკრუნჩხულ კიდურებზე პირდაბჩენილი ჭრილობებიდან, ცხვირიდან, ყურებიდან, თითის წვერებიდან, ანუსის ხვრელიდან. ღმერთო, მიშველე, მგონი, ვხვდები, რა ყოფილა სიკვდილი, რომელსაც ნებისმიერი სულიერი გაურბის და თან მარად დაეძებს საკუთარი თესლის დანთხევისა და გამრავლების ამ არაბუნებრივი ინსტინქტის გამო...

ვეღარ ვწერ. ეს გახსენება არაა: ხელახლა განვიცდი იმ შეგრძნებას და ვერ ვუმკლავდები. ისევ მინდა, სრულად დავკარგო მეხსიერება...

***

თითქოს გონება მიბრუნდება. ბულანს ვხედავ, დიანას ხელი უჭირავს. ქალს მოსასხამი აცვია. ბულანი მეუბნება, ეტლი გველოდება, დიანა სახლში უნდა წავიყვანო, გადაიღალაო. ქალი კანკალებს, რაღაცას გაურკვევლად ბუტბუტებს.

ბულანი უჩვეულოდ თავაზიანია, მეჩვენება, რომ უნდა, რაღაც ვაპატიო. ალბათ, ის, რომ ამ გულისამრევ ამბავში ჩამითრია. ვეუბნები, შეგიძლია, წახვიდე, დიანას მე მივხედავ-მეთქი. დაიჟინა, მეც გამოგყვებით, მეც ხომ ოტეიში ვცხოვრობო. თითქოს ეჭვიანობს.

რომ გავალიზიანო, ვეუბნები, ოტელში არ მივდივარ, დიანა სანდო მეგობართან მიმყავს-მეთქი.

ფერი ეკარგება, თითქოს კუთვნილ ნადავლს ვაცლიდე ხელიდან.

– არა უშავს, მეც წამოვალ. დიანას დახმარება სჭირდება.

მეეტლეს დაუფიქრებლად ვეუბნები მისამართს: მეტრ-ალბერის ქუჩა, თითქოს გადაწყვეტილი მაქვს, რომ დიანა ოტელში აღარ უნდა დაბრუნდეს. ბელანი გაოცებული მიყურებს, მაგრამ ხმას არ იღებს. ეტლში ჯდება და დიანას ხელსავლებს.

გზაში ხმას არ ვიღებთ. სამივე ჩემს ბინაში ავდივართ. დიანას საწოლზე ვაწვენ, მაჯაზე ხელს ვკიდებ და პირველად ვცემ ხმას მას შემდეგ, რაც ჩვენ შორის მოხდა. ვუყვირი: – რატომ? რატომ?

ბელანი ცდილობს, შემაჩეროს, მაგრამ მთელი ძალით ვუბიძგებ, კედელს ენარცხება და უმწეოდ ეცემა იატაკზე. მხოლოდ მაშინ ვხვდები, რა სუსტი და ფაქიზია ეს დემონი: მასთან შედარებით ნამდვილი ჰერაკლე ვარ.

დიანა გაიბრძოლებს, მოსასხამი ეხსნება და ძუძუები უშიშვლდება. ვერ ვიტან მისი შიშველი ხორცის დანახვას და ვცდილობ, მოსასხამი შევუკრა. მედალიონის ძეწკვში მეხლართება ხელი, ვწვალობ, რომ გავითავისუფლო, მაგრამ ძეწკვი წყდება და მედალიონი ხელში მრჩება. დიანა მეპოტინება წასართმევად, მაგრამ ზურგს ვაქცევ, ოთახის კუთხეში ვდგები და მედალიონს ვხსნი.

ოქროს გამოსახულებას ვხედავ: აშკარად მოსეს სჯულის ფიცრებია, ებრაული წარწერით. ფორმას ვცნობ.

– ეს რა არის? – ვუახლოვდები დიანას, რომელიც თვალებდაჭყეტილი წევს საწოლზე. – რას ნიშნავს ეს ნიშნები დედაშენის სურათთან ერთად?

– დედა... – უაზროდ ბუტბუტებს დიანა, – დედა ებრაელი იყო... აღონაის სწამდა...

ასე მოხდა. ებრაელ ქალთან – დემონის ჯიშთან – კი არა, ებრაელ ქალთან ვიმრუშე! მათი ეროვნება კი დედით გადადის, ასე რომ,



*– დედა... – უაზროდ ბუტბუტებს დიანა, – დედა ებ-
რაელი იყო... ადონაის სწამდა...*

თუ შემთხვევით ჩემმა თესლმა ის ბინძური საშო გაანაყოფიერა, ებრაელს ვაჩუქებ სიცოცხლეს.

– შეუძლებელია, ამას ვერ გაბედავ! – ვიღრიალე და ქალს კისერში ვწვდი. გაიბრძოლა, მაგრამ უფრო მაგრად მოვუჭირე, ამასობაში გონს მოსული ბელანი ზურგიდან დამეტაკა. ბოქვენში წიხლი ვუთავაზე და ადვილად მოვიშორე, ოთახის კუთხეში დაეცა გულწასული. ისევ დიანას დავეძგერე (გონება მქონდა დაბნელებული!). ქალს ნელნელა გადმოეკარკლა თვალები, დასიებული ენა პირიდან გადმოუვარდა და როცა დავინახე, რომ სუნთქვა შეწყვიტა, ხელი გავუშვი. დიანას უსულო სხეული იატაკზე დაეცა.

გონს მოვდივარ. ვხვდები, რა ჩავიდინე. ბელანის უმწეო კვნესა მესმის და ვცდილობ, გონება მოვიკრიბო. ვიცინი: რაც უნდა მოხდეს, ებრაელის მამა მაინც არ გავხდები.

საბოლოოდ ვფხიზლდები. ვფიქრობ, რომ ქალის გვამი უნდა გავაქრო და კანალიზაციის გვირაბი მაგონდება: ეს ადგილი მალე თქვენი პრალის სასაფლაოზე უფრო სტუმართმოყვარე და ხალხმრავალი იქნება, კაპიტანო. ბნელა, სინათლე მჭირდება, რომ დერეფნით თქვენს ბინაში გამოვიდე, შემდეგ კი მარანში და იქიდან კანალიზაციის გვირაბში ჩავიდე. ბელანი უნდა დამეხმაროს. გავხედე: გაჭირვებით ცდილობს, წამოდგეს, იდიოტის გამომეტყველებით მომჩერებია.

ვხვდები, რომ ჩემი დანაშაულის მოწმეს აქედან ცოცხალს ვერ გავუშვებ. ბატკის მოცემული პისტოლეტი მაგონდება, უჯრიდან იარაღს ვიღებ და ბელანს ვუმიზნებ. ისევ სულელივით მომშტერებია.

– მაპატიეთ, აბატო, – ვეუბნები, – მაგრამ თუ გინდათ, არაფერი გავწოთ, დამეხმარეთ, ეს მშვენიერი მიცვალებული აქედან მოვაშოროთ.

– დიახ, დიახ, – მპასუხობს, თითქოს ექსტაზშია. იმდენად გათიშულია, რომ მკვდარი, თვალებგადმოკარკლული და ენაგადმოგდებული დიანა, მგონი, ისევე მიმზიდველად ეჩვენება, როგორიც შიშველი,

ჩემი უმწეობით რომ ისარგებლა ტაძარში და იძალადა ჩემზე საკუთარი სიამოვნებისთვის.

არც მე ვარ ბოლომდე გამოფხიზლებული, თითქოს ისევ ძილბურანში ვიყო, ღიანას თავისსავე მოსასხამში ვახვევ, სანათურს ბულანს ვაწვდი, გვამს ფეხებში ვწვდები და თქვენი ბინისკენ მივათრევ. შემდეგ მალაზიაში ჩამაქვს გვამი, იქიდან კი – კანალიზაციის გვირაბში. ღიანა საშინელი ხმაურით ურტყამს თავს კიბის საფეხურებს. როგორც იქნა, მიცვალებულს დალა პიკოლას (იმ, სხვა დალა პიკოლას) გვერდით ვათავსებ.

ბულანი შეშლილივით იცინის:

– რამდენი მკვდარია... ალბათ, აქ ჯობია, ვიდრე გარეთ. მაინც გუაიტას ციხე არ ამცდება... შეიძლება, ღიანასთან დავრჩე?

– რა თქმა უნდა, აბატო, მეც ეგ მინდა.

ჯიბიდან პისტოლეტს ვიღებ და შიგ შუბლში ვესვრი.

ბულანი ღიანას ფეხებზე ეცემა. ვასწორებ. გვერდიგვერდ წვანან, ნამდვილი საყვარლებივით.

***

ახლა, როცა ამას გიყვებოდით, ჩემმა ამღვრეულმა გონებამ მოულოდნელად აღიდგინა, რა მოხდა მეხსიერების დაკარგვამდე რამდენიმე წამით ადრე.

წრე შეიკრა. ახლა ყველაფერი ვიცი. დღეს, 18 აპრილს, გამთენიისას, აღდგომის დღეს, დავწერე, რა შეემთხვა 21 მარტს, შუაღამისას, ადამიანს, რომელიც აბატი დალა პიკოლა მეგონა...

25

# ყველაფერი თავის ადგილას დგება

1897 წლის 18 და 19 აპრილის დღიურებიდან

ის, ვინც სიმონინის ზურგს უკან იდგა და მის ნაწერში იყურებოდა, თუ დალა პიკოლას ნაწერსაც წაიკითხავდა, ნახავდა, რომ ტექსტი უცებ წყდებოდა, თითქოს ავტორს ხელი ველარ დაემორჩილებინა და თავადაც სკამიდან გადავარდნილიყო: ამას აშკარად მოწმობდა კალმით ფურცელზე ჩამოსმული ხაზი, რომელიც საწერი მაგიდის მწვანე მაუდზეც გადადიოდა. შემდეგ დღიური სხვა ფურცელზე გრძელდებოდა: ახლა უკვე კაპიტანი სიმონინი წერდა.

მღვდლის სამოსელში, დალა პიკოლას პარიკით გამოელვიძა, მაგრამ ამჯერად ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სიმონინი იყო. მაშინვე დაინახა მაგიდაზე სავარაუდოდ დალა პიკოლას მიერ დატოვებული ფურცლები ნაჩქარევი, ბოლოში კი მთლად გაურკვეველი ნაწერით. სიმონინიმ კითხვა დაიწყო. ოფლი სდიოდა, გული უბაგუნებდა და როცა აბატის ნაწერის კითხვა დაამთავრა, მას (აბატს), ანუ მას (სიმონინის), უფრო სწორად, მათ... გული წაუვიდათ... არა, გული *წაუვიდა*.

გონს მოსულს, გამოფხიზლებულს, ყველაფერი ნათლად გაახსენდა. ხვდებოდა, ზუსტად იცოდა, რომ ის და დალა პიკოლა ერთი და იგივე ადამიანი იყვნენ. ის, რაც წინა საღამოს დალა პიკოლას გაახსენდა, ახლა სიმონინისაც აგონდებოდა: ახსოვდა, რომ აბატი დალა პიკოლა იყო (ის კბილებდაღრეცილი აბატი კი არა, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმა, არამედ ის, რომელიც თვითონ შექმნა და რომელსაც თვითონვე განასახიერებდა მრავალი წელი), როცა ის საშინელება დაემართა სატანისტურ წირვაზე.

შემდეგ რა იყო? პარიკი, ალბათ, დიანამ მოაძრო იმ საბედისწერო საღამოს, როცა ეკლესიის იატაკზე ძიძგილაობდნენ, ანაფორა კი, როგორც ჩანს, მაშინ გაიხადა, როცა ქალის უსულო სხეულს საკანალიზაციო გვირაბისკენ მიათრევდა. შემდეგ, ნახევრად გონებადაბნელებული, საკუთარ ოთახში აბრუნდა მეტრ-ალბერის ქუჩაზე, დაიძინა და იქვე გაეღვიძა 22 მარტს: იმ დილით, როცა ვერ იხსენებდა, სად იყო მისი სამოსი.

დიანასთან ხორციელი სიახლოვე, მისი უწმინდური წარმომავლობის გაგება და ქალის გარდაუვალი, ლამის რიტუალური მკვლელობა მეტისმეტი აღმოჩნდა და მანაც იმავე ღამეს დაივიწყა ყველაფერი. უფრო სწორად, დალა პიკოლამ და სიმონინიმ ერთად დაკარგეს მეხსიერება, რის შემდეგაც მათი პიროვნებები ერთმანეთს ენაცვლებოდა მთელი თვის მანძილზე. ალბათ, დიანასავით ისიც კრიზისის, ეპილეფსიური შეტევის, გონების დაკარგვის თუ რაღაც ამდაგვარის საშუალებით გადადიოდა ერთი მდგომარეობიდან მეორეში, უბრალოდ თავად ვერ ხვდებოდა ამას და ყოველ ჯერზე, გამოღვიძებულს, თავი სხვა ადამიანი ეგონა.

ექიმ ფრეიდის მეთოდმა გაჭრა (თუმცა თავად ექიმი ვერასოდეს გაიგებდა, რომ მისი მეთოდი ეფექტიანი აღმოჩნდა). თავისი მეორე „მე"-სთვის იმ მოგონებების მოყოლით, რომლებსაც დიდი გაჭირვებით, თითქოს ძილში აგლეჯდა საკუთარ ამ-

ღვრეულ მეხსიერებას, სიმონინი, როგორც იქნა, მივიდა კრიტიკულ წერტილამდე, იმ „ტრავმულ მოვლენამდე“, რომელმაც ამნეზია გამოიწვია და მისი პიროვნება ორ ადამიანად გახლიჩა. თითოეულს საერთო წარსულის მხოლოდ გარკვეული ნაწილი ახსოვდა და ამიტომაც ვერ ახერხებდა ვერც ერთი მათგანი იმ გახლეჩილი პიროვნების გამთლიანებას, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ცდილობდა, მეორისათვის მეხსიერების წაშლის ის შემზარავი, უხსენებელი მიზეზი დაემალა.

სიმონინი საშინლად დაქანცა მეხსიერების ასეთმა დაძაბვამ. სურდა, დარწმუნებულიყო, რომ თავიდან დაიბადა, ამიტომ დღიური დახურა და გადაწყვიტა, სახლიდან გასულიყო. უნდოდა, ვინმეს შეხვედროდა, სულერთი იყო, ვის: ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან უკვე იცოდა საკუთარი ვინაობა. ერთი სული ჰქონდა, გემრიელი სადილი მიერთვა, მაგრამ თავის შეკავება არჩია: მის გრძნობებს ისედაც მკაცრი გამოეცდა გაევლოთ. თებაიდელი განდეგილივით, მონანიება სწყუროდა.

სახლში დაბრუნებულმა კიდევ რამდენიმე დეტალი ჩაიწერა, რაც გზაში გაახსენდა. დღიურის წერას აზრი აღარ ჰქონდა: ეს ხომ მეხსიერების აღსადგენად დაიწყო, ახლა კი ყველაფერი ახსოვდა. მაგრამ ამ ერთი თვის მანძილზე სიმონინი წერას მიეჩვია. სანამ ეგონა, რომ დალა პიკოლა არსებობდა, ეგულებოდა ვიღაც, ვისაც გამოელაპარაკებოდა. ამ ურთიერთობამ მიახვედრა სიმონინი, რამდენად მარტო იყო მუდამ, ბავშვობიდან. ალბათ (გაბედავს და შენიშნავს მთხრობელი), იმიტომაც გახლიჩა ორად საკუთარი პიროვნება, რომ თანამოსაუბრე ჰყოლოდა ცხოვრებაში.

ახლა უნდა ეღიარებინა, რომ „სხვა“ არ არსებობდა და რომ იმ დღიურით მხოლოდ საკუთარი მარტოობის შველას ცდილობდა. მაგრამ ისე მისჩვეოდა ამას, რომ სურდა, გაეგრძელებინა. განსაკუთრებულად სულაც არ უყვარდა საკუთარი თავი:

უბრალოდ, იმდენად სძულდა სხვები, რომ მათ ფონზე საკუთარ თავს ასე თუ ისე იტანდა.

დალა პიკოლა (თავისი, საკუთარი, აბა, ნამდვილი ხომ სიცოცხლეს გამოასალმა) მაშინ გამოიყვანა სცენაზე, როცა ლაგრანჟმა დაავალა, ბულანისთვის მიეხედა. იფიქრა, საეკლესიო პირი ყოველთვის ნაკლებ ეჭვს აღძრავს, ვიდრე საეროო. თანაც, მოსწონდა აზრი, გაეცოცხლებინა კაცი, რომელიც თავად გაისტუმრა საიქიოს.

უიაფესად იყიდა ბინა და მაღაზია მობერის ჩიხში, მაგრამ მეტრ-ალბერის ქუჩაზე გამავალ ოთახსა და დერეფანს არ ხმარობდა. ოფიციალურ მისამართადაც მობერის ჩიხს უთითებდა, მაღაზიისთვის ასე ჯობდა. მას შემდეგ, რაც საქმეში დალა პიკოლა ჩართო, იაფფასიანი ავეჯით მოაწყო მეტრ-ალბერზე გამავალი ოთახი და თავისი აბატის აჩრდილს ფარული საბუდარი მოუწყო.

გარდა იმისა, რომ სატანისტურ და ოკულტურ წრეებში ნაცნობები ჰყავდა, დალა პიკოლა სხვა მხრივაც გამოსადეგი კაცი იყო: ხშირად ხდებოდა, რომ რომელიმე მძიმე ავადმყოფის ახლო (თუ შორეული) ნათესავი მღვდელს იხმობდა მომაკვდავის სარეცელთან აღსარებისთვის, ავადმყოფის სიკვდილის შემდეგ კი სიმონინის გამომცხვარი ანდერძით სწორედ ამ ნათესავს რჩებოდა გარდაცვლილის ქონება. თუ ვინმე ეჭვს შეიტანდა იმ, საიდანღაც მოულოდნელად გამომტყვრალი, დოკუმენტის ნამდვილობაში, საეკლესიო პირი დაიფიცებდა, რომ ანდერძი ზუსტად შეესაბამებოდა მომაკვდავის უკანასკნელ სურვილს, რომელიც მას მოძღვრისთვის გაენდო სასიკვდილო სარეცელზე. ტაქსილის ამბავში კი დალა პიკოლა მთელი ათი წლის მანძილზე უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო.

დალა პიკოლას ანაფორის წყალობით სიმონინიმ პადრე ბერგამასკისთან და ებიუტერნთან დაახლოებაც მოახერხა. ვე-

ქილს არაჩვეულებრივად გამოსდიოდა სახეცვლილება: დალა პიკოლა ქერა კაცი იყო, გაქუცული თმით, გაბურძგნილი წარბებით და, რაც მთავარია, ლურჯშუშიანი სათვალით, რომელიც მზერას უმალავდა. სიმონინის მღვდლის კალიგრაფიაც დამუშავებული ჰქონდა და წვრილი, ლამის ქალური ხელით წერდა, თან ხმის შეცვლასაც მშვენივრად ახერხებდა. მოკლედ, დალა პიკოლას სამოსში სიმონინი არა მხოლოდ განსხვავებულად წერდა და ლაპარაკობდა, არამედ განსხვავებულად ფიქრობდა კიდეც, მართლა ბოლომდე შედიოდა როლში.

სამწუხარო იყო, რომ ამიერიდან დალა პიკოლა სამუდამოდ გაქრებოდა (როგორც ჩანს, ამ სახელის მქონე ყველა სასულიერო პირს ეს ბედი ეწერა). მაგრამ მასთან ერთად სიმონინის მთელი ის ამბავი უნდა მოეშორებინა, რათა იმ სამარცხვინო მოვლენათა კვალი წაეშალა, რომლებმაც ის ტრავმამდე მიიყვანა. თანაც, ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს, მისი სცენარის თანახმად, ტაქსილის საჯარო აღიარება იყო დაგეგმილი. და ბოლოს: რადგან დიანა აღარ არსებობდა, უმჯობესი იყო, შეთქმულებაც მასთან ერთად გამქრალიყო, თორემ ვინ იცის, იქნებ ვინმეს ოდესმე კიდევ გასჩენოდა ამ ყველაფერთან დაკავშირებით უხერხული კითხვები.

მხოლოდ კვირადღე და ორშაბათის დილა რჩებოდა ამ საქმის მოსაგვარებლად. ისევ გადაიცვა დალა პიკოლას ანაფორა და ტაქსილთან შესახვედრად გაეშურა. ტაქსილი თურმე ყოველ ორ-სამ დღეში ერთხელ ჩადიოდა ოტეიში, მაგრამ არც დიანა ხვდებოდა იქ და არც სხვა ვინმე, მისი ბებერი მომვლელი კი ეუბნებოდა, არაფერი ვიციო. ტაქსილი უკვე შიშობდა, რომ ქალი მასონებმა გაიტაცეს. სიმონინიმ დაამშვიდა, დიუ მორიემ დიანას ძველი მისამართი მომცა და დიანა ამერიკაში, ჩარლსტონში, გავამგზავრე გემითო. ზუსტად მოვასწარი შენს საჯარო აღიარებამდეო. მერე ხუთი ათასი ფრანკი დაუტოვა დაპირებული სამოცდათხუთმეტი ათასიდან, მეორე დღეს, ნა-

შუადღევს, დათქვეს შეხვედრა „გეოგრაფიულ საზოგადოებაში“ და ერთმანეთს დაშორდნენ.

მერე, ისევ დალა პიკოლას სამოსელით, ოტეის მიაშურა. მომვლელი ქალი გაოცდა მის დანახვაზე, თვეზე მეტი იყო, არც დალა პიკოლა ენახა და არც დიანა. აღარ ვიცოდი, რა მეთქვა საწყალი ბატონი ტაქსილისთვის, ყოველ ორ დღეში მოდიოდა ამბის საკითხავადო. სიმონინიმ მასაც იგივე უთხრა: დიანა თავის ოჯახს დაუბრუნდა, ამერიკაშიო. გულუხვი გასამრჯელო მისცა დედაბერს, მანაც სასწრაფოდ აიკრა გუდა-ნაბადი და იქაურობას გაშორდა.

საღამოს სიმონინიმ იმ წლებთან დაკავშირებული ყველა ნივთი და საბუთი ცეცხლს მისცა. გვიან ღამით კი გავიალის მიადგა და დიანას ტანსაცმლითა და ავლა-დიდებით სავსე უზარმაზარი სკივრი დაუტოვა: მეძველმანე ხომ საქონლის წარმომავლობას არასოდეს კითხულობს. მეორე დილით ვექილმა ოტეის ბინის პატრონს მიაკითხა, შორეული მოგზაურობა მოიმიზეზა და ბინა ჩააბარა, თან ექვსი თვის ქირა უხმოდ გადაიხადა. სახლის პატრონმა ბინა დაათვალიერა, დარწმუნდა, რომ ყველაფერი ადგილზე იყო, სიმონინის გასაღები გამოართვა და ორჯერ გადაატრიალა საკეტში.

ახლა მხოლოდ დალა პიკოლა უნდა მოეშორებინა თავიდან (მეორედ). ეს არ გაუჭირდებოდა. სიმონინიმ აბატის თმა-წვერი მოიხსნა, ანაფორა დერეფანში დაკიდა და დალა პიკოლა სამუდამოდ გაუჩინარდა. თავის დასაზღვევად სიმონინიმ მუხლის მოსაყრელი სკამი და საეკლესიო წიგნებიც მაღაზიაში ჩაიტანა, ვინ იცის, იქნებ ვინმე თავგზააბნეულს მონდომებოდა მათი ყიდვა. მორჩა, სიმონინი ნებისმიერი ახალი თავგადასავლისთვის მზად იყო.

მთელი იმ ამბიდან აღარაფერი რჩებოდა, ტაქსილისა და ბატაის მოგონებების გარდა. მაგრამ ბატაი თავისი ღალატის შემდეგ ნამდვილად აღარ გამოჩნდებოდა, ტაქსილის ამბავი კი იმ საღამოს დასრულდებოდა.

19 აპრილს, საღამოს, სიმონინიმ ჩვეულებრივად ჩაიცვა და მოემზადა, რომ ტაქსილის აგერ უკვე მერამდენე აღიარებით დამტკბარიყო. ტაქსილი, დალა პიკოლას გარდა, იმ თვითმარ-ქვია ნოტარიუს ფურნიეს იცნობდა: გაქუცულ, წაბლისფერ-თმიან და ოქროსკბილიან კაცს, გაბანჯგვლულწვერიანი სიმო-ნინი კი მხოლოდ ერთხელ ენახა, როცა ჰიუგოსა და ბლანკის წერილების გასაყალბებლად მიმართა მას. მაგრამ ეს თხუთმე-ტიოდე წლის წინ იყო და იმ ხელნაწერთა გამყალბებლის სახე ნამდვილად არ ეხსომებოდა. ასე რომ, სიმონინის, რომელსაც, ყოველი შემთხვევისთვის, თეთრი წვერი და მწვანე სათვალე მოერგო და „გეოგრაფიული საზოგადოების“ წევრს უფრო ჰგავდა, ვიდრე ნოტარიუსს, მშვიდად შეეძლო პარტერში ჯდო-მა და სეირის ყურება.

ამ ღონისძიების შესახებ გაზეთებს გაევრცელებინათ ინ-ფორმაცია. დარბაზი გადაჭედილი იყო ცნობისმოყვარეებით, დიანა ვოგანის თაყვანისმცემლებით, მასონებით, ჟურნალის-ტებით და თვით ვატიკანისა და არქიეპისკოპოსის წარმომად-გენლებითაც კი.

ტაქსილმა უდარდელი, სიტყვაწყლიანი ლაპარაკი იცოდა, როგორც ნამდვილ სამხრეთელს შეშვენის. აუდიტორია დიანას ნახვასა და იმ ამბების დადასტურებას ელოდა, რაც ტაქსილს უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე დაეწერა, მან კი, ყვე-ლას გასაოცრად, ჯერ კათოლიკე ჟურნალისტებს შეუტია, მე-რე კი გამოაცხადა, „ხალხური სიბრძნე გვასწავლის, ტირილს სიცილი სჯობია“, ჰოდა, გამოგიტყდებით, რომ ტყუილებზე ვგიჟდებიო (ტყუილად კი არ ვარ მარსელელიო, მოახსენა ახარ-ხარებულ პუბლიკას) და, შეკრებილები რომ თავიდანვე დაერ-წმუნებინა, რომ ცრუპენტელობის დიდოსტატი იყო, არტისტუ-ლად მოუყვა მათ მარსელის ზვიგენებისა და ლემანის ფსკერზე ჩაძირული ქალაქის ამბები. მაგრამ ეს ყველაფერი წვრილმანე-ბია ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდ ტყუილთანო: მოხსნა პირი

და დაფქვა, როგორ დააჯერა ეკლესია თავის გაქრისტიანება-
ში, როგორ გააცუცურაკა კათოლიკეთა მაღალჩინოსნები, რომ-
ლებსაც მისი აღსარების სიწრფელის დადგენა ევალებოდათ.

დარბაზში სიცილმა იმატა. მღვდლები ბობოქრობდნენ, აღ-
შფოთებულები ყვიროდნენ, ზოგი დარბაზს ტოვებდა, ზოგიერ-
თი სკამს იქნევდა გაცოფებული. მოკლედ, საშინელი ალიაქო-
თი ატყდა, თუმცა ტაქსილის ხმა ჯერ კიდევ ისმოდა იმ საყო-
ველთაო არეულობაში და ისიც არხეინად ჰყვებოდა, „Humanum
Genus"-ის გამოსვლის შემდეგ ეკლესიისთვის თავის მოსაწო-
ნებლად როგორ გადაწყვიტა, მასონებს დაპირისპირებოდა.
სინამდვილეში მასონები უნდა მიმადლოდნენ კიდეც, რადგან
სწორედ ჩემმა წიგნებმა მიახვედრა ისინი, რაოდენ მოძველებუ-
ლი და სასაცილოა მათი რიტუალები, მასონთა პროგრესული
ნაწილი კარგა ხანია, ასე ფიქრობდაო. კათოლიკეებზე კი აბა
რა გითხრათ... „მოვექეცი" თუ არა, მაშინვე მივხვდი, კათოლი-
კეთა უმეტეს ნაწილს უჩემოდაც ღრმად სწამს, რომ სამყაროს
შემოქმედი ეშმაკია, მასონების სათაყვანებელი არსება, ასე
რომ დიდი შრომა არ მჭირდებოდა, უბრალოდ მათი ეს რწმენა
უნდა გამეღრმავებინაო.

დარბაზში ხმაური მატულობდა. როცა ტაქსილმა ლეონ XIII-
სთან საუბარი ახსენა (პაპმა მკითხა: „შვილო ჩემო, რა გინ-
და?" ვუპასუხე: „წმინდა მამაო, თქვენს ფერხთით სიკვდილი
იქნებოდა ჩემთვის უდიდესი ბედნიერება!"), ხალხი აღრიალდა:
„პატივი ეცი ლეონ XIII-ს! მისი სახელის წარმოთქმის უფლე-
ბაც არ გაქვს!" ზოგი ყვიროდა: „როდემდე უნდა ვუსმინოთ ამ
ბოდვას?" „გულისამრევია!" „ავაზაკო!" „ბინძურო არამზადავ!"
თუმცა უმრავლესობა კმაყოფილი ქირქილებდა.

ტაქსილი განაგრძობდა: – ასე გამოვზარდე თანამედროვე
ლუციფერიზმის ნერგი და მასზე პალადიზმის რიტუალი დავამ-
ყნე, რომელიც მთლიანად, პირველიდან ბოლო პწკარამდე, ჩემი
გამოგონილია.

მერე მოუყვა შეკრებილებს, როგორ მოიგონა ექიმ ბატაის პერსონაჟი (ეს სახე ჩემმა ლოთმა მეგობარმა შთამაგონაო), სოფია უალდერი, იგივე საფო და ბოლოს დააგვირგვინა, დიანა ვოგანის სახელით გამოსული ყველა წიგნი ჩემი დაწერილიაო. დიანა უბრალოდ ერთი პროტესტანტი იყო, მბეჭდავი, საბეჭდი მანქანების მწარმოებელი ამერიკული ფირმის წარმომადგენელი, გონიერი, ენამახვილი და ამასთან ელეგანტური და უბრალო ქალი, როგორებიც არიან ხოლმე პროტესტანტი ქალებიო. ძალიან ახალისებდა მისი სახელის გარშემო ატეხილი მითქმამოთქმა, ეპისკოპოსებთან და კარდინალებთან მიმოწერა, პონტიფიკუსის მდივნისაგან მიღებული წერილები, ერთობოდა, როცა ვატიკანს ლუციფერისტების შეთქმულებებზე ატყობინებდაო...

– თუმცა, – ამბობდა ტაქსილი, – როგორც თავად ნახეთ, მასონურმა წრეებმაც დაიჯერეს ჩვენი მონაჩმახი. როცა „დიანამ“ დაწერა, რომ ჩარლსტონის დიდმა ოსტატმა ადრიანო ლემი დაასახელა ლუციფერისტების პონტიფიკუსად, ბევრმა იტალიელმა მასონმა, მათ შორის ერთმა დეპუტატმაც, სერიოზულად მიიღო ეს ამბავი: განრისხდნენ, როგორ თუ ლემიმ ეს არ შეგვატყობინაო და სიცილიაში, ნეაპოლსა და ფლორენციაში პალადისტების სამი დამოუკიდებელი უმაღლესი საბჭო ჩამოაყალიბეს და მის ვოგანი საპატიო წევრად დაასახელეს. იმ სახელგანთქმულმა ბატონმა მარჯოტამაც დაწერა, დიანა ვოგანს ვიცნობო, როცა სინამდვილეში მე მოვუყევი იმ შეხვედრის ამბავი. მანაც დააჯერა ხალხი (თუ თავადაც დაიჯერა), რომ პირადად შეხვედროდა დიანას. გამომცემლებიც გავაცურე, მაგრამ მათ საწუწუნო არაფერი აქვთ, ისეთი წიგნები გამოსცეს ჩემი წყალობით, რომლებმაც „ათას ერთი ღამეც“ კი უკან ჩამოიტოვეს.

– ბატონებო, – განაგრძობდა ტაქსილი, – როცა ხვდებით, რომ გაგაცურეს, ჯობია, იხალისოთ ამაზე. აბატო გარნიე (ერთ-



*...დიანა უბრალოდ ერთი პროტესტანტი იყო, მბეჭდავი, საბეჭდი მანქანების მწარმოებელი ამერიკული ფირმის წარმომადგენელი, გონიერი, ენამახვილი და ამასთან ელეგანტური და უბრალო ქალი, როგორებიც არიან ხოლმე პროტესტანტი ქალებიო...*

ერთ ყველაზე გაცხარებულ მღვდელს მიმართა დარბაზში), ასეთი გაცოფებით მხოლოდ საკუთარ თავს აიგდებთ მასხრად.

– ნაძირალა ხარ! – უღრიალა გარნიემ და ჯოხი მოუქნია, მეგობრები აკავებდნენ, რომ ყელში არ სწვდომოდა ტაქსილს.

– მეორე მხრივ, – ანგელოზივით უმანკო სახით განაგრძობდა ტაქსილი, – ვერ გავკიცხავთ მათ, ვინც დაიჯერა, რომ ეშმაკი მართლა მონაწილეობდა ჩემს აღწერილ სატანისტურ რიტუალებში. განა კეთილ ქრისტიანებს არ სწამთ, რომ სატანამ იესო ქრისტე მთის წვერზე აიყვანა, საიდანაც მსოფლიოს ყველა ქვეყანა დაანახვა? მაგრამ როგორ დაანახვებდა ყველა ქვეყანას, თუ დედამიწა მრგვალია?

– ყოჩაღ! – ყვიროდნენ ზოგიერთები.

– ნუ მკრეხელობ მაინც! – ღრიალებდნენ სხვები.

– ბატონებო, – საზეიმოდ დაასრულა ტაქსილმა, – ვაღიარებ, რომ ჩვილის სისხლით გავისვარე ხელი: პალადიზმი მკვდარია, რადგან მშობელმა მამამ მოუსწრაფა სიცოცხლე.

ალიაქოთმა კულმინაციას მიაღწია. აბატი გარნიე სკამზე შემხტარიყო, ყვიროდა, ჯოხს იქნევდა და გარშემომყოფთა ყურადღების მიქცევას ცდილობდა, მაგრამ მის ხმას ხარხარი და ღრიანცელი ახშობდა. ტაქსილი სცენიდან ამაყად დასცქეროდა აბობოქრებულ დარბაზს. დიდების ზენიტში იყო. თუ ოდესმე ეოცნება, ტყუილის მეფედ ეკურთხებინათ, ახლა მიზნისთვის მიეღწია. მშვიდად უყურებდა ადამიანებს, მისკენ რომ იწევდნენ და მუშტებსა თუ ჯოხებს უღერებდნენ ყვირილით: „არ გრცხვენია?“ ვითომ არ ესმოდა. ან რის უნდა შერცხვენოდა? იმის, რომ ყველას მისი სახელი ეკერა პირზე?

სიმონინის წარმოედგინა, რა ელოდა ტაქსილს სულ მალე და ეს ძალიან ართობდა.

მარსელელი უსათუოდ დალა პიკოლას მოიკითხავდა კუთვნილი გასამრჯელოს მისაღებად, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნებდა. ოტეიში აღარავინ იყო. იქნებ უკვე ახალი ბინადრე-

ბიც დახვედროდნენ იმ ბინაში. დალა პიკოლას მეტრ-ალბერის ქუჩის ბინაზე ტაქსილმა არაფერი იცოდა. ნოტარიუს ფურნიეს ვერ მიაგნებდა და ვერც დააკავშირებდა მას ადამიანთან, რომელმაც მრავალი წლის წინ ჰიუგოს წერილი გაუშანშალა. ვერც ბულანს იპოვიდა. ებიუტერნს შორიდან იცნობდა, როგორც მასონთა მაღალჩინოსანს, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ ებიუტერნი როგორმე დაკავშირებული იყო მის საქმესთან, ხოლო პადრე ბერგამასკის არსებობაც კი არ იცოდა. მოკლედ, ტაქსილი ვერავის მოსთხოვდა თავის გასამრჯელოს, რომელსაც სიმონინი ახლა სანახევროდ კი არა, სრულად ჩაიჯიბავდა (სამწუხაროდ, იმ ხუთი ათასის გამოკლებით, რომელიც წინასწარ დაუტოვა მარსელელს).

ახალისებდა იმის წარმოდგენა, როგორ იწანწალებდა საწყალი თაღლითი პარიზის ქუჩებში არარსებული აბატის, ნოტარიუსის, სატანისტისა და პალადისტი ქალის ძებნაში, რომელთა გვამებიც პარიზის კლოაკის ბნელ გვირაბში განისვენებდა. თვალწინ ედგა, როგორ დაეძებდა გამწარებული ტაქსილი ვინმე ბატაის, რომელიც, ფხიზელიც რომ ეპოვა სადმე, ვერაფერში გამოადგებოდა, ან როგორ ეძებდა თავის ფულს, რომელიც სულ სხვა ჯიბეში დაბინავებულიყო. კათოლიკების მიერ შეჩვენებულს აღარც მასონები მიიღებდნენ, რადგან უკვე ველარ ენდობოდნენ, არადა, ტაქსილი ვალებით იყო სავსე და სულ კედლისთვის რომ ეხალა ის ოფლით გახვითქული თავი, გამოსავალს ვერსად იპოვიდა.

„ძალიანაც კარგი, – ფიქრობდა სიმონინი, – ამ ცრუპენტელა მარსელელმა დაიმსახურა ეს ყველაფერი“.

26

# საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა

10 ნოემბერი, 1898

უკვე წელიწად-ნახევარი გავიდა, რაც ტაქსილი, დიანა და, რაც მთავარია, დალა პიკოლა მოვიშორე თავიდან. თუ ავად ვიყავი, ახლა განვიკურნე თვითჰიპნოზისა თუ ექიმ ფრეიდის წყალობით. და მაინც, ამ თვეების მანძილზე მოსვენება არ მღირსებია. მორწმუნე რომ ვიყო, ვიტყოდი, სინდისი მქენჯნის და ვიტანჯები-მეთქი. მაგრამ რატომ მქენჯნის სინდისი? ან რატომ ვიტანჯები?

ის საღამო, როცა ტაქსილი საბოლოოდ მოვიშორე თავიდან, მშვიდად გავატარე. ვტკბებოდი საკუთარი გამარჯვებით, მაგრამ გული მწყდებოდა, რომ სიხარულს ვერავის ვუზიარებდი. თუმცა უკვე მივეჩვიე მარტოობას, ასეც ბედნიერი ვარ. როგორც „მანის" ყოფილმა კლიენტმა, იმ საღამოს „ბრებან-ვაშეტს" მივაშურე. ტაქსილის გაცურებით იმდენი ფული ვიშოვე, რომ ყველაფრის უფლებას მივცემდი საკუთარ თავს. რესტორნის პატრონმა მიცნო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მე ვიცანი. ენაწყლიანად აღმიწერა „დიუმას სალათი", რომელიც ალექსან-

დრე დიუმას (შვილი დიუმას. ღმერთო, როგორ დავბერდი!) პიესის წარმატების შემდეგ შეეტანათ მენიუში: ბულიონში მოხარშულ კარტოფილს თხლად ჭრიან და სანამ ჯერ კიდევ თბილია, აზავებენ მარილით, პილპილით, ზეითუნის ზეთითა და ორლეანის ძმრით. ერთ ჭიქა თეთრ ღვინოსაც ამატებენ (თუ შესაძლებელია, „შატო დ'იკემი“ ჯობს) და წვრილად დაჭრილ სხვადასხვა მწვანილს მოაყრიან. ცალკე დადუღებულ ნიახურის, სტაფილოსა და ხახვის ნახარშში მსხვილ მოლუსკებს ხარშავენ, შემდეგ ყველაფერს ერთმანეთში აურევენ და შამპანურში მოშუშული ტრიუფელის სოკოს თხელი ნაჭრებით მორთავენ. კერძი სუფრაზე გატანამდე ორი საათით ადრე მზადდება, რათა კლიენტმა ზომიერად შეგრილებული მიირთვას.

მაინც ვერ ვმშვიდდები. ვგრძნობ, რომ სულიერი მდგომარეობის შესამსუბუქებლად დღიურის წერას უნდა დავუბრუნდე. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ექიმი ფრეიდის მკურნალობა არ დამიმთავრებია.

საქმე ისაა, რომ უცნაური და შემაშფოთებელი ამბები ხდება ჩემ გარშემო და დაუცველობის გრძნობა არ მეშვება. პირველ რიგში, არ მასვენებს იმაზე ფიქრი, ვინ იყო ის რუსი, რომლის გვამიც კანალიზაციის გვირაბშია. ჩემს ოთახში იყო შემოსული 12 აპრილს. შეიძლება, ახლდა კიდეც ვინმე. იქნებ იმ დღის შემდეგაც დაბრუნდა აქ რომელიმე მათგანი? ხან რა დამეკარგა ბინიდან, ხან – რა, ისეთი არაფერი, მაგალითად, კალამი ან ქაღალდების შეკვრა. რამდენჯერმე გადაადგილებულიც დამხვდა ნივთები: ისეთ ადგილას მიპოვია ზოგიერთი ნივთი, სადაც, შემიძლია დავიფიცო, თავად არასოდეს დავდებდი. ვინ შემოდიოდა ჩემს ბინაში, ვინ იქექებოდა ჩემს ნივთებში და ადგილს უცვლიდა საგნებს? მიაგნო რამეს? რას?

„რუსები“ რაჩკოვსკის ნიშნავს. მაგრამ ეს კაცი ნამდვილი სფინქსია. ორჯერ მოვიდა ჩემთან და ორჯერვე ბაბუაჩემის ნაწერების მოძებნა მთხოვა: იმედი აქვს, გამოუქვეყნებელ, უც-

ნობ მასალას მიაგნებს მათში. ორივეჯერ ბანზე ავუგდე სიტყვა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ბევრი არაფერი მაქვს შესათავაზებელი და მეორეც, რომ უფრო გავუღვივო ცნობისმოყვარეობა.

ბოლო მოსვლაზე გამომიცხადა, მეტს ვეღარ დაგელოდებითო. არ მომეშვა, მითხარით, თუ მხოლოდ ფულის ამბავიაო. ხარბი არ გახლავართ-მეთქი, ვუთხარი. ბაბუაჩემმა მართლაც დამიტოვა დოკუმენტები, რომლებშიც ზუსტადაა აღწერილი, რა ითქვა იმ ღამეს პრაღის სასაფლაოზე, მაგრამ ის საბუთები თან არ მაქვს, პარიზი უნდა დავტოვო, ერთგან მეგულება ისინი-მეთქი. – წადით მერე, – მითხრა რაჩკოვსკიმ. მერე სიტყვა გადამიკრა დრეიფუსის საქმეზე, მიმახვედრა, თუ ეს ამბავი გახმაურდა, შეიძლება, პრობლემები შეგექმნათო. მან საიდან იცის?

დრეიფუსის „ეშმაკის კუნძულზე“ გამომწყვდევამ მის საქმეზე ატეხილი მითქმა-მოთქმა ვერ ჩააცხრო. პირიქით, ხმა ამოიღეს ეგრეთ წოდებულმა დრეიფუსელებმა, ანუ მათ, ვისაც დრეიფუსი უდანაშაულოდ მიაჩნდა. მათ გარდა, წერის მანიით შეპყრობილმა უამრავმა უსაქმურმა აღიმაღლა ხმა და ბერტილიონის ექსპერტიზის სანდოობა საეჭვოდ ჩათვალა.

ყველაფერი 1895 წლის მიწურულს დაიწყო, როცა სანდერმა სამსახურს თავი დაანება (მგონი დამბლა თუ რაღაც ამდაგვარი დაემართა) და ის ვინმე პიკარმა შეცვალა. მან მალევე გამოიჩინა თავი სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფით. როგორც ჩანს, კარგა ხნის დახურული დრეიფუსის საქმეც გადაჩხრიკა. და აი, გასული წლის მარტში საელჩოს იმ ცნობილ საქაღალდეში ტელეგრამის ტექსტი აღმოაჩინა, რომელსაც სამხედრო ატაშე ესტერჰაზის უგზავნიდა. ისეთი არაფერი ეწერა, მაგრამ რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდა იმ სამხედრო ატაშეს ფრანგ ოფიცერთან? პიკარმა ესტერჰაზიზე მეთვალყურეობა დააწესა, მისი ხელწერის ნიმუშები მოიძია და შენიშნა, რომ ესტერჰაზის

კალიგრაფია საეჭვოდ ჰგავდა დრეიფუსის ავბედითი „ბორდეროს“ ხელწერას.

ეს ინფორმაცია „თავისუფალმა სიტყვამ“ დაბეჭდა. დრიუმონი გაცოფებული იყო ამ არამკითხეზე, რომელმაც ჩაფარცხული საქმე ამოუქექა.

– ვიცი, რომ ეს ამბავი გენერლებს, ბუადეფრსა და გონსსაც მოახსენა, მაგრამ მათ, საბედნიეროდ, ყური არ ათხოვეს. ჩვენი გენერლები პიკარივით დარტყმულები კი არ არიან.

ნოემბერში რედაქციაში ესტერჰაზის შევეჩეხე. ძალიან აღელვებული ჩანდა, მთხოვა, ცალკე მინდა, შეგხვდეო. სახლში მომაკითხა, ვინმე კომანდერი ანრი ახლდა.

– სიმონინი, ხმები დადის, რომ „ბორდერო“ ჩემი დაწერილია. მაგრამ თქვენ ხომ დრეიფუსის ხელწერის მიხედვით გააკეთეთ ის დოკუმენტი? ასე არაა?

– რა თქმა უნდა. ნიმუში სანდერმა გადმომცა.

– ვიცი, მაგრამ რატომ მეც არ დამიძახა იმ დღეს სანდერმა? იმიტომ, რომ ნიმუში არ მენახა?

– ის გავაკეთე, რაც დამავალეს.

– ვიცი, ვიცი. მაგრამ ჯობია, ამ რებუსის ამოხსნაში დამეხმაროთ. ჯერ ვერ გამირკვევია, რატომ, მაგრამ შეიძლება, ეს ყველაფერი ჩემთვის ხაფანგის დასაგებად გაკეთდა და თუ ასეა, არ გამოვრიცხავ, თქვენი მოშორებაც დასჭირდეს ვინმეს, საშიში მოწმე ხართ. მოკლედ, ეს საქმე თქვენც გეხებათ.

სამხედროებისგან ყოველთვის შორს მინდოდა თავის დაჭერა. ავფორიაქდი. ესტერჰაზიმ ამიხსნა, რას მთხოვდა. იტალიელი ატაშეს, პანიცარდის, ხელწერის ნიმუში მიჩვენა და ტექსტიც მომცა, რომელიც იმ ხელწერით უნდა შემექმნა: პანიცარდის წერილი გერმანელ სამხედრო ატაშეს, რომელშიც დრეიფუსის თანამშრომლობაზე იყო ლაპარაკი.

– კომანდერი ანრი, – თქვა ბოლოს ესტერჰაზიმ, – იპოვის ამ დოკუმენტს და გენერალ გონსს მიაწვდის.

დავალება შევასრულე და ესტერჰაზიმ უხმოდ ჩამითვალა ათასი ფრანკი. მერე აღარ ვიცი, რა მოხდა. მხოლოდ ის ვიცი, რომ 1896-ის ბოლოს პიკარი ტუნისის მსროლელთა რაზმში გადაიყვანეს.

მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინ, როცა მე ტაქსილის თავიდან მოშორებაზე ვზრუნავდი, პიკარმა თავისი მეგობრები ჩართო საქმეში და ყველაფერი გართულდა. კონფიდენციალური ინფორმაცია როგორღაც ჟონავდა პრესაში და დრეიფუსის მხარდამჭერი გაზეთები (ასეთი ცოტა იყო) ამ ცნობებს ჭეშმარიტებად ასაღებდნენ, ანტიდრეიფუსისტები კი – ცილისწამებად. პიკარის სახელზე გაგზავნილი ტელეგრამები დაბეჭდეს, რომლებიც ადასტურებდა, რომ სწორედ ის იყო გერმანელების მიერ ესტერჰაზისთვის გაგზავნილი იმ ყბადაღებული შეტყობინების ავტორი. მივხვდი, ეს ესტერჰაზისა და ანრის სვლა იყო. ჩოგბურთის თამაშს ჰგავდა ეს ყველაფერი: ახალი ბრალდების გამოგონება არც გჭირდებოდა, საკმარისი იყო, მეტოქის მოედანზე გადაგეგდო შენკენ მომართული ბრალდება. ეჰ, ჩემო კარგებო, დაზვერვა და კონტრდაზვერვა მეტისმეტად სერიოზული რამაა საიმისოდ, რომ სამხედროებს ჩაუგდო ხელში! ისეთ პროფესიონალებს, როგორებიც ლაგრანჟი და ებიუტერნი იყვნენ, ასეთი დომხალი არასოდეს მოუწყვიათ. მაგრამ იმათგან რას უნდა ელოდე, ვინც დღეს საიდუმლო სამსახურში მუშაობს, ხვალ კი ტუნისის მსროლელთა რაზმს უდგას სათავეში? ან თუნდაც მათგან, ვინც პონტიფიკუსის ზუავთა რიგებიდან უცხოურ ლეგიონში გადაბარგდება?

ის სვლა მაინც ფუჭი აღმოჩნდა. ესტერჰაზიზე საქმე აღიძრა. ვაითუ თავის გასამართლებლად ეღიარებინა, რომ „ბორდერო“ ჩემი დაწერილი იყო?

***

მთელი წელი მშვიდად არ მიძინია. ყოველღამე უცნაური ხმაური მაღვიძებდა, ერთი სული მქონდა, ავდგარიყავი და მალაზიაში ჩავსულიყავი, მაგრამ მეშინოდა, რომ იქ ვიღაც რუსი დამხვდებოდა.

***

იანვარში ესტერჰაზის საქმეზე დახურული სასამართლო პროცესი გაიმართა. სასამართლომ ესტერჰაზი გაამართლა და ყოველგვარი ბრალდება მოუხსნა. პიკარს სამოცდღიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მაგრამ დრეიფუსისტები არ ცხრებიან. ზოლა, ეს მდარე მწერალი, მრისხანე სტატიას აქვეყნებს („ბრალს ვდებ!“), ვიღაც მჯღაბნელებისა და ფსევდომეცნიერების ჯგუფი კი პროცესის გადახედვას ითხოვს. ვინ არიან ეს პრუსტი, ფრანსი, სორელი, მონე, რენარი, დიურკჰაიმი? ადამის სალონში არასოდეს მინახავს ეს ხალხი. პრუსტი ვიღაც ოცდახუთი წლის პედერასტი ყოფილა, რომლის ნაჯღაბნებიც, საბედნიეროდ, არავის დაუბეჭდავს. მონე გამიგია, ერთი უბადრუკი მხატვარია, მის ტილოებს რომ უყურებ, გგონია, წირპლიანი თვალებით ხედავ სამყაროს. რა ხელი აქვთ მწერალსა და მხატვარს სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებასთან? მესმის დრიუმონის, რომ ამოიოხრავს ხოლმე: „ვაი, უბედურო საფრანგეთო!“ არ აჯობებდა, ამ ეგრეთ წოდებულ „ინტელექტუალებს“, როგორც ის უბადრუკი ვექილი კლემანსო (ერთი საქმეც რომ ვერ მოუგია ცხოვრებაში) უწოდებს მათ, თავიანთი საქმისთვის მიეხედათ? თუმცა რა საქმე აქვთ ნეტავ...

ზოლა გაასამართლეს და ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ჯერ კიდევ არსებობს სამართალი საფრანგეთში, როგორც დრიუმონი ამბობს. მართლა, დრიუმონი მაისში დეპუტატად აირჩიეს ალჟირიდან, ასე რომ დეპუტატთა პალატაში

ანტისემიტური გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა, ეს კი დრეიფუსის მხარდამჭერთა წინააღმდეგ მნიშვნელოვანი იარაღია.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა: ივლისში პიკარს რვათვიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ზოლა ლონდონში გაიხიზნა და ის-ის იყო, ვიფიქრე, დრეიფუსის საქმეს ველარავინ გამოამზეურებს-მეთქი, რომ საიდანღაც გამოტყვრა ვინმე კაპიტანი კინიე და აყვირდა, წერილი, რომლითაც პანიცარდი დრეიფუსს სდებდა ბრალს, ყალბი იყოო. არ ვიცი, რის საფუძველზე ამტკიცებდა ამას, სამუშაო უზადოდ მქონდა შესრულებული. მაგრამ ფაქტია, რომ მაღალ ეშელონებში ვიღაცამ ყური ათხოვა კინიეს და რადგან ის წერილი ანრის ნაპოვნი იყო, ახლა „ანრის გაყალბებულ წერილზე" ალაპარაკდნენ. აგვისტოს ბოლოს, როცა სხვა გზა აღარ ჰქონდა, ანრიმ ყველაფერი აღიარა. მონვალერიენში გამოამწყვდიეს და მეორე დღესვე სამართებლით გამოიჭრა ყელი. ხომ ვამბობდი, სამხედროს არ უნდა მიანდო ასეთი საქმეები-მეთქი. როგორ, ღალატში ეჭვმიტანილს აპატიმრებ და სამართებელს ჯიბეში უტოვებ?

– ანრის თავი არ მოუკლავს. მოკლეს! – ცოფებს ყრიდა დრიუმონი. გენერალური შტაბი ჯერ კიდევ ებრაელებითაა სავსე! ხელმოწერების შეგროვებას დავიწყებთ, რომ ანრის რეაბილიტაციის პროცესისთვის თანხა გამოიყოს!

მაგრამ ოთხი-ხუთი დღის შემდეგ ესტერჰაზი ბელგიაში გაიქცა, იქიდან კი ინგლისში გადავიდა. ეს ფაქტობრივად აღიარებას ნიშნავდა. უცნაური იყო, რატომ არ დაიცვა თავი დანაშაულის ჩემთვის გადმობრალებით.

***

შიში ღამღამობით მოსვენებას არ მაძლევდა და ქვევიდანაც ხშირად მესმოდა უცნაური ხმები. ერთ დილას მაღაზიაცა და სარდაფიც თავდაყირა დამხვდა. კანალიზაციის გვირაბში ჩასასვლელი ღია იყო.




*...გენერალური შტაბი ჯერ კიდევ ებრაელებითაა სავსე!..*

სანამ ვფიქრობდი, მეც ესტერჰაზივით ხომ არ გავქცეული-ყავი, მაღაზიის კარზე ზარი დარეკეს. რაჩკოვსკი იყო. ბინაში ასვლა არ მოინდომა, გასაყიდი სკამებიდან ერთ-ერთზე ჩამოჯ-და (გასაყიდს ისე ვამბობ, თორემ იმას ვინ იყიდდა) და ყოველ-გვარი შესავლის გარეშე, პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– რას იზამთ, უშიშროების სამსახურს რომ შევატყობინო, რომ თქვენი სახლის ქვეშ, კანალიზაციის გვირაბში, ოთხი გვა-მია? თანაც, იმ ოთხიდან ერთი ჩემი კაცია, რომელსაც ამდენი ხანია, ვეძებ? დავიღალე ლოდინით. ორ დღეს გაძლევთ: თუ დაპირებულ ოქმებს გადმომცეთ, დავივიწყებ, რაც ქვევით ვნა-ხე. მგონი, პატიოსანი გარიგებაა.

არ გამკვირვებია, რომ რაჩკოვსკიმ ყველაფერი იცოდა კა-ნალიზაციის გვირაბზე. მის წინადადებაზე ვფიქრობდი: რადგან ადრე თუ გვიან მომიწევდა, მიმეცა, რასაც მთხოვდა, გადავ-წყვიტე, მაქსიმალურად მეხეირა ამ საქმიდან.

– იქნებ ერთი პრობლემის მოგვარებაშიც დამხმარებოდით, რომელიც სამხედრო ძალებთან შემექმნა...

გაეცინა: – გეშინიათ, არ გაარკვიონ, რომ „ბორდერო“ თქვე-ნი დაწერილია?

ამ კაცმა აშკარად ყველაფერი იცის. გულხელი დაიკრიფა და გაჩუმდა, თითქოს აზრების მოკრებას ცდილობდა.

– მგონი, ვერაფერს მიხვდით ამ ამბიდან და მხოლოდ იმის გეშინიათ, ვინმემ თქვენი სახელი არ ამოქექოს. ნუ ღელავთ. საფრანგეთის ეროვნული უსაფრთხოებისთვის საჭიროა, რომ „ბორდერო“ ნამდვილი იყოს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ფრანგული არტილერია უახლეს იარაღს – 75-კალიბრიან ქვემეხს ამზადებს და გერმანელებს ეჭვი არ უნდა ეპარებოდეთ, რომ ფრანგები ისევ 120-იან ქვემეხზე მუშაობენ. გერმანელებს უნდა გაეგოთ, რომ ჯაშუში მათთვის 120-კალიბ-რიანი ქვემეხის საიდუმლოების მიყიდვას აპირებდა, რათა დარ-

წმუნებულიყვნენ, რომ სწორედ ეს იყო ფრანგების საიდუმლო. თავად მიხვდებით, გონიერი კაცი ხართ, რომ გერმანელებს უნდა ეთქვათ: „თუ ღმერთი გწამთ! ეს „ბორდერო“ რომ ნამდვილი იყოს, მასზე რაღაც გვეცოდინებოდა, სანამ ნაგავში ჩავუძახებდით!“ მაგრამ რამე რომ სცოდნოდათ, შეჭამდნენ იმ ქაღალდს, სანაგვეში კი არ მოისროდნენ. ხაფანგში გაებნენ. საიდუმლო სამსახურში ხომ ბოლომდე არავინ არაფერს ამბობს, გვერდით მჯდომი ყველას ორმაგი აგენტი ჰგონია. საელჩოშიც, სავარაუდოდ, ერთიმეორეს დასდეს ბრალი: „როგორ? ასეთი მნიშვნელოვანი შეტყობინება იყო შემოსული და მის შესახებ სამხედრო ატაშემაც არაფერი იცოდა, რომელიც წერილის ადრესატი იყო? თუ იცოდა და ხმა არ ამოიღო?“ წარმოიდგინეთ, ეჭვებისა და ურთიერთბრალდებების რა ორომტრიალი ატყდებოდა! ვიღაც უთუოდ შეეწირებოდა ამ ამბავს. მოკლედ, საჭირო იყო და ახლაც საჭიროა, რომ „ბორდეროს“ ნამდვილობის ყველას სჯეროდეს. აი, რატომ უნდა გაემწესებინათ დრეიფუსი სასწრაფოდ „ეშმაკის კუნძულზე“: თავის დასაცავად შეეძლო, ეთქვა, მართლა ჯაშუში რომ ვყოფილიყავი, 120-კალიბრიან ქვემეხზე კი არ მივწერდი პრუსიელებს, 75-კალიბრიანზეო. პისტოლეტიც კი შეუგზავნიათ მისთვის ციხეში, რომ თვითმკვლელობით ჩამოეწმინდა სირცხვილი. ამით გახმაურებული სასამართლო პროცესის საფრთხესაც აიცილებდნენ თავიდან. მაგრამ დრეიფუსი კერკეტი კაკალია, თავის დაცვა მოისურვა, რადგან ფიქრობდა, რომ უდანაშაულო იყო. ოფიცერს კი ფიქრი საერთოდ არ ევალება. ჩემი აზრით, იმ უბედურმა 75-იან ქვემეხზე არც არაფერი იცოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, ასეთი ინფორმაცია სტაჟიორებამდე რომ აღწევდეს. მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. გასაგებია? რომ გაირკვეს, რომ „ბორდერო“ თქვენი ნახელავია, მთელი ეს გეგმა ჩაიფუშება და გერმანელები მიხვდებიან, რომ 120-კალიბრიანი ქვემეხი ყალბი კვალია. მართალია, ხისთავიანები არიან და მიხვედრილობით არ გამოირჩე-

ვიან, მაგრამ ყველაფერი ხდება. ალბათ, ფიქრობთ, რომ მხოლოდ გერმანიის სადაზვერვო სამსახური არაა უთავბოლოების ხელში. დაგეთანხმებით, საფრანგეთიც შავ დღეშია. ვისაც თავში ტვინი აქვს, „ოხრანკის“ თანამშრომელია. როგორც ხედავთ, ორივე მხარეს გვყავს ინფორმატორები.

– კი, მაგრამ ესტერჰაზი?

– ის თქვენი ესტერჰაზი ორმაგი აგენტია, ვითომ სანდერს უთვალთვალებდა პრუსიის საელჩოს დავალებით, მაგრამ თან საელჩოს გერმანელებზეც აგროვებდა ინფორმაციას სანდერის დავალებით. ძალა არ დაიშურა დრეიფუსის საქმის გამოსაცხობად, მაგრამ სანდერი ბოლო ხანებში მიხვდა, რომ ესტერჰაზის მალე გამოააშკარავებდნენ: გერმანელებს უკვე ეჭვი ჰქონდათ მასზე. სანდერს არაფერი შეშლია, შესანიშნავად იცოდა, რომ ესტერჰაზის ნაწერი მოგცათ ნიმუშად. მთავარი მიზანი დრეიფუსის დაჭერა იყო, მაგრამ თუ მოვლენები სასურველი მიმართულებით არ განვითარდებოდა, „ბორდეროს“ საქმეს ესტერჰაზის გადაბრალებოდა. როგორც ხვდებით, ესტერჰაზი გვიან მიხვდა, რა ხაფანგშიც გაება.

– მე რატომ არ დამასახელა?

– იმიტომ, რომ არავინ დაუჯერებდა და თუ მდინარის ფსკერზე არა, დილეგში ამოყოფდა თავს სამუდამოდ. ახლა კი ლონდონში ნებივრობს მხარ-თეძოზე წამოწოლილი, საფრთხე არსაიდან ემუქრება და საიდუმლო სამსახური გასამრჯელოსაც უხდის. დრეიფუსს მიიჩნევენ მოღალატედ თუ ესტერჰაზის, მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, „ბორდერო“ ყველას ნამდვილი ეგონოს. მოკლედ, მათი მხრიდან არაფერი გემუქრებათ, მაგრამ მე არ მოგასვენებთ დაბლა, კანალიზაციის გვირაბში, დაწყობილი გვამების გამო. გირჩევნიათ, მომცეთ, რაც მჭირდება. ზეგ ახალგაზრდა კაცი მოგაკითხავთ, ჩემი თანამშრომელია, გოლოვინსკი. ორიგინალები არ გვჭირდება, მაინც ყველაფერი რუსულად უნდა იყოს. ამ საქმეს გოლოვინსკი მიხედავს.

თქვენ მასალა უნდა მიაწოდოთ, ახალი, ნამდვილი, დამაჯერებელი ინფორმაცია. პრაღის სასაფლაოს დოსიე უნდა გამოაცოცხლოთ, შეავსოთ, თორემ ის ამბები უკვე ყველა ძაღლმა და მამაძაღლმა იცის. წინააღმდეგი არ ვარ, თქვენი ინფორმაცია პრაღის სასაფლაოს იმ ცნობილ შეკრებას უკავშირდებოდეს, მაგრამ მთავარია, ბუნდოვანი დარჩეს, როდის გაიმართა შეკრება და კიდევ ის, რომ განხილული საკითხები თანამედროვე, აქტუალური იყოს. შუა საუკუნეების ბოდვა არაფერში მჭირდება.

მოკლედ, საქმე არ მაკლდა.

***

თითქმის ორი დღე-ღამე მქონდა, რომ თავი მომეყარა ასობით ჩანაწერის, შენიშვნისა და ამონარიდისთვის, რომლებიც დრიუმონთან ათწლიანი ნაცნობობის მანძილზე მქონდა შეგროვებული. არასოდეს მიფიქრია, რომ ოდესმე დამჭირდებოდა ეს ყველაფერი: ეს მასალები „თავისუფალ სიტყვაში“ იყო გამოქვეყნებული სხვადასხვა დროს, მაგრამ რუსებისთვის, ალბათ, ახალი ინფორმაცია იქნებოდა. უნდა გადამერჩია. რაჩკოვსკისა და იმ ვიღაც გოლოვინსკის ნამდვილად არ აინტერესებდათ, მუსიკალურები არიან თუ არა ებრაელები, ან სამეცნიერო კვლევები როგორ გამოსდით. მათთვის, ვფიქრობ, მთავარი იყო, დაემტკიცებინათ ხალხისთვის, რომ ებრაელები პატიოსანი ადამიანების გალატაკებას ისახავდნენ მიზნად.

ვამოწმებდი, რა მქონდა უკვე გამოყენებული რაბინების ტექსტებში. ებრაელები რკინიგზების, საბადოების, ტყეების, მიწების დაპატრონებას აპირებდნენ, საგადასახადო სისტემას, სასამართლოს, ვექილთა კორპუსს, საჯარო განათლების სისტემას უმიზნებდნენ, ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, მეცნიერულ, ხელოვნებისა და განსაკუთრებით სამედიცინო წრეებში შეღწევას ლამობდნენ. ექიმისთვის ხომ უფრო ღიაა ოჯახის კარი,

ვიდრე მღვდლისათვის. სარწმუნოების შერყევას, თავისუფალი აზრის გავრცელებას, სკოლებში ქრისტიანული რელიგიის გაკვეთილების გაუქმებას, ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობის ქსელისა და პრესის ხელში ჩაგდებას გეგმავდნენ. ღმერთო ჩემო, ამაზე მეტი რაღა უნდოდათ?

მშვენივრად შემეძლო ამ მასალას ხელახლა გამოყენება. რაჩკოვსკის ძველი ტექსტების მხოლოდ ის ვერსია ეცოდინებოდა, რომელიც გლინკასთვის მქონდა გადაცემული, იქ კი მხოლოდ რელიგიურ და აპოკალიფსურ თემებზე იყო ყურადღება გამახვილებული. იმ ტექსტებს მთლიანად განვაახლებდი და გავამდიდრებდი.

დავფიქრდი და გულდაგულ გავიაზრე ყველა ის საკითხი, რომლებიც განსაკუთრებით მტკივნეული იქნებოდა საშუალო მკითხველისთვის. ზომიერად შეყვითლებულ ქაღალდზე ლამაზად გადავწერე ნახევარი საუკუნის წინანდელი საბუთები. და აი, ბაბუას დანატოვარი მასალებიც მზად მქონდა, იმდროინდელი, როცა ბაბუა სიყმაწვილეში გეტოში ცხოვრობდა: იუდეველთა შეკრებების დოკუმენტური ჩანაწერები. ეს ყველაფერი მას პრაღის სასაფლაოს შეკრების ოქმებიდან გადაეწერა.

მეორე დღეს გოლოვინსკი მომადგა მაღაზიაში. გამიკვირდა, რომ რაჩკოვსკი ასეთ მნიშვნელოვან დავალებას ამ ბრუციან „მუჟიკს“ ანდობდა. ერთი აჩაჩული კაცი იყო გოლოვინსკი, მათხოვარს უფრო ჰგავდა. მაგრამ გამოველაპარაკე თუ არა, მივხვდი, ბევრად უფრო მიხვედრილი იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. ფრანგულად გაჭირვებით, მკვეთრი რუსული აქცენტით ლაპარაკობდა, მაგრამ პირველი ის მკითხა, ტურინის გეტოს რაბინები ფრანგულად რატომ წერდნენო? ვუპასუხე, მაშინ პიემონტში ყველა განათლებული ადამიანი ფრანგულად ლაპარაკობდა-მეთქი. თითქოს დამიჯერა. ამ შეკითხვამ მეც დამაფიქრა, ჩემი სასაფლაოს რაბინები ებრაულად ლაპარაკობ-

დნენ თუ იდიშზე-მეთქი, მაგრამ ახლა დოკუმენტები ფრანგულად იყო და ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

– ნახეთ, – ვეუბნებოდი და ჩანაწერებს ვაჩვენებდი, – აქ ლაპარაკია იმაზე, როგორ უნდა გავრცელდეს ათეისტ ფილოსოფოსთა ნააზრევი, რათა მდაბიოთა რწმენა შეირყეს. ამას შეხედეთ: „ქრისტიანთა გონებიდან ღმერთის ცნება უნდა ამოვშალოთ და ის მათემატიკური გათვლებითა და მატერიალური საჭიროებებით ჩავანაცვლოთ“.

იმაზე ვამყარებდი იმედს, რომ მათემატიკური მეცნიერებები დიდად არავის ეპიტნავება. მახსოვდა, როგორ ჩიოდა დრიუმონი უხამს და მდაბიო პრესაზე და ჩემი აზრით, თუ მასალაში გამოვაჩენდი, რომ ხალხის გონების დასაჩლუნგებლად ადვილი და იაფფასიანი გასართობი საქმიანობების გავრცელება იგეგმებოდა, ეს შეთქმულების უტყუარი დასტური იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ვინც სულელი არ იყო, დაეთანხმებოდა ამ მოსაზრებას.

– ამას უყურეთ, – ვეუბნებოდი გოლოვინსკის: – „არ უნდა დავუშვათ, რომ ხალხმა დამოუკიდებლად იაზროვნოს. ადამიანების გონებას ათასნაირი გასართობით დავაკავებთ: ტანმოვარჯიშეთა სანახაობებით და სხვა საცდურით, ტრაქტირები და ფუნდუკები კლიენტებს არტისტულ და სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობისკენ მოუწოდებენ... ფუფუნების სიყვარულს წავახალისებთ ადამიანებში და ხელფასებსაც გავზრდით, მაგრამ ამით მუშა ვერაფერს მოიგებს, რადგან პირველადი მოხმარების საქონელიც გაძვირდება. ამის გასამართლებლად კი ცუდ მოსავალს მოვიმიზეზებთ. ხელს შევუშლით წარმოების განვითარებას, მუშათა კლასში ანარქიის თესლს ჩავაგდებთ და ალკოჰოლის მოხმარებისკენ ვუბიძგებთ ღარიბებს. ვეცდებით, ყველანაირი ფანტასტიკური, პროგრესისტული ან ლიბერალური თეორიისკენ მივმართოთ საჯარო აზრი“.

– კარგია, კარგი, – ამბობდა გოლოვინსკი. – სტუდენტებისთვისაც არის რამე, გარდა მათემატიკური მეცნიერებებისა? რუსეთში სტუდენტობა ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ მათში არიან ბუნტისთავები, რომლებიც მუდმივად უნდა აკონტროლო.

– აი: „როცა ხელისუფლებაში მოვალთ, სასწავლო პროგრამებიდან ყველა იმ საგანს ამოვიღებთ, რომელმაც ახალგაზრდებს, შეიძლება, სული აუფორიაქოს. მორჩილ, მონარქის მოყვარულ ბავშვებად გადავაქცევთ მათ. კლასიკური ლიტერატურისა და ანტიკური ისტორიის ნაცვლად, რაც ძირითადად ცუდი მაგალითებითაა სავსე, მომავალზე ვესაუბრებით. ადამიანების გონებიდან წარსულს ამოვშლით. მეთოდურად ამოვძირკვავთ დამოუკიდებელი აზროვნების იმ ნარჩენებს, რომლებსაც დიდი ხანია, ჩვენი მიზნებისთვის ვიყენებთ... სამას გვერდზე ნაკლები მოცულობის წიგნებს ორმაგ გადასახადს დავუწესებთ და, ამგვარად, მწერლებს ვაიძულებთ, უფრო გრძელი ნაწარმოებები წერონ, რომლებსაც აღარავინ წაიკითხავს. ჩვენ კი იაფფასიან წიგნებს დავბეჭდავთ, რომ მათზე აღვზარდოთ საზოგადოება და საჩვენოდ მოვუწყოთ გონება ადამიანებს. სახალისო წიგნებს გადასახადს გავუზრდით და მათ, ვინც ასეთ ნაწარმოებებს დაწერს, გამომცემელი აღარ ეყოლებათ“. ჟურნალ-გაზეთებს რაც შეეხება, ებრაული გეგმა პრესის მოჩვენებით თავისუფლებას ითვალისწინებს: ეს აუცილებელია საზოგადოებრივი აზრის უკეთ საკონტროლოდ. ჩვენი რაბინების აზრით, რაც შეიძლება, მეტი გაზეთის ხელში ჩაგდებაა საჭირო. პრესა ერთი შეხედვით მრავალფეროვანი უნდა იყოს, რათა ადამიანებს ეგონოთ, რომ აზრის გამოხატვა თავისუფალია, სინამდვილეში კი ყველა გაზეთი იუდეველთა იდეების სამსახურში იქნება. ამბობენ, რომ ჟურნალისტების მოსყიდვა ძნელი არაა, რადგან ყველა ჟურნალისტი მასონია და არც ერთ გამომცემელს არ ეყოფა გამბედაობა, გაამხილოს, რა აკავშირებს მათ ერთმა-

ნეთთან; ჟურნალისტიკის სამყაროში ადამიანი ვერ მოხვდება, თუ რაღაც ბნელ საქმეში არაა გარეული. „ყველა გაზეთს უნდა აეკრძალოს მომხდარ დანაშაულებებზე ცნობების გავრცელება: ხალხს უნდა სჯეროდეს, რომ ახალმა ხელისუფლებამ დანაშაულიც კი დაამარცხა. თუმცა, დიდად არ უნდა ვინაღვლოთ პრესისთვის დაწესებული შეზღუდვების გამო, რადგან თავისუფალია თუ არა პრესა, ხალხი ამას ვერც კი იგებს, როცა საკუთარ სამუშაოსა და სიღარიბესაა მიჯაჭვული. რაში აინტერესებს პროლეტარ მუშას, უზღუდავენ თუ არა მოლაყბეებს ლაყბობის უფლებას?"

– მშვენიერია, მშვენიერი, – შენიშნავდა გოლოვინსკი. – ბუნტისთავები ჩვენთან მუდამ სახელმწიფო ცენზურაზე წუწუნებენ. უნდა მივახვედროთ, რომ, თუ ებრაული მთავრობა მოვა, უარესი ელით.

– ნახეთ, უკეთესიც მაქვს: „უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბრბო ვაჭრუკანა, მდაბიო, გაუწონასწორებელი და მორალურად არამდგრადია. ბრბოს ჭკუა არ აქვს, ბრმად მოქმედებს: ხან ამას უგდებს ყურს, ხან იმას. განა მასებს შეუძლიათ, ისე მართონ ქვეყანა, რომ სახელმწიფოს ინტერესები პირადში არ აურიონ? შეუძლიათ, გარეშე მტერს ორგანიზებულად გაუწიონ წინააღმდეგობა? ეს სრულიად შეუძლებელია, რადგან თუ გეგმა იმდენადაა დანაწევრებული, რამდენი თავიც მასას აბია, სულელური და ყოვლად გამოუსადეგარია. მხოლოდ ავტოკრატიულ მმართველს შეუძლია მასშტაბური გეგმის ჩაფიქრება და სახელმწიფო მექანიზმის თითოეული ერთეულისთვის კონკრეტული დავალების მიცემა... მსოფლიო ცივილიზაცია წარმოუდგენელია აბსოლუტური დესპოტიზმის გარეშე, რადგან ცივილიზაცია მხოლოდ უზენაესი მმართველის ხელში შეიძლება განვითარდეს, ვინც არ უნდა იყოს ის, და არა მასის ხელში". ამ დოკუმენტს ჩახედეთ: „ისტორიას არ ახსოვს ხალხის წიაღიდან გამოსული კონსტიტუცია. მართვის გეგმა ერთი

ადამიანის თავში უნდა იბადებოდეს“. ესეც ნახეთ: „როგორც მრავალხელიანი ვიშნუ, ყველაფერს გავაკონტროლებთ. პოლიციაც კი აღარ დაგვჭირდება: ჩვენს ქვეშევრდომთა მესამედი გააკონტროლებს დანარჩენ ორ მესამედს“.

– არაჩვეულებრივია.

– აი, კიდევ: „ბრბო ველურია და ყოველთვის ბარბაროსულად მოქმედებს. შეხედეთ ალკოჰოლით გაჟღენთილ, გამოშტერებულ ხალხს. სასმლის შეუზღუდავი მოხმარება ხომ თავისუფლებამ მოიტანა! განა შეიძლება, ჩვენც იმავეს უფლება მივცეთ საკუთარ თავსა და ჩვენს მსგავსთ? ქრისტიანული ერები ალკოჰოლმა მოსპო; მათი ახალგაზრდობა უმწიფარი ასაკიდანვე გონსაა გადასული ორგიებისგან. ამ ყველაფრისკენ კი ჩვენიანები უბიძგებენ... პოლიტიკაში მხოლოდ სუფთა ძალა იმარჯვებს, მთავარი პრინციპი ძალადობა უნდა იყოს, წესი კი – ხრიკი და ეშმაკობა. სიკეთესთან მისასვლელი ერთადერთი გზა ბოროტებაა. არ უნდა შევუშინდეთ კორუფციას, ტყუილსა და ღალატს, მიზანი ამართლებს საშუალებას“.

– ჩვენთან ბევრს ლაპარაკობენ კომუნიზმზე, ამაზე რას ფიქრობენ პრაღის რაბინები?

– აბა ეს ნახეთ: „ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა ჩამოვართვათ ქონება ნებისმიერს, თუ ამით სხვას დავიმორჩილებთ და საკუთარ ძალაუფლებას განვამტკიცებთ. თავი უნდა მოვაჩვენოთ, რომ მუშათა გასათავისუფლებლად ვიბრძვით, რომ ძმასავით გვიყვარს ნებისმიერი ლატაკი, ისევე, როგორც მასონებს უყვართ ერთმანეთი ძმური სიყვარულით. ჩაგრულებს თავისუფლებას უნდა შევპირდეთ და ჩვენს, სოციალისტების, ანარქისტებისა და კომუნისტების, რიგებში შემოსვლა ვურჩიოთ. არისტოკრატია, რომელიც მუშათა კლასს ჩაგრავდა და იყენებდა, დაინტერესებული იყო, რომ მათ საკმარისი საკვები ჰქონოდათ, რათა ჯანმრთელები და ღონიერები ყოფილიყვნენ და ემუშავათ. ჩვენი მიზანი კი სრულიად საპირისპიროა: ჩვენ

ღარიბების დასუსტება და განადგურება გვწადია. ჩვენი ძალა იმაში იქნება, რომ მუშას მუდმივ სილატაკესა და უძლურებაში ვამყოფებთ, რათა უკეთ დავიმორჩილოთ და არასოდეს ეყოს ძალა და ენერგია წინააღმდეგობის გასაწევად“. ესეც ნახეთ: „ფარული გზებითა და ფულის დახმარებით საყოველთაო ეკონომიკურ კრიზისს გამოვიწვევთ: ოქრო ხომ მთლიანად ჩვენს ხელშია. ულუკმაპუროდ დავტოვებთ მუშათა კლასს მთელ ევროპაში და მაშინ ეს გააფთრებული მასები მათ დაეძგერებიან, ვისიც ბავშვობიდან შურდათ, მათ ქონებას დაიტაცებენ და მათ სისხლს დაღვრიან. ჩვენ ზიანს ვერ მოგვაყენებენ, რადგან ამ პროცესებს თავად ვმართავთ და საკუთარი ინტერესების დასაცავად წინასწარ მივიღებთ საჭირო ზომებს“.

– ებრაელებზე და მასონებზე არაფერი გაქვთ?

– რა თქმა უნდა! ამაზე ნათელი რაღა უნდა იყოს: „სანამ ძალაუფლებას ხელში არ ჩავიგდებთ, ვეცდებით, მასონური ლოჟები გავამრავლოთ მსოფლიოს ყველა კუთხეში. ეს ლოჟები ინფორმაციის უმთავრესი წყარო და ჩვენი პროპაგანდისტული ცენტრები იქნება ერთდროულად. მათში მოვუყრით თავს საზოგადოების სოციალისტურ და რევოლუციურ კლასებს. საერთაშორისო საიდუმლო პოლიციის პრაქტიკულად ყველა აგენტი ჩვენი ლოჟების წევრი იქნება. საიდუმლო საზოგადოებების წევრთა უმრავლესობა, როგორც წესი, ავანტიურისტია, გზის გაკვალვას ცდილობს როგორღაც და სერიოზული მიზნები არ გააჩნია. ასეთი ხალხი მიზნის მისაღწევად გამოგვადგება. რაღა თქმა უნდა, რომ მასონურ საქმეებს ჩვენ უნდა ჩავუდგეთ სათავეში და ვმართოთ ისინი“.

– არაჩვეულებრივია!

– არ დაგავიწყდეთ, რომ ანტისემიტიზმი მდიდარი ებრაელების წისქვილზე ასხამს წყალს: ანტისემიტიზმი ხომ ღარიბ ებრაელებს ებრძვის და ამით გულჩვილ ქრისტიანებს იუდეველთა რასისადმი თანაგრძნობით განაწყობს.

უაღრესად დეტალური და ტექნიკური მასალაც უხვად მქონდა: ჟოლის ნაწერები, სადაც ის დაწვრილებით განიხილავდა სესხის გაცემის მექანიზმებსა და მოგების პროცენტებს. დიდად ვერ ვერკვეოდი ამ ამბებში, თან ჟოლის მერე ციფრები შეცვლილიც იქნებოდა, მაგრამ მაინც სანდოდ მიმაჩნდა ჩემი წყარო, ასე რომ გოლოვინსკის გადავეცი ის საბუთები და ვუთხარი, ეს ალბათ ვაჭრებსა და საქმოსნებს დააინტერესებსმეთქი. შეიძლება, ვალებში ჩაფლული ხელოსნებისა და მევახშეებისაგან გამწარებული ხალხისთვისაც ყურადსაღები ყოფილიყო ის მასალა.

„თავისუფალი სიტყვის“ რედაქციაში ქალაქის რკინიგზის მშენებლობაზე ყურმოკრული საუბრებიც არ დამვიწყებია. რამდენიმე ათწლეულის წინ დაიწყეს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მხოლოდ 1897 წლის ივლისში დაამტკიცეს ოფიციალური პროექტი და სამუშაო პორტ-დე-ვენსენ – პორტ-დე-მაიოს ხაზის გასაყვანად სულ ახალი დაწყებული იყო. ამაზე ჯერ ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი, მაგრამ მეტროს მშენებელი კომპანია უკვე დაფუძნებულია და თითქმის წელიწადი იქნება, რაც „თავისუფალმა სიტყვამ“ მისი ებრაელი აქციონერების წინააღმდეგ კამპანია წამოიწყო. მოკლედ, საინტერესოდ მომეჩვენა მეტროპოლიტენის დაკავშირება ებრაულ შეთქმულებასთან: „მაშინ უკვე ყველა ქალაქში იქნება მეტროპოლიტენის რკინიგზა და მიწისქვეშა გვირაბები: სწორედ მეტროს დახმარებით ავაფეთქებთ მსოფლიოს ქალაქებს, თავიანთი სამინისტროებითა და არქივებით“.

– კი, მაგრამ, – ჩამეკითხა გოლოვინსკი, – თუ პრაღის შეკრება კარგა ხნის წინ გაიმართა, საიდან ეცოდინებოდათ რაბინებს მეტროპოლიტენზე?

– თუ რაბინის სიტყვის ბოლო ვერსიას გადახედავთ, რომელიც ათიოდე წლის წინ დაიბეჭდა „Contemporain“-ში, პრაღის

სასაფლაოს შეკრება 1880 წელს უნდა შემდგარიყო. ამ დროს, თუ არ ვცდები, ლონდონში უკვე იყო მეტრო. თანაც, ამ ყველაფერს ოდნავ უნდა დაჰკრავდეს კიდეც წინასწარმეტყველების ტონი.

გოლოვინსკის ეს მრავლისმთქმელი, დაპირებებით აღსავსე მონაკვეთი ძალიან მოეწონა. მერე შენიშნა:

– ვერ ამჩნევთ, რომ ამ დოკუმენტებში არაერთი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრია გამოთქმული? მაგალითად, წერია, ფუფუნებისა და ამქვეყნიური სიამოვნებისკენ სწრაფვა აიკრძალოს, სიმთვრალე დაისაჯოსო და იქვე – სპორტის ხელშეწყობაზე ვიზრუნოთ, გართობა და ალკოჰოლი არ მოვაკლოთ მუშებსო...

– ებრაელთა განცხადებები ყოველთვის ურთიერთგამომრიცხავია. ბუნებით მატყუარები არიან. მაგრამ თქვენ ხომ ვრცელი დოკუმენტის მომზადებას აპირებთ. ხალხი მას ერთი ამოსუნთქვით კი არ წაიკითხავს. მიზანი ისაა, რომ რისხვა ტალღისებრად გამოიწვიო ხალხში. როცა ადამიანი დღეს წაკითხულის გამო აღშფოთდება, აღარც ახსოვს, გუშინ რამ აღაშფოთა. თანაც, თუ ყურადღებით წაიკითხავთ, პრაღის რაბინებს გართობისა და ალკოჰოლის გამოყენება მდაბიო მასის გასაღატაკებლად და დასამონებლად უნდათ. გაბატონდებიან თუ არა, მასებს მოკრძალებასა და ზომიერებას აიძულებენ.

– მართალია, მაპატიეთ.

– დამიჯერეთ, ამ დოკუმენტებზე ბავშვობიდან ბევრი მაქვს ნაფიქრი და ყოველ მინიშნებას კარგად ვიცნობ მათში, – ამაყად ვუთხარი.

– მართალი ხართ. მაგრამ ძლიერი ფინალი მჭირდება, რაღაც ისეთი, რაც სამუდამოდ დაამახსოვრდება ყველას, როგორც იუდეველთა ბოროტების სიმბოლო. მაგალითად: „უსასრულოა ჩვენი ამბიცია, უსაზღვრო – სიხარბე, სასტიკი – შურისძიება და ყოვლისმომცველი – სიძულვილი“.



*...ძლიერი ფინალი მჭირდება, რაღაც ისეთი, რაც სამუდამოდ დაამახსოვრდება ყველას, როგორც იუდეველთა ბოროტების სიმბოლო. მაგალითად: „უსასრულოა ჩვენი ამბიცია, უსაზღვრო – სიხარბე, სასტიკი – შურისძიება და ყოვლისმომცველი – სიძულვილი“...*

– მშვენიერია, ფელეტონისთვის გამოდგებოდა. მაგრამ როგორ გგონიათ, ებრაელები იმდენად ბრიყვები არიან, რომ ასე პირდაპირ გასცენ საკუთარი თავი?

– ეს დიდად არ მადარდებს. რაბინები ხომ ერთმანეთს ელაპარაკებიან სასაფლაოზე და დარწმუნებულები არიან, რომ უცხო ყური არ უსმენს. მასები უნდა აღშფოთდნენ!

გოლოვინსკი შესანიშნავი მოხელე იყო. არ ვიცი, მართლა სჯეროდა, რომ ორიგინალები მქონდა ხელთ თუ თავს მაჩვენებდა, მაგრამ თუ სადმე რამის შეცვლა სჭირდებოდა, თავის ჭკუაზე ჭრიდა და კერავდა. მოკლედ, რაჩკოვსკის სწორად შეერჩია ეს კაცი.

– მგონი, – დაასკვნა ბოლოს, – საკმარისი მასალა მაქვს, პრაღის სასაფლაოზე რაბინთა შეკრების ოქმებად რომ დავყო.

სამუდამოდ მისხლტებოდა ხელიდან პრაღის სასაფლაო, მაგრამ მისი ტრიუმფის შემოქმედი ვიყავი. ამოვიხვნეშე და გოლოვინსკი „პაიარში“ დავპატიჟე ვახშმად, შოსე დ'ანტენისა და იტალიელების ბულვარის კუთხეში. ძვირი, მაგრამ არაჩვეულებრივი რესტორანი იყო. გოლოვინსკის ძალიან მოეწონა ქათამი ნაღების სოუსში და ძვლებგამოცლილი იხვი ფორთოხლით, თუმცა ეს სტეპებში გაზრდილი კაცი, ალბათ, მჟავე კომბოსტოთი და ძეხვითაც მშვენივრად დანაყრდებოდა. ფულსაც დავზოგავდი და მიმტანების მზერასაც ავიცილებდი თავიდან, ალმაცერად რომ უყურებდნენ კლიენტს, რომელიც ხმაურით ილუქებოდა.

გემრიელად კი მიირთმევდა და – არ ვიცი, ღვინისა თუ ჭეშმარიტად რელიგიური ან პოლიტიკური ვნების ზეგავლენით – თვალები გზნებით უციმციმებდა.

– სანიმუშო ტექსტი გამოვა, – ამბობდა. – ყველასთვის ფარდა აეხდება მათ რასობრივ თუ რელიგიურ სიძულვილს. სიძულვილი დუღს ამ ნაწერებში, ასე მგონია, ნაღველით პირამდე

სავსე ჭურჭელს ვუყურებ... ბევრი მიხვდება, რომ ახლოა ჟამი, როცა საკითხი საბოლოოდ გადაწყდება.

– ეს გამოთქმა ოსმან-ბეისაგან მსმენია, იცნობთ მას?

– გამიგია. აშკარაა, რომ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ეს წყეული რასა უნდა გავანადგუროთ.

– არა მგონია, რაჩკოვსკი ასე ფიქრობდეს. ამბობს, ებრაელები ცოცხლად გვჭირდება, რომ კარგი მტერი გვყავდესო.

– სისულელეა. კარგ მტერს ყოველთვის იშოვი კაცი. არ გეგონოთ, რომ, რადგან რაჩკოვსკისთვის ვმუშაობ, მის ყველა მოსაზრებას ვეთანხმები. მან მასწავლა, როცა ამჟამინდელ უფროსს ემსახურები, ხვალინდელი უფროსის სამსახურისთვის უნდა ემზადებოდეო. რაჩკოვსკი მარადიული კი არაა. წმინდა რუსეთში მასზე რადიკალურად განწყობილიც ბევრია. დასავლეთ ევროპის მთავრობები მეტისმეტად უნიათოები არიან, რომ გაარკვიონ, სინამდვილეში რა მოხდა. რუსეთი კი ენერგიით, გიჟური იმედებით აღსავსე ქვეყანაა, რომელიც მუდამ საყოველთაო რევოლუციაზე ოცნებობს. გადამწყვეტ სვლას რუსეთისგან უნდა ველოდეთ და არა ამ დოყლაპია ფრანგებისაგან, რომლებსაც ისევ „ძმობა და თანასწორობა“ აკერიათ დორბლიან პირზე. არც იმ ტყიური გერმანელებისაგან გვაქვს მასშტაბური ნაბიჯების იმედი...

ამას ოსმან-ბეისთან საუბარშიც მივხვდი. ბაბუაჩემის წერილის შემდეგ აბატი ბარუელი აღარ გამოსდევნებია მის ბრალდებებს, რადგან ეშინოდა, რომ საბოლოოდ მოუღებდნენ ბოლოს. ბაბუაჩემს კი, ვფიქრობ, ის უნდოდა, რასაც ოსმან-ბეი და გოლოვინსკი წინასწარმეტყველებდნენ. ალბათ, სწორედ ბაბუაჩემის ნებით ვასრულებდი მის ოცნებას; მან მომისაჯა ეს ხვედრი. არა, მხოლოდ ჩემთვის არ დაუვალებიათ მთელი ერის ამოწყვეტა (კიდევ კარგი!), მაგრამ ჩემი მოკრძალებული წვლილი უდავოდ შევიტანე ამ მისიის შესრულებაში.

თანაც საკმაოდ შემოსავლიანი საქმე იყო. ებრაელები არასოდეს გადამიხდიდნენ ფულს ქრისტიანების გასაჟუჟად-მეთქი, ვფიქრობდი. ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, უჩემოდაც მიხედავდნენ ამ საქმეს. მაგრამ ქრისტიანები მეტისმეტად ბევრნი არიან. აი, ებრაელების ამოწყვეტა კი, კაცმა რომ თქვას, შესაძლებელია.

პირადად ჩემთვის არავის უთხოვია ამ საქმის მოგვარება. მე ხომ ძალადობა არ მიყვარს (ძირითადად). მაგრამ ვიცოდი, როგორ შეიძლებოდა ამის გაკეთება: კომუნის დღეები მქონდა გამოვლილი. კარგად გაწვრთნილ, ტვინგამორეცხილ რაზმებს დაიქირავებ და ყველას, ვისაც კაუჭა ცხვირი და ხუჭუჭა თმა აქვს, კედელთან მიაყენებ. რა თქმა უნდა, მათში ქრისტიანებიც მოჰყვებიან, მაგრამ – როგორც ის ეპისკოპოსი ეუბნებოდა მებრძოლებს, ალბიგოელების მიერ დაპყრობილი ბეზიეს გასათავისუფლებლად რომ მიდიოდნენ – ყველა უნდა ამოვხოცოთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ღმერთი გამოარჩევს თავისიანებს.

მათ ოქმებში წერია: მიზანი ამართლებს საშუალებას.

27

# შეწყვეტილი დღიური

20 დეკემბერი, 1898

როცა გოლოვინსკის სრულად ჩავაბარე მასალა, ვიგრძენი, რომ დავცარიელდი. ახალგაზრდობა გამახსენდა: დიპლომი რომ დავიცავი, ვფიქრობდი, ახლა რაღა ვაკეთო-მეთქი? თან პიროვნების გაორებისგანაც განვიკურნე და თანამოსაუბრეც აღარ მყავს.

ერთი ცხოვრება დავასრულე. ცხოვრება, რომელიც ტურინში, ბაბუას სახლის სხვენში დავიწყე, დიუმას „ბალზამოთი“ ხელში. ბაბუაჩემი მაგონდება, სიცარიელეს რომ გაჰყურებდა, როცა მორდეხაის აჩრდილზე ფიქრობდა. ჩემი წყალობით მთელი მსოფლიოს ყველა მორდეხაი ვეებერთელა, შემზარავი და დიდებული კოცონის რიგში ჩამდგარა. კი, მაგრამ მე? აღსრულებულ მოვალეობას რაღაცნაირი სევდა მოსდევს, უფრო დიდი და უფრო ხელშეუხები, ვიდრე გემის მგზავრის უსასრულო სევდაა.

ყალბი ანდერძების თხზვას განვაგრძობ, რამდენიმე ათეულ სეფისკვერსაც ვყიდი კვირაში. ებიუტერნი აღარ მეძებს, ალ-

ბათ, ფიქრობს, რომ მეტისმეტად დავბერდი. სამხედროებზე ალარაფერს ვამბობ: არც ვიცი, კიდევ ცოცხალია თუ არა რომელიმე მათგანი, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, ჩემი სახელი მათი მეხსიერებიდანაც სამუდამოდ წაიშალა. სანდერი ლოგინადაა ჩავარდნილი, რომელიღაც საავადმყოფოშია, ესტერჰაზი კი ბანქოს თამაშობს ლონდონის მდიდრულ სასტუმროებში.

ფულისთვის არ ვმუშაობ, აღარ მჭირდება, საკმარისად დავაგროვე. უბრალოდ მწყინდება უსაქმოდ. კუჭ-ნაწლავი მაწუხებს და ჭამითაც ველარ ვინუგეშებ თავს ადრინდელივით. თავად ვიმზადებ წვნიანებს, რესტორანში იშვიათად მივდივარ და თუ წავედი, იმ ღამეს თეთრად ვათენებ. ხანდახან გულიც მერევა. ძალიან ხშირად ვშარდავ.

„თავისუფალი სიტყვის“ რედაქციაში დავდივარ, მაგრამ დრიუმონის ანტისემიტური ვნებები აღარ მაღელვებს. პრაღის სასაფლაოს ამბებზე ახლა უკვე რუსები მუშაობენ.

დრეიფუსის საქმე ნელა, მაგრამ წინ მიიწევს. ახლა ვიღაც კათოლიკე მომხრე გამოსჩენია და მის სტატიაზეა ატეხილი მითქმა-მოთქმა, თანაც ისეთ ცნობილ ანტიდრეიფუსისტულ გაზეთს გამოუქვეყნებია, როგორიცაა „ჯვარი“ (რა დრო იყო, როცა „ჯვარი“ თავგადაკლული იბრძოდა დიანას დასაცავად!). გუშინდელი გაზეთები კონკორდის მოედანზე ანტისემიტური დემონსტრაციის ამბებით იყო აჭრელებული. იუმორისტულმა გაზეთმა „კარან დ'აშმა“ კარიკატურა გამოაქვეყნა: მრავალრიცხოვანი ოჯახი მშვიდად უზის მაგიდას და ოჯახის თავი აფრთხილებს ცოლ-შვილს, კრინტი არ დაძრათ დრეიფუსის საქმეზეო. ქვევით მეორე ნახატია: იმავე სუფრასთან ხელჩართული ბრძოლაა გაჩაღებული – როგორც ჩანს, მაინც დაულაპარაკიათ ამ თემაზე.

ეს საქმე ყოფს ფრანგებსა და, აქა-იქ წაკითხულს თუ დავუჯერებთ, დანარჩენ მსოფლიოს. ხელახლა ჩატარდება სასამართლო? ჯერჯერობით დრეიფუსი ისევ კაიენაშია. მოუხდება.

პადრე ბერგამასკის სანახავად მივედი. დაბერებულია, და-ქანცული. აბა რა იქნება, მე თუ სამოცდარვა წლის ვარ, ის უკვე ოთხმოცდახუთის იქნება.

– შენთან გამომშვიდობება მინდოდა, სიმონინო, – მითხრა. – იტალიაში ვბრუნდები, იქ მინდა დავასრულო სიცოცხლე, რომელიმე მონასტერში წავალ. ზედმეტიც კი ვიღვაწე ღვთის სადიდებლად. შენი ამბავი მითხარი, ისევ იმ ინტრიგებში ხარ გახლართული? ინტრიგების წარმოდგენაც კი ჟრუანტელს მგვრის უკვე. როგორ ყველაფერი სუფთა და გამჭვირვალე იყო ბაბუაშენის დროს, კარბონარები იქით იყვნენ, ჩვენ – აქეთ. ყველამ კარგად იცოდა, ვინ იყო მტერი და სად იმალებოდა. ეჰ, ის აღარ ვარ, რაც ადრე ვიყავი.

გონება ძველებურად აღარ უჭრის. ძმურად გადავეხვიე და დავემშვიდობე.

***

გუშინ საღამოს სენ-ჟულიენ ლე პოვრთან გავიარე. შესას-ვლელში უფეხო ბრმა იჯდა, მელოტი თავი იისფერი ნაიარევე-ბით ჰქონდა დაფარული, ცალ ნესტოში პატარა ფლეიტა ედო და საცოდავად აწრიპინებდა, მეორით კი ყრუ სტვენას უშვებ-და, პირს ისე აბჩენდა, როგორც დამხრჩვალი, ჰაერის ჩაყლაპ-ვას რომ ცდილობს.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ შემეშინდა. მომეჩვენა, რომ ცხოვ-რება ბოროტი რამაა.

***

ველარ ვიძინებ, შფოთიან სიზმრებს ვხედავ, თმააწეწილი, გაფითრებული დიანა მესიზმრება.

ხშირად დილაუთენია გავდივარ ქუჩაში და ნამწვების შემ-გროვებლებს ვათვალიერებ. ყოველთვის მიყვარდა მათი ყურე-ბა. სისხამ დილით დადიან ქალაქში, წელზე თოკით აქოთებული



...პადრე ბერგამასკის სანახავად მივედი. დაბერებუ-
ლია, დაქანცული...

ტომარა შეუბამთ და წვეტიან რკინის ჯოხზე მოხერხებულად წამოაგებენ ხოლმე სიგარის ნამწვს, ყველგან სწვდებიან, სადაც არ უნდა იყოს შევარდნილი. სახალისო საყურებელია, როგორ აპანღურებენ მათ საზაფხულო კაფეების მიმტანები. ხანდახან გაზიან წყალსაც ასხამენ სახეში.

ბევრი მათგანი სენის ნაპირზე ათევს ღამეს. ვხედავ, დილაობით, მდინარის ჯებირზე გადამსხდარები, როგორ აშორებენ ფერფლს ჯერ კიდევ სველ თამბაქოს, როგორ რეცხავენ პერანგებს მდინარის წყალში და ელოდებიან, როდის გაშრება მზეზე სარეცხი, თან მუშაობას განაგრძობენ. ზოგიერთები, განსაკუთრებით მონდომებულები, სიგარეტის ნამწვებსაც კი აგროვებენ: თამბაქოდან სველი ქაღალდის მოცილება კიდევ უფრო საძაგელი საქმეა.

მერე მობერის მოედანზე და მის შემოგარენში ირევიან ბუზებივით, იქ ყიდიან საქონელს. როგორც კი ორიოდე გროშს მოუყრიან თავს, კისრისტეხით გარბიან ბინძურ ტრაქტირებში, რომ იაფფასიანი სასმლით გამოიბრუჟონ.

სხვების ცხოვრების ყურებაში გამყავს დრო. პენსიონერივით, თუ ვეტერანივით.

***

უცნაურია, მაგრამ თითქოს ებრაელები მაკლია. მენატრებიან. ნაბიჯ-ნაბიჯ, წვალებით შევქმენი ჩემი პრაღის სასაფლაო, მთელი ახალგაზრდობა მას შევალიე, ახლა კი თითქოს გოლოვინსკიმ მომპარა იგი. ვინ იცის, რას უზამენ მოსკოვში. იქნებ ჩემი ოქმები მშრალ, ბიუროკრატიულ დოკუმენტად აქციონ, რომელსაც პირვანდელი გრანდიოზულობის, შთამბეჭდაობის კვალიც აღარ ექნება შერჩენილი. თუ ასეა, აღარავინ მოისურვებს მის წაკითხვას და გამოდის, რომ მთელი ცხოვრება უმიზნო შრომას შევალიე. ან იქნებ სწორედ რუსების საშუალებით გავრცელდეს ჩემი რაბინების (დიახ, ჩემი რაბინე-

ბის!) იდეები მთელ მსოფლიოში და ასე უკარნახონ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა კაცობრიობას?

***

წაკითხული მქონდა, რომ ფლანდრის გამზირზე, ერთ ძველ ეზოში, დღემდე არსებობს პორტუგალიელი ებრაელების სასაფლაო. მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, ვინმე კამოს სასტუმრო იყო იმ ადგილას. სწორედ მას მიეცა უფლება ებრაელებისთვის, ძირითადად გერმანელი ებრაელებისთვის, თავიანთი მკვდრები იქ დაესაფლავებინათ. ზრდასრული მიცვალებულის დაკრძალვა ორმოცდაათი ფრანკი ღირდა, ბავშვის – ოცი. მოგვიანებით სასტუმრო ვინმე მატარის ხელში გადასულა, რომელსაც სასაკლაო ჰქონია და ებრაელთა სასაფლაოზე მარხავდა ცხენებისა და საქონლის ძვლებს. ებრაელები აღშფოთებულან. პორტუგალიელ ებრაელებს იქვე ახლოს უყიდიათ მიწა თავინთი მკვდრების დასამარხად, ხოლო ჩრდილოელ ებრაელებს მონრუჟში გადაუტანიათ სასაფლაო.

სასაფლაო ამ საუკუნის დასაწყისში დაიკეტა, მაგრამ იქ შესვლა კიდევ შეიძლება. ოციოდე საფლავის ქვაა შემორჩენილი, ზოგი წარწერა ებრაულია, ზოგიც – ფრანგული. ერთ საინტერესო ფილას გადავაწყდი: „უფალმა მიხმო ჩემი ცხოვრების ოცდამესამე წელს. ჩემი მდგომარეობა მირჩევნია მონობას. აქ განისვენებს ნეტარი შამუელ ფერნანდეშ პატო, საფრანგეთის ერთიანი და განუყოფელი რესპუბლიკის მეორე წლის 28 პრერიალს[19] გარდაცვლილი“. დიახ, ასეა: რესპუბლიკელები, ათეისტები და ებრაელები იყვნენ.

ეს ბინძური, მიტოვებული ადგილი დამეხმარა, პრაღის სასაფლაო წარმომედგინა, რომელიც მხოლოდ სურათებზე მქონ-

[19] ფრანგული რესპუბლიკური კალენდრის (1793 წლის ოქტომბრიდან 1806 წლის იანვრამდე) გაზაფხულის მესამე თვე, მოიცავდა პერიოდს 20-21 მაისიდან 18-19 ივნისამდე).

და ნანახი. კარგი მთხრობელი აღმოვჩნდი, მხატვრადაც ვივარგებდი, ალბათ: მწირი მონახაზიდან მსოფლიო შეთქმულების შავბნელი, მთვარის შუქით განათებული მისტიკური ადგილი დავხატე. რატომ გავუშვი ხელიდან ჩემივე ქმნილება? რამდენი რამ შეიძლებოდა, მომხდარიყო ამ ადგილას...

***

რაჩკოვსკი გამოჩნდა. მითხრა, რომ ისევ ვჭირდებოდი. გავღიზიანდი: – პირობას არღვევთ, მეგონა, ანგარიში გავასწორეთ. ფასდაუდებელი, გამოუქვეყნებელი მასალები მოგაწოდეთ იმ გვამებზე დუმილის საფასურად. მგონი, ახლა თქვენ გმართებთ ჩემი. როგორ ფიქრობთ, ასეთი უნიკალური მასალა უფასოა?

– პირობას თავად არღვევთ. ის დოკუმენტები დუმილის საფასური იყო. ახლა ფულსაც ითხოვთ? კარგი, არ გეკამათებით, გადაგიხდით. ოღონდ კიდევ რაღაც უნდა გამიკეთოთ, თუ გსურთ, გვამების ამბავი არ გავამხილო. სიმონინი, ნუ მევაჭრებით, თქვენთვისვე ჯობია. გითხარით, რომ საფრანგეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, „ბორდერო" ნამდვილ დოკუმენტად ითვლებოდეს, მაგრამ რუსებს ეს სულ არ ანაღვლებთ. ადვილად შემიძლია, პრესას საკბილო მივცე. იცოდეთ, დარჩენილ სიცოცხლეს სასამართლოებში გაატარებთ. ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა: თქვენი წარსულის გასარკვევად პადრე ბერგამასკის და ბატონ ებიუტერნს ვესაუბრე. მითხრეს, რომ თქვენ გააცანით ვინმე აბატი დალა პიკოლა, რომელმაც ტაქსილის საქმე ააგორა. ბევრი ვეძებე ამ აბატის კვალი, მაგრამ თითქოს აორთქლდა და მასთან ერთად გაქრა ყველა, ვინც ტაქსილის საქმეში მონაწილეობდა, თავად ტაქსილის გარდა, რომელიც პარიზის ქუჩებში დახეტიალობს და ამაოდ დაეძებს აბატს. შემიძლია, დალა პიკოლას მკვლელობაშიც დაგდოთ ბრალი.

– მისი გვამი რომ არსადაა?

– სამაგიეროდ, სხვა ოთხი გვამი განისვენებს თქვენი სახლის ქვეშ. კაცი, რომელმაც ოთხი მიცვალებული მოათავსა კანალიზაციის გვირაბში, მეხუთესაც გადამალავდა სადმე.

იმ ნაძირალას კედელთან ვყავდი მიმწყვდეული. უკან დავიხიე:

– კარგი, კმარა, რა გინდათ ჩემგან?

– იმ მასალაში, რომელიც გოლოვნისკის მიეცით, ერთი ადგილია, რომელიც განსაკუთრებულად ჩამებეჭდა გონებაში: მეტროპოლიტენის გვირაბების გამოყენება ქალაქების ასაფეთქებლად. მაგრამ ეს რომ დამაჯერებლად ჟღერდეს, ერთხელ მართლა უნდა აფეთქდეს ბომბი იქ, ქვევით.

– სად, ლონდონში? აქ ხომ ჯერ არ გვაქვს მეტროპოლიტენი.

– ჰო, მაგრამ მუშაობა დაწყებულია, სენის გასწვრივ უკვე გაჰყავთ გვირაბები. მთელი პარიზის აფეთქება არ მჭირდება. საკმარისია, ორი-სამი ამწე ავაფეთქოთ, უკეთესი იქნება, თუ გზის ნაწილსაც ჩაიტანს. დიდი არაფერია, მაგრამ ეს მუქარასავით გაიჟღერებდა.

– გასაგებია. მე რა შუაში ვარ?

– უკვე გიმუშავიათ ასაფეთქებელ ნივთიერებებთან და მცოდნე ხალხიც გყავთ, როგორც ვიცი. დაფიქრდით ამაზე. წესით, ყველაფერმა უმსხვერპლოდ უნდა ჩაიაროს, რადგან მშენებლობას ჯერჯერობით ღამით არ სდარაჯობენ. მაგრამ დავუშვათ, არ გაგვიმართლა და დაიჭირეს დამნაშავე. თუ ფრანგი იქნება, რამდენიმე წლით დილეგში გამოამწყვდევენ, თუ რუსი აღმოჩნდა, საფრანგეთსა და რუსეთს შორის ომი ატყდება. ამიტომ ჩემი ხალხიდან ამას ვერავის დავავალებ.

ბრაზისგან ცოფებს ვყრიდი. რა უფლებით მაიძულებდა ხანდაზმულ, მშვიდ ადამიანს, ასეთი სიგიჟე ჩამედინა? ვეცადე, თავი შემეკავებინა. დავფიქრდი. რატომ ვგრძნობდი იმ საშინელ სიცარიელეს ამ ბოლო ხანებში? განა იმის ბრალი არ იყო, რომ მოვლენათა მთავარ გმირად აღარ ვგრძნობდი თავს?

თუ ამ დავალებას დავთანხმდებოდი, კვლავ მოვლენების ცენტრში აღმოვჩნდებოდი. ჩემი პრაღის სასაფლაო ისეთ დამაჯერებელობას შეიძენდა, როგორიც აქამდე არასოდეს ჰქონია. მე კი ამ ყველაფრის მონაწილე ვიქნებოდი. კიდევ ერთხელ, მარტო, დავამარცხებდი საძულველ რასას.

– ერთ ადამიანს უნდა დაველაპარაკო, რამდენიმე დღეში გაგაგებინებთ ამბავს, – ვუთხარი რაჩკოვსკის.

***

გავიალის საძებნელად წავედი. ისევ ძველმანებით ვაჭრობს, მაგრამ ჩემი წყალობით ახლა საბუთები წესრიგში აქვს და შავი დღისთვისაც ახერხებს ცოტაოდენი ფულის გადანახვას. სამწუხაროდ, სულ რაღაც ხუთ წელიწადში საშინლად დაბერდა: კაიენა უკვალოდ არ ქრება. ხელები უკანკალებს, ძლივს სწევს ჭიქას, რომელსაც გულუხვად ვუვსებ. სიარულიც უჭირს, თითქმის ვეღარ იხრება და მიკვირს, როგორ ახერხებს ძველმანების შეგროვებას.

ენთუზიაზმით ხვდება ჩემს წინადადებას:

– ახლა ყველაფერი შეიცვალა. ადრე ბევრ ასაფეთქებელ საშუალებას ვერც კი გამოიყენებდი, დრო არ გრჩებოდა, აფეთქების ადგილს გასცლოდი. ახლა კი ერთი უბრალო საათით გვარდება ეს პრობლემა.

– ეგ როგორ?

– ძალიან მარტივად. ჩვეულებრივ მაღვიძარას აიღებ და სასურველ დროზე მომართავ. თუ ყველაფერი სწორადაა შეერთებული საჭირო დროს დეტონატორი ამოქმედდება. დეტონატორი კი ასაფეთქებელ ნივთიერებას გაააქტიურებს და... ბუმ! ამ დროს შეგიძლია ათი მილით იყო დაშორებული აფეთქების ადგილს.

მეორე დღეს სახლში მომადგა სიმარტივით სრულიად შემაძრწუნებელი ხელსაწყოთი: როგორ უნდა დამეჯერებინა, რომ ის წვრილი მავთულების ნასკვი მეტროს გვირაბს ააფეთქებდა?



*...არ მაინტერესებს, სად გადის ეს გვირაბი, ან გადის თუ არა საერთოდ სადმე: საკმარისია, შესასვლელში დაიდოს ბომბი და მორჩა...*

ვიცი, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ასეაო, ამაყად მომახსენა გავიალიმ.

ორი დღის შემდეგ მშენებლობას მივაშურე. ვითომ ცნობის-მოყვარე გამვლელი ვიყავი, მუშებსაც გამოველაპარაკე. შევარ-ჩიე ადგილი, სადაც ადვილი იყო გზიდან ჩასვლა. იქვე იწყებო-და გვირაბი. თაღი ძელებით გაემაგრებინათ. არ მაინტერესებს, სად გადის ეს გვირაბი, ან გადის თუ არა საერთოდ სადმე: საკმარისია, შესასვლელში დაიდოს ბომბი და მორჩა.

გავიალის მკაცრად დავუყენე საკითხი:

– დიდად ვაფასებ თქვენს ცოდნას, მაგრამ ხელები გიკან-კალებთ, ფეხზე ძლივს დგახართ. თხრილში ვერც კი ჩახვალთ და ვინ იცის, რა უბედურებას დაატრიალებთ.

თვალები აუწყლიანდა:

– მართალია, ჩემი საქმე წასულია.

– ვის შეუძლია თქვენს ნაცვლად ამის გაკეთება?

– არ ვიცი. გახსოვთ, ალბათ, რომ ჩემი საუკეთესო მეგობ-რები თქვენი წყალობით ჯერ კიდევ კაიენაში არიან. მოგიწევთ, თქვენი წილი პასუხისმგებლობა იკისროთ. ბომბის აფეთქება გინდათ? თავად დადეთ გვირაბთან.

– რა სისულელეა, სრულიად გამოუცდელი ვარ ამ საქმეში.

– გამოცდილება საჭირო არაა, როცა გამოცდილი ადამიანი დაგარიგებთ, როგორ მოიქცეთ. შეხედეთ. საათი აუცილებელია ამ ბომბის ასამოქმედებლად. ნებისმიერი მაღვიძარა გამოდგება, თუნდაც ასეთი, მთავარია, მისი მექანიზმი კარგად იცოდე და სა-ჭირო დროზე მომართო. მაღვიძარა ბატარეას აამოქმედებს, ის კი – დეტონატორს. მე ძველი ყაიდის კაცი ვარ და „დენიელ სელს" გამოვიყენებდი. მასში, ვოლტას ბატარეასაგან განსხვავებით, სითხე გამოიყენება. ორ პატარა ჭურჭელში თანაბარი რაოდენო-ბით ჩაასხამ სპილენძისა და თუთიის სულფატს. სპილენძში სპი-ლენძის ფირფიტა უნდა ჩააყოლო, თუთიის შრეში კი – თუთიის. ამ ფირფიტების ბოლოები ბატარეის პოლუსებია. გასაგებია?

– ჯერჯერობით ყველაფერი გავიგე.

– ძალიან კარგი. ერთადერთი, „დენიელ სელის“ შემთხვევაში ფრთხილად გადაადგილებაა საჭირო, თუმცა, სანამ ბატარეა დეტონატორსა და მუხტს არ შეუერთდება, საშიში არაფერია. მერე კი ბომბი სწორ ზედაპირზე უნდა დაიდოს, რომ არ აფეთქდეს. დეტონატორისთვის სულ პატარა მუხტიც საკმარისია. და აი, საკუთრივ ბომბამდეც მივედით. თავადაც გეხსომებათ, ადრე დენთის ფხვნილს ვანიჭებდი უპირატესობას. მაგრამ ათიოდე წლის წინ ბალისტიტი გამოიგონეს, მისი ათი პროცენტი ნიშადურის, ნიტროგლიცერინისა და კოლოდიუმისგან შედგება. თავიდან სირთულეს ქმნიდა ის, რომ ნიშადური ადვილად აქროლადია, ეს ნაერთის არამდგრადობას იწვევდა. მაგრამ ახლა იტალიელები აწარმოებენ მას ავილიანაში და ეს პრობლემაც თითქმის გადაიჭრა. ჯერ კიდევ ვერ გადამიწყვეტია, კორდიტი ხომ არ გამოვიყენო: ინგლისელების აღმოჩენაა და მასში ქაფური ხუთპროცენტიანი ვაზელინითაა ჩანაცვლებული. ორმოცდათვრამეტ პროცენტს ნიტროგლიცერინი შეადგენს და ოცდაჩვიდმეტს – აცეტონით გაჟღენთილი აალებადი ბამბა. ამ მასაში წკირებია ჩარჭობილი, ხმელი სპაგეტივით. მოვიფიქრებ, რომელი ჯობია, თუმცა დიდი განსხვავება არაა. მოკლედ, პირველ რიგში, საათის ისრები უნდა მოვმართოთ სასურველ დროზე და მაღვიძარა ამოქმედდება. იცოდეთ, არაფრით არ შეიძლება მოქმედებების მიმდევრობის შეცვლა. ჯერ შეაერთებ, მერე გაააქტიურებ... და მხოლოდ ამის შემდეგ გადაატრიალებ ისრებს... აფეთქება გარდაუვალია. ბუმ! გასაგებია? ამას რომ გააკეთებთ, სადაც გნებავთ, იქ წადით, სახლში, თეატრში, რესტორანში: ბომბი თავად გააკეთებს თავის საქმეს. გასაგებია?

– გასაგებია.

– კაპიტანო, არ ვიტყვი, ამას ბავშვიც შეძლებდა-მეთქი, მაგრამ გარიბალდის ძველი თანამებრძოლი ნამდვილად მოახერხებს. ხელი გერჩით, თვალი გიჭრით, მხოლოდ მარტივი

მოქმედებები უნდა შეასრულოთ, როგორც დაგარიგებთ. მთავარია, მიმდევრობა დაიცვათ.

***

დავთანხმდი. თუ ეს შევძელი, ერთბაშად დავიბრუნებ ახალგაზრდობას და მსოფლიო მორდეხაისაც წელში მოვკაკვავ. ტურინის გეტოს იმ პატარა ბოზანდარასაც სეირს ვაჩვენებ... *ბიჭუნა!* მე შენ გიჩვენებ ბიჭუნას.

როგორმე უნდა მოვიშორო დიანას გახურებული სხეულის სუნი, რომელიც წელიწად-ნახევარია, მოსვენებას არ მაძლევს ზაფხულის ღამეებში. ვხვდები, რომ მხოლოდ იმისთვის ვიცხოვრე ქვეყნად, ამ წყეულ ჯიშთან მებრძოლა. რაჩკოვსკი მართალია, გულს სიძულვილი ათბობს.

მოვალეობა მიხმობს. საზეიმოდ გამოვეწყვე. ჟულიეტ ადამის სალონის დროინდელი ფრაკი და წვერი მოვირგე. სადღაც, კარადის სიღრმეში, „Parke & Davis“-ის ფირმის კოკაინსაც მივაგენი, რომელიც თავის დროზე ექიმ ფრეიდისგან ვიშოვე. ვინ იცის, როგორ მოხდა, რომ აქამდე შემომრჩა. არასოდეს გამისინჯავს, მაგრამ, თუ ექიმი მართალს ამბობდა, კოკაინი დამეხმარება, გამბედაობა მოვიკრიბო. სამი ჭიქა კონიაკიც გადავკარი. ახლა ლომივით ვგრძნობ თავს.

გავიალის უნდა, წამომყვეს, მაგრამ არ ვანებებ. ძლივს დადის, ხელს შემიშლის.

მშვენივრად ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. ბომბი უნდა დავდო, რომელიც ახალ ეპოქას დაუდებს სათავეს.

გავიალი არ მეშვება, უკანასკნელ მითითებებს მაძლევს: – ასე გააკეთე... იცოდე, გაფრთხილდი... იმას უყურე... ეს არ დაგავიწყდეს.

ჯანდაბა, ჯერ ბოლომდე არ გამოვთაყვანებულვარ!

# არასაჭირო დაზუსტებები

*ისტორიული*

ამ ამბის ერთადერთი გამოგონილი პერსონაჟი მთავარი გმირი, სიმონე სიმონინია. მისი ბაბუა, კაპიტანი სიმონინი ნამდვილია, თუმცა ისტორია მას მხოლოდ აბატ ბარუელისადმი მიწერილი წერილის იდუმალ ავტორად იცნობს.

ყველა სხვა პერსონაჟი (გარდა ზოგიერთი უმნიშვნელო პირისა, როგორებიც, მაგალითად, ნოტარიუსი რებაუდენგო ან ნინუცო არიან) რეალურად არსებობდა და იმას ამბობდა და აკეთებდა, რასაც ამ რომანში ამბობს და აკეთებს. ეს არა მხოლოდ იმ პერსონაჟებს ეხება, რომლებიც რომანში თავიანთი ნამდვილი სახელით ჩნდებიან (ზოგიერთს შეიძლება დაუჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ ლეო ტაქსილიც კი რეალური, ისტორიული პიროვნებაა), არამედ იმათაც, ვინც გამოგონილი სახელითაა ტექსტში. ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ ეკონომიის მიზნით ზოგჯერ ერთ ადამიანს (გამოგონილს) ვათქმევინებდი და ვაკეთებინებდი იმას, რასაც სინამდვილეში ორი ადამიანი (რეალური) ამბობდა და აკეთებდა.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სიმონე სიმონინიც კოლაჟის შედეგია, ანუ რამდენიმე რეალური ადამიანის შერწყმითაა მიღებული, რაღაცნაირად ისიც არსებობდა. უფრო მეტიც, თუ სიმართლეს ვიტყვით, ახლაც ჩვენ შორისაა.

*ფაბულა და სიუჟეტი*

მთხრობელი ხვდება, რომ ამ დღიურების უაღრესად ქაოსურ ხლართში (ამდენი წინ და უკან ხტომა, რასაც კინოში „ფლეშბექებს“ ეძახიან) მკითხველს შეიძლება გაუჭირდეს მოვლენების თანამიმდევრობით აღქმა სიმონინოს დაბადებიდან მისი დღიურების დასასრულამდე. ეს ფაბულასა და მოთხრობილ ამბავს შორის ფატალური გამიჯვნაა: აგლოსაქსონურ კულტურაში ამ ორ ცნებას story-ის და plot-ს უწოდებენ, რუსი ფორმალისტები კი (ყველა ებრაელი იყო) „ფაბულასა“ და „სიუჟეტს“ განასხვავებდნენ. მოვლენათა ქრონოლოგიის აღქმა წერისას ხშირად თავად მთხრობელსაც უჭირდა, მაგრამ მაინც იმედი აქვს, რომ კარგი მკითხველი თავისტეხის გარეშეც მოახერხებს, უბრალოდ ამბით ისიამოვნოს. ზედმეტად კირკიტა ან მეტისმეტად დაკვირვებულ მკითხველს კი ვთავაზობთ ცხრილს, რომელიც დაეხმარება, კავშირი დაამყაროს ორ შრეს შორის (რომლებიც სინამდვილეში ყველა, როგორც ადრე ამბობდნენ, კარგად დაწერილ რომანშია.)

სვეტში „ფაბულა“ დღიურის ქრონოლოგიაა მოცემული, რომელიც თავებს შეესაბამება, იმ მიმდევრობით, რომელსაც მკითხველი მიჰყვება. ხოლო სვეტში „სიუჟეტი“ იმ მოვლენების რეალური მიმდევრობაა მოცემული, რომლებსაც სიმონინი ან დალა პიკოლა სხვადასხვა დროს იხსენებენ.

| თავი | | ფაბულა | სიუჟეტი |
|---|---|---|---|
| 1 | გამვლელი იმ მოქუფრულ დილას | მთხრობელი იწყებს სიმონინის დღიურის კითხვას | |
| 2 | ვინ ვარ? | დღიური, 24 მარტი 1897 | |
| 3 | „მანი“ | დღიური, 25 მარტი 1897 (რესტორან „მანის“ სადილების გახსენება 1885-1886 წლებში) | |
| 4 | ბაბუას დრო | დღიური, 26 მარტი 1897 | 1830-1855 ბავშვობა და სიყმაწვილე ბაბუას სიკვდილამდე |
| 5 | კარბონარი სიმონინო | დღიური, 27 მარტი 1897 | 1855-1859 ნოტარიუსთან მუშაობა, რებაუდენგო და საიდუმლო სამსახურთან პირველი კავშირები |
| 6 | „სამსახურის“ სამსახურში | დღიური, 28 მარტი 1897 | 1860 პიემონტის საიდუმლო სამსახურის შეფებთან საუბარი |
| 7 | „ათასთა“ რიგებში | დღიური, 29 მარტი 1897 | 1860 ხომალდ „ემაზე“ დიუმასთან ერთად, პალერმოში ჩასვლა, ნიევოსთან შეხვედრა, პირველი დაბრუნება ტურინში |

| თავი | | ფაბულა | სიუჟეტი |
|---|---|---|---|
| 8 | „ჰერაკლე“ | დღიური, 30 მარტი – 1 აპრილი 1897 | 1861<br>ნიევოს სიკვდილი, მეორედ დაბრუნება ტურინში და პარიზში გაქცევა |
| 9 | პარიზი | დღიური, 2 აპრილი 1897 | 1861...<br>პირველი წლები პარიზში |
| 10 | დალა პიკოლა დაბნეულია | დღიური, 3 აპრილი 1897 | |
| 11 | ჟოლი | დღიური, 3 აპრილი 1897, ღამე | 1865<br>ციხეში ჟოლის სათვალთვალოდ, ხაფანგი კარბონარებისთვის |
| 12 | ღამე პრაღაში | დღიური, 4 აპრილი 1897 | 1865-1866<br>პრაღის სასაფლაოს სცენის პირველი ვერსია, შეხვედრები ბრაფმან-თან და გუჟენოსთან |
| 13 | დალა პიკოლა ამბობს, რომ ის არ არის დალა პიკოლა | დღიური, 5 აპრილი 1897 | |
| 14 | ბიარიცი | დღიური, 5 აპრილი 1897, გვიანი დილა | 1867-1868<br>შეხვედრა მიუნხენში გედშესთან, დალა პიკოლას მკვლელობა |
| 15 | მკვდრეთით აღმდგარი დალა პიკოლა | დღიური, 6 და 7 აპრილი 1897 | 1869<br>ლაგრანჟი ბულანს ახსენებს |

| თავი | | ფაბულა | სიუჟეტი |
|---|---|---|---|
| 16 | ბულანი | დღიური, 8 აპრილი 1897 | 1869<br>დალა პიკოლა ბულანთან |
| 17 | კომუნის დღეები | დღიური, 9 აპრილი 1897 | 1870<br>კომუნის დღეები |
| 18 | ოქმები | დღიური, 10 და 11 აპრილი 1897 | 1871-1879<br>პადრე ბერგამასკის დაბრუნება, დამატებები პრაღის სასაფლაოს სცენაზე, ჟოლის მკვლელობა |
| 19 | ოსმან-ბეი | დღიური, 11 აპრილი 1897 | 1881<br>შეხვედრა ოსმან-ბე-ისთან |
| 20 | რუსები? | დღიური, 12 აპრილი 1897 | |
| 21 | ტაქსილი | დღიური, 13 აპრილი 1897 | 1884<br>სიმონინი ხვდება ტაქსილს |
| 22 | „ეშმაკი XIX საუკუნეში“ | დღიური, 14 აპრილი 1897 | 1884-1896<br>ანტიმასონი ტაქსილის საქმე |
| 23 | სწორად გატარებული თორმეტი წელი | დღიური, 15 და 16 აპრილი 1897 | 1884-1896<br>იგივე წლები, რომლებზეც სიმონინი წერს (ამ წლებში სიმონინი რესტორან „მანიში“ ხვდება ფსიქიატრებს, როგორც ეს მოთხრობილია მე-3 თავში) |

| თავი | | ფაბულა | სიუჟეტი |
|---|---|---|---|
| 24 | ღამის მსახურება | დღიური, 17 აპრილი 1897 (სრულდება 18 აპრილს გამთენიისას) | 1896-1897 ტაქსილის ამბავი საბოლოოდ ირკვევა, 21 მარტი 1897 – შავი მსახურება |
| 25 | ყველაფერი თავის ადგილას დგება | დღიური, 18 და 19 აპრილი 1897 | 1897 სიმონინი ყველაფერს ხვდება და თავიდან იშორებს დალა პიკოლას |
| 26 | საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა | დღიური, 10 ნოემბერი 1898 | 1898 საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა |
| 27 | შეწყვეტილი დღიური | დღიური, 20 დეკემბერი 1898 | 1898 მზადება თავდასხმისთვის |



Сергѣй Нилусъ.

# Великое въ маломъ

и

## АНТИХРИСТЪ,

как близкая политическая возможность.

ЗАПИСКИ ПРАВОСЛАВНАГО.

(Изданіе второе, исправленное и дополненное).

ЦАРСКОЕ СЕЛО.
Типографія Царскосельскаго Комитета Краснаго Креста.
1905.

*სერგეი ნილუსის წიგნი „უდიდესი უმცირესში“, რომელშიც პირველად დაიბეჭდა „სიონის უხუცესთა ოქმები“.*

| თარიღი | შემდგომი ფაქტები |
|---|---|
| 1905 | რუსეთში გამოდის სერგეი ნილუსის წიგნი „უდიდესი უმცირესში“. ტექსტს ამგვარი შესავალი ახლავს: „აწ გარდაცვლილმა მეგობარმა გადმომცა ხელნაწერი, რომელშიც საოცრად მკაფიოდ, დეტალურადაა აღწერილი შემზარავი მსოფლიო შეთქმულების გეგმა და მისი განხორციელების გზები.<br>ეს დოკუმენტი დაახლოებით ოთხი წლის წინ ჩამივარდა ხელთ. უტყუარი საბუთი მაქვს, რომ ეს ზუსტი თარგმანია ორიგინალური დოკუმენტებისა, რომლებიც ერთმა ქალმა მოჰპარა მასონთა მაღალჩინოსანს... ქურდობა მასონების საიდუმლო შეკრების შემდეგ მოხდა, საფრანგეთში – ქვეყანაში, რომელიც ებრაული მასონური შეთქმულების ნამდვილი ბუდეა. მათ, ვისაც სურს, ისმინოს და დაინახოს სიმართლე, ვუზიარებ ამ ხელნაწერს, სათაურით „სიონის უხუცესთა ოქმები“.<br>„ოქმები“ სასწრაფოდ ითარგმნა უამრავ ენაზე. |
| 1921 | „ლონდონ თაიმსმა“ ჟოლის წიგნსა და „ოქმებს“ შორის კავშირი აღმოაჩინა და „ოქმების“ სიყალბე ამხილა. მას შემდეგ „ოქმები“ გამუდმებით იბეჭდება, როგორც ნამდვილი დოკუმენტი. |
| 1925 | ჰიტლერი, „ჩემი ბრძოლა“ (I, 11): „საქვეყნოდ ცნობილ „სიონის უხუცესთა ოქმებშიც“ კარგად ჩანს, რომ ამ ხალხის მთელი არსებობა მარადიულ სიცრუეს ეყრდნობა. ეს დოკუმენტები ყალბიაო, გაუთავებლად წუწუნებს „Frankfurter Zeitung“ და სწორედ ეს ადასტურებს მათ ნამდვილობას... როცა ეს წიგნი ჩვენს ეროვნულ ფასეულობად იქცევა, შევძლებთ, დაძლეულად ჩავთვალოთ ებრაული საფრთხე“. |
| 1939 | ანრი როლენი, „ჩვენი დროის აპოკალიფსი“: „შეიძლება, ეს ოქმები ბიბლიის შემდეგ ყველაზე მეტად გავრცელებულ წიგნად ჩაითვალოს“. |

# გამოყენებული ილუსტრაციები

გვ. 164. „კალატაფიმის გამარჯვება“, 1860. © Mary Evans Picture Library/ალინარის არქივი.

გვ. 210. ონორე დომიე, „დღე, როცა ხალხს არ გადაუხდიან...“ (მსმენელები სალონში, 10, ილუსტრაცია გაზეთ „შარივარისთვის“, 1852. © BnF.

გვ. 437. ონორე დომიე, „წარმოიდგინეთ, არიან ადამიანები, რომლებიც აბსენტს სვამენ ქვეყანაში, რომელიც ასეთ საოცარ ღვინოს აწარმოებს!“ (პარიზული ჩანახატები იუმორისტული გაზეთისთვის), 1864. © BnF.

გვ. 466. *Le Petit Journal* („პატარა გაზეთი“), 13 იანვარი, 1895. © ალინარის არქივი.

სხვა ილუსტრაციები აღებულია ავტორის პირადი არქივიდან.

diogene.ge